ლუარა სორდია

ანტიციპაცია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2011

ნაშრომში მწერლის მარადიულობის გარანტად, მხატვრული ნაწარმოების შეფასების ერთ–ერთ უმთავრეს კრიტერიუმად მიჩნეულია ანტიციპაციის უნარი, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მოვლენათა წინასწარი განჭვრეტა, ქვეყანაში მოსალოდნელი პროცესების წინასწარმეტყველება.

ამ ასპექტით არის შესწავლილი გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გურამ რჩეულიშვილის, რევაზ მიშველაძის, რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება.

მონოგრაფია დახმარებას გაუწევს სტუდენტ ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, საერთოდ, XX საუკუნის ქართული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველს.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ტიტე მოსია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნაზი ხელაია**

© ლ. სორდია, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-466-7

შინაარსი

თავი I

ანტიციპაცია–სულიწმინდის მადლი 3

თავი II

ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით გაცხადებული მომავალი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

„ველი“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში 22
„სარკე იშვიათი“ 27
„იწვება სული ხილვის ტაროსზე“ 31
„მიჰქრის მერანი მოგონებათა“ 38
‘ჩემს ანგელოზ დას, ჩემს მოგონებას — პოეზიას” 43
“რუსთაველი მახსოვს ბავშვი” 44
„მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული“ 46
„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ 52
ეპოქის ტრაგიკული მოვლენების წინაგრძნობა 59
სიკვდილის წინაგრძნობა 68
ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება 72
საკუთარი პოეტური მომავლის განჭვრეტა 77
გადარჩენის პრობლემა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში 89

თავი III

ანტიციპაციით მომადლებული ტერენტი გრანელი

წინასწარმეტყველური ხილვები 105
ნათელსმენის ფენომენი 112
სიკვდილის აჩრდილის გამოცხადება 114
აპოკალიფსური მხეცების ნაშიერთა შეცნობა 117
სამშობლოს თავისუფლებისა და ღმერთისკენ მიბრუნების განჭვრეტა 124
საკუთარი მომავლის წინასწარმეტყველება 126

თავი IV

ტრაგიკული მომავლის უტყუარი წინასწარმეტყველება პაოლო იაშვილის პოეზიაში 135

თავი V

წინასწარმეტყველი პოეტის რექვიემი — ტიციან ტაბიძის ცრემლიანი სტრიქონები 143

თავი VI

მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველური პროზა

რევოლუციისა და მისი მონაპოვრების არსის განჭვრეტა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ქალის ტვირთი“ 156
საქართველოს ავბედითი მოვლენების წინასწარმეტყველება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ 164
საქართველოს მომავლის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში 212

თავი VII

კონსტანტინე გამსახურდია — ქართული პროზის ორთავიანი იანუსი

რუსული რევოლუციის ბელადის– ლენინის პოლიტიკის მხილება და რევოლუციური ეპოქის მომავლის წინასწარჭვრეტა 226
„დიონისის ღიმილი“ – მომავალში მოსალოდნელი კატასტროფების წინასწარი ხილვა 233
ნოველა „ტაბუ“ – საქართველოს მომავალი ტრაგედიის განჭვრეტა 238
საბჭოთა წყობილების ეფემერულობის განჭვრეტა „მთვარის მოტაცებაში“ 252
„ვაზის ყვავილობა“ – ეპოქის არსის მაცნე და ერის გაფრთხილება 258
წარსულიდან მომავლისკენ მიმართული მზერა („დავით აღმაშენებელი“) 265
XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენების უტყუარი წინასწარმეტყველების კიდევ ერთი ასპექტი 272

თავი VIII

აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმაეტყველება XX საუკუნის ქართულ პროზაში (გურამ რჩეულიშვილი, რევაზ მიშველაძე, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი) 273

თავი IX

მომავლის თვალი გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ 286

თავი I
ანტიციპაცია – სულიწმინდის მადლი

ყოველ დროს თავისი ღმერთები თუ კერპები ჰყავს, მოვლენათა, პიროვნებათა, მხატვრული ნაწარმოების შეფასების თავისებური კრიტერიუმები გააჩნია. ეფემერული დიდების პარალელურად, არსებობს „დიდება მარადისი“ და უსაზღვროების წინაშე უკვდავია მხოლოდ რელიგიური, ამდენად, ჰუმანური და მაღალმხატვრული, სულიერი ინდივიდუალობით, მარადაქტუალური სიბრძნით გამორჩეული ხელოვნება. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, სიწმინდით მომადლებულ ღვთისმეტყველთა აზრით კი, სიბრძნე ღმერთია.

„ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ (სიბრძნე ზირაქისა, თ. 1,1) (1,35).

„უფალმა თავად შექმნა სიბრძნე, იხილა და აღრიცხა იგი, მოასხურა იგი თავის ყველა საქმეს (სიბრძნე ზირაქისა, 1, 9) (1, 35).

„მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარეებს (იქვე, 1, 19) (1, 35).

„სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნეებს საშოდანვე დაჰყვება თან“ (სიბრძნე ზირაქისა, 1, 14) (1,35).

„რადგან უფლის შიშია სიბრძნე და განსწავლულობა, მისდამი სასოება – რწმენა და სიმშვიდე (იქვე, 1, 27) (1,35).

„ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ“ (სიბრძნე ზირაქისა, 9, 22) (1, 47)

სიბრძნის შეძენაში წინამძღვარია ღვთის სიყვარული, რჯულის ცოდნა: „მხოლოდ ის, ვინც, თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაინაფება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,1) (1,62)

„გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრს და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,3).

ისო ზირაქის მიხედვით, „უფალმა... სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (ისო ზირაქი, 44,33) (1,66).

წმინდა წერილში უმაღლეს ღირებულებად სიბრძნე მიიჩნევა და იგი ღმერთის მადლად არის აღიარებული.

სოლომონი შეგვაგონებს: „... უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება (იგავნი სოლომონისა, 2,6) (2,618).

უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა, გონიერებით გაამტკიცა ცამყარი (იგავნი სოლომონისა, 2,18) (2,619).

ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ (იგავნი, 14,6) (2,626).

უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი გონიერება" (იგავნი, 9,10) (2,623).

„არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია" (ეკლეზიასტე, 8,3) (2,12).

ღვთის სიყვარულით გაბრძნობილი სოლომონი ხარობს უზენაესის მადლით: „ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა (სიბრძნე სოლომონის, 7,21) (1,24).

„ღვთის ძალის სუნთქვაა იგი და ყოვლისმპყრობელის დიდების შეუბღალავი გადმოღვრა, ამიტომ წაბილწულთაგან ვერავის მიეკარება მას" (სიბრძნე სოლომონისა, 7, 25) (1,24).

„იგია საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სარკე ღვთის ქმედების და ხატი მისი სიკეთისა.

„...ეწევა უბინო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ.

„რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს (სიბრძნე სოლომონისა, 7, 27, 28) (1, 24).

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა" (სიბრძნე სოლომონისა, (8, 17) (1, 24).

პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი, მათ შორის, წინასწარმეტყველების უნარი, სულიწმინდის მადლია.

„სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12)

„თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ, ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა. მეორეს–ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

ზოგს რწმენა იმავე სულით და ზოგს განკურნებითა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს სასწაულთმოქმედება, ზოგს–წინასწარმეტყველება, ზოგს სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.

ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,4-11) (3, 374-375).

ამასთან, ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია. მთავარია „რწმენა, იმედი, სიყვარული", ... მათგან „სიყვარულია უმეტესი" (I კორინთელთა, 14, 13) (3, 376).

სულიწმინდის ქნარად ნოდებული პავლე მოციქული მოუწოდებს თანამოაზრეებს: „ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო რომ იწინასწარმეტყველოთ" (I კორინთელთა, 14, 1).

ვინც ენით ლაპარაკობს, სულით ლაპარაკობს იგი საიდუმლოებებს (I კორინთელთა, 14, 2) (3,376).

ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშებლად და გასამხნევებლად (I კორინთელთა, 14, 3) (3, 72).

„ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს, ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას აშენებს (I კორინთელთა, 14, 4) (3, 376)

...„ის, ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკეზე მეტია, თუ განმარტავს კიდეც, რათა ეკლესია აღშენდეს (I კორინთელთა, 14, 5) (3, 376)

„ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისაებრ" (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,7) (3,417).

პეტრე მოციქული მიმართავს თავის თანამოაზრეებს: „თქვენ ხართ ძენი წინასწარმეტყველთა და იმ აღთქმისა, რომელიც აღუთქვა ღმერთმა ჩვენს მამებს, როცა უთხრა აბრაამს: შენს თესლში იკურთხებაო დედამიწის ყოველი მოდგმა" (საქმეები, 4,25) (3,234).

„ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა და კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას, როგორც ლამპარს, რომელიც ბნელში ანათებს, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს თქვენს გულებში" (II პეტრე, 2,19).

...„წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება (II პეტრე, 2,20).

„ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამდნენ მას" (I პეტრე, 2,2-311) (3,311).

პავლე მოციქული ასე ამხელდა „წუთისოფლის მოკამათეს": „სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი! სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე, განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა ქვეყნიერების სიბრძნე?" (I წერილი კორინთელთა მიმართ, 1,20) (3,357).

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: „...გამაგებინე სიბრძნე ფარული. უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი გამიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწმინდნე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე" ევედრებოდა უზენაესს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 50, 8,9) (3,575).

ამასთან, ბიბლიაში გვხვდება „საკუთარი ნებით გაწინასწარმეტყველებული" ცრუ წინასწარმეტყველ–მისნები, რომელთაც დასჯით ემუქრება ღმერთი ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში: „...ვაი ცრუ – წინასწარმეტყველთ, რომლებიც საკუთარ სულს მიჰყვებიან და არაფერი უხილავთ.

ნაოხარ ადგილებში რომ მელიები არიან, იმათ ჰგვანან შენი წინასწარმეტყველნი, ისრაელო!

მათი ხილვები ფუჭია და მათი მისნობა სიცრუე. კი ამბობენ, უფალმა თქვაო, მაგრამ უფალს არ მოუვლენია ისინი. ირწმუნებიან, ახდებაო ჩვენი სიტყვა.

რაკი ფუჭს ლაპარაკობთ და სიცრუეს ხედავთ, ამიტომაც, აჰა, თქვენი წინააღმდეგი ვარ, ამბობს უფალი ღმერთი.

იქნება ჩემი ხელი ფუჭმხილველ წინასწარმეტყველთა და სიცრუის მისანთა წინააღმდეგ. ჩემი ერის საბჭოში არ იქნებიან ისინი, ისრაელის სახლის წიგნში არ ჩაიწერებიან და ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ.

სწორედ იმის გამო, რომ აცდუნებენ ჩემს ერს, რომ ეუბნებიან, მშვიდობააო და არ არის მშვიდობა, ჩემი ხალხი კედელს აშენებს და, აჰა, ესენი კირით ლესავენ.

უთხარით მლესავთ, ჩამოწვება–თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და, თქვენ, ყინულის ქვემო, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება" (ეზეკიელი, 3, 3-6, 9-11) (2,203).

„გრძნეული შემლოცველის" გაფრთხილებაა ესაია წინასწარმეტყველთან: „გრძნეულ შემლოცველს დასჯის უფალი" (1, 94).

ძველი და ახალი აღთქმა სავსეა წინასწარმეტყველებით, იგავებით, ალეგორიებით, რომლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ–დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

„ქართულ სასულიერო მწერლობაში ალეგორიის სინონიმად შემუშავდა, „იგავი". სიტყვა „იგავი" ბიბლიის ლექსიკური მარაგიდან მოყოლებული, საერთოდ, ქართული სასულიერო მწერლობის ენის წიაღში სათანადო გამოვლინებას პოულობს" (4, 148).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწიერს და ზეციურს.

შეზღუდულად მიიქნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით" (იერემია, 51, 17) (1,177).

იგივე მოსაზრებას ვხვდებით ბარუქ წინასწარმეტყველთან: „ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი, მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს" (ბარუქი, 3, 20).

ამის მიზეზია ის, რომ მათ „დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი" (ბარუქი, 3,12).

„ვერც აგარის შვილებმა, რომლებიც მიწიურ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხრობელებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები (ბარუქი, 3,12).

„არავინაა შემმეცნებული მისი გზისა და არც გულისხმისმყოფელი მისი ხილვისა (იქვე, 3, 31).

„მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (ბარუქი, თ. 3, 37) (II, 190).

ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: „ცოდნისგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას“ (იერემია, 10, 14) (II,135).

პავლე მოციქული ეძებდა არა ხორციელ სიბრძნეს, არამედ „ღვთის მადლს“ (II წერილი კორინთელთა მიმართ 1, 12) (3, 385).

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ სიბრძნეს“, რომელიც „წმინდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკობი 4, 15, 17) (3, 298).

„არა წუთისოფლის სიბრძნე, არამედ ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებებში დაფარული“, აცხადებდა პავლე მოციქული (I კორინთელთა, 2,6, 13) (3, 354, 360)

„სიბრძნის სიტყვა“ სულის მადლია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,8) (3, 374).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს.

„ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 3, 18, 19) (3, 360).

არსებობს აზრი, რომ დედამინა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინორმაცია სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ– მოუსმენელთან ზიარება.

ზეგანვითარებულ ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კონტაქტს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, ადამიანის ზნეობრივი სიწმინდე იყო პირობა კოსმიურთან კავშირის უნარების განვითარებისა.

ლაო–ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანები“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად“ და, „ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“ (5, 99, 197).

„ბჰაგავად–გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათქვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს–ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება“ (6, 83), ველის უფალი კი ღმერთია (6,90).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და ამ შემთხვევაშიც ზნეობრივი სიწმინდეა მასთან მიახლების საწინდარი.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ცეცხლის ალების ველი“, მდელო, ყვავილებით სავსე წალკოტი“ (7, 183).

გოეთეს „ფაუსტში“ „ამწვანებულ ველად“ არის სახელდებული ენერგეტიკული ველი (8, 213).

ბოდლერის „ამაღლებაში“ საინფორმაციო ველს ეწოდება „აისის ჭალა“, „სინათლის აუმღვრევი ველები“ (9,3 127).

ეგვიპტურ მკვდართა წიგნში მოიხსენება იალუს მინდორი, რომელიც სამოთხის ექვივალენტი იყო (10, 136).

მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე „შავი მაგიური ველი“.

უმდაბლესი ასტრალური შრეების მომრავლების შედეგად, პლანეტა მძიმედ არის დაავადებული და წარმოქმნილია „შავი მაგიული ველი“, რომელიც გზას კეტავს იმ სამყაროებისკენ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ პლანეტას. თუ ვერ გაირღვა ეს ბნელი ველი, დედამიწის არსებობა დასრულდება (11, 201).

ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით მომადლებულები გადიან საინფორმაციო ველზე და მომავლის განჭვრეტას ახდენენ, როგორც უჩვეულო ხილვების, ისე ხმების საშუალებით.

ოკულტისტების აზრით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მიუწვდომელი.

ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში.

ასტრალური ხედვა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ასტრალური სინათლის ტალღები, ასტრალური სმენით კი ღებულობს ასტრალურ ბგერით ტალღებს, ვინაიდან ისინი არსებობენ მათი გამოვლენიდან დიდი ხნის შემდეგაც.

საგნები ყოველმხრივ უშვებენ ტალღებს, რომელიც აღიბეჭდება ასტრალური ხედვით, როგორც სინათლის სხივები ფიზიკური ხედვის ორგანოებით.

ასტრალურ ორგანოს აქვს ისეთი უნარი, რომელიც მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს – ქვეყნის

სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერთებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

„ასტრალური ტელესკოპი" მსგავსია ასტრალური ტელეგრაფისა, იგი ამცირებს მანძილს ორ დაშორებულ პუნქტს შორის. ამ დენის გზაზე მოდის ასტრალური სხივები, ასტრალური ხმები.

მეორე საშუალება ნათელმხილველობისა არის ის, რომ გაიგზავნოს ასტრალური სხეული ცნობიერად და არაცნობიერად სასურველ სივრცეში.

სამყაროში არაფერი არ ქრება და მატერიის უმაღლეს სფეროში მუდმივად არსებობენ შეუცვლელი ჩანაწერები ყოველივე იმისა, რაც ოდესმე მომხდარა.

ასტრალურ სინათლეზე შეიძლება მოიძებნოს სუსტი და არასრულყოფილი გამოსახულება დიდი კანონებისა, მიზეზებისა, ჩრდილები, რომელთაც ისვრიან წინმავალი მოვლენები.

ნათელსმენა არის სმენა ასტრალურ სივრცეში ასტრალური სხივით.

ნათელმხილველისათვის დამახასიათებელია ტელეპატიური ხედვა, საიდუმლო ხმების მოსმენა, წინასწარმეტყველების უნარი.

ამ შემთხვევაში ზეგანვითარებული გრძნობათა ორგანოები კონტაქტშია ჩვენთვის ნაცნობ არსებულთან და რაღაც „იმქვეყნიურთან", რომელსაც შეიძლება არც ვიცნობთ (12,8).

მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვრება „აგნი იოგა", „ცოცხალი ეთიკა" ანუ „სინათლის მოძღვრება" გამოყოფს ნათელმხილველობისა და ნათელსმენის შვიდ სახეობას.

ელენე რერიხმა ჰიმალაის მთებში უმაღლესი სამყაროს მბრძანებლის, კაცობრიობის დიდი მასწავლებლის–მაიტრეას კარნახით ჩაწერა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ჰიმალაის, კავკასიონისა და ალტაის მთები არიან დაცული ტერიტორიები და წარმოადგენენ „ზეციურ საძმოთა სავანეს" (11,94).

იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ადამიანის სულიერი ცნობიერება, ის უფრო მეტად უსმენს შინაგან ხმას და უფრო კარგად არჩევს მის იმპულსებს, მომდინარეს უმაღლესი სულისგან.

სულიერი გამონათების, „გამობრწყინებისას" ხდება სულიერი ცნობიერების გახსნა, ეს სიმღერაა სულის, მარადჟამს დაუვიწყარი.

ადამიანს შეეძლია მოისმინოს სხვებისთვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე. ესაა გულის ხმა, გულის სიმღერა...

იშვიათად ადამიანის ყურით შეიძლება სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის მოსმენა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური. სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიის, არამედ რიტმისაგან. ზოგიერთებს ესმით უსხეულო არსების ხმა, გრძნობენ არამიწიერ არომატს.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში - თოთხმეტი.

ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზუნაესის ხმა შამბალაზე და ჩაწერა იგი.

ვანგას ესმოდა „ციური ზარის ხმა", ესაუბრებოდა „წარმოგზავნილებს".

ვანგა ირწმუნებოდა, რომ ნანახი ჰყავდა ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი. მისთვის საიდუმლოებას ინახავდა მთები, ველები, მცენარეები. იგი წინასწარმეტყველებდა ქვეყანაზე ჯერაც მოუვლენელ ბავშვებზე, ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალურ სხეულებს, სულს, უცხოპლანეტელებს (პანტელეი ზარევი, ვანგა, თბ. 1991, გვ. 81).

ყველა დროის უდიდესი წინასწარმეტყველი ნოსტრადამუსი წერდა: „ღამეა. ვზივარ მარტო და დავყურებ იდუმალ ნაწერებს – ისინი გადაშლილია სპილენძის სამფეხა მაგიდაზე. მაგიური კვერთხი სპილენძის მაგიდის ფეხებს შორის ძევს. კვერთხს წყლით ვასველებ, შემდეგ ვისველებ სამოსის კიდეებს, ფეხებს. ისმის იდუმალი ხმა. ჩემს ყურთან ვიღაც ჩურჩულებს. ვკანკალებ. ღმერთი ახლოს არის. ვგრძნობ მის ღვთაებრივ სიდიადეს. ანათებს სანთელი. მის სუსტ შუქზე მოჩანს მომავლის სურათები" (13, 24-28)

მოვლენათა წინასწარჭვრეტაზე საუბრობს დანტე „ღვთაებრივ კომედიაში: „მე ვჭვრეტ წინასწარ ზრახვათ შენსას საფარველიდან, მე ვჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც" (7,270,383). „ვხედავ თვალნათლივ ფიქრების შენის უეცარის აღმოცენებას", „მე უკვე ვხედავ დროს მომავალს" (7, 318, 344).

ამავე დროს, დანტეს ესმოდა „ნათელის ხმა, სინათლისგან ხმაი მეტყველი".

მოსიყვარულე წინაპრის სულმა დანტეს ფლორენციიდან გაძევება უწინასწარმეტყველა.

გოეთეს სიტყვა „ნიჭი ეცოტავებოდა დანტესთვის და ნაცვლად „ტალანტისა" ხმარობდა „ბუნებას", რითაც, ალბათ, მის ყოვლისმომცველ, ფართო და ღრმა წინასწარმეტყველურ, შორსმჭვრეტი ხასიათის გამოხატვას ცდილობდა. ხაზს უსვამდა წინასწარმეტყველური უნარის აუცილებლობას მწერლობაში: „მე რომ ანტიციპაციის მეშვეობით მთელი სამყარო უკვე ჩემს თავში არ მენახა, ჩემი გახელილი თვალები ბრმა იქნებოდნენ" (14,78).

გოეთე სულის თვალით იმზირებოდა ყველა დროში: „ფრთამალი ფიქრიც, ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა" ირწმუნებოდა პოეტი (შუაღამისას) (15, 41).

„მაღალთა სულთა წინასწარგრძნობა მარად ყოფილა მოწოდება უზენაესი" (ანდერძი), ასკვნიდა გოეთე.

ვაიმარელი ბრძენი სიზმრად ხედავდა მხარეს, სადაც ოდესღაც უცხოვრია (15, 145).

გერმანელი პოეტი რილკე საუბრობდა „წინასწარმეტყველურ წამებზე“...

ათანას ფეტს ესმოდა „უხილავის ძახილი“. „ხმები ღვთიური“, „უწმინდესი ბგერები“, „ხმა ზეციური“ (სიმღერა მარადიულ ფრინველთა) (16,27,49).

ვლადიმერ სოლოვიოვს ესმოდა „გამოძახილი მისნური“, „წმინდა ხმა“, „უხილავის უხმო ძახილი“ (16, 102).

ალ. ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (16, 169). „წინაგრძნობათა ნიაღვარი“, „წინაგრძნობათა ნაკადი“ ხშირად იჩენდა თავს ალ. ბლოკის პოეზიასა და წერილებში.

დავით გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“, რაც ტყვეობიდან ხსნის შთააგონებდა (17, 128).

ნიკოლოზ ბარათაშვილი უსმენდა „იდუმალ ხმას“, „ციურ დასთა გალობის ზარს“ (ვიპოვე ტაძარი) (18,115)

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ („აჩრდილი“). მისთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ („პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“) პოეტს „ცით ჩამოსძახეს „გიყვარდეს!“ (19, 113).

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“, აფიქსირებდა ვაჟა ფშაველა (20,116).

„მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი (21, 83).

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეკა“.

ბერგსონის აზრით, „არსებობს ცოდნის ორი სახე: რაციონალური და ინტუიციური... ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას.

ამასთან, არ არსებობს უფსკრული ინტუიციასა და გონებას შორის, რადგან თვით გონება ინტუიციურია.

„... ხელოვნების მიზანი სწორედ ის არის, რომ შეგვიყვანოს ამ ესოდენ ღრმა, ესოდენ პირადი, ესოდენ ახალი ემოციის წიაღში და ამრიგად განგვაცდევინოს ის, რისი გაგებაც არ შეგვიძლია“(22,9, 24,85).

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინაგრძნობის უნარს და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში: „ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვიძლია. არსებობს წინაგრძნობა, რომელმაც შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს“ (23, 24).

„ინტუიციას ეყრდნობიან გამომგონებლები, მოსამართლენი“ (23, 25).

„ინტუიცია ერთგვარი აღქმაა, რომელიც... გვეძლევა უფრო არაცნობიერის მეშვეობით. წინასწარმეტყველური სიზმრები, ტელეპატიური ფენომენები და სხვა მისთანანი ინტუიციის სფეროს განეკუთვნება. მრავალი კარგი დიაგნოზი დასმულა ამ იდუმალებით მოცული ფუნქციიდან გამომდინარე“ (23, 26).

იუნგი საუბრობს ტელეპატიაზე, რომელიც მოქმედებს სიზმრებზე და ერთმანეთისგან განასხვავებს „სიზმრის პროსპექტულ და კომპენსატორულ ფუნქციებს“ (23, 255).

სიზმრის პროსპექტული ფუნქცია მომავალი ცნობიერი წარმატებების არაცნობიერი ანტიციპაციაა, წინასწარი ვარჯიშის, მონახაზის ან ზოგადი გეგმის მსგავსად“.

ხოლო „ტელეპატიის ფენომენის ავთენტურობა დღეს საკამათო აღარ არის“ (23, 25).

„სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებებს, ფილოსოფიურ დებულებებს, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს... სიზმარი ზოგჯერ სიკვდილ–სიცოცხლის საკითხია“ (23, 305,308).

ჩ. ლომბროზოს მტკიცებით, გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი, მაგალითად, გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არც ენახა იგი (24, 123).

სტ. ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „ღრმა და წინასწარმეტყველურ სიზმარს“ უწოდებდა: „მისი სამყარო... შესაძლოა წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილი ჰალუცინაცია, სულის მომლანდებელი ღრმა და წინასწარმეტყველური სიზმარია, რომელიც სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მაინც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკურში რომ გადასულა“ (25, 211,243).

წინასწარმეტყველებაზე განსხვავებული მოსაზრების არის პოლ ვალერი: „უგუნურებაა იმაზე ფიქრი, თითქოს ისტორიას ოდესმე შეეძლოს მომავლის წინასწარგანჭვრეტის საშუალება მოგვცეს. „...თუ დავუშვებთ, რომ ის (ისტორია) საერთო ჯაჭვში სამართლიანია, დეტალებში იმდენად მცდარია, რომ ყოველგვარი წინასწარი განჭვრეტა უაზროდ მეჩვენება.

„...ზუსტი მეცნიერებები წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას გვაძლევს დამთავრებული სისტემის შექმნით, მაგრამ ისტორიაში სისტემათა იზოლირება არ შეგვიძლია, ხოლო მასშტაბები ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ ყოველგვარი წინასწარმეტყველება სიცრუეა. მომავალში ჩვენ უკან დახევით შევდი-

ვართ. ისტორია მეცნიერება როდია, იგი ხელოვნებაა. ისტორია უსასრულო განმეორებაა“ (26, 321-322).

მაგრამ პოლ ვალერი მაინც ცნობს წარსულზე დაფიქრების სარგებლობას: „ის გვაჩვენებს, რომ მეტისმეტად მოახლოებული წინასწარმეტყველება უცილობლად მარცხს განიცდის, ხოლო პირიქით, გვეუბნება, რომ ყოველმხრივ დიდი უპირატესობა აქვს გამუდმებულ მზადებას, რომელიც არ ჩემულობს, მე გამოვიწვევ, ან წინ აღუდგები მუდამ გაუთვალისწინებელ მოვლენებს. ფიქრები წარსულზე ადამიანს უფლებას აძლევს წინასწარ მიიღოს ზომები მოულოდნელობათა წინააღმდეგ“ (26, 326).

„ვალერის განაზრება მიედინება ყოველი ძლიერი გონებისთვის ბუნებრივ გზაზე“, ასკვნის ანდრე მორუა (26, 327).

„არაცნობიერის და ცნობიერის მნიშვნელობა თითქმის თანაბარია იუნგის მიხედვით (23, 256).

„სიზმრის არსი მომავლის ანტიციპაციაში მდგომარობს (23, 28).

„წინასწარი სიზმრები ხშირად დიდ ინფორმაციას გვაწვდიან (23, 184).

„აღმოსავლურ ფილოსოფიაში დიდ როლს ასრულებს... მოვლენათა შესაძლო განვითარების წინასწარმეტყველური მეთოდი და მას დღესაც იყენებს იაპონელების მთავრობა პოლიტიკურ ვითარებათა განხილვისათვის (23, 91).

ასე იყო რომში, სადაც ერთი სენატორის ქალიშვილს I საუკუნეში ეზმანა, ვითომ ქალღმერთი მინერვა შესჩიოდა, რომაელი ხალხი ჩემს ტაძარს ჯეროვნად არ უვლისო. მან ეს სენატს უამბო. სენატმა თანხმობა მისცა ტაძრის აღსადგენად განსაზღვრული თანხის გამოყოფისთვის (23, 13).

სოფოკლეს ცხოვრებიდან ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც ჰერაკლეს ტაძრიდან ძვირფასი ოქროს ჭურჭელი მოიპარეს, ღმერთი სოფოკლეს სიზმარში გამოეცხადა და დაუსახელა, ქურდი ვინც იყო. სიზმრის სამჯერ გამეორების შემდეგ სოფოკლემ ის არეოპაგში განაცხადა. ეჭვმიტანილი დაიჭირეს. იგი გამოტყდა და ჭურჭელი დააბრუნა (23, 130).

დანტემ გარდაცვალებისას თან წაიყოლა თავისი დიდი გულისტკივილი, რაც მისი პოემის ერთი თავის დაკარგვით იყო გამოწვეული. პოეტის აჩრდილი სიზმარში გამოეცხადა შვილს და ამცნო, სად ინახებოდა მისი „ღვთაებრივი კომედიის“ ცალკე გადადებული XXIII თავი.

გიორგი გურჯიევი საუბრობს ნიჭით, ძალისხმევით ადამიანურ შესაძლებლობებზე ამაღლების შესახებ:

„როდესაც მზე ამოდის და მთის მწვერვალზე მაღლდება, ხეობა და ველი კვლავ სიბნელეშია ჩაფლული. ამასვე ჭვრეტს... გონე-

ბის თვალი, როდესაც გასცდება, ამაღლდება ადამიანური სიტუაციის ფარგლებზე, ხედავს ღვთაებრივ სინათლეს მაშინ, როცა იმათთვის, ვინც ქვემოთ ცხოვრობს, ყოველივე ბინდითაა მოცული, როდესაც გონება, ინტელექტი ერთიანია, მთლიანია... ადამიანის გონება, ინტელექტი მძლავრი კვლევითი ინსტრუმენტის უნარს იძენს. მთავარია ნებელობა და ბედი, ხვედრი განგების, ბედისწერის ეს ორი ზემოქმედების სფერო"... (გიორგი გურჯიევის საუბრები თავის მოწაფეებთან), (27, 139).

გურჯიევის აზრით, გარკვეული ცოდნა ადამიანს შესაძლებლობას ანიჭებს იქ, სადაც იგი იმყოფება, ყოველივე არსებული – უსასრულოდ დიდიდან უსასრულოდ პატარამდე–გამოითვალოს, აწონოს და გაზომოს... შესაძლებელი ხდება აზროვნების „აწონვა", გაზომვა", მისი მასის განსაზღვრა" (27, 140 -140).

პრაქტიკულად, ყველა დიდი მეცნიერული იდეა და თეორია წარმოადგენდა არა მკაცრი მსჯელობისა და კრიტიკული საქმიანობის შედეგს, არამედ ინტუიციის, გონების გამობრწყინების, ხილვის გზით მიღებულ რეალობას. ცნობილია შემთხვევები, როცა მეცნიერები მეყსეულად იღებდნენ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ეძებდნენ. ფ. კეკულეს დაესიზმრა ფორმულები, დ. მენდელეევს – ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა, ნ. ბარს – ატომური სტრუქტურა... ეს უმალ უზენაესის მიერ გამოწვდილი ხელია", ირწმუნება ლ. მელნიკოვი (13, 24).

მკვლევარი ა. მალცევი აცხადებს: „ყველა დროისა და ყველა ხალხის მისტიკური მატიანეები მოწმობენ, რომ უზენაესი სულიერი ჭეშმარიტება შემეცნებული იყო არა ზედაპირულად, არამედ შინაგანი ჭვრეტის გზით ხილვების, სიზმრებისა და ა.შ. ფორმით" (იქვე).

შტაინერი საუბრობდა „სულიერი თვალის, უმაღლესი გრძნობის გახსნაზე" და მიიჩნევდა, რომ „მეცნიერის გონებრივი შრომა უდავოდ უწყობს ხელს აღნიშნული ძალებისა და სულიერი ხედვის განვითარებას.

„მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი – ინტუიციურს (27,13).

„ქვეცნობირებაში ჩადებული აზრი მანიპულირებას გვიწევს ფარული სახით" (ვლ. ჟიკარენცევი).

შტაინერი გვაუწყებს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (28, 51).

როგორც მითითებულია ბიბლიაში, წინასწარმეტყველების უნარს ადამიანს მიჰმადლებს მხოლოდ არსთანმრიგე.

მომავლის ხილვის პროცესში ნოსტრადამუსს ესმოდა იდუმალი ხმა და ღმერთის სიახლოვეს გრძნობდა (13,28).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, წინასწარმეტყველი მომავალს კი არ ხედავს, არამედ აწმყოს, რომლის მიხედვითაც იწინასწარმეტყველება სულის მიერ აღქმული თუ წარმოდგენილი მერმისი. ეს წარმოდგენები უკვე არსებობენ და მომავლის წინასწარმჭვრეტნი თავიანთ სულშივე ჭვრეტენ მათ" (29,237).

ა. ბლოკი საუბრობდა „საყოველთაო სულის ქროლვაზე", რომლის მოსმენა ხელეწიფებათ მხოლოდ ღვთის რჩეულთ („მწერლის სული").

გოეთე ამბობდა: „ეს მსოფლიო სული დღემდე ბინადრობს ამაღლებულ ადამიანთა ბუნებაში, რათა ჩვეულებრივნი თავის დონეზე აამაღლონ" (14, 233).

ჭეშმარიტი მწერლის მისია ისაა, რომ გვიჩვენოს პიროვნების, ერის, კაცობრიობის სულიერი სახე, მისი ჟამიერი თუ მარადიული იდეალები, თვალი გაადევნოს წარსულს, აწმყოს და განჭვრიტოს მომავალი. მწერალი წინასწარმეტყველის, მოციქულის ფუნქციის მტკვირთველია: „მე მგონია, მისთვის ვართ ქვეყნად მოვლინებული, მაცხოვარი რისთვისაც იქმნა ჯვარცმულ ვნებული", აცხადებდა აკაკი წერეთელი. იგი მწერალს უწოდებდა „წინამგრძნობ მოციქულს" (30,113).

იოანე დამასკელი საუბრობს „ღმრთივსულიერ წინასწარმეტყველებზე, ღმერთშემოსილ მწყემსებზე" (31,33).

წინასწარმეტყველურს უწოდებდა აკაკი წერეთელი ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო, საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო, მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყვეთა ფრინველნი და ვარდნი".

„ბარათაშვილი არის ქართული პოლიტიკური ცნობიერების ის წინასწარმეტყველი და ადამი, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა გაფრთხილება: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს". მან შეძლო დროის წინმსწრები სააზროვნო სიტუაციის პროვოცირება (32,7).

სიმონ ჩიქოვანი წერდა აკაკი წერეთელზე: „ხალხის წარმოდგენაში აკაკი წერეთელი ცხოვრობდა, როგორც ახოვანი, მუდამ თეთრი თმით შემოსილი მოხუცი და წინასწარმეტყველის იერით დამშვენებული მქადაგებელი... აკაკი წერეთლისთვის პოეტი იგივე წინასწარმეტყველი თუ მქადაგებელი იყო" (33, 158-159).

აკაკის იზიდავდა „...სახალხო მქადაგებლის როლი თუ წინასწარმეტყველის სახე"(იქვე, გვ. 140).

აკაკი ბაქრაძე ყურადღებას მიგვაქცევინებს იმაზე, რომ აკაკი წერეთლის საყვარელი სახეებია მაცხოვარი და იერემია წინასწარმეტყველი (ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი) (32, 316).

აკაკის მოსწონდა „საღვთო მღერა". იგი კალამს მიიჩნევდა „სასწაულმოქმედ კვერთხად" და „მახვილად", პოეზია სიცოცხლეშიც ეიმედებოდა და სიკვდილის შემდეგაც.

„ბაში–აჩუკში" წმინდა კირილეს სიზმრები (ალავერდის მონასტერს შემოხვეული გველეშაპის მოკვლა, სამი მეომრის სიკვდილი, თავზე ნათლის სვეტი და მაღლით გალობა გუნდთა: „წმინდათა თანა განუსვენეო") მომავალი გამარჯვების ნიშანია. გამარჯვების სტიმულია თეთრცხენიანი მხედრის – წმინდა გიორგის გამოჩენა.

აკაკი წერეთელი ნიკოლოზ ბარათაშვილს და ილია ჭავჭავაძეს ბიბლიურ მოსეს და აარონს ადარებდა: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედ ერთ ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში. ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა" (33, 6-10).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიბლიური წინასწარმეტყველის – მოსეს რანგში ესახებოდა ილია ჭავჭავაძე: „ილია ჭავჭავაძეში იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ყოველთვის თავისი ურყევი ნების ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო...

„ილია ხელოვნებასა და რელიგიას შორის დიდ მანძილს ვერ ხედავდა. ასე უყურებდა ყოველი დიდი მწერალი ლიტერატურას" (34, 232, 270).

კიტა აბაშიძე ბრძანებდა: „განდეგილში" ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველის მჭერმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ახლანდელი ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს.

„განდეგილში" პოეტმა გვიჩვენა... დიადი, წინასწარმეტყველური გზების კრახი ჩვეულებრივ, რიგით, არაფრით გამორჩეულ ყოველდღიურობასთან მიმართებაში, ანუ მარადისობის კრახი დღევანდელობის წინაშე" (48,32).

თამაზ ჭილაძე წერს: „დღემდე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ–ერთ საკვირველებად რჩება 21 წლის ჭაბუკის მიერ დანახული და შეგრძნობილი საკუთარი სიცოცხლის აღსასრული. თითქმის შემზარავი სიცხადით დაინახა საკუთარი სიკვდილი, დაინახა მკვლელთა სახეები და აი, ასეთი განაჩენი გამოუტანა მათ: „შეუნდე, არ იცინ, ღმერთო, რას იქმან" (35, 5).

თვით ილია ყურადღებას ამახვილებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ „წინასწარმეტყველურ“ სიტყვებზე: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“ და გულისტკივილით წერდა: „ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა“. „აკი იწინასწარმეტყველა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება...“

თამაზ ჭილაძეს წინასწარმეტყველურად მიაჩნია „აჩრდილში“ მოცემული ხილვა მყინვარზე მდგომი მოხუცისა, რაც „საკუთარი ბედის წინასწარმეტყველური ხილვის შედეგად მოვლენია პოეტს. ეს თვითონაა, ოღონდ უკვე საქართველოს ხნისა, მასში ცოცხლობს საქართველოს წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, რამდენადაც იგი მარადიულია, უკვდავი სულია. ეს რაღაც იდუმალი, ამოუხსნელი გრძნობითა თუ სულისკვეთებით წარმოშობილი ტრანსცენდენტური ხილვაა პოეტისა, საკუთარი არსებობის მარადიულობის განცდა. საკუთარი მარადიული ხვედრის, მისიის დანახვა, რაც ამ პოემიდან ზუსტად ამოიკითხა ვაჟა–ფშაველამ. გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის სიტყვები ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს: „ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს“(35,7).

წინასწარმეტყველურია ვაჟა–ფშაველას „ბახტრიონში“ კვირიას სიზმარი, როცა მან ტრიალ მინდორზე ვეშაპი მოკლა, თვით კი უწმინდურის სისხლი შეესხა და უგრძნობლად დაეცა. გონს მოსული, ქათქათა ლოგინზე იწვა, ჭადარი ჩრდილს ჰფენდა, ქედანი დაჰღუღუნებდა. მან წინასწარ იხილა მომავალი, შეიცნო თავისი მისია, რაც ქვეყნის მტრის დამარცხებაში მდგომარეობდა საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანის ფასად.

კვირიას ხმლის ვადაზე სამი სანთლის დანთება, ჯვრის სახედ ციური შუქის გამონათება მის რჩეულობაზე, თავგანწირვის საფასურად სამოთხეში მოხვედრის მინიშნებაა, რასაც ხაზს უსვამს ყვავილებით მოფენილი გზის ხილვაც.

ლურჯაზე ამხედრებული ბატონის სახე, რომელსაც ბრწყინვალე შუქი ასხივოსნებს, მომავალი გამარჯვების რწმენას აძლიერებს. ლაშარის წმინდა გიორგის მოვლინება ომში გამარჯვების წინასწარი უწყებაა.

ილიას შეუმცდარი ინტუიციის გამოვლინებაა მისი სიტყვები ვაჟა–ფშაველას პოემა „მოხუცის ნათქვამის“ წაკითხვის შემდეგ: „არა, ჩვენ ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“ (34, 364).

„ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა რელიგიური რეფორმატორის, ანბანის შემოქმედისა და გუთნისდედის უბრალოება (34, 59).

„პოეტის სახე – მყინვარზე მდგომი მოხუცებული მარადიულია და, ამდენად, მარადიულ სამშობლოსაც გულისხმობს, რადგან

უკვდავება ერთისა დაკაშირებულია მეორის უკვდავებასთან" (34, 38).

ილიას დიდი მეგობარი, გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი ხაზგასმით ამბობს, რომ „ილიას სიკვდილის წინ წინაგრძნობა არ ასვენებდა" (35,55).

ილია უყურებდა მსხლისა და ვაშლის მყნობას თავის მამულში და ამბობდა: „ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრები?... საკვირველი კაცია (მეფუტკრე ლ.ს.), არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენიაო" (35, 55).

იქნებ იმაშიც არის წინასწარმეტყველური ინტუიცია, რომ ილიას ჰყვარებია ხალხური სიმღერა: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ"...

გულისა და გონების ძალა, დიდი წინასწარმეტყველური ინტუიცია გამოარჩევს გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გურამ რჩეულიშვილის, გოდერძი ჩოხელის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის პროზას.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I,
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II,
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992,
4. ტიტე მოსია, „დავითიანის" ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ. 1989
5. ლაო–ძი, დაო დე ძინი, თარგმანი ლ. ალიმონაკის, თბ. 1983
6. ბჰაგავად–გიტა, თარგმანი თ. ჩხენკელის, თბ. 1983
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941.
8. გოეთე ფაუსტი, თბ. 1962
9. შ. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, თბ. 1992
10. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990
11. Е. Рерих, Мозайка Агни Иоги, вдвухкнигах, книга, I, Тбилиси, 1990.
12. Рамачарака, Основы ми росозерцания индийских иогов, Петербург, 1913.
13. ჟურნალი „ფენომენი", 2006, იანვარი, №1

14. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, ბათუმი, 1988
15. გოეთე, ლირიკა, თარგმანი ვ. ბეწუკელის, თბ. 1967
16. მარადი დღე, თბ. 1981
17. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ. 1964
18. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ. 1968
19. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1987
20. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980
21. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
22. ანრი ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ. 1993
23. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. სიზმრები, თბ.1995
24. Ч. Ломброзо, Гениальность и помещательство, Москва, 1995
25. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966.
26. ანდრე მორუა, ლიტერატურული ეტიუდები, თბ. 1988
27. ჟურნალი „განთიადი“, 1995, №5-6
28. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
29. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1995
30. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 15 ტომად, ტ. 2, თბ. 1961
31. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2002
32. გიორგი გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების სამყაროში, თბ. 1986
33. აკაკის სამრეკლო, თბ. 1990
34. ილიას სამრეკლო, თბ. 1987
35. თამაზ ჭილაძე, წინასწარმეტყველი, თბ. 1987
36. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963

თავი II

ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით გაცხადებული მომავალი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

„ველი“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გავიდეს და აღიქვას სხვისთვის მიუწვდომელი ინფორმაცია.

ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კავშირს მიწიერ და ზენარულ სამყაროებთან. ისინი დედამიწის იონოსფეროს უკავშირდებიან და ამით განსაზღვრულ ინფორმაციას ღებულობენ.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და ადამიანის ზნეობრივი სიწმინდე ითვლებოდა, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, კოსმიური კავშირის უნარების განვითარების უმთავრეს პირობად.

ლაო–ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანები“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად და, ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“(გვ. 99, 197).

„ბჰაგავად–გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათქვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს – ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება“ (გვ. 83) „მოკლედ განმარტებული ველი ცოდნა და ცოდნის საგანია“, ველის უფალი კი ღმერთია (გვ. 88, 90).

„ბჰაგავად–გიტას“ კურუქშეტრის ბრძოლის ველი სულის ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს (გვ. 123).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და აქაც ზნეობრივი სიწმინდეა მასთან მიახლების პირობა.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ცეცხლის ალების ველი“, „მდელო, ყვავილებით სავსე წალკოტი“.

გოეთეს „ფაუსტში“ „ამწვანებულ ველად“ არის სახელდებული ენერგეტიკული ველი.

ბოდლერის „ამაღლებაში“ საინფორმაციო ველს ეწოდება „აისის ჭალა“, „სინათლის აუმღვრევი ველები“.

ტ. გრანელი „ბნელ ველზე“ აცნობიერებს არსებობას.

ეგვიპტურ მკვდართა წიგნში მოიხსენება – იალუს მინდორი, რომელიც სამოთხის ექვივალენტი იყო.

მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე „შავი მაგიური ველი“.

უმდაბლესი ასტრალური შრეების მომრავლების შედეგად, პლანეტა მძიმედ არის დაავადებული და წარმოქმნილია „შავი მაგიური ველი“, რომელიც გზას კეტავს იმ სამყაროებისკენ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ პლანეტას. თუ ვერ გაირღვევა ეს ბნელი ველი, დედამიწის არსებობა დასრულდება (ე. რერიხი).

გ. ტაბიძე, რომელიც დაჯილდოებული იყო ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენალური ნიჭით, ხშირად უკავშირდებოდა როგორც დედამიწის, ისე ზეცის („ცათა მდელოს“) საინფორმაციო ველს და შეიცნობდა ჩვეულებრივთათვის შეუცნობელს და მიუწვდომელს.

პოემა „მშვიდობის წიგნის“ „ცათა მდელო“ ანუ კოსმიური კავშირის ველი ანგელოზის საუფლოა. იქიდან ეცხადება მარიამ ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზი და ამცნობს ძე ღმერთის მოვლინების საიდუმლოს.

ზეცის მდელოზე კეთილი ნების ანგელოზები ბინადრობენ და საყოველთაო ჰარმონიას ამკვიდრებენ: „ცის ანგელოსი დაჰღიღინებს დანამულ მდელოს, ნიავი ნელი ვარდს გაფურჩქვნილს ესალბუნება“ („სასაფლაოზე“).

ზეცის „მშვილდის“, ზეცის „ისრის“ (უზენაესის) არეშია მუდამ ეს სიმბოლური მდელო და ზეცის შვილი პოეტი სწორედ ამ ამაღლებული ხმებისაკენ მიილტვის“: „ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“(„მაისის ისრით“).

ალერსის ღმერთის (იესოს) უხმო ველში გასვლისას მდუმარე პოეტი საღვთო „ნისლის წამოსასხამით“ იფარება და „ღამის ღამით უხილავ გზებს“ – უზენაესს ელტვის, მისი სიყვარულით თვრება: „ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით, უხილავ გზებით შთავა ყოველი“ („გობელენი“).

„აყვავილებული ველების“ სანატრელ შემოგარენში პოეტს ეცნაურება „ჩრდილი ყოველი“, ვარდები თუ „სიტყვები გულზე დასაქსოველი“ („აყვავებულ ველებს სალამი“).

დუმილში აგნებს პოეტის სული – „თვალებდალურჯული იალქნები“ სიზმრისეულ ველს და „ოქროს ზღაპრის“ ხიბლით გვაჯადოებს: „სიზმარს აბარია ველი შენაფერი. ეხლა ყველაფერი ოქროს ზღაპარია. არც ხმა, არც ჩურჩული, ბინა-მინაგნები, თვალებდალურჯული თრთიან იალქნები“ („ეს მშობლიური ქარია“).

„ხავერდოვან მდელოზე“ სახლობენ მოჩვენებები, სხივნაკრავი სახეები, აქაა საბრძოლო ლელო, გატაცების, აღტაცების ასპარეზი („ბინდი ღამისა გაჰქრა“).

პოეტს „იმედთა მდელოზე“ ევლინებიან „მოგონების წმინდა აჩრდილები“ და სიცოცხლე ენიჭებათ გენიოსის კალმით: „მსურს გავაცოცხლო იმედთა მდელო და მოგონებათ წმინდა აჩრდილი სიცოცხლის ჰანგით ავამეტყველო“ („წარწერა წიგნზე“).

„ათასფრად მოქარგულ ტურფა ველზე“ ეგულება პოეტს მანუგეშებელი „ციური ცვრით დანამული ვარდ–ყვავილები“ („ათასფერად მოქარგული“).

იდუმალ ველებზე ისმენს პოეტი საღმრთო ნიავის ზღაპარს, ახალი გზების, ახალი სიტყვების ძახილს: „უცებ გაცოცხლდა ირგვლივ ყოველი, ველებს აღელვებს ნიავი მშვიდი, ამოიშალა ძველი სიტყვები, ახალი გზებით მიდის რაინდი“ („ჩამავალი მზე“).

გაღვიძებული და აყვავებული ველი „სიცოცხლის ვარდის“ გაფურჩქვნას ამცნობს, ნეტარი მხარის, წმინდა ცის შუქის რწმენით ავსებს: „ველნი ჰყვავიან, გულო, დაწყნარდი, ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება... არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე. იღვიძებს ველი საგაზაფხულო, დაწყნარდი გულო, დაწყნარდი გულო!“ („გრძნობათა ფერფლი“).

პოეტი არის მთებისა და ველების ტიტანი, „თოვლიანი მთების ვნების რკალი“ („ავრორა“).

ყოველგვარ ძალაზე დიდია ღმერთის – „სიხარულის“ – ძალა, რომელიც განიცდება „ჭიქით“ – მარიამის საშუალებით და მათი ღვთაებრივი საიდუმლო კი „სიზმარულ ჭალაში“ დავანებულია“: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით, რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას შორს, სასიმინდე ყანების იქით“.

სიზმრებისა და ოცნების ველის საიდუმლოს არაგვის ქარი ხდის საცნაურს: „სიზმრებში ხვეულს მეოცნებე გადაშლილ ველებს არაგვის ქარი საამურად აამეტყველებს“ („არაგვის ქარი“).

იდუმალი ველი წარსული საუკუნის მოვლენებსაც აგრძნობინებს პოეტს: „აგე, იმ ველად, სადაც რამი და თუთუნია, როგორ მიგრძვნია, რანაირი საუკუნეა“ („აგე, იმ ჩრდილქვეშ“).

„ცათა მდელოდან“ ევლინებიან გალაკტიონს ქრისტე, მარიამი, ანგელოზები, „ნანატრ ედემებში“, მთა და ველის ფონზე ესმის

სიხარულის ღმერთის ხმა, როგორც დიდებული მომავლის უვერტიურა: „მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“ („სიშორით შენით“).

ღამის მზე უნათებს პოეტს, ლურჯ ბურუსში გახვეული ტყე–ველი წინაპარი მხედრის სიმღერას ასმენინებს და სამარადისო ძალით ავსებს ეს უცნაური გამოცხადება („თვალუწვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო“).

მზიდან მოვლენილი, მზეზე მლოცველი, „ერთადერთი, მშვიდი, ფარული წიგნის“ ავტორი ველებში იჭერს არტისტი ქარის ხმას, ჭადრის გულმწარე შრიალს, არ ეკრძალება ქვეყნის კორიანტელებს და „ცეცხლიან აზარფეშით“ (მარიამის სიმბოლოა „აზარფეშა“) სვამს მზის (ღმერთის) სადღეგრძელოს („შემოდგომაა“).

პოეტისათვის იმთავითვე მახლობელი ყოფილა „ველთა ხალისი“ და ბავშვობაშივე განუცდია ედგარისა და ნოვალისის გვერდით ყოფნა: „...ოდესმე, ჯერ ისევ ბავშვი ვგრძნობდი, რა არის ველთა ხალისი და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ („ის ადგილები“).

ენერგეტიკულ ველზე სხვადასხვაგვარი ინფორმაციები ეძლევა ნათელმხილველს.

„ციერთა სოფლად“, „ცის დასავალის“ ვერცხლისფერ გზაზე, ვარსკვლავების სავალთან გაშლილი ველი ობლობის, პირამიდების მსხვრევის და ნანგრევების გამო ტკივილს აცხადებს („მზის ჩასვლა“).

ლექსში „შენ რაღას იტყვი?“ წარსულის დაბინდულ საინფორმაციო მდელოზე მოჩანს და ცოცხლდება ქართველთა ტრაგედია 1956 წლის 9 მარტს, „ცრემლის წყარო“, ჭვარტლიანი ღამე, ვაზების კვირტისა და ლიახვის ზვირთის წუხილი, ისტორიის ჩრდილი, მზის მწუხარე ნათება.

„მთაში“ „შეტაკებები მკაცრი და მწარე ეფინებიან ველებს მზიანებს, გამოჭრილი აქვთ ყელები მინდვრებს, როგორც დაღუპულ ადამიანებს“.

ლექსში „მამული“ ნელი ნიავით იხსნება საინფორმაციო ველი და ვენახში სასხლავით ხელში მოჩანს ზეციური მამა – „მოხუცი მამა“ – ქრისტე.

საინფორმაციო ველი წარსულშიც იხსნება და ქრისტეს ჯვარცმისას ბაღში, მდელოში სიოს ავი სისინი და საშემოდგომო ნეშოს კვდომის მაცნე შრიალი ესმის პოეტს საქართველოში („მას გახელილი დარჩა თვალები“).

„ველთა ზღაპარი“, რომელსაც მთვარიან ღამით ჰყვება სიო, ის იდუმალი ინფორმაციაა, მხოლოდ ერთეულები რომ იღებენ: „სიო, სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება“ („მე და ღამე“).

ლექსში „სალამო“ ოდესღაც აყვავებული მინდორი მწუხარების საუფლო გამხდარა, გაზაფხულის სხივი, უკვდავების სახე გაუჩინარებულა: „გამოიცვალა სახე ნარნარი უკვდავების გამომხატველი, ან გაზაფხულმა სულ დაკარგა ის ძველი ძალა, სხვაგვარის მწუხრით შებურვილა მთა, ტყე და ველი“.

სინანულს იწვევს მაისის ველის გახსენება: „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა, სხვაგვარი ღელვით ღელავდა ველი, მაისი იყო, მთას მოჰხვეოდა ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი“.

„გაზაფხული“ ღმერთის სახელია. რწმენას განუდგა კომუნისტური ეპოქა და ამით უარი უთხრა სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას.შემოდგომის მდელოს დარდს უგზავნის ენკენისთვე: „ო, ენკენისთვე ეპარება დარდივით მდელოს“ („ფოთლების ლანდი“) შემოდგომის მოლოდინს ამხელს „ჩაფიქრება მთა და ველის“.

ია-ვარდების, ზეციური ბედნიერების მოლოდინის ადგილიც ველია: „ველნი... გაფანტავს დარდებს, იმ ია-ვარდებს და სილაჟვარდეს ტვირთად დაგადებს“ („მშვიდობის წიგნი“).

ცნობილია, რომ ნათელმხილველ ვანგასთვის მხოლოდ გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს იხსენებოდა კოსმიური კავშირის არხი.

გალაკტიონის საინფორმაციო ველი ყოველთვის მშობლიური ადგილებში ამხელს საიდუმლოს.

„გადაფრენაში“ ლიხის კალთებს იქით გადაფენილი ველია, ფაზისის კიდეა ნათელხილვის ადგილი.

პოეტის ამქვეყნიური არსებობის სავანე – მთაწმინდა და ნარიყალაა იდუმალი ფიქრების მიგნების ადგილი: „ფიქრებით ძველით სუნთქავდა ველი, მთაწმინდა იგი და ნარიყალა“ („განთიადზე კი“).

საოცნებო ველი სასურველი ჩრდილებითა და ქარაგმებით ხან არაგვის ნაპირია, ხან თუშ–ფშავ–ხევსურეთის ფონზე იწყება ცის გახსნის, უცნაური მოსვლის ბედნიერება („არაგვი“).

სიზმრით და ოცნებით სავსე ველებს არაგვის ქარი აამეტყველებს და წარმოშობათა ცისფერ საიდუმლოს უამბობს, მომავალი აყვავილების ბედნიერ წამებს აზიარებს: „სიზმრებში ხვეულს მეოცნებე გადაშლილ ველებს არაგვის ქარი საამურად აამეტყველებს.. ღელავენ ველნი, ჯეჯილები და ყვავილნარი, ყვავილებს ოდნავ შეეხება ბაგეზე ქარი, რათა აიღოს და გადასცეს მსუბუქი მტვერი – წარმოშობათა საიდუმლო ნაზი, ცისფერი“ („არაგვის ქარი“).

არაგვი, ალაზანი, მთაწმინდა, ფაზისი – საერთოდ მშობლიური ადგილებია – იდუმალთან, დაფარულთან ზიარების ადგილი.

„ციურთა სოფლის“ ველზე გადის პოეტის ვარსკვლავთსავალი გზა“ (მზის ჩასვლა).

ლექსში „როცა გარშემო ღამე ბნელია“ – უცხო მდელოს თეთრ ყვავილს – „უცხო ასულს“ – მარიამს მოელიან სანუგეშოდ და ოცნების თანაზიარად „მარადი ძმობილები“ – პოეტები საქართველოსი.

გალაკტიონი ირწმუნება, რომ „არის ნანატრი ედემები სიკვდილის სწორი მზე, მთა და ველის“...

პოეტის გზა ახალი ველიდან იწყებოდა და უარყოფდა რა ყოველივე დრომოჭმულს, აღთქმული მხარისკენ მიემართებოდა: „არის გზა, ჩვენგან არჩეული გზა გაქანებათა ახალი ველი, სადაც იწყება აღთქმული მხარე, რადაც ქვეყანა თავდება ძველი“.

„ბჰაგავად-გიტაში“ „ველის მეცნაური“ ეწოდება სამყაროს „ცოდნა–სიბრძნით დაუნჯებულებს“.

გალაკტიონი ჭეშმარიტად იყო „ველის მეცნაური“, უზენაესთან მიახლებული ნათელმხილველი, მისთვის მარადჟამს ყვაოდა იდუმალი ველი, გამუდმებით ელვიძა მის საგაზაფხულო ველს მიწაზეც და ცაშიც.

„სარკე იშვიათი“

სარკისადმი ინტერესი ვლინდება უძველესი დროიდან.

ტიბეტური მკვდართა წიგნის მიხედვით, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ იმართება სასამართლო, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა–რადჟა აფასებს მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარკის საშუალებით. სარკეში აირეკლება მიცვალებულის კარგი და ცუდი საქმეები („ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ.,1990, გვ.260).

პლატონის – „ტიმაოსში“ (თბ., 1994წ.) ლაპარაკია „გონებიდან მონაბერი აზროვნივი ძალმოსილების არეკვლაზე სარკის მიერ, რომელიც იჭერს საგანთა გამოსახულებებს და ლანდებსღა უბრუნებს მზერას“ (გვ. 335).

ნეოპლატონურ და ანტიკურ ესთეტიკაში სარკე მიიჩნეოდა გონების სიმბოლოდ. სარკე იყო აგრეთვე ეთერისა და ცის თაღის სიმბოლოც.

დიონისო სარკეში ჭვრეტდა თავისთავს და ქვეყნიერებას.

სიბრძნის ქალღმერთ ათენას გამოსახავდნენ სარკით ხელში.

სარკე გონების სიმბოლოდ გვევლინება დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“: „ვჭვრეტ ყოველივეს იმ უტყუარ სარკის წყალობით, რომელიც გვაძლევს უკუკრთომას ყოველ მოვლენის, თუმც სხვა საგანი მის ათინათს არსად იძლევა“ (გვ. 383).

აქვე სარკე სიმბოლოა ღმერთის ყოვლისმხილველობისა: „აწ შეიცანი, ძლიერება მისი მარადი, ვისაც წინ უდგას ესოდენნი

ვრცელნი სარკენი“(გვ. 306), ან: „უფლის გარშემო დადგმულია სარკენი დიდნი“ (გვ. 311).

გოეთეს „ფაუსტში“ ღვთაებრივი გონების სიმბოლოა „უკვდავ სამართლის სარკე“: „ღვთაების ხატი, მისი მსგავსი და თანაბარი, უკვდავ სამართლის სარკის ახლოს ვლამობდი ყოფნას“ (გვ. 114).

სახისა და სარკის გაიგივებას ვხვდებით პავლე მოციქულის სიტყვებში: – „ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებით, როგორც უფლის სულისგან“ (II კორინთელთა, 3, 18).

სარკე გონებას აღნიშნავს „ვეფხისტყაოსანში“. „ავთანდილის ფრაზას – „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“, ასე განმარტავს ზ. გამსახურდია: „თინათინის (გონება სარკის) სამყარო მინაა, სარკეა, ტარიელ–ნესტანის სამყაროსთან, იაგუნდთან შედარებით, გონებისადმი სიყვარული ვერ შეედრება ღვთის სიყვარულს, საღვთო მიჯნურობას. იაგუნდი, ანუ იაკინთი სიმბოლოა საღვთო სიყვარულისა“ („ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 250).

ანტონ I ასე წერს იოანე შავთელზე: „განწმინდა ამან სარკე უბინოებით და მიჰსცა ღმერთსა, რომლის წინაშე ჰსდგას“.

„სარკით ღმრთის მხედი“ გონებით ღმერთის მხედია, სარკის განწმენდა გონების განწმენდაა“ (ზ. გამსახურდია, იქვე, გვ. 25).

რილკეს პოეზიაში ყურადღებას იქცევს ციკლი „სარკის ანარეკლები“.

სარკის სიმბოლოს განსაკუთრებით მიმართავდნენ სიმბოლისტები. ამ მხრივ, უამრავი მაგალითია ტ. გრანელის, ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში.

სარკისებური ასახვის პრინციპი მახლობელია რეალისტებისათვის. აკაკი წერეთელს „გული სარკედ აქვს ქცეული“, ილია ჭავჭავაძის „კაცია–ადამიანი?!“ – სარკეა.

ამ ტრადიციას აგრძელებს გალაკტიონი, როცა აცხადებს: „სული პოეტის სარკე არის სივრცის, დროისა“ (საუბარი ლირიკის შესახებ“), „სული... გამჭვირვალე სარკეა შუქით შემორაზული“ („ის ჰიუგო“).

წიგნიც სულის სარკეა: „მაგრამ წიგნი მაინც დარჩა ვაჟისა და ასულის, როგორც სარკე, როგორც ფარჩა დროის ფერგადასულის“ („წარწერა წიგნზე მანონ ლესკო“).

როცა სარკე – გონება სანთლითაა გაჩირაღდნებული, ანუ ნათელხილვით მომადლებულია, მაშინ იბადება სიმღერა, იწყება წარმართი გზით სვლა: „სარკეთა სახეებს სანთლები მოედო და

შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები, სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო, თუ ასე წარმართი გზით წარემართები“ („დრო“).

სულის სარკეზე არეკლილია საუკუნეთა კორიანტელი: „გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი, ჩუმად ვშლი ფურცლებს, სარკეებში ჩუმად თენდება“ („უნაზესი ხელნაწერი“).

ლანდებად მოჩანს სულის სარკეზე რომანის პერსონაჟები: „და ლანდებად თეთრ სარკეზე ჩნდება სახე მკრთალი, შუაზელი, ესტერგეზი და თვით დედოფალი“ („მოვა, მაგრამ როდის?“).

„მოგონებათა ელვარებს სარკე“ და სარკის სიღრმეში ილანდება იდუმალი მეორე სახე, გაფითრებულ მოჩვენებად მოვლენილი: „სარკის სიღრმეში მე დავინახე მოგონებისა სახე ვნებული, ვით მოჩვენება – მთვარის ნათელზე ღიმწაშლილი და გაფითრებული“ („იდუმალი მეორე სახე“).

სულია საღვთო გონება, სადაც დავანებულია ღმერთის ბრწყინვალება, ქაოსი, ცის ამურები: „ჩემს გულში დაჰქრის ბრწყინვალება და ელვარება, აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული, მასში ხშირია ქაოსების ამღელვარება. იქ სარკეების ელვარებით გადარკინული შრიალებს ფარჩა და ხავერდი, ცის ამურები“ (ჩემს გულში“).

ზეცის სილაჟვარდის ამრეკლავია ეს სულის ბროლი და მინა: „როგორც რონინი საოცარი და მისტერია, სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს! დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ („ჩემს გულში“). ნეოლოგიზმებია „მიიბრძოლოს“, „მიიმინოს“.

სარკესთან ერთად „სხვანაირი მინა“ ფიგურირებს ერთ ლექსში: „ოთახი, ღამე, შრიალის შიში და ყვავილების ელვარე სურა, ოთახს დანათის შუქი ფეტიში, სარკეს დაეცა ლანდების სურო, მოვიგერიოთ მკაცრი ისარი, ფრთა შევუხვიოთ დაჭრილ მიმინოს, რომ აღტაცება ნამაისარი სხვანაირ მინით გადაიმინოს“. „სხვანაირი მინა“ საღვთო გონებაა. „გადაიმინოს“ – ნეოლოგიზმია.

ლექსში „პოეტს“ „ცეცხლის მინა“ გვევლინება სარკის ვარიაციად: „ო, შენს გარეშე ვერავის გახდის ბედი უკვდავად ცეცხლის მინაში“.

„ელვის სარკის რღვევა“ იპყრობს ყურადღებას ერთ ლექსში: „რა ამაოდ ძლევას ფიქრობს რღვევა ელვის სარკეთა. ვერ დამძალავს, ვერ შემიპყრობს შიში, სასოწარკვეთა“ („ლექსი, დაწერილი უამინდობაში“).

„ელვა“ საღმრთო სახელია, ელვის სარკე – საღმრთო გონებაა. გვხვდება „ბროლის ზმანება“, რომელიც ქრისტეს სიმბოლო უნდა იყოს („ნუგეში“).

„სახისა“ და „სარკის“ გაიგივება ახალი აღთქმის (პავლე მოციქულის „ახდილი სახით, როგორც სარკეში“) ტრადიციის გამოვ-

ლენაა: „ფერიც მზესა და ქარს მოჰყავს. დროც სარკეა, როგორც სახე“ („სადაც ალპებია, ველად“). აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „დროც“ საღმრთო სახელია.

„იშვიათი სარკის“ მიღმა უზენაესი ილანდება: „ფარულ ტკივილების ბაღი დაბურული ასეთ გრადაციით მიდის ფრთაზვიადი. ღამე – მარტოობის მტევნით დახურული, ფარდა იდუმალი, სარკე – იშვიათი“ („ფარულ ტკივილებით“). ლექსში საღმრთო სახელია „მარტოობის მტევანი“.

სარკის ახალი ნიუანსებია „სარკმლის მწვანე ბროლი“ და „სარკე ანათრთოლი“. ლექსში – „ის“ – გონების სარკეს ათოვს იდუმალი, საღმრთო ტრფობის ხსოვნა: „ღამემ მოვერცხლილ ძაფების გროვა გადაათოვა სარკმლის მწვანე ბროლს. სარკეს ანათრთოლს დაუახლოვა და დაათოვა სურათებს, საწოლს. მე დამავიწყდა ძველი წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის და მახსოვს მხოლოდ ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“.

„საახალწლო ეფემერაში“ „აღტაცებების მინა“ გვაზიარებს უზენაესის „სიხარულს“: „აღტაცებების რეკავდეს მინა და სიხარულის იყოს ღილები“.

„შორეული სარკეა“ კავკასიონის მიღმა: „რაღაც სარკეა იქ შორეული... მიყვარს ის ამ დროს“ („შორთა ყინულთა მხრები“) „შორეული სარკე“ საღვთო გონება უნდა იყოს.

„ქარის სარკე“ სულის სარკის სინონიმია: „და ვარდი ვარდებთან დარჩი იქ, სადაც სარკეა ქარის“ („ღიაა ქალაქის ძალა“).

მდინარეც სარკეა, რომელშიც ირეკლება ზეციური სანთლები, ნისლის მოძრაობა, მარსი: „ცაზე სანთლები დარგეს, ნისლში მოძრაობს არსი, მძინარ მდინარის სარკეს დასჩერებია მარსი“ („მარსი“).

პოეტის გონების სარკის წინაშე („ასფალტის სარკე“) ნავივით სრიალებს „დილა“ – მარიამი. ნავი რწმენის სიმბოლოა. იდუმალი ხმა მოუწოდებს პოეტს აღდგომისაკენ და „დილის–ძედ“ სახავს, ათასწლეულების უკვდავებას ანიჭებს: „ნიავი, ია, ნარგიზი, ავტომობილი კრიალა, დილამ ასფალტის სარკეზე ნავივით გაისრიალა... და მესმის ხმა იდუმალი: „წამოდექ, ძეო დილისა!“.

სრულიად ორიგინალური სახეა „ასფალტის სარკე“.

„გაფითრებული სარკე“ გამოხატავს პოეტის მარტოობით ამღვრეულ გონებას ლექსში „შენი სადღეგრძელო“: „და გაფითრებულ სარკეში მცურავს ეს მწუხარება ვინ დამიფასოს?“

გაბზარული „მზიური სარკე“ აფიქსირებს ლექსის ლირიკული პერსონაჟის სულიერ განცდებს სხვა ლექსში: „ერთ დროს იყავი შენ ძლიერ კარგი, ან დრო სხვაგვარად მიემართება, ვინ გაგიბზარა მზიური სარკე, ან სიმღერის დროს რა გემართება? („ერთ დროს“).

„გაბზარული სარკე“ ფიგურირებს ლექსში – „ისევ ეფემერა“: – „არ ხედავს ახლო გაბზარულ სარკეს და უიმედო საპირფარეშოს“.

მტკვრის სარკეში ჩაშვებული, მთვარის შუქით გაალებული სვეტიცხოველი გვხიბლავს ლექსში „სადაც ტყეების ისმოდა დარდი“: „აქ კი სარკეზე, როდესაც ძილით გაფითრებული იყო ყოველი, ცურავდა ღამის მთვარეულ ლილით გაშუქებული სვეტიცხოველი“.

მდინარის „მოჯადოებული სარკე“ ირეკლავს ხიდს ლექსში „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“: „და აბინდდება ხიდი რიალტო, მოჯადოებულ სარკეში ცქერით“.

„ბზა, სახარება, სარკე, საათი“ ერთად გვხვდება ლექსში „გადია“.

„მოგონებათა სარკე“ ელვარებს ლექსში „თვლემს ტყის ნაპირი“.

„ფერადი შუშები“ აღმოსავლეთის კულტურას, გეიშების იაპონიას ახასიათებს“ („ფერადი შუშები“).

გალაკტიონის მიზანი იყო სრბოლა „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით“, „სარკეთა იქით“: „სარკეთა იქით ღრუბლებმა მთები მოათივთიკეს ფერად თივთიკით“ („თენდება, გათენდა“).

სარკის გამოყენებით შექმნილი ნეოლოგიზმებია: „აისარკებს“ („სიმხურვალეთა სულის სუნთქვას არ აისარკებს“ - „აღმოსავლეთი“), ესარკებოდა: „პოეტს მაისის სიზმრების ხილვით ესარკებოდა პარიზის რკალი“ (ისევ ეფემერა)

დამოწმებული მაგალითებიდან აშკარაა პოეტის უნარი, უკიდურესად შორს გასწოს, გაამრავალფეროვნოს უკვე არსებული ტრადიციები, რაც ადასტურებს, რომ საღმრთო გონება ჰქონდა მომადლებული პოეტების მეფეს, განწმენდილი გონებით ჭვრეტდა იგი უფალს და სამყაროს უსასრულობას.

„იწვება სული ხილვის ტაროსზე“

ოკულტისტების მიხედვით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მიუწვდომელი. ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში.

ასტრალური ხედვა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ასტრალური სინათლის ტალღები, ასტრალური სმენით კი ადამიანი ღებულობს ასტრალური სინათლის ტალღებს, ვინაიდან ისინი არსებობენ მათი გამოვლენიდან დიდი ხნის შემდეგაც.

ოკულტისტები თვლიან, რომ საგნები ყოველმხრივ უშვებენ ტალღებს, რომელიც აღიბეჭდება ასტრალური ხედვით, როგორც სინათლის სხივები ფიზიკური ხედვის ორგანოებით.

შეიძლება ასტრალური სინათლის დანახვა მაგარი საგნებიდან, ხედვა კედლის იქით, გვერდითა ოთახში, შეიძლება დაწებებული წერილის წაკითხვა, მიწის ქვეშ მინერალების შემჩნევა, ადამიანის შინაგანი ორგანოების დანახვა, ადამიანის აურას ფერის გარჩევა, სხვათა აზრების წაკითხვა, სულების და ასტრალური ფორმების დანახვა, გაგონება იქიდან, საიდანაც, ჩვეულებრივ, არ ისმის ხმები.

სივრცეში ნათელმხილველობის უნარით მომადლებული ადამიანები ფლობენ მათგან შორს მყოფი საგნების მოახლოების, მათი ხედვის ველში მოქცევის უნარს ასტრალური მილით.

ასტრალური სხივები ყველა საგანშია და ისინი იძლევიან ასტრალური ხედვის საშუალებას.

შორს ხედვისათვის საჭიროა ტელესკოპი, ასტრალურ ორგანოს აქვს ისეთი უნარი, რომელიც მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

„ასტრალური ტელესკოპი“ მსგავსია ასტრალური ტელეგრაფისა, ასტრალური დენისა, რომლებიც წარმოადგენენ ასტრალური მილის შეცვლილ სახეს. იგი ამცირებს მანძილს ორ დაშორებულ პუნქტს შორის. ამ დენის გზაზე მოდის ასტრალური სხივები, ასტრალური ხმები.

ასტრალური მილი წარმოიქმნება ნათელმხილველის ძლიერი სურვილით და ძალით.

მეორე საშუალება ნათელმხილველობისა არის ის, რომ გაიგზავნოს ასტრალური სხეული ცნობიერად და არაცნობიერად იქ, სადაც გვინდა. ნათელმხილველობა ასტრალური სხეულით არის უმაღლესი ფორმა ნათელმხილველობის.

არაფერი არ ქრება და მატერიის უმაღლეს სფეროში მუდმივად არსებობენ შეუცვლელი ჩანაწერები ყოველივე იმისა, რაც ოდესმე მომხდარა.

ტვინის მთლიანი უჯრედები შეიცავს მოგონებას წარსულზე.

ასტრალურ სინათლეზე შეიძლება მოიძებნოს სუსტი და არასრულყოფილი გამოსახულება დიდი კანონებისა, მიზეზებისა, ჩრდილები, რომელთაც ისვრიან წინმავალი მოვლენები.

ნათელსმენა არის სმენა ასტრალურ სივრცეში ასტრალური სხივებით.

ნათელმხილველთათვის დამახასიათებელია ტელეპატიური ხედვა, საიდუმლო ხმების მოსმენა, წინასწარმეტყველების უნარი (რამაჩარაკა).

ამ შემთხვევაში, ზეგანვითარებული გრძნობათა ორგანოები კონტაქტშია ჩვენთვის ნაცნობ არსებულთან და რაღაც „იმქვეყნი-

ურთან", რომელსაც შეიძლება არც ვიცნობთ (პანტელეი ზარევი, „ვანგა", თბ., 1991წ. გვ. 8).

ვანგას თითქოს უნახავს ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი, ესმოდა ხმები, მისთვის საიდუმლოებას ინახავდა მთები, ველები, მცენარეები, იგი წინასწარმეტყველებდა ქვეყანაზე ჯერაც მოუვლენელ ბავშვებზე, ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალურ სხეულს, სულს, უცხოპლანეტელებს.

ნოსტრადამუსი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც სამყაროს ყველა დროის ერთ–ერთი უდიდესი ასტროლოგი და წინასწარმეტყველი.

მოვლენის წინასწარჭვრეტაზე საუბრობს დანტე „ღვთაებრივ კომედიაში": „მე ვჭვრეტ წინასწარ ზრახვათ შენსას საფარველიდან... მე ვჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც" (გვ. 270, 383), „ვხედავ თვალნათლივ ფიქრების შენის უეცარის აღმოცენებას", „მე უკვე ვხედავ დროს მომავალს" (318, 344). მოსიყვარულე წინაპრის სული უწინასწარმეტყველებს დანტეს ფლორენციიდან გაძევებას.

დანტეს ბეატრიჩეს „ბრწყინვალე თვალთახედვა" ყოვლისმჭვრეტელი და მომავლის მაუწყებელია: „როს წარუდგები შენ იმ ქალის უნათლეს სახეს, ვისი ბრწყინვალე თვალთახედვა სჭვრეტს ყოველივეს, შენი ცხოვრების მომავალ გზას გაუწყებს იგი" (ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941, გვ. 41).

გალაკტიონ ტაბიძის წინასწარმეტყველურ ინტუიციას უსვამდა ხაზს მერაბ კოსტავა: „სხვისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი პოეტის გული გულია მისნის" (გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996, №4(13), გვ. 5).

გოეთე ამბობს: „ფრთამალი ფიქრიც ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა" („შუაღამისას" „რჩეული ლირიკა", 1972, გვ. 41), პოეტი სიზმრად ხედავდა მხარეს, სადაც ოდესღაც უცხოვრია (იქვე, გვ. 145).

რილკე ლაპარაკობს „წინასწარმეტყველურ წამებზე", ბლოკი – „წინაგრძნობათა ნიაღვარზე".

კ. გამსახურდია ყურადღებას ამახვილებს „ბუნების იდუმალ წამყოფაზე", რომლის შესაცნობად უძლურია ადამიანის გონი.

ჩვენი საუკუნის უდიდესი მოძღვრება „ცოცხალი ეთიკა", ანუ „სინათლის მოძღვრება" („აგნი იოგა") გამოყოფს ნათელმხილველობის და ნათელსმენის შვიდ სახეობას, ზოგი ეხება ახლობლებსა და მათ მომავალს, – აწმყოსა და ახლო მომავალს, ზოგი – წარსულს, ბევრი მხოლოდ თანამედროვეობას. მეექვსე სახეობა წვდება მომავალს მსოფლიო მასშტაბით. ნათელმხილველობის უმაღლესი საფეხურია მეშვიდე, რომელიც თავის თავში აერთიანებს

ყველა კატეგორიის შესაძლებლობებს („მოზაიკა აგნი იოგი“ თბ., 1990 წ. გვ. 94, რუსულ ენაზე).

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ელენე რერიხმა ჰიმალაის მთებში უმაღლესი სამყაროს მბრძანებლის, კაცობრიობის დიდი მასწავლებლის მაიტრეას კარნახით ჩაწერა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ჰიმალაის, კავკასიონისა და ალტაის მთები არიან დაცული ტერიტორიები და წარმოადგენეს „ზეციურ საძმოთა სავანეს“.

გალაკტიონს ესმოდა „მთათა ძმობა“. ჭვრეტდა ზეციური საძმოს, სავანეს, ეზმანებოდა „ჰიმალაის მწვერვალთა გზები“, წმინდა სულების სავანე – შამბალა.

პოეტების მეფე ერთდროულად იყო მომადლებული ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით, იგი ხედავდა წარსულს, აწმყოს, მომავლის მოვლენებს, მედიუმების მსგავსად, მოგზაურობდა ასტრალური სხეულით.

პოეტი თითქოს ხედავდა პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს შექმნას, თავდაპირველი მასიდან სახეების გამოძერწვას, სიბნელისა და სინათლის გათიშვას, ესმოდა დედამიწის გაჩენისდროინდელი ხმები: „... და ჰა, განითქვა რამე გუგუნი, რომ გესმით: თითქო გადაეღუნა ჟამს თავ–კისერი. დადე ისარი... სწორედ ის არი... ის საუკუნე, როს დედამინა პირველ ჩნდებოდა, უთუოდ თვით ცაც არ ღონდებოდა, დიდი წამი ის, ოდეს წყალის, ქვის, ღამისა და დღის გზა გროვდებოდა. დიდი წამი ამ ქვეყნის შექმნის დროს, სხვადასხვაა რამ, ირეოდა როს, სხვადასხვა სახე, ხელს რომ ვერ ახლებ, ის სახე, აჰ, ის, ქვეყნის შექმნის დროს!“ („მშვიდობის წიგნი“).

„მშვიდობის წიგნში“ სულ სხვა არე და სხვა ეპოქა იხილვება: „გზა გადაეხსნათ ნორჩთა დღეთა დარის, იყო ამქვეყნად ხილვა სხვა არის“.

ჰიპერბოლას არ წარმოადგეს პოეტის განაცხადი: „საუკუნეთა წინაშე ვდგავარ, ასე გულმკვდარი“, „საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა“, „გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი, აღელვებული, აღქაფებული“.

გალაკტიონი არის „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, „უფსკრულში შთამჭვრეტი მზერით“ წინასწარმგრძნობი მოვლენების.

პოეტი საუბრობს „წინაგრძნობათა დენზე“, „წინაგრძნობის ხშირ–ხშირ ფეთქვაზე“. „ბუმბერაზ წინაგრძნობაზე“, „მომავლის განჭვრეტაზე“...

ათასის მხედველობა, ასი ათასის სმენა, ბნელ ღამეშიც კი იმის ჭვრეტა გამოარჩევს პოეტს, რასაც დღისითაც ვერ ამჩნევენ სხვები: „ათასის აქვს მხედველობა, იერი, ათასის მზე, სმენა ასი

ათასის, ბნელ ღამეში იგი ამჩნევს ცბიერი, რას სხვა ვერ ჭვრეტს დღისით უდიადესით“ (ათასის მხედველობა, ათასის იერი).

ინტელექტუალურ და გრძნობისეულ ინტუიციას, წვდომას, მიხვედრას, უეცარ ხილვას გალაკტიონი „განათების წამს“, „ხილვის ტაროსს“ უწოდებს.

წინასწარმეტყველებას უკავშირებს პოეტი გრძნობისეული და ინტელექტუალური ინტუიციის ერთობლივ აქტიურობას: „მიყვარს მომავალი დღის წინასწარმეტყველება. ვიცი, თუ რა მოხდება წინასწარ ქადაგება. წინასწარის მთქმელია წინასწარი განჭვრეტა“

გალაკტიონი ინტელექტისა და ემოციის ორგანულ ერთიანობას იცავდა: „...გრძნობა დიდი ხიდეა აზრთან ბჭით გადამკირველი“ (მოდის). „ძალა მოექანება გულისა და გონების, არა ერთეულების, ბევრის, მილიონების“ – ასე იკრებდა პოეტის სული განუსაზღვრელ ინფორმაციას.

გალაკტიონს ელანდებოდა საუკუნეების წინანდელი ამბები, ხედავდა წინაპართა ძვლებს, თამარ მეფის ეპოქის ხომალდს, შეიგრძნობდა გარდასულის სუნთქვას, აწამებდა ყოველივეს გამოუთქმელობა: „აგე, იმ ჩრდილქვეშ, სადაც ძველი, დიდი ცაცხვია, ჩვენთა წინაპართ მეომართა ძვლები აწყვია. აგე, იმ ველად, სადაც რამი და თუთუნია, როგორ მიგრძვნია, რანაირი საუკუნეა, აგე, იმ მთაზე, სად ბაღია აკადემიის, ბაღი კი არა, ზმანებაა და ედემი ის. აგე, იმ მთაზე, სადაც დევი ევკალიპტია, როგორ მოგითხრო, რაც მინახავს, რაც განმიცდია. აგე ზღვა მოჩანს, ზღვა სიცხადის და ოცნებისა. მშობლიური ზღვა და ხომალდი თამარ მეფისა“.

დიოსკურიაში პოეტის თვალწინ ცოცხლდება პოსეიდონის ძველი ზღაპარი, წყალში ჩამარხულ ადამიანთა მომდურავი ლანდები, ეზმანება ნანგრევები, იდეები, სქემები, წყალში შთასული მითები, წყალქვეშა მდინარე, მხარე, ხედავს უძველეს ფეოდალებს და ყოველივე ეს ამოტანილია, როგორც თვითონ ამბობს, „ხსოვნათ დაკარგული ფენებიდან“. წარმოსახვის „ფარული ნავით“ მიექანება პონტიისაკენ, „ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში“ ესმის იდუმალება, წყალქვეშა ზარი, უცნაური ხმა „და იდუმალი ქალაქი–სფინიქსი“ ეძახის „უცნობ აურზაურით“.

„ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას, მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი ცხოვრების ჩემის აბობოქრებას“ – ეს მრავალმნიშვნელოვანი სტრიქონები მინიშნებაა იმაზე, რომ ზეცით მომადლებულია გალაკტიონის სულისმიერი ძალები.

ლექსის მთელი ფილოსოფია ქვეტექსტის სახით მოცემულია ფრაზაში: „შევატრიალე თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?“ სულთა რეინკარნაციის თეორიის გამზიარებელი პოეტი ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით განჭვრეტს ძველისძველ ეპოქას.

თანამედროვეობის მოვლენებისადმი აქცენტია შემდეგ სტრიქონებში: „იყო თუ არა ჭექა–გრიგალი ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?“ („ქალაქი წყალქვეშ“).

„იქაური ცა თოვლით ქსოვილი“ – ასეთი ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქონებით იხედება პოეტი მიღმურში.

„და შიშის ჩრდილით აკანკალდები!“ აცხადებდა გალაკტიონი და ჩვენც ეს გრძნობა გვეუფლება ამ საოცარი ფრაზის წაკითხვისას: „ხედავ ორფეოსს, ნიმფას, დიონისს, ნიჭთა მლოცვარი“.

ჯადოსნურ ხილვაში ცოცხლდება გარდასული, სიჩუმეში ცხადდება წარსული და მრავლისმეტყველი სურათები გაივლის თვალწინ: „სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა. ჰაერი ლურჯი აბრეშუმია. ორხიდეები ეცემა ნილოსს, როს მხურვალება ქვიშაზე კვნესის, უნდა, რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს რამზესის. ის იყო მეფე. ეხლაა მტვერი, რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს, არ შეუძლია იყოს პირფერი, არ შეუძლია მტვერი არ იყოს. და საუკუნეთ რიგს თვლის მუმია: მზიანი დღეა, თუ სამუმია“ („სასაფლაონი“).

გალაკტიონი ხედავდა სულს, გრძნობდა ბედისწერას: „ვგრძნობდი შორს, შორს, მეტად რთული ბედისწერა ცურავდა“ („1940 წ.“).

პოეტი მომავლიდან გამოიხმობდა თავის გენიას: „მაშინ პოეტმა თითქოს უკვდავი გამოიძახა თავისი თავი მომავლის რკალით, მასში დამარხულ, მასში განგრძობილ სიცოცხლის ძალით“.

მომავლის კონტურებს განჭვრეტდა წინასწარ: „ახლა თავს მადგას მჭუნვარება მომავლის ჩრდილის“ („მიმღერე რამე“).

მერმისის პრობლემები დასაბამიდან აწუხებდა კაცობრიობას. ვაჟა–ფშაველა კითხულობდა: „რაღა იქნება მერმისა? რით დასრულდება სიტურფე სიცოცხლის, მთისა, ბარისა?! მზის ძალა მაცოცხლებელი, მასთან ნათელი მთვარისა? საქმეა ბოლო სადარდო, ამატკივარი თავისა!“ (მთას ვუცქერ ყელმოღერებულს, ვაჟა–ფშაველა, თხზულებათა ხუთტომეული, ტ.I, 1961, გვ. 170).

გალაკტიონის „მწარე სიზმარი“ – მზის ჩაქრობა სიკეთის გლობალური დაკნინების სიმბოლოა, შიშია მომავლისა სიცოცხლის წყაროს მოსპობის გამო: „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი, უეცრად ჩაქრა მზე ელვარებით და სიდიადით ნათლისმარი“ (მე დამესიზმრა მწარე სიზმარი).

ანალოგიურ აზრს ავლენს „მზე ლანდად ქცეული“ (სანატორიუმში), „მზე აჩრდილს აქვს“ (მოგონებები), ქიმერებში ჩავარდნილი მზე (ტფილისი ღამით).

სიზმარში ბოროტი ლუციფერის მოსიზმრება ბოროტებამოძალებულ ეპოქაზე მიგვანიშნებს: „ჩვენ გვესიზმრება ჩვენი სამ-

შობლო, სამშობლო შავი ლიუციფერის (სამშობლო შავი ლიუციფერის).

იქნებ ამიტომაც ამბობს ბოდლერი: „შენნაირ სიზმრებს ვერასოდეს იხილავს ბრძენი („ხმა“).

გალაკტიონი ხაზს უსვამს თავისი მოჩვენებისა და სიზმრების განსაკუთრებულებას: „ეზმანება რა დიონისე, სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა“. „ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ (სხვები ჩხავიან).

პოეტის ამ გამოთქმებში მინიშნებულია ანტიციპაციის, მომავლის მაუწყებელი სიზმარ–ხილვების შესახებ.

„რა ხვალე ჩამოიქნება?“ – კითხულობდა და სურდა თვალით ბინდების გარღვევა, სადაც ეგულებოდა თავისი დარი მოგვები, წინასწარმეტყველები („გაიცქირება მომავლისაკენ“).

ბედნიერი მომავლიდან ილანდებოდა „მომავლის თვალი“, „ხვალის სხივი“, „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“ („შენს მოწოდებას“).

მომავლის მაცნე იყო „შორი ცისარტყელა“: „წინაგრძნობამ პოეტისამ იგრძნო შორი ცისარტყელა“ („აკაკი წერეთელი“). აკაკი წერეთელსაც ხომ წარსულის „შარავანდით“ ნიშანს აძლევდა ცისარტყელა („თორნიკე ერისთავი“).

გალაკტიონისთვის „დიდებამ ირიჟრაჟა“.

რეალური საფუძველი ჰქონდა ასეთ განაცხადს: „... წავიკითხე ცის ლაჟვარდზე ვარსკვლავთ თრთოლვა მოცახცახე“ („დღეთა გარდასულთა“).

პოეტი ბურუსშიც და ქარშიც ხედავდა პერსპექტივას, ჭვრეტდა მომავლის გზებს: „სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება“, „ბურუსში ჩანს სუბტროპიკის მცენარე“, „ბურუსებში ჩანს აინშტაინი“ „ბურუსში და ქარში ვხედავ პერსპექტივას“.

ასევე ესმოდა შორით „ცეცხლის ხმა“ და შფოთავდა: „შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი და შეშფოთდება ოცნება სული“ („ციხის ნანგრევებთან“).

ლექსში „შიში“ სიკვდილის შავი აჩრდილი ევლინებდა, მისი საბედისწერო ხმა ესმოდა: „დაღუპვა ელის!“ და ამაოდ გული ევსებოდა წინათგრძნობით, რადგან ხოლერის მიერ ხელდადებულ ადამიანთა შველა შეუძლებელი იყო: „მე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად“ – აღმოხდებოდა პოეტს მრავლისმეტყველი ფრაზა.

მომავალი მსოფლიო ომის წინაგრძნობა აშფოთებდა, პროპელერების ბგერა ჩაესმოდა, მახრჩობელა გაზების სუნი სცემდა თითქოს: „კვლავ მოვარდება ახალი ერა, სახელად დიდი მსოფლიო ომი, კვლავ პროპელერის იქნება ბგერა, გაზებით კაცთა სიკვდილის მდომი“ („შენ ფოლადივით ცივი თვალებით“).

„კოსმიურ ორკესტრში" წინასწარმეტყველებდა: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით!".

„კოშკში" „შიშის უზარმაზარი ლანდის" მიერ სიყვარულით აშენებული კოშკის, (რწმენის) იავარქმნა იხილა, „გრძნობათ დამხობის ვალალება" განიცადა („მიმღერე რამე").

სამწუხაროდ, პოეტის ყოველი განჭვრეტა ახდა.

„წარსულის მიერ დალუქულ ფოლიანტებთან" იდგა გალაკტიონი და ასევე ცდილობდა „წარსულთა დღეთა გამოცნობას", ხედავდა უშორეს დროს: „უცებ: მორთულან, მოკაზმულან ის ძველნი დრონი... შორ სიშორეთა ელვარებს თოვა" („ჰაერი").

პოეტის სული გამუდმებით „იწვებოდა ხილვის ტაროსზე".

„წინასწარმეტყველება არასოდეს კაცის ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულის წმინდის შთაგონებით წარმოსთქვამდნენ მას ღმრთის წმინდა კაცნი" (კათოლიკე ეპისტოლენი, II პეტრესი, თავი I, 16).

ჭეშმარიტად სულიწმინდით იყო შთაგონებული გალაკტიონის წინასწარმეტყველებანი.

„სივრცეთა უნაზესი გრადაციების" მხილველი პოეტი წინასწარ ხედავდა თავისი პოეზიის განახლებას, „ოხვრის პაროლებს", გენიალურ სახეებს, თითქოს ჯადოსნური ბალახის–მოლის შემწეობით ახერხებდა სულიერ ინიციაციას: „ლანდივით მაქვს ნახული ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები" („დომინო").

„ოდისეაში" ქვესკნელად შთასვლისთვის იყენებენ ჯადოსნურ ბალახს – მოლს, რომელსაც ოდისევსს აძლევს კირკე, კოლხეთის მეფის ასული. „ვეფხისტყაოსანშიც" ფატმანის გრძნეული მონა მოლს წარმოისხამს და მიდის ქაჯეთში. ე.ი. მოლი ისეთი ბალახია, რომელიც ეხმარება ადამიანს ინიციაციაში. თვით სიტყვა „მოლი", როგორც ჩანს, უძველესი ქართული სიტყვაა, თანაც მისი გამოყენება კოლხეთის მეფის ასულის მიერ უნდა მიუთითებდეს ანტიკური ინიციაციის ინსტიტუტის კოლხურ წარმოშობაზე, რასაც აღნიშნავს ო. ნეერახერიც (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება", გვ. 216).

„მიჰქრის მერანი მოგონებათა"

„მოგონების" ცნებაში გალაკტიონის მიერ ჩადებული ფილოსოფიური აზრი რეინკარნაციის თეორიას უკავშირდება და მისი წყაროს ძიებას კაცობრიული სულის დიდ გიგანტებთან მივყავართ.

„ბჰაგავად–გიტაში" განღმრთობის ერთ–ერთ პირობად მიჩნეულია უზენაესის მოგონება: „ის, ვინც სიკვდილის ჟამს... სრული

ერთგულებით იწყებს უზენაესის მოგონებას, აუცილებლად მიაღწევს ღმერთების უზენაეს პიროვნებას“ (8,10).

იოგების ფილოსოფიაში ლაპარაკია „გამუდმებით ხსნოვნაზე“, იმაზე, ვისაც კრიშნა გამუდმებით ახსოვს.

ადამიანის ტვინში მილიონი უჯრედია და ეს უჯრედები შეიცავენ მოგონებას წარსულ მოვლენებზე, აზრებსა და მოქმედებებზე.

დიადი ადამიანების ტვინის უჯრედებში რეგისტრირებულია და ინახება მოგონებები ყველაფრისა, რაც ადრე იყო.

არიან ადამიანები, რომელთაც მთლიანად ახსოვთ თავიანთი წინანდელი ცხოვრება და ეს იციან ბავშვობიდან, „თუმცა შეუცნობლად (Рамачарака, «Основы миросозерцания индийскихиогов», Петербург, 1913 г., с. 80.89).

არსებობს აზრი, რომ ადამიანებს მემკვიდრეობით აქვთ წარსული ცხოვრების, წინაპრების კვალი, რომ წინაპრების მეხსიერება კოდირებულია ჩვენს გენებში... მეხსიერება წარსულს ინახავს ისეთ ადამიანებზეც, რომელთან არა აქვთ გენეტიკური კავშირი. აზრი, რომ ჩვენ ვღებულობთ სხვათა მეხსიერებას მემკვიდრეობით და ამის გამო ვიცით ბევრი რამ, მათ შორის ენები, ეს კარგია და ბევრს გვპირდება. («Генетическая память», «Жизнь после смерти», М., 1990 г., с. 244).

პლატონი ავითარებს თანდაყოლილი ცოდნის თეორიას, რომელსაც „წარსულის მოგონებას“ უწოდებს („მენონი“, „ფედონი“, „ფედროსი“).

პლატონი გამოყოფს მრავალწახნაგოვანი აზრის განვითარების ათ საეტაპო საფეხურს, ძირითად მომენტს, რომელთაგან ერთ–ერთია მეექვსე – მოგონების თეორია („მენონი“).

„მენონში“ გაზიარებულია სულის უკვდავების ორფიკულ–პითაგორული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლისმცოდნეა... ძიება, ცოდნა და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ („დიდი ჰიჰია, მენონი“, თბ., 1974 წ., გვ. 100).

ცნებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესიაა“ – მოგონება, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ („ფედონი“).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ უკვე ცნობილის ხელახლა შემეცნება, ცოდნის შეძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება (გვ.112).

პლატონის აზრით, ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწ-

ყისთ, რომელთაც ის მხოლოდ „იგონებს“ და, ამრიგად, თავისსავე თავში პოულობს მათ“ („მენონი“, გვ. 112).

„მენონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთანაა იდენტიფიცირებული, შთაგონებას კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

ცოდნის წვდომა „იმის მოგონებაა, რაც ოდესღაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევი და თანამავალი, ზიზღით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს... სრულყოფილების მიღწევა ხელეწიფება მხოლოდ იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმიდათაწმიდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთის მიმართ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ – ზეშთაგონებული“ („მენონი“,გვ. 193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (იქვე, გვ. 135).

პლატონი აღიარებს, რომ ადამიანში რჩება იმ ცოდნის კვალი, რომელიც სულს შემოუნახავს თავის მარადიულ მოგზაურობაში.

ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „ველებსა და დარბაზებში ჩემი მეხსიერებისა... აღსავსეთ უამრავი განძთსაცავით... იქ ვხვდები ხოლმე საკუთარ თავსაც...“.

„დიდია, უფალო, ეს ძალი მეხსიერებისა, მეტისმეტად დიდია, განუზომელი სიდიადის საკურთხეველია ეს... მე აღარ ძალმიძს გავიგო ძალნი ჩემნი მეხსიერებისა“ („აღსარება“, გვ. 310, 319).

დანტე ალიგიერს წარსულის მოგონების უნარი ანგელოსური ბუნების დამახასიათებლად მიაჩნია: „თითქო ბუნებას ანგელოსურს მოსდევს ნიჭი ჭვრეტის, ნდომისა და წარსულის მოგონებისა“.

ისტორიული რომანების ავტორი, ინგლისელი მწერალი ჯონ გრანტი შემოქმედებით პროცესში ტრანსში იძირება, მას უწოდებს თავის შორეულ მეხსიერებას და ასე აცოცხლებს წარსულს («Жизнь после смерти» М., 1990 г., с. 217).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გალაკტიონი იზიარებს სულთა რეინკარნაციის თეორიას. სულის მარადიულ მოგზაურობაში მიღებული ცოდნის უხსოვარი ფენებიდან ამოაქვს არაამქვეყნიური, „უცხო მოგონება“, არამიწიერი სახეები და ხილვები.

პოეტის ხსოვნაში ცოცხლდებიან წარსულის ლანდები, „მოლანდება ასი ათასი“ და გარდასული საუკუნეების ტრაგედიების ხელახალი განცდა ანათემად ქცევია: „ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“ („ფარულ ტკივილებით“).

გალაკტიონის სული სიზმარივით იგონებს გარდასულ ცხოვრებას სულთა საუფლოში: „ო, დროო, გამახსენდება შენი გზა სიზმარეული“ („სამი ფერადი ღრუბელი“).

ეს მოგონებები უწმინდესია: „აქ მოგონებას წმინდას ვემთხვევით“.

მისთვის უცხოა სინდისის ქენჯნის გამომწვევი მოგონება: „რომ სამარცხვინო მოგონების მკლავდეს გენია, მე არაფერი ისეთი არ ჩამიდენია“ („ასი წლისანი“).

პოეტი არის „მოგონებების ტალღათა მკრეფი“, „მოგონებების ტბორში“ ჩაძირული, „მოგონებათა სცემს შადრევანი“. ერთგან ამბობს: „აქ შეგვიძლია მოგონება შემოვიშენოთ“ („ფრინველები ზღვას გაჰკივიან“).

„მოგონების ხომალდი“ დაატარებს პოეტს სხვათაგან უხილავ სივრცეში. „მოგონებათა მერანი“, თავისუფლების გამო, ულაგამოა და უუზანგო: „მიჰქრის მერანი მოგონებათა, უულაგამო და უუზანგო“.

მისი „მოგონების ცა“ დასახლებულია „უამრავი ლანდებით“: „უამრავ ლანდებს, შემკრთალ ლანდებს, წარსულის ლანდებს, ქარვისფერ წიგნში რიდეებით რთავს შემოდგომა“ („მოგონებათ ცა“).

მოგონებებს ახლავს სპაზმებიც, გმირული ენთუზიაზმიც („ეპოქა იშვა და გაიზარდა“).

ხან კი ცით გახალისებულია ღამის ფერების მოგონება: „ცამ მოგონება გადუხალისა მას, ვისაც სწამდა ღამის ფერები“ („მოგონება ჩვენი ჭალისა“).

პოეტს აგონდება „დამსხვრეულთა დროთა რხევანი“, „კუბო და ცხედარი“.

„მოგონებათა ელვარე სარკე“ მოაგონებს „ედემს დაკარგულს“, „თავის მეორე ჩრდილს“, გული ოცნებობს „აუცდენელ ფიქრ–მოგონებით“(„ქარი“).

გულს ანთებს მოგონებები, „მოგონებათა ბედნიერება“, „ღრმა მოგონებით“ ათენდება, „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია“, „ჰქრის მოგონებათ კორიანტელი“, ატკბობს „მოგონებათა აზღვაოსნება“, ხოლო როცა ეშვება „მოგონების ფარდა“, სევდას ეძლევა.

მთები, მეჩეთი თუ საკანი „მოგონებათ დაკარგულ ნეგატივებს“ გაახსენებს („მცხეთიდან“).

იგონებს ქრისტეს – „ძვირფას მკვდარს“, იგონებს ვერლენს, იგონებს სატანას, „მოგონებები ელვარებენ ისევ ბეჭდებად“, „სადღაც დაკარგულ ვარდსა და გვირილებს“ მოგონებებში იჭერს.

საღმრთო ტრფიალის მოგონებაა: „ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“, „ლანდი არაქვეყნიური“, „მზიანი სიყვარული“.

სინამდვილე „დატოვებული შორი კუთხის მოგონებას“ იწვევს, „მოგონებები ირხევიან სევდიანად“ („ქალს მთებიადან“).

მთვარიანი ღამის სასიყვარულო მოგონებებს ეხება „საუბარი ედგარზე“.

პოეტს სჯერა, რომ მარადიული იქნება სიყვარულზე ლოცვაში აღმონაცენი სული („შემდეგაც, მაინც“).

არსებობას ალამაზებს ვარსკვლავების, „შუქთა ფერხულის“, ზეცასთან თანაზიარობის ხსოვნა („ხომლი“).

მოგონებები მოგონებებს იწვევენ: „სხვა სიყვარულის მოგონებები დაე აღმინთონ მოგონებებმა“.

მოგონება „ფარულია, წამზე უმალი, გაფითრებული ფერით მფერები“ („ცხრაას თვრამეტი“) ლაპარაკია „მოგონების ნეტარებაზე, მოგონების ბედნიერებაზე, მოგონებათა გამმაზე, მოგონებათა სევდიან რხევაზე“.

მოგონებებში წასულს ეფინება ახალი მოგონებები, ზოგჯერ კი მოგონების ბუნდოვანებაზე წუხს: „სად გნახეთ, როდის, რაა ეს გრძნობა? ვიგონებ, მაგრამ არ მომაგონდა“.

„მოგონებას მთების დუმილი ამინანქარებს“ („ალაზანთან“), შუქი „კარგი მოგონებით“ ღებავს სატრფოს თმებს.

„გზებს მოგონებით ვრიყავ“ („კაფეში“), წერს ერთგან.

პოეტს არ ასვენებს „მოგონებების თოვა, მოგონებათა ბურანი, მოგონების... ქუბა“, გახსენებათა ტყე, მოგონებათა იარები, მოგონება შხამიანი.

სიზმართა რგოლში იგონებს თავის „დამმონებელს“.

„სიცოცხლის ხის“ მოგონებას იწვევს ნეკერჩხლები („ბუხართან“).

მოგზაურობა დროში იოლია გენეტიკური მეხსიერების წყალობით („ჩემს ყრმობის ხანში“).

უხსოვარი ხნის სახეებით თვრებოდა პოეტი, ამ განუსაზღვრელი წარსულიდან „უშორესი ზღაპარი“ აგონდებოდა, როცა თვით „პაჟი“ იყო, „ის კი –პრინცესა“ („ვერხვები“).

მოგონება ფერად–ფერადია, მოგონება სევდით ავსილია, მოგონება ფითრდება, ხდება საიდუმლო, უცხო მხარის მოგონება.

მოგონებები მარადიული იმედისა და შეხვედრების გზაა.

ყურადღებას იქცევს მოგონებებით ცხოვრება, მოგონებებით თრობა, მოგონებათა აჩრდილები, მოგონებათა ჩქერი, გახსენების მტანჯველი ლანდი, მოგონების სხივი, მოგონების ზვირთი.

„მოგონება ფერად–ფერადია, ცისფერია, თეთრი და ლურჯია: „ბაღი ედარება ცისფერ მოგონებას“, „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია“. „მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“.

ქარის ქვითინით ცოცხლდება „მოგონების სახე ნეტარი“.

„მოგონებათა თოვის, მოჰქრის ნიავი შოვის...“.

იგონებს მთა, იგონებს ხევი...

პოეტს გამუდმებით ახსოვს ერთი ძველი არია, მიმანიშნებელი ყოფნის სიზმარეულობაზე: „მახსოვს მე ერთი ძველი არია, დღესაც რომ გული იგონებს ცისმარს, ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს“.

ცხოვრების გზა, პოეტს რომ აგონდება, დროთა მთელი ციკლია: „მე მაგონდება გზა ცხოვრების, ბედის მშვილდები, დროის ნერათა ამთოვრებას რომ ასცილდები...“

პოეტის მოგონებაშია ცის და მიწის შეზავების იდეა: „ცის და მიწის შეზავება მოგონების ნეტარებით ჩემს გულს ენათესავება“ („შეხვედრა“).

გალაკტიონს მუდამ ახსოვდა ქრისტე – ყოფნა, სიცოცხლე, პარალელურად ახსოვდა დიონისი: „დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს“ („ცისფერი“).

არ ტოვებდა ზეციური სამყაროს, შორეული ვარსკვლავების მოგონება, განათების ნამები: „არა ერთი და ორი, არა ორი და სამი, მახსოვს ვარსკვლავი შორი და განათების წამი“.

ამასთან სჯეროდა, რომ დარჩებოდა შთამომავლობის ხსოვნაში: „ჩვენი გზა... მუდამ დარჩება ხსოვნად შთამომავლობას“.

„ჩემს ანგელოზ დას, ჩემს მოგონებას – პოეზიას“

შემეცნება მოგონებას უკავშირდება, პოეტური შემეცნება – მით უფრო. გ. ტაბიძის შემოქმედებაში პოეზია აშკარად მიჩნეულია, როგორც მოგონების მადლი, მოგონების ფრთების გარეშე კი ცხოვრება სრულყოფილი ვერ იქნება: „არის ცხოვრება გამათხოვრება, თუ მახსოვრობა იქნა უფრთებო“ („მშვიდობის წიგნი“).

გალაკტიონის პოეზიაში წარსული, აწმყო და მომავალი „ხელიხელგადახვეულია“. პოეტის ღრმა მოგონებებით მოგვრილი ცრემლი უფრო მეტია, ვიდრე ფუჭი კამათითა და ღრიანცელით გატაცებული ცრუ პოეტების ვაკხანალია („არ ღირს იმ ერთ ცრემლად“).

პერსონიფიცირებული მოგონებები „ლამაზი ნავის“ (წარმოსახვის) მოგზაურებად ქცეულან და აღმოსავლეთის ცისკარს ელტვიან: „მოგონებები! ისინი როგორც მოგზაურები ლამაზი ნავის, მიმოსცურავენ აღმოსავლეთით, როცა ასეთი ცისკარი ჰყვავის“.

„მოგონებით ხომალდი“ უხილავ სივრცეში მიისწრაფვის, „მოგონებათა მერანი“ კი „უუნაგირო და ულაგამოა“ პოეტური თავისუფლების გამო: „უუნაგირო და ულაგამო, რაც მაბადია და რაც მებადა, მოგონებაა, შორი საღამო“ („მიჰქრიან ზვირთნი მოგონებათა“).

მოგონებები ხდება „ნაფიქრ–ნაგრძნობის“ შერწყმა, ახალი პოეტური რეალობის მიგნება: „ჩვენს ფიქრებში მოგონება ეხლა აფრქვევს, ეხლა ადნობს ნაფიქრ–ნაგრძნობს“ („ტყემ წამიყვანა“).

პოეტური გამოგონება ათასი მოგონების სინთეზია: „სხვა ათასი მოგონება მისდევს გამოგონებას“ („ორი ლელო“).

„აზვირთებული ქნარი“ იგონებს განვლილს, იგონებს „უნაზეს ჰანგებს“.

ჭეშმარიტი შემოქმედის ვალია, თავდახრილ მონებს მოაგონოს დავიწყებული, მაგრამ ნამდვილი ხმები („ზღვის პირად მდგარი“).

მოგონების წმინდა აჩრდილები „იმედთა მდელოზე“ ცოცხლდებიან და სიცოცხლის ჰანგით მეტყველებენ („წარწერა წიგნზე“).

მოგონებები მუსიკად ქცეულან და მათ „მოგონებათა გამმა“ ეწოდება („ჭიანურები“).

პოეტის არსებაში ხმაურობს ზღვა–გენია, ცხოვრება, „წინაურთა დღეები“.

მოგონებებით ცაში ფრენს პოეტი: „როგორ არ გავყვე ფრენად ცვლად რონინს, მოგონებების ტალღათა მკრეფი?“

ცოდნა მოგონებების გაცოცხლებაა, პოეზია ანგელოზი და – მოგონება: „...ბავშვური ძილით სძინავს ჩემს ანგელოზ დას, ჩემს მოგონებას – პოეზიას“ („ფარდების შრიალი“).

პოეზია, ლექსი სახელდებულია, როგორც ქაოსიდან მთვარის მიერ ამოზიდული ლურჯი მოგონება: „ძილი მეგონება: უცებ ქაოსიდან მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“ („ეს მშობლიური ქარია“).

პოეტური, მშვენიერების რანგში აყვანილი მოგონება ოცნებისა და სილამაზის პირმშოა, რაზედაც მეტყველებს ეს შესანიშნავი მეტაფორა: „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს“ („დაფნა“).

ასევე ორიგინალობა გამოარჩევს ფრაზას: „შენს მოგონებას, როგორც ეს ჭალა, მთების დუმილი ამინანქარებს“. ნეოლოგიზმია „ამინანქარებს“.

ამასთან, სევდითაა შეფერილი სიმღერაც და მოგონებაც: „მოგონებებო და სიმღერავ, სევდით ავსილო“ (დღევანდელი დღე“).

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი“

მარადიული არსებობა სულის სახით, ბუნებრივია, გულისხმობს მარადიულ ხსოვნასაც. ზოგიერთი მეცნიერის რწმუნებით, არიან ადამიანები, რომელთაც ახსოვთ თავიანთი წინა ცხოვრება. ამის უამრავ მაგალითზე მოგვითხრობს წიგნი „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ“ (რუსულად, 1990).

„ბჰაგავად–გიტაში“ უფალი ამბობს: „მრავალი დაბადება მაქვს მე, აგრეთვე შენცა, არჯუნა. მე ვცნობ ყველა ჩემს დაბადებას, ხოლო შენ ვერ სცნობ შენსას...“(17).

წიგნში ლაპარაკია „წინანდელ გარდასახეულებათა ჟამს მოხვეჭილი სიბრძნის გამოყენებასა და სრულყოფაზე“ (53).

სახარებაში ქრისტე ისრაელის ხალხს აბრაამის ამბების თანამონაწილედ წარმოუდგენს თავს, რაზედაც განცვიფრდებიან, შენ რანაირად გიხილავს აბრაამი, როცა ორმოცდაათი წლისაც არა ხარო, ქრისტე პასუხობს: „პირველ აბრაამის ყოფამდე მე ვარ!“ (მარკოზი, 273, 58).

და, მართლაც ქრისტე, როგორც ძე ღმერთი, მარადიულად არსებობდა მამასთან ერთად, იგი იყო დაბადებამდეც, ხორცშესხმამდეც და იყო ზეცაში, როგორც სიტყვა.

გალაკტიონის პოეტური სასწაულების ახსნა აშკარად ძნელია ერთი ადამიანის და ერთი სიცოცხლის გამოცდილების ფარგლებში, ფაქტიურად, იგი წარმოგვიდგება როგორც ინტეგრირება ამქვეყნიური და მიღმური არსებობისას მიღებული ცოდნისა.

მხოლოდ გარდასხეულების იდეის მიხედვით თუ გაიგება გალაკტიონისეული ზოგი სახე და ლექსი.

პოეტს ესმოდა „წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს“ („ვაგნერი“), თითქოს ნათლად ხედავდა პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს დაბადებას, პირვანდელი სახეების წარმოშობას („მშვიდობის წიგნი“) და იქნებ ეს ჰიპერბოლა არც იყოს.

მისი სულიდან იფრქვეოდა ზღაპრული, არამიწიერი, არაამქვეყნიური ხილვები, ჩაესმოდა უძველესი ყოფნის მუსიკა, როგორც „უშორესი ზღაპარი“. სადღაც დაკარგული ვარდი და გვირილები „მოგონებებში ცოცხლდებოდა („ვერხვები“)“..

„ხსოვნა იდუმალ საზღვრებს შორდებოდა“ და დროის განსაზღვრაც შეუძლებელი ხდებოდა: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ... სად, როდის, რისთვის, არ ვიცი, არა! იყვნენ ოდესღაც და მიძინათ, ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა“.

და ცხოვრება ძიებაა, მოგონებაა იმ ზღაპრული სამყაროსი, ოდესღაც მიძინებულთა სახეების...

იმ უხსოვარი დროის ფენებიდან პოეტს მაინც ახსოვს ყვავილების გვირგვინი, პრინცესა და თავისი არსებობა, როგორც პაჟისა („ვერხვები“).

ასეთივე გამაოგნებელ ხილვებს გვთავაზობს პოეტი სხვაგანაც, როცა უხსოვარი დროის ბავშვობას, სიხარულის ველზე არსებობას აცნობიერებს და თითქოს ხელახლა განიცდის „ოქროსფერ ნავში“ ედგარ პოსა და ნოვალისის გვერდით ყოფნას („ის ადგილები“).

ანალოგიურ „ალოგიკურობას“ მხოლოდ რეინკარნაციას თეორია თუ მოჰფენს ნათელს.

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ კიდევ უფრო გასაოცარი განაცხადია: „რუსთაველი მახსოვს ბეშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ („მთვარის ნაამბობიდან“).

არანაკლები დამაჯერებლობით გვიმხელს სხვაგანაც: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში, ვარჩევ, მე ის დრო რომ განმიახლოს, როს ვიყავ ბავშვი!“ („თენდება, გათენდა“).

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ, გარდა იმისა, რომ გალაკტიონი არის მარადიული ქართული სული, ამიტომაც ამბობს: „საუკუნეთა საფლავი მეკარგებოდა, ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“.

ალბათ, პოეტების მეფის სული სიცოცხლის შექმნიდან აედევნა სამყაროს, როგორც უფალი, როგორც უკვდავება, როგორც „გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნ. დუმბაძე).

„მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული“

ხმა ყველა ეპოქაში მიიჩნეოდა დიდ სასწაულად.

იოგების მიხედვით, უმაღლესი არსება ხშირად ესაუბრება ინტუიციური ჭკუის მქონე ადამიანებს.

იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ადამიანის სულიერი ცნობიერება, ის უფრო ხშირად უსმენს შინაგან ხმას და უფრო კარგად არჩევს მის იმპულსებს, მომდინარეს უმაღლესი სულისგან.

სულიერი გამონათების, „გაბრწყინებისაას“ ხდება სულიერი ცნობიერების გახსნა. ეს სიმღერაა სულის, მუდამჟამს დაუვიწყარი.

ადამიანს შეუძლია მოისმინოს სხვებისთვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე. ესაა გულის ხმა, გულის სიმღერა. იშვიათად ადამიანის ყურით შეიძლება სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის მოსმენა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური. იგი შედგება არა მელოდიის, არამედ რიტმისაგან. ზოგიერთებს ესმით უსხეულო არსების ხმა, გრძნობენ არამიწიერ არომატს.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში – თოთხმეტი (ე. რერიხი).

ე. რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაიწერა იგი.

ვანგას ესმოდა „ციური ზარის ხმა“, „ესაუბრებოდა წარმოგზავნილებს“.

ათანას ფეტს ესმოდა „უხილავის ძახილი“, „ხმები ღვთიური“, „უწმინდესი ბგერები“, „ხმა ზეციური“ („სიმღერა მარადიულ ფრინველთა“, „მარადი დღე“, გვ. 27,49).

ვლ. სოლოვიოვს ესმოდა „გამოძახილი მისნური“, „წმინდა ხმა“, „უხილავის უხმო ძახილი“ (იქვე, გვ. 102).

ალ. ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (იქვე, გვ. 169).

დ. გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“, ნ. ბარათაშვილი უსმენდა „იდუმალ ხმას“, „ციურ დასთა გალობის ზარს“.

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“. ხმა უსიტყვოდ („აჩრდილი“). მისთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ („პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“).

დანტეს ესმოდა „ნათლის ხმა“, „სინათლისგან ხმაი მეტყველი“.

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“ – ამბობდა ვაჟა, „მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“ – გვიმხელდა ტ. გრანელი.

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეკა“.

გ. ტაბიძემ ახალი პოეტური სამყარო შექმნა, ახალ ხილვებს დაუდო სათავე, მიზნად დაისახა „ხმათა განახლება“ ტრადიციებზე დაყრდნობით.

პოეტს ესმოდა „იდუმალთა ხმათ მწუხარება“, „ზექვეყნიური უკვდავი ხმები“, „სხვა გამოძახილი“. ამქვეყნად გრძნობდა „უკვდავების ყრუ ძახილს“, რომელიც მოუწოდებდა „დროთ საზღვარს იქით“, ანუ ადამიანური შესაძლებლობის გაფართოებისკენ.

გამუდმებით ჩაესმოდა „უცნობი ძახილი“,იდუმალი ძახილი, ნაცნობი ყვავილის დაპირება („მე მოვალ“).

პოეტს გამუდმებული „კომუნიკაცია“ ჰქონდა ზეცასთან და ეძახდა საყვარელი ხმა, უხილავის ხმა, „სიცოცხლის ხმა“, „სიყვარულის ხმა“, „ხმა ძლიერი“, „სიხარულის ხმა“, „ცეცხლის ხმა“, „ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“ „გაზაფხულის გამა“. უხილავი, სიცოცხლე, სიყვარული, ცეცხლი, გაზაფხული, სიხარული საღმრთო სახელებია.

მომავლიდან ესმოდა „საგანთიადო ხმები“, არაქაური ხმები, მფარველი ანგელოზის ხმა...

წარსულში ნათელსმენაზე მიგვანიშნებს ათასწლოვანი ქუხილის ხმა, „დღეთ წინაურთა“ ხმა, სამყაროს შექმნისდროინდელი ქაოსის ხმა: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ („ვაგნერი“).

ესმოდა მომავლის ხმა, „ყრუ ტაშისცემა“, შორიდან ევლინებოდა ხმა, როგორც „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“ („შენს მოწოდებას“).

გალაკტიონის პოეზიიდან უბერავს „არსთ ყოფნის სიო“, საიმქვეყნიო და საამქვეყნო სიო“.

პოეტს ევლინებოდა ვარსკვლავის ნათელი, „ღრმა საიდუმლო“, ესმოდა მისი ხმა, ხედავდა ფერს, გულისცემა უხშირდებოდა და აწამებდა ნანახ–განცდილის გამოუთქმელობა („ჩემთვის სანატრელია“), ფიქრების გამმა.

„მომავლის აჟღერებით“ ჟღერდა პოეტის ქნარი, გვაჯადოებდა „ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის“.

იდუმალი ფრაზაა: „მესმოდა ნისლის ფორტეპიანო, ზარი, გუგუნი და ისევ ზარი“.

გალაკტიონისათვის ორგანული იყო „უხმო ხმის“, „უხმო კამათის“, „სიჩუმის ენის“ მოსმენა: „ვდგავარ მთაზე და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა“(„გურიის მთები“).

სიჩუმეში ესმოდა „ციური გალობა“, „ანგელოზთა ციური ნანა“, სიჩუმის ხმით ესაუბრებოდა „ხმა ნაზი, ციდან გარდმოვლენილი“ („საფლავი“).

„მშვიდობის წიგნის“ მთავარ პერსონაჟს გამოეცხადა ანგელოზი და გაიგონა მისი ხმა.

გალაკტიონის პოეზიის ლირიკულ გმირს ესმოდა „ქერუბიმების კვდომა“.

„გზათა მიუვალობას“ ტიროდნენ უედემო ანგელოზები „ცხრაას თვრამეტში“.

გალაკტიონი აყურადებდა ცის გახსნას, იდუმალი გამოძახილის ხმას უსმენდა დუმილით: „მას ენატრება გამოძახილი, ის გაჩუმდება და დაუგდებს ყურს“.

იდუმალი ხმა „დილის ძედ“ უხმობდა და პოეზიის განახლების მისიას შეაცნობინებდა.

გვაგონდება ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ამბობს: „და ანაზდად ხმა მესმა შორიდან: „მე ვარ, რომელი ვარ“ („აღსარება“, გვ. 240).

როგორც თვით აცხადებდა, გალაკტიონს ჰქონდა „ასი ათასის სმენა“.

მას ესმოდა ოცნების შრიალი, ფიქრთა სამოსის შრიალი, წამწამის კანკალი, უნიკალური სმენის მქონე ქმნის ნეოლოგიზმს – „გადაეყურა“: „ჩემი გული კი იმ ღამეს მღელავ ტბას გადაეყურა“.

ა. ბლოკს აქვს ასეთი საოცარი სტრიქონები: „ღამით ჩასახულს, ღამით გაჩენილს ჩემი ტირილი მომესმა ახლაც, რა მწარე იყო ხმა დედაჩემის და უშავესი წყვდიადის ხახა“ (მარადი დღე“, 1981 წ., გვ. 203).

გალაკტიონს ესმოდა „ბაღებს იქით, სადღაც გადაშორებით“ ახმიანებული საკრავების ხმა, ქრისტეს ჯვარცმისას მარიამის გამომშვიდობება შვილთან, ანგელოზების ჩუმი გალობა, იგი „თვალებით უსმენდა სერაფიმთა ხმას“.

ესმოდა დემონის ძახილი, ლუციფერის ხმა, ხმა სატანასი და სამოელის, ლანდების კივილი, სულის ხმა, წინაპართა ხმა, გარდაცვლილთა ხმა, გულთა მქუხარება, სულის ხმოვანება, მწუხრის და იდუმალი ლოცვების ხმები.

აწამებდა „ყრუ ბაიათი“, „ოხვრის პაროლები“, „ხმათა ქაოსი“, ესმოდა საიათნოვას ჰანგები, საზანდარის უქმი ხმა, მწუხარე არია, ყრუ ელიგია, ცის მუქარა, ეპოქის ხმა, დიდების ტაში, მომავლის ხმა, „მიწის ხმა საჯადოქრო“.

მისთვის „სურნელი ნაზია, თვალგაპობილი“.

ხმა შუქთან და სურნელთან არის ასოცირებული: „ახალი ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი“ („მუსიკა უეცარი“).

ის მღეროდა, როგორც „დარის დარება“, მისი ლექსის მუსიკა ისმოდა, როგორც „შორი ედემი და მხარეები ლეგენდარული“.

პოეტი აუკვდავებდა გრძნეულ, უკვდავ ხმებს.

მის არსებაში ხმიანობდა „ხმა მეორე, ხმა ფარული“, რომელიც ხელოვნების ღირსებას შეაცნობინებდა („ხელოვნება“).

გალაკტიონის იდუმალ სამყაროში „ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“, „ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი“, „ეხმაურება ატომი ატომს“.

ჭეშმარიტი განაცხადია: „ჩემი ხმაც სმენამჭევრია“.

ნათელმსმენი პოეტის არსებამდე აღწევდა დიოსკურიის „წყალქვეშა ზარა“, ზღვის სიღრმიდან ესმოდა „სხვა იდუმალება“.

ზღვა ეძახდა „სიზმარეული სიცოცხლისკენ“ („გრიგალი“).

„ხევის ბეთხოვენი“ ყაზბეგი პოეტის იდეალი იყო იმიტომ, რომ ის „ნამუხლართან ხმას ისმენდა მთისას“ („არ ამაოდ“).

ქართველი კლასიკოსები თავიანთი ხმით „გაღვიძების ზარებს“ რეკავდნენ („საუბარი ლირიკის შესახებ“). ხოლო ვაიპოეტები „კივილისთვის“ ირეოდნენ და მათი ლექსებიდან გაისმოდა „მოგონების შეშლილი ბოდვა, დაცინვა, წყრომა და ირონია“.

გალაკტიონის პოეზიაში ისმოდა „მწუხარება დაკარგულ გრძნობის“, ანუ სევდა გაუფასურებული საღმრთო სიყვარულის გამო („გრძნობა, რომელიც დაკარგულია“).

გალაკტიონის ანტიციპაციის უნარი მშობლიურ ბუნებასთან სისხლხორცეული კავშირის მადლია: „მე კავკასიის ქედები მთხოვენ, მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის, ვუსმინო ყაზბეგს – ხევის ბეთხოვენს აგუგუნება კაიშაურის. მე მშობლიური არაგვი მირჩევს,

წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად, ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს, ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად".

პოეტს ესმოდა „სირენას ჰანგები, ანგელოზების ტირილი, ხმათა ხავერდი, უტეხი ხმები, ცეცხლის მფარველი გუგუნი, ჭიანურის ხმა, ტანჯავდა მგზავრის მწუხარე ხმობა, შუაღამისას უცნობის ვედრება, დიდების ტაშთან ერთად ღელვა, მუქარა, ტაძრების უჩინარი ტირილი, ძველი ძვლების ხმა, ხმათა გარდაცვალება, უდაბნოს ქარები, არაგვის ნათელი და მედგარი ხმა, ფოთოლთ ჰანგი, „არღნის ხმა დამტვრეული".

ხან სამარის ლოდის ხმა აშფოთებდა, დემონის ჭიანური აწამებდა, 1924წ. დახვრეტილთა კივილი აღვიძებდა, მშობლიური შემოგარენის დუმილში ის ტკივილი ამოიცნობა, ილიას რომ ათქმევინა: არსაიდან ხმა, არსით ძახილი".

ეს ეროვნული სატკივარი გალაკტიონის დროსაც აქტუალური იყო: „ელვარე ბურში ზარებს აიტან, დრო მიდის შურში, ხმა არსაიდან" („მდუმარე სმენით").

ალვებს „მდუმარე სმენა" ახასიათებთ.

ხმა ფერს უკავშირდება. ტალღა ხმაონავარია, ნაზი ხმა სივრცეში ლივლივებს, სიცილი ათეთრებული და მოვერცხლილია, ვერხვის შრიალი – „ბნელხმიანია", ხმა მზიური ვერცხლია, არაგვის ხმა ნათელია, ახალი ხმა შუქთან და სურნელთან არის ასოცირებული: „ახალი ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი" („მუსიკა უეცარი").

მღერის არაგვი, თერგი, მტკვარი, მთების ზვავი, ტყე („მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა").

პოეტს ესმოდა „მთების ძმობა", „უსაყვარლეს მდინარეთ" ხმაური, წუხილი არაგვის კიდის, „ძახილი ეფემერედის".

მშობლიური მთები ამაღლებისკენ მოუწოდებდნენ. არაგვის ხმა – ქედუხრელობას უნერგავდა, არაგვის პირთან ეგებებოდა პოეტს წინაპართა ძლიერი ხმა, გრიგალის რეკვა გენიის აბობოქრებას ამცნობდა.

გალაკტიონი ამბობდა: „წამიც კი რეკავს ცხარედ".

წარსული კიოდა: „მუსიკა, ღვინო და ყვავილები!".

ესმოდა გულის ხმა, აქარიშხლების ხმა, ახალ–ახალი ხმები, მთესველის ხმა, ომებში გადარჩენის ჰიმნი, „ხმა ლამაზ მხარისა".

სონატები „ნაზი ფერებით" ევლინებოდა, „ტიროდა მისი მუსიკალური და გადარევის ეფემერები...".

ესმოდა ფაგოტების გოდება, სიმღერა ვალკირიების, უმძლავრესი მუსიკა, ძველი არია, ბარათაშვილის ველური ჰანგი, აკაკის ხმები, ქართული ხმები, ჰანგთ აიაზმა, ვერხვების ხმები, ხმა

უცნაური, დების სიმღერა, შორი სროლის ხმა მთაში, გულთა მქუხარება, ლოცვის მხურვალება, წინაპრების ძახილი.

პოეტის არსებაში ხმაურობდა ზღვის ტალღა, ქარიშხლის ხმა, ხმა მეორე, ხმა ფარული, სულში რეკავდა „გენიით ატეხილი... ლერწამი“.

ზიზღს ჰგვრიდა „ბნელი დუმილის ზუზუნი“, სიმბოლური „დევების აურზაური“, „სხვა ხალხის ჟრიამული“.

ესმოდა გარდაცვლილთა ხმა, წარსულიდან „ელანდებოდა ნაცნობი ხმა“, მშვიდ სამეფოში ეძახდნენ „მთები, სიზმრები და წინაპრები“.

აფორიაქებდა „გამწარებული ხმა შუაღამის“, „საღამოს ზარი“, „ორი ზარი“, სისხლიანი აჩრდილის „ფარული ხველება“.

ტიროდა ლანდი, გედივით კიოდა „ლანდების ზოლი“.

პოეტი ეძებდა ქართველის „გულის ხმას“, „ჩვენი გულის შორეულ ხმას“, „გრნობით გამთბარ ჰანგს“, განწმენდის ხმას, საღვთო მუსიკას, ცდილობდა „მშვენიერი ხმის გაათასებას“, „ხმათ აიაზმას“ გვაპკურებდა.

„სულ სხვა ხმის მქონე პოეტი“ გვაოცებდა გენიალური ჰარმონიის აზრით, გიგანტური ტალღების გამმით, გაზაფხულის გამმით, ჯერ არსმენილი ხმებით.

„მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული“ მის პოეზიაში „ერთ მთლიან ჰიმნად“, „ერთ მთლიან ქნარად“ იქცეოდა.

„უბრალო ხმები“ კი არა, ესმოდა „ხალხის რჩეულის ხმა“, ეროვნული და მსოფლიო წყლულები, ხმა სიმართლის და სინათლის მთესი“. მის პოეზიაში ერთად იყო „გადაკირული“ მრავალი ათასი ხმა, „დავიწყებული“, მაგრამ „ნამდვილი ხმები“.

ახლობელი და შორეული ხმების შეთავსებით იქმნებოდა არაჩვეულებრივი სინთეზი: „ხდება ერთად შეთავსება უცხოდ გრძნობამორეულის, რაღაც საერთო და დიდი ხმის, ახლობელ–შორეულის“ („მე ვუსმენდი ხალხს მომღერალს“).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „ეფემერიდის ხმა, ძახილი ეფემერიდის, ეფემერების ფანტაზმა“.

პოეტების მეფის შემოქმედებაში გვაჯადოებს ფესვების სიმფონია, მცენარეების სიმფონია, ფიქრების ვალსი, თვალების ნოქტიურნი, მოგონებათა გამმა, თასი დღის ხმათა (თასი მარიამია, დღის ხმა – ქრისტეს სახელია), ხმა მინიური, ხმა ზეციური, ხმათა სიმაღლე, გაღვიძების ზარი, ხმათა ხავერდი, ზარის ბგერა, ხმა – მზიური ვერცხლი, დანატრული ხმა, ქარის აკორდი, საგანთიადო ხმები, ლურჯა ცხენების გრგვინვა–გრიალი, ქარბუქი მუსიკის ხმათა, რიტმის ბგერა ზღვაური, ზღვა მუსიკა“...

პოეტი სიტყვის კომპოზიტორია და ამიტომ ხვდება მეგობრებივით თავის სულიერ ორეულებს – მოცარტს, ბეთხოვენს, პაგანინს...

ქართველი გენიოსის სიტყვით, „მთელ მსოფლიოში ხელოვანთა ხმა უმეორებელს აჰგავს ქარტეხილს".

გალაკტიონს სწამდა, რომ „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში".

„სმენამჭევრი ხმის " პოეტი ხმის „გამახვილებით" ქმნიდა დიადი, განუმეორებელი ლექსის მუსიკას.

გალაკტიონს არც ესმოდა „ქვეყნიურთა ვნებათ ძახილი".

„უზენაესის „უტეხი ხმებით" აღწევდა პოეტი ოცნების გაღვიძებას, ქართული ლექსის განახლებას.

გალაკტიონი იყო „განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა" (კ. გამსახურდია).

„ღრმა სიბრძნით თვალანახელი"

ანტიციპაცია მხოლოდ ინტუიციური როდია, ამავდროულად, იგი არის გონისეულიც. გალაკტიონს უყვარდა „ძალა... გულისა და გონების" (მოდის) (1,339).

ანალიზი, განსჯა, შესწავლა, შემოწმება, გაანგარიშება, შეცნობა უკვე გავლილი და მომავალში გასავლელი გზების განჭვრეტას ემსახურებოდა, უცდომელი დასკვნების გაკეთების საფუძველი იყო: „გზები გაუვალი და გზები გავლილი – გულისტკივილით მაქვს ყველა შესწავლილი. ადის მწვერვალზე თუ ჭაობში ეფლობა, – ერთი ნიშანი აქვს: დაუსრულებლობა" (გზები გაუვალი და გზები გავლილი) (2, 673).

გალაკტიონის პოეზიის მთავარი მახასიათებელია ინტეგრალები, ზუსტი მათემატიკური გაანგარიშება, ჰანგთა რიცხვი, ლოდინი და რიცხვი, მშრალი რიცხვი, მისი დევიზი იყო „განსაზღვრე სიცხვი წუთებისა" (ჩემი პოეზიის ინტეგრალები) (3, 229).

პოეტის იდეალი იყო „ერთის, ერთი წუთის გასაუკუნება (ხრამჰესი) (3, 230-235), ანუ წამიერში მარადიულის ხილვა და მართლაც აღწევდა ამას: „ლოდინშიაც წუთს მივყვები და მივყვები საუკუნეს!" (წუთი) (3,39).

„სურს გარღვიოს თვალით ბინდები", ასეთია გალაკტიონის პოეზიის ლირიკული პერსონაჟის სურვილი და, მართლაც, ბურუსი და ქარიც ვერ უშლიდა ხელს სწორი პერსპექტივების განჭვრეტაში: „ეხლა ის დრო არი, როცა, თუმცა, ძლივას, ბურუსში და ქარში ვხედავ პერსპექტივას" (ეხლა ის დრო არი) (1, 359).

პოეტების მეფე ძალზე ხშირად ენიგმებით, იგავებით გვიმხელს ჭეშმარიტებებს, მოსალოდნელ მოვლენებს და მისი მსოფლგანცდა სიახლოვეს ამჟღავნებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან.

დავით წინასწარმეტყველი აცხადებდა: „ყურს მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს ამოცანას"(ფს. 49, 5) (4, 572).

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა" (ფს. 78, 2) (4,608).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე იწყებს თავის ხილვათა გაცხადებას: „იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი. 1. ადამის ძევ, მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს" (ეზეკიელ, XVII, 1, 2) (5, 207).

ოსიას წინასწარმეტყველებაში გამხელილია: „მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ და მე გავამრავლე ხილვები, წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი" (ოსია, 12, 11) (5, 272).

მაგრამ სახარებაში მინიშნებულია ცრუ წინასწარმეტყველებზე, რომლებიც ხშირად ცხვრის სამოსით გამოცხადებული მგლები არიან: „ეკრძალეთით ცრუ – წინასწარმაეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნეს მგელ მტაცებელ" (მათე, 7, 15) (5,13).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალგზის გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოები, ალეგორიები, იგავები. მისი პოეზიის უპირველესი ემბლებმა, უმთავრესი შესასველი კარი არის მეტაფორული აზროვნება.

სიმბოლური აზროვნების ისტორია უშორესი წარსულიდან იწყება. პოეტს წინ უსწრებდა უმდიდრესი ტრადიცია: ბიბლია, ანტიკური და ადრექრისტიანული ეპოქის ნააზრევი, აპოლოგეტების სიმბოლიზმი, ალეგორიზმის (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლები (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი აგუსტინე, გრიგოლ ნოსელი), ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტყველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპული და რუსული სიმბოლიზმი. ყველა ამათთვის საერთო იყო ის, რომ იზიდავდათ. „ფარდის მიღმა განჭვრეტილი ჭეშმარიტება", „შეფარვით" ნათქვამი სიტყვა.

კლიმენტი ალექსანდრიელი, დიონისე არეოპაგელი სიმბოლიზმს მიიჩნევდნენ ზოგადფილოსოფიურ, რელიგიურ–გნოსეოლოგიურ კატეგორიად.

გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლოების უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთან. პოეტის უმთავრესი სათქმელი

სახე–სიმბოლოთა საგანგებო გაშიფრვა–გაცნობიერების გარეშე ვერ მიიწვდომება.

ბიბლიის კომენტატორები მასში სხვადასხვა მნიშვნელობებს ეძებდნენ: ორიგენი–ორს, ნეტარი ავგუსტინე–ოთხს, ტერტულიანე–მეტს. გალაკტიონისთვის უმთავრესია სახე–სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, იგავური, სიმბოლური მეტყველება.

უშორესი და უღრმესი ფესვები ასაზრდოებს ამ პოეტის შემოქმედებას. მათგან ერთ–ერთი უმთავრესი ფენომენია ბიბლია, რომელთანაც ანათესავებს იგავებისადმი ინტერესი, არა მიწიური, არამედ ზეციური სიბრძნის ძიება.

გალაკტიონისთვის ჭეშმარიტი პოეზია არის სულიწმინდის მადლი, სიბრძნის სიტყვა, პოეტის უპირველესი მისია არის რწმენის მსახურება, ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება, სიბრძნის სიტყვის გავრცელება. სიბრძნეს კი მხოლოდ ღმერთთან კავშირში ეძებს პოეტი: „რა სილაღეა თავისუფალი, სიბრძნის სახეა შრომის უფალი, ყოფნა მწყურია, მშობლიურია და მზიურია, ო, ეს უბანი („მშვიდობის წიგნი“).

ახალი სიმაღლეების დაპყრობის პირობაა ღმერთის მადლი: „ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს, რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“.

სიცოცხლე, ცხოვრება, ყოფნა ღმერთია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე (იოანე, 14, 6) (4, 211).

პოეტი ცრუ სიბრძნეს უპირისპირებდა უკვდავ აზრს და უმწეო სინათლისა და მარადიული მზის ასოციაცია უჩნდებოდა: „იბრწყინე მარად, დიადო მზეო, იბრწყინე მარად, ვით ეს სანთელი ქრება უმწეო მზის შუქის კარად, ისე ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს ვით ნისლი რამე იხსნება, ჰქრება, გაუმარჯოს მზეს, ძირს ბნელი ღამე“.

„ახალი სხივის“ (სხივი, შუქი ძე ღმერთის სახელია), „ახალი ღმერთის“ (ქრისტეს) სიყვარული მომავლის ღრმა სიბრძნით უხელდა თვალს: „იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი, საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი“ („უმშვენიერეს კიბეზე“).

„პირველი ოცნების“ მშვენიერებისა და სისპეტაკის სიყვარული სიბრძნით ავსებდა გალაკტიონის ზეშთაგონებას: „ოდეს ვიგონებ იმ პირველი ოცნების სახელს და მოლოდინთა მშვენიერთა სპეტაკ სიახლეს, რაც მგზნებარებდა და მმატებდა სიბრძნეს სიბრძნეზე, აი მიზეზი გამარჯვების, აი, მიზეზი“ („1950“).

პოეტს არ სჩვეოდა „ამაოდ შექმნილ ციურ სულთან მხურვალე ლოცვა და ქვეყნიურად შექმნილ კერპთან მწარე შეცდომა“ („სანამ შორს იყავ“).

გალაკტიონის შემოქმედება უარყოფაა უსულგულო პოეზიის, გმობაა დემონური ბეჭდით დაღდასმული ქვეყნიური ყალბი ენამჭევრობის, სატანური შეთქმულების წევრობის" („ენა მშობლიური მიწის").

გალაკტიონმა დაამკვიდრა არა მუხამბაზები, აღმოსავლური ბაიათები ან რომანსეროები, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარცხებელი საღვთო ჰანგები, სამოთხის ხმები, ცხოვრების ზღვაზე გადამყვანი ფრთებიანი სიმღერები: „გეევედრები, გამაგონე ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს" („ოდეს მძიმე რამე დარდი"). პოეტი ხარობს „სიცოცხლის ქარით", „სიყვარულით" (სიყვარული ღმერთია–იოანე, I, 4,8) მრისხანე ზღვების გადავლით: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები, ქარიშხალის და ზღვის მონებაში" (გადავიარეთ მრისხანე ზღვები).

ბიბლიის მიხედვით, ცოდვილი ცხოვრება მსგავსია აბობოქრებული, ტალახიანი ზღვისა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისერიან ლაფსა და ტალახს" (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20) (5,116).

იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, „ამ ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა" (აღსარება ნეტარ ავგუსტინეს, ჰიპონის ეპისკოპოსისა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თარგმანი ვ. ბურკაძის, თბ. 1985, გვ. 519).

გალაკტიონის შემოქმედების ორიენტირები გარკვეულია მისსავე „სერენადაში": „რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით თუ ვერ დაგაღონებ, რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ?" გული სავსეა წყნარი სიმღერით, სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა. ვმღერი, ვით არვის არ უმღერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?"

ლექსის „სამოთხე" არის მარიამი (6,124).

„ბედის ვარსკვლავი" ქრისტეზე მიგვანიშნებს (7,124).

„სერენადის" ლირიკული გმირი, როგორც მორწმუნე, გაუცხოებული იყო ათეისტურ ეპოქაში.

„უუნაგირო, უუზანგო მერანზე" ამხედრებული პოეტი მხოლოდ საკუთარი „რწმენის მონა" იყო, „რწმენის ტახტი" ედგა, „საკუთარი შტამპით მოჭრილ ოქროს" გვთავაზობდა („იდეა").

„ბნელი და მღვრიე საგნის" უარმყოფელი, „ცის და მიწის შეზავების" საიდუმლოებებს ეზიარებოდა, „ყოფნისა და არყოფნის წიგნებს" უთვალთვალებდა, „ციური რიდით" მოსავდა თავის განუმეორებელ ხილვებს.

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარს, საღვთო ჰანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და სიბრძნის კარი ეხსნებო-

და: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სთქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა?... ვინა სთქვა, რომ მიწის გული სამუდამოდ დაირაზა? „ვინა სთქვა, რომ ქვეყნის კარი სამუდამოდ დაირაზა? ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?"

კარი, ზეცის კარი, ქვეყნის კარი თუ სიბრძნის კარი ღმერთია.

ქრისტე ეუბნება თავის მოწაფეებს: „მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება" (იოანე, 10, 19) (4, 201).

გალაკტიონი მიისწრაფოდა „ბედს იქით", „სხვა ედემისკენ" ანუ ჩვეულებრივი ადამიანისთვის დაწესებული საზღვრების გადასალახავად და მწვერვალისკენ სვლის საწინდარი იყო საღვთო მადლი, გული და სინდისი, სიმართლის კანდელი–ღმერთი: „იმ მწვერვალისკენ მივყავარ... გულსა და სინდისს, სიმართლის კანდელს".

„სიმართლის კანდელი" ღმერთია.

მედროვეებზე, ბოროტეულთა ძალმომრეობაზე წერდა ესაია წინასწარმეტყველი: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მშვიდობის გზები მას არ უწყიან" (ესაია, 59, 5) (5, 117).

წარმავალ იდეებს ასე ამათრახებდა გალაკტიონი: „შენს იდეებში ობობა ხლართავს ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე".

ესაია წინასწარმეტყველებდა მაცხოვრის მოვლინებას და შორეული ქვეყნის მოახლოებას: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენებაში, დაინახავენ შორეულ ქვეყანას" (ესაია წინასწარმეტყველი, 97, 17) (6, 97).

გალაკტიონი გვიმხელდა: „იწვება სული ხილვის ტაროსზე". ხილვაში კი ზეციური სამყარო და უსხეულო არსებები ევლინებოდა: „მე მესიზმრება რაღაც უცხო, შორი ქვეყანა". „მე მესიზმრება ანგელოსთა ციური ნანა" („მე მესიზმრება").

ბიბლიაში გვხვდება „სალაღობო სიმღერა" და „სიყვარულის სიმღერა": „აჰა, სალაღობო სიმღერა ხარ მათთვის, ლამაზხმიანი და ტკბილად ნამღერი, ისმენენ შენს სიტყვებს, მაგრამ არავინაა მათი შემსრულებელი" (ეზეკიელი, 33, 32) (5, 206).

უფლის სიმღერა იქცევს ყურადღებას ესაია წინასწარმეტყველთან: „უფალია ჩემი ძალა და სიმღერა, უფალი! ის იყო ჩემი მხსნელი" (ესაია წინასწარმეტყველი, 12,2) (5,82).

გალაკტიონს ხსნის გზად ესახებოდა სიყვარულის სიმღერა: „გულში ჟღერს რა ხანია, სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი" („ილიას მოტივი").

ბიბლიის ზეციური ვენახი უფლის, ხოლო მიწიერი ვენახი ისრაელის სიმბოლოა: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი"... (ესაია, 5,7) (5,77).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება როგორც ზეცის, ისე მიწის ბაღი. მიწის ბაღი და ვენახი გალაკტიონის პოეზიაში ქართველი ხალხის სიმბოლოა (იხ. ჩვენი – ბაღის სახისმეტყველება გალაკტიონის პოეზიაში – წიგნში „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონი, თბ. 2011).

პოეტი იყო ქრისტეს მებაღე, ერში ქრისტიანული რწმენის აღორძინებისა და განმკტიცებისთვის მოვლენილი, იგი ზეცის გზას გასცქეროდა.

„მშვიდობის ნიგნს“, მშვიდობის გზას“ (ღმერთს) სახავდა ხსნის საშუალებად, თავის უვრცეს პოემას „ალვას და სუროს“ არქმევდა, „შორეულ მხარეებს“ ეთაყვანებოდა, „სიახლოვის სიშორის“ და „სიშორის სიახლოვის“პარადოქსებით გვაოცებდა, ამავე დროს, „ის ახლობელი იყო სულ შორი („ის დირიჟორი“).

გალაკტიონი თავისი ჩანგით იცავდა მზეს (რწმენას, ღმერთს), დილას, ალიონს („მარიამს): „რა მშვენიერი ალიონია, მას ჩემი ჩანგი იცავს აფთარებრ“ („გახსოვდეს მარად“).

„ალიონთა სიხარული“ (ალიონი–მარიამი, სიხარული ქრისტე) უნერგავდა გამარჯვების რწმენას („ო, ჩემო ჩანგო“).

„რატომ არავინ იყო, როცა მოვედი, როცა ვიძახდი და არავინ იყო პასუხის გამცემი“, კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველი (ესაია, 50,2).

წინასწარმეტყველის დარად, გალაკტიონი აცხადებდა: „როდესაც მე მოველ, არავინ არ ჩანდა“ („მე მოვალ“).

დავიწყების ბურუსში ჩაიძირა პოეტის თანამედროვეთა უმეტესობა, ხოლო გალაკტიონის სულიწმინდასთან წილნაყარი შემოქმედების სიდიადე უფრო გამოაბრწყინა დრომ, ვინაიდან ქართველ გენიოსს არასოდეს არევია „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“.

წმინდა სულის ადამიანებს ნათლის სამოსი ასხივოსნებთ: „რადგან რამდენად ჩემი სული უზადო ქმნილა, იმდენად უფრო მაცისკროვნებს ნათლის სამოსი“, ნათქვამია „ღვთაებრივ კომედიაში“ (8, 362).

გალაკტიონი იყო „ზეგარდმონათლით მოსილი“, შუქშემოსილი, ელვით შემოსილი, როგორც წმინდანები.

გალაკტიონი იყო “მცოდნე გაზელის“ (ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის), გაზელა კი საღვთო სიბრძნის გამომომხატველი ლექსებია. პოეტი გამოგვეცხადა, როგორც მგოსანი სასახლის“ (სასახლე საღმრთო სახელია).

...„მეტი სინათლე“ – აღმოხდა გოეთეს.

„მეტი მზის სხივი, მეტი ნათელი“ ენატრებოდა გალაკტიონს: „უსრულო საზღვარს გადააცილე შენი ამაყი სულისკვეთება, მეტი

მზის სხივი შემოგეხვევა, მეტი ნათელი შემოგედება“ („ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა“).

თითქოს გალაკტიონზე გაცხადდა ბიბლიური ჭეშმარიტება: „აჰა, წყვდიადი დაფარავს ქვეყანას და ბნელი–ხალხებს, შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება გამოგეცხადება“ (ესაია, 60,2).

ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, გალაკტიონს „ბროლის ლაჟვარდი“ ეხსნებოდა, („ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“) ევლინებოდა „ბროლის ზმანება“ („ნუგეში“), ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“ („დაბმული ჭინკა“).

პოეტმა უარყო ფუჭი მჭევრმეტყველება, იგრძნო, რომ ნაღმებზე აფეთქდებოდა ენამჭევრობა და ახალი სიტყვები მოძებნა ახალი სათქმელის გამოსახატავად. მაშინ, როცა „ჯამბაზთა... გაერთა ყალბი შუშები“ „მინანქრად“ საღდებოდა, პოეტი ღმერთთან ხიდის გადებას ცდილობდა და ათეისტური ეპოქის ქარს უპირისპირდებოდა („ქარის პირისპირ“).

უკვე „ჩამქრალი ალის ანთება“, „დაკარგული გრძნობის“ ძიება, „დამარხულ, იმედის“ გაცოცხლება გახდა მისი მიზანი („გრძნობა, რომელიც დაკარგულია“).

ქრისტიანული ღმერთის მეგზური იყო მთელი ცხოვრება, მაგრამ ურწმუნო დროს დაუსჯელად არც ღმერთის სიყვარული შეიძლებოდა: „არ გაპატივა, შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი, როს დაგშორდები –ვარ მე ზედმეტი, საშინელება და ჯოჯოხეთი“ („არ გაპატივა“).

მოდიოდა „ახალი ერესი“, ქარი, „შემოღამების ცელი“, მაგრამ პოეტის ლოცვის ხმები ახშობდა სატანურს, უზენაესის „ლოდინის სიმღერას“ აღავლენდა და ისევ ვარდებით ივსებოდა აუზი („ლოცვისთვის“).

პოეტის მწუხარე, „სპეტაკი წიგნით“ ცოცხლდებოდა „იმედთა მდელო“, ისმოდა არა „დაცინვა, წყრომა და ირონია“, როგორც პრიმიტიული პროლეტარული პოეზიის წარმომადგენლებისაგან, არამედ „ლოცვა–ვედრება, „გალობა ახალი“.

იოანეს გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ „წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდულთ“ ხელეწიფებათ. გალაკტიონი იყო „კრავის“ გამოსყიდული.

პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ, გალაკტიონი იყო შემოსილი „რწმენისა და სიყვარულის აბჯრით, ხსნის იმედის მუზარადით“ (პავლე მოციქულის I წერილი თესალონიკელთა მიმართ, 5,8).

იერემიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „ასე ამბობს უფალი: – დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს.

„კურთხეულია კაცი, რომელიც ეძებს უფალს და უფალია მისი საესავი.

„იქნება იგი წყლის პირას დარგულ ხესავით, რომელსაც მდინარესთან აქვს ფესვები გადგმული, არ უფრთხის გვალვიან წელიწადს და არასოდეს ელევა ნაყოფი“ (იერემია, 17,5,7,8)

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გამორჩეულ ხეს არასოდეს მოაკლდება ინტერესი, არ გამოელევა სულის საოხი ნაყოფი...

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული თხზულებანი 5 ტომად, ტ.2, თბ. 1993.
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
6. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
7. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995
8. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თბ.1941

ეპოქის ტრაგიკული მოვლენების წინაგრძნობა

საოცარი იყო გალაკტიონ ტაბიძის განჭვრეტის უნარი, ხედვის მასშტაბები. იმ დროს, როცა მოჩვენებითი სოციალისტური თანასწორობის იდეებით გონდაბინდულნი ხოტბას აღუვლენდნენ სიკეთის, სამართლიანობის სახელით მოვლენილ სატანისტებს, გალაკტიონ ტაბიძე ნიღაბს გლეჯდა, ამხელდა მათ სახელებთან დაკავშირებულ უკეთურობებს, აკრიტიკებდა როგორც წითლებს, ისე თეთრებს, აშკარად ხედავდა კოლექტივის, მშრომელთა კლასის სახელით მოსულ დიქტატურას, რომლის სათავეში რუსული ბოლშევიზმი იყო და არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომანოვის გვარით მოხდებოდა მისი ტირანიის გამოვლინება, თუ სრულიად სხვა გვარით. პოეტი ამ შემთხვევაში გადამისამართების ხერხის მიმართავდა ცენზურის კლანჭებისგან თავდასაღწევად, იგი ვითომ შულგინის წიგნს განიხილავდა, მას აკრიტიკებდა, სინამდვილეში შეფარვით თავის მოსაზრებას გვამცნობდა და შეცდომაში შეყვანილთა გამოფხიზლებას ცდილობდა: „... შულგინია... წიგნი, როგორც რომანი, გადანგრეულ შენობას ჰგავს წიგნი... წიგნს გაჰყვება ზოგად... რომ წითლები აკეთებენ მხოლოდ მონარქიზმის უსათუო საქმეს.

რის წითლები, რისი თეთრი! ყველა ომებისა რომ გაივლის გროვა, მისი აზრით, თუნდ წითელი ერქვას, ერთი კაცის დიქტატურა მოვა... რა შვაშია კოლექტივი, კლასი! ძვალ–რბილში აქვს რუსეთს ერთი ქარი, იმას გინდა რომანოვი ერქვას, გინდა სრულად სხვანაირი გვარი" (მე ამ წიგნზე).

გალაკტიონის უტყუარ განჭვრეტას მოწმობს ახალ დროში „მკვდარი მზის" ამოსვლაზე აქცენტი და „ქუხილის" ლოდინი: „ქუხილო, გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე, ზვირთი დასძარი. გვახსოვს: დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე,შენ კი ამოასწარი!" („ქუხილო, გელით) (1,192).

ქუხილი საღმრთო შინაარსის მეტაფორაა (2, 124).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი" (ფს. 84,12) (3,61).

მკვდარი მზის ამოსვლა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის დადგომას მოასწავებს, ხოლო „ქუხილის" ლოდინი ღმერთის ლოდინია.

შემთხვევითი როდია, რომ რევოლუციების ეპოქის შვილს ელანდებოდა იუდა, კაენი, შავი ღამეები, დამსხვრეული კენარი, სისხლი, ტალახი, ცრემლი, ცეცხლი, გაუთავებელი ავდრები და „სხვა სიყვარულის" მოლოდინი აცოცხლებდა: „სხვა სიყვარულის მოგონებები, დაე, აღმინთონ მოგონებებმა" (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები).

„ღმერთი სიყვარულია (იოანე, I, 4,8) (3,320).

„რამდენიმე დღე პეტროგრადში" დაწერილია 1918 წელს. ლექსი სამართლიანობის სახელით მომავალ უკანონობას ამხელს: „.. რა სულიერიც არის ეს ქარი, ვიცით, მოგვიწყინდა ბაიათები! გარეთ ატლასთა არტყია ჯარი, შიგნით შავი აქვს გულისნადები".

პოეტი აფრთხილებს თანამედროვეთ, თუ რა ტრაგედიებს დაუდებს სათავეს უღმერთობა, „მებაღის" განრისხება, რადგან მებაღე ღმერთია: „... ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი, მებაღემ მოსვლა თუ არ ინება" (ავდრის მოლოდინი) (4, 197).

დღეს უკვე არავის სჯერა მითის, თითქოს გალაკტიონი სოციალისტური რევოლუციის მეხოტბე იყო. პოეტი, როგორც სიტყვის რევოლუციონერი, აიდეალებდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას" (პოემა „აკაკი წერეთელი"), ოქტომბრის რევოლუცია კი მისთვის იყო გამანადგურებელი ცეცხლი, აპოკალიფსის მწვანე ცხენი, ანუ სიკვდილის მომტანი უბედურება, ნგრევა: „... ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია და დროს დაარქვა რევოლუცია. ძველი ხელები წყდება კალიფსოს, მოჰქრის მერანი აპოკალიფსის" (ძველი ხელები წყდება კალიფსოს) (5, 191).

რევოლუციაში პოეტი ჭვრეტდა ქაოსს, რწმენის გაარაფრებას, ვარდების (რწმენის) ურწმუნოების შხამით განადგურებას:

„ირგვლივ ნისლი სუფევდა, ვარდებს შხამი ერია, მაგრამ წყნარად ამბობდი, იყოს... არაფერია! ყველაფერი ქაოსის ნაპირამდე მოვიდა“... (რევოლუციონერის ხსოვნას“) (5, 194).

ლექსში „ორად გაიპო წითელი კლდე“ (5, 192). წითელია კლდე, წითელია რაში, გზა, მერანი, უნაგირი, მხედარი, ყავარჯენი. მხედარს წითელი ზღვიდან წითელი გველი ამოაქვს, წითელ გზაზე აგდებს, ციდან „მწველი ცეცხლი“ ცვივა და დედამიწას მოიცავს „საზარი ომი“...

ბიბლიაში გვხვდება ებრაელი ხალხის წინამძღოლის მოსეს მიერ ღვთისგან ნაბოძები სასწაულებრივი კვერთხით ზღვის გაპობის და ხალხის ზღვაზე უვნებლად გადაყვანის ეპიზოდი (გამოსვლათა 14, 16-31) (6, 71).

გალაკტიონის ლექსში ყველაფერი სისხლიანია, სატანისეულია და ნაწინასწარმეტყველებია კიდევ უფრო მეტი ტრაგედიები, რაც ახდა კიდეც.

გაუგონარი ნგრევებით შეძრწუნებული პოეტი კითხულობს: „სად იყო სმენა და გაგონება“? შესაცქერის უკანკელო ცას, წუხს ზეშთაგონების, ანგელოზის გაუჩინარებაზე, „ბოროტებას განარიდები“ შესაცქერის „თვალგაუწვდენელ ორმოებში სისხლის მდინარეს“, ტრანშეებს (სად იყო სმენა და გაგონება?) (5, 359).

ბოროტებათა სერიებით შეშფოთებული, არა ზეციურ ნათელს, არამედ „შავ, ცბიერ სინათლეს“, სიცარიელის საუფლოდ ქცეულ „ხვალეს“ ელის წყევლით: „ხვალესაც წყევლით უნდა უცადო, შავი სინათლე მოვა ცბიერი, რომ განიცადო და კვლავ უწოდო – არარაობა, სიცარიელე“ (უცნობი) (7, 419).გალაკტიონი ირონიას ვერ ფარავდა მარქსიზმ–ლენინიზმის იდეების მიმდევარ, მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიით მცხოვრები ადამიანებისადმი: „კომუნისტურ მანიფესტის“... ამ წიგნიდან კლასის სრული ხმა გვესმოდა... „კომუნისტურ მანიფესტით“ ვიზრდებოდით ყველა. ჩვენთვის წიგნად ისევ დარჩა „კაპიტალი“. ვინ არის, რომ გზას არ შეცდეს, როს წვიმაა, თუ ქარი–კომუნისტურ მანიფესტის“ იხსნის თითო პწარი“ (1, 261).

უნუგეშობას თესავდა რევოლუციის შედეგები, მოდიოდა სულის ზამთარი, სიცივე, ბოროტი სულის თარეში, დიდი, კოსმიური სიცივე: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად, მე სიხარული მათი მოსვლით არ მეღირსება. თქვენგან სიცივე და თარეში სულის ბოროტის. დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“ (5,775).

ლექსში „ჩამავალი მზის ფერადი კიდევ“ მეორე მსოფლიო ომის წინაგრძნობას გვიმხელს: „ჩამავალი მზის ფერადი კიდევ, ჩემს ხსოვნაში არ ნაშლილხარ კიდევ. თითქოს იქ, შორს, სამი დღეა იწვის მშვენიერი მწვერვალები წივის. ვეკითხები ხეთაშენთა ფოთოლს: რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს? ეს უბადლო საღამოა მთაში,

მართლა ცეცხლი რომ დაინთოს, მაშინ? ჩამავალ მზის ფერადების მორევს იგი ცეცხლი შორით უამბორებს"...(5, 600).

„ჩვენ პოეტები საქართველოსი" (5, 224) ახალი ქარების, გააფთრებული ომის, „მწარე წერის" მოლოდინია და პოეტი მოუწოდებს თანამოკალმეებს: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი".

სამართლიანად მიუთითებს პროფესორი დავით თევზაძე, რომ ლექსი ქართველ პატრიოტთა 1924 წლის აჯანყებას ეძღვნება და „ახალ გრიგალებში" არა რევოლუცია", არამედ დამოუკიდებლობა, თავისუფლება", ხოლო „სისხლიან ანგელოსში" (სამშობლოსთვის თავშეწირული პატრიოტები იგულისხმება. (დავით თევზაძე, გალაკტიონი, რევოლუცია და აგვისტოს აჯანყება (8, 252-268).

წინაგრძნობის მუხტს, ინფორმაციის შემკრებს პოეტისათვის ბუნება, მთა თუ ხეხილი წარმოადგენს: „... ქვეყნად ბნელოდა,მთა მოიკუპრა, წინაგრძნობებით თრთოდა ხეხილი" (ზღვა ზღვა, მთა–მთა (1, 353).

აკაკი წერეთელმა ურწმუნოება ხოლერას შეადარა („ხოლერა") (9, 278). ალმერ კამიუმ „შავი ჭირის" სახეში გაიაზრა ფაშიზმი (10) გოდერძი ჩოხელმა ცოფის გადამდებ სნეულებად აღიქვა საბჭოთა სინამდვილე (11).

გალაკტიონმა ხოლერის, ჭირის ბაცილის, შავი მზის, ჩონჩხების ყორნის სახეში განჭვრიტა სიკვდილის მომტანი ბოლშევიზმის საშინელებები, რეპრესიები და ტოტალური დაღუპვის შიშით შეძრა მკითხველი, რათა მას ბოლომდე გაეცნობიერებინა დაღუპვის საფრთხე, ხმა აემაღლებინა ეპოქალური უბედურების წინააღმდეგ: „ქალაქში შიშია. ქუჩებს და მოედნებს ბურჟედ და მოლიერად მოედო ხოლერა. და თეთრი ეტლები მიჰქრიან, სკდებიან ეტლები. მე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად. ცხედრები, ცხედრები. ხოლერა, ხოლერა და როგორც მხედრები, როგორც ცა იერად, მეწყერად, სამუმად გვედება ეს ჭირი. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია. ნიავიც სავსეა ხოლერით. მეეზოვეს, რომელსაც თითი არ სტკენია, მთავრობამ ზედ კარზე კირი მიუყარა. და, შემდეგ (ჯანმრთელი) გაგზავნა იმ ეტლით! ამაოდ ტანჯული უცხადებს ექიმებს : – მე ავად არა ვარ. ვინ მოვა მსაჯულად, არავინ. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია! ნიავიც სავსეა ხოლერით! მთვარესაც ედება ბაცილა. ხეებიც ხმებიან!...გადადგამს ერთ ნაბიჯს სრულიად ცოცხალი და უცებ ეცემა".

მომავალი ტრაგედიის წინაგრძნობა კიდევ უფრო მძაფრ სახეებს იღებს: „ოპერაში მე ვხედავ, გადასძვრათ მსმენელებს ტყავები თავების სარქველიდან (ეს ხდება უეცრად). დადიან ჩონჩხები.

ხოლერა, ხოლერა... ქალაქს დაღუპვა ელის. შავი აჩრდილი წუხს: დაღუპვა ელის. ტკივილებით გამწარებული ღრღნის მიწას... ეძახის, ვინ ისმენს, არავინ, არავინ. ის იღუპება! რაა ყორნის ხმა? რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?"(შიში) (5,215).

1916 წელს დაწერილ „კოშკში" პოეტი წინასწარ გრძნობს ისედაც დაჩაგრული ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფრთხეს, ქრისტიანული რწმენის უარყოფას. „შიშის ლანდი უზარმაზარი", რომელმაც კოშკის ძველისძველ ფოლიანტზე რაღაც დაწერა, მეფე ბალთაზარის ლხინს გაგვახსენებს ბიბლიიდან, როცა უცნობმა ხელმა სამი სიტყვით ამცნო იქ მყოფთ ბაბილონის დაცემა და ბალთაზარის სიკვდილი (დანიელ წინასწარმეტყველი, 5,1-30) (6,252-253).

„კოშკში" „ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული". ვფიქრობთ, კოშკი მარიამის სიმბოლოა, სიყვარული – ქრისტესი.

პოეტი ამბობს: „მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული" და ეს განცდა უტყუარი აღმოჩნდა, მოწმე ვხდებით იმისა, რომ „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული" (5,266).

1942 წელს ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს წინასწარმეტყველებდა: „ვერ შესძლებს მტერი, რომ ჩააქროს ახალი ალი, ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო და მომავალი" (არაგვის ქარი) (7,66).

პოეტს ხიბლავდა „მთავარსარდლის შორსმჭვრეტელი მზერა" (სამშობლოსთვის არის იგი მღერა) (7, 122).

პოეტების მეფის გული ინტუიციით აგნებდა აზრთა მდიდარ სალაროს, იზიდავდა მხოლოდ სასპასალარო ასპარეზი: „გულით ვგრძნობ ყოველ მდიდარ სალაროს, ვხედავ ასპარეზს სასპასალაროს" (გულით ვგრძნობ) (7,323).

ჯერ კიდევ 1930 წ. გრძნობდა ახალი ომის საშიშროებას: „მიწას კვლავ ეფინება, როოგორც გზა და დროება, იმპერიალისტური ომის საშიშროება... ილესება დანებად რკინა უზარმაზარი, მოაქვს სისხლის მორევი და სიკვდილის მონება, უძლეველი ტექნიკის მწარე გამოგონება, რათა სატანიური ცელით მიწა ათიბოს, რათა ასისხლებული მხრები მოიქათიბოს, მოსპოს, გაანადგუროს, რაც ქურა და ძნებია, რაც კი მრავალი წლობით შრომას უშენებია" (მიწას კიდევ ეფინება) (1, 138).

გ. ტაბიძის წინასწარმეტყველური ხილვების ერთი ციკლი მსოფლიო მოვლენებს უღრმავდება. პოეტი გრძნობდა „ავდრის მოლოდინს", „კოსმიურ სიცივეს", „მსოფლიოს გამოუცნობ წყლულებს", „პლანეტათა ქვითინს", პლანეტათა შეჯახებას, მზის ჩაქრობა–გარდაცვალებას, მსოფლიო ომის საშიშროებას, მსოფლიო ნგრევებს (კოსმიური ორკესტრი, 1926წ.)

გალაკტიონის წინასწარმეტყველური ინტუიცია უპირატესად მომავლისკენ არის მიმართული, ის არის „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი", სულიერების, მწვერვალებისკენ ზეასვლის საფუძველია კიბე (მარიამის სიმბოლოა) და წიგნი (საღმრთო სახელია), ხოლო ეს რელიგიური წვრთნა სკოლის მერხიდან იწყება: „უმშვენიერეს კიბეზე უეცარ ფიქრით შევდექი, ბრწყინავდა მარმარილოთა ზეასვლა შემდეგ–შემდეგი. უმშვენიერეს კიბეზე, ვთქვი: ნათელ საფეხურებით იწყებენ სკოლის კიბიდან, წიგნით რომ მივეშურებით. აქ, ამ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი. ურთულეს ბრძოლის მიზანი – საკაცობრიო იდეა–იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა" (უმშვენიერეს კიბეზე) (1, 209-210).

პოეტს აინტერესებდა წარსულით გაპირობებული აწმყო და დღევანდელობიდან ამოზრდილი მომავალი: „...დე, ჩნდეს ხელი-ხელგადახვეული წარსული, აწმყო და მომავალი " (ჩემს ყრმობის ხანში) (5,667).

რეზიუმესავით ჟღერს სამი დროის ურთიერთმიმართების მაუწყებელი სტრიქონები: „ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას კარგავს, კარგავს დღეის დღეს, კარგავს ხვალის გზას, გუშინდელი დღე დღევანდელს არ ჰგავს, დღევანდელი ცა გრძნობს ხვალინდელ ცას" (ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას კარგავს) (5, 796).

„წარსულთან უახლესი გზების გადაწიგნვა" ნათლად წარმოაჩენს პოეტის ორიენტირებას (მოვიარე გზის არე) (7,634).

გალაკტიონს ახასიათებდა „ოცნებათა შემოწმება", გათვლა, გაანგარიშება: „მრავალ ახალ კარგს მომიტანს ოცნებათა შემოწმება" (მთვარის ნაამბობიდან) (5,603).

მომავლის განჭვრეტას ემსახურებოდა პოეტის შემოქმედება: "ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი" (5,508).

პოეტების მეფისთვის „დროთ საზღვარს იქით" მოლაპარაკე და „წინასწარმთქმელია" ძეგლიც (ბაღთან ძეგლია) (5,568).

გალაკტიონი „ხვალის", „ზეგის" სახის ამოცნობას ცდილობდა დღევანდელობიდან: „დღეს ყველაფერი სახეა ხვალის, აქ ყველაფერი სახეა ზეგის" (სიმფონია მცენარეების) (4,362-363).

„ძველი წიგნის" დაცვის გზით, წარსულის შეცნობიდან მიემართებოდა მომავლისკენ": ჩვენ იმიტომ ვსწავლობთ, წარსულს, რათა შევქმნათ მომავალი" (ძველი წიგნის დაცვა) (7,325).

გალაკტიონის დაუბეჭდავი ლექსის „საქართველოს" წინასწარმეტყველურ სტრიქონებზე ყურადღებას ამახვილებს აკაკი ბაქრაძე: „დადგება დრო, უფროსი ძმა უმცროსს ველარ უბატონებს, გწამდეთ ყველას, საქართველო კვლავ თავის თავს უპატრონებს" (12, 290).

გამუდმებით მერმისისკენ იყოს პოეტის იმედები მიპყრობილი: „...მერმისს, ტკბილი ივერიის ზეცავ, მშვენიერზე მშვენიერო, მერმისს! (ერთს უბეში შენი წიგნი უბის) (5,691).

„მომავალის აჟღერებით ულერს ჩემი ქნარი"–ეს ერის მესაიდუმლის მისიაა.

„ვინა თქვა, რომ საქართველოს ბედით კარი დარაზოდეს? მისი წინსვლა არ შედგება არასოდეს, არასოდეს" (სიმღერა სამშობლოზე) (5,691), ასეთია პოეტის რწმენა.

ზამთრის, თოვლის, ავდრის, ყინვის სახეთა გამოყენებით, თეთრი, მაგრამ გაყინული გულის, გაყინული ცის, გაყინული მხედრის საშუალებით ქმნიდა თოვლიან–ყინულიანი მონსტრის ოდიოზურ სახეს, ამხელდა ჩრდილოელი მეზობლის ღალატთა სერიებს (გული გრძნობს, სამრეკლო უდაბნოში, სამშობლო ლიუციფერის, მშვიდობის წიგნი), ზარავდა „საუკუნეთა თოვლი", მაგრამ სჯეროდა გათოშილი იმპერიის თოვლ–ყინულის გადნობის: „...საუკუნეთა თოვლო ითოვლე! მაინც დადნება ეგ ნათოვლარი"! (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე) (1,374).

„მახაჯირში" წინასწარმეტყველებდა: „გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით".

გალაკტიონს ესმოდა მსოფლიო „ბაგეთ გოდება", მსოფლიო მღელვარება", იგი მიმართავდა მსოფლიოს, საუკუნეს, როგორც „ეპოქის გედი", საუკუნის პოეტური კულტურის საჭეთმპყრობელი. მარსზე იდებდა ბინას მისი გამორჩეული ფიქრი („მარსი").

მსოფლიო მოვლენების ცენტრში მყოფი, ელოდა იდუმალს, ეზმანებოდა „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების", სიმშვიდეს ანიჭებდა უზენაესთან სიახლოვე („რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს").

გალაკტიონმა „ყველა პოლუსი" მოიხილა, „ყველა სიმზე" დაკვრის ნიჭით მომადლებულმა თავისი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ რუკაზე, ყველა განედი დაზვერა: „ო, ძეო დილის, აწ განვლის, გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის" („ნიავი. ია. ნარგიზი").

არც მაიას ქვეყანა, ჰიმალაის მთები და შამბალა დარჩენილა მისი შთაგონების გარეთ.

თავისუფლებაწართმეული ქვეყნის შვილმა ქართული სიტყვა, ქართული სული საკაცობრიო მასშტაბებს აზიარა, „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები" ასწია და თამამად გაუსწორა თვალი დედამიწის არსებით პრობლემებს: „ამ ტომებს ბრიყვისას მე რა წამაკითხებს, ისედაც კარგად ვჭრი მსოფლიო საკითხებს".

პოეტს იტაცებდა ყველაფერი მასშტაბური, უსაზღვრო, კოსმიური: კოსმიური ორკესტრი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური ჰარმო-

ნია, შეიგრძნობდა „კოსმიურ სიცივეს“, აწუხებდა „მსოფლიოს გამოუცნობი წყლულები“.

მამულის ბედს მსოფლიოსთან კავშირში გაიაზრებდა: „საკითხი, რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში, სამკვდრო–სასიცოცხლოა საქართველოსთვის“ („პოეზია უპირველეს ყოვლისა!“).

გლობალიზაციის საფრთხეც არ რჩებოდა შეუმჩნეველი, თუმცა „აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლის“ აუცილებლობაში რწმუნდებოდა და ეს ბორკილების მსხვრევის გზად ესახებოდა.

მსოფლიო სახელებთან (დანტე, შელი, ბაირონი, ვერლენი, ბოდლერი, რემბო, გოტიე, ედგარ პო) ახსენებდა რუსთაველს და დარწმუნებული იყო ქართული გენიის მარადიულობაში: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს“(„პოემა ვეფხვისა“).

ტოლივით ეპაექრებოდა საკაცობრიო რანგის შემოქმედთ, მათ გვერდით „ოქროს ნავში“ გრძნობდა თავს, რადგან ჭეშმარიტმა დიდოსტატმა თვით დაამკვიდრა ახალი ტრადიციები და „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებით „გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“ (კ. გამსახურდია).

გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მინის კალთა, ეს ბედისწერა იყო, რადგან, მისივე თქმით, პოეტი არის „მსოფლიო ძალა უგეში“ („პოემა ვეფხვისა“), მაგრამ აწუხებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული“.

წინასწარმეტყველური ინტუიციით გრძნობდა სიკვდილის მომტანი დემონის, ლუციფერ– მეფისტოფელთა, წითელი გველეშაპისაგან ხელდასხმული მხეცების, სატანისტური რევოლუციონერების დამღუპველ საქმიანობას თავის ქვეყანაში და მსოფლიოს ყურადღების მიქცევას ცდილობდა: „... და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი. დიდი ხანია იქცა არარად და დახარხარებს მეფისტოფელი“ („ეს შეღამება“).

აფთარ–ნადირთა საბატონო სამშობლოს კატაკლიზმებზე, ბოროტების იმპერიის საფრთხეზე მიანიშნებდა მსოფლიოს („ცეცხლი, მახვილი“). წითელი ქარისაგან იავარქმნილი ქვეყნის ნამდვილ სახეს უჩვენებდა კაცობრიობას და გაბედულად მიმართავდა: „წყნარად მსოფლიო! წინ მსოფლიო! მსოფლიო ჩუმად!“ („ქარი, ამწევი ფარდის“).

მისი სიტყვის ადრესატი იყო მსოფლიო, საუკუნე, საუკუნეები, უსაზღვროება, კოსმოსისკენ მიმართავდა მზერას, აძრწუნებდა „დიდი სიცივე“, კოსმიური სიცივე, მარადიული ზამთრის მუქარა („ზამთრის დღეები“), „ავდრის მოლოდინი“, მსოფლიო კატაკლიზმები და მასშტაბურ ნგრევას წინასწარმეტყველებდა: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“ („კოსმიური ორკესტრი“), შეიგრძნობდა მსოფლიო ომის მაუწყებელ ქარს...

პოეტს არასოდეს არევია ერთმანეთში „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“, კოსმიური, მარადიული და ეფემერული. იგი პროლეტარულის, პრიმიტიულის, უსახურისგან განასხვავებდა ნამდვილად რევოლუციურ ხელოვნებას, მიესალმებოდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“: „აქა–იქ რაღაცას შურდღულობენ პროლეტარულ პოეზიაზე, აქა–იქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მხრით რატომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონტრევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?“ (13,452).

გალაკტიონი წუხდა „სიცივით და რევოლუციით გაყინულ ხალხზე„ (იქვე 259) ლენინიზმს კი სატანისტურ მოძღვრებად მიიჩნევდა. შიმშილის, სიცივის, დევნის, გაუტანლობის დემონი, რომელიც ამგზავრებოდა მის თანამედროვეობას, მთელ მსოფლიოს დაანახვებდა შავი ფერით: „სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე. ეხლანდელი სინამდვილე კი... განსაკუთრებით ჩემი... ღმერთმა შეარცხვინოს. მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით“ (იქვე, გვ. 457).

ემიჯნებოდა „ქვეყნიურ ყალბ ენამჭევრობას“, დემონურ, საშინელი ბეჭდით დაღდასმულ შეთქმულების წევრებს („ენა მშობლიური მინის“)

პოეტმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების, ულობო, უკარო ინტერნაციონალური ქვეყნის შექმნის იდეა, რაც ჩვენს „უფროს ძმას“ ეკუთვნოდა, ხოლო საერთაშორისო არენაზე მომძლავრებული მასონურ–კოსმოპოლიტური მოძღვრება, ერთა ლიგა პატარა ქვეყნების საშიშროებაზე დუმდა და ამით „გადამთიელი გადიის“ წისქვილზე ასხამდა წყალს.

პოეტი ხედავდა, რომ ეროვნულ გრძნობას მოკლებულმა რევოლუციონერებმა შეგვიქმნეს ტერიტორიული და დემოგრაფიული პრობლემა და უჭიშკრო ეზოს, ღია კარების ჩვენებით გამოხატავდა ეპოქის სატკივარს: „...ბნელა, ეზო ჰგავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს“... ბჭე უსაზღვროა სოფლის მძინარის,... ის ხედავს კარებს გადაუკეტავს“ („მშვიდობის წიგნი“).

თითქოს დღევანდელ სატკივარზეა დაწერილი.

კარი, ჭიშკარი ქრისტეს სიმბოლური სახელია („მე ვარ კარი ცხოვართა“, იოანე 10,7), ხოლო ეზო–მარიამის (14,122).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, წიგნი 2, თბ. 1994.
2. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.1, თბ. 1993.
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.3, თბ. 1993.
8. დავით თევზაძე, საუკუნის თვალით, თბ., 1994.
9. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 18 ტომად, ტ.2,თბ. 1992.
10. ალბერ კამიუ, „შავი ჭირი“ ფრანგულიდან თარგმნეს გასტონ ბუჩიძემ, კოტე ჯავრიშვილმა, ნესტან იორდანიშვილმა, თბ. 1988.
11. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ. 1988.
12. აკაკი ბაქრაძე, თხზ. ტ. III, 2004.
13. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, 1992.
14. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996

სიკვდილის წინაგრძნობა

გალაკტიონმა შექმნა განგების შთაგონებული „შავი წიგნი“, რადგან ხელეწიფებოდა როგორც ანგელოსის, ისე სიკვდილის აჩრდილის ხილვა. უფლის ნებით გადაიშალა პოეტის სიცოცხლის წიგნი და „შავი წიგნი“, როგორც აპოკალიფსში.

ხალხში უძველესი დროიდანვე არსებობდა რწმენა სიკვდილის მოახლოებაზე მიმანიშნებელ მოვლენებზე, როგორიცაა ყორნის ხმა, სიკვდილის ცელი, მახინჯი ჩონჩხის მოლანდება, ჭოტის კივილი, ძაღლის ყმუილი.

ეს ავბედობის მაცნეები გალაკტიონის პოეზიაშიც გვხვდება.

„რას ნიშნავს ყორნის ხმა, რას ნიშნავს ვაზა გატეხილი? – შეშფოთებით კითხულობდა მისი პოეზიის ლირიკული გმირი.

ედგარ ალან პო, გვიმხელს რა „ყორანის“ შექმნის საიდუმლოებას, წერს: „ყორანის“ კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური. ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული“ (1,159). ამის მიუხედავად, ყორნის პასუხი ლირიკული გმირის ყველა კითხვაზე, რაც

მომავალს შეეხება, გამოხატულია საბედისწერო სიტყვით – „არა-სოდეს,", რაც უბედობის წინასწარმეტყველებაა.

ამიტომ წერდა პოლ ვალერი: „ედგარ პოს შემოქმედებაში შერწყმულია „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა (2,25).

ბარათაშვილის „თვალბედითი შავი ყორნის" ჩხავილიც მომავალში დაღუპვის წინასწარმეტყველებაა.

გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებით შთამბეჭდავია ტრაგიზმის მომტანი "მახინჯი სახე" და „ყრუ საუბარი".

ლექსში „ედგარი მესამედ" ორთა შორის ჩამდგარი „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი" არის სიკვდილის აჩრდილი, ხოლო „ყრუ საუბარი" პირდაპირი გაცხადებაა მოსალოდნელი უბედურების: „და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი: საცაა მოვა სიკვდილის წამი. ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი და მივდიოდით ტაძრისკენ სამი" (3,75).

ჩონჩხების „სასიკვდილო მახვილებია" ლექსში „რაც იქნეს, იქნეს".

„ახალ მოსახლეობაში" „ვიღაც მახინჯი", ეპატიჟება ლირიკულ პერსონაჟს „იდუმალ ქვეყანაში".

პოეტს „სიკვდილის ხელი", „მწარე ხმა" აგრძნობინებს მოახლოებულ უბედურებას: „თითქოს კედელთან დამენახოს სიკვდილის ხელი... რაღაც მწარე და საოცარნი ხმანი ისმიან"...

ჭოტის კივილი, ძაღლის ყმუილი შემაძრწუნებელ გაფრთხილებად ისმის: „ეზოში სამჯერ იკივლა ჭოტმა, ზარით აზმუვლდა ბებერი ძაღლი („ცხრაას თვრამეტი") (3,160).

„სიკვდილის ხველა", „სიკვდილის კვნესა" ისმის ლექსში „დედა".

„ყვითელ ფოთოლში" „ჰანგი საზარია" ავი წინაგრძნობის ამშლელი.

თითქოს ნიავიც სიკვდილის უცვლელ ზღაპარს უყვება: „ნიავი მითხრობს უცვლელ ზღაპარს, სიკვდილის ზღაპარს".

დემონის ხმაც სიკვდილისაკენ მომწოდებელია: „სამშობლოს, იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი" („მზის სადღეგრძელოს").

სიკვდილის ლანდები, ჩონჩხები გვზარავს ლექსებში: „მაგიდა ალემბიკებით", „საღამო", „სილაჟვარდე", „სტანსები შელლისა".

ალ. ბლოკს ლაბადით შემოსილი ჩონჩხის სახით მოევლინა სიკვდილი („დაცლილი ქუჩა").

მეფე ბალთაზარმა ნადირობის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერით ამცნო მისი და მისი მეფობის აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5,5-30) (4, 252- 253).

სიკვდილის წინაგრძნობით არის სავსე გალაკტიონის „კოშკი", რომელშიც ნგრევის, სიკვდილის მაცნეა „სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული შიშის ლანდი უზარმაზარი", რომელმაც კოშკის კედლებზე რაღაც საბედისწერო დაწერა „გამოუცნობ ნების რკალებით". სანთლის ჩაქრობა უფრო აძლიერებს საშინელ წინაგრძნობას და, მართლაც, „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული".

ამ ლექსში სიყვარულით აშენებული კოშკის დაცემა ათეისტების მიერ ჰუმანიზმის, რწმენის ამოძირკვას უნდა მოასწავებდეს, რადგან სიყვარული ღმერთია („ღმერთი სიყვარულია"– იოანე, I, 4,8) (5,320).

კოშკი მარიამის სახელი უნდა იყოს (იხ.6, 124-133).

სიკვდილის პირას ყოფნა ისეთივე ბუნებრივი მდგომარეობაა გალაკტიონისათვის, როგორც სიცოცხლის სიხარულის განცდა: „ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად".

თითქოს სიკვდილის სხვადასხვა სტატიებიც, წინა ცხოვრების აღსასრულიც უგრძვნია: „მე დავივიწყებ ყველა სიკვდილს, პირველს, მეორეს"... („ქანდაკება").

ცნობილია „სასიკვდილო სარეცლის" ფენომენები, როცა ავადმყოფი ნახულობს ნაცნობის სულს. გალაკტიონი ხედავდა მიცვალებულთა სულებს, სამუდამო მხარის ჩამავალ მზეს (მკვდრის მზეს)... შეცნობის, ახალ სფეროთა მოხილვის სურვილით იტანჯებოდა ქართველი პოეტი, როგორც დანტე.

„რაა სიკვდილი?" სვამდა კითხვას გალაკტიონი.

სიკვდილს ოპტიმისტურად უცქერიან იოგები, რადგან სულს მარადისობის კატეგორიად მიიჩნევენ. სიტყვა „იოგა" ნიშნავს დაკავშირებულს, „მიმატებას". ამჟამად ჩვენ ღმერთს გამოკლებული ვართ, მიზანი ის უნდა იყოს, რომ ჩვენი სიცოცხლე კრიშნას მივუმატოთ, დავუკავშიროთ და მაშინ სიცოცხლის ფორმა სრულყოფილი გახდება. სხეული სულზე გადაფარებული ღრუბელია, ჩვენ უნდა განვავითაროთ სულიერი სხეული, რათა სულიერ სამყაროს მივაღწიოთ.

ბერძენ ფილოსოფოსებს სწამდათ სულის მარადიულობა.

სოკრატე ეუბნებოდა პლატონს: „მე არ გამიკვირდება, მართალი რომ აღმოჩნდეს ევრიპიდეს სიტყვები: „ვინ იცის, სიცოცხლეს ხომ არ ნიშნავს გარდაცვლილთათვის სიკვდილი, ხოლო მოკვდინება მკვდარ ენაზე გაცოცხლებას".

„და ბრძენთაგან გამიგონია, რომ ჩვენ მკვდრები ვართ და ჩვენი სხეული სამარეა". („გორგია").

საოცარია ამ აპექტში ტერენტი გრანელის აზრების დამთხვევა ბერძენთა შეხედულებებთან: „ჩემი სამშობლო ხომ სამარეა", „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი".

გოეთე ეკერმანთან საუბარში ხაზს უსვამდა სულის მარადიულობას: „სულაც არ მინდა დავკარგო ბედნიერი რწმენა უკვდავებისა. მზად ვარ გავიმეორო ლორენცო მედიჩის სიტყვები: „ვისაც სხვა სიცოცხლის იმედი არა აქვს, ამ ცხოვრებაშიც მკვდარია“ (7, 137).

პავლე მოციქული ეუბნებოდა თავის თანამოაზრეებს: „ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“.

„რაა სიკვდილი?“, კითხულობდა გალაკტიონი და მისი პასუხიდან გამოირიცხებოდა ტრაგიზმი: „რაა სიკვდილი?“ გზა, სასაფლაო, სამარადისო ბანგი, ჰაშიში, გვერდაუვლელი, მაგრამ ამაო, უცილო, მაგრამ არა საშიში“.

პოეტის რწმენით, „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში დუმს“.

სიკვდილის მერე რა დარჩა? თუკი „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა, არარაობად შთანთქმულან რიგნი“ და პასუხი ასეთია: „რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

გალაკტიონის თქმით , „სიკვდილს ვერავინ ვერ მოატყუებს“. მთავარია, ადამიანს სიცოცხლეშივე ახსოვდეს სიკვდილის არსებობა, რათა ღირსეულად გაატაროს ამქვეყნიური არსებობის დრო, თორემ ფიზიკურ გარსს ვერავინ შეინარჩუნებს: „ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება და ვაი მას, ვის, სიკვდილი სიცოცხლეშივე ავიწყდება“ („მესაფლავე“).

შიშის დაძლევის ფაქტორი სახელოვანი სიცოცხლეა, რომელიც არის გარანტია სულის მარადიულობის“. „სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა. მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის სიკვდილს, როს ჰგავს და უარესია“ („ნეაპოლში“).

ლიტერატურა

1. ედგარ ალან პო, კომპოზიციის ფილოსოფია, „კრიტიკა“. 1984,№3
2. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული 1989
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები. თბ. 2009წ.
7. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, 1988

ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება

გალაკტიონი ხედავდა სულს: „მე დავინახე მცურავი სული" („გრიგალი").

ხედავდა „იქაურ ცას", ანუ უმაღლეს ცას – ღმერთების სავანეს, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი", ეწოდება: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით" (გობელენი) (1,72).

პოეტი ხედავდა „სხვისთვის უხილავ–ფარულს".

„უხილავი" და „ფარული" ღმერთია.

პოეტების მეფეს მომადლებული ჰქონდა განსაკუთრებული ხედვა ანუ სულის თვალი, ამიტომაც ამბობდა: „ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!" (ეს იყო ოქტომბრის დამლევს (1,334).

მომავლისკენ იყო პოეტის სულის მზერა მომართული: „მიუსყიდველი მომავალის შემგრძნობი სვეტის, ბრძოლებში იყო ბევრის მთმენი გული პოეტის" (1950)(2,264).

პოეტისთვის მთავარია გრძნობა, ცნობა სიცოცხლის თუ ტრფობის: „... ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო, ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო" (საღამო)(3,11).

დაკვირვება, განსჯა, ანალიზი, აი წარმატების, მომავალში ჭვრეტის საფუძველი: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე" (დღეთა გარდასულთა) (3,119).

პოეტის დევიზია: „იცანი ყველა საამქვეყნო მიწა და მტვერი" (ერთი სახე და ერთი ფერი) (3,104).

გრძნობით, გონებით ჭეშმარიტების წვდომა იყო პოეტის იდეალი: „იგრძენ, რაც კი შეიძლება ქვეყანაზე გულმა იგრძნოს, იცან, რაც კი შეიძლება კაცმა ქვეყნად გამოიცნოს" (მეშჩანური გული)(3,108).

ეჩვენებოდა უწმინდესი, უდიადესი ცა, ანუ ღმერთების ზეცა, ლანდივით ნანახი ჰქონდა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები" („დომინო) (1,115).

ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა (4,124), მოლი გრძნეულების ჯადოსნური ბალახი.

„მოტეხილი ზაფხული" – უარყოფილი ღმერთია, რადგან ზაფხული საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე" (ფს.65,12) (5,273).

საერთოდ, „დომინოში" მოაზრებულია სატანისტური იდეოლოგიის ჩრდილოელი მეზობელი, აღმოსავლური ყრუ ბაითის სახით მუსულმანური სამყარო, მართლმადიდებლობის შემრყვნელი,

გრძნეულება და ჯადოსნობა (ანუ ბეჭდის თვალში მოლები), ახალი კერპების ძიება კი უარყოფილია და ლექსში კანკელი აღიმართება. დომინო – თვით ავტორია, ქრისტეს მებაღე, მართლმადიდებლობის მცველი და მისი გამოჩენით სრულდება ანტიქრისტიანული ვაკხანალია.

„დომინოში“ პოეტმა ამხილა ეპოქის ურწმუნოება და იწინასწარმეტყველა ღმერთისკენ მიბრუნება.

ახალი სხივის ამოსვლას, ანუ ღმერთის (სხივი ძე ღმერთის სახელია) მოვლინებას, წყვდიადის კიბის დამხობას და „სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების კიბის“ (კიბე მარიამის სიმბოლოა) აღმართვას წინასწარმეტყველებს პოეტი ლექსში „ქალაქთა ბნელთა“ (1,703).

1915 წელს განიცდიდა „ტრფობას სრულის“ (ღმერთის), იმ სიყვარულის „სიყვარული (საღვთო სახელია) უგულებელყოფის სიმწარეს (მიმღერე რამე) (3,11). ენატრებოდა „ნუგეში“, „სხივი პირველი“ (ნუგეში, სხივი ღმერთზე მიანიშნებს) – ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში (3), შფოთავდა „უკანასკნელი სიყვარულის“ (ღმერთის) დავიწყების გამო (უსიყვარულოდ) (3,19), ეძებდა „წმინდა ცას“ (გრძნობათა ფერფლი) (2, 8). ყვავილებს – რწმენას (ელეგია) (3,23), მიუწვდომელ სანთლებს (სანთელი საღვთო სახელია) (სანთლები) (38), ცდილობდა ქარში ვარდების გადარჩენას (ლოცვისთვის) (3,85).

„უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ „შავი თოვლივით“ თოვდა „ჭვარტლი“ და ბურუსი თავანის“, სამრეკლოს ჯვარს ყვავები დარაჯობდნენ და თებერვალს უხმობდნენ (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში).

ესიზმრებოდა მზის ჩაქრობა (მე დამესიზმრა) (1 ,77), მზის გახელილი თვალებით სიკვდილი (მას გახელილი დარჩა თვალები) ქიმერებში ჩავარდნილი მზე (თბილისი ღამით), მზე ლანდად ქცეული (სანატორიუმში), მზის ჩასვლა, მთვარისა და ვარსკვლავების გაქრობა, ნისლის მეუფება, სიბნელის გაბატონება (მშვიდობის წიგნი).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი (ფს. 83/84,12).

აწუხებდა იდუმალი სხივის გაუჩინარება, იაგუნდის ჩამქრალი შუქი. შუქი, სხივი ძე ღმერთის სახელია.

იაგუნდი მარიამის სიმბოლოა (4,124).

სწყუროდა ცეცხლი, მაგრამ სახეზე იყო „უეზოო სახლი“ და „უცეცხლო კერა“. ეზოს სახეში ნაგულისხმევია მარიამ ღვთისმშობელი(4,121). ცეცხლი ღმერთის სახელია (6,120).

დამშრალი და ამღვრეული იყო წყარო, რასაც გულისტკივილით აფიქსირებდა.

წყარო უფლის სახელია: „სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან“ (ესაია, 12,3) (7,82).

ათეისტურ ეპოქაში დავიწყებული იყო ღმერთი – სიყვარული (იოანე, I,4,8).

პოეტმა შექმნა დალეწილი, დამსხვრეული, განადგურებული ხომალდების, გემების, ნავების რექვიემი, რადგან ნავით, გემით, ხომალდით არის შესაძლებელი ცოდვილი ცხოვრების – ზღვის გადალახვა. ნავი, გემი, ჯვართან ერთად, „ზღვის გადასალახავი“ „ტრანსპორტია“.

თვით გალაკტიონი არასდროს წყვეტდა უზენაესთან კავშირს და ზღვის წარმატებით გადავლას ყოველთვის ახერხებდა (გადავიარეთ მრისხანე ზღვები), მაგრამ მას ადარდებდა ათეიზმისგან დასნებოვნებულთა ბედი, რომლებიც ცოდვის ზღვას ჩაენთქა.

პოეტების მეფის წუხილის მიზეზი იყო გამხმარი ვაზები, თოვლიანი ალვები (ვაზები გახმა, ალვები თოვლში). ვაზი და ალვა სიცოცხლის ხის სიმბოლოებია.

გამხმარი ვაზი და თოვლიანი ალვა უარყოფილი სიცოცხლის ხეა, ანუ იგნორირებულ ღმერთზე მიმანიშნებელია.

გალაკტიონი ხედავდა ღმერთის გზისგან გადაცდენას და ამხელდა გზაგამრუდებულებს, თვით კი მუდამ „წმინდა გზის, სანაქებო მზის, ძველი გზის, იისფერი გზის“ ერთგული იყო. გზა საღვთო სახელია.

პოეტი გულისტკივილით იგონებდა თანამედროვეთაგან დავიწყებულ „ნეტარ დღეს“, „ძველ დღეს“, ანუ ღმერთს.

პოეტების მეფეს აღაშფოთებდა „მშვიდობის წიგნის “ დაკარგვა, „ძველი წიგნების“(წიგნი საღვთო სახელია) არეული გვერდები, ანუ უარყოფილი და შერყვნილი რწმენა.

დავიწყებული იყო ცხოვრება (ცხოვრება საღვთო სახელია), ჩამქრალი იყო სანთელი (სანთელი ღმერთის მეტაფორაა), საძიებელი იყო „საბედნიერო სული“ (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში) (დაწვრილებით იხ. ჩვენი წიგნი „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ (თბ. 2011).უღმერთო ეპოქაში პატივი არ მიეგებოდა ქრისტეს დედას – მარიამ ღვთისმშობელს. ჯვარზე იყო გაკრული ელვა, დანგრეული იყო ზეცა, დაკარგული იყო სამოთხე, დაცემული იყო კოშკი, დაჭრილი იყო ღრუბელი, ნიარევი იყო მთა, ბაცილებიანი იყო მთვარე, დაჩრდილული იყო ბეჭედი. მიტოვებული იყო ეზო, თოვლში იყო დაცემული ზამბახები, გაყინული იყო თასი ელვა, სამოთხე, კოშკი, ღრუბელი, მთა, მთვარე, ბეჭედი, ეზო, ზამბახები, თასი მარიამ ღვთისმშობლის სახელებია (იხ. დაწვრილებით: ლ. სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მე-20 საუკუნის ქართული პოეზიაში, თბ.2009).

გაუდაბურებული იყო ბაღი, ანუ გატიალებული იყო უღმერთო სული, რადგან ბაღი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში.

იყო თარეში აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების, დემონების, ბელზებელ–ლუციფერების, სატანების.

პოეტი ავდრით, ზამთრით, უამინდობით, თოვლის, ყინვის ქვეტექსტებით გვამცნობდა ეროვნულ–სარწმუნოებრივ ტრაგედიებს. (იხ. დაწვრილებით „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბ. 2011).

მართალია, ღმერთისუარმყოფელ, სატანისტურ ეპოქაში იცხოვრა გალაკტიონმა, მაგრამ კავშირი არასოდეს გაუწყვეტია უზენაეს ძალებთან, გამუდმებით ესმოდა ზეციური გამამხნევებელი ხმები, ღმერთისკენ მიბრუნების რწმენას უნერგავდა სიზმრები: „მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან, მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ „სიზმარი“. (სიზმარი) (1,76).

ქარში ყვავილების გადარჩენით (ქარი ურწმუნოება, ყვავილი – ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა) ალვის ხის გადარჩენით (ალვა საღვთო სახელია), მუხების გადარჩენით (მუხა ერის სულის სიმბოლოა) მიგვანიშნა ეროვნული რწმენისკენ მიბრუნების და სულის განწმენდა – გასპეტაკების პროცესზე.

მშვიდობის წიგნის და მშვიდობის გზის სახეებით გვიჩვენა რწმენის მარადიულობა: „სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის. მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

გალაკტიონის შემოქმედება იყო „სიყვარულის სიმღერა“. სიყვარული ღმერთია (იოანე 1,4,8).

პოეტი ქმნიდაა ლოდინის სიმღერას, სჯეროდა „შორი გაზაფხულის“ „გამობრწყინების (სინამდვილეში ოცნებისას) გაზაფხული, ზაფხული საღვთო სახელია (ფს. 64,12).

ყვავილის ქარისგან გადარჩენა რწმენის შენარჩუნებას ნიშნავს და ეს იყო პოეტის უმთავრესი მისია (მე ამ ყვავილებს).

პოეტს თან სდევდა ნუგეშის ღმერთის სახე (სხვაგან სადაა?)

მზის გარდაცვალებას და ჩაქრობას აფიქსირებდა, მაგრამ თვით ყოველთვის მზითმოსილი იყო და სჯეროდა სიმართლის მზის მარადიულობა (რა დამშვიდებით გადავცქერი).

სიხარულით ეგებებოდა გაზაფხულს (ფანჯარას ტოტებს მიახლის).

ალვის ხის გადარჩენით მიანიშნებდა ქრისტესკენ მობრუნებას, რადგან ალვა საღვთო სახელია.

პოეტი უმღეროდა რწმენის გადარჩენის ბედნიერებას (არ დაღუპულა). კაკლების, მუხების გადარჩენით ერის სულის გადარჩენაზე მიანიშნებდა (მუხები).

„ქუხილო, გელით“ გვიჩვენებს რწმენის წყურვილს და მოლოდინს, რადგან ქუხილი ღმერთის სახელია.

„ახალი ყოფნის“, განახლების, „აღდგომის კვალის“ ანუ რწმენისკენ მობრუნების მოლოდინია ლექსში „ახალ წლის ღამეს“.

„შუქმიუვალ დღეებს“ შეენაცვლებოდა „ედემთა მსგავსი დღეები“, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები“ სწამდა პოეტს (ყოფილა მწარე დღეები).

მარადიულია „სიცოცხლე“ (ღმერთის სახელია), ვისაც მოაქვს სულის გადარჩენა (ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული).

გალაკტიონმა უმღერა „გათენებას“, „ალიონთა სიხარულს“, ცისკარს, (ალიონი მარიამის, სიხარული და ცისკარი ქრისტეს სახეებია).

პოემა „მშვიდობის წიგნი“ უღმერთო არსებობის კატაკლიზმებს უღრმავდება და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი რწმენის მიგნების, ერის საზრისის ძიების, სულის გადარჩენის ჰიმნია, პოეტს ესმოდა „შორის ძახილი“, რომლის სახელი „განთიადია“(მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის პოეზიაში ისმის „გადარჩენის ჰიმნი“, პოეტი უმღერის „გადარჩენის ბედნიერებას“, „საუკუნეთა თოვლის“ დადნობას (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

ხომალდის გრიგალისგან გადარჩენაში რწმენის გადარჩენა იგულისხმება (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ).

თვით პოეტის შემოქმედება იყო ეპოქისეული წარღვნის – ბოლშევიზმის მომაკვდინებელი ბაცილებისგან გადარჩენა, სულის ზრდის, სულის განწმენდის დიდი მისიის აღსრულება.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებან 5 ტომად, ტ.3,თბ. 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე თბზ. 5 ტომად, ტ.1, თბ. 1993
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ტიტე მოსია საღვთო სახისმეტყველება თბ. 1996
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

საკუთარი პოეტური მომავლის განჭვრეტა

გალაკტიონ ტაბიძემ უცდომლად იწინასწარმეტყველა საკუთარი პოეტური დიდება.

„უდიდესიკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული" – ამბობდა პოეტი და ეს „უდიდესი" ღმერთია.

მისი დევიზი იყო განახლება, საკაცობრიო გზის გაგნება: „განახლებისკენ, განახლებისკენ, მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული, საკაცობრიო გზათა ბრძოლაში სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული" (1, 137).

იგი პოეზიაში კლონდაიკს, ანუ ოქროს საბადოს ეძებდა: „უნდა იპოვო ის კლონდაიკი, იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი"(ო, ჩემო ჩანგო) (1,14).

„ურთულეს ბრძოლის მიზანი–საკაცობრიო იდეა – იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა", წერდა ლექსში „უმშვენიერეს კიბეზე" (1,209-210).

ჯერ კიდევ 1915 წელს „პოეტების მეფის" გვირგვინი ეზმანებოდა (მთაწმინდის მთვარე") (2,66-67).

ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი" დარწმუნებით აცხადებდა: „ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე, ოდესმე!" (2,74).

ამაოების დამარცხების უნარი აღმოაჩნდა, უდიდესი პოეტური ძალისხმევით გაუსწრო დროს და გააღწია მომავალში: „... გადავარღვიოთ სივრცე, დროება... ვერას დაგვაკლებს ამაოება" (სიახლე დღეთა ესევითარი) (2,740).

ლექსში „1950" შეჰხაროდა „უდიადეს მომავალს (2,741).

ჭეშმარიტება იყო პოეტის განაცხადი: „...ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით" (იდეა) (2,575).

მომავლის ძეგლებს წინასწარ ჭვრეტდა: „ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი აღიმართება მშობლიურ მთებზე" (ცისფერი) (2,305).

„ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი" მომავალში თავისი ძეგლის წინაშე საკუთარი წიგნებით მოსულ ბავშვებს ხედავდა და სულ სხვაგვარი შეფასების რწმენა ეუფლებოდა: „აქ დაიდმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით. ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი, ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება, სხვა ისტორიის წინაშე მდგომი აქ სხვანაირად აღიმართება... ოჰ, მომავალი, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები", (სტანსები) (2,633).

გალაკტიონი განსაკუთრებით უცდომელი იყო მომავალში გასაღწევი გზების განჭვრეტაში, საკუთარი პოეზიით დამკვიდრებული სიახლეების შეფასებაში. მისთვის მხატვრული სიტყვის სიდიადის საზომი იყო „დროთა ქროლამდის" ამაღლება, რის ნიმუშა-

დაც, უპირველესად, საკუთარი პოეზია ესახებოდა: „კოშკი ჩემი მაღალი ადის დროთა ქროლამდის" (სანამ არ დამსხვრეულან) (1,291).

მართალია, გალაკტიონი ადრეულ ეტაპზე აფასებდა ბოდლერს, შელლის, ჰიუგოს, მიუსეს, ვერლენს („დაღუპულ მამას"), მაგრამ როცა თვით „გადააჭარბა, შორს გადააჭარბა თავის მასწავლებლებს" (კ. გამსახურდია), დადგა ახალი, მათგან განსხვავებული გზით სვლის დრო, ამასთან, ტექნიკის, მეცნიერების განვითარებას (აინშტაინს) აღარ შეესაბამებოდა ამ პოეტების რომანტიკულ–სიმბოლისტური განწყობილებანი, რასაც ხაზს უსვამდა პოლ ვალერი (3,121).

იგივეს ფიქრობდა გალაკტიონი: „...გაჰქრა ზმანება, გაჰქრა ფერია, ნუთუ ბოდლერიც არაფერია? შელლიც ჰიუგოს დაემგვანება? მიუსეე? ვერლენ? ღმერთი? კაენი აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში ჩანს აინშტაინი" (თუ ბრძოლა არ არის) (1,377).

მომავალში ეგულებოდა წინაპარი „ერთგული რაინდები" (გაიცქირება მომავლისკენ) (4,31).

არც მაშინ ცდებოდა პოეტების მეფე, როცა „ბნელ ქიმერებში" „ალიონად" გვეცხადებოდა და თავის განსაკუთრებულ შემოქმედებით სითამამეს უსვამდა ხაზს.: „იგი, ბნელ ქიმერებში მიყურებდა–ალიონს, არავის არ შეეძლო ასე გათამამება. ვისაც სურს რომ ყოველი დაფნას გადაალიოს, ტრიუმფი სიხარულის მხოლოდ მე დამანება"(ბნელ ქიმერებში) (1,32).

გალაკტიონი ღმერთისგან იყო პოეტად ხელდასხმული, „ზეცაზე ახალი კართაგენის" აგების მისიით: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები" (ეფემერა) (4, 322).

„ჯვარი და გვიანი მტევნები", „დიდი საიდუმლო", „წმინდა ემბაზი" იყო მისი წინამძღვარი პოეზიის ურთულეს გზაზე...

გვიანი მტევნები, როგორც ზეცის ვაზი, ვენახი, საღვთო სახელია და მომდინარეობს სახარებიდან: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა" (იოანე), 15,1) (5,213).

ძველი, დაწმენდილი ღვინო ქრისტეს სიმბოლოა (ესაია წინასწარმეტყველი, 25, 6) (6,91).

საიდუმლო, დიდი საიდუმლო ღმერთის სახელია.

„დაუჯდომელში" მარიამ ღვთისმშობელი ფიგურიგებს ემბაზის სახით: „გიხაროდენ, ემბაზისა მიმსგავსებისა გამომხატველო" (7,9).

პოეტების მეფეს, რომელსაც ცხოვრებაში ჯვარცმის ეკლიანი გვირგვინი ედგა, „ღამეების შავი გუგუნი" ესმოდა, „შავი ცეცხლი" აწამებდა, მხოლოდ მომავალი დიდება ეიმედებოდა, თანამედროვეთაგან სიყვარულს და თანაგრძნობას დანატრებულის პოეტის სმენას შორიდან წვდებოდა „ყრუ ტაშისცემა", ესმოდა „განთქმულ სახელის ტაში",ცრემლთან, ღელვასთან, მუქარასთან შე-

ზავებული დიდება და თავისი მარადიული ნუგეშისკენ – ღმერთისკენ ისწრაფვოდა მისი სულის რაში: „მე გარს მეხვევა მუდამ იგივე, შენ მიერ ნაზად ნაქსოვი რიდე ხალხს მოვშორდები, მაგრამ ღამეებს სად დავემალო, სად წაუვიდე? ღვინით თასები ისევ ივსება. ისევ მევსება დარდით თვალები, შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა, მაგრამ იქ ვისმეს შევებრალები? მე ვიხდი ნიღაბს, მომგვარეთ რაში, შენთან, ნუგეშთან, ო, ჩქარა, ჩქარა, მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ცელვა, მუქარა“ (მწუხარება შენზე) (2,346).

ქრისტესავით ჯვარცმულს, გამუდმებით გოლგოთა ელანდებოდა, მაგრამ მთაწმინდა ეიმედებოდა მარადიულ სავანედ: „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია, თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი. მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი ჩვენი დამიფარავს მთაწმინდა, მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა, შხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ თასითა“ (დღეს მაისი) (2,369).

ასევე ჭეშმარიტება იყო განაცხადი: „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ–ახალი, ლითონზე უფრო მაგარი, პირამიდებზე მაღალი. მასში პოეტის უკვდავი დიდება დაისადგურებს, ვერც დრო, ვერც ჟამთა სიავე, ვერც ქარი გაანადგურებს“ (მაღალ მთაზე და ავაგე სასახლე ახალ–ახალი) (2,468).

პოეტმა სრულიად სამართლიანად „მომავლის ქნარად“ მონათლა თავისი ქნარი: „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ (2,508).

როგორიც თვითონ ამბობს აკაკი წერეთლის შესახებ, „წინაგრძნობამ პოეტისა იგრძნო შორი ცისარტყელა“...

მაგრამ პოეტს გამუდმებით ბედისწერასავით სდევდა „დრო–აფთარი“, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების ხაფანგები, უგულებელყოფა, ინტრიგები, რაც მიმართული იყო საბედისწერო აღსასრულის ჩაგონებისკენ. მისი ამქვეყნიური ცხოვრება ჯოჯოხეთი იყო, პირდაპირი მოწოდება უფსკრულისკენ და ეს ტრაგიზმი შთამბეჭდავად წარმოჩნდა ლექსში„შენ არ გინახავს კაცის ღიმილი“ (2,551).

ღიმილის ნაცვლად შური და მტრობა, სიმძიმილი, ქუჩასა და სამიკიტნოში ტკივილების გაქარვება დაჰბედებოდა საზოგადოებისკან გაუცხოებულ პოეტს, ძაღლივით წანწალი სიკვდილს ანატრებინებდა: „შენი ცხოვრება ღონემიხდილი არის ტალახი, ბოსელი ქართა. რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი, თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა? ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს, როცა გაიგებს სიკვდილის ხვედას, შენი ცხოვრება არვის ახარებს, შენი სიკვდილი ახარებს ყველას“.

და ბოლოს, რეზიუმესავით გაუღერდება შემზარავი აკორდი: „ეს აზრი უნდა გავიგოთ ასე: რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს წერტილს ტყვიისას, რას? – თვითმკვლელობას“.

პოეტი დიდხანს იშინაურებდა, ეგუებოდა სიკვდილის გარდუვალობას: „...თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

„მილიონებში ხელისმრეველი“ (2,654), თავისი ფუძემდებლური გზის მნიშვნელობას კარგად ხედავდა შთამომავლებისთვის: „მეგობრებო, ჩვენი გზა გასწევს წელთა მრავლობას, იგი მუდამ დარჩება ხსოვნად შთამომავლობას“ (დარჩება ხსოვნად შთამომავლობას) (2, 641).

თავისი განსაკუთრებულობის რწმენა არ ტოვებდა: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა, როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“ (წელიწადები წავლიან ძველი) (2,287).

მარადიულ სიმაღლეში, მშობლიურ ცაზე შუქად გაბრწყინებული საკუთარი სულის სიდიადეს ხედავდა: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, რას შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (2,293).

მომავალში გახმიანებული ტაშისცემის ხმას გრძნობდა, განთქმულ სახელის ტაშს, დიდებას „ცრემლი, ღელვა და მუქარა“, მოშურნეთა სისინი რომ აემგზავრებოდა, ამასაც წინასწარ იაზრებდა: „შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა... მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“ (მწუხარება შენზე) (2, 346).

რომანსებს, ყვავილებზე ტრაფარეტულ სიმღერას კი არა, „სიყვარულის სიმღერას“,საღვთო სიყვარულის, რელიგიური პრობლემების, ერის სულიერების მსახური პოეზიის უპირატესობის აზრს ნერგავდა და ამაშიც შეუმცდარი იყო მისი გენია („რა დროს რომანსეროა) (2, 355).

გალაკტიონმა აღმოაჩინა ათეიზმის ეპოქისთვის „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარული“ (ღმერთი) „მთელი სამყარო“ – ანუ მარადიული, საკაცობრიო, სულის მზრდელი ინტონაციები (დადგა აგვისტო) (2, 380).

პოეტმა იპოვა „მზის სათავე“ (ღმერთი) (აუჩქარა ცხენმა გზაში) (2,411), მაგრამ ისიც განჭვრიტა, რომ მისი ჰუნეს გზებს გალაკტიონის თანამედროვეობა ბოლომდე ვერ გაიცნობიერებდა, თუმცა მარადიულად დაიმსახურებდა სიტყვის ოსტატის აღმოჩენები ყურადღებას: „...ამ სიჩუმეში ვინ დათვალოს გზანი, ჰუნენი? აქ წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მთვარი ჭაში) (2,414).

როგორც ქრისტე ამაღლდა და წავიდა გალილეას, ასევე გალაკტიონს ამაღლების ადგილად მთაწმინდა ეიმედებოდა (დღეს მაისი (2,207).

მზიდან მოვლენილი პოეტი „ცეცხლიან აზარფეშებით" სვამდა მზის (ღმერთის) სადღეგრძელოს (შემოდგომაა) (2,253).

ღმერთის რჩეულს, ემოსა „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების", იგი „მსოფლიო ღელვებს" დამშვიდებით გადასცქეროდა (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს (2,267).

თვითდაჯერების საფუძველი მართლაც ჰქონდა პოეტების მეფეს და ამიტომაც აცხადებდა: „ ...და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის" (ცისფერი) (2,341).

„სილაჟვარდეში" იწინასწარმეტყველა, რომ უღმერთო ეპოქის შვილს განსასვენებელი ზიარება, („სილაჟვარდე) 4,248), ღმერთის ხსენება არ მიუწევდა.

მაგრამ რწმენის გადარჩენის მაინც სჯეროდა მომავლისთვის (არ დაღუპულა) (2,246).

თავისი პოეტური სერობების სამომავლო მნიშვნელობაზე, სიძნელეზე, უკეთურობაზე და იუდას „ერთგულებაზე" (ანუ ღალატზე, გაცემაზე) აკეთებდა აქცენტს გალაკტიონი ლექსში „ო, მეგობრებო" (4,30), მაგრამ ისევე, როგორც ქრისტეს, გალაკტიონსაც იუდამ ვერაფერი დააკლო. არც მაშინ ცდებოდა გალაკტიონი, როცა ბნელში ალიონის მოვლინებად თვლიდა თავისი სულის საუნჯეს და არაჩვეულებრივ სითამამესაც ამჟღავნებდა: „იგი ბნელ ქიმერებში მიყურებდა ალიონს, არავის არ შეეძლო ასე გათამამება" (ბნელ ქიმერებში) (4,32).

არც ამ სიტყვების სისწორეში შეიძლება ეჭვის შეტანა: „არცერთ ეპოქას არ აქვს უფლება გაესაუბროს ჩემსას თამამად" (4,62).

„მომავლის თვალით" ხედავდა პოეტი თავის გაკვალულ გზებს: „...და მომავლის თვალი შვების გრძნობით ჭვრეტდა გამალებით... ვლიდა დროშა თაობათა – გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით" (გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით) (8,188).

პოეტის რაში „მარადისის რაშია" (საუბარი ტალღებთან (8,227), ხოლო „უკვდავების ძახილი" „დროთ საზღვარს იქით" უხმობს (შემოდგომა) (4,37).

გალაკტიონს სჯეროდა თავისი „შორი გაზაფხულის" (სინამდვილეში ოცნებისას" (8,37).

მის შემოქმედებაში ცოცხლდება მიწით გმობილი წინასწარმეტყველი" (შორი ალერსი) (4,97)

პოეტების მეფემ სულის თვალით იხილა მარადისობა, უკვდავი მარადიული მშვენიერება (მახსოვს) (2,101,102), მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზის მხარე, კაცთა ოხვრას განრიდებულმა „იდუ-

მალ–მარადიული“ დალანდა (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (4,106) „წმინდა, შორ ქვეყანაში“ ანგელოზთა ციური ნანა“ მოისმინა (4,125).

უფლის „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილის“ ხილვამ გმირად აქცია, პოეზიის სასწაულებს აზიარა (მახსოვს) (4,113).

პოეტმა წაიკითხა „არყოფნის წიგნი“, „ყოფნის წიგნი“ გადაშალა (დღეთა გარდასულთა) (4,19).

ლანდივით იხილა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები („დომინო“) (4,209).

ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა.

სიცოცხლეშივე თავისი დიდების „ახალ ელვარებას“ შეიგრძნობდა (ლანდი), „ხვალის ტფილი დღე“ სხვა, ახალ დიდებას ჰპირდებოდა: „შენ გეველდრები ხვალის ტფილო დღევ, ვიცი, სხვა ახალ დიდებაში მხვევ. მიუშუქე სულს, მიუშუქე ზეგს, გაეხმაურო იმ დიდების ძეგლს“ (რაც იფნიბაღმა განვიცადე დღეს“.

პოეტის გული იყო „მოუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის“ (1950).

ეიმედებოდა მშვიდობის წიგნისა და მშვიდობის გზის მარადიულობა: „...სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის ნიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის, მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

ამაღლების საწინდარია რწმენა, გულის და სინდისის განწმენდა, ღმერთი –„სიმართლის კანდელი“: „...იმ მწვერვალისკენ მივყავარ ბინდის მხოლოდ და მხოლოდ გულსა და სინდისს... მივყავარ მხოლოდ სიმართლის კანდელს“ (ფიჭვი ბიჭვინთის) (8,380)

„მომავლის აჟღერებით“ (ბარათაშვილი) არის ცნობილი გალაკტიონის პოეზია, ის არის „მოუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის“ (1950).

ჭეშმარიტი სიტყვა პოეტის ძეგლია, არტილერიებით თუ ატომებით დაუმარცხებელი, როგორც გალაკტიონის ცხრა ტომი: „ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი, წიგნთ შორის არ ჰყავს მათ თანატოლი, და მათ გინდ უცხო, გინდ თანატომი, ვერავითარი ვერ სძლევს ატომი“ (ცხრა ტომი).

პარნასისკენ დაუღალავი სვლა, უკვდავთა შორის დამკვიდრება იყო საბოლოო მიზანი: „...უკვდავებისკენ ნავით მივქრივარ ისე, ვით წინათ მივქროდი მერნით. არ დაცხრნენ ჩანგის მიმოჟღერანი, არ დაქანცულა ჩემი მერანი, პარნასისაკენ წავა ტივტივით“ (ნავით უკვდავებისკენ).

„დროთ საზღვარს იქით“, ბედს იქით“, ანუ ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრის იქით გაღწევისათვის გახარჯული ტი-

ტანური გულისხმევის წყალობით „მომავლის მზის სხივების“ ბრწყინვალებას შეიგრძნობდა პოეტი (ავრორა).

წმინდა მამების აზრით, სიწმინდისათვის უნდა ვიღვაწოთ. ცოდვილი მიწა ზეცად უნდა ვაქციოთ და ნათელმოსილნი გარდაცვალების შემდეგ მიწად კი არა, ზეცად იქცევიან. გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სული მარადიულ სიმაღლეში, მშობლიურ ცაზე დაივანებდა შუქის სახით: „... შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (2,293).

ასევე ჭვრტდა წინასწარ ამქვეყნიური ჯვარცმის საფასურს, სააქაოს დატოვების შემდეგ მშობლიურ მთებზე ამართულ თავის „ცისფერ და ნამთვრალევ“ ძეგლს: „ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა და ცა კივილით დაუშვებს ფარდებს ამ სააქაოს წყევლად და კრულვად. ჩამოისვენებს ბრძოლის დალევით ქვეყნის სიშავე ნისლიან ფრთებზე, ძეგლი ცისფერი და ნამთვრალები აიმართება მშობლიურ მთებზე“ (ცისფერი) (2,305).

პოეტი მეზღაურია, მენავე, ზღვის, მოგზაურთა, ხმაურისა თუ აურზაურის უტყუარად მცნობი: „„ზღვას და მეზღვაურს, მოგზაურთ ხმაურს და აურზაურს ვიცნობ ზეპირად“ (შორს იალქნები ჩანან) (2, 401,).

ზღვის გადალახვა ბიბლიაში ცოდვებზე ამაღლებას მოასწავებს. ქრისტე თავისუფლად აწყნარებდა ზღვას და ქარს. ხოლო „მცირედმორწმუნე“ პეტრემ როცა ზღვაზე სიარული მოინდომა, ჩაძირვა იწყო.

გალაკტიონის იდეალია „ლაჟვარდოვან ფრთების მქონე“, „შუა ზღვაზე“ გადამყვანი სიმღერები, ანუ ისეთი პოეზია, რომელიც „ხმათ აიაზმით“ განკურნავს სულს და ყოველგვარ უკეთურობაზე აამაღლებს, ზღვაზე გადალახვის (ცოდვებზე ამაღლების) ძალით აღჭურვილი რომ იქნება: „... გევედრები, გამაგონე, ის, სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი).

პოეტი მიისწრაფოდა „ნუგეშისკენ“ (ნუგეში, ნუგეშისმცემელი საღვთო სახელია) და უზენაეს მადლობას აღავლენდა ნუგეშის გზაზე მოარული: გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები (სხვაგან სადაა).

გზაჯვარედინზე სასოწარკვეთით მდგარს, უფლის „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილის“ მოვლინება გმირად აქცევდა, ჯადოსნურ, ზღაპრულ ჰანგებს ჩააგონებდა (მახსოვს) (4, 113).

ლექსში „ო, ქვეყნიურო სამოთხე“ ისევ პოეტის წარმატებების მიზეზებზე კეთდება აქცენტი: „... ვით გშვენის პატიოსნება, ეს

დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება", ო, ქვეყნიურო სამოთხე!" (2,431).

„დიდი დღე" სამყაროს შემქმნელი ღმერთის სახელია (დანიელი, 7,9) (6,255).

„... ქვეყნიური სამოთხე" – მარიამია (7,124) ე.ი. ისევ რელიგიურობაა წინა პლანზე.

გალაკტიონს სჯეროდა, რომ ყოველი პოეტის ნაღვაწი განიკითხებოდა: „მინდა პოეტებს ვუთხრა გარეშეს, გადმოხეთქილი ზარად, ზათქებად, ჯერ არ დამდგარა დრო ანგარიშის, მაგრამ დრო იგი მალე დადგება" (მინდა პოეტებს ვუთხრა გარეშეს) (8,438).

გალაკტიონი არ იზიარებდა სოციალისტური რეალიზმის ყალბ ორიენტირების, რაც უპირველესად წყობილების, ხელისუფლების აგიტაცია–პროპაგანდაში, ღმერთის უარყოფასა და ახალი, მიწიერი კერპების აღმოჩენა–განდიდებაში, მარქსიზმ–ლენინიზმის მოძღვრების უცდომელ ჭეშმარიტებად გამოცხადებაში ვლინდებოდა.

პოეტების მეფე მხოლოდ ღმერთის, რწმენის მონა იყო: „თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის"(„იდეა").

დღეს, როცა სასაცილოდ ჟღერს გალაკტიონის სოციალიზმის მეხოტბეობა – მომღერლობის მითი, აშკარაა, რომ პოეტი სწორი გეზის პოვნამ გადაარჩინა დავიწყებას.

სწორი გეზი კი რელიგიურობა, რწმენის ერთგულება იყო: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი" (ილიას მოტივი).

ღმერთი სიყვარულია (იოანე, I, 4,8).

„სიყვარულის სიმღერა" რელიგიური ლირიკაა.

„ესაია წინასწარმეტყველი ამბობდა: „ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე" (6, 76), (ესაია) შეყვარებული, სატრფო–ღმერთია, ვენახი–ებრაელი ხალხი.

გალაკტიონის „შორეული სატრფო" ღმერთის სახელია. უზენაესს მიემართება მისი მხატვრული სიტყვის ძალისხმევა უპირველესად, ასევე ღმერთს – სამშობლოს და ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს.

პოეტების მეფის შემოქმედებაში ღმერთის ერთ–ერთი სიმბოლური სახელია წიგნი, მშვიდობის წიგნი, რომელიც გარანტიაა ამაღლების, გადარჩენის, მომავალში გაღწევის: „... ვიდგეთ გარეთ და შიგნით მხოლოდ მშვიდობის, წიგნით... კვლავ ვიწევთ მაღლა, მაღლა მხოლოდ მშვიდობის წიგნით. შევხვდით მომავლის ხალისს მხოლოდ მშვიდობის წიგნით!" (სადაც არ უნდა ვიქნეთ) (8,335).

წიგნთან ერთად გზაც საღმრთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე" (იოანე, 14,6) (5,211).

ლექსში „მე მივდიოდი ერთი" უცდომლად განჭვრიტა გალაკტიონმა საკუთარი პოეტური გზა, თავისი გავლენა თანამედროვეებზე, ჯერ ერთიდან შვიდამდე, მერე კი ათასამდე და მილიონებამდე გაზარდა ოსტატ–შეგირდების, თანამედროვეებისა და მიმდევრების რიცხვი.

გალაკტიონის ძიება იწყებოდა ასოდან, რიცხვებიდან, საგნებიდან. იგი ეძებდა „ბგერა–ბგერა, საგან–საგან".

„ასოსა და რიცხვის ზღვარზე ყოფნა ცხოვრების ძირამდე მისვლას ნიშნავს და ასოებსა და რიცხვებში ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები ახდენენ აღმოჩენებს" (9,4)

პოეტს, „მომავლის მზის სხივები კანდელივით დაჰქათქათებს" (ავრორა) ანუ მომავალ პოეტურ დიდებას აწმყოდანვე შეიგრძნობს.

„ქვეყნად ყოველი არსის სულის მეუფე" პოეტს თავისი მზე ამოჰყავს ცაზე, იგი თვით არის „ახალი მზე, ალიონი, გათენება.

მისი „მომავლის მზე, ხვალის მზიანი დღე, შუადღის ბრწყინვალება სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი პოეზიის რენესანსულობის შეგნება.

იგი შეჰხარის „მომავალს მზიანს, ... უსივრცოდ მზიანს".

პოეტის სულში „არა ერთი და ორი" ვარსკვლავი ანთია გენიალური გასხივოსნების, ინტელექტუალური და ინტუიციური წვდომის, ნათელმხილველობის მაუწყებელი: „არა ერთი და ორი, არა ორი და სამი, მახსოვს ვარსკვლავი შორი და განათების წამი" (არა ერთი და ორი).

დემონზე უბოროტესი სული ფიქრთა უმრავლესი ვარსკვლავის აელვარებით მარცხდება (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

წინასწარმეტყველური გამოდგა გალაკტიონის სიტყვები: „მე კი ჩემი დამიფარავს მთაწმინდა" (ღეს მაისი).

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მთვარის უკვდავმყოფელს სამუდამო ადგილი მიუჩინა ჩვენს პოეზიაში.

თანამედროვე ოფიციოზისაგან ბევრჯერ შეგნებულად უგულებელყოფელს, ჯვარცმულს, მომავლის ძეგლები ეზმანებოდა: „აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით. ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი, ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება, ხვალ ისტორიის წინაშე მდგომი აქ სულ სხვაგვარად აღიმართება. ახლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს, ხომ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები. ეხ, მომავალო, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები" (აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი).

სამშობლოსთან, ბუნებასთან, ქართველის მაჯასთან მიყურადებული გული აძლევდა პოეტს წინაგრძნობის, წინასწარმეტყველების ძალას: „მე მშობლიური არაგვი მირჩევს წინასწარ ვიგრძნო,

ვიცოდე მარად, ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს ომში სიცოცხლე ჩათვალოს არად. (მე კავკასიის ქედები მთხოვენ) (5,631).

პოეტისთვის ძიებაში მთავარი იყო „მზის სათავის“ (მზე საღვთო სახელია) პოვნა, როგორც გამარჯვების გარანტის: „ნაპოვნია მზის სათავე“ (აუჩქარა ცხენმა გზაში) (2,411).

გრძნობდა სულის ანთებას: „სულო, შენ გაალდები!“ (თენდება), „სულის ხმოვნებას ლოცვის სიმხურვალეში“, ენატრებოდა „ანთების წამი“, „ცეცხლისტოტება წამი“, განათების წამი“, ანუ „უხილავის“, „მომავლის ჩრდილის“ მოხელთება.

ხილვა, ხსოვნა, წარსულის და მომავლის უცდომელი ჭვრეტის, მომავლის გაგების საწინდარია.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან) (5, 603) ღრმააზროვანი განაცხადია ისევე, როგორც „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში (თენდება, გათენდა) (2,712).

რუსთაველის სამყაროს, მისი პიროვნული თავისებურებების ცნობა დიდი სტიმულია სულის გზაზე, რათა გათავისებულ იქნეს დიდი წინაპრის პოზიტიური ნააზრევი, მოხდეს ახალი გზების განჭვრეტა და არა მისი ნააზრევის გამეორება–გადამღერება.

გალაკტიონის უმთავრესი ესთეტიკური პრინციპებია გამოგონება, აღმოჩენა, შექმნა.

მისთვის „თვითეული პოეტი გამომგონებელია“.

„მშვენიერებით ვიპოვე უცხო წალკოტი და ბინა“ – (მშვენიერებით ვიპოვე) (4,46), აცხადებდა უმაღლეს მშვენიერებასთან და უკვდავებასთან წილნაყარი პოეტი.

წინაგრძნობის მუხტს, ინფორმაციის შემკრებს პოეტისათვის ბუნება, მთა თუ ხეხილი წარმოადენდა: „...ქვეყნად ბნელოდა, მთა მოიკუპრა, წინატგრძნობებით თრთოდა ხეხილი“ (ზღვა–ზღვა, მთა–მთა) (1,353).

აღმოჩენაა დიდი შემოქმედება. პოეტი ამბობს: „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული“ (დადგა აგვისტო) (2,380). ეს იყო თანამედროვეთაგან დავიწყებული საღვთო სიყვარულის აღმოჩენა.

ინსტინქტი, ინტუიცია კარნახობდა ხილულის მიღმა ეძებნა მოსალოდნელი მოვლენები: „საათო, მესმის შენი ტიკტიკი, მას რაღაცა სურს სთქვას... მოგონებებს ვსდევ და ინსტინქტი კი მეუბნება სხვას“ (საათი) (2,499).

გალაკტიონის დევიზი იყო შეექმნა „უახლესი გრძნობის ისტორია“..

მისი მიზანი იყო განახლება, ხმათა აღორძინება, ახალი კართაგენის აღმართვა (918) სიყვარულით აშენებული კოშკის დაცვა (კოშკი).

„უეცარი ქალაქის“ აღდგენა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მარიამისადმი რწმენის განმტკიცებას უნდა გულისხმობდეს, რადგან ქალაქი მარიამის სიმბოლური სახელია (10,124).

გალაკტიონი პოეზიას სულიწმინდის მადლად მიიჩნევდა, ხოლო შემწედ ეგულებოდა მზე (ღმერთი), ღრუბლები (მარიამი). რწმენა ერთ ცხოვრებაში ათასი წლის შესაძლებლობებს ანიჭებდა, ხოლო იდუმალი ხმა დილის ძედ სახავდა: „... აგერ მზის ამომთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... გადაამრავლა უმალი მსგავსი წუთისა, ჩრდილისა და მესმის ხმა იდუმალი: „წამოდექ, ძეო დილისა“ (ნიავი, ია, ნარგიზი) (1,571).

გალაკტიონს აინტერესებდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მიმართება მსოფლიოსთან, ამ პრობლემას თავისი შემოქმედების მაგალითზე მოიაზრებდა და ხაზს უსვამდა თავის ერთადერთობას, მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე ახალი მერიდიანის გავლებას (ეფემერა).

პლანეტარული ქაოსის გამომხატველი, „მომავალ საუკუნეთა „დღესასწაულზე“ ჭვრეტდა საკუთარ პოეზიას (წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“).

გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მიწის კალთა, ეს ბედისწერა იყო, რადგან, მისივე თქმით, პოეტი არის „მსოფლიო ძალა უგეში“ (პოემა ვეფხვისა), მაგრამ აწუხებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული“.

საკუთარი უტყუარი დიდების განცდით არის სავსე გალაკტიონის პოეზია.

პოემა „მშვიდობის წიგნი“ „მნათობმა“ დაუწუნა და დაბეჭდვის ღირსადაც არ სცნო, გალაკტიონი კი მის „მსოფლიო სახელზე“ ოცნებობდა: „მანქანაზე გადაბეჭდილი წიგნი, რომელიც მსოფლიო სახელს მოიპოვებს“.

დღეს აშკარაა ამ ნაწარმოების სიდიადე.

მსოფლიო წონის პოეტებად სამართლიანად ესახებოდა წინაპარი კლასიკოსები, თავის თავთან ერთად: „შენს შვიდ მგოსანს სახალხოს, შვიდს – დაფნისგვირგვინიანს, რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკისა და ვაჟას–დროშებს ვარდყვავილიანს ვუწვდი: მთელი მსოფლიოს ნახევარი ჩვენია!“

„საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობამ“ ათქმევინა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში: „მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!“

არც ეს ჩანაწერი აღმოჩნდა საფუძველს მოკლებული: „გალაკტიონოლოგია ისეთი დარგია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს მთელი მსოფლიო“.

ფუჭი ამბიციურობის შედეგი როდია ეს თვითდაჯერებული განაცხადი: „შორს არ არის ის დრო, როცა კვლავ იგრიალებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აჰყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს!“

მსოფლიო პოეტურ პროცესებში ღრმად ჩახედული დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „მე ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც ჩვენს ქვეყანას და არც ჩვენ პლანეტას არ მოეპოვება“.

ასე ფიქრობენ ის შემოქმედნი, რომელთა მზერა შურს ვერ დაუბინდავს: „მეოცე საუკუნის მსოფლიოში არ არსებობს გალაკტიონზე დიდი პოეტი (ტოლფასოვანი–კი)“ –მუხრან მაჭავარიანი.

„მეოცე საუკუნის ჩვენი პლანეტის სულ ათიოდე ელვარე პოეტურ სახელთა შორის, რომელთაც აამაღლეს და დაამშვენეს ჩვენი დრო, ერთი სახელი ქართულია – გალაკტიონ ტაბიძე“(ირაკლი აბაშიძე).

ვახტანგ ჯავახაძე ასე განჭვრეტს გალაკტიონის პოეზიის მასშტაბურობას: „იგი ლაპარაკობდა, როგორც კაცობრიობის შვილი, როგორც პლანეტის მოქალაქე“ („უცნობი“, 1984წ. გვ. 573).

აი, როგორ აფასებენ პოეტების მეფეს“: „გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია,“ წერდა ნოდარ დუმბაძე.

„მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გენიალურ პოეტად აღიარებს“ (გურამ ასათიანი).

„ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად მე ვთვლი გალაკტიონ ტაბიძეს“ (ბულატ ოყუჯავა).

მერაბ კოსტავას აზრით, სამყაროს შემცნობი პოეტი თავად არის კოსმოსი: „გაიერთ – სახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“.

მხოლოდ მესიური მასშტაბები, მაკროკოსმიური კაცი, ზოდიაქალური ველები, სივრცეებს მიღმა სივრცეები იხილვება გალაკტიონის პოეზიაში: „გრძნობდი მასშტაბებს მხოლოდ მესიურს, ქმნადობის ცეცხლით ატაცებული... მაკროკოსმიურ გადიქეც კაცად... დროის და სივრცის დაჰკარგე განცდა, ზოდიაქალურს მოდე ველებს. სივრცეებს მიღმა სივრცეს ეძებდი, კოსმოსში გსურდა დარჩენა კვლავაც, სულს სხეულისთვის ვერ იმეტებდი, გარდუვალობას შეჰღრენდი ავად“ (მერაბ კოსტავა, გალაკტიონი, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996წ. №4 (13, 5).

დევი სტურუა, ადარებს რა ერთმანეთის გიორგი ლეონიძეს და გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგის მიწიერ ანთეოსს უწოდებს, გალაკტიონს – „კოსმიურ ტიტანს".

სხვა პრობლემა და ცალკე კვლევის თემაა კოსმიური მუსიკის, კოსმიური ჰარმონიის, საღვთო მუსიკის მოსმენა – გათავისება გალაკტიონის მიერ, რაც რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1994
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
7. საპატრიარქოს უწყებანი, 12 (498), 9 აპრილი, 2009
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 3,თბ. 1993
9. აპოლონ ჟორდანია, დრო და თანამედროვენი, თბ. 1985
10. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995

"გადარჩენის" პრობლემა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი, რადგან რუსეთმა მეორედ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია 1921 წ. 25 თებერვალს და სისხლში ჩაახშო 1924 წლის აჯანყება.

სატანისტური ბოლშევიზმის ძალმომრეობისგან გადასარჩენი იყო თავისუფლების იდეა, სულიერება, რწმენა, დასაბრუნებელი იყო დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

„ქორმეძებრიანი ცენზურის" (კ. გამსახურდიას ტერმინია) მძლავრობის მიუხედავად, პროგრესული ქართველი მოღვაწეები მაინც ახერხებდნენ ამოფარებოდნენ იგავურ აზროვნებას, სიმბოლო-ალეგორიებს და "კულტურის დიქტატურის" დევიზით იღწვოდნენ ფედერალისტები კონსტანტინე გამსახურდიას მეთაურობით ქართული ეთნოსის, თვითმყოფადი კულტურის, სულიერი ფასეულობების გადარჩენისთვის. ეს ძალზე სახიფათო იყო, რადგან გამუდმებით ფხიზლობდა "გაიძვერა მოყვარე" და ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა რწმენას, პატრიოტიზმს შოვინიზმად აცხადებდა, კრძალავდა ცხოვრების ფილოსოფიური საზრისის ძიებას,

ეროვნულ გენზე, მშობლიურ ძირებზე, ფესვებზე წერას. ყინულოვანი მონსტრი აფეტიშებდა ინტერნაციონალიზმს, კოსმოპოლიტიზმს და ცდილობდა თავის ბოროტების იმპერიაში ძალით შერეკილი ხალხებისთვის საკუთარი ენის, ცნობიერების თავს მოხვევას.

მაგრამ ეპოქალურ წარღვნას, მეფისტოფელური ძალების იერიშებს მაინც გაუძლო ქართულმა სულმა და შექმნა საკაცობრიო მნიშვნელობის პროზა, პოეზია, მუსიკა, თეატრალური ხელოვნება.

ეროვნული ფენომენის გადარჩენისათვის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული იყო გალაკტიონ ტაბიძის როლი. იგი პოეზიას სულიწმინდის მადლად სახავდა და მხატვრული სიტყვის უპირველეს მისიას, განსხვავებით პროლეტარული თაობების და სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებისგან, რწმენის, ეროვნულობის, სულიერების მსახურებაში, ცხოვრების რაობისა და ადამიანის დანიშნულების განსაზღვრაში ხედავდა, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების განჭვრეტასთან ერთად, მომავალში გასაღწევი გზების გასიგრძეგანებას ცდილობდა.

შემთხვევით არ ჩნდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ტერმინები: გადარჩენა, აღორძინება, განახლება, აღდგომა.

სათქმელის პირდაპირ გამჟღავნების შესაძლებლობას წითელი ცენზურა არ იძლეოდა და პოეტიც ენიგმურ სახეებს, ურთულეს მეტაფორებს ანდობდა სათქმელს, რათა ემხილებინა "მეფისტოფელის საუკუნე" და ქრისტეს გზაზე მიენიშნებინა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პოეტმა ზედმიწევნით შეძლო. ამიტომ არ კარგავს თავის ჯადოსნურ ძალას მისი ღრმა ქვეტექსტებით სავსე პოეზია... იგი ისეთი აქტუალურია, თითქოს ამ ეპოქისთვის იყოს შექმნილი, რადგან დღესაც უმწვავესია ის პრობლემები, რასაც ყოფნა-არყოფნის დილემამდე მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა.

"ათასის მხედველობის" მქონე პოეტის ლირიკა ეპოქის ტრაგიკულ მოვლენებს ირეკლავდა, მაგრამ ამასთან, "ცის და მიწის შეზავების" საიდუმლოებებს ნაზიარები სული შინაგანად საბოლოოდ განონასწორებული ჰქონდა ცხოვრების კანონზომიერებათა შეცნობის, ზეციური სიბრძნის მიგნების წყალობით. მის შემოქმედებაში პიროვნული ტკივილი, განსაცდელი ყოველთვის ნასაზრდოებია საზოგადოებრივი უბედურებით, მაგრამ უიმედობა მარცხდება უზენაესი გონით, ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი, სამყაროს შემოქმედისგან გაბრძნობილი ძლევამოსილი სულით. ეს ნუგეშის ფორმულა კი ჩამოყალიბებულია ასეთნაირად: "რაც აირევა და დაირევა, რაც დაინგრევა, კვლავ აშენდება" (მშვიდობის წიგნი).

უმაღლესი წყარო ამ ოპტიმიზმისა, ხსნის გზა მხოლოდ მაღალზნეობრივი ცხოვრება და ღმერთია — სიყვარულით სახელდებული: "გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც

ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი" (ილიას მოტივი) (1, 429-430).

გალაკტიონი ქმნიდა "ლოდინის სიმღერას", ელოდა "შორი გაზაფხულის" გამობრწყინებას, მარადისის მოვლინებას, რისთვისაც მზად იყო უყოყმანოდ გაეწირა წარმავალი, დღევანდელი ყოფნა: "ჩემს შორ გაზაფხულს უდარაჯებს სიცოცხლის ვნება, იმ შორ გაზაფხულს ძლიერად რომ გამობრწყინდება. სინამდვილეში ოცნებისას ავანთებ კანდელს, იმ შორ გაზაფხულს, ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს" (სინამდვილეში ოცნებისას) (1, 37).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული საღმრთო სახელია: "გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდნ წვეთავს სიმსუქნე" (ფს. 64/65, 12) (2, 588).

გაუნელებელი წყურვილით ეძებდა პოეტი "თასებით" "სიცოცხლის ჩანგებს": "სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გაათასებით" (მივაშუროთ) (3, 361).

თასი მარიამის სიმბოლოა (4, 184-185) "სიცოცხლის ჩანგი" ქრისტესი (4, 38-39).

რწმენის, სიკეთის, ადამიანური სულის გადარჩენისთვის იბრძოდა პოეტი მთელი ცხოვრება, "განადგურების ეკლიან გზაზე" უნდა გამოეტარებინა, "მუხთალი, შავბნელი ძალისგან" უნდა გადაერჩინა "ყვავილები": "ველი, ვიბრძოლებ... მე ამ ყვავილებს ვატარებ, სანამ მექნება ძალი, რომ არ შეეხოს მას სისასტიკის ძალა შავბნელი, ხელი მუხთალი და მუდამ გავზრდი გულში იმ იმედს, რომ სადღაც არის ისეთი მხარე, სადაც ედემი ჰყვავის მზიანი, სადაც არ არის სული მწუხარე" (მე ამ ყვავილებს) (5, 59).

ყვავილი, ვარდი საღმრთო სახელია. ეს სახე მომდინარეობს სოლომონის ქებათა ქებიდან: "ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში" (ქებათა ქება სოლომონისა, 2, 12) (6, 15).

ედემი, სამოთხე მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა: "გიხაროდენ, რომლისა მიერ განეღო სამოთხეი" (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა) (7, 9).

სატანის, ბნელის აღზევების პერიოდში ღმერთის ერთგულება, ლოდინის სიმღერის გავრცელება, სათნოების მკვდრეთით აღდგენა დააკისრა პოეტს განგებამ: "ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს, შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან. მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს და შენი ლოდინის სიმღერას გავატან" (ლოცვისთვის) (5, 281).

უმაღლესი იდეალების გადარჩენისთვის ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა ხმალზე უფრო ძლიერი კალმით: "მე კიდევ წავალ, მე კიდევ ვივლი, გათენებამდე უნდა ვიბრძოლო... არა ერთი მსურს

ვპოვო ყვავილი და დამჭკნარები გადავისროლო" (შემოდგომის ყვავილები) (5, 183).

პოეტი იძლეოდა "ვარდობისთვის ვარდებით თრობის" მაგალითს, იყო ერთგული ქრისტიანული ეთიკის: "ო, მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა" (მაისის ისრით) (5, 53).

გრიგალისგან (ბოროტებისგან) სანთლის ჩაქრობის შიშს ამარცხებდა დედა-ძის მარადიული სახეების მოვლინება, პოეტი ეძებდა თავის მარადიულ იდეალს — "ზამბახის პრინცესას" და "ცისფერ ვარდებს": "მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები" (ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ) (3, 281).

ზამბახის პრინცესა მარიამის სახელია (8, 13-18), "ცისფერი ვარდები" — ქრისტესი (8,98).

ურწმუნო ეპოქაში პოეტი მოწმე გახდა "ლურჯ ყვავილების თელვის" (საღამო) (1, 97). "გრძნობათ დამხობის", მაგრამ მას არასოდეს დავიწყებია თავისი "შორეული ტრფობა" ანუ უზენაესი: "მე დამავიწყდა ძველი წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის. და მახსოვს მხოლოდ ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის" (ის) (1, 4).

"შორეული სატრფო", "სრული ტრფობა" ღმერთის სახელია გალაკტიონის პოეზიაში (8, 113)... და მისი წყაროა სოლომონის "ქებათა ქება": "...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი" (5, 16) (6, 17).

ზეცაზე ისევ ის "მშვილდი" (ცისარტყელა) ეგულება და ისევ მას ერთგულებს, როგორც ზეცის შვილი: "არაფერია ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს, იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს" (მაისის ისრით) (5, 53).

"ცისარტყელა" საღმრთო სახელია (9, 112).

"გადანახულ დროშებში" თუმცა გადამწვარი სასახლე, გადამხმარი ბაღები, ამომშრალი წყარო და მჭკნარი ფოთლების სევდაა, მაგრამ ამასთან არის "სხვა გაზაფხულის" (ღმერთის) მოგონება, მთაზე, კლდეზე გამოსახული, მომავლისათვის შენახული რწმენის დროშების ერთგულება (1, 14).მთა მარიამის სახელია და მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: "ჰხედევდ, ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა" (დანიელი, 2, 34). აქ მთა მარიამის სიმბოლოა, ლოდი კი — ძე ღმერთის.

კლდე ქრისტეზე მიგვანიშნებს: "უფალი ღმერთია საუკუნო კლდე" (ესაია, 26, 4) (6, 91).

პოეტს არასოდეს ტოვებდა ნუგეშის ღმერთის სახე: "გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები" (სხვაგან სადაა) (3, 802).

"ნუგეშისკენ" რაშით სწრაფვაა ლექსში "მწუხარება შენზე": "...მე ვიხდი ნიღაბს, მომგვარეთ რაში, შენთან, ნუგეშთან, ო, ჩქარა, ჩქარა, მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა" (3, 346).

"ნუგეშის" სახის წყაროა ბიბლია: "მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცემელი..." (ესაია წინასწარმეტყველი, 51, 12) (6, 112).

ნუგეშის ძალით მარცხდება ობლობა, ყოველგვარი სიძნელე: "არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე, შენ მეგულები ნუგეშად სანამ" (არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე) (3, 605).

ნუგეშის ღმერთი ფანტავს ბოროტების ნისლს, კრიზისის წუთებში ჩნდება "ბროლის ზმანების" თანამგრძნობი თვალები, იგი აჩერებს ჩახმახისკენ გაწვდილ ხელს, სიბნელეს ამარცხებს და შუბლს მისი ზებუნებრივი ნათელი ასხივოსნებს: "ვიცი, პოეტის გატეხილ სახელს ბრბო არ დაინდობს გასათელავად, მაგრამ შენი მზე სიბნელეს გახევს და დაადგება შუბლს ნათელივით" (ნუგეში).

თვალი საღმრთო სახელია: "ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს" (იგავნი სოლომონისა, 10, 627).

ლექსში "რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!" "გაზაფხულის", "ოქროსთმიანი დღის" (გაზაფხულთან ერთად, დღეც საღმრთო სახელია) მოვლინების სიხარულია: "დღე წამოიჭრა ოქროსთმიანი, დღე ახალგაზრდა და გამბედავი".

შემდეგი სტრიქონების "მზე" და "საუნჯეც", რომლებიც აღმოსავლეთს მიემართება, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოებია: "მზე დედამიწას სუნთქვას უდიდებს, სადაც ძეგლები არის დარგული, აღმოსავლეთით ის მიუთითებს: იქ საუნჯეა გადამარხული" (1, 25).

მზის საღმრთო სახელად მოაზრების მაგალითები მრავლად არის ბიბლიაში. დავიმოწმებთ ორიოდეს: "მზე და ფარია უფალი ღმერთი" (ფს. 84, 12) (2, 614).

მალაქიას წინასწარმეტყველებაში ღმერთს ეწოდება "მზე სიმართლისა": "ამოგიბრწყინდებათ, ღვთის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე" (მალაქია წინასწარმეტყველი, 3, 2) (6, 307).

მებრძოლ პოეტს უზენაესის "ბრწყინვალების და გამარჯვების სამოსელი' ეზმანება და "მშვიდი მოლოდინით" გასცქერის მზის ამოსვლას: "რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს, ვიცი, ახლოა ის, ვისაც ველი. მას სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების მოაქვს მებრძოლი პოეტისთვის. დასცხრით, ტალღებო, მზე ამოდის აღმოსავლეთით, მზე ამოდის არა ერთი და ორი" (რა დამშვიდებით გადავცქერი) (5, 265).

პოეტის მოლოდინის ადრესატი მზეა — ღმერთი.

გალაკტიონი არის მზითშემოსილი, როგორც წმინდანები: "...მე სხვა მზე მმოსავს როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს" (დღეს შემისრულდა).

რწმენით განმტკიცებული, ბოლომდე სიხარულით და გაზაფხულით (სიხარული და გაზაფხული საღმრთო შინაარსის სახელებია) შემოსილი იყო პოეტების მეფე: "მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება, ხიბლავდა გარეშემოსა მინდვრების გადასოსნება" (ფანჯარას ტოტებს მიახლის) (3, 200).

გაზაფხულის წყარო ფსალმუნია, ღმერთის სახედ მოაზრებული სიხარული მრავლად გვხვდება ძველ და ახალ აღთქმაში. დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: ქრისტე არის "სიხარული ყოვლისა ერისა" (ლუკა, 2, 10) (2, 113).

დემონის სიკვდილისკენ მომწოდებელ ხმას ფარავს "მარადი ჭიქით" მირთმეული მზის და ცეცხლის სადღეგრძელო: "მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი, სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით, ისევ მეძახის ჩემი დემონი" (მზის სადღეგრძელოს) (5, 309).

მზესთან ერთად, ღმერთის სიმბოლოა ცეცხლი.

ქორიბის მთაზე მოსეს მიერ შეუწველი ცეცხლის თანხლებით ხილული მაყვალი ქრისტესა და მარიამზე მინიშნებაა (გამოსვლა, 3, 1, 2, 3) (12, 59).

ფიალა, თასი, აზარფეშა, მარადი ჭიქა, სიხარულის ჭიქა მარიამის სიმბოლური სახელებია (4, 182-193).

გალაკტიონი "ცეცხლიანი აზარფეშებით" სვამდა მზის სადღეგრძელოს, ანუ ერთდროულად ეზიარებოდა მამაღმერთის, (მზის), ძე ღმერთის (ცეცხლის), აზარფეშის (მარიამის) მადლს.

სულში დამკვიდრებული ბნელიცოდვილი "ლუციფერის" მძვინვარებას "უმანკო ნათელისა" და "სასწაულის" ძალით ამარცხებდა (სასწაულს) (3, 139).

ღმერთი არის "ნათელი დიდი" (მათე, 4, 16) (2, 6).

უზენაესის სახელია სასწაული: „შენა ხარ ღმერთი სასწაულის მოქმედი" (ფს. 76, 5) (2, 603).

„ალვის ხის გადარჩენაში" (1, 186) სიმბოლური ფორმით მოწოდებულია აზრი ორბუნებოვანი ღმერთისკენ (ქრისტესკენ) მიბრუნებისა, რწმენის გაფრთხილებისა.

ხე, კერძოდ, ალვის ხე უზენაესის სიმბოლოა (4, 179).

პოეტი მოხიბლულია ალვის ხის მშვენებით, მისი "მრჩობლი" სულის მოვლინებით.

ლექსის ზოგ ვარიანტში არის „მხრჩობელი", რაც სწორად არ მიგვაჩნია. უნდა იყოს მრჩობლი (მრჩობლი სული).

„მრჩობლი" (17, 18 იერემია) ორი, გინა ორკეცი, განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი (11, 520).

ჩვენის აზრით, ალვის ხის ორი — მრჩობლი სული ასე შეიძლება აიხსნას: ალვის ხე ღმერთის სიმბოლური სახელია, მისი ორი სული ქრისტეს ორბუნებოვნებას — კაცურს და ღვთიურს უნდა ნიშნავდეს. გავიხსენოთ ლექსი: „მოდის, ფეთქს და იზრდება სული მისი მრჩობელი, ფოთლებს ამეტისტებით ფარავს შეუცნობელი".

"შეუცნობელი" მამა ღმერთის სახელია (12, 335).

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ვლინდება ალვის ხის გადარჩენის რწმენა: "ტბის გულს გადახვევია მდუმარება ტოტების, ოცნება არ ჩვევია ქვეყნის გამოცოდების. არც შხამიან ლანდებად უცემს წყალთა გუბება. ის არ ჭლექიანდება, ის არ დაიღუპება".

ალვის ხის გადარჩენაში რწმენის, სულიერების, სიკეთის გადარჩენა იგულისხმება.

ქვეტექსტებით სავსეა ლექსი "არ დაღუპულა", რომელიც მთების, წყაროს, გაზაფხულის, ასწლოვანი ხეების გადარჩენით გვაგრძნობინებს ისევ რწმენისკენ მიბრუნებას, ღმერთის ძალით არსებობას და წმინდა გონის გადარჩენას: „მე გადვიარე დღეს ჩვენი მთები, ჩვენი მაისის წკრიალა წყარო: შენი ნაზი ხმა და ოქროს თმები... დაუვიწყარო, დაუვიწყარო... არ დაღუპულა, ისევ იქავე დგას ასწლოვანთა ხეთა ჩერება, გულით სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება" (5, 386).

მთა მარიამის სიმბოლოა, ლოდი — ქრისტესი.

წკრიალა წყარო ღმერთზე მიმანიშნებელი სახეა. სახარების მიხედვით, ქრისტე არის სიცოცხლის წყალი, ცოცხალი წყალი (იოანე, 7,38) (2, 194).

ასწლოვანი ხეები ერის სულია, რომელიც რწმენამ გადაარჩინა.

მაგრამ სატანისტური ბოლშევიზმის ეპოქაში გაუგონარი რეპრესიების შედეგად შეუბრალებლად იმუსრებოდა მართალი ხალხი და ამ ბოროტების რეჟისორები იყვნენ აპოკალიფსური მხეცები: "საშინელია, იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები. შენი სახელი მათ მიუეცრად, მხეცი, არც მეტი და არც ნაკლები" (13, 447).

კაკლები ისევ ხალხზე მიგვანიშნებს, მისი იავარქმნის რეჟისორი მხეცი კი — აპოკალიფსურ მხეცებზე, რომლის ადრესატები იყვნენ რევოლუციის ბელადად სახელდებული ტირანები – ზღვის და მიწის მხეცები (იოანეს გამოცხადება, თ. 13, 1, 11, 6, 506, 507).

ზღვის მხეცში ხალხთა მასებიდან მოსული ლენინი იგულისხმება, მიწის მხეცში — იატაკქვეშელი სტალინი (იოანე-იონა, აპოკალიფსი და დღევანდელობა (14, 411).

შემაძრწუნებელია "დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილებისა და ვენახების ხილვა" (არ ღირს ერთ ცრემლად) (3, 302).

ყვავილები რწმენაა, ვენახები — ხალხი.

ბიბლიაში მიწიური ბაღისა და ვენახის პარალელურად გვხვდება ზეციური ბაღი და ვენახი.

მიწიური ვენახი ებრაელი ხალხის სიმბოლოა: "ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სისხლია, მისი სანატრელი ნერგი" (ესაია, 5, 7,) (6, 76).

გალაკტიონის ლექსში სატანის საქმეებია "დაუსრულებელი სეტყვა" — უღმერთობის დაკანონება და ვენახების — ხალხის სულის გატიალება.

მაგრამ დაცემით უდაბნოს (ურწმუნოებას) ვერ დაამარცხებ, უნდა გჯეროდეს, რომ ამაოა, წარმავალია ბოროტება, რაც იყო, არ ნიშნავს საბოლოო დაბინდებას (მზის ჩასვლით, დაბინდებითაც მიგვანიშნებდა პოეტი უღმერთობაზე – "მზის ჩასვლა..."). მხოლოდ ღმერთთან შერიგება მოიტანს გამარჯვებას, გვარწმუნებდა პოეტი: "შენ ნუ დაეცემი, შენ ნუ შეშინდები, გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს. ყველა ამაოა, ჯერ არ შებინდდება, მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს".

„შერიგებაში" (1, 53) მზის (ღმერთის) და სილამაზის წყალობით ხდება სიკვდილთან შერიგება, რაც ღმერთისკენ მიბრუნებას მოასწავებს.

თუმცა გაზაფხულზე „რტოებს რტოობა" არ ეტყობათ, „ყინულის ლოდის" გადნობის რწმენა მაინც არის ლექსში „ადრიანი გაზაფხული' (1, 255): "როგორც შეთქმულებს, ჩვენ არ გვაშინებს, რომ არ ეტყობათ რტოებს რტოობა, სულს დიდი ხნიდან აშალაშინებს სხვა მარტოობა".

ნერგი, ტოტი, რტო უფლის სახელია: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: „ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ... მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ" (ეზეკიელი, 17, 22) (6, 208).

ჭაობზე უნოტიესი სულის მეოხებით გაცემული ქრისტეს, მისი უკანასკნელი სერობის და ჯვარცმის წარმოდგენის შემდეგ ისევ ჩნდება ცაზე ვარსკვლავის გაბრწყინების რწმენა: „ვარსკვლავი იგი — ფიქრთა საგანი — ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი, აელვარდება ცაზე ოდესმე სულო, დემონზე უბოროტესო !" (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა) (3, 129).

ვარსკვლავი ქრისტეს სიმბოლოა: „მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი" (იოანეს გამოცხადება, 22, 16) (2, 521).

„თოვლის მადონა" მარიამია: „მარიამ ღვთისმშობლის იტალიური სახელია მადონა. მაცხოვრის დედისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაულებიდან ერთ-ერთი არის თოვლის ღვთისმშობლის ლიტურგიკული დღესასწაული,... არსებობს ასეთი ლეგენდა: მესიის მშობელი ჩამოჰყვა თოვლს იქ, სადაც აგებულია წმ.

მარიამის ტაძარი... ხომალდი ალეგორიულად ტაძარს განასახიერებს" (15, 87-88).

რწმენის წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის პერიოდში ბუნებრივი იყო დამსხვრეული გემების, ხომალდების, კრეისერების სახეთა შექმნა, მაგრამ, ამავე დროს, ფიქრებთან ჩანს ფრეგატი, ცისარტყელა, როგორც "იმედების ხატი" (წყნარი ზღვა).

„დამსხვრეული სწრაფვათა ნავი", განადგურების სურათებია ირგვლივ, მაგრამ „იმედი მომხიბლავი" ისევ ცოცხლობს და ახალ ტალღებს ელის (ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი).

„მუხებში' (1925 წ.) გამხმარი ვაზების ფონზე ბებერი, ძველისძველი მუხების სიახლეა, რომელთაც "მომავლისათვის სიახლე აქვთ ხელშეუხები — ახალ ქართათვის აგებული მძლავრი სასახლე"... (3, 414).

„კოსმიურ ორკესტრში" (1926 წ.) ყურადღებას იქცევს „იმედები უსაზღვრო და განსაზღვრულ მხარეთა", სიყვარულის, გაზაფხულის სიხარული: „ეს არის გრძნობა კვლავ სიყვარულთა, გადაქცეული სხვისთვის ჭაობად, ეს ოცნებაა ფერთა ფარულთა და გაზაფხულის სანახაობა" (2, 11, 9). სიყვარული საღვთო სახელია: „ღმერთი სიყვარულია" (იოანე, I, 4, 8) (2, 320).

გაზაფხული, ზაფხული ბიბლიაში მოიაზრება ღმერთის სახედ (ფს. 64) (2, 12).

„ძველიძველი ღვინოთი" თრობა, ყოფნით თრობა, ცეცხლით თრობა (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით) სხვა არაფერია, თუ არა უზენაესის სიყვარული, რადგან ძველი ღვინო, ცეცხლი და ყოფნა (სიცოცხლე) საღვთო სახელებია (ძველისძველ ღვინოს) (1, 45).

მივმართოთ წყაროებს.

„გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი დაწმენდილი ღვინით (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 25, 13).

ცეცხლი საღვთო სახელია და მომდინარეობს გამოსვლათა წიგნიდან. ეს სახე პირველად მოსეს მოევლინა ქორიბის მთაზე, სადაც მაყვალს ცეცხლი ეხვეოდა, მაგრამ მაყვალი არ იწვებოდა (გამოსვლა, 2, 3,) (10, 59).

ღმერთი სახარებაში სახელდებულია, როგორც ყოფნა, სიცოცხლე: "უთხრა იესომ: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოანე, 14, 6) (2, 211).

თასით მირთმეული წიგნი, მარანში მიგნებული "ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო" მიანიშნებს ღმერთისადმი ინტერესს, რადგან ღვინო, წიგნი, მემარნე ასევე საღვთო სახელებია ლექსში "მოგონება".

წიგნი მამა ღმერთია ბიბლიაში, წიგნის სიტყვა არის ქრისტე: "იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები..., "გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ" (ესაია, 29, 11, 18) (6, 94).

ნეტარი ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში": "არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აირევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე" (16, 217).

ცხოვრების უსამართლობის, მწარე ფიალის, ეკლის გვირგვინის, სისხლის წილ „მშვენიერი მზის" გაბრწყინების მოლოდინია ლექსში "ნუ დაუმალავ ხალხს შენს იარებს" (1, 341).

არა „მკვდარი მზის", მკვდრადშობილი, ქაოსზე მდგარი თავისუფლების, არამედ „ქუხილის" სიყვარული ვლინდება გალაკტიონის პოეზიაში: „ქუხილო, გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე, ზვირთი დასძარი! გვახსოვს: დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე, შენ კი ამოასწარი!" (ქუხილო, გელით) (5, 102).

ქუხილი საღვთო სახელია (9, 122).

ღმერთს „კლავდნენ" სატანისტები, მაგრამ იგი კვლავ ცოცხლდებოდა.

ოცნების ნავზე ია-ვარდის გამოცოცხლებით, სიხარულის ქროლვით გვაგრძნობინებს გალაკტიონი ღმერთის მოვლინებას: „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით" (მზის ამოსვლა ზღვაზე).

„ვარდი" და „სიხარული" საღმრთო სახელებია, ია მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. „უბიწოებით შემკული ია" ეწოდება მარიამს ვახტანგ მეექვსის პოეზიაში (15, 48).

პოეტის ოპტიმიზმის წყაროა სამყაროში კეთილი საწყისების მარადიულობის, წყალდიდობის, ნიაღვრების წარმავლობის რწმენა. „გაზაფხულის სავსე ფიალა" (გაზაფხული ქრისტეზე, ფიალა — მარიამზე მიგვანიშნებს) ნიაღვრის, წყალდიდობის შედეგად „გადმოიტოპა", მაგრამ "წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი". ლექსის ლირიკულ გმირს ხელთ უპყრია „სავსე ფიალა" (ფიალა მარიამის სიმბოლოა) „მშვიდობას" ნატრობს, ნიაღვრების და წყალდიდობის ნიშნები კი „წაშლილია": "ასწი ფიალა, სავსე ფიალა! აქა მშვიდობა! რა ნიაღვრებმა გადიგრიალა, რა წყალდიდობამ!" (დარჩნენ ქვიშანი) (4, 15).

„ახალი ყოფნის", განახლების, „აღდგომის კვალის" მოლოდინია ლექსში "ახალ წლის ღამეს" (5, 69).

„ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება" (გრძნობათა ფერფლი, 5, 54) გვარწმუნებს პოეტი.

დიდი წინაპრების დარად, ბნელის ჩრდილს გალაკტიონიც ამჩნევდა, მაგრამ სჯეროდა საქართველოს მომავალი: „გაიფანტება

ჩრდილი გარდამავალი დროის, საქართველოში გრძნობდეს ყოველი ჩუმი სახლი" (დრამა ერთი ბინისა).

მწარე, შუქმიუვალ დღეებს, გაუჩინარებულ ქვეყნიურ სამოთხეებს ისევ შენაცვლებია ედემთა მსგავსი დღეები, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები, გვარწმუნებს პოეტი: „ყოფილა მწარე დღეები, შუქმიუვალი დღეები, გადალეკილან, წაშლილან ამ ქვეყნის სამოთხეები. კვალად მოსულან დღეები, ედემთა მსგავსი დღეები, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები", ასე აბალანსებს ბნელისა და ნათლის ჭიდილს ავტორი ლექსისა „ყოფილა მწარე დღეები" (5, 178).

სულში „უხილავის", "ვარსკვლავის", "მთვარის", "სატრფოს" ძიება ქრისტიანული ღმერთის და ღვთისმშობლის გამუდმებულ თაყვანისცემას მოასწავებს (ხშირად ვოცნებობ).

არა წარმავალის, ეფემერულის, არამედ "მარადისი იმედის", "სხვაგვარი იმედის", საუკუნეობრივისადმი ინტერესია დამახასიათებელი გალაკტიონისთვის ("მარადისი იმედი", "მეგობარს"). სწორედ ეს ხდება სულის გაწონასწორების საწინდარი.

ბევრი დაბრკოლების, ჩიხის, ხვეულის გადალახვა, ბრძოლა, სიკვდილის დამარცხება, შეუცნობის შეცნობა უძღვის წინ გვირაბის ბოლოს სინათლის მიგნებას, იდეალების გადარჩენას: "გადაგვილახავს ბევრი სიკვდილი, ბევრი შეცდომა და დაბრკოლება, რომ შემდეგ ისევ გადარჩენისთვის, სიცოცხლისათვის გვემღერა ქება" (ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული).

განა მხოლოდ იისფრად ან ვარდისფრად თოვდა გალაკტიონის ხილვებში, მას "შავი თოვლივით" ათოვდა "ჭვარტლი და ბურუსი თავანის" (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (1-128) კოსმიური სიცივე აზრობდა, ყინულის სამეფო, ყინვის თასი, გაყინული მხედარი, გაყინული გული ზარავდა, მაგრამ უზენაესის ხელდასხმული პოეტი ძლევდა გრიგალებს, მეხის ხარხარს, მას "ახალ-ახალ გამბედაობას და გაბედვებს" ანიჭებდა ყოველგვარი დაბრკოლება, რადგან ესმოდა "სიხარულის უვერტიურა", გრძნობდა "ალიონთა სიხარულს", რაც გამარჯვებაში არწმუნებდა: "ჩვენი გამარჯვება მაინც უეჭვოა" (ო, ჩემო ჩანგო).

მხოლოდ გადარჩენის რწმენით შეიძლებოდა დაწერილიყო მაჟორული "იბობოქრე", "წარწერა ხოვლეს ორნამენტზე", რომელიც შიშის საბოლოო დაძლევას, რწმენის, იმედის გამარჯვებას გვამცნობს: "საუკუნეთა თოვლო ითოვლე! მაინც დადნება ეგ ნათოვლარი!" (5, 374).

ზოგჯერ ეჭვი სერავდა სულს, ეჭვი მებაღის (ქრისტეს) მოვლინებაზე, ინებებდა თუ არა იგი ცოდვით დამძიმებულ სამყაროში ისევ მოსვლას, ხომ არ დაილეწებოდა მწიფე მტევნები: "ამ მწიფე

მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი, მებაღემ მოსვლა თუ არ ინება" (ავდრის მოლოდინი) (5, 82).

სხვაგანაც კითხვის ნიშნები ჩნდებოდა ამ პრობლემის ირგვლივ: "მოვა თუ არა, მოვა თუ არა! ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი".

სიმბოლური ავდარი, ზამთარი, თოვლი, ყინვა, წყალდიდობა, წარღვნა უვლიდა ქართველთ სავანეს, რაც გამოაფხიზლებდა ხალხს, გონს მოეგებოდა ცოდვილი ადამიანი, მოინანიებდა და თვით გაიგნებდა გზას უზენაესისკენ, ასე სჯეროდა პოეტს.

თავისი დიდი წინაპრებივით ევედრებოდა გალაკტიონი უფალს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადარჩენას: "მზე ივერია, ღვთისმშობლის ხვედრი, ბედნიერებას მისას ღმერთს ვევედრი, მიეც, უფალო, გონი და ძალა, რომ აიშოროს შხამის ფიალა" (6, 88).

„გონი და ძალა!" — არა ერთ-ერთს, არამედ ორივეს მოუხმობს პოეტი, როცა ისმება კითხვა: "მაგრამ რა გველის ან დღეს ან ხვალე?"

„მშვიდობის წიგნში" აშკარად შავია სიცხადე: „ღამეა ბნელი, განუზომელი, განუჭვრეტელი" (17, 161), "მიდამოს თავზე ადგას სატანა" (17, 289).

ვეფხვი უხმოდ გატრუნულა ტყეში, დროს ელის, რომ შესაფერის სიტუაციაში ისკუპოს და მსხვერპლს მიეპაროს. ამიტომაც აფრთხილებს პოეტი თანამემამულეთ, „გონთ სიძლიერის", "გამჭრიახობის" ფარი იფარონ ხიფათში მყოფებმა: ", გაზაფხულისა ღამეო ბნელო, ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე... გაზაფხულისა ღამეა ბნელი, განუზომელი, განუჭვრეტელი, ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად. ეხმაურება სიათს სიათი, რომ ღალატს რასმეს აწყობს წყვდიადი ..."

გადარჩენის გარანტიაა სიფხიზლე, მტერ-მოყვრის გარჩევის, ბოროტისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი : "გალავანს გარეთ დე გრგვინავდეს ზღვა, მტერი სხვა არის და მოყვარე სხვა. ასეა, თორემ მტერმა მეორემ ახლომ თუ შორემ თავის სიტყვა თქვა".

განსაცდელს სჭირდება პასუხი, რათა გაქრეს შხამი და ისევ აენთოს ჩამქრალი სანთლები: "მაშინ რა ვუყოთ, მწარედ დაღამდა, დრო უპასუხოდ ხომ არ დაამდა. განვიდა ჟამი, დღეს გაჰქრა შხამი. ცისკრის წამწამი ჰა, ახამხამდა".

გადარჩენის იმედია ნუგეში, გზა (საღმრთო სახელებია): "სილაღის ეშხით მზიურთა მდელოთ არეს ნუგეშით ჩვენ მივეშველოთ. ავაბიბინოთ იგი სალხინოდ, გზა გამოვფინოთ, ფართედ გავშალოთ! აშენე, დარგე, ჩვენი ფაზისი უფრო კარგი და ულამაზესი

გახდება კვლავაც. მან ივარსკვლავა და გზა უკვდავად განვლო თავისი".

ქრისტიანული ღმერთი იყო ჩვენი ხალხის შემწე ყოველთვის, მისით იგნებდა იგი მარადიულ გზებს: "ჩვენი ძვირფასზე ძვირფასი წიგნით ვიდოდით ასე გარეთ თუ შიგნით. ნათელით მისით წრფელით, ფაქიზით ჩვენ მარადისით გზები გავიგნეთ".

"მშვიდობის წიგნში" ნაპოვნია უარყოფილი ღმერთი, "წიგნი სიცოცხლე, წიგნი სინდისი", წიგნი ცის და დედამიწის, რაც გამოიხატება "ცისკრის წამწამის ახამხამებით" (ცისკარი საღმრთო სახელია), მზის მოვლინებით, ამის შემდეგ დამარცხდა სიმბოლური თოვლი, წყალდიდობა, წარღვნა, გადარჩა ხეები, "კვლავ საღი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის".

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით, ცხადი გახდება, რატომ აქვს ბაღს (ხალხს) წიგნის (უზენაესის) დაღი, მისი კეთილისმყოფელი ზეგავლენა.

ღმერთის დაკარგვის და კვლავ პოვნის, ერის საზრისის ძიების, რწმენის გადარჩენის ჰიმნია "მშვიდობის წიგნი": "დღეს მშვიდობის მზე გაანათებს გზებს, ხალხს ნუგეშსა სცემს იმედთ კანდელი".

ერის განთიადის, სინათლის საგალობელია პოემის ბოლო სტრიქონები: "ვხედავ, დიადად რომ აწ გათენდა, ო, განთიადო დიდება შენდა. მოედო აგრე გზას ჟრუანტელი, მაინც არ ჩაჰქრა ჩვენი სანთელი... ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი" (17, 352).

მომავლის წინამგრძნობი პოეტის მოიმედე სტრიქონებით მთავრდება პოემა: "ხვალის დღის გვჯერა: ჩვენი ალღოა ჩვენი სიმღერა. სივრცეა, დროა, მზე თუ ქარია, რაც სახალხოა, უტყუარია. გულო, დამშვიდდი... მტერი განიბნეს, გვაქვს განძი დიდი, არ ვართ ღარიბნი"... პოეტი გვმოძღვრავს: "დროა, შეიღოს სიბნელის კარი, სული მზე იყოს და გული-ქნარი, გზა სანაქებო ვადიდოთ, ძმებო!"

"დამარცხდა ყველა გველი, წურბელა, მათ კაცთა თელვა ვინ მიანება?! მტერი, მზვერავი... ისე მოგვარდა, რომ შიგ ვერავინ ვერ შემოგვარდა".

ნათელმსმენ პოეტს მოესმის "ხმა საედემო", ქმნის "განთიადის, ძლევის სიმღერას", შორის ძახილი განთიადის სახელით აფხიზლებს: "მისთვის ცხადია შორის ძახილი თვალგასახელი, რომლის სახელი განთიადია" (17, 276).

პოემა შეიცავს ჩვენი ხალხის გაფრთხილებას: "შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე" (17, 181).

"მშვიდობის წიგნში" ხდება ვერაგი მტრის ავბედითი ზრახვების მხილება: "...მტერი არ არის მორცხვი, რომ ნგრევა-ხოცვის მას

ეშინოდეს" (17, 136), "კიდეც მოვალო თქვენს ასაკლებად" (17, 241), "მიჰყე, ჰე, მიჰყე, აბა აიღე, რაც თქვენი ციხე და სიმაგრეა".

წიგნის (რწმენის) ქურდი სახელდებულია "სატანად, მხეცად, ქაჯად".

მითითებულია "არაწმინდა თოვლზე", რომელიც წარმავალია.

"მთებზე ის თოვლი — შენი ნიშანი — წარმავალია, თუმც მრავალია — წყალნი წარვლიან, რჩება ქვიშანი ... თოვლო... შენ შენი საბრალო ძალა, უკანასკნელი შენი სამსალა გვიჩვენო, გინდა? ო, არაწმინდა! გინდა მიმოვლა, მაგრამ ღვარებით დნება ის თოვლი მზის ელვარებით" (17, 132).

პოემა შეიცავს მტრის გაფრთხილებას: "აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარეშოს და სანავარდოს" (17, 250).

ნაწარმოები მთავრდება წიგნის (ღმერთის) პოვნით, ზამთრის დამარცხებით, "საიმქვეყნიო" და "საამსოფლო სიოს" მარადიულობის რწმენით: "ზამთარო, გულის ასე დამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო" (17, 131).

"ვერ დაგვძლევს ის სხვა,... ობლის კვერი ცხვა" (17, 185).

მაგრამ მტერს სურდა "რამე ნამცეცი მიწის და ზეცის"... (17, 217), რაც წინასწარმეტყველურად განჭვრიტა პოეტმა.

"პირიმზეში" (ორტ. ტ. I, 1988, გვ. 154) ტკივილია იმის გამო, რომ გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი ("ძმები" ჩვენი მოყვრად მოსული ჩრდილოელი მტერია, ბაღი — ხალხი).

მაგრამ პოეტმა იპოვა "ჩვენი დაკარგული ცა და ჩვენი მიწის ამეტყველება", იპოვა "გრძნობა, რომელიც დაკარგულა" (1, 282).

ატმის რტოს (რტო ღმერთის სიმბოლური სახელია) გადარჩენის შიშია ლექსში "ატმის რტოო, დაღალულო რტოო" (1, 291).

შემდეგ არის აღმოსავლეთის გაღვიძება (აღმოსავლეთი) (218-221).

ნანგრევებად ქცეული სოფლის ტკივილია ლექსში "ეს შეღამება" (5, 54).

"უკარო სახლის" კრიტიკაა ლექსში "ერთა ლიგას" (5, 196).

პოეტის დევიზია "განიახლე, განიახლე" (1, 535-536).

რწმენა აიმედებს: "არ შედრკება, შენ ნუ წუხარ, ცად ასული დიდი მუხა — უფლებისთვის ჩვენმა ხალხმა სისხლი სისხლზე დააღუღა!" (მშვენიერო ჩემო ზეცა) (1, 536).

სამყაროში ცვალებადობას ემორჩილება ადამიანი, ხილული ცა და პლანეტები, მთელი კოსმოსი, მარადიული კი მხოლოდ „ცათა ცა", ღმერთების სამყოფელი და ღმერთია, „მშვიდობის წიგნის", „მშვიდობის გზის" სახეებში მოაზრებული: "სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის, მშვი-

დობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს" (ყველაფერი შეიძლება მოხდეს) (17, 558).

წონასწორობის საწინდარია "თეთრი დღეები" და სულში დავანებული "ქაოსის მხატვარი" (ღმერთი) — "დგება თეთრი დღეები" (1, 211).

გალაკტიონს შვენოდა პატიოსნება, დიდი დღე (ღმერთის რწმენა), ქვეყნიური სამოთხე (მარიამი): "ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება! ო, ქვეყნიურო სამოთხე!" (13, 429).

"სამოთხის ჰანგები", "გადარჩენის ჰიმნი" ისმოდა გალაკტიონის შემოქმედებაში, რამაც პოეტების მეფეს გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ქართულ პოეზიაში.

ცხოვრების კანონზომიერებათა შეცნობით გამოტანილია დასკვნა: "ომსა ცვლის მშვიდობა და ნგრევას — შენება, სიტლანქეს სულისას ცვლის სულის მშვენება, წყალს — ღვინო, დღეს — ღამე, სიცხადეს ჩვენება" (აქ ხილულ ოცნებას) (3, 676).

ასწლოვან ხეთა გადარჩენაში ერის სულის გადარჩენას ზეიმობს პოეტი: "არ დაღუპულა, ისევ იქავე დგას ასწლოვან ხეთა ჩერება; გულში სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება" (არ დაღუპულა) (3, 246).

ანალოგიური თვალსაზრისია მუმლის გაწყვეტასა და მუხის გადარჩენაში (მუმლი წყდებოდა) (3, 685).

პოლიტიკური ქვეტექსტის შემცველია "საუკუნეთა თოვლის" დადნობა: "საუკუნეთა თოვლო ითოვლე, მაინც დადნება ნათოვლარი" (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე) (5, 374).

ხომალდის გადარჩენაში რწმენის გადარჩენა მოიაზრება: "...ხომალდი გრიგალებს გადაურჩა მრავალს" (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ) (5, 372).

„პროლოგი ასი ლექსის" (3, 247) გვაუწყებს "ცეცხლთა ქარტეხილებისგან" ქვეყნისა და პოეტის გადარჩენას: "...მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი, რომ გამომევლო ჯერ არსმენილი ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა და მომეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა".

პოეტის მრწამსია: "რაც აირევა და დაირევა, რაც დაინგრევა, კვლავ აშენდება" (მშვიდობის ნიგნი) და ეს ოპტიმისტური დასკვნა მრავალგზის მეორდება: "იყო გრიგალი, იყვნენ ნგრევანი, მაინც გადარჩა ჩრდილი რამხელა" (ოპერის თეატრთან) (3, 243).

გალაკტიონი "ჩვენი სამშობლოს სანახავიდან" ხედავდა "სიცოცხლის მიზანს, სიცოცხლის საგანს, შუქს მოციმციმეს" (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა) (3, 329), აღმოსავლეთიდან ჭვრეტდა არა ერთი და ორი მზის ამოსვლას (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს" (5, 265).

გალაკტიონ ტაბიძე ამაღლებულ იდეალებს, საღვთო სახეებს ქმნიდა და ბოლომდე დარჩა "სამოთხის ჰანგების", "საედემო ხმის" მოთაყვანე, იავარქმნილი სულის, იავარქმნილი ტაძრების გადასარჩენი გზების მაძიებელი. თავისი დიდი წინაპრების დარად, დაცემის მიზეზები მან უღმერთობაში იპოვა და აღდგომის გზად უფლისკენ მიბრუნება დასახა.

გალაკტიონი ნათელხილვის და ნათელსმენის წყალობით ჭვრეტდა "არყოფნისა" და "ყოფნის წიგნების" საიდუმლოებებს და თავის ქმედით ეროვნულ იდეოლოგიას უპირველესად ღმერთის მცნებებზე აშენებდა, დანგრეულის აღდგენაში ხარჯავდა თავის ძალისხმევას.

"რწმენის ტახტი" ედგა "ეპოქის გედს" და "გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა" უკურნავ წყლულებს რწმენით ამარცხებდა, თანამემამულეებს "მშვიდობის წიგნად" სახელდებული ღმერთისკენ მიბრუნებას შთააგონებდა: "ვიდგეთ გარეთ თუ შიგნით მხოლოდ მშვიდობის წიგნით... შევხვდეთ მომავლის ხალისს მხოლოდ მშვიდობის წიგნით" (სადაც არ უნდა ვიქნეთ).

გალაკტიონის ესქატოლოგიურ შეხედულებებში იცვლება და ინგრევა ცა, სამყარო, ხდება ტოტალური დაბნელება, მთელი კოსმოსის ცვლილება, ადამიანთა ურთიერთობებში ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურება, მაგრამ მარადიული რჩება ღმერთი — მშვიდობის წიგნი, იგი მარადიულად გვირგვინმოსილია, ასევე უკვდავია მშვიდობის გზად მოაზრებული ღმერთი: "სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის. მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს" (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

ღმერთის მშვიდობის წიგნად და მშვიდობის გზად წარმოდგენა დაფუძნებულია ძველ და ახალ აღთქმაზე, ღვთისმეტყველთა ნააზრევზე, სასულიერო პოეზიაზე.

"მშვიდობის გზის" უპირველესი წყარო ესაია წინასწარმეტყველი უნდა იყოს: "ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მშვიდობის გზები მათ არ უწყიან" (ესაია, 59, 5).

გალაკტიონი წუხდა, რომ "ჟამთ მტვერით" იფარება წიგნი ცის და დედამიწის" (ხელოვნება).

პოეტისთვის მარადიულია „შორეული გაზაფხული" (ღმერთის სინონიმია), მარადიულია სამშობლო.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.

3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
4. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993.
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
7. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009 წ. № 12.
8. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009.
9. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
10. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
11. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991.
12. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000.
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 3, თბ. 1994.
14. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994.
15. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
16. ნეტარი ავგუსტინე, "აღსარება", საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბ. 1985.
17. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973

თავი III

ანტიციპაციით მომადლებული ტერენტი გრანელი.

წინასწარმეტყველური ხილვები

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რასაც ტერენტი გრანელი სულის თვალით ხედავდა.

„ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით" (თუ ხარ წვიმისთვის 1,63), ამბობდა პოეტი და ღია თვალებით მზერა, ანუ უცდომელი მზერა მხოლოდ უფლის, წინასწარმეტყველთა, საღვთო სიბრძნით მომაღლებულთა ხვედრია: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით" (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19)(2,156).

ტერენტი გრანელი ხედავდა აჩრდილებს, ბრილიანტებით შემოსილ ლანდებს, ასტრალურ ორეულებს, ბედის მწვერვალს, სიცოცხლის ბოლოს, უსაზღვროებას, მარადისობას, უხილავს, გონიერ ცას ანუ ღმერთების ცას, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი" ეწოდება.

პოეტი მონუსხული იყო სულიერი ზეცის ბრწყინვალებით: „...რა ბრწყინვალეა ცა იქაური" (ახლაც ვიგონებ) (3,57).

ცასთან „კომუნიკაციის" უნარით მომადლებულს,მაღალი, „ბრწყინვალე ცის" დუმილიც ესმოდა: „...მაღლა ბრწყინვალე ცის დუმილია" (თეთრი დღეები) (1,73).

ამქვეყნიური მიეთ–მოეთისგან განრიდებულს, „ცა უცნაური" აძლევდა შთაგონებას:. „ეს ჩემი ლექსი, ცა უცნაური, მორჩა, არ მესმის ქუჩის ხმაური" (შვიდია სრული) (1,179).

ესაია წინასწარმეტყველი ხედავდა „შორეულ ქვეყანას" (ესაია, 33,17) (2,97).

გალაკტიონ ტაბიძეს ესიზმრებოდა „რადაც წმინდა, შორი ქვეყანა" (მე მესიზმრება) (4,97).

ტერენტი გრანელი ეძებდა ჩვეულებრივთათვის უხილავ შორეულ, მარადიულ, „ცისფერ სამყაროს" (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (3,58), მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს" (,267).

ხედავდა ზეციურ, საღვთო ნათელს: „დგება ნათელი ისევ ზენარის (მე რა ვქნა) (1,202)

ხედავდა ანგელოზის ფრთებს, ანუ წმინდა, მფარველ სულს: „ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოზების" (ფარული ვედრება) (1,187).

ხედავდა სულის ლანდს: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების" (ისევ დადგება სურნელი ნისლის) (1,234).

„მემენტო მორის" ავტორი ამჩნევდა „ცისფერ სულს" (უცნობ საფლავთან), ხედავდა თანამედროვეთა სულს: „მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ შენს სულს, ტანჯვისგან გასპეტაკებულს", მიმართავდა აკაკი ანდრიაშვილს.

„ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით", ნათქვამია იოანე სახარებაში (იოანე, 4,24) (5,184).

პავლე მოციქულის მიხედვით, „...უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა", (პავლე მოციქული, IIკორინთელ, 3,17) (5,388).

ღმერთი „სულია სახიერი", ღმერთი „სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისაგან გამოვალს" (პეტრე იბერი (ფსევდო–დიონისე არეოპაგელი) (6,16,14,15).

ტერენტი გრანელს ეიმედებოდა უფლის სულის მოვლინება „...მოვა ცისფერი სული“ (უცნობ საფლავთან ვდგავარ) (1,130).

მორწმუნე პოეტის სულისთვის ახლობელი იყო უზენაესი ცეცხლი: „... და სულს ცეცხლისკენ მივყავარ თრთოლვით“ (ხამთრის მოახლოება) (1,138).

„შორეულ სინათლეში“, „სულის გადაღმა“ ჭვრეტდა „კანდელს“ და მოსალოდნელ სიმძიმილს: „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“ (შორეული სინათლე) (7,62).

ტერენტი გრანელის მზერას ანგელოზები ევლინებოდა როგორც მინაზე, ისე ზეცაში: „მე მგონი ანგელოზები დაფრინავენ როგორც მინაზე, ისე იმ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ზეცა“ (1,267).

ანგელოზის მფარველობას შეიგრძნობდა: „გულს მფარველი ანგელოზი იცავს“ (ნელა მივალ) (1,168).

პოეტის მზერა სწვდებოდა ყოფნის დასასრულს: „შორიდან ვხედავ ყოფნის დასასრულს“ (გუშინ ამ ხესთან) (1,82).

ხედავდა სულის გაფითრებას: „ფითრდება სული მზეზე მოღლილი“ (ზამთრის მოახლოება) (3,18).

პოეტის იდეალი იყო სულში დავანებული „ცისფერი ყვავილი“ (ყვავილი საღმრთო სახელია): „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (შორეული ყვავილები) (1,162).

ფიქრის საგანი იყო „ცისფერი ღამე“: „მე მაინც ვფიქრობ ცისფერ ღამეზე“ (ეხლა ჩემს ირგვლივ) (7,119).

ვფიქრობთ, „ცისფერი ღამე“ მზიანი ღამის“ იდენტური სახეა და ღმერთის სახელია (8).

პოეტისთვის ბუნებრივი იყო საღვთო ნისლის განცდა: „...ეს წმინდა ნისლი, ეს წმინდა კვირა“ (ეს ჩემი ლექსი) (1,180).

სულით თვალი აფიქსირებდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“: „...ეს წმინდა შარა ეს წმინდა ქვები“ (შარა) (1,166).

გზა, შარა საღვთო სახელია: „...აჰა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია, 30,21) (2,136).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28,16).

შორეული უსაზღვროების (ღმერთის) სავანეში გაჭრილი სული ხედავდა ზეციურ მეუფეს, საკუთარ აჩრდილს ანუ სულს: „ შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ (ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს) (1,228).

საკუთარ აჩრდილს ანუ მეორე მეს ესაუბრებოდა: „მთაზე დავდივარ და ვგრძნობ ანთებას, საკუთარ აჩრდილს ვესაუბრები“ (მძიმეა წამი) (1,93).

გულით გრძნობდა „ყრუ ბედისწერას“: „ყრუ ბედისწერა“ გეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

ტერენტი გრანელი ხედავდა „ფიქრის ნავებს“: „ისევ გამოჩნდნენ ფიქრის ნავები“ (მოდის ახალი ფიქრთა კრებული) (1,187).

ანგელოზური სულის პოეტი ინტუიციით ამჩნევდა სხვათა გულში დაბინავებულ მხეცს და ეს განაპირობებდა მის გაუცხოებას მტაცებელთა მასისგან“: „ვარ ეხლაც კენტად, მიმზერს გულიდან მხეცი, მოვედი შენთან, მე ანგელოზი ზეცის (ვარ ეხლაც კენტად).

ტერენტი გრანელს აქვს ერთი შეხედვით უცნაური ფრაზა: „... და ღრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან“ (დადგა მაისი) (1,109).

ღრუბელი, მარიამ ღვთისმშოლის სიმბოლოა (9, 124).

ღრუბლის ბავშვი“ არის ქრისტე, მზე-მამაღმერთი.

უზენაესთან სულიერ კავშირზე მიმანიშნებელი ფრაზაა: „ეხლა შორის ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (პოეტი პატიმარი) (1,35).

პოეტის ღვთიურ სულს შეგვაგრძნობინებს შემდეგი ფრაზა: „სულთან ახლა ცისფერი შუქი მარადისობის“ (მარადისობის ლაჟვარდები) (1,68).

მარადისობა, მარადისობის მამა „ღმერთის სახელია (ესაია წინასწარმეტყველი, 9,5)

შუქი უფლის პარადიგმაა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „რადგან შენთან არს წყარო სიცოცხლისა, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (ფს. 35,10).

„...იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“(ფს. 56,14).

პოეტის სულს მარადისობის შუქი, ვარდის (საღვთო სახელია) შუქი აბრწყინებდა: „თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“ (შეშლილი ცრემლები).

„ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე“, ევედრებოდა უფალს ძე ღმერთის სხივით გაბრწყინებას.

ასევე ელოდა პოეტი ღმერთს – სასწაულს: „ახლა სასწაულს მხოლოდ მე ველი“ (ვერ გიღალატე) (1,72).

ტერენტი გრანელს ენუგეშებოდა „ღმერთი სასწაულის მოქმედი“ (ფს. 76,15).

ეიმედებოდა „საოცრება“: „...საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი“ (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე).

„უცნობი სფინქსი“ იდგა „საოცრების კარებთან“, მოელოდა „საოცრებას“ (ცისფერი სიშორე, 1,40).

საოცრება და კარი საღვთო სახელებია: „უფალი... გაიხსენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და სამართალნი მისთა ბაგეთა“ (ფს. 104,5).

„კვლავ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე, 20,7)

ტერენტი გრანელი ფიქრობდა „შორეულ ხეზე“, „ძვირფას ხეზე“ (ხე საღვთო სახელია), უმზერდა უსაზღვროებას, მარადისობას (უსაზღვროება, მარადისობა საღვთო სახელებია).

სიზმარი შეიძლება იყო წინასწარმეტყველური (10, 124).

ძალზე ხშირად გვხვდება ტერენტი გრანელის ლექსებში სიზმარი, არა მარტო როგორც განცდილის დაფიქსირება, არამედ მოსალოდნელი მოვლენების წინასწარი ჭვრეტა.

სიზმრით გვამცნობს პოეტი სულში უფლის ჩასახლებას, რაც უვალ გზებზე სვლის, თავისუფლების, ზნეობრივი ამაღლების, მშვენიერებასთან ზიარების მომასწავებელია: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი–უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავისუფალი. თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი. ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“ (სიზმარი) (7,132).

ახალი აღთქმის მიხედვით, თავისუფალი მხოლოდ უფლის მონაა: „...უფალში მოწოდებული მონა უფლის თავისუფალია, ასევე მოწოდებული თავისუფალიც ქრისტეს მონაა“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 7,22).

პოეტი გრძნობდა მარადიულ ცას: „მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“ (მარადისობის ლაჟვარდები) (3,32).

პოეტი მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს შეიგრძნობდა ინტუიციურად: „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“(შორეული სინათლე) (3,156).

მთელი სამყაროს მოვლენები ფიქსირდებოდა უკიდეგანო სულში: „მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო“ (ჩემი ბედი) (1,217)

განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა მის სულს შორეულთან, მარადიულთან: „მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“ (1,267).

პოეტი ირწმუნებოდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“ (სამშობლოს) (1,94).

„მემენტო მორის“ ავტორი იყო „შორი გზით“ (ღმერთის გზით) მავალი, შორი პლანეტების განმცდელი: „ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი. ნახევარია ორის, მიპყრობს პლანეტა შორი“ (ნახევარია ორის) (1, 172).

ტერენტი გრანელს აინტერესებდა „სულის მხარე“ (გუშინ ამ ხესთან) (1,82).

ბედისწერის ხაზები კვეთდნენ მის გონიერ გულს: „ყრუ ბედისწერა გეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

„უცნობ სფინქსად“ მოვლენილ პოეტს აწამებდა ყველგანმყოფობის, მთელი მსოფლიოს გულისგულში ჭვრეტის, საკაცობრიო ტკივილების დაამების სურვილი: „ახლა მთვარიანი ღამეა და მწვავს სურვილები, ერთი და იმავე დროს, სწორედ ახალ მინდა ვიყო ყველგან, მინდა მთელი მსოფლიო გადაიშალოს ჩემს წინ, როგორც ერთი ნაჭერი მიწა, აქედან ვუმზერდე პარიზში მიმავალ ადამიანს. მინდა ხელში მეკავოს მთელი მსოფლიო, როგორც ბურთი“ (ტერენტი გრანელის დღიურები).

გონით გულში მიმდინარე პროცესებს ჭვრეტდა: „შენ ჩემო თავო, გრძნობ გულის ანთებას“ (წვიმიანი დღე) (1,94).

ცისფერ უსაზღვროებასთან იყო დაკავშირებული , მაგრამ სულის ყვავილს, მიმიზებს (ღმერთის სიმბოლოებია) გრიგალი ემუქრებოდა და დროის ავბედითობას თრობით, ღვინით გაურბოდა გალაკტიონივით: „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმიზებს, ახლაც ვგრძნობ ცისფერ უსაზღვროებას და თანაც ვფიქრობ წითელ ღვინოზე“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (1,102).

იდუმალი მაინც არ ტოვებდა და მიწიურ უკეთურობებს ავიწყებდა: „და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას“ (მას შემდეგ) (1,106).

მის გულს ემშობლიურებოდა ფასდაუდებელი იაგუნდები: „გულს რად უღირდა იაგუნდები“ (დაბრუნება ნავთლუღიდან) (1,116).

იაგუნდი მარიამის სახელია (9,124).

ზეციური წამები უამებდა გულის წყლულებს: „და ვგრძნობ ზეციურ წამებს“ (ვაკიდან) (1,25-26).

ზეციური ვარსკვლავი (საღმრთო სახელი) ანათებდა გულს იმედებით: „ღამეა, ცაზე ვარსკვლავი ერთი მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედს“ (1,26).

უბედობას თრგუნავდა უხილავზე ფიქრით: „ბედს გავურბოდი და გული გავხსენ და ვსაუბრობდით ჩვენ, უხილავზე“ (ბედს გავურბოდი) (1,53).

ტერენტი გრანელის პოეზიის წინასწარმეტყველურ ხასიათზე მიუთითებენ მისი შემოქმედების მკვლევარები.

„წუთისოფლის მიზეზ–შედეგობრივ ბორბალზე მბრუნავმა“ ტ. გრანელმა ზუსტად „გამოთვალა“ თავისი ხვედრი, დასასრულს რომ უახლოვდებოდა. კარგად უწყოდა, საით მიჰქანებდა დროის ულმობელი, მაგრამ კანონზომიერი ქროლვა: „მე რა მომელის, არ ვიცი გა-

ნა? ვიცი, სად მიჰქრის დღეთა კრებული“... მის არსებაში ხომ ჩასახვამდე ლივლივებდა ბედისწერის ტბა. სიყრმიდანვე ცნობისწადილით უმზერდა ამ ტბის შფოთვას, უსმენდა მის იდუმალ მღერას და გულდასმით სწავლობდა მის აქაფებულ და უდაბურ სანაპიროებს... მთელი თავისი ცხოვრება წინასწარ ამოეკითხა ამ ხილულ, მაგრამ არარსებულ პერგამენტზე, „წერს (წერს ლერი ალიმონაკი) (11,88) „წინახილვის შეგრძნება, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობლიობის შედეგი“.. საშუალებას აძლევდა განეჭვრიტა თავისი „მომავალი ბედისწერა“... ამ წინახილვით ძალუძდა „სხვათა ფიქრების წვდომა, დროისა და სივრცის მოახლოება“ (იქვე, გვ. 136).

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დავით თოთიბაძე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ტერენტი გრანელის ლექსები წერს: „ტერენტი გრანელმა „გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო. მას ჰგონდა „წინაგრძნობა უმაღლესი რეალობის, უსასრულობის. ის გადასცემს სხვებს წინასწარ ცოდნას სხვა სამყაროს შესახებ, რომლისკენაც წაიყვანს კარგი მოძღვარივით. პოეტი ... არის ნიშანი, შეტყობინება რჩეული არხების, გამორჩეული ბედისწერის“ (12,46).

ლიტერატურა

1. ტერენტი გრანელი, ტ.I. თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
3. ტერენტი განელი, ასი ლექსი, თბ. 2005
4. გალაკტიონ ტაბიძე,რჩეული, 1977
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. პეტრე იბერი (ფსევდო–დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ. 1961
7. ცისფერი სიშორე, თბ. 1998
8. ტიტე მოსია, ოქსიმორონი მზიანი ღამის პრობლემატიკა, თბ. 1999
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1995
10. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995
11. ლერი ალიმონიკი, კვირის წირვები,თბ. 1984
12. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, (ხელნაწერი).

ტერენტი გრანელს, ნათელხილვასთან ერთად, ნათელსმენის უნარიც გამოარჩევდა.

ქრისტეს სისხლიანი ბედის თანაზიარს, უდაბნოდან ესმოდა ზარის ხმა: „ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი... გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან და გაწვალებდა თოვლი და ქარი“ (1,177).

გალაკტიონი ამხელდა „ყრუ საუკუნეს“, რომელსაც სმენა დაეგმანა საღვთო ჰანგებისთვის (ყრუ საუკუნეს) (2,603).

ტერენტი გრანელისთვის დროის მახასიათებელი გამხდარიყო „ყრუ ფიქრები“: „მაშინებს ყოფნა ყრუ ფიქრებში გამოხვეული“ (სონეტი), „ყრუ ბედისწერა“ იყო მისი ხვედრი: „ყრუ ბედისწერა გაეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

„უცნობი სფინქსი“ თავის მართალ ხმას ზეცას აწვდენდა და სამყაროს აღვიძებდა: „ახლა ჩემი ხმა ზეცას მოიარს“ (ნელა ქრებიან) (3,50).

ტერენტი გრანელის პოეზიაში ოცნება ლერწმის რხევის ხმას გამოსცემს და ცის კალთაში პოულობს ადგილს:„ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სონეტი) (1,168).

პოეტი „კომუნიკაციას“ ვიღაც მარსიანელთანაც ამყარებს: „ძვირფასო ვტირი და ყოველ ღამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“ (ვიგონებ სოფელს) (1,184).

ნათელსმენს „სულის მიმოზების“ რხევაც არ გამოეპარება: „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (1,102).

ლექსში „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ პოეტი შეიგძნობს, როგორ „იმოსება“ მისი ოცნება: „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება და იწვევს გაოცებას შორეული ალები“ (3, 67).

პოეტს ესმის „შრიალი იდუმალ ძალთა“ (ქალი მატერებელში“ (1,61).

ესმის „ცრემლის შრიალი“, ოცნების თეთრი ნავების ქროლვა (3,28), „თეთრი ფიქრის თარეში“ (ხომ მაღელვებს მე ასე) (3,78).

პოეტს ესმოდა „გულის ტირილი“ (ჩემს წინ), როიალის ტირილი (გათავდა, მორჩა), როიალის კვნესა, ბაბილონის ნაპირთან ყორნების რეკვა (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე) (3, 67).

ტერენტი გრანელის სულში ქარები მღეროდნენ (დაბრუნება), 3, 90).

საიქიოდან მშობლების ძახილი სწვდებოდა სმენას: „თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“ (დედ–მამის და ნათესავების მოსაგონარი) (1,66).

„მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“, ამბობდა პოეტი და მერე აკონკრეტებდა, რომ ეს უფლის ხმა იყო: „ეხლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (1,35).

იმედებს ყოველთვის„ შორი ცა“ – ღმერთების ცა უგზავნიიდა: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა, მარად მუქი“ (მორჩა, არავის ველი) (1,73).

„ზარებში მიუსავლეთის“, „სხვა ზარების“ ხმა აძრწუნებს და: „მე რომ მაშფოთებს, სხვა ზარებია, მიუსავლეთში მივემგზავრები“.

ხორცისგან განშორებული სული „შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ შორეული „წვიმის“ ხმას შეიგრძნობდა, კუბოსთან მდგარ სეარაფიმებს ხედავდა და ღვთისმშობლის ტირილი ესმოდა: „მე თეთრ კუბოში ჩუმად მეძინა, მოჰქონდათ ვარდი და გვირილები... და ეცემოდნენ სადღაც წვიმები, შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე „ტიროდა“ (მიცვალებულის დღიურიდან) (3,96).

„შორეული ღრუბელი“ მარიამის სიმბოლოა (4,124).

წვიმა ძე ღმერთზე მიგვანიშნებს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში ღმერთი არის „ბარაქიანი წვიმა“ ფს. (67, 10) (5, 590).

ტერენტი გრანელის სჯეროდა, რომ გლოვის ზარებით მავალი თეთრი კარეტა მის მგლოვიარე სულს სამოთხეში მიიყვანდა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“(ლოცვა მთვარესთან) (1,156).

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი, ტერენტი გრანელის პოეზიის მკვლევარი „დავით თოთიბაძე აღნიშნავს: „ტერენტი გრანელი ჰგავდა „განდობილს“, ესმოდა მიღმა სამყაროს ძახილი“ (6,37).

ლიტერატურა

1. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, 1988
3. ტერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ. 2005
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი (ხელნაწერი)

სიკვდილის აჩრდილის გამოცხადება

ათეისტურ საზოგადოებას, რომელიც მიწას, ნივთს, მატერიას აიდეალებდა და სულის უკვდავება არ სწამდა, არ შეეძლო გაეგო ტერენტის განაცხადი: „... ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას, სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“ (გული მტკივა და ოცნებას მივსდევ) (1,144).

პოეტი იზიარებდა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანისთვის საწუთრო, მიწა დროებითი, ხანმოკლე სამყოფელია, ხოლო წმინდა სული თავის მარადიულ სახლს–ღმერთის სავანეს უბრუნდება გარდაცვალების შემდეგ და როცა სული ტოვებს თავის ხორციელ გარსს, მარადისობაში ივანებს. სულის განთავისუფლებისა და ზეცაში დამკვიდრებისთვის, აუცილებელია ხორციელი განწმენდა, ცოდვების მონანიება.

პოეტი ხედავდა „მიცვალებულ დედას“ (სიზმარი), „დედის აჩრდილი“ დებს და მამას აბარებდა (დაბრუნება სოფელში) (2,95). დედის აჩრდილი ელოდა გზაში (ჩემო ზოზია, მე ნავალ მალე) (2,92,99).

ტერენტი გრანელმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვის განსაზღვრაში ხუთი დღით შეცდა(3,4).

სიკვდილის შემდეგაც პოეტს ისევ „ცისფერი ზეცის“ „განაჩენი“,თბილისის მიწაში დასაფლავების ეიმედებოდა: „ქარი ატირდა მზესთან, ცისფერი ზეცა მიგლოვს. მე, გაფითრებულ პოეტს, თბილისის მიწა მიხმობს“.

იწინასწარმეტყველა თბილისში დასაფლავება: „მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას“.

„ო, როგორ მორბის ლანდი სიკვდილის“, „ვხედავ სიკვდილის ყვითელ მანტიას“ – ასე შინაურივით დაიახლოვა პოეტმა გარდუვალთან შეხვედრა.

სიკვდილსაც სიცოცხლეში განიცდიდა: „სიკვდილს განვიცდი და მოდის მთვარე და თითქმის ვიცი, რა ხდება გარეთ“ (1,82).

„შორედან ვხედავ ყოფნის დასასრულს“ (გუშინ ამ ხესთან), გვაუწყა ნათელხილვის უნარით მომადლებულმა.

სიკვდილი არ აფრთხობდა, რადგან გაშინაურებული ჰყავდა: „...დამეძებს გარეთ, ვერ მოვიცილე, სალამი ქარებს, სიკვდილს, სიცივეს“ (მისალმება ზამთრისადმი) (4,95)

სიკვდილის განცდა გაგვიცნობიერა ლექსში „გადარჩება?“ „... ჩემს გარშემო ბურია, ჩემს გარშემო ნისლია, მოჩვენება შემოდის ღია თვალთა გუგებში“ (4,34).

თავისი სიკვდილიც ქვეყნის უსმართლობის ჭრილში მოიაზრა: „მე ვსტირი ქვეყნის უკუღმართობას და ჩემს დაღუპვას აუცილებელს“.

იქნებ მის ლექსებში პეტრე–პავლეს სასაფლაოს ხსენებაც არ იყო შემთხვევითი, სადაც მისი სამარე გაითხარა. მინიატურაში „სიკვდილის შემდეგ“ წინასწარმეტყველებდა: ... ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო.

მე დამასაფლავებენ შუადღის ორ საათზე თბილისის ახლო.

მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემ დანისლულ ლექსებიდან: სტრიქონები.

ჩემს საფლავს დადგება მზე შორეულ რიცხვის... (4,375).

პროფესორი სერგი ჭილაია წერდა: „გასაოცარი წინაგრძნობა ჰქონია გრანელს. მისი გასვენებისას ყველაფერი ისე იყო, როგორც აღწერილი აქვს პოეტს. ოღონდ ზამთრის ნაცვლად შემოდგომა იყო და შემოდგომის ეს წვიმიანი დღე უფრო გულის დამაღონებლად გვაგონებდა გრანელის წინასწარმეტყველურ სიტყვებს მისი მინიატურიდან „სიკვდილის შემდეგ“) (5,223).

ლადო გუდიაშვილი წინასწარმეტყველურს უწოდებს ტერენტის ლექსს ნიკო ფიროსმანზე: „სულ ახალი ჩამოსული იყო ტერენტი თბილისში, ფიროსმანზე რომ სონეტი დაბეჭდა. საკვირველია, პროვინციიდან სულ ახლახან ჩამოსულმა, თბილისის კოლორიტს ხეირიანად რომ არ იცნობდა, რა საოცარი მისტიკური ხილვით იხილა ფიროსმანის ბედისწერის ტრაგედია, რომელიც მისივე ტრაგიკული ხვედრის თვითხილვაც იყო“ (5, 57-59).

უჩვეულო იყო მისი საფლავის ბედიც. ფიროსმანივით, მის საფლავსაც დაკარგვა ემუქრებოდა, რომ არა პოეტის მეგობრის–კონსტანტინე გაჩეჩილაძისა და მამა შიო თურქაძის (პეტრე–პავლეს სასაფლაოს მოძღვრის) ძალისხმევა.

დიდი მცდელობის შემდეგ გადაწყდა ტ. გრანელის ნეშტის გადასვენება დიდუბის პანთეონში, მაგრამ ეს ხდებოდა მოშურნეთა, ხელმოცარულთა, გულგრილთა მიერ ხელის შეშლის ფონზე. პეტრე პავლეზე ტერენტის სამარე გათხარეს, მაგრამ უამინდობის გამო გადასვენებას არ ჩქარობდნენ და ღია, პირდაღებული საფლავი, მისი მომლოდინე პოეტის გარეშე, ღრუბლიან ცას შესცქეროდა. გვაგონდება პოეტის ადრეული განაცხადი: „მკვდარი ვიყავი და უგრძნობელი, ღია სამარე ჩემს გულს უცდიდა“ (მიცვალებულის დღიურიდან) (1, 294).

ელიზბარ ზედგინიძე წერს: „ტერენტი გრანელმა თავისი მომავალი თავისი პოეზიით წინასწარ განჭვრიტა, თანაც სწორად და უტყუარად. ამას ადასტურებს მისი უიღბლო სიცოცხლე და უკანასკნელი გზა, რომელიც გაიარა პეტრე–პავლეს სასაფლაომდე პატარა სენაკიდან უცნობ საფლავთა მრავალ ბორცვსა და ძეგ-

ლებს შორის უკვე გამზადებულ სამარემდე, როგორც წუთისოფლის უცხო მგზავრი, მარტო მოსიარულე და მარტო დარდით აღსავსე უდაბნოში ტერენტისათვის უდაბნოდ ქცეულ თბილისში.

მხოლოდ რამდენიმე მწერალმა მიაცილა პოეტი სამარემდე" (5,202).

მორგიდან ტერენტი გრანელის გამოსასვენებლად მისულან: გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან მეტრეველი, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, იროდიონ ქავჟარაძე, პლატონ კეშელავა, ალექსანდრე წერეთელი, სიმონ ყუხაჩაშვილი. ჭირისუფალთაგან არავინ ყოფილა (5,54-55).

ცნობილია, რომ ცოდვილი ადამიანის სულს ეშმაკი ეპატრონება, წმინდა პიროვნებისას – ანგელოზი. ტერენტის გრანელს თავის კუბოსთან სერაფიმები და ღვთისმშობელი ელანდებოდა: „...და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა" (მიცვალებულის დღიურიდან) (1,294).

ანგელოზები და ქრისტე ესახებოდა იმქვეყნად მიმავალ პოეტს წინამძღვრად: „...მიმასვენებდენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა" (1,294-296).

მიღმურ სამყაროში გამგზავრებისას სამოთხე ეიმედებოდა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით"(ლოცვა მთვარესთან) (4,156).

ამ რწმენის საფუძველი იყო წმინდა ცხოვრება: „ძვირფასო, მხოლოდ მე დავრჩი წმინდა და სხვებმა სული ფულზე გაყიდა".

ტერენტი გრანელი იზიარებდა გარდასხეულების თეორიას. მას სჯეროდა „სიცოცხლე სხეულის გარეშე", „მესამე გზის" არსებობა, სულის ღვიძილი ხორცის დატოვების შემდეგაც და ამბობდა: „და უმძაფრესი ღონის ქარიშხალია დღემდე, გამომელვიძა, მგონი, გარდაცვალების შემდეგ (გამოღვიძება გარდაცვალების შემდეგ) (5,107).

როგორც სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც პლანეტასავით სულის ანთების, სულის მარადიულობის იმედი არ ტოვებდა: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ რომ ავენთები, როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები" (პოეზია) (2,28).

არც ეს რწმენა გასცუდებია პოეტს: „...მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება" (უმიზნო ხეტიალი) (2,88).

თავისი საფლავის მარადიულობა ასე მიგნებულად გადმოსცა პოეტმა: „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცვის " (სიკვდილის შემდეგ,) (2,108-110).

ტერენტი გრანელმა იწინაწარმეტყველა თბილისში დასაფლავება: „მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას".

პოეტმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დრო, უცრემლო, უცერემონიო დასაფლავება, გამცილებელთა მცირერიცხოვანება („სიკვდილის შემდეგ").

იქნებ მის ლექსებში პეტრე–პავლეს სასაფლაოს ხსენებაც არ იყო შემთხვევითი, სადაც მისი სამარე გაითხარა.

ლიტერატურა

1. ცისფერი სიშორე, თბ., 1998
2. ტერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ., 2005
3. გივი ცქიტიშვილი, ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა, გაზ. „ვერსია" 2001, 5-11 ნოემბერი
4. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
5. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984

აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების შეცნობა

გასაოცარი იყო ტერენტი გრანელის ინტუიცია, იგი უცდომლად ცნობდა ადამიანის სულს და უკეთურთ, ბოროტეულთ ყოველთვის გაურბოდა. მოჩვენებითი ღიმილის, თეთრი კბილების, მოწონების შეძახილებს მიღმა ყოველთვის განჭვრეტდა მოპირისპირეთა ზრახვებს და არასოდეს შეეფიცებოდა ბოროტებას, თუნდაც უზარმაზარ მიწიურ სიკეთეთა საზღაურად, თუმცა სწორედ მიწიური, ელემენტარული პირობები აკლდა ღამის გასათევს დანატრებულს და გამუდმებით თავშესაფრის მაძიებელს.

ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა ლავრენტი ბერიასთან დაკავშირებული ეპიზოდები, პოეტის თვალით ხილული სტალინი, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები (ლ. ღოღობერიძე, ს. ორჯონიკიძე).

ტერენტი გრანელი ხედავდა სულს და ეს საშუალებას აძლევდა, „გაეშიფრა" მოპირისპირეთა ზრახვები აწმყოსა და მომავალში, რათა ურთიერთობებში არ დაეშვა შეცდომა. ცდუნების სიტუაციები კი მრავლად იყო.

პოეტი ღმერთის გადასახედიდან ხედავდა მოვლენებს და მას არ აშინებდა ამა ქვეყნის ძლიერთა, მიწიერ, წარმავალ მტარვალთა მუქარა.

„ფოლადზე უმეტეს, კოლხეთის ჯავარდენის სიმტკიცეს იჩენდა პოეტი, როცა ყველას გასაგონად სტალინს მიმართავდა“, წერს ტერენტი დის–ზოზიას შვილიშვილი, ექიმი, პროფესორი მამანტი როგავა (მამანტი როგავა, ტერენტი გრანელი) „მწერლობა XXI“, №1/5, 2000).

„ყოვლისშემძლე „პარტიული ინტელიგენციისთვის“ სულიერად გაუტეხავი და მოუსყიდველი ადამიანის– ტერენტი გრანელის და მისი სამყაროსმომცველი პოეზიის–როგორც თავისუფლების ჰიმნის არსებობა მათი ზეობის ხანაში წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო, რადგან მათ უსუსურობასა და არარაობას უსვამდა ხაზს. სხვადასხვა წარმომადგენელ კოლაბორაციონისტებისთვის თვით გრანელის სიცოცხლე, ცხოვრება და პოეზია იყო და დღესაც არის ყოველწუთიერი შეხსენება საკუთარი (როგორც პიროვნების და მოქალაქის) მოღალატეობის, სულმდაბლობისა და სამარცვინო არსებობისა“ (იქვე).

„ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“, ამბობდა პოეტია და „ცია თვალებით“ მზერა კი მხოლოდ ღმერთის, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ რჩეულ ადამიანთა, წინასწარმეტყველთა პრეროგატივაა: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32, 19).

პოეტს არ ტოვებდა ქართველი ერის, ქართული ენის–ლაზარეს აღდგომის რწმენა და ჩვენი მშობლიური ხალხის სანუკვარ იდეალს იმედიანად ეხმაურებოდა: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული“ (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღე „ცისფერი სიშორე“, გვ. 18).

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი დღის“ (მამაღმერთის სახელია) დადგომის, ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრწყინების იმედით ცხოვრობდა: „...მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“...

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“... (1,154).

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა–მწუხარებასაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“...

ტერენტი გრანელი ხსნის გზად რელიგიას, რწმენას, ღმერთის გზით სიარულს, უზენაესთან შერიგებას მიიჩნევდა, როგორც წინასწარმეტყველები, ღვთისმეტყველები: „... და სულის ლანდი

ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი ნისლის).

ურწმუნო ეპოქაში ისევ ღმერთისკენ მიბრუნებას, „ძველი ფიქრების“, რწმენის აღორძინებას ხედავდა განგების ძალით: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“).

„შერიგების“ ცნებაში წინასწარმეტყველები, მოციქულები გულისხმობენ ადამიანის შერიგებას ღმერთთან, მიბრუნებას რწმენისკენ.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობს მამებისა და შვილების ღმერთთან შერიგებაზე (მალაქია, წინასწარმეტყველი (3,24) (2,307).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5,18) „შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5,19) და გვმოძღვრავს: „ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“ (IIკორინთელთა 5,20).

„და ქრისტე ყვავილს ისვრის მთვარიდან“, აცხადებდა ტერენტი გრანელი და თითქოს ხედავდა ძე ღმერთის საშველად გამოწვდილ ხელს.

ცნობილია, ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტი გრანელის ლექსით დაინტერესდა ლავრენტი ბერია, რომელიც ყველანაირი გზით ცდილობდა პოეტთან კონტაქტის დამყარებას. ერთხელ თავისი დამქაშების მეშვეობით კაბინეტში დაიბარა, კარგად მიიღო, შეუქო პოეზია, მწვანე მზა მისცა მისი ლექსთა კრებულის გამოცემას.

უბინაო, სანახევროდ ქუჩაში მცხოვრები, უპოვარი ტერენტი გრანელი ბერიას მხრიდან ხელის გამოწოდებას აღტაცებით არ შეხვედრია. თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნო პოეტმა, რომ ხელისუფლება იშინაურებდა, მის მოთვინიერებას იწყებდა, ქამანდს ესროდა და მიზანმიმართულად ეპატიჟებოდა ხელმწიფის ეკიპაჟში – მისი განსაკუთრებული ნიჭის სამართავად, პარტიული დოქტრინის ყმად, ამა ქვეყნის ძლიერთა პოლიტიკის სამსახურში ჩასაყენებლად.

ტერენტი გრანელი არ აჰყვა დიდმპყრობელთა ხრიკს, თავისი პრინციპული პოზიცია არ დათმო და „ღამესთან“ დადგა, „როგორც ქანდაკება“. მან კარგად ამოიცნო პოეზიის რჩეულთა ნიჭზე მონადირე მიწიერი სამყაროს თავადნი, რომელთაც სურდათ ავტორიტეტული მხატვრული სიტყვით მომადლებულნი თავიანთი სატანისტური საქმიანობის მეხოტბედ ექციათ.

„...მიდის ჩემი გზა სწორი“, აცხადებდა გულმართალი ლირიკოსი და კარგად არჩევდა ამა სოფლად დროებით მოვლენილ ფეოდალთ და ზეციურ თავადს, მიწიურს და მარადიულს.

ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას კი არ მიესალმებოდა, დამოუკიდებლობის იდეებს ერთგულებდა და ყინულოვანი მონსტრის მიერ გამეფებულ სიძნელეს, „ღრუბლებს“ ებრძოდა, ფინიად სახელდებულ უკეთურთ უპირისპირდებოდა: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია“.

პოეტი ამხელდა ეპოქის საძულველ კერპებს, მარქსიზმ–ლენინიზმის შხამით მოწამლულ აპოკალიფსურ ტირანთა ნაშიერებს და უზენაეს, მარადიულ არსებათა თანამგზავრად მიიჩნევდა თავს.

ეს უკვე იყო ბოიკოტი, მედროვეთაგან განდგომა.

იმ პერიოდში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ტერენტი გრანელის ლექსი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეტის მაღალ გულისთქმას ავლენდა, მთლიანად უპირისპირდებოდა „ძლევამოსილი სოციალიზმის“ მეხოტბეთა დოქტრინას და შეახსენებდა მხატვრული სიტყვის უმაღლეს მისიას – რწმენის, სიმართლის მსახურებას, ეროვნული იდეალების ერთგულებას: „ფიქრი გადადის შორეულ ხეზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ ქალის ფეხებზე, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვიწამე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია, აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას“.

აქ მთლიანად უარყოფილია ტრაფარეტული ესთეტიკური კლიშეები და უმაღლესი პოეზიის საგნად ქცეულია „შორეული ხე“ (სალმრთო სახელია) ზეცა, კოსმოსი, სულიერება, რწმენა, მხილებულია ცოდვილი მიწის საშინელებები.

ამავე დროს, ლექსი არ არის დროისგან გაქცევა, პირიქით, მასში არის ცდა ეპოქის გამრუდებული ორიენტირების გასწორების.

ლექსში ნაჩვენებია თანადროულობის ხასიათი, სოციალიზმის დიქტატორული მესვეურნი, ირონიული დამოკიდებულება ვლინდება წითელ დროშასთან, ნამგალთან.

მარადიულად მიჩნეულია არა ეფემერული საბჭოთა წყობილება, რომლის ნგრევა– წარმავლობას იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსი გვამცნობს, არამედ „შორეული ალი“ (ცეცხლი–ღმერთის სიმბოლო), მარადისობა (ღმერთი), ნაწინასწარმეტყველებია უკუთურთა, სატანისეულთა წარდგომა ღვთაებრივი სასამართლოს წინაშე. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ–მოეთი, წითელი დროშის „მშვენიერება“, ნამგლის გაფეტიშება მარადისობის ძალით დაიფარება, ასეთია პოეტის აზრი: „ფიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შო-

რეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას".

ნამგალი და ურო სატანისტური ბოლშევიზმის იარაღებია, ნამგალი მოცელავს, ურო ანგრევს.

ამ ლექსით ტერენტი გრანელმა უცდომლად განჭვრიტა სამართლიანობის სახელით მოსული ტირანია, ძალაუფლებისმპყრობელნი და შავბნელი ხელისუფლებისთვის გახდა შავსიელი.

პოეტი ნეგატიურად აფასებდა ხალხის სახელით მოსულ სისხლიან პროვოკატორებს და ალექსანდრე სიგუას (პატრიოტს, შემდგომ პოლიტკატორღელს–ლ.ს.) ეუბნებოდა: „ჩემო საბა, შენ რა, ეს წყობილება გგონია? ესენი დამხვრეტელები არიან, დამხვრეტელები" (ალ. სიგუა, „მოგონება ტერენტი გრანელზე", ცისფერი სიშორე, გვ. 414).

ტერენტი შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაეკენწლა სოციალიზმის ფალავნები, ანტიეროვნული ვაიპოლიტიკოსები, ერის გადაგვარების მოსურნე ღამურები, უბირი ტირანები. სერგო ორჯონიკიძეს „ლუდაედს" ეძახდა, მის მიერ გადაგვარებულ ახალგაზრდებს – „უთვისტომოებს, კაცუნებს" და გადაუგდებდა რა მათ თავიდან ორჯონიკიძის მსგავს ძაბრისმაგვარ ქუდებს, იტყოდა: „მაგრად უნდა იდგე, მაგრად! მძიმე ხვედრი ერგო ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. უფრო მძიმე გზაც გაუვლიათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენც უნდა გავუძლოთ" (იქვე, 415-416).

ტერენტი კიცხავდა „ავადსახსენებელ" ლევან ღოღობერიძეს, ხშირად ამბობდა, რომ „ამ გიენამ ქართველ თავადაზნაურთა და მოაზროვნე ინტელიგენციის სისხლი ბოლომდე დალია". „ავადსახსენებელთა" რიგში პოეტი სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ღოღობერიძეს, 1924 წლის „შემოქმედთ" გულისხმობდა და ამბობდა: „ესენი უცხო თესლები არიან ქართველებისთვის, ჩემო საშა! და რბილად რომ ვთქვათ, მათ უზნეო დედათა ნაშიერად მიიჩნევდა" (იქვე)..

იმდროინდელ ცხოვრებას ტერენტი გრანელი ჯოჯოხეთს უწოდებდა („როგორც გალაკტიონი, კ. გამსახურდია).

თურმე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში ტერენტის ლექსი, რომელიც თავის არქივში შეუნახავს ალ. სიგუას: „დავდივარ მარტო ლანდივით, დარდის პერანგი მაცვია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე – დეკორაცია" (იქვე, 407).

ტერენტის ლექსი „სულის ცეცხლი" ზოგიერთებმა „წითელი საუკუნის" ხოტბად გამოაცხადეს. იგი ასე იწყება: „შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი, ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი".

შალვა დადიანი ამ სტრიქონებზე დამყარებით ლექსში საბჭოთა სინამდვილის თანაგრძნობას ხედავდა, მაგრამ ტერენტი გრანელი აღაშფოთა ასეთმა გაგებამ და ხაზგასმა დანარჩენ ორ სტროფზე გააკეთა. მართლაც, აშკარაა, რომ მასში ნახსენები სისხლის მდინარე, ბურუსი, ტყვიები, განსაცდელი, კვამლი, მღელვარება, შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება და ეშაფოტი ვერაფრით ვერ იქნებოდა ჯოჯოხეთური სინამდვილისადმი პოეტის მხარდაჭერის სტიმული: „სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი, ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი“.

„შორეული რაინდების უმწეო შფოთი“ ქვეყნის თავისუფლებისათვის ამაო შემართებაზე მიგვანიშნებს.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ შთააგონა პოეტს თავისი ცნობილი წიგნი „მემენტო მორი“. სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ გამარჯვებულ ტრიუმფატორებს ძველ რომში – „გახსოვდეთ სიკვდილი, თქვენც ხომ მისი შვება ხართო" (იქვე, 397).

1924 წლის ტრაგედიამ სტიმული მისცა თავისუფლებაწართმეულ საქართველოს შვილთა განსაკუთრებული ნიჭიერების გამოვლენას ახალი, გენიალური ნაწარმოებებით, ესენია: კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის ღიმილი“, (ჯოჯოხეთის სცენები, სატანისტური წითელი კირიპა, ჩრდილოეთისკენ გაფრენილი წითელი გველი ბოლშევიზმის ტრიუმფითა და აჯანყების დამარცხებით არის შთაგონებული), გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ტერენტი გრანელის „მემენტო–მორი“, გალაკტიონის პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, მისივე დემონების, სატანების, მეფისტოფელ–ლუციფერებისა და ბელზებელის თარეშის ამსახველი ლექსები.

ალ. სიგუა გვამცნობს: „საქართველოს თავს დატეხილი ამ დიდი ტრაგედიის „შემოქმედს“ იოსებ სტალინს მიმართავს პოეტი, რომლის ერთი სტროფი დღესაც შიშის ჟრუანტელს გვგვრის: „ იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენთო თუნდაც ერთი სანთელი“ (იქვე, 398).

თავისუფლებადაკარგული, „მკვდარი საქართველო“ იყო ტერენტი გრანელის იერემია წინასწარმეტყველისებური გოდების მიზეზი.

1921 წლის 25 თებერვლის კატასტროფის შემზარავი მოვლენები აუსახავს პოეტს ლექსში 1921, რომლის ეპიგრაფია: „დახოცილებთან ერთად დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ: „ახლა ეს ლექ-

სი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია"...

ეშმაკის ხელდასხმული, სატანისტთა მოძღვარი და მართალი სიტყვის ნამდვილი სულთამხუთავი ლავრენტი ბერია ადრე „აღტაცებული" იყო ტერენტის ნიჭით, ვიდრე პოეტი ქვეყნის მესვეურთა დამღუპველი პოლიტიკის მხილებას დაიწყებდა, მერე კი სისასტიკით, მუქარით შეცვალა „მემენტო მორის" ავტორისადმი დამოკიდებულება, „ცივი და გამყივანი ხმით" მიანიშნა თავის რისხვაზე მოუსყიდავ და გადაუბირებელ პიროვნებას.

ამ ფაქტით ყოფილა შთაგონებული ტერენტი გრანელის ლექსი, რომელშიც კარგად ჩანს მართალი პოეტის აზრი „მზრუნველ" ხელისუფლებაზე: „ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა. რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას".

ტერენტი გრანელი შეუცდომლად გრძნობდა მისდამი ბერიას ინტერესის შორსმიმავალ მიზანს, მაგრამ იგი არ გატყდა, არ გაიწვრთნა და ამის გამო დაუნდობლად გაუსწორდნენ ციხით, დევნით, ცილისწამებით, ბოლოს კი გიჟის დიაგნოზი დაუსვეს და იძულებით მკურნალობას დაუქვემდებარეს.ბერიამ და მისმა დამქაშებმა მოშურნე, ხელმოცარულ პოეტებთან ერთად, საბედისწერო როლი შეასრულეს ტერენტი გრანელის ცხოვრებაში.

და ბოლოს, როცა შეშლილად მონათლული, შერისხული პოეტი ფიზიკურად წავიდა ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ გამოჩნდა პილატესავით ხელდაბანილი ბერია და ცდილობდა, მისი რეჟისორობით ჯვარცმული პიროვნების თაყვანისმცემლად გამოჩენილიყო.

იქნებ ეს იყო სისხლიანი ტირანის ერთგვარი მონანიება და სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ მის ხელებს ერის საამაყო შვილების ბევრი სისხლი ეცხო?

შალვა დადიანს ბერიასთვის უკითხავს, ტერენტი გრანელს თუ იცნობდითო. ბერიას უპასუხნია: „ტერენტი დიდებული პოეტი გახლდთ, ბატონი შალვა". შალვა დადიანს გულისტკივილით შეუნიშნავს: „კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხონებული... მაგრამ ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარცხდა, თავი დაიღუპა".

ტერენტისადმი შალვას ამ „ბრალდების" პასუხად ბერიას პათეტიკურად უთქვამს: „ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვრებამ ვერ გაუგო მას".

ბერიას ასეთი აზრით გაოცება ვერ დაუფარავს შალვა დადიანს და აკვიატებაა ტერენტის ლექსი: „ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა, მზე მიდის გაღმა, ცის ხმა ისმოდა".

ტერენტი გრანელის ინტერესი რელიგიური თემებისადმი, საბჭოთა წყობილების „სიკეთეთა“ შეფასება და რაინდული დაპირისპირება აპოკალიფსურ ტრიუმფატორებთან, ხალხის მტრების გაბედული მხილება, საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აჯანყების ასახვა ნათელ პასუხს იძლევა იმაზე, თუ ვინ და როგორ ცდილობდა პოეტის ზეშთაგონებული სახის წაშლას, მისი შედევრების „პესიმისტურად“, „უიდეოდ“, „შავ წიგნად“ გამოაცხადებას.

ტერენტის „დიქტატორი იმპერატორის“, „ლუდაედების“, „გიენას“ გვერდით ავი თვალის, უღირსი თვალის, პატარა მტრების, ყაჩაღი ქარების, კაენის, გველის სახეებიც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ნიღაბი აეხადა საქვეყნო–სახელისუფლო ბოროტებისთვის.

უეჭველია, რომ „მემენტო მორის“ ავტორის იდეოლოგიამ კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის მხატვრულ ნააზრევთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბოროტების იმპერიის თიხის საძირკვლების შერყევაში.

ტერენტი გრანელი ერთ–ერთი პირველი დაუპირისპირდა ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში სიყალბეს, კერპთმსახურებას. მისი ლექსებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი სულს აჯანსაღებდა სიკეთის, სათნოების ფლუიდებით, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა.

ობიექტურად შეაფასა პოეტმა სამართლიანობის სახელით მოვლენილი ბოლშევიზმი, ქვეყნის ტირანი მესვეურები, უცდომლად იწინასწარმეტყველა მათი ეფემერულობა და მომავალი სამსჯავროს წინაშე მათი სიავეების გამო უცილობელი განკითხვა, რაც ზედმიწევნით ახდა კიდეც.

სამშობლოს თავისუფლებისა და ღმერთისკენ მიბრუნების განჭვრეტა

ათეისტურ ეპოქაში ბევრმა მედროვემ მიჰყიდა ეშმაკს სული. ისინი არათუ არ ებრძოდნენ ბოროტებას, მასთან სისხლით სდებდნენ ხელშეკრულებას და შავის თეთრად წარმოჩენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რადგან ხელისუფლებისაგან ბოძებული ხალათით იყვნენ სტიმულირებულნი.

ტერენტი გრანელი ეპოქალური სიავის მხილებით არის ცნობილი. მისი ტრაგიზმის წყარო ღმერთის უარყოფა და ანტიქრისტეს აღზევება იყო. ეზოპეს ენით, დაშიფრული მეტყველებით მიგვანიშნებდა რწმენისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე: „ეს ყვავილები ვინ აურია, და ქარიშხალთან ვარდის რტოები, შორეული ყვავილე-

ბი ხმებიან, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, ღუნავს ქარები ალვას, და მიკავია დამჭკნარი ია, ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბაღის კარებთან, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, შენთვის მზე ჩაქრა, შენთვის ქარია, და ღამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო, ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, ღამე თანდათან შუქს იპარავდა, ახლა ეს შუქი აღარ ინთება, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც, ეს შორეული იმედიც ჩაქრა, იმედი არ ჩანს, ქარმა დარეკა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, დადის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს იისფერ თვალის ასე უღონო მზერა, და ჩემი სანთელიც ჩაქრა, ეს ცა შიშველი ვინ მოგვიტანა, შავი წირვები ატირდება წითელ ნარმაში...

ტერენტი გრანელი ებრძოდა საშინელ დროს, გრიგალებს, ღამესთან იდგა, როგორც, ქანდაკება“, რწმენის, სიკეთის ფლუიდებს ავრცელებდა თავისი ლექსებით და არ ტოვებდა ღმერთთან შერიგების, ლაზარეს აღდგომის, „დიდი დღის“ (ღმერთი) მოვლინების, სიწმინდის ქართველი ერის გადარჩენის რწმენა: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება როგორც ღვთის სიყვარული“.

პოეტს აწამებდა ადამიანის განშორება ღმერთისგან, მაგრამ სჯეროდა მომავალში ადამიანის განწმენდა და უზენაესთან შერიგება: „... და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი კვირის).

ღვთისმეტყველებაში „შერიგება“ რელიგიური შინაარსისა და იგულისხმება ადამიანის შერიგება ღმერთთან, ადამიანის მიბრუნება სარწმუნოებისკან, რასაც ბიბლიაში დიდი ადგილი უჭირავს.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობდა მამებისა და შვილების შერიგებაზე ღმერთთან (მალაქია წინასწარმეტყველი 3,24).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5, 18), „შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5, 19), ღმერთთან შერიგებას: „... ქრისტეს სახელით გთხოვთ: „შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა, 5, 20).

ტერენტი გრანელის სული „ცისფერი ყვავილის“ (ღმერთის) სავანე იყო: „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (შორეული ყვავილები).

სულის თვალით ჭვრეტდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“ (შარა).

გზა, შარა საღვთო სახელია: „აჰა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 30,21).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვა-

კუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28, 16).

პოეტმა იწინასწარმეტყველა ქართველი ხალხის მიბრუნება ქრისტიანობისკენ, რელიგიური გრძნობის მარადიულობა: „კაცი, ეს გრძნობა არ მოისპობა“ (პოეზია).

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი დღის“ დადგომის (ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრწყინების) იმედით ცხოვრობდა: „მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა–ტკივილებსაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“.

უცდომელი ინტუიციით გამორჩეულმა, რამდენიმე ათეული წლით ადრე განჭვრიტა ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი თვალებგაბრწყინებული“ ეუბნებოდა ალ. სიგუას: ესენი (გულისხმობდა სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ღოღობერიძეს და მათ მიმდევრებს– ლ.ს.) საქართველოს ვერ დააჩოქებენ. მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი ეიქნება“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, 1998, გვ. 416).

საკუთარი მომავლის წინასწარმეტყველება

ტერენტი გრანელის პოეზიაში გამოვლენილია საკუთარი პოეტური უკვდავების უეჭველი რწმენა და, შეიძლება ითქვას, ეს წინასწარჭვრეტა ზედმიწევნით ახდა.

პოეტისთვის ლექსი „გული და სისხლი“ იყო, რაც არწმუნებდა თავისი „წმინდა სახელის“ მარადიულობაში: „ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება, ჩემი გული და სისხლი ეს მემენტი მორია, მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო – ლაჟვარდები ცისფერი“ (მემენტო მორი) (1,122).

საკუთარი სახელის სულის ნათებას ხედავდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა, შორეულ პლანეტებში: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ რომ ავენთები, – როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ (პოეზია) (2,28).

პირველობაზე ფიქრსაც მომავლის უცდომელი განჭვრეტის უნარი კარნახობდა: „არ უნდა ფიქრი–პირველი მე ვარ, მე, პოეზიის უმანკო მსხვერპლი“ (შენსკენ მოჰქრიან ეს ჩემი გზები) (1,48).

პოეტი გრძნობდა „გრიგალის“ (სულიწმინდის) ძახილს, წამების მიზეზს და ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მოსულ დიდებას უტყუარი ალღოთი ხედავდა: „მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება მოსდევს. დაო, ვგრძნობ გრიგალის ძახილს, დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს“ (დათოვლილი სანთელი) (1,64).

გარიყულს, შერისხულს, ავადმყოფს, ჭორების ბადეში მოქცეულს, იობივით ნაწამებს მხოლოდ ქრისტეს გამოცხადება ეიმედებოდა და მისი სიდიადის დანახვისთვის დაბრმავებულთ, გამკილავთ მაინც ამართლებდა: „ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად: მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება. ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება“ (დაბრუნება სოფელში) (1,74).

არც მაშინ ცდებოდა, როცა მომავლის დიდი განკითხვის, გადარჩენის შესახებ საუბრობდა: „მხოლოდ პოეტის, ჩემი და სხვათა, დარჩება ლექსი, გულით ნაწერი. და როგორც გემი, დგას ქარიშხალთან ეს ათასცხრაას ოცდარვა წელი“ (დღე) (1,90).

ათეისტურ ეპოქაში ტენდენციური ხელისუფლება და შეზღუდული კრიტიკა არ ცნობდა ტერენტი გრანელის ღირსებებს, მათთვის მიუღებელი იყო რელიგიური პოეზია, ტერენტი გრანელი კი მომავლის იმედით ცხოვრობდა: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (2,50).

ტერენტი გრანელმა იცოდა თავისი უგულებელყოფის მიზეზები, სჯეროდა, რომ ხალხი ისევ მოუბრუნდებოდა რწმენას და მაშინ სხვა თვალით შეხედავდნენ მის ქრისტიანულ სიტყვას, მაგრამ არ სურდა ხელოვნურად დაეჩქარებინა ეს პროცესი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ტერენტი გრანელს ლექსების თარგმნის მიზნით ეწვია, მაგრამ „მემენტო მორის“ ავტორი ამ წინადადებას სრული სიდინჯით შეხვდა, თან ის მიზეზებიც ჩამოთვალა, რის გამოც მას თანამედროვე ოფიციალური კრიტიკა უგულებელყოფდა, თავისი პოეზიის ღირსეული შეფასების დროდ ის მხოლოდ მომავალს იგულვებდა.

„ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა, ანუ უკაცრავად, ცხოველური აღტყინება, ბიოლოგიური პათოსი, არც და ვერც იქნება, გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულიწმინდის მადლია განფენილი. სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწნული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განღმრთობის საფეხურები... არამცთუ მთარგმნელი, არამედ წამკით-

ხავიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს, უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას – პოეზიას არ ეჩქარება... პოეტებიც ნუ ავჩქარდებით. ოდესღაც, როცა „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის“ და სულიერება აღორძინდება, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (1, 412).

ტერენტი გრანელისთვის პოეზია „სულის ისტორია“ იყო, „ტანჯული სულის ტკივილი“, რომელიც მეოცე საუკუნეს უნდა გასცილებოდა, ასე სწამდა „მემენტო მორის“ ავტორს: „ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის ტკივილი“ (ნელა ქრებიან) (2, 50).

თანამედროვეთა შურს, მტრობას, ავსიტყვაობას, ჩასაფრებას ვერ ჩაეკლა პოეტში მომავალი პოეტური დიდების რწმენა: „ვგრძნობ, მომავალი მაინც ჩემია“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (2, 58).

საფლავის, სიკვდილის მომღერალმა, რომელიც სიცოცხლის დიდ ნაწილს უცნობების საფლავებთან ატარებდა, სიკვდილის ახალი თავისებური სახელმძღვანელო შექმნა და მისმა უცნაურობამ, სამუდამო განსასვენებლამდე გულლხელდაკრეფილს მიეცილებინა სრულიად უცხოები და ცრემლებიც დაეფრქვია მათთვის, სათავე დაუდო ლეგენდებს, მაგრამ, ამავე დროს, დააფიქრა ფუჭად მოზეიმე, ბეცი, მხოლოდ, ამქვეყნიურობაზე, მატერიალურზე მზრუნველი საზოგადოება და სულის თვალი აუხილა, სულის უკვდავების რწმენა, სულზე ფიქრი ასწავლა. პოეტს სჯეროდა, რომ მისი საფლავიც მომავლის თაობებს ბევრ საგულისხმოს ასწავლიდა, სიკვდილ–სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე დააფიქრებდა: „... მოვა, ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზნო ხეტიალი (2,88).

არც ამაში შემცდარა პოეტი, რადგან არც პეტრე–პავლეს სასაფლაოზე დავანებული ტერენტი გრანელი დავიწყებიათ მის გულშემატკივრებს და არც დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადანაცვლებული. მისი სამუდამო განსასვენებელი მართლაც იქცა გონებაგახსნილთა ფიქრის, განსჯის, შეკრების ადგილად. იქ მუდმივად აწყვია ყვავილები.

უფრო მეტი, დღემდე არ შეწყვეტილა პოეტის თაყვანისმცემელთა ფიქრი იმის შესახებ, განისვენებს თუ არა იგი იმ ადგილას, რომელიც თავისი შემოქმედებით დაიმსახურა, ბევრი თვალს მთაწმინდისკენ გააპარებს და ამის ხმამაღლა განცხადებასაც არ ერიდება.

იწინასწარმეტყველა რა ნაადრევი სიკვდილი, თავისი საფლავის მარადიულობაც განჭვრიტა. ეს საფლავი მან ეკლესიის ახლოს მოინიშნა: „კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემს საფლავთან დაფიქსირებული მოვა

ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შეეცოდები.

ასე გაიელიან საუკუნეები.

ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის" (სიკვდილის შემდეგ) (1,375).

პოეტის „შორეული ნისლბურანით გარემოცული საკვირველი წინასწარმეტყველების ძალას და ცხადიერ სახეს" ხედავს ლერი ალიმონაკი ტერენტი გრანელის სტრიქონებში: „...და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი" (4,23).

უცდომელი იყო პოეტის მსჯავრი როგორც საკუთარ შემოქმედებაზე, ისე ცხოვრებაზე: „პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული" (ქრიან ფიქრები თეთრი და შავი) (1,44).

ტერენტი გრანელის მოვლენებს ჭვრეტდა არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ გლობალურ მასშტაბებში და თავის პოეზიასაც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად მოიაზრებდა: „ახლა მინდა, ვარსებობდე ყველგან, მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი"... და ძვირფასო, ჩემს ბრწყინვალე სახელს, ვგრძნობ, მსოფლიო აღიარებს მალე" (ღამის სტრიქონები) (140-142).

არც ამ მასშტაბების განსაზღვრაში შემცდარა დიდი პოეტი.

ანგელოზური სულის პოეტი ანგელოზის ნიღბით ცხადდებოდა და შორს გახმიანებული ტაშისცემის ხმაც სწვდებოდა მის სმენას: „ალბათ დილას ჩამოწვება ნისლი, მე ვატარებ ანგელოზის ნიღაბს" (შემოდგომა) (1,148).

ხალხის დაჟინებულ მზერასაც ამჩნევდა, თავისი ეკლესიის გუმბათივით ელვარე სახეს უკეთებდა აქცენტს და არც ამაში იყო გადაჭარბება: „მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივის იელავს"... (შემოდგომა) (1,148).

სხვაგან გაბრწყინებული ეკლესიას სახეში მოიაზრებდა თავის პორტრეტს: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია".

ბრწყინვალება რჩეულთა ხვედრია. ტერნეტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის გამორჩეულობაზე ამახვილებდა ყურადღებას. და მას საფუძვლიანად ემიდებობა მეტი დიდება: „ჩემი სახელი ხომ ასე ბრწყინავს, მე მეტ სიხარულს ველი დღეიდან" (შევალ ოთახში) (1,216).

ბრძოლის ველზე „ურიცხვ მტრებს" დაპირისპირებული, მიწაზე კი არა, „ცისფერ სამყაროში" ეძებდა ნუგეშს და ფიზიკური დამარცხების შემთხვევაშიც მომავალი ყოველთვის გარანტირებულად ესახებოდა: „დამამარცხებენ? დე დამამარცხონ, ვგრძნობ, მომავალი მაინც ჩემია" (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (1,316).

ცაში, მარადისობაში დაბინავების იმედს ლექსი აძლევდა: „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლავს“ (ვარ ასეთი, ვარ ყოველთვის, კენტი) (3,38).

„შორი ცის“ იმედი იყო დიდი სტიმული: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა–მარად მუქი“ (მორჩა, არავის ველი) (3,73).

ტერენტი გრანელი იყო ის პოეტი, ვინც ფიქრობდა „შორეულ ხეზე“ (საღვთო სახელია), უმზერდა უსაზღვროებას, „მარადისობას“(ღმერთს), პლანეტარიას, სამყაროს (პოეზია) (1,28).

„ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის კივილი“, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“, ჩაგვესმის ტერენტი გრანელის ხმა და უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ახდა, რაც პოეტმა ინინასწარმეტყველა, მოვიდა მისი გაგების დრო, მეოცე საუკუნის 20-30–იანი წლების სიტყვის ოსტატმა 21–ე საუკუნეში შემოაბიჯა დიდებით და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვირწმუნეთ მისი სიტყვების ჭეშმარიტება: „და ვიცი, უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი“...

განა შემთხვევითია, რომ ამ პოეტზე ფიქრისას სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვახსენდება: „წინასწარმეტყველებას ნუ გააბიაბრუებთ“ (პავლე მოციქული, ფილიპელთა, 4,19) (5,429).

ისევ მოციქულს რომ მოვუსმინოთ, „წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამდნენ მას“ (II პეტრე, I, 21) (5,309).

ტერენტი გრანელმა განჭვრიტა რელიგიური გრძნობის, რელიგიური პოეზიის მარადიულობა (პოეზია), ინინასწარმეტყველა პროლეტარული პოეზიის ეფემერულობა: „თუ პოეზია მოიკრეფს ძალას, შთამომავლობა რამდენს იცინებს, როცა დახედავს ეულის კალამს და მაშაშვილის ლექსის წიწილებს“.

„პოეტის შორეული ნისლ–ბურანით გარემოცული საკვირველი წინასწარმეტყველების ძალას და ცხადიერ სახეს“ ხედავს ლერი ალიმონაკი პოეტის სტრიქონებში: „...და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ (4,23).

ლადო გუდიაშვილი წინასწარმეტყველურს უწოდებს ტერენტის ლექსს ნიკო ფიროსმანზე, „მისივე ტრაგიკული ხვედრის თვითხილვას“ (4,57-58).

„წმინდა, ნათელი წინაგრძნობით სნეული ტ. გრანელი“ (ლ. ალიმონაკი) თითქოს ცხადად ხედავდა, როგორ იქცეოდა მისი საფლავი მომავალში დაფიქრების, სულთა თანაზიარობის, სიკვდილის საიდუმლოებებზე ჭვრეტის ადგილად: „მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზნო ხეტიალი), „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის“ (გულიდან სისხლის წვეთები).

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი დავით თოთიბაძე წერს: „ტერენტი გრანელი ადრიდანვე წინასწარ გრძნობდა, რომ მალე დატოვებდა წუთისოფელს“.

მისი თვალები, რომლებსაც „პატარა ნათურებს“ ადარებს, ღამეში რომ ანათებენ, ჰგავს იესოს თვალებს იმითი, რომ შეუძლიათ ჩასწვდნენ ღვთის უსაზღვროების საიდუმლოს და, ამავე დროს, უფრო ნათლად დაინახონ, რა ხდება სამყაროში და ადამიანთა შორის.

„...გულიდან მოსული ლოცვა... უხსნის წინასწარ ნაფიქრ და ნაძებნ გზას, „მესამე გზას“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ.

„მან გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო.

„პოეტს უჩნდება წინათგრძნობა უმაღლესი რეალობის, იმ უსასრულობის, რომელიც მას ასე გამუდმებით სწყურია.

„იგი გადასცემს სხვებს წინასწარ ცოდნას სხვა სამყაროების შესახებ, რომლისკენაც ნაიყვანს კარგი მოძღვარივით... თავისი ჯვარცმის ბოლო წუთამდე ის არის ნიშანი, შეტყობინება „რჩეული არხების“, გამორჩეული ბედისწერის“ (6,26,33,34,36,41).

გამოჩენილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია „ტერენტი გრანელის მიერ წინასწარ ნაგრძნობი ლექსად ნათქვამი პოეზიის ფორმულას“ უწოდებს სტრიქონებს: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (7,8).

ტერენტი გრანელის გამორჩეული მკვლევარ–გამომცემელი ლერი ალიმონაკი სწორად აღნიშნავს: „წინახილვის შეგრძნება, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობლიობის შედეგი... საშუალებას აძლევდა განეჭვრიტა თავისი მომავალი ბედისწერა... ამ წინახილვით ძალუძდა სხვათა ფიქრების წვდომა, დროისა და სივრცის მოახლოება“ (8,88).

„მემენტო მორის“ ავტორზე ფიქრისას, ბუნებრივია, სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვახსენდება, რომელიც წინასწარმეტყველების უნარს სულიწმინდის მადლად თვლიდა და შეგვაგონებდა: „წინასწარმეტყველებას ნუ გააბიაბრუებთ (პავლე მოციქული, ფილიპელთა, 4,19).

პავლე მოციქული გვასწავლის: „წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმინდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამენ მას“ (II პეტრე, 2,21).

ტერენტი გრანელი გამუდმებით ლოკალურიდან გლობალურისკენ, საზღვრის, მიჯნის მიღმა მიისწრაფვოდა. მისი დაუდეგარი სული არა მხოლოდ დედამიწას, ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზვერავდა და სამყაროს ცენტრში ყოფნის განცდა ეუფლებოდა.

მის პოეზიაში ბუნებრივად დაისვა მსოფლიოს შემოქმედებით ტრადიციებთან, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან მიმართების, საერთაშორისო არენაზე ქართული მხატვრული სიტყვის ადგილის და მნიშვნელობის გააზრების საკითხი.

„მემენტო მორის" ავტორის მიხედვით, „გული მსოფლიო ღერძია", „გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია" (მარადისობის ლაჟვარდები"). პოეტი დაატარებდა საკაცობრიო სევდას და შიში იპყრობდა გალიის, ყუთის, საპყრობილის სახეებად მოზმანებული ქვეყნის გამო: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ"...

მთელი ძალისხმევა სულისა მარადიულს, მსოფლიოს, უსაზღვროს უტრიალებდა: ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, გულია ისევ მსოფლიო ღერძი, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო, მე ისევ ვეძებ მარადისობას, და მინდა ყოფნა იქაც და იქაც".

პლანეტარიას, სხვა პლანეტას, შორ პლანეტას ესწრაფვოდა, ჩვენი პლანეტის სევდა მსჭვალავდა. „მარსის წიაღში გაქანებაზე" საუბრობდა, ვიღაც მარსიანელს ეკამათებოდა. მერე უფრო იზრდებოდა მასშტაბები და სულის უკიდეგანობას გვაუწყებდა ეს სურვილი: „მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი, მინდა ვარსებობდე ყველგან, მსურს სამყარო მეკავოს, ავენთები..., როგორც სიშორე და პლანეტები".

პოეტმა მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის, მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო (ჩემი ბედი).

რწმენის, უსაზღვრობის (ღმერთის) სიყვარულით ეზრდებოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებოდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, ვუმზერ პლანეტარიას, უსაზღვროებას, მარადისობას".

პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე მის სულიერ ზეცას, „უხილავ საქართველოს".

ტერენტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმედებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებდა.

ჩვენი დროის ნიჭიერმა პოეტმა მურმან ჯგუბურიამ ტერენტის ლირიკა „მომავალი კოსმოდრომების, საუკუნეების პოეზიად" მოიხსენია (მურმან ჯგუბურია, მომავალი კოსმოდრომების პოეტი) (9,4).

პოეტი დილარ ივარდავა ტერენტის პოეზიაში ხედავს „საღმრთო ფერებს", ზეციურ განზომილებებში მოარულ სულს და ქართველი პოეტის ლექსების პოეზიას მაღლა აყენებს როლინას, რემბოს, ვიიონის, ნადსონის ლექსებზე (10,4).

პოეტი თამაზ ფიფია ტერენტის წარმოგვიდგენს, როგორც მარადისობის, ღმერთის რჩეულს (ფრაგმენტები გრანელის ფიქრებიდან)(11,3).

ლერი ალიმონაკი საუბრობს პოეტის „კოსმიურ ძალებზე"(4,32).

ვლადიმერ ნორაკიძის აზრით, ტერენტის აწუხებს მსოფლიოს რკინის კარის გარღვევა" (12,38).

გრიგოლ შავიშვილი ყურადღებას ამახვილებს პოეტის „კოსმურ ელემენტზე, კოსმიურ იდეალებზე" (12,151).

აპოლონ ქელბაქიანის დაკვირვებით, ტერენტის სევდა მსოფლიო სევდაა, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ ბაირონი და ბარათაშვილი.ინტუიციური ხედვა ტ. გრანელში უმაღლეს წერტილამდე აღწევს (12,21).

მხატვარი რეზო ადამია ტერენტის უწოდებს პლანეტების მგოსანს, კოსმიური ფენომენის უცნაურ ბინადარს, რომლის შემოქმედებაშიც ისმის კოსმიურ ხმათა კივილი, კოსმიური ბგერები, კოსმიური მონოლოგი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური სევდა, კოსმიურ სივრცეში გახმიანებული... მოციქულებრივი მართალი ხმა, ჩვენი პლანეტის გარეთ გამავალი ხმა აფორიზმი: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ"...

მხატვარი რეზო ადამია ტერენტი გრანელის პოეზიაში ხედავს კოსმიურ მოგზაურობას, კოსმიურ სივრცეს, კოსმიურ თემებს, კოსმიურ სურათს, კოსმიურ ფერებს, კოსმიურ სიდიდეს, კოსმიურ აზროვნებას, კოსმიურ ველს, კოსმიურ გონს, კოსმიურ სამკაულებს, კოსმიურ სულს, კოსმიურ მარადიულ სამყაროს, მგოსნის ლექსად ნააზრევ კოსმიურ სურათს, კოსმიურ სიმართლეს, კოსმიურად დამოუკიდებელ გენიის სულს, კოსმიურ წმინდანს.

ლექსით „ფიროსმანი" ტერენტი გრანელი მსოფლიო პოეზიის შედევრთა გალერეაშია ექსპონირებული".

„ალბათ წინაპართა კოსმიური ველის ცოცხალი ხაზიც უნაკლოდ გადიოდა ტერენტის სხეულში", ასკვნის დიდი მხატვარი.

რეზო ადამია ხაზს უსვამს ტერენტი გრანელის პოეზიის რელიგიურობას, ეროვნულობას და ზოგადსაკაცობრიო ხასიათს.

მხატვარს პარიზში, პომპიდუს ცენტრში, ფრანგი მსახიობისგან მოუსმენია ტერენტი გრანელის ქება, მისი ხსენება ვაჟა–ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის გვერდით.

რეზო ადამია აღფრთოვანებულია ქართველი პოეტის ფრანგული თარგმანებით, რომელიც შეასრულა პარიზში მცხოვრებმა ქართველმა – დავით თოთიბაძემ.

„...ცეცხლოვანი, მოლურჯო, მოწითალო და მოიისფრო კოსმიურ ალში გახვეული მგოსანია ტერენტი გრანელი, აცხადებს პოე-

ტის საიდუმლოებებით სავსე სამყაროში ღრმად ჩახედული მხატვარი.

რეზო ადამია დარწმუნებულია: ტერენტი გრანელის პოეზიას რომ გასცნობოდა, დიდი ესპანელი მხატვარი სალვადორ დალი უთუოდ დაინტერესდებოდა ქართველი მგოსნის მსოფლმხედველობით, პლანეტებისკენ მზერით და მისი ლექსებით შთაგონებული, კოსმიურზე და პლანეტებზე საოცარი სიურეალისტური სურათების სერიალს შექმნიდა.

ცაზე, უშორეულეს ვარსკვლავებს იქით ხედავს ქართველი ფერმწერი ტერენტი გრანელის „კოსმიურ გენს“ (7,56-107).

„ტერენტი გრანელმა მთელი მსოფლიო შემოიტანა თავის სულში, კოსმიურ პრობლემებს ლირიკით გასცა პასუხი“, აღნიშნავს მკვლევარი აპოლონ ჟორდანია (13,81).

პარიზში მცხოვრები ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი დავით თოთიბაძე საუბრობს კოსმიურ სივრცეზე, კოსმიურ სპლინზე, მის ორმაგ განზომილებაზე, მისტიურსა და კოსმიურზე და ამას უწოდებს „მესამე გზას“...

მუხრან მაჭავარიანი გრანელს უწოდებს „ჭეშმარიტ პოეტს, ვაჟას ნაღდ აჩრდილს“ (10,).

მერაბ კოსტავა საზღვრის მიღმა გაღწეულად წარმოიდგენს პოეტს: „ეს დედამიწა აკრთობდა გრანელს, როცა ოცნებით ცაში ვიდოდა, იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრაგნა, ვიდრემდე საზღვარს გადავიდოდა“ (გალაკტიონი) (14,45).

ტერენტი გრანელის პოეზია ჭეშმარიტად იყო „პოეზია პლანეტების“.

ლიტერატურა

1. ცისფერი სიშორე, თბ 1998
2. ასი ლექსი, თბ. 2005
3. ტერენტი გრანელი, ტ. I, 1990
4. ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1997
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, (ხელნაწერი)
7. რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა, წიგნში „ტერენტი გრანელი, სისხლიდან ცრემლი“, 2008
8. ლერი ალიმონაკი, კვირის წირვები, თბ. 1984
9. „ლიტერატურული გაზეთი“, 10-23 ივნისი, 2004
10. „მწერლის გაზეთი“, 22-28 ნოემბერი, 2001
11. „მწერლის გაზეთი , 10-16/X, 2002
12. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ.1984

13. აპოლონ ჟორდანია, დრო და შემოქმედება, თბ. 1987
14. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1995, 16 აგვისტო

თავი IV

ტრაგიკული მომავლის უტყუარი წინასწარმეტყველება პაოლო იაშვილის პოეზიაში

ქართველ სიმბოლისტთა – „ცისფერყანწელთა“ უცვლელი თავკაცი პაოლო იაშვილი არა მხოლოდ ამ სიახლის პრეტენზიით მოვლენილი ლიტერატურული გაერთიანების ცენტრში იდგა, არამედ იყო ჩვენი ეროვნული, რელიგიური, ზნეობრივი, პოეტური ცნობიერების დირიჟორი.

ცნობილია ირაკლი აბაშიძის განცხადება მის შესახებ: „პაოლო იაშვილის ლექსი საბადოდან ნიმუშად წამოღებული ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს“ (იაშვილი, 1965, გვ. 5).

გურამ ასათიანი პაოლო იაშვილის ლექსებს „ჰაერში გაქვავებულ შადრევანს“ ადარებდა (ასათიანი, 1983, გვ. 135).

პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ ლექსში პაოლო იაშვილი წერდა: „და გულში გივლის მკივან ალივით შენ რუსთაველის მერიდიანი“ (პავლე ინოროყვას) (იაშვილი, 1965, გვ. 154).

ამ სტრიქონების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, „ცისფერყანწელთა“თავკაცის გულში არა მხოლოდ ქართული ყოფის მერიდიანები იყო გავლებული, რუსეთის, ევროპის, მსოფლიოს გლობალური მტკივნეული პრობლემებიც ირეკლებოდა.

პაოლო ბედისწერამ სიახლის მებაირახტრედ მოავლინა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში, როცა აკაკი წერეთლის ეპიგონებმა დააკნინეს მხატვრული სიტყვა. პარიზში განსწავლული „დენდი“ ეროვნული სულის, ცნობიერების, პოეზიის განახლების მისიით გამოგვეცხადა.

დღეს საეჭვო არ არის „ცისფერყანწელთა“ როლი ქართული პოეზიის რენესანსში, თუმცა ლექსის ჭეშმარიტი ნოვატორი და რეფორმატორი გალაკტიონ ტაბიძე იყო: „განახლების პროცესში მონაწილე არცერთ ზემოხსენებულ პოეტს (იგულისხმებიან „ცისფერყანწელები“ – ლ.ს.) არ შეიძლებოდა განახლების მედროშის პრეტენზია ჰქონოდა. ამ ლიტერატურული მონაპოვრის მხატვრულ მაქსიმალიზმს გალაკტიონ ტაბიძის სახელთან მივყავართ. გალაკ-

ტიონი თავისი პირველი კრებულის გამოცემისთანავე გამოეყო თავისი თაობის პოეტებს. ამავე დროს, იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „ცისფერყანწელთა“ კოლექტიურ გამოსვლას“ (ხინთიბიძე, 1992, გვ. 164).

მაგრამ საერთოდ ამ კორპორაციის და, კერძოდ, პაოლო იაშვილის შემოქმედებისა და ცხოვრების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ პერიოდის წარმმართველი პროცესების სრულყოფილი გაგება.

პაოლო იაშვილი გვამცნობს, რომ გულზე (გულწრფელობაზე) ნადირობა და სინდისის გაყიდვა ცხოვრების წესად იქცა იმ დროს, აშკარა გახდა, რომ „გულით ჩარჩობა“, „გულთა ბაზარი“ და აუქციონი გაიმართებოდა, მაგრამ გამათხოვრებულ ყოფაშიც მისი გული რჩებოდა, როგორც „ოქრო უზარმაზარი“. პოეტისა და სინამდვილის დაპირისპირება კარგად ჩანს ლექსში „პოეტი და ადამიანი“: „მე მენატრება ცხოვრება პატიოსანი, მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება ბედის წყევლაა ქართველ მგოსანის... რა მაქვს ქონება: ცოლი და ბავშვი, ძაღლი და ცოტა ხელნაწერები. მეტყვიან: გული გქონიათ, წავა ნაჭრობით, მაგრამ არსად არ გამიგონია გული გაჰყიდონ ვალში ვაჭრობით“.

პოეტი ხედავდა, რომ გულით ვაჭრობის დრო მოსულიყო, მაგრამ ეიმედებოდა საკუთარი პრინციპები: „ნუ გეშინია, გულო, დარჩები ყოველთვის ოქრო უზარმაზარი, ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა გამართონ „ძვირფას გულთა ბაზარი“. ვინ მისცემს ნებას, არჩეულ პოეტს გაუნადგურონ ბუდე ნაგები. ხალხის სიყვარულს თუ მოიპოვებს, პოეტს მრავლად ჰყავს ამხანაგები“ (იაშვილი, 1965, გვ. 18-19).

სულიერი სისპეტაკით მომადლებულს, ენუგეშებოდა თავისი ალალი ფიქრების: „შენ მაგარ ოსტატის სახელი გაგიტანს, მე – ჩემი ფიქრების გაშლილი კარები“ (იაშვილი, 1965, გვ. 33).

მწვერვალები, სულის, გონების, სიტყვის სიმაღლე იყო პოეტის იდეალი: „აი, აქ არის, მეგობრებო, ის ასპარეზი, რაც ბედმა მისცა ამაღლებულ გონებას ჩარჩოდ... შეხიზნული ვარ საქართველოს თვალტანად მთებში და მივსდევ ფერებს, ხმებს და სიტყვას მე მგლური მადით“ (მწვერვალებიდან) (იაშვილი, 1965, გვ. 41).

სიტყვის ერთგული მსახურება იყო მისი მთავარი მოწოდება: „ვერ ნახო სიტყვის გარეშე სხვა მოწოდება მაღალი, ჰანგებით იანგარიშე ცხოვრების აყალმაყალი“ (საკუთარ თავს) (იაშვილი, 1965, ვ.44-47).

პაოლოს სიტყვის აღრესატი იყო ხალხი. „სიტყვის მარულაში“ თავდავიწყებით ჩაბმულს სურდა გაეთავისებინა „სამშობლოს გაკვეთილები“ (იაშვილი, 1965, გვ. 44).

პაოლო იაშვილისთვის ლექსი „სისხლის წვეთი" იყო (თბილისი) (იაშვილი, 1965, გვ. 40), „ლექსი – გულიდან ხორცად გამონატანი" (პოეზია) (იაშვილი, 1965, გვ. 50), „შთაგონებით გამონატანი" (პოეზია) (იაშვილი, 1965, გვ. 50), ყოველი ლექსი – საკუთარი ცხოვრებიდან წლის ჩამონერა (იაშვილი, 1965, გვ. 50).

„ცისფერყანწელთა" დირიჟორი მორწმუნე პოეტი იყო, მას აბარბაცებდა „საკმევლის სუნი" (ტიციან ტაბიძე) (იაშვილი, 1965, გვ. 44).

იდეალად ესახებოდა „ქრისტეს ჯიშის" არტურ რემბო (იაშვილი, 1965, გვ. 145), უნუგეშებოდა ძველი საქართველოს „მადლი", აღაშფოთებდა „ახალი უღმერთობა" (გიორგი ლეონიძე) (იაშვილი, 1965, გვ. 107).

ზნეობრივი სრულყოფისკენ მიმსწრაფი, ღმერთს ევედრებოდა: „უფალო, მომეცი სამხარი ძაღლივით ამოსულს ცაზე და შენი პერანგი ნახმარი ჩამაცვი ცოდვიან ტანზე" (მეღორის სიმღერა) (იაშვილი, 1965, გვ. 111).

სურდა ბავშვური, სოფლური უმანკოების შენარჩუნება, ქალაქში ახელებდა სიყალბე, „კინტოს პროფილი", „ყელსახვევებით, შავი ხელთათმანებით" მოვლენილი სნობები, ნიღბიანი ვაი ინტელიგენტები და დედას ეხვეწებოდა, ხახულის ტაძარში ღმერთისთვის შეევედრებინა შვილი, რათა დაყუჩებულიყო მის გულში „გრიგალი და კორიანტელი" (წერილი დედას) (იაშვილი, 1965, გვ. 129)

საერთოდ ღმერთისადმი ვედრება, რწმენით ცხოვრება მისთვის ორგანული იყო. (იხ. ლექსები: „ტანიტ ტაბიძე" (იაშვილი, 1965, გვ. 146-147), „ნასყდრალის გალავნიდან" (იაშვილი, 1965, გვ. 150-151).

პაოლო იაშვილი შთაგონებას ზეცის მადლად მიიჩნევდა, „ოქროს ჩიტების" საიდუმლო ჰანგები, იდუმალების ხმა ესმოდა (თორმეტი წლიდან, არგვეთის ღამეები) (იაშვილი, 1965, გვ. 134, 52).

შუასაუკუნეების ესთეტიკაში, ღვთისმეტყველებაში შთაგონებას სულიწმინდის მადლად მიიჩნევდნენ, შთაგონების მოვლინებას, როგორც საღვთო ნიავის მობერვას (წმ. გრიგოლ ნოსელი, 1977, გვ. 376).

გალაკტიონთან გვხვდება შთაგონებაზე მიმანიშნებელი „ფერადი ქარები", ტ. გრანელთან – „უხილავი ქარი", ვ. ეგრისელთან – „ცისფერი ქარები".

პაოლო იაშვილს ამ იდუმალი სულიწმინდის ნიავის შრიალში ჯერ წაუკითხავი შაირის შრიალი ესმოდა: „და ეს შრიალი მიამბობს ჯერ წაუკითხავ შაირს" (ნეტარი მღელვარება) (იაშვილი, 1965, გვ. 58). (შდრ.: გალაკტიონის „ფიქრთა სამოსის შრიალი", ტ. გრანელის „ცრელის შრიალი").

პაოლო იაშვილს მაგიდა პარნასად ესახებოდა და იდუმალების ხმები სალამურის ხმასავით ემშობლიურებოდა (არგვეთის ღამეები, მაგიდა ჩემი პარნასი) (იაშვილი, 1965, გვ. 58, 64)

გალაკტიონ ტაბიძეს მთვარის ვერცხლის საბანში გახვეულ გარემოში „ეუბნებოდა" იდუმალი სიო „ველთა ზღაპარს" (მე და ღამე) (ტაბიძე, 1977, გვ. 48).

პაოლო იაშვილის ლექსში ირგვლივ მთვარის საბანია გადაფენილი და სულიწმინდის ქარის ქროლვით იწყება ლექსი: „... ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს საბანს და როგორც ლექსის დასაწყისი ამოდის ქარი" (ბაღის ამბავი) (იაშვილი, 1965, გვ. 56).

მაგრამ გვერდაუვლელია საზოგადოებისა და ხელისუფლების უსამართლობაც: „... ხმა უმაღლესი და პლანეტის უსამართლობა" (იაშვილი, 1965, გვ. 137).

მეოცე საუკუნის 20–იან წლებში დრომ არჩევანი არ დაუტოვა ბედკრულ საქართველოს და, როგორც სხვებთან, პაოლო იაშვილთანაც, ნებით თუ უნებლიეთ, ჩნდება მომავლის „წითელ რუსეთთან დაძმობილებით" დაგვირგვინების იდეა (ახალ საქართველოს) (იაშვილი, 1965, გვ. 148).

„რევოლუცია პაოლოსა და მისი მეგობრებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ძველი, დახავსებული ყოფის დანგრევისა და ბედნიერი მომავლის დამკვიდრების მოლოდინი იყო" (ნიკოლეიშვილი, 1995, გვ. 29).

მაგრამ სულ სხვაგვარი იყო ამ წითელი რევოლუციის შედეგებისადმი პოეტის მიმართება, რაც კარგად ჩანს ლექსში „ფარშევანგები ქალაქში" (იაშვილი, 1965, გვ. 122-123). ლექსიდან ნათელია, რომ წითელ რუსეთთან დაძმობილებული ქვეყანა „სისხლისფერი გველეშაპის" საკბილოდ ქცეულა, წითელია ქარი, ფარშევანგები, წითელია ქვაფენილები, ისმის საბედისწერო ზარი, მოჩანს „მკვდართან მკვდარი", „წითელი ძილით" სძინავს ქალაქს, „სხვანაირია ეკლესიის გუმბათები" და ოქროს ჯვრები (ანუ იავარქმნილია რწმენა)...

წითელი კლდე, წითელი კაცი, წითელი მხედარი, წითელი ზღვა, წითელი ქარი, წითელი გველი მიანიშნებდა გალაკტიონის პოეზიაში ქვეყნის ავბედით ბედისწერაზე (ორად გაიპო წითელი კლდე) (ტაბიძე, 1977, გვ. 192).

წითელი სატანა ესახებოდა კ. გამსახურდიას ქვეყნის გაუბედურების მიზეზად („ტაბუ").

„წითელი გოლიათი" (ჯაყოს ხიზნები), „წითელი გველეშაპი" (ქალის ტვირთი), „წითელი თემი" (გივი შადური) მიიჩნია სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის მტრად მიხეილ ჯავახიშვილმა.

არც ევროპა ყოფილა პაოლო იაშვილისთვის იდეალი, ვინაიდან იქ ჭვრეტდა ქაოსს, სისხლს, თაობათა გადაშენებას, გულგრილობას, ნარღვნას (ევროპა) (იაშვილი, 1965, გვ. 152-153).

მსოფლიოს მოუწესრიგებლობის, გლობალური სატკივრების პრობლემა ჩნდება ლექსში „ვერჰარნ“ (იაშვილი, 1965, გვ. 126): „სახრჩობელები, კვამლი, სისხლი... მშიერი ურდო, რკინის კვნესა, მზის დაბნელება... ვერჰარნ! ვიხრჩობით ცეცხლის ზღვაში, რა გვეშველება! ოცნება ოხრავს, ვით ფრინველი ფრთადატრუსული“.

თუ როგორ ობიექტურად აღიქვამდა პოეტი საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე ავბედით პროცესებს, რომლებსაც ადამიანისთვის მხოლოდ მიუსაფრობა, სისხლისღვრა, გაცემა–დაუნდობლობა მოჰქონდა, კარგად ჩანს ლექსში „წერილი კოლაუ ნადირაძეს“: „მაგრამ სიჭრელე და გაორება ამ ჩრდილოეთში ერთობ მეტია, მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა, გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს წვეტიანს... ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას და ვერ მშველიან მათი წიგნებიც, ვწვები, თავამდე ვიხურავ საბანს, მესმის: „მარტო ხარ, მარტოც იქნები!“ (იაშვილი, 1965, გვ. 108-109)

გალაკტიონს ეზმანებოდა საღამოს მსგავსი დილა: „და ასე ღამეს მოჰყვება ღამე და მოდის დილა საღამოს მსგავსი“ (იაშვილი, 1965, გვ. 108-109).

გალაკტიონმა ცხოვრება აღიქვა, როგორც „ცინიკი ღორი, მსგავსება რუმბის“, როგორც ნერონის და თემურ–ლენგის ავბედითი ღიმილი, გულწრფელი ჩანგის „გაწყვეტილი სიმის“ სიმბოლო (საგურამო) (ტაბიძე, 1977, გვ. 707).

პაოლო იაშვილმა თავისი თანამედროვე ცხოვრებაში ღორების ზეიმი დაინახა და სცადა, უფალთან კავშირით გადაერჩინა სული: „უფალო, უსმინე შევარდენს, მის ხელით გიგზავნი ბარათს, მიშველე ღორებში ჩავარდნილს, ღორებში დარჩენილს მარად“.

„ცრემლისყლაპია“ პოეტი ღმერთს ევედრება მისი მიმსგავსებით აცხოვროს, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილი: „უფალო, მომეცი სამხარი, ძაღლივით ამოსულს ცაზე და შენი პერანგი ნახმარი ჩამაცვი ცოდვიან ტანზე“ (მელერის სიმღერა) (იაშვილი, 1965, გვ. 111).

სინამდვილის ობიექტური აღქმა, თანადროული მოვლენების უტყუარი ჭვრეტა პოეტს საშუალებას აძლევდა, მომავლის მოსალოდნელი პროცესებისთვის გაეწვდინა მზერა.

ამ უტყუარ ინტუიციას ხედავს მის შემოქმედებაში გურამ ასათიანი: „პაოლო იაშვილის ლექსებში წმინდა შთაგონებას დაკისრებული აქვს მაქსიმები და იგი უტყუარი მეგზურივით მიუყვება პოეტს ზოგჯერ ძალზე რთული მეტაფორული ასოციაციების ტევრში და, რაც მთავარია, ძალიან ხშირად ინტუიციით აგნებს ყველაზე სწორ და ზუსტ გზებს“ (ასათიანი, 1983, გვ. 135).

გურამ ასათიანი მიუთითებს, რომ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები" პაოლო იაშვილი იგონებს ერთ ნაწყვეტს არსენას ლექსიდან: „წუხელი სიზმარში ვნახე, სისხლით ვიღებავდი წვერსა".

ეს სტროფი ასეთი სიტყვებით მთავრდება: „ძალით თუ არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა".

ძალზე ნიშანდობლივი და წინასწარმეტყველურია პაოლო იაშვილის ერთი ადრეული ლექსი, რომელშიც პოეტი ახალგაზრდობაშივე ეთხოვება სამშობლოს: „ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია შენი დაკარგვა და დატოვება, სოფლის ბავშვები აღარ მელიან, არ მელის მუხა ათასრტოება" (ასათიანი, 1983, გვ. 145).

პატრიოტ პაოლოს, ქვეყნის მაჯისცემაზე მიყურადებულს, სიკეთის, ერთგულების ეტალონს, რომელსაც განსაკუთრებული ალტრუიზმის გამო ავთანდილი შეარქვეს (ასე მოიხსენია იგი გიორგი ლეონიძემაც „ნინოწმინდის ღამეში"), მეგობრების, სამშობლოს ღალატში, საფრანგეთის ჯაშუშობაში, „ნაციონალისტური ფაშისტური ორგანიზაციის" „თავკაცობაში" დასდებენ ბრალს, მის გულწრფელ აღსარებას ყურად არ იღებენ და აიძულებენ ჩაუდენელი დანაშაული მოინანიოს, უსაფუძვლოდ ბოდიშები იხადოს და თანაც მიუტევებელ ბრალდებად ცხადდება არყოფილი და არარსებული ფაქტები...

ბერიას მიერ საქართველოს კპ (ბ) მე-10 ყრილობაზე 1937 წ. საეჭვოდ გამოცხადებული პაოლო იაშვილის წამება ექვსი თვე გაგრძელდა და პოეტმა ვერ აიტანა უსაფუძლო თვალთვალი, ეჭვები, ჭორები, ცილისწამება.

ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებით, ბერია ავალებდა პაოლოს მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის საწინააღმდეგო ყალბი ბრალდებების დაწერას, მაგრამ პაოლომ არ იკისრა იუდას როლი და ეს გახდა მისი ტრაგედიის მიზეზი.

როცა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მისი საბოლოო გაწირვის, მწერალთა კავშირიდან გარიცხვის და ფიზიკური მოსპობის მსჯავრი უნდა გამოეტანათ, პაოლომ დაასწრო ამ უსამართლო განაჩენს და მწერალთა სასახლის კედლებში თოფით მოისწრაფა სიცოცხლე.

„პაოლო იაშვილმა იმ დღეს მხოლოდ საკუთარ თავს კი არ ესროლა ტყვია, არამედ ადამიანთა სისასტიკეს და ვანდალიზმს, სულისშემხუთველ, დამაცირებელ, შეურაცხმყოფელ ყოფას, სიძულვილს, შურს, მცონარობის აღზევებას" (ხარჩილავა, 1989, გვ. 57).

თავისი ტრაგიკული ხვედრი ძალიან ადრე იგრძნო პოეტმა უტყუარი ინტუიციით: „ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა, ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება, საშინელია, როგორც ომის მოახლოება, საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება" (იაშვილი, 1965, გვ. 34).

პოეტი ამხელდა გაუგონარ ბოროტებას, როცა ქვეყანა ცოდვების, სირცხვილის, ჭორის ბურუსში იყო გახვეული და ცოდვა–ბრალის ქარი ტრიალებდა ირგვლივ: „ქვეყნის ცოდვებს, ქვეყნის კვნესას, ქვეყნის სირცხვილს, ქვეყნის ჭორებს ქარი ხელში ათამაშებს, მოატარებს მთებს და გორებს, ცოდვილ მიწას არ აშორებს"(ზარის ხმა ქარში) (იაშვილი, 1965, გვ. 113).

გალაკტიონი წუხდა „ზეცის ნგრევას, მიწის გადაფერდებას" (მეოცნებე აფრებით), „ტალახიან ცას", სილაჟვარდის გაუჩინარებას...

პაოლო იაშვილი ხედავდა, რომ „დაობდა ზეცა, დაიფარა ბნელ ფაიფურით" და არ ტოვებდა უარესის შიში: „მზიანს მიპირებს ღამე ჩათრევას"... მას აკვიატებოდა „პლანეტის უსამართლობა, ავი სიტყვა, როდესაც ვკვდები" (თორმეტი წლიდან) (იაშვილი, 1965, გვ.137).

გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ჩნდებოდა აღსასრულის შიში, სიკვდილის ხილვები, თვითმკვლელობის მოტივი, საფლავის მოლანდება.

პაოლო იაშვილის ტრაგიკულ ინტონაციებს ასაზრდოებდა აუტანელი რეალობა და იგი გარდაცვლილს ხედავდა საკუთარ თავს: „დამეთანხმეთ, ამეგო წესი, დღემოკლესავით გარდავიცვალე, და პოეზია უძვირფასესი გამომიტირებს ყველაზე მალე. ქვეყნიერება ადრე დავტოვე, სულ ზედმეტია ერის ნუგეში, მომეგებება ნოე ჩხიკვაძე, საიქიოში და დიდუბეში".

ეიმედებოდა საკუთარი სამარის მარადიულობის, ჩვენი სახელოვანი წინაპრების მფარველობის რწმენა: „იყოს უკვდავი მისი სამარე და იქ შეევსოს ამქვეყნად ნაკლი, მფარველად ჰყავდეს მეფე თამარი და მთავარსარდლად მეფე ირაკლი" (დამეთანხმებით) (იაშვილი, 1965, გვ. 139).

პაოლოს და ტიციან ტაბიძეს „სიამის ტყუპებს" უწოდებდნენ და ბუნებრივია, მეგობრის ტრაგიკული აღსასრულიც უგრძნო გულმა. პაოლომ ტიციანის ქალიშვილს ასეთი სტრიქონები დაუწერა: „იქნება მამა სულ გაიპაროს, ტიროდეს დედა ფშანის ნაპირზე, მაშინ დალოცოს, ღმერთმა იფაროს, ღმერთმა დაიხსნას ტანიტ ტაბიძე" (ტანიტ ტაბიძე) (1,146)

ეს სიტყვებიც წინასწარმეტყველური გამოდგა.

„კაენის სულის აღზევებას" (ირ. აბაშიძე) ტიციან ტაბიძეც შეეწირა.

„ცისფერყანწელები" სიკვდილის მომღერლები იყვნენ და განგებამ ესთეტიკური

ჟესტი რეალობად უქციათ, თუმცა საამისო წინათგრძნობაც გააჩნდათ" (სიგუა, 2002, გვ. 161).

ახდა ტიციანის სიტყვებიც: „საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა“...

საგულისხმოა აკაკი ბაქრაძის განცხადება: „გალაკტიონ ტაბიძემაც და პაოლო იაშვილმაც იწინასწარმეტყველეს საკუთარი ბედი. 1933 წ. პაოლო იაშვილმა დაწერა ლექსი „ლირიკული მისამართებიდან“. სიჩუმის საშინელებაზე ლაპარაკობს ამ ლექსში და ამბობს: „საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება“. მაშინ 1937 წლამდე კიდევ 4 წელი იყო დარჩენილი“ (ბაქრაძე, 2004, გვ. 287).

პაოლო იაშვილს, რომელსაც განძაფრებული ჰქონდა გულისა და გონების ძალა, ინტელექტუალური და გრძნობისეული ინტუიცია, არც თავისი პოეტური მომავლის შეფასებაში შეშლია რამე: „ნუ გეშინია, გულო, დარჩები ყოველთვის ოქრო უზარმაზარი, ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა გამართონ „ძვირფას გულთა“ ბაზარი“ (პოეტი და ადამიანი) (იაშვილი, 1965, გვ. 18-19).

ასევე, სინდისით სავსე პიროვნების წინასწარმეტყველური სიტყვებია: „ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“ (ავტოპორტრეტი) (იაშვილი, 1965, გვ. 133).

საგულისხმო იყო 1920 წელს სტუდენტურ ყრილობაზე ნათქვამი: „დღეს თუ არ მოკვდებით, ხვალ დაიკარგებით“ (ასათიანი, 1983, გვ. 134)

ასე მხოლოდ უმაღლესი იდეალებისთვის სისხლის გამღებს შეეძლო განეჭვრიტა მოსახდენი...

გალაკტიონს ჩაესმოდა მომავლის ხმა, პაოლო იაშვილს მშობელი ქვეყნის უნაზესი მოფერების ჰანგი: „ისე მიმღერის ჩემი ქვეყანა, როგორც უნაზეს მეგრელი ძიძის შვილობილისთვის ნათქვამი ნანა“ (მიმართვა კოლხიდას) (იაშვილი, 1965, გვ. 72).

გადაიქროლეს ღრუბელ–ქარებმა, ჭორის, ცილისწამების ნიაღვრებმა, ყველაფერს უზენაესი სამართლიანობის ნათელი მოეფინა, მტარვალთ სამაგიერო მიუზღო „ბედი მდევარმა“, პაოლო იაშვილი კი „შთამომავალთა მეხსიერებაში დარჩა ქართული პოეზიის ნამდვილ რაინდად, თავისი წმინდა სახელით, მშვენიერი ლექსებით და ასევე ლამაზი, შეუბღალავი ბიოგრაფიით“.

ლიტერატურა

1. გურამ ასათიანი. პაოლო იაშვილი, თანამდევი სულები, თბ., 1983.
2. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 3. თბ., 2004.
3. პაოლო იაშვილი, ერთტომეული, თბ., 1965.
4. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პაოლო იაშვილი, თბ., 1995.
5. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.

6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
7. წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, საქართველოს
ეკლესიის კალენდარი, თბ., 1987.
8. ვახტანგ ხარჩილავა, სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1989.
9. აკაკი ხინთიბიძე, გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები, თბ., 1992.

თავი V

წინასწარმეტყველი პოეტის რექვიემი — ტიციან ტაბიძის ცრემლიანი სტრიქონები

1915 წელს ქართულ პოეტურ სინამდვილეს სიახლის პაროლით მოევლინა „ცისფერყანწელთა” ლიტერატურული გაერთიანება. მათი მიზანი იყო ქართული პოეზიის განახლება „მსოფლიო რადიუსით”.

მეოცე საუკუნის ქართული რენესანსის კარიბჭესთან „ცისფერყანწელები” იდგნენ, ხოლო ამ მსოფლიო ისტორიული მისიის სრულყოფილი შესრულება წილად ხვდა გალაკტიონ ტაბიძეს.

ცნობილია, რომ „ქართველ სიმბოლისტთა დაჯგუფებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ეროვნული პოეტური კულტურის განვითარების საქმეში”(1,532).

მაგრამ „განახლების პროცესში მონაწილე“ ცისფერყანწელებს არ შეიძლებოდა განახლების მედროშის პრეტენზია ჰქონოდათ. ამ პროცესს სათავეში ედგა გალაკტიონ ტაბიძე. იგი ქრონოლოგიურადაც წინ უსწრებდა „ცისფერყანწელებს”. მათი მანიფესტები, დეკლარაციები გალაკტიონ ტაბიძის “Art poetige”- მოსდევს(2,164).

ტიციან ტაბიძე ქართველ სიმბოლისტთა გაერთიანების ერთერთი თავკაცი იყო.

სიმბოლისტობის პერიოდის ზოგ მის დებულებას არც დღეს დაუკარგავს აქტუალურობა. მან გააკეთა ასეთი საგულისხმო განაცხადი: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს მალარმე და რუსთაველი”(3,4), რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების სინთეზირებას გულისხმობდა.

ეს თეორიული თვალსაზრისი კი პოეზიაში ასე გამოხატა: „გაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს” (წიგნიდან „ქალდეას ქალაქები”) (4,77).

ტიციანის სახელს უკავშირდება არანაკლებ საყურადღებო აზრი, რომ ყველა დიდი პოეტი ყოველთვის იყო ხელისუფლების ოპოზიცია და მას მოაქვს დანტეს, ბაირონის, შელის, შილერის, გოეთეს, შექსპირის, სერვანტესის, ბოდლერის, ვოლტერის, გრიბოედოვის, რადიშჩევის, პუშკინის, რილეევის, ჩაადაევის, ლერმონტოვის, ბლოკის, მაიაკოვსკის, ქართველი მეფე პოეტების (ისინი თავიანთი თავის ოპოზიციად წარმოაჩინა), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის მაგალითები (რევოლუცია და პოეტები) (4,467-472).

შესანიშნავი ლექსების ავტორი, ნიჭიერი პროზაიკოსი, სიმბოლიზმის დიდი თეორეტიკოსი, ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და უცდომელი გემოვნების მქონე კრიტიკოსი, მოვლენათა წინასწარმეტყველური განჭვრეტის უნარით მომადლებული, ასეთად დარჩა ტიციან ტაბიძის სახელი შთამომავლობაში.

პოეტს ცხოვრება მოუხდა სატანური ბოლშევიზმის ეპოქაში, როცა იდევნებოდა რწმენა, სულიერება, ეროვნულობა, როცა ხელისუფლებამ თავისუფალ მოაზროვნეთა რეპრესირებაში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

შესანიშნავი ლირიკულ-პატრიოტული შედევრების ავტორი ტრაგიკული მოვლენების განჭვრეტით, ავბედითი მომავლის წინათგრძნობითაც გამოირჩა.

ტიციან ტაბიძის განსაკუთრებული ინტუიცია შეუმჩნეველი არ დარჩენია რუს სიმბოლისტ პოეტს – ანდრეი ბელის: "ამ ქართველმა (ტიციან ტაბიძემ- ლ.ს.) ერთ დღეში ამოიცნო ყველაფერი, მიმიხვდა გულისნადებს ის თურმე ყველაფერს გრძნობს, ყველაფერს ხედავს".

"ის ნაღდი "აღმოსავლეთია", მაგრამ დიდებული "აღმოსავლეთი", რომლისგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ" (5,59-60).

ხოლო ცნობილი რუსი მწერალი ბორის პასტერნაკი წერდა ტიციანის მეუღლეს ნინო ტაბიძეს: "ტიციანი ბურჯია ჩემი ცხოვრებისა, ჩემი ღვთაებაა ბერძნული და მითოლოგიური გაგებით".

პასტერნაკი აღნიშნავდა სიკვდილის წინაგრძნობაზე, რომელიც ტიციანის ლექსებში ყველგან შეუმჩნევია (5,182-217).

ქართველი პოეტის "ჯადოსნურ ნათელხილვაზე", "ქარიშხლიან, ბუნდოვან წინათგრძნობაზე" ამახვილებდა ყურადღებას გურამ ასათიანი (6,151-161).

ტიციანის და პაოლო იაშვილის პოეზიის წინასწარმეტყველურ მუხტზე მიანიშნებდა აკაკი ბაქრაძე (7,287).

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი მიუთითებს ტიციან ტაბიძის "შეუმცდარ გუმანზე", სიკვდილის ავ წინათგრძნობაზე, მოსალოდნელი ტრაგედიების წინასწარ განცდაზე, ავი წინათგრძნობის შემაძრწუნებელ ხმებზე (1,561-563).

მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე ხაზს უსვამს პოეტის "მაგიურ წინათგრძნობას მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ, რაც იყო მიზეზი "გამოთხოვების რექვიემის" შექმნისა" (8,310-311).

პროფესორი სოსო სიგუა შენიშნავს: "ცისფერყანწელები" სიკვდილის მომღერლები იყვნენ და განგებამ ესთეტიური ჟესტი რეალობად უქციათ, თუმცა საამისო წინათგრძნობაც გააჩნდათ: "მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ალბათ ჩვენც სადღაც ჩაგვაძალებენ", წერდა ტიციან ტაბიძე (9,161).

პოეტი ებრძოდა შაბლონს, ეპიგონურ პოეზიას, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ სწორი გეზით არც ქვეყანა მიდიოდა და არც პოეზია, ხელისუფლებისაგან დაქირავებული პროლეტარული კულტურის წარმომადგენლები შორს იყვნენ ჭეშმარიტებისაგან. 1924 წელს დაწერა ტიციან ტაბიძემ: "ყველაფერი წინ მიდის, პოეზიის გარდა – იწყება ლექსის უკუღმა ელექტრიფიკაცია" (უჟმური კვირა) (10,150-151).

პოეტური დოქტრინის მსახური ლექსი ხალხის, ქვეყნის, სულიერების, რწმენის მსახური არ იყო, რამაც ათქმევინა ტიციანს: "ლექსს დღეს თან ახლავს სიმამაძაღლე" (ორპირი) (10,122).

არც ეს ფრაზა დაწერილა შემთხვევით: "ლექსს რომ ხლებია თან საწამლავი, ეს არ ყოფილა დასამალავი" (ეს არ ყოფილა დასამალავი) (4,122).

პოეტი აშკარად ილაშქრებდა დაობებული ლექსის წინააღმდეგ: "ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწია, რადგან ჩვენს თვალწინ ლექსიც კი დაობდა" (ვარ უსათუოდ ამის მოვალე) (4,98).

თვით პოეტის გული კი უცდომლად იკვლევდა "ლექსის ამინდებს" (არცერთი სიტყვა არ დამცდენია) (4,197).

თავისუფალი სიტყვის ალაგმვის, პარტიული დოქტრინის გაფეტიშების პერიოდში ტიციან ტაბიძის ლექსის ლირიკული გმირი გულისტკივილით გვამცნობდა თავის მდგომარეობას: "ვარ გათელილი ლეკის ნაბადი, ყველა სახსარი მაქვს დალეწილი, მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი" (მეწყერი მეწყერს) (4,177).

სულის ჩაკვლაზე, ულმერთობაზე, ბოროტების, ძალმომრეობის ბატონობაზე წუხდა გრიგოლ რობაქიძე "ჩაკლულ სულში".

სულის მოღუნვა, სულის არევა იყო სასიკვდილო რექვიემის შექმნის მიზეზი ტიციან ტაბიძის პოეზიაში: "მე თქვენზე ადრე ვეკითხები ჩემს საკუთარ თავს – რად მოიღუნა ასე სული, ან რამ არია? სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტლივ მე ერთ რექვიემს" (სატურნი და მალარია) (4,87).

"...რექვიემივით ისმის ახლა ყველა არია", გვამცნობდა ლექსში "მღვდელი და მალარია" (4,85).

სულის, რწმენის სიკვდილის ეპოქაში ბუნებრივი იყო კუბოს, სიკვდილის ქარის ხილვები, რექვიემის აღვლენა:"ჩემი სულიც ხომ რუხ დილაზე მოკვდა ობოლი, წარსულ იმედთა ეკუბოვა მიმქრალი ბოლი სიკვდილის ქარად მე იგი ხმა წამომიქროლებს, რექვიემია ეს ხომ ჩემი, ვინ დაიჯერებს" (მასკარადში) (4,65).

და ისევ სულის გამძლეობის პრობლემა ხდებოდა აქტუალური: "მოიღუნება ჩემი სული – წნელი ლაფანის" (ორპირის სეზონი) (4,87).

პოეტის სულსაც კუზით ხედავდა, რადგან 1918 წელს აჭარაზე თურქეთის შეტევამ, ბათუმის დაკარგვის შიშმა სისხლიანი ცრემლი აწვიმა აპრილში: "ბათუმი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი, ატმის ყვავილით სისხლიანი ტირის აპრილი, პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა" (ორი აპრილი) (4,83).

სიმართლის, სულის სატკივრის გამჟღავნების აკრძალვა ყელის გამოღადრვის ტოლფასი ხდებოდა: "ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი და გაღადრული მიშრება ყრონტი" (ექვსინის პონტი) (4,129).

სიმწრის სიმღერა, სიმღერით სიკვდილის იდეა გალაკტიონის "მთაწმინდის მთვარეში" გამჟღავნდა და ტიციან ტაბიძე, რომელსაც ესმოდა გურიის მთების სიმღერა, სიმღერით მოელოდა აღსასრულს, ამასთან, გულზე ტყვიის დახლის მოლოდინიც არ ტოვებდა, რაც აუხდა კიდეც: " ათას სალამურს გააქვს გუგუნი, ერთად ამღერდნენ გურიის მთები, თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ, არც სიკვდილისთვის დაგემდურები. ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით აღარ მოეთხოვება, დამადეთ გულზე ცამეტი ტყვია, მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას" (რია-რია) (11,150).

თითქოს წინასწარ გრძნობდა სიცოცხლის დღეების, პოეტური გზის შემოკლებას: "ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალღამით და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება" (ილაიალი) (11,111).

პოეტი უდაბნოდ აღიქვამდა ცხოვრებას, ადამიანებს – კენტავრებად (უაბჯარონი) (11,76).

უდაბნოდ სახელდებულ საქართველოში ცხოვრობდა პოეტი, "ცეცხლის გრიგალები" ტრიალებდა მის სულში:" ყველა ცეცხლების დატრიალდა ჩემში გრიგალი, უდაბნო არის საქართველო მონომანისთვის" (მღვდელი და მალარია კუბოში) (11,89).

უდაბნოდ აღიქვამდა სამშობლოს გალაკტიონი: "ჩემს სამშობლოში მე მოვლე მხოლოდ უდაბნო, ლურჯად ნახავერდები" (თოვლი) (12,87).

"უდაბნო, კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს სააქაოს ცოდვილ ყოფას" (13,211).

ავის მაცნედ ევლინებოდნენ ბუს, ტურას, კენტავრის ნიღბებით მოარული თანამედროვენი, "ნაღველი შავ თოვლად თოვდა" (პრინცი მაგოგი).

გალაკტიონს "შავ თოვლად" ათოვდა "ჭვარტლი და ბურუსი თავანის" (შემოდგომა უმანკო ჩარხების მამათა სავანეში) (11,91).

ტიციანმა თავის პოეტურ ძმას – პაოლო იაშვილს უძღვნა ლექსი, რომელშიც პოეზიით დაღუპვა იწინასწარმეტყველა: „ საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით ვიცი, გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით. ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას" (პაოლო იაშვილს) (12,126).

"სილაჟვარდეში" გალაკტიონის ლირიკული გმირი უზიარებლად სიკვდილს მოელოდა და ღვთისმშობელს მიმართავდა: "განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება" (11,98).

ტიციან ტაბიძეს ის აწუხებდა, რომ თორმეტი მღვდლისაგან გასუდრული მამისგან განსხვავებით, ერთი მღვდლისგანაც არ ეღირსებოდა წესის აგება, მაგრამ ის ენუგეშებოდა, რომ ღმერთი სამინედ არ გაიმეტებდა მის წმინდა სულს: "თორმეტმა მღვდელმა მამა გასუდრეს, მე ერთი მღვდელიც კი არ ამიგებს წესს და ვმადლობ უფალს, ჩემი სული მას აბარია, მან ერთმა იცის, რომ არ იყო იგი სამინე" (სეზონის ფალავანი) (11,67).

სასაფლაოს, კუბოს მოლანდებას, ზარნაშოს, აფთრის ხმას, "შავი ნაღველის შავ ქარს" ღვთისმშობლის მუდარა ენაცვლებოდა, რათა ზეციურ დედას ემცნო მომავალი: "დღესაც საკუთარს მივსდევთ ჩვენ კუბოს, სასაფლაოს გზა რად არ ილევა!.. სტირის ზარნაშო ჰკივის აფთარი, შავი ნაღველის გვცემს შავი ქარი მადონავ, სატრფოვ სად დავისვენებთ, სად დავაწყობთ ძვლებს, გემუდარებით – გვითხარი, დედავ!" (თეთრი სიზმარი) (11,69).

მაცხოვრის მავედრებელი წინაპრების პატრონი ძველ წმინდა აღთქმებს არ ივიწყებდა და მაინც სატანისეულთა მიერ უარყოფილ ღმერთს ევედრებოდა: "მე დიდი მყავდა წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა. მე ძველი მახსოვს აღთქმები — წმინდა და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები" (ბალაგანის მეფე) (11,80).

ათეისტურ ეპოქაში "ცისფერყანწელი" ძმები მოვლენილნი იყვნენ ქრისტეს მახარობლებად: "ახალი ქრისტეს ოთხი დავრჩით მახარობელად — პაოლო, გრიგოლ, ვალერიან, მე — იოანნე (დროშა ქიმერიელთა) (11,92).

მათი იდეალი იყო "ძლევის თავადი" — ქრისტე (ჩემი სიმღერა).

ბოლშევიკური დროის თანამდევი იყო უღმერთობა, აშკარა გახდა დაობლებული სვეტიცხოვლის ტირილი, ღვთისმშობლის დახვრეტილი, ცრემლებით სველი თვალი.

სულში კი სიონის ზარი რეკავდა, ალავერდის წმინდა სანთელი ენთო, პოეტს ჩაესმოდა ომში მიმავალ სამას ხევსურის საყვირების კორიანტელი, არ ასვენებდა დედოფლის დაშანთული სხეული, ქართლს მისეული მონგოლების ხილვა, ბატონიშვილ ალექსანდრეს სევდა, წინამურში გასროლილი ტყვიის წივილი

ეს სრულიად შეუთავსებელი იყო სატანური ეპოქის ხოტბასთან, რასაც მოითხოვდა ხელისუფლება და პოეტი აცხადებდა: "ვინ გააჩერებს ამ ხმების გრიძლს — ამდენი ძვლები რად დამიგროვეთ, მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს, მე თუ გინდოდით თანამედროვედ" (ჩააქრეთ სულში სიონის ზარი) (11,125).

ტიციან ტაბიძის ლექსიდან მოისმის დასაკლავი ხბოს ბღავილი, მოჩანს ეშაფოტი, აღა-მაჰმად-ხანის აჩრდილი და ასე შეჰყავს პოეტს მკითხველი შავბნელი ეპოქის გაუძლის სინამდვილეში: "დასაკლავ ხბოს ხმით მინდა ვიბღავლო, რომ ეშაფოტზე მეც დამარწიეს და ხვდება სული აღა-მაჰმად-ხანს, თბილისს რომ სცემდა მრისხანე ტორებს" (პოემა-ჩალატარ) (10,132-133).

იალბუზი და მყინვარი ეშაფოტის ბოძებად ეჩვენებოდა, ევლინებოდა დესპოტი მტრების, მურვან-ყრუს სახეები, რომლებიც გაძარცულ კვართს ჰპოტნიდნენ ქვეყნის გალავანში ძვლებს ჭვრეტდა, ეროვნული გმირის კახაბერის აგასფერად გარდასახვას ტიროდა: "ეს არ არის სიმღერა ეს არც ლექსია ჩემს წინ იყურებიან: იალბუზი და მყინვარი, როგორც ორი ბოძი — ერთი ეშაფოტის. მურვან ყრუ და ყველა დესპოტი მძვინვარე გაძარცულ კვართს გრიგალივით ჰპოტნის ამ ქვეყანას ძვლებისგან აქვს გალავანი. კახაბერი გახდა აგასფერი" (ეს არ არის სიმღერა) (10,158-159).

"აგასფერი" არის მარადიული ურია, ებრაული ლეგენდის გმირი, შემდეგ სახარების ლეგენდის ცნობილი პერსონაჟი, იერუსალიმელი ხარაზი, რომელმაც გოლგოთის გზაზე მიმავალი ქრისტე დასასვენებლად თავის ქოხთან არ გააჩერა, გააგდო, დაარტყა კიდეც თავხედურად და უთხრა: "წადი, იესო, იარე სასიკვდილოდ! ქრისტემ მიუგო: "მე წავალ, მაგრამ შენ იცოცხლებ ჩემს დაბრუნებამდე (დამელოდები). მას შემდეგ აგასფერი განწირულია, სამუდამოდ უსახლკაროდ დაეხეტება" (14,96).

პოეტს აღაშფოთებდა თანამედროვეთა საბედისწერო ფერისცვალება, მტრედად მოვლენილთა სვავის სახეში გაცხადება, "სხვა ქარიშხლების" დრო: "მტრედიც გადიქცა ახლა სვავადა, სხვა ქარიშხლების მოდიან დრონი" (დასაბამიდან) (10,109).

შემთხვევითი არ იყო ფიქრი განკითხვაზე, წინამურის ტრაგედიაზე, მაჩაბლის ცხედრის მოლანდება: "სამშობლოში მხოლოდ ბეწვის ხიდს, ორპირის ცეცხლს" ჭვრეტდა "ორპირის ოქროპირი" და მოგვიწოდებდა, მაშინ გაგვეხსენებინა მისი ტრაქტატი: "ყველას გაასწრებს სააკაძის ხმალი ნაფერი, თავის განწირვის ამ გან-

კითხვას ვინ დაემალოს? კიდევ ამოვა წინამურზე ორქიდეა, მტკვარი ამოიტანს მაჩაბლის გვამს. თუ საქართველო ბეწვის ხიდია, ბევრ სხვა გენიოსს ის ცეცხლით დასწვავს ამას წერს ნაბოლარა პოეტების, რომელსაც დაელია ლექსის არაქათი. როცა ორპირის ცეცხლი მოგედებათ, მაშინ გაიხსენეთ ეს ჩემი ტრაქტატი". (ეს არ არის სიმღერა) (10,156).

გალაკტიონ ტაბიძეს სატანური ძალა – „მხეცი" მოუწოდებდა თვითმკვლელობისკენ, სატანებით, ცეცხლის ენებით, საწამლავებით, ჯოჯოხეთური ალით და განადგურებით გამორჩეული დრო აწამებდა (არ არის იგი იმდენად ტკბილი) (12,124).

თვითმკვლელობის დემონი სდევდა საქართველოში ტიციან ტაბიძეს, "ცისფერი ყანწების" ორდენის რაინდს ცხოვრება შხამით უვსებდა ყანწებს, საწამლავს აძალებდა და მორგისკენ უბიძგებდა: "მუხრანის ველზე დასახრჩობად კიდევ დავდგებით, საქართველოში, ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით. თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგი დემონი. მე ვხედავ იმ მორგს, მონამლული სადაც დავწვებით" (ნინა მაყაშვილს) (10,163).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა იწინასწარმეტყველა თავისი ტრაგიკული სიკვდილი, სატრფოს გარეშე, უჭირისუფლო გასვენება ("მერანი", "ცისა ფერს") (15,113,120).

ტიციან ტაბიძეს საფლავზე, ძვლებზე, სატრფოს ცრემლების გარეშე მიცვალებაზე ფიქრისას, ბუნებრივია, თავისი დიდი პოეტური წინაპარი ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენდებოდა: "ბარათაშვილი არაგვზე სვამდა, მე კი დღეს მახრჩობს "ქიმერიონი". მტრედიც გადაიქცა ახლა სვავადა, სხვა ქარიშხლების მოდიან დრონი. რა საჭიროა სატრფოს ცრემლები, არც ქარს ვაწუხებ საფლავის თხრისთვის. მოისვენებენ ისედაც ძვლები, თუ კრემატორი აღირსეს თბილისს" (დასაბამიდან) (10,109).

ეს წინათგრძნობაც აუხდა. ცხოვრებაში ნაწამებს, უსაფლავობაც დაებედა.

"ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები" — ასე აკეთებდა აქცენტირებას ეპოქის მოვლენებზე გალაკტიონი ლექსში "მზეო თიბათვისა" (12,124).

ტიციან ტაბიძის ლექსში გვზარავს "სისხლის ტბორი", ზღვად დაგუბებული სისხლის ნიაღვარი, შხამი, თვით პოეტი კი "ყელნაგდებულ გედს" დამსგასვსებია, უკანასკნელ სიმღერაში რომ სურს ჩაატიოს მთელი ეპოქის სატკივარი: "ბალღამიანი ეს სისხლის ტბორი, ხმალით თუ არა, სიტყვით გაცურე. საბედისწეროდ ვიბრძვით ჩვენ ორნი და ბრძოლაც უნდა აქ ვაჟკაცურად. ზღვა იყო მშვიდი და მეორე ზღვად გაქონდა გული სისხლის ნიაღვარს, ეღირსოს მაინც ერთხელ მორეცხვა ამ გამოურწყავ შხამის იარას? ერთი სიტ-

ყვა აქვს ყელწაგდებულ გედს, მე ვუცდი ამ ხმას — გულში ამოხდეს" (გვიანი დოღი) (11,189).

პოეტ გედს სცემდნენ შუბლსა და საფეთქელზე, მაგრამ სჯეროდა გულიდან ამოჭრილი ლექსის ატომის სიცოცხლისუნარიანობის: "ყელწაგდებული იმღერის გედი, პირდაპირ სცემენ შუბლს და საფეთქელს. მხოლოდ იცოცხლებს ლექსის ატომით, რაც პოეტის გულს დაღად ამოჭრეს" (სკვითური ელეგია) (11,149). ლექსში "თბილისი" პოეტი-გედი "ყელწაჭრილი" და ცოცხალ-მკვდარია, მისი სულის ორეული — მიმინო "ხახამშრალია", გული — "სისხლის ლექსით" სნეული, სასიკვდილო აგონიით სავსე: "მეც მინდა გული სისხლის ლექსად შემოგალაქო და თუ შენ ახლა პოეტისაგან მოგესმის შესხმა, ეს გედი მღერის — ყელწაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი. მე ვარ მიმინო, ხახამშრალი და კაპოეტი, მე ვარ თბილისის აგონიით მკვდარი პოეტი". ლექსი დაწერილია 1923 წელს (11,103).

"ყელწაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი გედის" პარალელურად, ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში პოეტის სიმბოლოდ გვხვდება ძალზე მიგნებული სახე "ქვებზე გარჩენილი" და ლაყუჩებახეული კალმახისა, ხოლო აღსასრულის მაცნეა შემართული ჩახმახი. ეს იყო მეფისტოფელის საუკუნეში მართალი სიტყვის საფასური და, პოეტიც, ათასებივით, "თვითმკვლელობის იავნანურს" ტოვებდა დროის ბრალდებად: "გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები, შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები! ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური. ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანური" (ანანურთან) (11,161).

თვითმკვლელობის მოტივი ერთ-ერთი უმთავრესია ცრემლით, ცეცხლით, სისხლით, "აზიური ღალატით" გამორჩეული ეპოქის შვილისთვის: "უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები, მაგრამ ჩვენც ალბათ თავის მოკვლაც გვეპატიება" (მეარღნეები და პოეტები) (11,139).

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ვლინდებოდა არა ლოკალური, არამედ გლობალური სატკივარი. მის პოეზიაში დაღვრილი თერგის წყალივით ადიდებული ცრემლი საყოველთაო, ეპოქალური უბედურებით, სახელისუფლო უსამართლობით გამოწვეული ცრემლია: "დგას ლანქერების კორიანტელი, მთა მთას მისდევს და კლდეებს აწყდება, რომ იყოს თერგი ორი ამდენი, თვალებს ცრემლებად ვეღარ გაწვდება" (რომ იყოს თერგი ორი ამდენი) (11,178).

სხვაგანაც ისევ "ცრემლების თერგია" პოეტის ხვედრი, ჩამოქცეულ ცასთან ერთად "წამექცა თავზე ცა გარღვეული და ცაზე კიდევ — სხვა მყინვარის ცა, და დარიალით გადარეული თვალებს

ცრემლების თერგი მირეცხავს" (მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე) (11,130).

ერთ ლექსში "ცრემლების თერგს" ენაცვლება "ცრემლების არაგვი": "დაბრუნდებიან კორიანტელად დაგუბებული ნიაღვარები. შავ არაგვსა და თეთრსა არაგვსა ჩემი ცრემლების არაგვი ერთვის" (დიდხანს ეძინა მყინვარს ტიტველი) (11,210).

ცეცხლი და ცრემლი იყო სიტყვის მსახურის ხვედრი და სიკეთის, თანაგრძნობის დეფიციტით გამორჩეულ დროში მხოლოდ მყინვარი და იალბუზი ესახებოდა მესაიდუმლედ: "შორიდან ვუმზერ მყინვარს, იალბუზს, ამ ორმა დევმა მხოლოდ იციან პოეტის გული რა ცეცხლით მიდუღს და რაც ატირებს საწყალ ტიციანს" (რა მინდა მე აქ) (11,225).

ტოტალური უბედურების მოლოდინით იყო პოეტი გათანგული: "ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მალე, ასე დატრიალდა ბოროტი საქანელა" (ვარ უსათუოდ ამის მოვალე) (1198).

ჯერ კიდევ 1916 წელს გარს ეხვია გამცემთა ურდო, ამიტომ ამბობდა ლიტურგიას და ქვეყანას პანაშვიდს უხდიდა: "მე მაბეზღებენ, რომ მხედავენ აქამდის მშვიდს. და თუ ვეღარ ვთქვი ლიტურგია მე თავის თავზე, ქვეყანას მაინც გადვუხდი ერთხელ პანაშვიდს" (მაგი წინაპარი) (11,74).

შავნაბადას ტიტველ მთასავით უპოვარს, ცეცხლის საკირეში ჩაგდებულივით უტიროდა გული: "რა მაბადია — ან რა მებადა, მე ვარ ტიტველი მთა შავნაბადა, მაგრამ გული რომ მაინც მომტირის, თითქოს ჩააგდეს ცეცხლის საკირეს" (თბილისის ღამე) (11,143).

გულს უფლეთდა საქართველოს წარსულის ტრაგიკული ფურცლები, მარაბადასა და კრწანისში უშედეგოდ დაღვრილი სისხლი, ყველა ლეკი და ყველა ურჯულო, კუბოსავით დაცხრილული ნარიყალა (სოღანლუღიდან) (11,143).

ტიციან ტაბიძის სატკივარი თავისუფლებადაკარგული, რუსეთის მიერ ხელმეორედ დაპყრობილი საქართველო იყო, უდაბნოდ, სასაფლაოდ ქცეული სამშობლო: "საქართველოთი ვინ არ დამწვარა, ან ვინ არ სტირის საქართველოზე, ბევრის სიცოცხლე მან გაამწარა და ბევრიც დავრჩით სასაფლაოზე", წერდა 1925 წელს (თბილისიდან დედას) (11,108).

პოეტის იდეალი იყო მტრისგან, დამპყრობლისგან მოუხელთებელი და დაუმორჩილებელი ალექსანდრე ბატონიშვილი: "ამ საშინელ და უიღბლო ღამეს მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი, რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი ბატონიშვილის ალექსანდრესი" (პოემიდან ჩაღათარ). ლექსი დაწერილია 1925 წელს (11,116-117).

და როცა თავისი პოეტური მომავლის რწმენას გამოხატავდა, "ურჩი მიურიდები", შამილი, ალექსანდრე ბატონიშვილი — ეს თავისუფლებისმოყვარე რაინდები იყო მისი საფიცარი: " და როგორც

ერთი ურჩი მიურიდი ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა წვერებს, შამილის ფაფარს და თეთრ ჭაღარას, ალექსანდრეს წვერს დროშად ნაკერებს, რომ მე დავტოვებ პოეტის სახელს, თუ ვაჟკაცობას თქვენსას ვერ ვამხელ" (პოემიდან ჩაღათარ) (11,117).

პოეტს არ ასვენებდნენ, უმიზეზოდ კბენდნენ სულით კაცუნები, ბუზები: "მე არ მაცხია მონგოლის თაფლი და ხელგაკრული არ ვზივარ მზეზე, მაგრამ ბუზები, რომ ვერ დაითვლი, კბენენ ჩემს სხეულს სულ უმიზეზოდ" (თამუნა წერეთელს) (11,128).

ცხოვრებაზე დაკვირვება ჯერ კიდევ 1926 წელს არწმუნებდა, რომ მოკლდებოდა მისი დღეების რიცხვი: "მე ასე გიწერ შვილო, ორ აპრილს, არ ვიცი კიდევ რამდენი დამრჩა" (11,127).

გალაკტიონი გვამცნობდა, რომ ის ცხოვრობდა "მეფისტოფელის საუკუნეში", მას აღაშფოთებდა "სამშობლო შავი ლიუციფერის", "ქვეყანა ბნელი დემონებისა" (ბრმა ცალი თვალით) (12,171).

ტიციანის თანამდევი გამხდარიყო დემონი, სატანური ქვეყანა-გიგანტი, შემოქმედის კისერს რკინის ბაწრით რომ ეპარებოდა, მხოლოდ უფსკრულები, ხრამების ფსკერი ისახებოდა უდაბნოდ სახელდებულ სამშობლოში და ენატრებოდა ვეფხვთან შერკინებული მწირის მამაცობა, თავის ტრაგიკულ აღსასრულს წინასწარ ჭვრეტდა, მაგრამ დამნაშავეს სულგრძელად პატიობდა ყველაფერს და ბოროტმოქმედის გადამისამართებას მიმართვადა, თითქოს ყაჩაღების ნახელავი იყო მისი სიცოცხლის ხელყოფა.

"და გადავყურებ ალმას უფსკრულებს, კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს, ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი, საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღვნა. მინდა მოვირთხა ამ შარაგზაზე, მინდა გავიხსნა გული ალალი, მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი" (მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე) (11,130).

1926 წელს, როცა პოეტები ერთმანეთს ეცილებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთგულების დამტკიცებაში, ტიციან ტაბიძემ სახალხოდ წაიკითხა ლექსი, მიძღვნილი ცნობილი რუსი პოეტის — სერგეი ესენინისადმი, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ტიციან ტაბიძის სტრიქონებში დაფიქსირებულია პოეტთა უსიხარულო ცხოვრება, ცრემლი და სირცხვილი, რაც გადარჩენასაც აუფასურებდა: "განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი, რომ გადარჩენა არ გხარებია?.. ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი, სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია!..."

თუ ზოგჯერ თვითმკვლელობაზე საუბრობდა ქართველი პოეტი, ამჯერად "სხვა დროს" მოთხოვნა მათი ჩაძაღლება იქნებოდა: "არ გამოცვლილა ხომ პოეზია, მუზები ცისკრის კარებს აღებენ, მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ".

შემოქმედის სულის და ხორცის ხელყოფით ხასიათდებოდა რჩეულთათვის სასაკლაოს მომწყობი ხელისუფლება: "ღმერთი და სჯული არა ვართ შორი, მონგოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს, სული დააპეს და მერე მძორი მძორიც ძერებმა გამოათავეს.

ამირანივით მკერდდაკორტნილებს არც საწამლავი დაჰკლებიათ: "ასე უჭირდა ალბათ ამირანს, რომ დაულეწეს ჩვენსავით მკერდი შევსვამთ საწამლავს ჩვენ როგორც მირონს — პირველად შენ თქვი ეს ალავერდი".

ჩაშვების, გაცემის, დამსმენთა ეპოქაში მარტოდშთენილი პოეტი საკუთარ თავსაც ვეღარ უმხელდა გულის ბალღამს: "ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ, შენზე ღრიალით გასკდა არღანი, საკუთარ თავსაც ვეღარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი".

ცისფერი ორდენის ძმა რომ გამოიტირა, იწინასწარმეტყველა თავისი სიცოცხლის არაადამიანური ხელყოფა სადღაც, ღრმაღელეში: "ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს, ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს" (სერგეი ესენინს) (11,119).

ტიციანმა ათი წლით ადრე იხილა თავისი ტრაგიკული აღსასრული და ეს ხილვა 1937 წელს გაცხადდა კიდეც, სადღაც, სოღანლუღის ველზე.

პოეტის უტყუარი წინათგრძნობის შემცველი ლექსების უმრავლესობა დაწერილია 30-იან წლებში, 1924-26-27 წლებში.

ხოლო ტრაგედიამდე ერთი წლით ადრე ტიციანს დაუწერია "ავტობიოგრაფია", რომელიც შეიცავს რიონის წყალდიდობის მოგონებას და ეს ადგილი გასაოცარი, მისტიკური წინათგრძნობაა პოეტის მოსალოდნელი უბედურებისა: "ადიდებულ მდინარეს თან მოჰქონდა დანგრეული სახლები, აკვნები, გარღვეული საფლავებიდან წამოღებული კუბოები" (11,5).

მეცნიერი და ნოველისტი რევაზ მიშველაძე, რომელიც იმოწმებს პოეტის ავტობიოგრაფიის ამ ნაწყვეტს, მართებულად შენიშნავს: "ხომ არ იყო ეს მაგიური პოტური წინათგრძნობა იმისა, რომ მალე ტიციანსაც მისწვდებოდა დელგმა-წყალდიდობა, რათა პოეტის კუბოც გაეტაცნა და შთამომავალთათვის სამუდამოდ დაეკარგა მისი საფლავი" (8,305).

ქვეშეცნეულად გრძნობდა რა თავისთვის დამიზნებულ ტყვიას, ტიციან ტაბიძეს შიში უკუგდებული ჰქონდა, რადგან პოეზიით

მონათლულს, ეიმედებოდა, რომ უსამართლო სიკვდილი თვით დარჩებოდა შერცხვენილი: "სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა მოვა სიკვდილი, შემხედავს და შერცხვენილი გაიარს, როცა ცა სისხლით შეღებავს თურაშაულის განთიადს" (სამჯერ ვარ დაბადებული) (11,115).

საკუთარ მარადიულობაში აჯერებდა სიმართლის სიყვარული, ცისა და მთის სიმაღლის დარი სიმაღლე სულისა: "ცაც მაღალია, მთაც მაღალია და კაციც უნდა იყოს მაღალი" (ცაც მაღალია) (11,16).

პოეტს ეიმედებოდა ორბების შურდულივით გაქანებული ლექსის ძალა: "და დაენევა ორბების შურდულს მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი" (მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი) (11,75).

ტიციან ტაბიძე ობიექტურად აფასებდა როგორც გალაკტიონის, ისე საკუთარ ღვაწლს ქართული ლექსის განახლების საქმეში: "ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით" (გალაკტიონ ტაბიძეს) (11,105).

„შავი სიკვდილის" გაზაფხულსაც ჭვრეტდა და საფლავის მტვერშიც მზის მომღერალი პოეტის სული ენუგეშებოდა: "მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული — საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული" (სასაფლაოზე) (10,201).

ტიციანის სურვილი იყო ქრესტომათიაში ადგილის პოვნა, მეცნიერული ინტერესის გამოვლენა მისი ნაღვაწისადმი და ამაზე ერთგვარი ირონიით საუბრობდა: "ყველაფერს მივცემდი, რაც რომ მაბადია, რომ მახსენებდეს ერთხელ მაინც ქრესტომათია. იქნებ ვინმემ ჩემზეც დაწეროს დისერტაცია. ლექსებისთვის ვინც მოიცლის, ის რა კაცია? კითხეთ თქვენს ნაცნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაურია — ვინ უფრო აღელვებს: შტეფან მალარმე თუ დანიელა ურია?" (ორპირის ოქროპირი) (10,154-155).

ქალდეას ქალაქების ციკლის ლექსების ავტორი დარწმუნებული იყო, რომ მოვიდოდა უსამართლოდ განწირული გულის გაცოცხლების დრო და მარადისობის თანმხლები იქნებოდა მომავალში: "და როგორც მკვდარი გავაცოცხლე მე ქალაქები, ჩემს მოკლულ გულსაც გაუჩნდება გამცოცხლებელი, ატირდებიან სახელები ჩემგან ნაქები და მარადისობის საუკუნოდ მე ვარ მხლებელი". (ჩემი ნიგნი) (10,196).

ლექსი დაწერილია 1915 წელს და ცხადია, რომ ორ ათეულ წელზე მეტი ხნით ადრე იწინასწარმეტყველა პოეტმა მოსახდენი უბედურებაც და საკუთარი უკვდავებაც.

„ლექსი მეწყერის" ავტორი სამართლიანად ირწმუნებოდა: „აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები, ამ ლექსს რომ ვამბობ — ესეც დარჩება. ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამო-

სარჩლებად" (10,144). პოეტის რეპრესირებამდე ათი წლით ადრე დაიწერა ეს სტრიქონები და ეს საკუთარი პოეტური აღიარების წინასწარმეტყველური განჭვრეტაც ახდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი წინასწარმეტყველური ლექსები, რომელთა გარეშე შეუძლებელია მეფისტოფელური საუკუნის სრულყოფილი დახასიათება. ისინი საინტერესოა როგორც ეპოქისათვის წაყენებული ბრალდება, საყურადღებოა ფსიქოლოგიური თუ ესთეტიკური თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, 1994
2. აკაკი ხინთიბიძე, გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები, თბ. 1992
3. ტიციან ტაბიძე, "ცისფერი ყანწებით", ჟურნ. "ცისფერი ყანწები", ქუთაისი, 1916 წ. 1
4. ტიციან ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ. 1985
5. ნინო ტაბიძე, ტიციანი და მისი მეგობრები, თბ. 1985
6. გურამ ასათიანი, თანამდევი სულები, თბ. 1983
7. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ. 2004
8. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტო რია, თბ. 1998
9. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ. 2002
10. ტიციან ტაბიძე, თხზ. სამ ტომად, ტ. I, თბ. 1966
11. ტიციან ტაბიძე, რჩეული, თბ. 1985
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
13. ზვიად გამსახურდია, "ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, თბ. 1991
14. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983
15. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ. 1968

თავი VI

მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველური პროზა

„ქალის ტვირთი“ – რევოლუციური ქვეყნის მომავლის განჭვრეტა

საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში რეპრესირებული“, კონტრრევოლუციონერად, ანტისაბჭოთა, ქვეყნის მოღალატე მწერლად მონათლული მიხეილ ჯავახიშვილი ქრისტესავით ეცვა ჯვარს ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში და თავისი ტრაგიკული აღსასრულით კიდევ ერთხელ განამტკიცა ის მოსაზრება, რომ მხოლოდ სიმართლისათვის გოლგოთაგამოვლილთ ელოდებათ ამაღლება.

მიხეილ ჯავახიშვილმა უკვე გადალახა რუბიკონი, მარადისობაში შეაბიჯა და ერის თანამდევ სულად იქცა. მწერლის ნააზრევმა გაუძლო დროის გამოცდას, მისმა გაფრთხილებებმა კიდევ უფრო მეტი სამძაფრე შეიძინა და ბიბლიურ ბრძენთა დარად, წინასწარმეტყველის მანტიით შემოსილი გვეცხადება 21-ე საუკუნეშიც.

დიდი პროზაიკოსი იმთავითვე მომავლის ორიენტირებს უჩვენებდა, შეუმცდარად ჭვრეტდა დროულს და ზედროულს, წარმავალს თუ მარადიულს, საფუძვლიანად გასიგრძეგანებული ჰქონდა სოციალურ, ეროვნულ, ფილოსოფიურ პრობლემათა არსი, იმხანად მოდური მოძღვრებები, რევოლუციათა დამანგრეველი ძალა, ქვეყანას ყოველთვის სწორი გეზისკენ მიანიშნებდა, მაგრამ მწერლის სიცოცხლეში მისი შეგონება – მოწოდებები რჩებოდა ღაღადებად უდაბნოსა შინა.

სამწუხაროდ, მხოლოდ კომუნისტური მმართველობის 70-წლიანი პერიოდის შემდეგ გავიხსენეთ დიდი პროზაიკოსის გაფრთხილებები, როცა აშკარა გახდა, რომ მარქსიზმ–ლენინიზმის ხომალდი გეზსამცდარი მიაპობდა ზღვას, რომ ინტერნაციონალიზმი, კოსმოპოლიტური მოძღვრებები დამღუპველი იყო პატარა ერებისათვის, რომ ადრე გაფეტიშებული უფროსი ძმის სანდრომი საბედისწერო ხდებოდა და სისხლმოწყურებული კაენი ისევ ჩასაფრებოდა აბელს.

რამდენი რამ არის წინასწარმეტყველური მიხეილ ჯავახიშვილის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა მოთხრობები „დამპატიჟე“, „ლამბალო და ყაშა“, „დამდნარი ჯაჭვი“.

თაობებისადმი მიმართულ საგანგაშო ზარის შემოკვრად შეიძლება მივაჩნიოთ რომანები „ჯაყოს ხიზნები“ (1924წ), „გივი შადური“ (1928), „ქალის ტვირთი“ (1936), „თეთრი საყელო“ (1926წ.)

ამ მხატვრულ თხზულებებში ქვეტექსტებით, დაშიფრული მეტყველებით გახადებულია საბჭოთა სინამდვილისათვის დამახასიათებელი ავბედითი მოვლენების არსი.

უცდომელი იყო მწერლის მიერ მარქსიზმის, სოციალ–დემოკრატიის, ბოლშევიზმის, რევოლუციების, ეროვნული სატკივრების განსჯა–შეფასება, მომავლისთვის გაწვდენილი მზერა.

მის ნაწარმოებებში მრავალგზის და თანაც ნეგატიურ კონტექსტში აქცენტირებულია „წითელი“, „გაწითლება“, „წითელი ეშმა“ (1,467,514), „წითელი გველეშაპი“, „წითელი ბაქტერიები“, „წითელი გოლიათი“ (2,167), „წითელი თემი“„წითელი დროშა“ და „ახალი თემის ღალატისათვის“ „ახალი თაობის“ის მიერ „მამის განგმირვა“ (3,210).

ცხადია, მორწმუნე მწერალი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ბიბლიას, აპოკალიფსის წინასწარმეტყველებას უღმერთო იმპერიის შექმნაზე, მის ეფემერულობაზე, აპოკალიფსური გველეშაპის მიერ ხელდასხმული ზღვისა და მიწის მხეცების მოვლინებით გამოწვეულ კატაკლიზმებს.

მრავლისმეტყველია მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გამოყენებული ბიბლიური ხილვები, ბიბლიური პარადიგმები.

1905 წლის რევოლუციის თემას ეძღვნება რომანი „ქალის ტვირთი“, რომელიც დაიბეჭდა 1936 წელს. მასში მოცემულია სოციალური პრობლემების, რევოლუციური ნარღვნის წინასწარჭვრეტა. ერთი ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია ტრადიციული ზნეობის რღვევა, გაფეტიშებული მარქსიზმის გავლენით ეროვნული ფასეულობების, რელიგიის იავარქმნა, რევოლუციის მესვეურთა მნგრეველი, ყოვლის გამანადგურებელი, სისხლსმოწყურებული მორალი.

პროზაიკოსი სინამდვილის ობიექტურ დასურათხატებას ქვეტექსტებით, სიმბოლო – ალეგორიებით, მინიშნებებით აღწევს.

ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია მიხეილ ჯავახიშვილის მიმართვა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის – აკაკი თათარაშვილისადმი, დაწერილი 1935 წელს, რომელშიც საუბარია მწერლის განზრახვაზე, დაწეროს რომანი 1905 წლის რევოლუციის თემაზე, რომელსაც „უმთავრესად პოლიტიკური ღერძი ექნება“.

მწერალს სურდა უმთავრესი გმირების განზოგადება, მათი მიმსგავსება პარტიების ბელადებთან.

მიხეილ ჯავახიშვილი ამხელდა, რომ რომანის ცენტრალური ფიგურა სტალინი უნდა ყოფილიყო: „სტალინს არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ, მაგრამ წინდაწინვე ვაცხადებ, რომ მეტად დიდი პასუხისმგებლობის გამო, ამხანაგ სტალინს თავი სახელსა და გვარს ვერ დავარქმევთ. უმთავრესი გვარი კი არ არის, არამედ მხატვრუ-

ლად განსახიერებული ტიპია, რომელიც ისე უნდა იყოს შესრულებული, რომ ყველამ იცნოს მაშინდელი სტალინი და ყველამ იგრძნოს, რომ ამ ახალგაზრდა კაცისგან ოდესმე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი დადგება... ბიოგრაფიული რომანის დაწერა ნაადრევია, ჯერჯერობით შეუძლებელია (31.VII. 1935) (3,480).

რომანის იდეა უნდა ყოფილიყო ოჯახისა და სახელმწიფოს ნგრევა რევოლუციის ზეგავლენით.

1936 წელს ქართული ლიტერატურის და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში, კრემლში, მიხეილ ჯავახიშვილს სტალინთან შეხვედრისას განუცხადებია იმის შესახებ, რომ 1905 წლის რევოლუციის თემაზე შექმნილ რომანში მან გვერდი არ აუარა ამხ. სტალინს და ისიც შედის მასში, როგორც მოქმედი პირი:

სტალინი – რა ჰქვია ნაწარმოებს?

მე – "ქალის ტვირთი".

სტალინი – უკეთესი ხომ არ იქნებოდა, "ქალის ხვედრი" დაგერქმიათ?

მე – რომანში გამომყავს ორი ქალი, რომლებმაც რევოლუციის ტვირთი წამოიკიდეს. ერთმა მათგანმა ეს ტვირთი ბოლომდის მიიტანა, მეორე კი ნაიქცა მისი სიმძიმის ქვეშ.

სტალინი – ეს უკვე სხვა საქმეა.

მოსკოვი, 20. III. მიხ. ჯავახიშვილი (4,622).

1937 წლის 4-7 აგვისტოს მოეწყო „ქალის ტვირთის" განხილვა მწერალთა კავშირში. ამ სხდომის სრული სტენოგრამა დაცულია ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

რომანი უარყოფითად შეფასდა. მწერალს დააბრალეს ეპოქის არცოდნა, სინამდვილის გაყალბება, რევოლუციურ იდეებში გაურკვევლობა, ფროიდიზმის იდეების ქადაგება, ეროტიზმი, სტალინის სახის ფრაგმენტული წარმოდგენა.

„ეს რომანის გარჩევა აღარ იყო, ეს იყო ადამიანის წინასწარი გეგმით შერისხვა", იგონებდა მწერლის ქალიშვილი ქეთევანი (4,418).

მომხსენებელი იყო შალვა აფხაიძე. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ: ი. ტატიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ა. გაწერელია, კ. აბაშიძე, დ. დემეტრაძე, პ. საყვარელიძე.

დისკუსიაზე საერთოდ იგნორირებული იყო ძირითადი აქცენტის მატარებელი სახეები.

მწერალმა ზურაბ გურგენიძის პროტოტიპად ჩაიფიქრა სტალინი, ხოლო „კობა" გამოიყვანა, როგორც მისი მოძღვარი.

სინამდვილეში ეს ორი სახე ავსებს ერთმანეთს და ერთი და იგივეა.

რომანის ჩანაფიქრის გასაგებად აუცილებელია მივმართოთ სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახეებს და ესენია: კოშკი, გედი, ურჩხული, წითელი გველეშაპი.

სიმბოლურია ნაწარმოების დასაწყისში ჭექა–ქუხილი, რომელიც დიდი კატაკლიზმების მოლოდინისთვის გვამზადებს: „იმ დღეს ცაც კი აჯანყდა, უცებ აიმღვრა, აფორიაქდა, ჭექა–ქუხილით ჩამოსრიალდა მთაწმინდიდან და გაწეწილ–გაშმაგებული ალქაჯივით მიაწყდა ახატნელის სამსართულიან სახლს, ნომერ შვიდს, რომელიც მამადავითის ფერდობზე იდგა“.

„აგერ განმარტოებით თეთრი მარმარილოს კოშკი მიცურავს. კოშკზე ყელმოღერებული თეთრი გედი წამომჯდარა... უკან პირდაღებული შავი ურჩხული მისდევს... საცაა უნდა დაეწიოს... აჰა, კიდეც დაეწია... კოშკი დაინგრა, გედი ჩაყლაპა და თვითონაც ჩაიფუშა“... (2,9).

ამ ხილვას მოჰყვა ახატნელების სახლში რევოლუციონერ ზურაბ გურგენიძის შემოჭრა დამალვის მიზნით, რადგან მას მდევრები მოჰყვებოდნენ. ქეთომ რევოლუციონერი დამალა და ამ კაცის გაცნობა საბედისწეროდ იქცა ქალიშვილის ცხოვრებაში.

ახატნელების ოჯახი მთაწმინდის უბანში, მამადავითის ფერდობზე იდგა. ოჯახი ძველი, დიდებული წარსულის მქონე ტრადიციული საქართველოს სიმბოლოდ არის ჩაფიქრებული.

მწერლის ქალიშვილის ქეთევან ჯავახიშვილის ცნობით, ამ რომანის თავდაპირველი ვარიანტი ყოფილა 1906 წ. გაზეთ „შრომაში“ დაბეჭდილი მცირე ზომის დრამატული ჟანრის ნაწარმოებები „ოჯახი“, რომლის სიუჟეტიც მწერალმა განავრცო და მომავალი რომანისთვის გამოიყენა. ოჯახის წევრები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები არიან, რაც მათ განხეთქილებას, უთანხმოებას, იწვევს.

„ქალის ტვირთის“ თავდაპირველ ვარიანტს რქმევია „სახლი №7“ (4,187).

ახატნელთა ოჯახის მესვეური ანდრია ანდრია პირველწოდებულის მოსახელე იყო და ამ სახელს ამართლებდა, ის იყო განათლებული ქართველი ინტელიგენტი, მსახურობდა საგუბერნიო სამმართველოში, სათავადაზნაურო საკრებულოში, საადგილმამულო ბანკში. იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა საზოგადო მოღვაწეთა მეგობარი. ილიას „ივერიაში“ იბეჭდებოდა მისი წერილები „არაგველის“ ფსევდონიმით.

ანდრიას ძმამ აკაკიმ უფროსი ვაჟი გრიგოლ ორბელიანს მოანათვლინა და გრიგოლი დაარქვა. ის აგრონომი იყო. მისი ძმა დი-

მიტრი ყიფიანის ნათლული იყო, კარგი ექიმი, სოციალ–ფედერალისტი.

ანდრიამ თავისი ვაჟი აკაკი წერეთელს მოანათვლინა და აკაკი დაარქვა. იგი მენშევიკი გამოვიდა.

მეორე ვაჟი ილია ჭავჭავაძის ნათლული იყო, დიდი მწერლის სახელს ატარებდა, მაგრამ ლოთი, ავარა, ტუტუცი, ახატნელთა გვარის შემარცხვენელი გაიზარდა.

მესამე ვაჟი ნიკო ნიკოლაძემ მონათლა და ნიკო დაარქვა. ის ბოლშევიკი გამოვიდა.

ოჯახის დედა მარიამი დარბაისელი ქართველი მანდილოსანი იყო, საზოგადო საქმეებში აქტიური, დრამატული, წერა–კითხვის, საქველმოქმედო საზოგადოებების ნევრი, სახალხო თეატრის მხარდამჭერი.

ახალ დროში სხვადასხვა გზაზე დამდგარი წევრების გამოისობით ოჯახმა რღვევა იწყო.

რომანში ნათქვამია: „როგორ იშლება ეს ოჯახი... მარქსიზმიც ამბობს, რაც ოჯახია, სახელმწიფოც ის არისო. ახლა ყველა ოჯახი იშლება და მასთან ერთად სახელმწიფოც ირღვევა. სოციალიზმი ქერძაფივით შლის საზოგადოებას".

საგულისხმოა, რომ კოშკი და ციხე არა მარტო ქეთოს ხილვაში ფიგურირებს, არამედ პოეტ ელიზბარ შუქურაულის სადღეგრძელოშიც, რომელიც ახატნელების ოჯახში ქეთოს დაბადების დღეზე თამადობს. იგი ასე მიმართავს ქალიშვილს: „შავი გედივით ზიხარ ბროლის კოშკში და გირჩევ, ასეთ დროში გარეთ არ გამოხვიდე, თორემ ლაფში ფეხს გაისვრი და ვეღარ გაისუფთავებ. სული დაგიმდაბლდება და ვეღარ განიკურნები... ღმერთო, ამ კოშკს ნუ დაგვინგრევ" (4,189).

თამადამ ერთობა წითელ გველეშაპს შეადარა, რომელიც ბროლის კოშკს მოხვევია და ლამობს იქიდან მზეთუნახავი ქეთო გამოიტყუოს".

შემთხვევითი არც ის არის, რომ თამადამ საშიშ ავადმყოფობად მიიჩნია რევოლუციური იდეები, ქეთოს „წითელი ბაქტერიები" აღმოუჩინა და განკურნება უსურვა.

მაშ რომანში იკვეთება ანტიპოდური სახეები: კოშკი და შავი ურჩხული, კოშკი და წითელი გველეშაპი, ეროვნული იდეები და წითელი ბაქტერიები.

კოშკი და გედი იდეალის დონეზეა გააზრებული.

კოშკი ბიბლიაში ღმერთის სიმბოლოდ გაიაზრება: „ისმინე, უფალო, ვედრება ჩემი, ყური მიაპყარ ჩემს ლოცვას. რადგან შენა ხარ ჩემი მფარველი, ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი" (ფს. 61,2,4) (5,584).

აღსანიშნავია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ერთ შედევრს ჰქვია „კოშკი“, რომელშიც „ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული“ და ეს ბედისწერით არის განჩინებული, კოშკის ძველისძველ ფოლიანტზე გამოჩნდება ხელი (როგორც ბიბლიაში მეფე ბალთაზარის ნადიმის დროს კედელზე) და იწერება საბედისწერო სიტყვები, რაც კოშკის ნგრევას მოასწავებს. ეს მსჯავრი კიდევაც ასრულდება. ლექსი თარიღდება 1916 წ.

ვფიქრობთ, ლექსში „კოშკი“ მარიამის, ხოლო „სიყვარული“ ქრისტეს სიმბოლოა და ნანარმოების თემაა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების ჩვენება, რაც, უპირველესად, რწმენის წინააღმდეგ ბრძოლას მოასწავებს (6,122).

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში კოშკის ნგრევა არა მხოლოდ სარწმუნოების, სახელმწიფოებრიობის მოშლას გულისხმობს.

მივმართოთ ისევ სუფრის თამადის ელიზბარ შუქურაულის სიტყვებს: „... იმან ამატირა, რომ თამარის და რუსთაველის ხალხი იღუპება. უარესიც ხდება, საზარელი მიწისძვრაც მზადდება, რომელსაც პოეტი და ზოგი პირუტყვი წინასწარ ვგრძნობთ“.

აშკარაა, მიწისძვრაში ერთობა იგულისხმება, ხოლო აბელზე დაგეშილი ძმის მკვლელის – კაენის სახე ხელისუფლებაში მომსვლელთა სატანურ სულს უკეთებს აქცენტს: „ყური მიგდეთ, ქართველებო, კაენისა და აბელის პრობლემა მუდამ ცოცხალია და ჯერაც არ გათავებულა.კაენი ახლაც ემზადება აბელის მოსაკლავად და მშველელი არ ჩანს“.

რევოლუციაზე ფიქრისას გალაკტიონს ეზმანება წარღვნა, სისხლის მორევში მცურავი მკვდრები, „დამსხვრეული სწორი კენარი“, „იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი“(როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები) (7,179).

აშკარაა, მიხეილ ჯავახიშვილის ნეგატიური დამოკიდებულება რევოლუციისადმი, რასაც თამადის სიტყვები გამოხატავს და, რაც მთავარია, ამ მოსაზრებას არავინ აპროტესტებს.

ახლა იმ გველეშაპის შესახებ, რომელიც ბროლის კოშკს ეხვევა და იქედან ქეთევანის გამოტყუებას ცდილობს.

ბიბლია, მითოლოგია, ქართული და უცხოური კლასიკური პროზა და პოეზია სავსეა გველეშაპის სახეებით.

მივმართოთ ბიბლიას: „გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 14, 29,) (8,841).

იერემია წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: „შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით“(იერემია, 51,34) (8,137).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში კი დაფიქსირებულია მიქაელისა და ანგელოზების მიერ ზეციდან ჩამოგდებული

გველეშაპი, რომელმაც ძალა და მეუფება გადასცა ზღვის მხეცს, რომელიც გმობდა ღმერთს. მისი თანამოაზრე იყო მიწის მხეცი. ისინი დევნიდნენ, ხოცავდნენ მორწმუნეებს და „ყიდვა–გაყიდვის“ ანუ არსებობის უფლებას მხოლოდ მხეცის ნიშნით აღბეჭდილებს აძლევდნენ (იოანეს გამოცხადება, 11,1-8).

კომენტატორები მიუთითებენ, რომ აქ მინიშნებულია უღმერთო, ურწმუნო იმპერიის, საბჭოთა კავშირის შექმნა, ხოლო ზღვის მხეცში ნაგულისხმევია ხალხთა მასებიდან მოსული ლენინი, მიწის მხეცში – იატაკქვეშელი სტალინი, რომელმაც გააკეთებინა პირველი მხეცის (ე.ი. ლენინის) ხატება და ყველას აიძულებდა, თაყვანი ეცათ მისთვის.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში შავი ურჩხული და წითელი გველეშაპი (წითელი აშკარად მიესადაგება სისხლიან საბჭოთა იმპერიას) მოაზრებულია რევოლუციის, „ერთობის“ ჭრილში.

სწორედ „შავი ურჩხულისა“ და „წითელი გველეშაპის“ ძალისხმევით ინგრევა კოშკი, (ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა), იშლება ახატნელების ოჯახი, იღუპება გედი–ქეთო.

აღსანიშნავია, რომ ქეთოს სახე გაგებულია, როგორც საქართველოს სიმბოლო, რომელსაც ეპოტინებიან პოეტი შუქურაული, ვაჭარი ფერაძე, (სავაჭრო კაპიტალი), კლიმიაშვილი – ქართველი ჩინოვნიკი, ავშაროვი–რუსი მეფის მოხელე და ბოლშევიკი ზურაბი (9,54).

ქეთევანი რუსი ავშაროვის ცოლი ხდება და ბოლშევიკ ზურაბ გურგენიძის საყვარელი.

როგორც ზურაბ გურგენიძისა და სტალინის ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალების თანხვედრა (ხელოსნის შვილობა, მამით ობლობა, სოფლის 4 კლასიანი სასწავლებლის შემდეგ სასულიერო სემინარიაში სწავლა, „წითელი ჭირით“ დასნეულება, მარქსიზმით გატაცება, სამჯერ გადასახლება და სამჯერ გამოქცევა, მოღვაწეობა ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში მიგვანიშნებს, რომ ზურაბ გურგენიძის პროტოტიპი სტალინია.

მიხეილ ჯავახიშვილი არც რევოლუციას უყურებდა კარგი თვალით და არც რევოლუციონერებს.

„ქალის ტვირთის“ მიხედვით, გურგენიძე პირველობას იჩემებს, ინტრიგანია, სისხლით გაუმაძღარი, სიყვარულში ამორალური, (საცოლედ მუშა მართა დოვლადაშვილს იგულვებს, ქეთოსთან კი ავხორცობა აკავშირებს, თვითონვე არ ფარავს, რომ ხშირად „დამპალ ხილს მიირთმევს“) ბოროტების ინსპირირების უნარით ცნობილი, ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეების დაუძინებელი მტერი.

ზურაბ გურგენიძე ყველას და ყოველგვარ ღირებულებას რევოლუციონურ იდეებს უმორჩილებს: „ვისაც ჩვენი მიზანი ღრმად

სწამს, ის არავითარ საშუალებას არ მოერიდება და ყველაფერს გასწირავს: ძმას, ქმარს, დედ–მამას, შვილსაც, სიყვარულსაც და მეგობრობასაც“ (2,156).

ზურაბ გურგენიძემ და მართა დოვლათაშვილმა შთააგონეს ქეთოს, ეკისრა ბიბლიური ივდითის როლი, რომელმაც მტრის სარდალ ოლომფერნს მორჩილება გამოუცხადა, სანოვაგით გაუმასპინძლდა, დაათრო, მძინარეს თავი მოჰკვეთა და ებრაელი ხალხი გაათავისუფლა (ივდითი, 13, 5-20) (8,231).

ქეთომ ცხოვრება ავშაროვს დაუკავშირა, ფარულად რევოლუციონერებთან თანამშრომლობდა, მაგრამ ქმარმა ჯაშუში მიუჩინა და ამხილა. იგი დაპატიმრებულმა გურგენიძემ უარყო, არჩევანი მართაზე გააკეთა, ძველმა თაყვანისმცემელმა კლიმიაშვილმაც ზურგი აქცია, მარტოდ დარჩენილმა კი თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

საგულისხმოა მწერლის ერთი განაცხადი რომანში, აკაკი ახატნელის პირით ნათქვამი: „თუ ბოლშევიკები დამარცხდნენ, ვაი ჩვენი ბრალი, თუ გაიმარჯვეს, ვუი ჩვენი ბრალი. ძველ ქვეყანას ძირფესვიანად ამოაგდებენ (2,222).

ესეც წინასწარმეტყველური მოსაზრება გამოდგა.

შემთხვევითი როდია რომანში გამუდმებული საუბარი სისხლზე, ზურაბ გურგენიძის სისხლით გაუმაძღრობაზე.

ასეთად ესახებოდა მიხეილ ჯავახიშვილს ბოლშევიკები და არც შემცდარა.

ანალოგიურად ფიქრობდნენ სხვებიც.

„სისხლში მცურავ ცხედრებზე“, სისხლის მორევებზე სწუხდა გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციაზე საუბრისას („როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „სისხლი“) (7,179).

სისხლის სუნი სცემდა გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულის“ პერსონაჟს თამაზ ენგურს, როცა რუვოლუციაგამოვლილ ბერზინს უყურებდა. როცა იგი დააპატიმრეს და გპუ–ს ჯურღმულებში დაკითხვაზე ჰყავდათ, გულს ურევდა სისხლის სუნი და ზარავდა პატიმრების ცემა.

სისხლით მორწყულ გზებზე წუხდა „სულს ცეცხლში“ (10,3) ტერენტი გრანელი, უფრო მეტი, იგი უდანაშაულო პატრიოტთა სისხლით მორწყულ ველზე დააბიჯებდა 1924წელს, აჯანყების მონაწილეთა განადგურების შემდეგ და წერდა: „და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“ (10,398)

ურჩხული, რომელმაც კოშკი დაანგრია და გედი ჩაყლაპა „ქალის ტვირთში“, „წითელი გველეშაპი“, რომელიც „ბრძოლის კოშკს“ ეხვეოდა და იქიდან ქეთოს გამოტყუუებას ცდილობდა, სწორედ იმ შეუბრალებელ აპოკალიფსურ მხეცებზე მინიშნებაა, რომელთაც ულმერთო იმპერია შექმნეს. ციხეებით, სახრჩობელოებით, პატი-

მართა ბანაკებით მოჰფინეს ქვეყანა, ფსიქიატრიული რეპრესიებით, ფიზიკური განადგურებით შეამცირეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და ტოტალური „შიშის ლანდი უზარმაზარი" (გალაკტიონის „კოშკი") გაავრცელეს მთელს იმპერიაში.

რევოლუციური აპოკალიფსური მხეცის სახე ილანდება აგრეთვე მ. ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები" (11,40).

ლიტერატურა

1. მიხეილ ჯავახიშვილი, "თეთრი საყელო", თხზ. ექვს ტომად, ტ. II, თბ. 1959
2. მიხეილ ჯავახიშვილი, "ქალის ტვირთი", თხზ. ექვს ტომად, ტ. V, თბ. 1961
3. მიხეილ ჯავახიშვილი, "გივი შადური", თხზ. რვა ტომად, ტ. III, თბ. 1973
4. ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ. 1991
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
6. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახიმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
8. ბიბლია 2 წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
9. ლია ყატაშვილი, "წითელი გველეშაპი ბროლის კოშკს მოჰხვევია", ალმანახი
"კრიტიკა", 1991, 5-6
10. ცისფერი სიშორე, თბ. 1998
11. შალვა ამირეჯიბი, "ჯაყოს ხიზნები", "ქართული მწერლობა", 1990, 2

საქართველოს ავბედითი მოვლენების წინასწარმეტყველება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში"

„ჯაყოს ხიზნები" არა მარტო ქართული, მსოფლიო რეალისტური პროზის შედევრია. გახალხურებულია რომანის პერსონაჟები, შეუდარებელია ავტორის ხატოვანი მეტყველება.

ეს წინასწარმეტყველური წიგნი წარმოაჩენს მწერლის სოციალურ, ეროვნულ, ფილოსოფიურ, რელიგიურ, ესთეტიკურ თვალსაწიერს. იგი რეალურად არსებულისა და მიგნებული მხატვრული გამონაგონის სინთეზია. მწერლის სულში, მის შემოქმედებით ლა-

ბორატორიაში ახლებურად არის გადახარშული ნანახი, განაგონი, დაკვირვებები, შთაბეჭდილებები, რითაც მიღებულია კოსმიური მასშტაბის ჭეშმარიტებები, მარადიული იდეები.

ეს რომანი – გამოცანა სავსეა სიმბოლოებით, ალეგორიებით, მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტებით, მიწიური და ზეციური იდეალებით. „ჯაყოს ხიზნები“ დიდი სულიერი ციტადელია, რომელიც ყოველთვის გააოცებს მკითხველს ქართული მხატვრული გონის სიმაღლით. რომანი ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ვითარების, პოლიტიკის, ქართული ეროვნული ფენომენის ზედმინევნით შეცნობის შედეგია და წარსულისა და აწმყოს ბერკეტების გამოყენებით მომავალში გადახედვის უცდომელი ნიმუში.

მწერალს, რომელიც გაუცხოებულ, არაქართულ გარემოში გაიზარდა, ხოლო შემდეგ რუსეთსა და ევროპაში მრავალგზის იხეტიალა, გამძაფრებული ჰქონდა ეროვნული გრძნობა, გამახვილებული სმენა, ხედვა, შეცნობილი ქართველის მიმართება უცხოელთან და უცხოელისა–ჩვენს მსოფლხედვასთან, მომადლებული ჰქონდა მესამე თვალი, მეექვსე გრძნობა, განსაკუთრებული ინტელექტი და ინტუიცია. რაკი წმინდა, სპეტაკი მორალით გამოირჩა, არსთაგანმრიგემ მას მიანიჭა ერის მომავალში წვდომის, წინასწარმეტყველური განჭვრეტის უნარი, საღვთო სიბრძნე მიჰმადლა. მწერალს აწვალებდა მსოფლიოში ქართველი კაცის ადგილის პრობლემა, მისი მერმისში გასაღწევი გზების ძიებაში ათენ–აღამებდა, ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი „გაიძვერა მოყვრის“ ფსიქოლოგია, მწარედ განცდილი ჩრდილოეთის ყინულის სუსხი, ცდილობდა გაეგო ევროპის გეზი, აწვალებდა დასავლეთში, ცივილიზებულ მსოფლიოში გაღწევის სურვილი... აფიქრებდა მცირე ერების ბედი გლობალიზაციის საუკუნეში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ალტერნატივა...

დიდმა პროზაიკოსმა იცოდა, რომ პატარა ქვეყანა მრავლისმნახველი მსოფლიოს ყურადღებას მხოლოდ თავისი განსაკუთრებული სულიერებით, კულტურით თუ მხატვრული სიტყვით მოახედებდა, ამიტომაც რგავდა ქართულ მიწაზე თავისი ნიჭის ფესვმაგარ მუხას, რომელსაც ვერ ამოთხრიდა ვერავითარი გრიგალი.

„ადამიანს სიბრძნე ამშვენებს, ესე იგი დაკვირვება, გამოცდილება და ბუნებრივი ჭკუა“ (უბის წიგნაკიდან), ამბობდა მწერალი და მის შემოქმედებაში აკუმულირებულ სიბრძნეს დაბერება არ უწერია.

„ჩვენი ამოცანაა ახალი სტილი შევქმნათ და მწერლობაში ახალი ქვეყანა და ახალი ადამიანი აღმოვაჩინოთ“ – აი მწერლის უპირველესი დევიზი. და მართლაც, მიხეილ ჯავახიშვილი ჭეშმარიტად იყო ახალი ქვეყნის, ახალი ადამიანის, ახალი სტილის აღმომჩენი.

მწერალმა აღმოაჩინა და ახლებურად გაიაზრა ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალი გზები, ქართველი ერის – მსოფლიოში ამ უნიკალური ფენომენის – ხასიათის თავისებურებები, მისი უკვდავების საიდუმლო და მერმისში გადასახედი, რაც მხოლოდ რჩეულთა, ერთეულთა პრეროგატივაა...

დიდი პროზაიკოსის გული თითქოს „რადიოსადგური" იყო, თავისი ხალხის სულში „ანთებული სანთელი", ერის „პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურე". „ქვეყნის ვარამით" ძილგამფრთხალი მწერალი ამბობდა: „ვაი მას, ვინც ამ ვარამს არ ატარებს გულში".

მიხეილ ჯავახიშვილი იყო მრავალნაცადი და მრავლისმნახველი ბრძენი, რომლის გულშიც მთელი კოსმოსი ეტეოდა, მერიდიანები, განედები გადიოდა, ეთაყვანებოდა ქართულ გენს, ამაყობდა თავისი მშობლიური ფესვებით და აცხადებდა: „სამყაროში არაფერია ულამაზესი ჩვენი ქვეყნისა, ჩვენს ქვეყანაში ადამიანისა და ადამიანში – სულისა" (უბის წიგნაკიდან).

„მე არ მესმის, რად უნდა მივცე უპირატესობა უცხოს, ვინემ არსებულს – თუნდაც ოდნავ მიძინებულს" – ეს აზრიც საკუთარი ერის სულიერი ანატომიის უებრო მცნობელს ეკუთვნის.

აი როგორი სიმართლით არის განჭვრეტილი საქართველოს უკეთეს შვილთა ფსიქოლოგია: „რომ მკითხონ, სიკვდილით დასჯა თუ სამშობლოდან განდევნა, ისევ პირველი მირჩევნია".

ქართულ ლიტერატურას არ ჰყოლია უფრო დიდი სულიერი და გრძნობისმიერი მესიტყვე, ვიდრე „ჯაყოს ხიზნების" ავტორია. მას მართლაც შეეძლო მხოლოდ ერთეულთათვის ბოძებული ზეციური წყალობის ძალით ეთქვა: „ჩემი ერის გულში ვზივარ, ჩემი ხალხიც გულში მიზის".

მხოლოდ თავისი ხალხის გამორჩეულ წარმომადგენელს თუ ხელეწიფება სამშობლოსთან ასეთი სიახლოვე და უპირველესი სიყვარულის ობიექტისგან ასეთივე გრძნობით შეპასუხება: „...და დღეს, ამ დარბაზში, მელანდებოდა, მეჩვენებოდა, ვგრძნობდი",თითქოს მე და ჩემი ხალხი – ქართველი ხალხი და მთელი საქართველო – ერთმანეთს ვეხუტებოდით და ვკოცნიდით, ვიგრძენი ისიც, ვითომ ორივენი ერთმანეთში ჩავესხით და გავიხსენით, შევდუღდით: მე–ჩემს ხალხში, ხოლო ქართველი ხალხი – ჩემს გულში და სულში" (უბის წიგნაკიდან).

მართლაც, მიხეილ ჯავახიშვილი მთელ საქართველოს მოიცავს თავისი სწორუპოვარი შემოქმედებით, ამავე დროს, კოსმიურია თავისი შემეცნებით, მასშტაბებით და გაქანებით...

„ჯაყოს ხიზნების" ავტორი სიკვდილის წინაშეც „ნამდვილი ზეკაცია", რომელიც თავისი გამბედაობით იმორჩილებს სიკვდილს და გოლგოთაგამოვლილი, ეროვნული იდეალებისათვის ჯვარცმული, სამარადისო ჭეშმარიტებას გვაწვეთებს, უმაღლესი სამარ-

თლიანობის იდეით გვამხნევებს: „ამქვეყნად მაინც არსებობს სამართალი. ის ურმით დასდევს ბოროტებას, ბოლოს უეჭველად წამოეწევა და ღირსეულს მიუძღვნის“.

მწერალი ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ შემოქმედება განსაკუთრებული ინტუიციის ფუნქცია არის. ქართულად სამი სიტყვა არსებობს: ალღო, გუმანი, გეში. მე ინტუიციას მირჩევნია „გუმანი“... ზოგნი ამბობენ, შემოქმედება მხოლოდ გონების ფუნქცია არისო. არც ერთია მართალი და არც მეორე. ვინც მხოლოდ გონებით წერს, იმის ხელიდან ტრაქტატის მეტი არა გამოვა რა. შემოქმედება გაუგებარი, იდუმალი შეზავებაა გონებისა და გუმანისაც. მწერლისთვის კიდევ სხვა რაღაცას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა: ნიჭს, დაკვირვების უნარს, ცოდნას და შრომას“ (1,224).

შემოქმედების ორ ტიპს გამოყოფდა – ალღოთი და გონებით მომუშავეებს. თვითონ ალღოს და გონებას ემყარებოდა ერთდროულად (გონება და გუმანი ხელიხელჩაკიდებული არიან, ყევარივით მუშაობენო), მაგრამ უპირატესობას მაინც ალღოს ანიჭებდა.

გუმანი ამ შემთხვევაში ინტუიციის, მიხვედრის სინონიმია, რაც მწერალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მომადლებული“ (როგორ ვმუშაობ) (2,233).

მწერლისთვის მთავარი იყო „რეალიზმი – დედა–სახე ლიტერატურისა“ და სიმართლის პირუთვნელ, მსაჯულს არასოდეს უღალატია ჭეშმარიტებისათვის.

კრიტიკის როლს ასე განსაზღვრავდა: „კრიტიკა არის ხელოვნება ხელოვნებისა, იგი არის შემოქმედება შემოქმედებისა“ (1,378-379).

მიხეილ ჯავახიშვილის ნააზრევში ყოველთვის სამი დრო ფიგურირებდა: „წარსული გაცხრილეთ, აწმყო გაიგეთ და პირი მუდამ მომავლისკენ იქონიეთ“.

დიდი პროზაიკოსი ასე მოუწოდებდა თანამოკალმეთ: „მწერალო, ერთი ხელი წარსულს გაუწოდე, მეორე მყოფადს ჩასჭიდე, არც ერთი არ გაუშვა, თორემ დაიღუპები“ (უბის წიგნაკიდან).

მის დროს, რწმენის, ეროვნულობის, ტრადიციების, სახელმწიფოებრიობის გადარჩენისთვის ზრუნვა დანაშაულად ითვლებოდა და ამ იდეალების ერთგულთ ციხე, ფსიქიატრიული რეპრესიები, ფიზიკური განადგურება ემუქრებოდათ, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილი უშიშრად, ტიტანური შემართებით ერკინებოდა წითელი გველეშაპის მიერ მოვლინებულ აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებს. დიდი პროზაიკოსის ტრაგიკული აღსრულების მიზეზიც ის იყო, რომ იგი არა კერპებს, სატანის ნაშიერებს, არამედ მრავალსაუკუნოვან მარადიულ ღირსეულებებს – ენა, მამული, სარწმუნეობა – ემსახურა ბოლომდე.

მწერლის განაცხადი: „ქართული კალამი გოლგოთური ჯვარია, რომელსაც ხელით ვატარებ". – საოცრად წინასწარმეტყველური გამოდგა.

„მდევენ „ჯაყოს ხიზნები" და „თეთრი საყელო"... მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვერ დააწყნარა"...

არა მარტო ამ რომანების ავტორის, მთელი ერის, კაცობრიობის გონიერი ნაწილის მუდმივ თანამგზავრად იქცა ეს შედევრები და მათგან აბობოქრებულ გრიგალს დაცხრომა არ უწერია.

საბჭოთა ცენზურა ხელ–ფეხს უბორკავდა, გამადიდებელი შუშით უთვალთვალებდა სიტყვის მსახურთ და ცდილობდა, თავისი სატანისტური პოლიტიკის მეხოტბედ ექცია ისინი, ჭეშმარიტების მაძიებელნი კი სიმბოლო–ალეგორიებს, ენიგმებს ეფარებოდნენ და მაინც არ ღალატობდნენ თავიანთ იდეალებს.

„ჯაყოს ხიზნები" იმთავითვე გამოცანად იქცა. მისმა ავტორმა, როგორც თვითონ ამბობდა, „მუხლებამდე შესტოპა გადაჭარბების ზღვაში", მაგრამ უკვე დაწერილის წაშლას არ აპირებდა, რადგან მიაჩნდა, რომ „სადაც გადაჭარბება არ არის, იქ ხელოვნებაც არ არის. მხოლოდ ფოტოგრაფი და უხეში ნატურალისტი არ აჭარბებს, მე კი არც ნატურალისტი ვარ და არც ფოტოგრაფი"(1,234).

საბჭოთა კრიტიკა, მიუხედავად თავისი მცდარი ორიენტირებისა, მაინც სწორად ჩასწვდა, რომ „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება სოციალისტური აგიტატორი არ შეიძლება იყოს. ჩვენ ვიცით, რომ მისი შემოქმედება არის აგიტაცია ახალი ადამიანების ჩამოყალიბების, სოციალიზმის წინააღმდეგ მშენებლობისათვის", ამტკიცებდა პროლეტარული კრიტიკის ფალავანი მ. ბუაჩიძე (1,108).

ტოტალიტარული სახელმწიფოში „ქორმეძებრებიანი ცენზურის" (კ. გამსახურდიას ტერმინია) პირობებში მწერლის სათქმელი ინიღბებოდა გამოსაცნობი სახეებით, მინიშნებებით, ქვეტექსტებით,...

„ჯაყოს ხიზნების" ჩანაფიქრის გაშიფრვაში გვეხმარება მისი ავტორის მინაწერები კრიტიკოსთა მოსაზრებებზე, რაც საშუალებას იძლევა გავისიგრძეგანოთ რომანის სათქმელი.

მწერლის მრავლისმეტყველი გამონათქვამები, ჩანაწერები ამ ნაწარმოების სიღრმისეულ შრეებში შესასვლელი უმთავრესი კარია.

აი, ერთ–ერთი განაცხადი: „ჯაყოს" 1924 წლის სექტემბერ–ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო" გმინავა ჩემი სულის" (1,44).

მივმართოთ სხვა მინაწერებს და გამონათქვამებს: „ჯაყოს ხიზნები“ დამაწერინა მიმავალმა ქვეყანამ“.

„ჯაყოს ხიზნები“საბჭოთა ხელისუფლებამ დამაწერინა“ (განხილვაზე ნათქვამი სიტყვა)... კომუნისტური გაზეთებიც კი სავსეა ჯაყოსებური ტიპებით და ამბებით. თეიმურაზი რევოლუციის საქაჯავის ქვეშ გაჩანჩურდა.

წითელმა გოლიათმა მისი ნაცოდვილარი ჩაყლაპა.

თეიმურაზი ჯაყოზე ვინ გაცვალა, მე თუ რევოლუციამ?

ვინ მომცა ნება, რომ დღევანდელი ყოფა–ცხოვრება ისე ავწერო, როგორც ვხედავ და მესმის. ავტორის გლოვა თეიმურაზის ბედისა არ გესმის“?

ივანე გომართელის განაცხადზე: „მთელი მისი (თეიმურაზის ლ.ს.) ცხოვრება რევოლუციის ხანაში ჩაძაღლება არ არის?“ მიხეილს მიუწერია: „მართალია“.

რომანის II გამოცემის ყდაზე გამოსახული იყო ორი ძაღლი, რომლებიც ყმუოდნენ. მწერალი მიანიშნებდა, „მარგო ელის თავის განთავისუფლებას და ყმუილი იმას ნიშნავსო“...

ვ. ხუროძის წერილზე მიუწერია: „ვერ გამოიცანი“?

დიახ, დიდხანს რჩებოდა ეს არაჩვეულებრივი წიგნი მკითხველ – სპეციალისტების გამოცანად.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობების, რომანების, პუბლიცისტური წერილების უპირველესი თემა საქართველოა, მისი წარსული, აწმყო და მერმისი, ამ გამორჩეული ერის ადგილის პრობლემა ჩვენს პლანეტაზე.

„ჯაყოს ხიზნები“ რომანი სფინქსია, რომელიც იკითხება რეალისტურ ჭრილში და, ერთი შეხედვით, ყურადღების ცენტრში ტრადიციული სამკუთხედია, ქალისა და მამაკაცის პრობლემაა, მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებაა. მისი მთავარი სათქმელი ქვეტექსტებში, სიმბოლურ – ალეგორიულ სახეებშია საძიებელი.

ნაწარმოებს აქვს საინტერესო შემოქმედებითი ისტორია. მისი ავტორის გონებაში მომწიფებული იყო დიდი სათქმელი, რაც ინსპირირებული იყო სამშობლოს ოკუპაციით და სოციალისტური, სამართლიანობის იდეის სახელით შემოპარული მზაკვრული ძალით, მუშტის პოლიტიკით.

საოცარი წინასწარმეტყველური მიგნება და სამომავლო ტრაგედიის განჭვრეტა იყო ამ ახალი ძალადობის, მედროვეობის იდეასთან ჯავის ხეობაში შემთხვევით ნანახი, ჟარგონით მოსაუბრე ოსი მგელკაცის დაკავშირება. მისი ტლანქი, ველური, ბრგე გარეგნობა, ბანჯგვლიანი სახე, ცბიერი და ხარბი თვალები სამუდამოდ დამახსოვრებია მწერალს.

ათი წლის შემდეგ კი ინჟინერ ფიდო ყაზბეგის მიერ ქართულ კლუბში მოუსმენია ანეგდოტი კნეინასა და მისი ნაყმევის შეხვედრის შესახებ. ამ დიალოგში განსაკუთრებით საყურადღებოდ მოსჩვენებია ნაყმევის ტრაბახი 12 შვილით და მისივე ხეპრული, ფიზიკური ძალის დემონსტრირების მაუწყებელი ფრაზა: „მაშ, მაშა! აგრე იცის ჯაყომა“

„უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეგდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტხანს ვერ სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეგდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ჩემი ხსოვნის ერთ–ერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. აი, ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი“ („როგორ ვმუშაობ“) (2,233).

რომანის დაწერის იმპულსი გამხდარა ასევე გ. ქიქოძის ნაამბობი ახალდაბაში მცხოვრები მოხუცი თავადის – სუმბათაშვილის შესახებ, რომელსაც ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა. თავადს ცოლი ღალატობდა მოურავთან, რომელმაც თავადის ნაპარავი ქონებით ქვიშხეთში მამულები შეიძინა და ახალი სახლი აიშენა, რევოლუციის შემდეგ თავადის მეუღლე შეირთო. მოხუცი თავადიც თავისთან შეიფარა. ეს ცნობა დაცულია ლ. ასათიანის უბის წიგნაკში (3, 174).

მწერალმა ბატონის მოღალატე ახალგაზრდა მოურავის ნაცვლად ტლანქი, მოძალადე ოსი გამოიყვანა, რომელიც მას 10 წლის წინათ ჯავის ხეობაში ენახა.

ჯაყოსთან ერთად, მარგოსაც ჰყოლია პროტოტიპი. თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, ქართული ენის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, მიხეილი გამგზავრებულა ლიახვის ხეობაში, ქართლის შუაგულში, სოფელ ქურთასა და თამარაშენში, სადაც გასცნობია ფიზიკური და სულიერი მშვენებით გამორჩეულ ქალიშვილს მარგო მაჩაბელს, რომელიც მისი მუზა გამხდარა და მარგო ყაფლანიშვილის პროტოტიპად ქცეულა, რა თქმა უნდა, რომანის მიზანდასახულობის მიხედვით გარდაქმნილი, დაქვემდებარებული მწერლის დიდ იდეას (დ. კასრაძე, ლაპარაკობს მ. ჯავახიშვილი) (4,176-177).

„ჯაყოს ხიზნების“ავტორმა უარყო დისტანციის თეორია, რომელსაც ადრე იზიარებდა. იგი წერდა: „დღეს ეს თეორია შემცდარად მიმაჩნია და მჯერა, რომ თანამედროვე მწერალმა უნდა წეროს სწორედ თანამედროვეობის თვალით აქტუალურ თემებზე“ (მიხეილ ჯავახიშვილი, საბჭოთა მწერალი ქუთაისში) (5,377).

რომანში გვხვდება ციმბირელი ბნელი სალოსის – გრიშკა რასპუტინის აჩრდილი, როგორც ჯაყოს ორეულისა.

მიხეილ ჯავახიშვილს განზრახული ჰქონია „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელების დაწერა და თეიმურაზის ანტიპოდის გამოყვანა.

მწერალს შალვა დადიანისთვის უთქვამს: „ისე არ მოვკვდები, რომ სრული „ჯაყო“ არ დავწერო.

რომანის სხვაგვარი დასასრული უნდოდა. ნინიკა წაართმევდა მარგოს, ჯაყოს კი საქართველოდან გააძევებდა. ჯაყოსთვის განარჩენი ახალ თაობას უნდა გამოეტანა (6, 84).

მწერლის არქივში ინახება ეტიუდი „შემოდგომის ღამე“. მასში გამოყვანილია ოსი მსახური ბრინკა, რომელიც ჟარგონით ლაპარაკობს, შემდეგ კი ჯაყო აალაპარაკა ასე. იქნებ ის „ჯაყოს ხიზნების“ ჩონჩხი იყო,ან ბრინკა მისი მოდელი (იქვე).

„ახალი გზის“ მიმგნებმა მწერალმა პირადი შთაბეჭდილებები, დაკვირვებები, თვალით ნანახი, ყურით განაგონი, პროტოტიპები თავის ლაბორატორიაში ალქიმიკოსის ჯადოქრობით გადაადუღა, მოახდინა მათი სინთეზირება და მიიღო საუკუნეებში გასათვალისწინებელი, მარადისობაში ანგარიშგასაწევი შედეგი.

მრავლისმეტყველია რომანისტის განაცხადი: „ჯაყოს ხიზნები“ დამაწერინა მიმავალმა ქვეყანამ“.

„მიმავალი საქართველოს“ ტრაგედია გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ამ ექსკიზის მიხედვით იმ დროის სამშობლოში ქართველი კაცის ტრიბუნას, გულწრფელი ტირილის ასპარეზს მხოლოდ სასაფლაო წარმოადგენდა. ტერმინი „მიმავალი“ ნიშნავს წასულს, გამქრალს, დაკარგვისთვის განწირულს, გამქრალი იყო თავისუფლება, ადამიანური არსებობის უფლება, სახეზე იყო სასაფლაო, როგორც გლოვის, ცრემლის, ტირილის ტრიბუნა გაციებული გვამის წინაშე, მთავარი „მიცვალებული“ კი სამშობლო იყო, ბორკილდადებული, გაყიდული: „საქართველოში, სადაც ხე არ ყოფნით ჯვარზე საცმელად, ერთი ტრიბუნაღა დაგვრჩენია: ეს არის სასაფლაო. ერთი – ღა თავისუფალი ადგილი გვაქვს შესაკრებად – ეს არის ჩვენი მკვდრების განსასვენებელი ბინა... ერთი ღა დრო გვაქვს, როდესაც შეგვიძლია ვითომ ხმის ამოღება, ეს არის დრო ტირილისა და ცრემლებისა, როდესაც წინ გვიდევს გაციებული გვამი“...

დატყვევებული ებრაელების ტირილი მდინარეთა ნაპირებზე შეფარვით მიგვანიშნებს პოეტის საწუხარს: „დამწუხრებულნი ვტირით ჩვენს ძვირფას საფლავებზე ისე, როგორც დატყვევებულნი ებრაელნი მისტიროდნენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირზე. და რაც უფრო მწარედ სტიროდნენ, მით უფრო გრძნობდნენ დაკარგულ თავისუფლებას: თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება!“

ესკიზში არც „დახვრეტილ თავისუფლებაზე“ საუბარია შემთხვევითი: „გაჰქრა! სულს ისე ღიმილით არ ეალუბლება თავისუფლება, დაკარგული თავისუფლება“.

„მიმავალ საქართველოში“ მოხსენიებული იოველის ხმა რჩება ღაღადებად უდაბნოსა შინა. ქართველი პოეტი ხაზს უსვამს, რომ მის ქვეყანაში ხმალიც და თოფიც ფუნქციადაკარგულია, სამშობლოს სხვა ქვეყნის ცოფი უქადის განადგურებას: „ბრაზს უღვივებდა უხმარად მყოფი ჯაჭვი, ჯავშანი, ხმალი და თოფი, და ეხლაც, ეხლაც დადის ამქვეყნად, როგორც აჩრდილი და ავადმყოფი და ეპარება მას შესაჭმელად სხვა სახელმწიფოს ძლიერი ცოფი“ (შდრ.„ძლიერი ცოფი“ და მ. ჯავახიშვილის ფრაზა „მონგოლური შხამი“).

პოეტს სულს უშფოთებდა „მათი მინდორი, მათი თოვლები და ბურუსები“... ამით თოვლიან – ყინულიან იმპერიაზე, ჩვენს „გაიძვერა მოყვარეზე“ მიანიშნებდა.

გალაკტიონს აწამებდა ნებაყოფლობით მოძიებული „საშინელი ბორკილები“, ანუ ისევ სხვისი მონობის უღელქვეშ ყოფნა (7, 467-471).

აპოკალიფსურ საუკუნეში ტერენტი გრანელი გლოვობდა მკვდარ, თავისუფლებადაკარგულ საქართველოს: „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“ (8,16).

საქართველოს თავისუფლებისათვის დახვრეტილ რჩეულ პატრიოტთა სასაფლაოს თუ უსაფლავობის ტანჯვა აემგზავრებოდა მიხეილ ჯავახიშვილს, სიტყვის თავისუფლების აღკვეთა, პირზე დადებული ბოქლომი უმწარებდა სულს.: „მე, მწერალი დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ გაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე, თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი – სირცხვილით დავიწვები... დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაც სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“... (1,151).

მხატვრული სიტყვისადმი თავშეწირვის იდეა ქართული მწერლობის მესიამ ასე გამოხატა: „ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებ“ (უბის წიგნაკიდან) (9,1).

მართლაც, ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო მწერალმა თავისი წინასწარმეტყველური შემოქმედებისთვის.

ურთულეს ეპოქაში მოუხდა მიხეილ ჯავახიშვილს მოღვაწეობა. ბედისწერამ მისი დროისთვის ისევ დაჰკიდა საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილი.

იმპერიული რუსეთის პოლიტიკა თრგუნავდა ძლიერი, თვითმყოფადი კულტურის ერებს, სამაგიეროდ, ათამამებდა უსახურთ, მუშაობდა ერების ურთიერთგადაკიდებაზე, „დაყავი და იბატონეს" პოლიტიკით ცდილობდა გადაეყლაპა არარუსი ხალხები.

მწერალი ნეგატიური აზრის იყო რევოლუციაზე, რუსეთის პოლიტიკაზე „წითელი ჯარი შემოდის. იწყება გარუსება და გაძარცვა" (1,29).

„ჯაყოს ხიზნების" ავტორის პოლიტიკური მოღვაწეობა, მისი პუბლიცისტური წერილები ნათელს ხდის, რომ იგი ემხრობოდა სამშობლოს დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საკითხებში პატარა დათმობაც კი მიუღებლად მიაჩნდა.

1904 წლიდან 1907 წლამდე მიხეილ ჯავახიშვილი ფედერალისტების პარტიაში ირიცხებოდა. 1907 წელს კი განუდგა თანაპარტიელებს და ამის გამომწვევ მიზეზებზე საინტერესოა თვითონ მწერლის აზრი.

„1907 წელს ფედერალისტების პარტიიდან გავედი ოთხი მიზეზის გამო 1) პარტიამ გამიჯნვის ეთნოგრაფიული პრინციპი აღიარა ე.ი. რამდენიმე მაზრას სომხებს უთმობდა 2) პარტიაში მრავალი ანარქისტი შემოუშვა 3) სოციალიზმი არ მწამდა 4) ილია ჭავჭავაძის მკვლელ სოციალ–დემოკრატიას პასუხისმგებლობა მოხსნა" (1, 23-24).

ადრეული ხანის ჩანაწერები გვაუწყებს: „1904წ. ოქტომბერში ფედერალისტების პარტიიდან გამოვდივარ იმის გამო, რომ მოსკოვის საიდუმლო ყრილობაზე ფედერალისტებმა დაუთმეს დაშნაკებს ბორჩალო, ახალქალაქი – ეთნოგრაფიული პრინციპით მიიღეს საზღვრები" (1,24).

სოციალიზმისა და რევოლუციის იდეებში დიდ საფრთხეს ხედავდა მწერალი არამარტო ანმყოში, მომავალშიც „ზარალის და „ხიფათის" მომტანად ესახებოდა ეს მოძღვრებები. მწერლის მესამე პირით დაწერილ ბიოგრაფიაში ნათქვამია: „1904-1905 წ. ადამაშვილი უკიდურესი რადიკალი იყო, თუმცა სოციალიზმის მოძღვრება ვერ შეითვისა. მისი აზრით, რევოლუცია აუცილებელი იყო, მაგრამ სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს ხიფათს უქადის" (1,26).

მწერლის ეს დასკვნა წინასწარმეტყველური გამოდგა.

მიხეილ ჯავახიშვილის პროზა, პუბლიცისტიკა სამშობლოს ბედზე გამუდმებული ფიქრით და წუხილით იყო სავსე.

აი, როგორ გაიაზრებდა იგი მცირე ერების მდგომარეობას: „ჩვენ, მცირე ერებს, მცირე მნათობების–ასტეროიდების ბედი გვიწერია: დიდი მნათობების თანამგზავრი ვართ და მის გავლენას ვერ მოვწყდებით" (1, 152-153).

მწერლის თვალწინ ინგრეოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, ყინულოვანი მონსტრი გვიმხედრებდა მცირე ერებს, პატრიოტიზმს დანაშაულად აცხადებდა და ყველაზე ტოლერანტულად განწყობილ ხალხში ეძებდა „შოვინიზმის ვეშაპს“ ჩვენივე თანამემამულე.

რომანში „ქალის ტვირთი“ წინასწარმეტყველურად არის განჭვრეტილი ეპოქალური ტრაგედიები, რევოლუციის, სოციალიზმის შედეგად ოჯახის, სახელმწიფოს ნგრევა, მორალური დეგრადაცია. ავტორი კრიტიკულია რევოლუციის ქართველი ბელადის –სტალინისადმი. აი რა არის ნათქვამი მწერლის ერთ–ერთ ჩანაწერში: „ჩვენი ეპოქა – რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ძველი ქვეყანა – დედა, ზოგისთვის ეს უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი – ახალი ქვეყანა, ამიტომ არის მგლოვიარედ გუშინდელი პოეტი, ამიტომაც ხარობს დღევანდელი ჭაბუკი კომკავშირელიც“ (1,27).

ბუნებრივია, რევოლუციაზე საუბარი რუსეთს უკავშირდება, რადგან სწორედ რუსეთიდან მოვიდა ჩვენში ბოლშევიზმი სამართლიანობის სახელით, ხოლო მწერალს წითელი ჯარი ასოცირებული ჰყავს „გარუსებასა და ძარცვასთან“ (1,29).

მ. ჯავახიშვილს ჩაუწერია: „მოვალეობა ათნაირია: წინაშე რევოლუციის, მეცნიერების, საკუთარი თავის, ნათესავის და სხვა. სად თავდება ერთი, სად იწყება მეორე? რევოლუციონერის ვალს აქვს თუ არა საზღვარი, პირადი ბედნიერება?“ (1,153).

რევოლუციისა და მისი მონაპოვრების წინააღმდეგ გალაშქრებამ მწერალი მთელი საბჭოთა კრიტიკის სამიზნედ აქცია. ბესო ჟღენტს 1932 წ. თებერვლის მწერალთა პლენუმზე განუცხადებია, რომ მიხეილი „რევოლუციის თანამგზავრობიდან“ მოქცეულა „მოწინააღმდეგე კლასის პოზიციებზე, მიხეილ ჯავახიშვილი დგება რეაქციონერ მწერალთა ბანაკში, რომ ქართული პროზის განვითარებაში მწერალს ახალი არაფერი შეუტანია“ (1,210,214).

1932წ. აპრილში კი მწერალთა თათბირი გამართულა პროზის სექციაში, მომხსენებელი ყოფილა გიორგი ნატროშვილი, რომელსაც განუცხადებია, რომ „ჯავახიშვილის შემოქმედება არის „ბულვარშჩინა“ (1,214).

დიმიტრი ბენაშვილის აზრით, კი მიხეილს აქვს არა „ცალკეული შეცდომები“, როგორც ბესო ჟღენტი წარმოადგენს, არამედ „ჯავახიშვილის დღევანდელი გამოსვლა მოწმობს, რომ მისი გარდაქმნა არ შეიძლება“ (1,214).

ნეგატიურ მოსაზრებას მწერლის შესახებ ვარიაციებით იმეორებდნენ ალი არსენიშვილი („ჯავახიშვილი მეშჩანურ წუმპეში ცურავს“), ფრიდონ ნაროუშვილი („ჯავახიშვილი რეაქციონიერი მწერალია, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მისი გარდაქმნის

შესახებ), კარლო მელაძე („ჯავახიშვილი დგას ჩვენს საწინააღმდეგო მსოფლმხედველობაზე, ამიტომ ის არ არის ჩვენი მწერალი"), მიხეილ ჩიქოვანი („ჯავახიშვილის ენა არის ფეოდალურ–არისტოკრატული, დიდი გასავალი აქვს მეშჩანურ მკითხველთა შორის"), შ. რადიანი („ის არის აშკარად რეაქციონური ხასიათის მწერალი"), დ. დემეტრაძე („ნაციონალისტური ხასიათის არის მისი „არსენა") (1, 215).

კრიტიკოსები დაჟინებით ამტკიცებდნენ მიხეილ ჯავახიშვილის არაკომუნისტობას, რეაქციონერობას, მიხეილიც არ ფარავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა სინამდვილისადმი. როდესაც ვიქტორ გოლცევი რომან „თეთრ საყელოს" არჩევდა (Литературный критик№2, Москва), წერდა, რომ ელიზბარი ქალაქში მოიზიდა კომფორტმა, ცივილიზებულმა პირობებმა, რაზედაც მიხეილს მიუწერია: „მართალია და არა საბჭოთა წყობილებამ". რადგან კრიტიკოსი ამბობდა, რომ „ხევსურეთი აქტიურად მიისწრაფის სოციალისტური მშენებლობისკენ", იქვე იყო მიხეილის ფრაზა: „იქ ადი და ჰკითხე".

ხოლო იგივე გოლცევი მოთხრობა „ფინჯანთან" დაკავშირებით წერდა, რომ ჯავახიშვილმა ორაზროვნულად გახადა თავისი გმირის ფსიქოლოგია, რაზედაც მიხეილს მოუწერა: „ე.ი. რატომ 24 საათში არ გაკომუნისტდა"?).

გოლცევი არსენა მარაბდელის შესახებ ამბობდა, რომ ის კეთილშობილია და კაცთმოყვარე, რაც უაზრობას წარმოადგენს. ამაზე მიხეილის მინაწერი ასეთია: „ეს სიმართლეა, ფაქტია, ისტორიაა, ბოლშევიკებისთვის კეთილშობილება სისულელეა" (1,219).

რევოლუცია იყო ეროვნული იდეალების დასამარება, ტრადიციების, ჰუმანიზმის უარყოფა, კულტურის ლახვარი, შეუბრალებელი ნგრევა და განადგურება, „რკინის საუკუნემ" მოკლა „გული და სიყვარული", რწმენა, ღმერთი, ნაკაცარებად აქცია ჩვენი ინტელიგენცია.

რევოლუცია მწერალმა მოიაზრა, როგორც ძალმომრეობა, „წითელი გოლიათი", რომელიც სხვის ნაცოდვილარს ყლაპავს, „სალეწავი მანქანა", რომელშიც ჩავარდა თეიმურაზ ხევისთავი და იგი „რევოლუციის საქაჯავის ქვეშ გაჩანჩურდა" (1,50).

„დაგვცა და გაგვათახსირა რუსულმა კულტურამ... მთელი საქართველო ფსიქიატრიულ სამკურნალოდ გადიქცა, სადაც ექიმი არ ჩანს" (1, 152), წუხდა მწერალი.

მ. ჯავახიშვილის ჩანაწერებში გვხვდება რუსული შოვინიზმის საფრთხეზე საუბარი: „რუსული შოვინიზმი მთელ კავშირში რჩება მთავარ ხიფათად" (1,229).

მიხეილ ჯავახიშვილს არ გამოპარვია იმპერიული ამბიციები კულტურაშიც, რაც გულისხმობდა დიდი რუსი ხალხის აგდებულ

დამოკიდებულებას ქართული ენისადმი: „მე რუსულად ვწერ, ხოლო ერთი რუსი მწერალი და ჟურნალისტი არ არის, რომ ქართულად სთარგმნოს"(იქვე).

სოციალიზმის საყოველთაო კეთილდღეობის იდეით მონუსხეს ლენინმა და სტალინმა სხვადასხვა ეროვნების ხალხები და ინტერნაციონალიზმს, კოსმოპოლიტიზმს ანაცვალეს ეროვნულობა, რწმენა.

შემთხვევითი როდია, რომ „ჯაყოს ხიზნებში" რევოლუცია შედარებულია ვეფხვის ბოკვერთან, მტაცებელ ვეფხვთან. „თეიმურაზი მალე დარწმუნდა, რომ ამდენი ხნის ნანატრი და ნალოლიავები ნამდვილი ვეფხვის ბოკვერი აღმოჩნდა. ის ბოკვერი თეიმურაზის თვალწინ გაიზარდა, გაიჭიმა, აიშოტა, აიბურძგნა და აიშალა. ვაშლისოდენა თვალებს აბრიალებდა და ელვას ისროდა, თითის სიგრძე კბილებს მრისხანედ აწკაპუნებდა, ფოლადის ბრჭყალებით ქვას ნაპერწკლებს აყრევინებდა, მტკავლის სიგრძე თითებით მიწას ჰბურდვნიდა, ყალყზე დგებოდა" (მ. ჯავახიშვილი თხზ. 6 ტომად, ტ. II, თბ, 1969, გვ. 225).

ხევისთავს საბოლოოდ გაუცრუა რევოლუციამ იმედები და იგი უკვე „გაურბოდა წითელ ფერს, სწვავდა უწინდელ დროშებს, ძვრებოდა თავის სოროში, შიშისგან კანკალებდა და ბოკვერის ნავარდს დამფრთხალი თვალებს არ აშორებდა. ბოლოს, როცა ბოკვერი ვეფხვად გადაიქცა და იმ ვეფხვმა რამდენიმე ნახტომით ყაყანის მოედანი დასცალა, შიშისაგან გადარეულმა თეიმურაზმა უმალ ზურგი მიიბრუნა, უგზო–უკვლოდ თავდაღმა დაეშვა და სასოწარკვეთილი გაჰკიოდა: „გვიშველეთ, დავიღუპეთ!" (იქვე, გვ. 225).

„რევოლუციის გრიგალში მისი კნავილი ვერავინ გოგო, ხოლო მისი ათი წლის ნაშენები წითელმა ვეფხვმა ქინძისთავისოდენა ლუკმად ჩაყლაპა" (იქვე)

აშკარაა, რევოლუციის სახეა მტაცებული მხეცი, ვეფხვი.

შემთხვევითი როდია მნგრეველი ძალის მოაზრება მხეცად.

იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსში გვხვდება წითელი გველეშაპისგან ხელდასხმული ზღვისა და მიწის მხეცები (იოანეს გამოცხადება 11,-8, 13,12).

ბიბლიის კომენტატორები ზღვის მხეცის სახეში ხალხთა მღელვარებიდან მოსულ ბელადს–ლენინს მოიაზრებენ, ხოლო მიწის მხეცში იატაკქვეშელ სტალინს გულისხმობენ (10,411).

ეს „მხეცები" ქმნიან უღმერთო იმპერიას, ხოცავენ მორწმუნეებს და მხოლოდ შუბლზე და მარჯვენა ხელზე მხეცის ნიშნის მიმღებთ ეძლევათ „ყიდვა–გაყიდვის" უფლება (იოანეს გამოცხადება 13,16, 17) (11,507).

მხეცის ნიშნის ქვეშ იგულისხმება პარტიულობა, რადგან მხოლოდ ისინი ითვლებოდნენ ქვეყნის მესაჭეებად და მხოლოდ მათ ჰქონდათ ქვეყნის სიკეთეებით სარგებლობის ნება.

რევოლუცია უგუნურ ძალმომრეობად გაიაზრება გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში", მისი მახასიათებელია გავეშებული ბრბოს მიერ გატყავებული თეთრი ცხენი (12,13-14).

„ჯაყოს ხიზნებში" ვეფხვად სახელდებული რევოლუციის გამარჯვებამ თეიმურაზის სიცოცხლე კისერზე ჩამოკიდებულ ლეკვის აყროლებულ ლეშს დაამსგავსა.

ხელისუფლების დაქირავებული კრიტიკოსები მწერალს და მის პერსონაჟს ამუნათებდნენ რევოლუციის მიუღებლობაში. მხოლოდ ივანე გომართელმა გაუსვა ხაზი ამ მოვლენის გამანადგურებელ ძალას: „რევოლუცია ანადგურებს თეიმურაზსაც, იმის თეორიასაც. მთელი მისი ცხოვრება რევოლუციის ხანაში განა ჩაძაღლება არ არის?" ამ მოსაზრებაზე მიხეილ ჯავახიშვილს მიუწერია: „მართალია" (ივანე გომართელი, „ჯაყოს ხიზნები" და ჩვენი ცხოვრება", ჟურნ. „ახალი გზა", 1925წ. №17, გვ. 51-52).

რომანში ვლინდება მწერლის ეროვნული იდეოლოგია, ამასთან, უმთავრესია უცხოსთან დამოკიდებულების პრობლემა.

ჩრდილოეთის ყინულოვანი, მონსტრი თავის მტერ–მოყვრულ პოლიტიკას გვახვევდა თავს, „გაიძვერა მოყვარე" ულტიმატუმების ენით გველაპარაკებოდა და თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე ფიქრსაც კი გვიკრძალავდა. რომანში ორი ეროვნების უცხოელებია: იმპერიული რუსეთი და მის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ამხედრებული გადამთიელები, რომელთაც ინტელიგენციის დაუკითხავად მიზანმიმართულად, ვერაგული განზრახვით მიეცათ ძირძველ ქართულ მიწაზე ავტონომია 1922 წელს. ეს ავტონომია ისეთი შორსგამიზნული ნაღმი იყო, რომელიც ნახევარი საუკუნის მერე აფეთქდა და უზარმაზარი სუფთა ქართული რეგიონი მოგვწყვიტა.

ჯაყოს ოსობა მწერალს ორნაირ პრობლემას უქმნიდა. ხელისუფლება თავზე ხელს უსვამდა, სასათბურე პირობებში ამყოფებდა ჩვენს მიწაზე შემოხეტებულ გადამთიელებს სტალინის მეთაურობით, ეროვნული უფლებების დაცვის ნებას არ იძლეოდა, პირიქით, ქართველებში ეძებდა შოვინიზმს და საკუთარზე ზრუნვას უცხოთმოძულეობად აცხადებდა...

ეროვნული განწყობილების თანამემამულეები ქართული ღირსების შელახვად მიიჩნევდნენ ოსი ჯაყოს მიერ ქართველი თავადის მამულის, სახლ–კარის მითვისებას, მისი წიგნების განადგურებას, ცინიკურ დამოკიდებულებას კულტურისადმი. ისინი მწერალს საყვედურობდენ.

ეწყობოდა „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟთა გასამართლებები. ნიკა აგიაშვილი წერდა: „დისპუტს დავესწარი. საზოგადოება აღშფოთებული იყო ამ რომანით. ერთმა უთხრა მიხეილს: რაღა ოსი დაგვასვი თავზეო. მიხეილი ადგა და უპასუხა: „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა ხელისუფლებამ დამაწერინა“ (1,48).

მაგრამ მწერალს ლამის პოლიტიკურ დანაშაულად ჩაუთვალეს ჯაყოს ოსობა და ისიც თავი ისართლებდა: „ჯაყოს ოსობა შემთხვევითი ამბავია. ცოცხალი ვნახე და ავწერე. არავითარი ეროვნული სარჩული ჯაყოს ოსობას არა ჰგავს. ოსებს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ამჟამად სადავო და გასაყოფი არაფერი გვაქვს“ (6,69).

მაგრამ დავით კასრაძესთან საუბარში მწერალი გულწრფელად წუხდა საქვეყნო სატკივარზე და აღნიშნავდა, რომ ჯაყო გამოგონილი ტიპი სრულიადაც არ იყო, რომ ქურთასა და თამარაშენში მრავალი ჯაყო ეგულებოდა. „გამოგონილ ტიპებად მიაჩნდათ ჩემი გმირები, მაგრამ შენც ხომ ხარ მოწმე, განა ქურთაში და თამარაშენში ცოტა ჯაყო მოიპოვებდა? მთელი სამაჩაბლო ლიახვის პირამდე ჯაყოებს ეპყრათ ხელში... გადაჭარბება მხატვრული ხერხია. ბევრნი მაგინებენ, თუ გინდა ძველებურად მიგიღოთ, შენი შემოქმედებიდან „ჯაყო“ ამოშალეო. თუ მართლა ასეა კითხვა დაყენებული, მაშინ მე ყველაფერს დავთმობ, მაგრამ „ჯაყოს“ და „თეთრ საყელოს“ ვერავინ გამამეტებინებს“ (დავით კასრაძე, ლაპარაკობს ჯავახიშვილი) (4,186).

1937 წლის 17 აგვისტოს მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე დ. დემეტრაძის მოხსენებაში მთავარ ბრალდებად გაჟღერდა ჯაყოს თითქოსდა დამახინჯებული, არარეალისტური სახის შექმნა: „ჯაყო მწერალმა წარმოგვიდგინა ისეთ ძალად, რომელიც თითქოს წინ წამოსწია და განახლებული ცხოვრების საჭესთან დააყენა პროლეტარულმა რევოლუციამ... ეს საზიზღარი ცილისწამებაა პროლეტარული რევოლუციის მამოძრავებელ ძალებზე“...

მიხეილ ჯავახიშვილი გამოაცხადეს, „კონტრევოლულციური კლასების ლიტერატურული აგენტად“, „ცილისმწამებლური პასკვილი“ ეწოდა მის „დამპატიჟეს“ (1,325-328).

უცხოსთან დამოკიდებულება მარადიული პრობლემაა და მასზე მრავალგზის არის ბიბლიაში ყურადღება გამახვილებული.

ბიბლია გვმოძღვრავს: „ნუ მისცემ სხვას დიდებას შენსას და ნურც შენს სარგებელს – უცხო ხალხს“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 4,3)

„გადაშენდნენ იუდას მეფეები, რადგან სხვებს მისცეს თავიანთი რქა და უცხო ტომებს თავიანთი დიდება“ (სიბრძნე ზირაქისა, 49,45) (13,70).

ისრაელისთვის უბედურების მომტანია „ხალხი ურიცხვი და უცხოენოვანი, რომელთაც არც მოხუცებულის რიდი აქვთ და არც ყრმის სიბრალული“ (ბარუქი, 4,15) (13,191).

დავით წინასწარმეტყველი ევედრებოდა ღმერთს: „უფალო, მიხსენი და გადამარჩინე მრავალ წყალთაგან, უცხო ტომთა ხელიდან–რომელთა ბაგენი ტყუილს ლაპარაკობენ და რომელთა მარჯვენა სიცრუის მარჯვენაა“ (ფს. 145, 7,8).

იერემია წინასწარმეტყველი მოგვიწოდებდა: „ნუ მისდევთ უცხო ღმერთებს სამსახურებლად და თაყვანისცემად“ (იერემია, 25,6) (13,148).

დავით წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: „როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?“ (ფს. 137,4).

მეოცე საუკუნის ოციანი წლების საქართველოში ძალზე მწვავედ იდგა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების პრობლემა, რადგან ბოლშევიზმისთვის მთავარი იყო არა მშობლიური ძირების გაფრთხილება, არამედ ერების აღრევა და ურწმუნოების დანერგვა.

ის, რაც აწუხებდა მიხეილ ჯავახიშვილს, საერთო–სახელმწიფოებრივი სატკივარი იყო.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „კარგა ხანია, რაც ტფილისი ბაბილონად არის გადაქცეული. ვინ არ მოიყარა დღეს თავი ტფილისში? სპეკულანტი, შარლატანი, შავრაზმელი, ქურდი, დიდ რუსეთზე მეოცნებენი, უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი ქართველთმოძულენი“(14,2).

სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ გაამძაფრა ჩვენში ეროვნული პრობლემა: „საქართველოში საბჭოთა სისტემის დამყარებას მოჰყვა ჩვენში უცხო ელემენტების გაძლიერება. ყველა ხელმძღვანელ ორგანოებში უცხოელებია გაბატონებული. აშკარაა რუსიფიკატორული მიზნები, ქართული კულტურის, ენის დაჩაგვრა...

ჩვენ არც უცხო კულტურის წინააღმდეგი ვართ, არც მისი გავლენის გვეშინია ნორმალურ პირობებში“ (ომეგა – პარმენ ჭანიშვილი, „პროლეტარული კულტურა თუ რუსიფიკაცია“) (15,3).

იგივე ავტორი გვამცნობდა უცხო ელემენტების მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა–დამონებას: „სახელმწიფო დაწესებულებებში გაბატონებული უცხო ელემენტების მეშვეობით საქმის წარმოება უცხო ენაზეა. დაგვიპყრეს და ქვეყანას უცხოელები განაგებენ“ (ომეგა – პარმენ ჭანიშვილი) (16,2).1921 წ. 28 ივნისის გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტში“ ისევ ვერ ფარავდა გულისტკივილს პარმენ ჭანიშვილი: „საქართველოს უცხო ხალხი შემოესია ლტოლვილების სახით. იჭერენ ჩვენს მიწა–წყალს, სახლდებიან ზედ და ისედაც მძიმე ეკონომიკურ პირობებს პირდაპირ აუტანელს ხდიან. მოიშალა ეროვნული ენის მეურნეობა, მოირყა ქართული ოჯახის ფუ-

ძე, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ კმაყოფილდება მიწის ნაკვეთით, სამსახურით, ვერ საუბრობს მშობლიურ ენაზე"...

წერილში „საქართველო ქართველებს" კატეგორიული ტონით წერდა მეპრესე: „არა, ჩვენ არ გვინდა საქართველო ისეთი სასტუმრო იყოს, სადაც ყოველ გამვლელ–გამომვლელს შეეძლება მოსძოვოს და გაერთოს, ან თუ მოეწონება, აქ დარჩეს" (17,2).

ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, კიროვის, ჩიჩერინის თაოსნობით დაემხო საქართველოს დემოკრატიული მთავრობა 1921 წ. 25 თებერვალს.

მიზანმიმართულად, ინტელიგენციის დაუკითხავად შეიქმნა მოულოდნელად სამხრეთ ოსეთის ოლქი ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსახლებული ოსებისგან 1922 წელს, რასაც ენინააღმდეგებოდნენ ეროვნულად განწყობილი ქართველები, მაგრამ მათ მოსაზრებებს არავინ ითვალისწინებდა.

ბუნებრივია, სტალინის მიერ იყო გალაღებული და წაქეზებული ოსები. მათი სეპარატიზმი, ქართველთმოძულეობა სწორედ რევოლუციის ბელადის გამონათქვამებით იყო ინსპირირებული.

„საქართველოს დაპყრობის ისტორიაში სტალინმა ახალი ფურცლები ჩანერა"... სტალინის მითითებით დახვრიტეს ზესტაფონში 1500 ქართველი 1924 წ. (ვახტანგ ხარჩილავა, სისხიანი ქრონიკები, თბ, 1989, გვ. 91).

ბევრი დაწესებულება პირდაპირ უცხო,გუშინ მოსული უცნობი ელემენტების ხელშია ჩავარდნილი... საქართველოში ქართულ კოლორიტი იკარგება... მეტად გამჭვირვალეა ის წითელი ქსოვილი, რომელსაც ბევრი იფარავს თეთრ, ყვითელ და შავ კანზე, ჩიოდა ვახტანგ კოტეტიშვილი (18,3).

სერგო ამაღლობელი გულისტკივილით წერდა: „დაწესებულებათა გაეროვნება... არც ნაციონალიზმია და არც შოვინიზმი" (19,2).

„ისტორიის უკუღმართობაც ასეთი უნდა: თუ საქართველო გულგრილად არ მოიხსენიე, – რეაქციონერი და შოვინისტი ხარ. სახელმწიფო ენად თუ ქართული ენა მოითხოვე, თავგასაჭეჭყი შავრაზმელი ხარ", რეალურ ვითარებას აფიქსირებდა სერგო ამაღლობელი (რევოლუცია და საქართველო, გაზ. „ტრიბუნა", 1921 წ. 24 სექტემბერი.

სტალინი „ნაციონალიზმის გველეშაპს" ხედავდა საქართველოში და ტუქსავდა ქართულ შოვინიზმს (ტ.5, 209).

„ნაციონალიზმის ვეშაპს ვერასოდეს დაბადებს დამონებული ხალხი. მისი გამჩენია გამარჯვებული სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც თავს ახვევს პროვინციებს თავის წესწყობილებას, კანონებს და კულტურას", პასუხობდა პეტრე მირიანაშვილი.

ჩვენში დამოუკიდებლობის გამოცხადებით აღშფოთებული სტალინი საქართველოს აცხადებდა შოვინისტურ ქვეყნად, რომელიც ჩაგრავდა ოსებს, აფხაზებს, სომხებს.

1923 წელს სტალინი საუბრობდა „ქართული შოვინიზმის არნახულ მაშტაბზე“ (20, 279-280).

თავის მხრივ გამსახურდიამ ასეთ ცილისწამებას სიმართლე დაუპირისპირა: „ისიც შოვინიზმია თქვენის მხრივ, როცა თქვენ ქართულის ნაცვლად რუსული ენა და რუსული კოლორიტი გინდათ გაავრცელოთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის“ („ვინ არის შოვინისტი“) (21,9).

იგივე პრობლემა დღესაც მწვავე და აქტუალურია: „გადამთიელნი... მათ რომ ჰკითხო, თავიანთი მამა–პაპის მიწა–წყალს იბრუნებენ და საქართველოში გამოგონილ, მიკროსახელმწიფოებს ქმნიან“(23,277).

ეს პრობლემა ინსპირირებული იყო სტალინის მიერ (22,91).

„ჩვენს წინ ეთნოკრიზისით დანაღმული დიდი ველი ძევს, საქართველო ხომ ცუდად გაგებული ინტერნაციონალიზმის პოლიგონი და ყველა ერის გზადაბნეულთა საერთო სახლია, ახლაც რომ თვლემს და იძირება მშვიდობიანი დემოგრაფიული დაპყრობის ოკეანეში“ (23,277).

ნოველაში „სად წაიყვან სადაურსა“ ქართული ხელისუფლებისაგან ხელნაკრავი, უცხოს გულში ჩამხუტებული ვაიმეთაურისგან გამწარებული ქართველი ჩივის: „ვაი ჩვენს თავს, რა დღეს მოვსწრებივართ, კაცო? ჩვენს მიწაზე, ჩვენს სახლში გადამთიელი კეტს გვიღერებს და ხმა ვერ ამოგვიღია“ (24,165).

რევაზ მიშველაძე აღშფოთებული იყო, რადგან „ქართველები გერის მდგომარეობაში იყვნენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში“(25,121), რადგან ასე სურდა ჩრდილოეთის ვეშაპს (26,4)

1924 წ. ქართველთა აჯანყების და დამარცხების, ჩვენი ერის დიდი ხნით დათრგუნვის წელი იყო და ამ გაუნელებელმა გულისტკივილმა ასახვა ჰპოვა კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“, ტერენტი გრანელის ლირიკაში („მემენტო მორი“), გალაკტიონ ტაბიძის პოემაში „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“. ამ კოშმარულ დღეებს ეხება შეფარულად, გრ. რობაქიძის „ლამარა“, რომელიც ფიზიკურად დამარცხებული, მაგრამ გენიალური ნიჭით გამორჩეული ერის მიერ იმპერიის გამოწვევად აღიქმებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილს აბრალებდნენ სინამდვილის დამახინჯებას, გამოგონილი ტიპების ასახვას (ვარლამ რუხაძე, „მნათობი“ (27,124)), ამ სიცრუეს კი, მწერალმა ასე უპასუხა: „კომუნისტური გაზეთებიც კი სავსეა ჯაყოსნაირი ტიპებით და ამბებით. ეს მწერალი კი....“ (1,49).

ვარლამ რუხაძის უმართებულო შენიშვნებისთვის რომანისტს მიუწერია: „... სადა ცხოვრობთ ამხანაგო? ვინ მომცა ნება, რომ დღევანდელი ყოფა–ცხოვრება ისე ავწერო, როგორც ვხედავ და მესმის?“ (1,49).

იგივე კრიტიკოსი ბრალს სდებდა წიგნის ავტორს, რომ მან ჯაყოზე გაცვალა თეიმურაზი, ამ შენიშვნის პასუხად მწერალს მიუწერია: „ვინ გაცვალა, მე თუ რევოლუციამ?“

ასევე, ვ. რუხაძე გაოცებას გამოთქვამდა, რომ ნახუცარი ივანეს განახლებაც კი ირწმუნა მწერალმა, ხოლო თეიმურაზისა არა, რაზედაც მწერალს შეუნიშნავს: „ვერ გამოიცანი?“ (1,51).

1925 წ. ჟურნალ „ახალ გზაში“ (№ 17) დაიბეჭდა ივანე გომართელის წერილი სათაურით: „ჯაყოს ხიზნები და ჩვენი ცხოვრება“, რომელშიც ნათქვამია: „რევოლუცია ანადგურებს თეიმურაზსაც, იმის თეორიასაც, მთელი მისი ცხოვრება რევოლუციის ხანაში განა ჩაძაღლება არ არის?“ მიხეილს მიუწერია „მართალია!“ (1,51-52).

თეიმურაზსაც ის პრობლემა აწვალებდა, რაც რომანის ავტორს: „გაჰხედე დღევანდელ ქართლს, უწინდელი ქართლის მეოთხედაც აღარ არის ... ვინ არ გადმოიარა იმის ზურგზე. საწყალი, მთელი ქვეყნისთვის შარაგზად გადაიქცა. როცა ქართლი ძლიერი იყო, საქართველოც ძლიერი იყო. ქართლი დაეცა და საქართველოც დასუსტდა (ჯაყოს ხიზნები) (28, 236).

მერე ჩრდილოეთის ყინულის სუსხით და სიბნელით მიგვანიშნა მწერალმა მთავარ სათქმელზე, ანუ ჩვენი უბედურების ადრესატზე: „მტკვრის ხეობა უკვე ჩაბნელებული იყო. ჩრდილოეთიდან ყინულის სუსხი მოდიოდა“ (ჯაყოს ხიზნები) (28,238).

ჩრდილოეთის ყინულზე, თოვლზე, ავდარზე, უამინდობაზე, ფიფქით მტრობაზე, ყინულიან გულზე, „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯ ყინულზე“, „მწუხარე თოვლზე“, „არაწმინდა თოვლზე“ მთელი ციკლი შექმნა გალაკტიონ ტაბიძემ.

ინტელიგენტი თეიმურაზ ხევისთავი წიგნებით იცნობდა ცხოვრებას, იგი საკუთარმა უხერხემლობამ, სიბეცემ, გადაჭარბებულმა სიკეთემ და სიფხიზლის მოდუნებამ დაღუპა. მან არ იცოდა, რა დიდი თავხედობა ახასიათებს უვიცობას, სირეგვენეს, უსინდისობას, სიხარბეს. მისი უნიათობის, უპრინციპობის შემყურე ივანე ეუბნება თეიმურაზს: „ნეტა ვიცოდე, რას იზამდი, რომ ხელისუფლება შენ ჩაგივარდეს ხელში? ყველა კარებს გააღებდი და ქართველ ხალხს უცხოტომელებს ყმებად დაუყენებდი. ზოგს უცხო ერს ძალიან ემტერები, მაგრამ შენც ძალაუნებურად მათი ერთგული მონა გახდებოდი“ (ჯაყოს ხიზნები) (28,268).

ქართული სალიტერატურო კრიტიკა ბრალს სდებს ინტელიგენციას (თვით თეიმურაზიც), რომ ვერ უპატრონა ერს, მაგრამ დავიწყებულია მოპირისპირე, დამპყრობი ქვეყნის ძალა, მისი დამქა-

შები, შინაური ხელშემწყობნი, სინამდვილეში 20-იან წლებში ძალიან აიმაღლა ინტელიგენციამ ხმა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ უთანასწორო ომში იგი დამარცხდა.

როგორც რომანის ავტორი ამბობს, თეიმურაზი „რევოლუციის საქაჯავის ქვეშ გაჩანჩურდა“, დრომ, რევოლუციამ ის ჯაყოზე გაცვალა, ჯაყოების მოვლინება კი მოჰყვა ევოლუციას.

ჯაყოს სახე გაიგივებულია ბოლშევიზმთან: „ჯაყო ბოლშევიკია იმდენად, რამდენადაც ბოლშევიზმი მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისებმა აჯობონ უკეთესებს და უვარგისებმა მართონ უკეთესები“ (შალვა ამირეჯიბი, „ჯაყოს ხიზნები“, ქართული მწერლობა, 1990, №2 გვ. 40).

როცა გულუბრყვილო თეიმურაზი მშრალზე დატოვა გაიძვერა ხიზანმა, იგი თითქოს გონს მოეგო და ჯაყო ამხილა: „შენ ჩემი მოჯამაგირე იყავი. მთიდან ჩამოსული უცხო ვინმე ხარ“ (28, 360).

ცენტრიდან, ჩრდილოეთიდან ნაკარნახევი პოლიტიკით, უპირველესად, ადგილობრივი, მოწინავე, სიმართლისმოყვარე ინტელიგენტია უნდა გამხდარიყო უცხო თავის სამშობლოში: „მეც ემიგრანტი ვარ, ემიგრანტი ჩემსავე ქვეყანაში, უცხოელი ჩემსავე მოძმეთა შორის“.

ასევე თეიმურაზი აკრიტიკებდა „უცხოთა წაბაძვის ნიჭს“.

რომანში აქტუალურია სნორედ გადამთიელთან, უცხოსთან მიმართების პრობლემა.

მიხეილ ჯავახიშვილისთვის ეს დილემა საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო: „მე არ მესმის, რად უნდა მივცე უპირატესობა უცხოს, ვინემ არსებულს–თუნდაც ოდნავ მიძინებულს“ (უბის წიგნაკიდან).

თეიმურაზი „ბედი მდევარზე“ ამყარებს იმედებს, რომელიც დასჯის უსინდისო ჯაყოს.

ჯაყოს მტაცებლური ბუნების ხელშემწყობი პირობები იყო 1922 წელს, სრულიად მოულოდნელად, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დაუკითხავად, ქართულ მიწაზე ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ოსებისაგან ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, ფრთებს ასხამდა ოსურ სეპარატიზმს.

სამწუხაროდ, რევოლუციამ სათავეში ჯაყოსნაირი მოძალადეები მოიყვანა, ეს მართლაც მართალი სარკე, დაუდგა წინ მედროვეებს მწერალმა და, ბუნებრივია, ყოველი დაქირავებული კრიტიკოსი და ხელისუფალი, რომელიც ამ მხეცში თავის თავს ხედავდა, უპირველესად აქცენტს იმაზე აკეთებდა, თითქოს მიხეილმა სინამდვილე დაამახინჯა ჯაყოს გამოყვანით. „...ჯაყო მწერალმა წარმოგვიდგინა ისეთ ძალად, რომელიც თითქოს წინ წამოსწია და განახლებული ცხოვრების საჭესთან დააყენა პროლეტარულმა რევოლუციამ. შეუძლებელია ამაზე შორს წასულიყო გაცოფებული

კლასობრივი მტრის ცინიზმი", განაცხადა 1937 წლის აგვისტოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე დავით დემეტრაძემ, რასაც უყოყმანოდ დაუჭირა მხარი უმრავლესობამ (1, 325-328).

ჯაყო ზოგადი სახეა იმპერიის წაქეზებით მოვლენილი ვერაგი გადამთიელისა, რომელიც თავს ისაწყლებს, ობლად წარმოჩნდება, სინამდვილეში კი მის ნაკვალევს ოსური ჯიშის ლეგიონები მოჰყვებიან და დიდ მადას იჩენენ ძირძველ ქართულ მიწაზე: „წინათ რომ ჯაყო ჯივაშვილს ჰკითხავდნენ, სადაური ხარო, ჯაყო ტაბიკის თითს როკის მთისკენ გაიშვერდა და ეტყოდა: იქაური ხარ, შენი წირიმე. საწყალი ჯაყო ობოლი ხარ, არც ძმა გყავს, არც მამა და არც ბიძა. ჯაყოს მარტო საწყალი ქეშელა გყავს, შენი წირიმე".

ჯაყო და მისი დამქაშები მიზანმიმართულად მოიწვევდნენ საქართველოში და ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ: „მერმე კი, როცა გლეხობას მიწის ციებ–ცხელება აუტყდა, როკის მთაში ჯაყოს ძმებიც აღმოუჩნდნენ და ბიძებიც.

როცა დრო მოვიდა, მთებიდან მოულოდნელად კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი ხუთი ჯივაშვილი ჩამოვარდა. ამოცვივდნენ და ჯაყოს გვერდით ამოუდგნენ" (28,195).

მათი ხელშემწყობი იყო დამუქებული და გაწითლებული საქართველო: „ვარდისფერი საქართველო დამუქდა და გაწითლდა. როკის მთებიდან კიდევ ერთხელ ჩამოგორდნენ ჯაყოს ძმები, კიდევ ერთხელ მიეშველნენ თავიანთ ბალადს, რომელიც ისევ იარაღში ჩაიჭედა, ისევ ურბენდა გარშემო თეიმურაზის სახლ–კარს, ბაღ–ვენახს და ისეთის ხაპი ხმით გაჰკიოდა, რომ მისი მუქარა მთელ სოფელს სწვდებოდა – დედას გიტირებ, დედასა! აბა ახლოს მოხვიდოდე ვინმე! აბა ერთი გამოხვიდოდე, თუ ვაჟკაცი იქნებოდე" (28, 197).

ეშმაკობით, თავხედობით ჯაყომ ხელში ჩაიგდო თეიმურაზის მამული, ნაწილი იყიდა (სხვისი სახელით), ნაწილი იჯარით აიღო, დაისაკუთრა სახლი, განძი, ადგილ–მამული, დროის შესაფერად, ხან მენშევიკის ნიღაბს ირგებდა, ხან ბოლშევიკისას...

რევოლუციისაგან გარიყული და გაბითურებული თეიმურაზი, შიმშილის შიშით დაჩიავებული, თავისსავე მამულში ჯაყოს ხიზნად იქცა. ჯაყომ არ იკმარა მარტო მისი ქონების (ავეჯის, განძის, ფარდების, სურათების) მითვისება, გაანადგურა თეიმურაზის წიგნები, მერე ცოლიც წაართვა ბედოვლათ თავადს.

ხიზნისა და ნამდვილი პატრონის, გადამთიელისა და დამხვდურის ურთიერთობას დიდოსტატურად ამუშავებს ავტორი და იმასაც კი წინასწარმეტყველებს, რომ ჯაყოს ფსიქიკის ადამიანების მოსვლა ქვეყნის სათავეში განადგურებას უქადის ეროვნულობას, რწმენას, სულიერებას, კულტურას, ჩვენს ტრადიციებს. თეი-

მურაზის, საერთოდ შეურიგებელი ინტელიგენციის ცხოვრება ჯოჯოხეთს ემსგავსება: „ჯოჯოხეთი ამ ქვეყნის შემდეგ? თუ ჯოჯოხეთი მართლაც არსებობს, ღმერთი უსასტიკესი არსება ყოფილა“ (5,311).

თეიმურაზი კიცხავს ერის წინამძღოლებს, რომლებმაც ვერ გამოიყენეს ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები: „ახია ჩვენზე, ახი! უძლური ყოველთვის ბრალიანია, ჩვენ თვითონ გავითხარეთ საფლავი“.

ცხოვრებისგან გაარაფრებული თავადი ეჭვით უცქერის საქართველოს მომავალს, ქართულ სულს, ქართულ კულტურას.

მწერლის ცეცხლნაკიდებული და სისხლში ამოვლებელი სულის გმინვას ეპასუხებოდა რომანის მეორე გამოცემის ყდაზე დახატული ორი ძაღლი, რომლებიც ყმუოდნენ. ამის შესახებ მიხეილს უსაყვედურეს და ჰკითხეს, რას უნდა ნიშნავდეს ეს ძაღლები და რისი თქმა სურდა მწერალს. მან ჩანაფიქრი არ გახსნა და თქვა, რომ მარგო ელის თავის განთავისუფლებას და ყმუილი იმას ნიშნავსო, მაგრამ აქ უფრო ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი. უბის წიგნაკში წერია: „ჯაყოს ხიზნები“ დამაწერინა მიმავალმა ქვეყანამ“ (1,44).

თეიმურაზის ტრაგედია ურწმუნოებაა, რომელმაც მას მომავლის იმედი ნაართვა: „წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწამებს, მყოფადი მაშინებს“, ამბობს ხევისთავი. მას „თავში ყინული, გულში შხამი და სულში ხანძარი“ ჩაჰბუდებია, ცხოვრება კი აყროლებული ლეკვის ლეშის სახით ჰკიდია ყელზე, ძაღლის ლეში და არა ჯვარი.

„ჯაყოს ხიზნები“ იყო საქართველოში მოსალოდნელი ტრაგედიების ნინასწარმეტყველება, თვით მისი ოჯახის ხიზნობის, მისი მოსპობის წინაგრძნობა.

გამოითქვა სწორი მოსაზრება, რომ „ამ რეალისტურ რომანში, ყოვლად რეალურ, ყოვლად ყოფითსა თუ ჩვეულებრივ სიტუაციებში, ბევრი რამ უფრო სიმბოლურია, სიმბოლური და მეტაფორულია, გაზღაპრებულობაზე და მეტაფორულობაზე რომ არაფერი ვთქვათ... თუ სხვაგან მეტაფორებსა და სიმბოლოებში, ალეგორიებსა და მითოსურ სიტუაციებში კითხულობენ რეალურ სახეებს, აქ რეალურსა და შიშველ სახეებში, ნატურალისტურობამდე გაშიშვლებულ სახეებში ამოიკითხება პირიქითა, ან თუ გაიაზრება პირიქითა, მეტაფორული და სიმბოლური სურათები გაიაზრება...

ეს დიდი ხელოვნებაა, დიდოსტატობა სწორედ ესაა რეალისტურ რომანში“ (ოთარ ჩხეიძე, ისევ „ჯაყოს ხიზნები“) (29,6).

პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილი აკონკრეტებს, რომ „ჯაყოს ხიზნებში“ ოთხი სახე–სიმბოლოა: 1. მარგო–საქართველო, 2. თეიმურაზი საქართველოს პატრონი ინტელიგენტია 3. ჯაყო–გადამთიელი დამპყრობელი, საქართველოს დამმონებელი, გამთელა-

ვი, შეურაცხმყოფელი 4. ხალხის შვილები – ჯაყოს ამლაგმავები, სიმართლის დამდგენი, ქვეყნის გადამრჩენი ახალგაზრდა გლეხები (ტ. კვანჭილაშვილი, „სიმბოლო– –სახეები ჯაყოს ხიზნებში“) (30,11).

ტარიელ კვანჭილაშვილი წერს: „... მძაფრად არის დახატული საქართველოს მომავლის, ქართველი ერის წინაშე აღმართული საფრთხის მთელი საშინელება „ჯაყოს ხიზნებში“. ვიღაც გადამთიელის, უხეში და ტლანქი, ცბიერი და მუხანათი ძალის შემოვარდნა საქართველოში ქვეყანას გადაშენებით, წალეკვით ემუქრება. ეს ძალა ქართველებს უპირებს მიწა– წყლის, ქონების, ზნეობის, ისტორიის, მამულის, პატივის–ყველაფრის წართმევას ისევე, როგორც ეს თეიმურაზ ხევისთავის მიმართ მოიმოქმედა ვიღაც ჯაყო ჯივაშვილმა... მწერალი მშრომელ ხალხს აფრთხილებს, აფხიზლებს, განგაშს ატეხს, რათა მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აააცილოს“ (31,11).

„მარგოს ჯაყო ჯივაშვილთან ქორწინება უნდა განვიხილოთ, როგორც საქართველოს გადასვლა ახალი პატრონის ხელში... გარემოებათა წყალობით, ამ ინტელიგენციამ საქართველოს დამოუკიდებლობა კი გამოაცხადა, მაგრამ შინაგანი სისუსტითა და შეუკავებლობით კვლავ სხვისი საჯიჯგნი გახდა წითელი რუსეთის, წითელი არმიის ძალით დაპყრობილი საქართველო–მარგო, კვლავ შეურაცხყოფილი, პატივაყრილი აღმოჩნდა“. ყოველივე ეს თეიმურაზისნაირი ინტელიგენციის წყალობით მოხდა.

„თეიმურაზ ხევისთავში ჩვენ ვხედავთ ქართველი ინტელიგენციის სახე–სიმბოლოს, იმ ინტელიგენციისა, რომელსაც საქართველოსთვის უნდა ეპატრონა, მაგრამ თავისი უნიათობისა და უუნარობის გამო ვერ უპატრონა“, ასკვნის ტ. კვანჭილაშვილი (31,11).

„ჯაყოს ხიზნების“ 1924 წ. გამოცემაზე გამოსახულ ორი აყმუვლებულ ძაღლთან დაკავშირებით მწერლის განაცხადი, რომ „მარგო ელის თავის განთავისუფლებას და ყმუილი იმას ნიშნავსო“, კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის, ბოლო ხანებში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მარგო მართლაც საქართველოს სიმბოლოა, ჯაყოს–რუსული ბოლშევიკური მონსტრის მიერ ტყვექმნილი ჩვენი სამშობლო, როგორც აცხადებდა შალვა ამირეჯიბი.

მარგო არის ასევე სიმბოლო „ორიათასწლოვანი ქართული კულტურისა“: „ჯავახიშვილმა ორიათასწლოვანი ქართული კულტურა მარგოს სახით ჯაყოს მიუგდო“ (შალვა ამირეჯიბი, „ჯაყოს ხიზნები“) (36,2).

„ჯაყოს ხიზნების“ ალეგორიულობა – სიმბოლურობაზე, მეტაფორულობასა და სატირულობაზე მიუთითებს თამაზ ვასაძე: „ჯაყოს ხიზნები“ არის ალეგორიულ სახეებზე აგებული ნაწარმოები“...

„ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები–უწინარესად, თეიმურაზი, იდეა– ხასიათები არიან და სწორედ ამის გამოა, ამის წყალობითაა, რომ თვითონ მათაც და მთლიანად ნაწარმოებსაც სიმბოლური განზომილება, სიმბოლური გამომხატველობა ენიჭება.

„თეიმურაზ ხევისთავის პიროვნული თვისებები... მისი ინდივიდუალობა და ხასიათი მისივე მსოფლმხედველობის ერთგვარი მეტაფორაა, სატირული მეტაფორა“ (თ. ვასაძე, იდეა და სახე) (32,5).

გიორგი მერკვილაძე ასე აზუსტებს რომანის სათქმელს: „მ. ჯავახიშვილს ეროვნულ სამყაროში ცბიერი გზით შემოსული უცხო მოძალადის პრობლემა აწუხებს. რუსული ბოლშევიზმის ალეგორიაა ჯაყო. „ჯაყოს ხიზნები“ უპირველესად, გაფრთხილების ზარია, მშობელ მიწას მოუარეთ, სხვა ძალამ არ წაგგლიჯოთო“ (რექვიემი მიხეილ ჯავახიშვილისა) (33,159).

რევაზ მიშველაძე ორგანულ კავშირს ხედავს რომანში ნანინასწარმეტყველებ მოვლენასა და სამაჩაბლოს დაკარგვას შორის: „ნუ დაისვამ თავზე უცხოტომელს. ნუ მისცემ შენს მიწას საჯიჯგნად გადამთიელს, თორემ იგი ადრე თუ გვიან შენსავე მამულში ხიზნად გაქცევს – გაგვაფრთხილა 20-იან წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა. დღეს კი, როდესაც სტუმარმა ხალხებმა საქართველოს ტერიტორიის მესამედი მიიტაცეს და ჩვენ ჩვენი სიმართლე მსოფლიოსთვის ვერ მიგვიწვდენია, სინანულით ვიგონებთ 70წ. წინათ ნათქვამ ამ მწარე სიმართლეს“ (34,175).

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ალეგორიულად ნათქვამ დიდ ეროვნულ გულისტკივილზე საუბრობს: „მარგოს საქართველოს ალეგორიად მიიჩნევენ. გადამთიელ ჯაყოს მიერ მარგოს დაპატრონება განზოგადებად, შეიძლება მომავალ თაობათა საგანგაშო გაფრთილებად იქნეს გაგებული. ჩვენს ძვირფას საუნჯეს უცხო და მოძალადე რომ არ დაეპატრონოს, ხევისთავობის სენით ნუ დავუძლურდებით და გადამთიელს თავზე ნუ დავისვამთ“ (35,94).

მიხეილ ჯავახიშვილის სწორი პოლიტიკური შეხედულებები გადმოცემულია მის პუბლიცისტურ წერილებშიც.

წინასწარმეტყველურია 1918 წ. 11 იანვარს გაზ. „საქართველოში“ დაბეჭდილი წერილი სათაურით – „ჩვენი დამფუძნებელი კრებისათვის“, რომელშიც განჭვრეტილია სხვის „პატრონობას“ შეჩვეული ერის ხვედრი, რომელიც დახმარების ნაცვლად უბედურებას უნდა ელოდეს: „... სხვის პატრონობას შეჩვეულნი ეხლაც ჩრდილოეთიდან მოველით შველას. ვერ შევაფასეთ ის ცხადი სინამდვილე, რომ პატრონი აღარ გვყავს, რომ ჩრდილოეთიდან, ნაცვლად დახმარებისა და წესრიგისა, აუცილებლად გვეწვევა ღვთის რისხვა–რეაქცია და ანარქია...

„...გვეყო მოსკოვ–პეტროგრადში გაცხრილული ევროპული კულტურით კვება, რომელსაც უფრო მეტი მონღოლური შხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელი“.

მ. ჯავახიშვილის „მონღოლურ შხამთან“ გვახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას „მონღოლური საფრთხის“ ხსენება „დიონისის ღიმილში“.

1918 წ. 10 მარტიდან თურქებმა ჯარების შემოყვანა დაიწყეს აჭარაში, 15 აპრილს კი მტერმა ბათუმი აიღო.

მიხეილ ჯავახიშვილმა ამ საკითხს უძღვნა წერილები: „კარები ჩავკეტოთ!“ „საქართველოს კარებები“, „საქართველოს საზღვრები“, „ისევ საქართველოს საზღვრებისთვის“, „ოსმალეთ–საქართველოს ურთიერთობისათვის“. „შეერთებული ძალ–ღონით“.

„ბათუმი და ქობულეთი, აჭარა და არტაანი, ჯავახეთი და ახალციხე ჩვენი სხეულიდან ამოჭრილი ასოებია, რომელნიც აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდეს“, წერდა მწერალი გაზ. „საქართველოში“ (37,2).

„ჯაყოს ხიზნების“ ავტორს აწუხებდა მეზობელ ქვეყნებთან საზღვრების დადგენის პრობლემა, რომელიც მოშალა რუსეთმა. იგი ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიულ საკითხებზე უთანხმოებას: „ისტორიულად დამკვიდრებული მიჯნების მოშლა ალაყაფის კარებს გაუხსნის ყველას, ვინც კი მოისურვებს ჩვენს მამულში შემოსვლას. ხოლო მოსურნე ჩვენს სახლში შემოსვლისა ათასია. ამის შეჩერება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მეორე კანონით: „უხეში ძალითა და იარაღით“ (იქვე).

შინაური მტრები –სოციალ–დემოკრატები ვერ იცავდნენ ქართულ მიწებს.

მწერალი აღშფოთებას ვერ მალავდა: „ჩვენი წინაპრების მიზანი იყო შეენახათ... საზღვრები, ჩაეკეტათ მისი კარები და გზები... ჩვენი წინაპრების ცეცხლითა და მახვილით მოპოვებულს სოციალისტები ნებაყოფლობით ფანტავენ“ (38,3).

გულისტკივილით სავსეა სტრიქონები: „... თუ ერი ერობს, თუ იგი არ დალაჩრებულა და არ გადიაცებულა, იგი თავის მოდუნებულ ბელადებს თავის სოროში არ შეჰყვება, მაგრამ თუ იმედი გაგვიცრუვდა, ...ისღა დაგვრჩენია, რომ ეხლავე ვიგლოვოთ ჩვენი მომავალი მწარე ბედი“.

მწერალი სომხეთის აღდგენაში საქართველოს მოშლილი ზღუდეების გამაგრების საფუძველს ეძებდა, მაგრამ კატეგორიულად აღნიშნავდა, რომ ეს „საქართველოს ხარჯზე, ქართული მიწების მიტაცების გზით არ უნდა მომხდარიყო“ (39,4).

ახდა მწერლის წინასწარი ჭვრეტა, „დიდი სომხეთის შექმნის მოსურნე სომხებმა დააპირეს ბორჩალოს დიდი ნაწილის, არტაანისა და ოლთისის, თორთუმ–ისპირისა და ლაზისტანის მითვისება,

იარაღით მოინდომეს ჯავახეთ–ბორჩალოს დასაკუთრება და ნაწილობრივ აიხდინეს სურვილი. ლორე გამოგვგლიჯეს და უცხო ძალას გადასცეს. უცხოეთშიც ამაზე მუშაობდნენ. მათმა დიპლომატიამ მიაძინა ჩვენების გულისყური" (40,3).

დღეს უკვე დოკუმენტების საფუძველზე დადასტურებულია, რომ სომხების თხოვნას ლორეს ოლქის გადაცემაზე დასტური სტალინმა მისცა 1921 წლის ივლისს (ჯაბა სამუშია, როგორ გადასცა სტალინმა ლორე სომხებს, ჟურნალი, ისტორიანი", 2011წ. ივნისი, №6, გვ. 5-18).

მიხეილ ჯავახიშვილი „დიდი მადისა და შავი გულის ხალხად" მოიხსენიებს სომხებს და აღნიშნავს, რომ ისინი სოჭში იარაღით ესხმიან თავს ჩვენებს, მესხეთში კი ოსმალებს ევაჭრებიან, ჯავახეთში პრეტენზიას აცხადებენ ბორჩალო–ჯავახეთზე.

ასევე აქტიურად ერეოდნენ სომეხი ნაციონალისტები აფხაზურ პრობლემებში. მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილი აქცენტს მაინც ორი ხალხის მეგობრობაზე აკეთებდა და „ავი სულის პოლიტიკას" ამხელდა (41,6).

მწერალი აკრიტიკებდა ჩვენში მიღებულ „გრძნობის პოლიტიკას", რომელსაც „ბრმას და ყრუს" უწოდებდა (იქვე).

მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა პატრიოტი ინტელიგენტების პოზიცია აღაშფოთებდა სტალინს. მისთვის მიუღებელი იყო ეროვნული ნიშნით გაერთიანება, ის ქადაგებდა ეროვნული „ტიხრების" სრულ და უნაპირო დანგრევას, ინტერნაციონალიზმის გზით რუსეთის ყველა ეროვნების მუშების შეკავშირებას ერთიან პარტიად (42,392).

სტალინი ავრცელებდა მოსაზრებას, რომ ქართველი ამიერკავკასიელები ოსების ასიმილაციას ახდენდნენ.

იწონებდა აფხაზეთის ერთსულოვან „აჯანყებას თბილისის მთავრობის შავი ბანდების წინააღმდეგ", იარაღით დაპირისპირებას ქართველებთან და „გმირ აფხაზეთს" პატივისცემით მოიხსენებდა.

საქართველო გამოჰყავდა შოვინისტად, ოსების, აფხაზების, სომხების მჩაგვრელად. სტალინი „სასაზღვრო კორდონების შესახებ ველურ დეკრეტებს" უწოდებდა ქართველთა სურვილს საკუთარი საზღვრების დაცვის შესახებ (ტ. 5, 279-280).

თეიმურაზი წყევლიდა თავის გაჩენის დღეს და გამჩენსაც, აწმყოს და წარსულსაც, მომავალს და იმედსაც, ამ ქვეყანასაც და ზეციურს (28,269).თეიმურაზს თვალებზე შავი ბინდი, გულში – შავი ნაღველი და სულშიც „შავი ბურუსი" აწუხებდა (28,267).

ივანე ეუბნებოდა თეიმურაზს, „ნამდვილი ქართული კალამი გქონდაო."

თეიმურაზი კი ხვდებოდა, რომ გოლგოთაზე ამ კალამმა და სიმართლემ აიყვანა: „ქართული კ... კალამი, ორეულია გოლგოთას ჯვრის, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს. იმ კალმითაც ისე ინგრეოდა ძველი ქვეყანა, როგორც ჰინდენბურგი ზარბაზნებით“ (28,285).

ხევისთავს აწამებდა ცოდნისა და რწმენის დაცილება, წინააღმდეგობა გულსა და გონებას შორის: „... ვერ ავიწიე მიწიდან. წიგნმა მომტაცა რწმენის სული და მეცნიერებამ დამწყვიტა უფლისადმდე ასაფრენი ფრთები. ცოდნისა და იჭვის ჭიამ ისე დამიღრღნა გონება და გამომიფიტა სული, რომ ნივთიერ ქვეყანას ერთი გოჯითაც ვერ მოვსწყდი. ცოდნა და რწმენა ვერ მოვარიგე, ერთად ვერ შევად...დუღე და ვერც ერთმანეთს დავაშორე, რწმენისა და ურწმუნოების ორლობეში გავეჩხირე და ვერც რწმენის სათავესთან გავედი, ვეღარც უკან დავბრუნდი. გონება ურწმუნოებისკენ მიმიწევს, გული ღმერთისკენ“ (28,287).

ეს გრძნობა მოაზროვნეთა თვისებაა. „ჭკუამ მოჰკვეთა ფრთა ჩემს ჭაბუკ დღის დღის ლაღ გრძნობასა“, წუხდა ილია ჭავჭავაძე, მაგრამ „მეცნიერების გასარწმუნეობასა“ და „რელიგიის გამეცნიერების“ იდეალს მაინც მიუახლოვდა ერის მამა.

წარსული გაიხსენა თეიმურაზმა, დედასთან ერთად ტაძრისკენ აღდგომა დღეს რწმენით სვლა და იგრძნო, როგორ შეიცვალა მთელი მისი არსება: „ჰგრძნობს, რომ იმის ნაგვემ გულში სული წმინდა ჩაფრინდა, ... თეიმურაზი მოსწყდა ცოდვილ ქვეყანას და მისწვდა ზეციურ მამას, რომელსაც კარგა ხანია ეძებდა და მოუწოდებდა“ (28,337).

რომანში მწერლის თანამედროვეობა დახასიათებულია ნეგატიურად. ეს არის ურწმუნო ეპოქა, როცა წაშლილია ეკლესიისკენ მიმავალი გზა: „იმ ეკლესიის ფართე გზა ჯერ გაბილიკებულიყო, მერმე ისიც წაშლილიყო, აბალახებულიყო და ნარ–ეკლით მოდებულიყო“ (28,317).

თეიმურაზი ამბობს: „რკინის დროებაში ვცხოვრობთ... გული და სიყვარული მოკვდა“ (28, 243-244).

ურწმუნო ეპოქამ უარი თქვა სიყვარულზე, სიწმინდეზე, ხოლო „სადაც სარწმუნოება არ არის, იქ ხომ არც სიყვარულია“ (28,245).

„მხოლოდ სულით და რწმენით განირჩევა ადამიანი პირუტყვისაგან“... (28,287).

„ჩემს გულში ღმერთის მაგივრად ჯერჯერობით გველებმა და ბაყაყებმა დაიბუდეს“ (28,284), წუხს თეიმურაზ ხევისთავი.

იმ დროის მრავალმა მწერალმა აღიქვა ცხოვრება ჯოჯოხეთად. შემთხვევით როდი ჩაიყვანა ჯოჯოხეთში კ. გამსახურდიამ სავარსამიძე (დიონისის ღიმილი).

„...ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“, – გვიმხელდა თავის გაუძლის ყოფას გალაკტიონი (43,122).

„შერისხული, გაძარცული“, წამებული იყო ტერენტი გრანელი, რომელიც თავს გრძნობდა სამარეში, უფსკრულში (ვედრება, ახლა ეს გრძნობა) (44,45,80).

„ჯ...ჯოჯოხეთი ამ ქვეყნის შემდეგ? თუ, ჯოჯოხეთი მართლა არსებობს, მაშ შენი ღმერთი უსასტიკესი არსება ყოფილა“ (28,287), ჰგოდებს თეიმურაზი.

„...ნარსულმა მომატყუა, აწმყო მაწამებს, მყობადი მაშინებს“ (28,288).

„...სიცოცხლე ძაღლის მძორივით მკიდია კისერზე და ის მძორი ვერ იქმნა, ვერ ჩამოვიშორე კისრიდან, ასეთია, ჩემი სიცოცხლე (28,341).

„...ეს ჩიტები, ეს ძაღლი, კამეჩი და ღორიც ჩემზე ათასწილ ბედნიერნი არიან“ (28,343)., ასე სულგაშავებულია ხევისთავი.

თეიმურაზს აემგზავრა „შიში ბავშვისა, რომელიც დედამ უცხო და ბნელ ქვეყანაში თავის კაბის კალთას ჩამოაშორა და მარტოდ–მარტო დასტოვა“ (28,314).

„მეც ემიგრანტი ვარ, ემიგრანტი ჩემსავე ქვეყანაში, უცხოელი ჩემსავე მოძმეთა შორის“ (28,316), აცხადებდა თეიმურაზი.

ნახუცარი ივანე აკრიტიკებდა ინტელიგენციას: „ინტელიგენცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ დაიცვას ხალხი სენისა და უმეცრებისაგან“.

თეიმურაზი ამხელს სულგაყიდულ ინტელიგენციას: „...ნუ გამახსენებ ქართველ ინტელიგენციას... თუ რამ ავი დაგვემართა, იმ ინტელიგენციის წყალობით გვერგო. თევზი თავიდან აყროლდებაო... ჩვენ სათავეში მოვექეცით ხალხს. ლხინში წინ მივუძღოდით, ჭირში კი კუდში ძლივს მივსდევდით“ (28,264).

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ინტელიგენციის კატეგორიები, არსებობს ხელმწიფის კარის ინტელიგენცია, კრიმინალური, პუტჩისტები, ორსახოვანნი, მედროვენი, თუ ხალხოსნური ქველმოქმედების გზით მავალნი, ერისთვის შეწირულნი, მისთვის მსხვერპლის ბოლომდე გამღებნი.

რომანში დეტალურად არის დახასიათებული ეპოქა.

თეიმურაზი ერთმანეთს დაუპირისპირებს ცოდნას და ძალას, ამხელს განათლებულის ჩამოქვეითებას და გაუნათლებლის დაწინაურებას, მწიგნობართა უძლურებას და უმეცრების წარმატებას, გამძღართა დამშევას და მშიერთა გაძღომას“ (28,297).

თეიმურაზი ამბობს ნაშინდარში, ბაღის კუთხეში აღმართულ საფრთხობელაზე: „ეს საფრთხობელა ნამდვილი ემბლემაა ჩვენი ბედისა“ (28, 219-220).

განსაკუთრებით აღზევებულია მედროვე, მოსყიდული, სხვათა მონობას შეგუებული ინტელიგენცია, რომელიც უცხოთა დიქტატმა უსიტყვო შემსრულებლად, ხოლო პრინციპულნი დევნის, განკიცხვის ობიექტებად აქცია: „მწარე ხვედრი ჰქონია საზოგადო მოღვაწეს, შეუსმენელობა, დაუნდობლობა და უმადურობა, აი მისი ხვედრი“ (28,246).

დროის მახასიათებელი იყო არაპროფესიონალიზმი, სხვისი სკამის ძიება: „დღეს ისეთი დროა, რომ პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, ხოლო მემანქანე აფთიაქში მუშაობს. ერთი მატარებელს ამტვრევს, ხოლო მეორე ხალხსა სწამლავს... ასე სჩადიან სხვები, მე კი სხვის სკამზე ვერ დ... დავჯდები“ (28,246).

„...მე ბავშვს ისეთ რამეს ვერ ვასწავლი, რაც მე თვითონ არა მწამს“ (28,247).

ხალხი ამბობს თეიმურაზზე: „ჰა დედასა! ეგეც კაცი იყო და სცხოვრობდა, ეხლა კი ცხოვრებამ მოზნიქა“ (28,255).

თეიმურაზი ამხელს კანონის სახელით დამკვიდრებულ უკანონობას: „...კანონი ქაღალდზე იწერება, ცხოვრება კი თავის გზით მიდის და წავა“... (28,255).

„...ყველა შრომას გაურბის და მინისტრობას და კომისრობას ეტანება. მთელი საქართველო სამსახურს ეძებს“ (28,261).

ქვეყნად დაწყებული მუშაობა არის „დანგრევის მუშაობა, ერთს რომ ააშენებთ, ორი ინგრევა“ (28,264).

რომანში სულით ცოცხალნი მკვდრად აღიარეს სატანისტებმა, სულით მკვდრები კი ცოცხლებზე გააბატონეს: „დღეს ცოცხლები მკვდრები ვართ, მ...მაგრამ მკვდრები უკვდავნი არიან და ცოცხლებზე ბატონობენ“ (28,288).

ასეთ დროს მოძალადე „ჯაყო მუდმივ იმარჯვებს და წინ მიინევს“ (28,344).

ჯაყო არის „ავაზაკი, მგელკაცი, მხეცი, პირუტყვი (28,381). „ტყიდან გამოვარდნილი ნადირი, უგუნური პირუტყვი“ (28,309).

ულოგიკო დრომ, რევოლუციის მოტანილმა განუკითხაობამ, თავხედობამ, მღვრიე დინებამ უგუნური ჯაყო ცხოვრების სათავეში მოაქცია, კანონის „შემოქმედად“ გახადა: „...აი ჯაყოს ზაკონი და ოდნავ ხანჯალი ამოსწია... ზაკონის დრო აღარა ხარ–მეთქი. წინათ თქვენ სწერდებოდეთ კანონებსა, ეხლა მე გწერ კანონებსა, მენა! ჯაყო გწერს კანონსა, ჯაყო“ (28,339).

ამ ველური მხეცის ძალა მის შეიარაღებაშია და იგი იარაღის ენით ელაპარაკება ხალხს: „ჯაყო თითქო სალაშქროდ მიდიოდა: თხემით–ტერფამდე იარაღში იყო ჩამჯდარი. ზურგზე თოფი ჰქონდა გადაგდებული, თეძოზე – თეიმურაზის პაპისეული ხმალი, მკერდზე – სამი სავაზნე, ხოლო მარცხენა ხელში – მაუზერის რევოლვერი“ (28,328)

ეს ტყიური თეიმურაზს „ნაცარქექიას" უწოდებს.

ჯაყომ „ამ მთიდან მოსულმა უცხო ვინმემ" წაართვა თეიმურაზს სახლ–კარი, ეზო, ბაღი, ვენახები, ველ–მინდვრები, მამაპაპეული განძი, ავეჯი, გაუნადგურა წიგნები, სურათები.

ბოლოს მის ცოლზე იქორწინა და ხევისთავის გვარის მითვისებაც მოინდომა.

როგორ გვაგონებს ეს ათეული წლების მანძილზე გვარგადაკეთებულ გადამთიელთა მოძალებას ჩვენს მიწაზე ისევ ჩვენი ხელშეწყობით და ბედოვლათობით.

ცნობილია, უცხოტომელთა მიერ გვარის გადაკეთება მე–19 საუკუნიდან დაიწყო და ქართული სულიერების შიგნიდან გატეხვის ვერაგულ ზრახვას ემსახურებოდა.

ილია ჭავჭავაძეს ცუდად ენიშნა ეს მოვლენა, გადაკეთებული გვარები თავიდან გადმოაკეთებინა ღამურა დიდგვაროვნებს და ეს პროცესი სამარცხვინოდ იქნა მიჩნეული (ელგუჯა მაღრაძე) (45,6).

თეიმურაზი ჯაყოს ვერაგობას, გადამთიელობას ამხელს: „ჰოი, ჯაყო! ჰოი, აფრიკელო ზულუსო! ბუშმენო! შენი ჯერიც მოვიდა განა. უხილავი სამართალი შენისთანა ავაზაკს ურმით დასდევს მეთქი. დაგვეწია განა!" (28, 381).

მედროვე ჯაყოს 12 შვილიდან მიზანმიმართულად ზოგი მონათლულია, ზოგი არა, ჯავიდან ჩამოხეტებული ნადირი ავთანდილ ხევისთავს შეეხიზნა, ჯერ მენახირე იყო, ძაღლური ერთგულების ნიღაბს ირგებდა, მერე მოურავი გახდა და თეიმურაზის სიბეცით ყველაფერი მიითვისა.

„ჯაყო იყო ახლად შობილი ახალი ჯურის ადამიანი, მხოლოდ მას ჰქონდა დროის შესაფერი კუნთები, ბასრი ბრჭყალები და ფოლადის კბილები. ჯაყოები ამ კლანჭებით და კბილებით უძლურ ჭიაყელებს დაიპყრობენ, აღვირაწყვეტილ მხეცს დაიმორჩილებენ, მოშლილ უფლებას დაისაკუთრებენ, დაფანტულ ქონებას ხელახლად დააგროვებენ, ზარმაცებს აამუშავებენ, მოდუნებულ ძარღვებს გააცოცხლებენ, ახალ წესრიგს შექმნიან და ახალ თანასწორობას, სამუდამო მშვიდობას და კეთილ ცხოვრებას დაამყარებენ, თანაც ყველას გემრიელ ლუკმას გაუჩენენ, ყველას, – ხევისთავსაც კი, რომელშაც ყველაფერი იცის, მაგრამ არაფერი არ ძალუძს"... (28, 298)

ჯაყო კისრის მოგრეხით ემუქრება ყველა პატიოსან ადამიანს, თეიმურაზს კი შესაფერი საქმე და ლუკმა პური გაუჩინა... ჯაყოს დუქანში დახლიდარად გამწესებელს, აი, გაუგონარი ცინიზმი!

„თეიმურაზს ფეხქვეშ დედამინა გაუსკდა და თავზე ცა ჩამოენგრა" (28,299)

განათლებული თეიმურაზი იგონებს რასპუტინს – ბნელ, მურტალ და რეგვენ ციმბირელ მუჟიკს, შავი რუსეთის შევბედს“ – ჭუჭყიანსა და სალოს გრიშკას, მას ჯაყოს შეადარებს.

„რასპუტინიადის რელიგიურსა და მისტიურ ბოდვას სარჩულად ედო ბნელი და მძლეთამძლე სექსი, რომელმაც ამ ქადაგს სეფე ქალებიც კი დაუმორჩილა, ტახტამდე ააგდო და უგვირგვინო მეფედ აქცია.

იხსენებს მარგოს ნათესავ „გიჟ ბაბალეს“, რომელიც თავის მეჯინიბეს ჰყვარობდა, მერე თავის მოურავ ნაზარიანცს, მისი ქმარი კი განათლებული და პატივდებული ელიზბარ ყაფლანიშვილი იყო.

კნეინა ელისაბედ ტაშისკარელმა ათიოდე წარჩინებული საქმრო დაიწუნა, მერე ყასაბს გაჰყვა ცოლად–ყასაბს – სისხლიანს, ქონიანსა და ტურტლიან სალახანას!“

რითი სჯობიან ჯაყო ჯივაშვილს ბნელი გრიშკა რასპუტინი, ქონიანი სალახი და ნეხვიანი მეჯინიბე? – არაფრით, არაფრით“ (28,312).

თეიმურაზი თავისი მტკივნეული კითხვების პასუხს მათეს სახარების VII თავის 15-21 მუხლში პოულობს.

„ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ნუ უკვე შეჰკრიბიან ეკალთაგან ყურძენი, ანუ კუროსთავთაგან ლეღვი?

ესრეთ ყოველმან, ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს.

ვერ ხელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღება და არც ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად.

ყოველმა ხემან, რომელმან არა ჰყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას. ნაყოფთა სამე მათთაგან იცნეთ იგინი.

არა ყოველმან, რომელმან მჰრქვას მე: უფალო! უფალო! შევიდის იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა“ (28, 319).

თეიმურაზი ეკითხება მღვდელს: მითხარ, მამაო, ვითარ შევუფარდო ეს სიტყვა იესოსი დღევანდელ ცხოვრებას?“

მღვდელმა სახარების ერთ ადგილს დაადო ხელი. თეიმურაზმა წაიკითხა:თ.I, მუხლი I: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ (28,319).

სახარებამ უშველა თეიმურაზს და ოდესღაც მორღვეული რწმენა გაიმთელა, კისრიდან ძაღლის მძორი ჩამოიხსნა და წაბილწული გულიდან ყარტლი ამოირეცხა.

აღარც მყრალი ლეშის სუნი სცემს თეიმურაზს, ის დღეც თითქოს განათდა და ქვეყანაც გამხიარულდა" (28, 319).

„ჩემი ურემი გადაბრუნდა, დაიმსხვრა და გზაც ეხლაღა გამოჩნდა. ვხედავ ახალ გზას, ვხედავ!„ (28,322) ამბობს თეიმურაზი. ეს იყო გზა რწმენისა.

ჯაყოს ახალი თაობა თეიმურაზის ქონებას ჩამოართმევს, ნინიკა აფრთხილებს ჯაყოს: „ჯაყო ჭკუით იყავი, თორემ სულაც გაგასახლებთ აქედან."

ჯაყო იმუქრება და თავის დროს ისევ ელის: „დედას გიტირებ, დედასა! დამაცადე ჯაყოსა! ჩემი დროც მოხვალ... დედას გიტირებ მაშინა, დედასა" (28,377).

ჯაყოს გასახლების იდეა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, ინტერნაციონალიზმის იდეა კრძალავდა საზღვრების, ჭიშკრების მოძიებას, გადამთიელის განდევნას, დემოგრაფიული სიწმინდისთვის ზრუნვას, რასაც უდიდესი ადგილი უჭირავს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

ჯაყოს მუქარა მთელი მისი ჯიშის მუქარას მოასწავებდა, მის ვერაგ ზრახვას ზურგს უმაგრებდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, რომელიც ნაქეზებული იყო ისევ ჩვენი თანამემამულისგან.

დრომ გვიჩვენა, რა საშიში ძალა ყოფილა ჯაყო და მის უკან მდგარი ძალმომრეობა. მისი მუქარა მოგვიანებით სისრულეში იქნა მოყვანილი, ისევ ჩვენივე სიბეცით, წინდაუხედაობით.

რაკი ჯაყო თავის ერთან იყო გაიგივებული, მწერალი რომანშიც ვერ გაბედავდა მის გაძევებას, რადგან გადამთიელთა სეპარატისტულ – მტაცებლურ ზრახვებს ზურგს ზევიდან უმაგრებდნენ.

ჯაყო ორმაგი სიმბოლოა, ერთი მხრივ – რუსული ბოლშევიზმის, მეორე მხრივ – ჩვენს მიწაზე თვალებდაპრაწული გადამთიელის, რომელიც დროს ელოდება...

რომანში მწვავედ დგას ეროვნული თვითმყოფობის, გენის სიწმინდის, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

ქართული სულის გადარჩენა, მისი მომავალი ყოველთვის აქტუალური იყო მტერმოძალებული ქვეყნისთვის, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა ამ პრობლემამ მეოცე საუკუნის ოციან წლებში.

ერთი მხრივ გამოვლინდა საქართველოს მომავლისადმი ნიჰილისტური მიდგომა, ამასთან, ოპტიმიზმიც.

ამ სკეპსისის გაქარწყლება სცადეს თავიანთ პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ შემოქმედებაში გრ. რობაქიძემ და კ. გამსახურდიამ.

ლაზარეს აღდგომის რწმენა გამოვლინდა ტ. გრანელის, ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

ჯაყოს ხიზნებში" სრული უიმედობა იგრძნობა ამ ასპექტით.

რასის სინმინდის პრობლემა აწუხებდა კ. გამსახურდიას (ერი თუ რასსა) იგი საუბრობდა ბასტარდ ერზე, მონგოლურ საფრთხეზე („დიონისის ღიმილი").

გრიგოლ რობაქიძე ამავე საკითხს უღრმავდებოდა „გველის პერანგში" და ჯიშის დაკარგვას უბედურებად მიიჩნევდა, მ. ჯავახიშვილი საუბრობდა „მონღოლურ შხამზე" ათისისხლიანი მეტისის უწარსულობაზე და უმომავლობაზე.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელახალმა ოკუპაციამ არაერთ ქართველ მოაზროვნეს გაუჩინა ნიჰილიზმი.

ნიკოლოზ მიწიშვილისა და თეიმურაზ ხევისთავის მოსაზრებები თითქმის ანალოგიურია: „და როცა კვლავ ვუბრუნდები საქართველს, მე მას ვერ ვხედავ... ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული... ხერხემალს ქართლის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოს წარსულში...

საქართველო პასიური მოვლენაა...

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიისა, როცა მას ფეხს აჭერენ)

საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

ნ. მიწიშვილი საუბრობს ქართული ჭკუის, ქართველი არსების სიმჩატეზე, მის „უშვილოსნობასა" და „ბერწობაზე". ქართულ უდღეობაზე (ნ. მიწიშვილი, ფიქრები საქართველოზე) (46,20,22,23).

ს. დანელიას წიგნში „ვაჟა–ფშაველა და ქართული ერი" ასეთი აზრია: „... ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ–ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგეული შენობებ.ი ეს არის ხაზი მხოლოდ წამებისა, აწიოკებისა, რბევისა და ჩაგვრისა... ...ქართველები ისტორიის სუბიექტები კი არ ვიყავით, არამედ ატომებსავით მხოლოდ ობიექტები: საქართველოს იტორიის აგურებით სხვისი ისტორია შენდებოდა.

ვცხოვრობდით დაფანტულად, გათიშულად. ერთი საზოგადო მიზნები არ ჩანდა.

„ქართველებს არ გვქონდა სიტყვა „სინდისი" (ბერძნული სიტყვა), იგი სხვებისგან გვისესხებია. ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება. ისტორიულს ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სინდისი არის დუღაბი, ურომლისოდაც სულში კოშკი არ შენდება. ქართველთა მიერ აშენებული კოშკიც ყოველთვის ინგრეოდა. არ იყო საერთო სული" (47,190-191).

სხვებსაც აწვალებდათ ქართული სულის, ქართული კულტურის პრობლემა და, გარემობათა გამო, ამაზე დადებით პასუხს ვერ

პოულობდნენ: „ქართული ლიტერატურის მრავალ მშვენიერ ნიშნებს წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათი აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ცენტრალიზაცია საშუალო საუკუნეების შემდეგ ან სუსტი იყო, ან სულაც არ ყოფილა. ამის შედეგია ის, რომ ქართული ნაციონალური ტემპერამენტი, ქართული ნაციონალური ტიპი არ არსებობს", ასკვნიდა კ. კაპანელი (48,190-191).

ერთ დროს ასეთი ნიჰილიზმის ტყვეობაში იყო გრ. რობაქიძეც, მაგრამ შემდეგ სცადა, გაეფანტა ეს უიმედობის ბურუსი და ქართველი რასის რჩეულობა იქადაგა (ერის სული და შემოქმედება, გველის პერანგი, საქართველოს ხერხემალი).

ნ. მიწიშვილის წერილის „აქვს თუ არა გენია საქართველოს?" საპასუხოდ სვამს კითხვას გრ. რობაქიძე და მისი პასუხი დადებითია. „ერის სულსა და შემოქმედებაში" იგი საუბრობს „საქართველოს ახალ რენესანზე" (49,317).

თეიმურაზ ხევისთავი ამბობს: „ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია, ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიკური და ეროვნული ერთეული, არ არსებობს. აბა, დააკვირდი, რა აქვთ საერთო ქართველსა და მეგრელს, კახელსა და ქვემო იმერელს, ხევსურსა და გ. გურულს? დომხალივით არეულან არიელი და სემიტი, აზია და ევროპა, სლავი თუ თურანი, სპარსელი და ურია, თურქმენი, ავღანეთი, ლეკი და თათარი. ვისი სისხლი არ გვიდგა ძარღვებში, ვისი სული არ გვიტრიალებს სასულეში?

„...ათ სისხლიან მეტისს არც წარსული აქვს, არც მომავალი ... აქვე, ჩვენივე გვერდით, წინა აზიის გულში სამუდამოდ აღიგავა დედამიწის ზურგიდან და კაცობრიობის ხსოვნიდან ასიოდე ერი, შეიძლება ასიც და ხ... ხუთასიც... გაიხსენე განსხვავებული ფინიკია, კართაღენი, ეგვიპტე, აცტეკები, ინკები, ასურეთი, ბაბილონი, ამორეველნი და ქალდეველნი, თუნდ ურარტელნი ან ალაროდნი. ან სუმერიელნი, ხეტნი და ასნი და ათასნი მათნი ნათესავნი წინაპარნი და მეზობელნი. ყველანი დრომ შ...შეშჭამა და მოინელა, ხოლო დროის წინაშე უკვდავი არაფერია. მასთან შედარებით ღმერთიც კი უძლურია. ჩვენც იმ გადაშენებულთა ბედი მოგველის" (28,258).

შემთხვევითი როდია, რომ თეიმურაზ ხევისთავი გლეხებს ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილებს აძლევს: „ისტორიული ქართლი შ...შედგება 3 ნაწილისაგან: შიდა ქართლი, ზემო ქართლი და ქვედა ქართლი". შიდა ქართლში შედის გორის და დუშეთის მ. მაზრები, ზემო ქართლში – მესხეთი. ჯ...ჯავახეთი და არტაანი, ხოლო ქვემო ქართლი, ანუ ქვენა სოფ...ფელი, ბორჩალოს გარდა, შეიცავს ტაშირს, მცირე სომხეთს, ბამბაკსა და აბოცს".

თეიმურაზი კიცხავს სხვათა წამბაძველობას, გათიშულობას ამხელს: „სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ ასე სხვათა წაბაძვით ვლამობთ ფონს გასვლას და ლელოს გატანას. უწინამც ეგრე იყო“ (28, 201).

“...ყველანი ბუნებითვე აზნაურები ვიყავით, ვართ და დავრჩით. ყველა შრომას გაურბის და მინისტრობას და კომისრობას ეტანება. მთელი საქართველო სამსახურს ეძებს. ერთი ხელით– სამსახური, ისევ სამსახური და მუდამ სამსახური, – აი ჩვენი საქმე და იდეალი“ (28,201).

„...საქართველოს ისტორიის ეტლში ყოველთვის მხოლოდ ერთი მერანი იყო შებმული, მეორე კი განაპირებული იდგა. ესეც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ორნი ვართ და ამერ–ამერეთის გაერთიანებას ხუთიოდე საუკუნე მაინც დასჭირდება“ (28,267).

ივანე ამხელს თეიმურაზს, „აღარაფერი გწამს: არც ღმერთი, არც ეშმაკი, არც ხალხის შემოქმედებითი უნარი, არც მისი მომავალი და სიცოცხლე“ (28,268).

ნახუცარი ურჩევს თეიმურაზს, ხალხს დაუბრუნდეს და ამტკიცებს, რომ „...ძველი ლეშის მაგიერ ათასობით ამოვიდა ხალხის გულიდან ახალი მუხნარი. ეს მუხები დღითი–დღე იფურჩქნებიან და ძველი ჯაგნარის ადგილს იჭერენ. შენ კი ეს ახალი ბაღი უდაბნოდ მიგაჩნია“.

თეიმურაზს აწუხებდა ის, რომ ნათესავი არ გვყავს მსოფლიოში, რომ „კაცობრიობა და ჩვენ ერთმანეთის ნათესავები არა ვართ. ასევე არ ვიცნობთ ერთმანეთს ქართველები და კაცობრიობა“ (28,258).

„შეეჯდრებით ან დავეწევით ოდესმე ჩვენ ევროპელებს?“ – იჭვნეულად კითხულობდა ხევისთავი (28,226).

თეიმურაზი კიცხავს ქართველ ინტელიგენციას, ერის უბედურებას მიზეზად სახავს (28,264).

იგი ვერ იწამებს ამ ქვეყანას, ვიდრე ღმერთისგან გამდგარია და მხოლოდ მსაჯულის როლშია.

„ჯაყოს ხიზნებში“ ივანე საუბრობს მორჩილებაზე, ხდება ვეფხვისა და კატის, ძაღლისა და მგლის შედარება, მორჩილნი – კატა და ძაღლი გადარჩნენ, ვეფხვი და მგელი – როგორც გაუწვრთნელნი– თითქმის ამოწყდნენ.

თეიმურაზი არ იზიარებს ივანეს აზრს: ძაღლისა და კატის ბედს იქნება გადაშენებული ვეფხვი სჯობდეს. რაც უნდა იყოს, მკვდარ ვეფხვს მაინც პატივით მოიხსენებენ, ცოცხალ ძაღლს კი ორღობეში ამოუვა სული“.

ივანე ამტკიცებს, მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობიაო (28,290).

შემთხვევით არ არის ნათქვამი, „მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია“(28,292).

თეიმურაზი ახალ გზას ხედავს და ეს არის რწმენის გზა. რწმენის დახმარებით ჩამოიშორა მან აყროლებული ძაღლის კისერზე ჩამოკიდებულილეში.

სახარების კითხვა დაიწყო და მალე ყველაფერს მოუძებნა ახსნა, კიდობნიდან ხატი ამოიღო და ცრემლიანი ლოცვით განიქარვა დარდი, ეზიარა ზეციურ ნათელს.

რომანში ყურადღებას იქცევს ფინალი. ურწმუნო ეპოქამ ადამიანებს სულიერი წონასწორობა დააკარგვინა. თეიმურაზს გამუდმებით აწამებს რწმენისა და ცოდნის მოურიგებლობა, ხალხს დავიწყებული აქვს ეკლესია და მისი გზა, რომელიც თითქმის ნაშლილია, ნარეკლით არის მოდებული: „ეკლესიის ფართო გზა ჯერ გაბილიკებულიყო, მერე ისიც წაშლილიყო, აბალახებულიყო და ნარ–ეკლით მოდებულიყო“.

სულის გადარჩენის სურვილმა თეიმურაზი ისევ ქრისტიანობასთან მიიყვანა. მიუბრუნდა სახარებას, ხატს, ცრემლიანი ლოცვით სცადა სიმშვიდის მოპოვება: „თეიმურაზი ძველ კიდობანს მიადგება. კიდობანში ძველი ხატი აქვს დამალული. კუთხეში დაასვენებს, სანთელს დაუნთებს, პირქვე დაემხობა. მეტანიობით, სახარებით, ცრემლით ლოცულობს:

„წმინდაო ღმერთო! წმინდაო ძლიერო! წმინდაო უკვდავო! შეგვიწყალენ ჩვენ!

გარეთ სიბნელეში კვლავ ასვეტილა კოშკი.

მძორი ქრება, სიმყრალეც.

ელის ნაქმარევი ნაცოლარს.

დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის ხევისთავი“ (28,397).

ეს ფინალი მრავალი ქვეტექსტის შემცველია, სიმბოლურ–ალეგორიულია.

საღვთისმშობლო სახისმეტყველებაში კიდობანი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „გიხაროდენ, კიდობანო ოქროვანქმნილო სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა) (50,12).

გულმხურვალე ცრემლიანი ლოცვის საშუალებით ჩამოიცილებს ტანჯული თეიმურაზი მისგან შეძულებულ ცხოვრებას – აყროლებული ძაღლის ლეშს...

შემთხვევითი არ უნდა იყოს სიბნელეში ასვეტილი კოშკი. კოშკიც მარიამის სიმბოლოა“.

სულხან–საბა ორბელიანის განმარტებით, „კოშკი არის იგივე გოდოლი, ანუ გოდოლი არის კოშკი მაღალი. კოშკი წვრილი და მაღალი ციხეა“ (51,164).

ეს სახე ფსალმუნში ღმერთის სახელია: „ღმერთო ძლიერო, კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 61,4).

გოდოლი ფიგურირებს სოლომონ მეფის იგავებში: „უფლის სახელი მტკიცე გოდოლია“ (იგავნი სოლომონისა, 18,10).

სიმბოლური კოშკისა და გოდლის სახის ახსნას ვიპოვით პროფესორ ტიტე მოსიას „საღვთისმშობლო სახისმეტყველებაში: „წმინდა ქალწული, დაუჯდომლის თანახმად, ეკლესიის შეურყეველ გოდლად ანუ უძლეველ კოშკად წარმოგვიდგება: „გიხაროდენ, ეკლესიისა შეურყეველო გოდოლო“. ამის კვალდაკვალ დავით გურამიშვილიც წერს მესიის დედაზე: „დაურღვეველო ზღუდეო, გოდოლო შეურყეველო“ (დავითიანი)(52,79).

რევოლუციური ეპოქიდან გარიყულმა თეიმურაზმა სულის ხსნა რელიგიაში იპოვა. „ჯაყოს ხიზნების“ ბოლო სტრიქონებშიც ასევე მრავლისთქმელი სიმბოლოებია: „ელის ნაქმარევი ნაცოლარს. დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის“.

მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მარგო ოდენ ქართველი ქალის სიმბოლო როდია, იგი საქვეყნო ტრაგედიებით შეჭირვებული საქართველოს სიმბოლოა (ტარიელ კვანჭილაშვილი).

ამ შეხედულებას უახლოვდება შალვა ამირეჯიბის აზრიც, რომ მარგო 2000 ათას -წლოვანი ქართული კულტურის სახეა, ხოლო თეიმურაზ ხევისთავი მიჩნეულია ქართველი ინტელიგენციის ზოგად სახედ.

ამ გადასახედიდან აღქმული ზემოთ დამოწმებული სტრიქონები შეიძლება ასე წავიკითხოთ: ქართველი ინტელიგენცია დამარცხებამ, თავისუფლების დაკარგვამ ერთ დროს სულიერად დასცა, მაგრამ იგი ისევ გაძლიერდა რწმენით, მომავლის იმედი არ დაუკარგავს, არც იდეალებისთვის უღალატნია, მისი ფიქრებიდან განუშორებელია სამშობლო და მას სწამს ქვეყნის უკეთესი მომავალი (თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ მწერალმა რომანის წინა ნაწილში აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ „თეიმურაზი მიმავალია“, „ჯაყო მომავალი“, რომ თეიმურაზს „მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული“).

ცნობილია, ქართველმა ინტელიგენციამ ჩრდილოეთის ურდოსთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებას დაუპირისპირა „კულტურის დიქტატურა“, კულტურით, სულიერებით, ნიჭით, მწერლობით გაცხადება საკუთარი გამორჩეულობისა და იდეალების გადარჩენა უკვე ნიშნავდა იდეოლოგიით, მხატვრული სიტყვით, დიდი სულიერი ბასტიონის აღმართვით თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ ამ დამარცხებამ ახალი შემართება მისცა ქართულ ეროვნულ გონს და იგი ისეთ შედევრებში

გაცხადდა, როგორებიც იყო მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ტერენტი გრანელის „მემენტო მორი“.

ძნელად, დიდი სულიერი ტკივილით, მაგრამ გაუგონარი ძალისხმევით მაინც შეძლო ქართულმა მწერლობამ ისევ მაღლა აღემართა ეროვნულობის, სულიერების, გამორჩეული მხატვრული სიტყვის ახალი ციტადელები...

„ჯაყოს ხიზნების“ ბოლო წინადადებაც ასევე მრავლისმეტყველია: „ისევ ელის ნაქმარევი ნაცოლარს“, ანუ მარგოს ჯაყოს ტყვეობიდან დახსნის მოლოდინი საქართველოს მონობიდან განთავისუფლების მოლოდინია.

„ისევ დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“ (28, 397).

როგორ გაჩნდა ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ–ერთის სახელი მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ფინალში?

ცნობილია, რომ 1924 წლის აჯანყების მონაწილენი შიო მღვიმის მონასტრის მიდამოებში დააპატიმრეს.

ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, „თეიმურაზი მოიაზრება აჯანყების მესვეურთა შორის. ანალოგიურ კონტექსტში პროტაგონისტი რომანის ტექსტის „შიდა“ სივრცეშიც გვხვდება: „შორიდან საძნე ურემი თვლებზე შემდგარ დიდ გალიას ჰგავდა, ხოლო ხელფეხაშლილი და აყვირებული თეიმურაზ ხევისთავი აჯანყებულ ტყვეს ემსგავსებოდა“ (28,296).

„აჯანყებული ტყვე“ უნდა მიანიშნებდეს იმ ინტელექტუალურ–პარტიულ ელიტას, რომელმაც ერთხნობას, პოლიტიკური აქტივობის დასაწყისში, საკუთარი ეროვნული სახე უარყო, ხოლო შემდგომში კი ერის სათავეში მოექცა, მიუხედავად პარტიული ელიტისა და მენშევიკური მთავრობისადმი ნეგატიური დამოკიდებულებისა“.

ცნობილია მიხეილის განაცხადი: „არ ვენდობი მენშევიკებს, ეს არის ჩემი გეზი“ (1,145).

თეიმურაზის გზა, შიო მღვიმელის ფართო სემანტიკის გათვალისწინებით, განიხილება, როგორც „თავის სჯისა“ და სულის წვრთნის, ანუ რწმენაში გაძლიერების გზა, გზა მოთმინებისა და მეთოდური, დაუღლელი მუშაობისა (ლელა ნიქარიშვილი, არ არსებობს ტრაგედია გარეშე გამომსყიდველი მსხვერპლის)(53).

ამ ასპექტით თვით ხევისთავობა შიო მღვიმელის მოსაგრეობას ეხმიანება. „შიო მღვიმელი“ ხომ ხევისთავის არქეტიპია, როგორც საერო ცხოვრების აუცილებელ სათნოებათა სრულყოფილი სულიერი წინასახე. შიო მღვიმელს უკავშირდება ასევე „მიწა–სამშობლოს“ ანუ დედა–წიაღის დამკვიდრების მოტივიც. ჯაყოს დუქანში თეიმურაზის მიერ „ნეტარებათა“ წაკითხვისას აქცენტირე-

ბულია სწორედ ის მუხლი, სადაც მოიხსენებიან „მშვიდნი“, რომელთაც უნდა დაიმკვიდრონ ქვეყანა“ (28,306).

რომანში გამოხატულებას პოულობს მწერლის მუშაობა „პარიტეტულ კომიტეტში“ (იგი დაარსდა 1922წ. 16 აპრილს (1,31).

მიხეილ ჯავახიშვილმა მწარედ განიცადა 1924 წ. 29 აგვისტოს აჯანყებაში ქართველთა დამარცხება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, მაგრამ მხატვრული სიტყვით სძლია დეპრესიას, სკეპსისს.

ლელა წიქარიშვილის აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს აღდგომის ღამის გახსენება ხევისთავის მიერ, დედა სოფიოსთან ერთად საყდარში სვლა, დედა სოფიო შეიძლება იყოს მხატვრული პერსონიფიცირება დიდი დედისა.

თეიმურაზი ლოცულობს, რათა აღდგომის ღამეს მიღებული პარიტეტული კომიტეტის გადაწყვეტილება აჯანყების მოწყობის თაობაზე ოდესმე მაინც აღესრულოს ყოვლადწმინდა დედის მფარველობით, ასკვნის წერილის ავტორი.

თეიმურაზი ამარცხებს ეჭვებს, თავს აღწევს ფუჭ ძიებებს და სულიერი მსხვერპლის გზას ადგება, ინანიებს, ლოცულობს კიდობნიდან ამოსვენებული ხატის წინაშე...

კიდობანი ორპლანიან სიმბოლოდ წარმოესახება ლ. წიქარიშვილს, ერთი მხრივ, იგი ხევისთავთ საგვარეულო ქონების შესანახი მუხის სკივრია, მეორე მხრივ, კიდობანი ძველი აღთქმის ნოეს კიდობანს უკავშირდება და მოიცავს გადარჩენის, ხსნის კონტექსტს“.

კიდობანი მარიამის სიმბოლოა და ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი გაგებისაა ამ რომანშიც (50,12).

ლ. წიქარიშვილის წერილში მუხაზეც მახვილდება ყურადღება, გაკეთებულია პარალელები გრაალის მცველის, თავად გიორგის მუხის სახლთან, ლევან ორბელის დაკრძალვაზე. მუხის ძირში.

მუხა ერის სულის სიმბოლოა კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობაში“, გ. ტაბიძის „მუხებში“.

გასათვალისწინებელია, რომ ძაღლის აყროლებული ლეშის სახით აღიქმება რომანში თეიმურაზისაგან შეზიზღებული ცხოვრება, როგორც თვით რომანის ავტორი განმარტავს. ასე რომ, ორი ბალანაშლილი და აყროლებული ძაღლი ერთი და იგივე მოვლენის ორი ასპექტია (53,54).

„ჯაყოს ხიზნებში“ საყურადღებოა ასევე მსჯელობა ნახუცარ ივანესა და თეიმურაზს შორის, მკვდარი ლომისა და ცოცხალი ძაღლის შედარება. ივანე ცოცხალ ძაღლს ანიჭებს უპირატესობას, თეიმურაზი–მკვდარ ლომს...

ეს შედარება ბიბლიიდან მომდინარეობს: „... რადგან ცოცხლებში შერაცხილს კიდევ აქვს იმედი, რადგან ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესია“ (ეკლესიასტე თ.9).

ნ. კუპრეიშვილი იხსენებს „ჯაყოს ხიზნებზე“ ნოე ჟორდანიას აზრს ასეთი ქვეყნისა და ძაღლის სახისმეტყველების იდენტიფიკაციაზე და აცხადებს: „აქ ცოცხალ ძაღლთან გაიგივებულია არა მხოლოდ ფსევდონაციონალური, ფსევდოეროვნული ინტელიგენცია, არამედ ავთენტურობასა და ღირსებას მოკლებული არსებობა. გათვალისწინებულია ადგილი ტიციან ტაბიძის წერილიდან „ცისფერი ყანწებით“: „საქართველოს ყოველთვის ერჩია ცოცხალ ძაღლს მკვდარი ლომი და ამიტომ საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“...

ნ. კუპრეიშვილის დასკვნით: „ორი ძაღლი ერთი არსის (მარქსიზმის) ორ ჰიპოსტასად (მენშევიზმად და ბოლშევიზმად) გარდასახვაზე მიგვანიშნებს. სწორედ მათ შორის არსებულმა დაპირისპირებამ გაუმძაფრა მიხეილ ჯავახიშვილს და სოსო გაბაშვილს ერთგვარი ესქატოლოგიური შიშის განცდა... იგი სამყაროს მთლიანობის, მისი მყიფე, კოსმოსური წესრიგის რღვევით იყო გამოწვეული, რომელსაც სწორედ ქვესკნელიდან ამომსკდარი ბნელი დესტრუქციული ძალა, იგივე „წითელი ეშმა“ ემუქრებოდა“.

ასევე, მკვლევარს მოაქვს პარალელები გ. ტაბიძის პოეზიიდან „მოგონებები“, რომელიც 1924წ. აჯანყებას ეძღვნება. მასში ასოცირებულია ორი ძაღლი და ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა: „მთელი სამი დღე გაგრძელდა ბრძოლა, სისხლი ათავდა. ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა მწარედ გათავდა... რბის ორი ძაღლი, მათ ისტორია ვერ დააფეთებს. პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს ხორცის ნაფლეთებს“. (ნონა კუპრეიშვილი, ორი ძაღლი–გახლეჩილი სამყაროს სიმბოლო) (53).

ორივე შემთხვევაში, გალაკტიონთანაც და მიხეილ ჯავახიშვილთანაც, ძაღლის სახისმეტყველება დაკავშირებულია ბოროტებასთან.

წერილის ავტორის დასკვნით, გრ. რობაქიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრულ სახეებში (თ. ხევისთავი, თამაზ ენგური, ლევან ორმელი) იკვეთება 1924 წლის მოვლენებთან ავტორთა თანაზიარობა, გარდამქმნელი და გამომსყიდველი მსხვერპლის იდეა...

რომანის ჩანაფიქრი ქვეტექსტებით მიიწვდომება და მის მთავარ სათქმელთან უოუოდ დიდი კავშირი აქვს ამ წიგნის II გამოცემის გარეკანზე გამოსახულ ნახატს – ორ ძაღლს.

ეს ძაღლი ნონა კუპრეიშვილს ესახება, როგორც არა უბრალოდ გაანჩხლებული, არამედ ავად ბალანაშლილი, ლამის მგლებად მოქცეული, ძველი ზოროასტრული გადმოცემით კი, მიცვალებულთა ლეშით მადააღძრული არსებობის ილუსტრაცია ჯავახიშვილ–გაბაშვილის ინტერპრეტაციით (სოსო გაბაშვილი მხატვარი – ლ.ს.) ხორციჭამიობის საზარ წესს დემონები აღასრულებენ.

მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს ამ შავბეწვიანი ძაღლების მიღმა წითლად შეფერილი განთიადის სხივს, რომელიც ნამდვილად არის არა მზის ან სინათლის რომელიმე წყაროს, არამედ ირგვლივ დაღვრილი, უჩინარი სისხლის ანარეკლი.

ისმებოდა კითხვა, თუ რაზე მიანიშნებდა ეს ნახატი, მაგრამ მწერალი ბოლომდე არ ხსნიდა თავის ჩანაფიქრს, „ისინი მარგოს ბედს დაჰყმუიანო", ამბობდა, ნათქვამია ნონა კუპრეიშვილის წერილში.

ქეთევან ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ნახატის გამო მიხეილს უსაყვედურეს და ჰკითხეს მის მნიშვნელობაზე. მიხეილმა თავისი ჩანაფიქრი არ გახსნა და სთქვა, რომ მარგო ელის თავის განთავისუფლებას და ყმუილი ამას ნიშნავსო, მაგრამ აქ უფრო ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი (1,44).

ე.ი. მწერლის ამ განაცხადის მიხედვით, მარგო საქართველოს სიმბოლოა, ხოლო ძაღლის ყმუილი საერთოდ ავისმომასწავებლად აღიქმება და იგი ქვეყნის თავისუფლების დასამარებას უფრო ნიშნავს, შეიძლება მას ერის კატასტროფაზე მიმანიშნებლის ფუნქციაც ჰქონდეს.

ნონა კუპრეიშვილის მიხედვით, ქრისტიანულ კულტურაში, ძაღლის სახისმეტყველებაში „ეს ცხოველი არა ერთგულების, არამედ რიტუალური უწმინდურებისა და ბოროტების განსხოვნებად, მეტიც, ბნელ ქვესკნელურ ძალთა მცველად წარმოგვიდგება". მკვლევარი ამ სიმბოლიკას ასეთ ჭრილში ხედავს „ჯაყოს ხიზნებში".

ძაღლის ნაგატიური სახეა ცერბერი, კერბერი, სამთავიანი ძაღლი, რომელიც დარაჯობდა მიწისქვეშა სამეფოს (ჯოჯოხეთის) შესასვლელს, შიგნით ყველას უშვებდა, იქიდან კი არავის (54,198).

არც ის არის შემთხვევითი, რომ თეიმურაზი გამუდმებით საუბრობს დასავლეთის ორიენტაციაზე. ბუნებრივი იყო, ჩრდილოეთის ყინულოვანი მონსტრისგან იმედგაცრუებულ, მიწასთან გასწორებულ ერს სინანულით გაეხსენებინა თავისუფლების, კულტურის სიმბოლოდ მიჩნეული დასავლეთი.

მიხეილ ჯავახიშვილს სურდა რომანის ფინალის შეცვლა: „ისე არ მოვკვდები, რომ სრული „ჯაყო არ დავწერო". რომანის გაგრძელება უნდა დაეწერა და თეიმურაზის ანტიპოდი გამოეყვანა. დასასრული სხვანაირი უნდოდა. ნინიკა წაართმევდა მარგოს, ჯაყოს კი საქართველოდან გააძევებდა. ჯაყოსთვის განაჩენი ახალ თაობას უნდა გამოეტანა.

მწერლის არქივში დაცულია ავტოგრაფის ორი ვარიანტი, რომელიც ავტორს რომანში შესატანად ჰქონდა გათვალისწინებული. II ნაწილში და V თავის ბოლოში უნდა ყოფილიყო ცვლილება,

მეორე ნაწილს უნდა ჩამატებოდა 12 გვერდი, V ნაწილს –ნახევარი გვერდი.

მაგრამ მწერლის ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

თუ რატომ, ამაზე არსებობს ანგარიშგასაწევი მოსაზრება: თუ რომანი ჯაყოს საქართველოდან გაძევებით დასრულდებოდა, ამ ეპიზოდს დიდი სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა. ეს ჩვენს ხელისუფლებას იმის მაგალითს უჩვენებდა, თუ როგორ უნდა გამოეტანათ განაჩენი ჯაყოებისთვის... მწერალს სურდა ქართველი საზოგადოებისთვის ეთქვა, რომ ჩვენში საზღვარი უნდა მიჩნეოდა უცხოტომელთა მოძალებას, მაგრამ იგი იმ ეპოქაში, როდესაც საბჭოთა კავშირში კომუნისტური იდეოლოგიის მთავარ საკითხად ინტერნაციონალიზმი იდგა, ამას ვერ გააკეთებდა. სიუჟეტის ასეთ გადაწყვეტას ნაციონალისტობად მონათლავდნენ და ავტორის მიმართ დაიწყებოდა ახალი ბრალდებები, ამიტომაც არ შეცვალა ნაწარმოების ფინალი.(55,57).

მწერლის სიცოცხლეში ოთხჯერ გამოქვეყნდა ეს წიგნი, მისი დაწერიდან ავტორის აღსასრულამდე 13 წელი გავიდა და დაუჯერებელი,ა მას არ ჰქონოდა სურვილი მისი ახალი ვარიანტის შექმნისა, რადგან არსებულის აღწერა მიხეილ ჯავახიშვილისთვის, როგორც თვითონ ამბობს, იყო „სულის გმინვა, გლოვა“, მას უნდა მოსწყურებოდა სხვაგვარი მიდგომა მოვლენებისადმი, მაგრამ სინამდვილე ამის საფუძველს არ იძლეოდა.

„რომანის დაწერის პერიოდში ქვეყნის სამომავლო პერსპექტივა ბუნდოვანი იყო. ის ბურუსით იყო მოცული... ცხოვრების მიმდინარეობას სასიკეთო პირი არ უჩანდა“ (56,66-67).

ვფიქრობთ, ეს აზრი სწორია, ამიტომაც რომანის ფინალის სხვაგვარი ხასიათი სინამდვილის ღალატი იქნებოდა.

მიხეილს ოპონენტები სინამდვილის დამახინჯებას სწამებდნენ, მთავრობისგან ხელდასხმულ კრიტიკოსებს არ სურდათ სიმართლისთვის თვალის გასწორება, ისინი ან პოლიტიკურად ბეცები იყვნენ, ან ამა ქვეყნის ძლიერთა საამებელს წერდნენ.

იმ დროისთვის მხოლოდ იოსებ იმედაშვილმა შეიცნო „ჯაყოს ხიზნების“ ჭეშმარიტი ღირსებები: „ჩვენი თანადროულობის გასაცნობად, ცხოვრების სიგრძე–სიგანის შესაცნობად, მთელი ჩვენი ერის ავ–კარგის, ვაების წარმოსადგენად საკმარისია „ჯაყოს ხიზნების“ გადათვალიერება.

მწერალმა სამწერლო აზროვნებას წითელი ზოლი გაავლო, აზროვნება ნათელია და გარკვეული, ისტორიული თვალსაზრისი სწორი და თანადროულობის დაკვირვება ნამდვილზე ნამდვილი, აღსრულება მაღალმხატვრული, ენა–მთის მწვერვალიდან მოკამკამე ანკარა წყარო, მზის სხივებით აგვირისტებული. ეს რომანი დარჩება, როგორც ჩვენი დროის მწორუპოვარი ძეგლი“ (57,13).

ტენდენციური ვაიკალმოსნები კი რომანის განადგურებას მოითხოვდნენ: „ჯაყოს ხიზნები“ მალე განიდევნება, როგორც უმსგავსო მოვლენა ჩვენს მწერლობაში“, წერდა ს. ჭანტურიშვილი (1,92).

ამ მოსაზრებაზე, ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებით, დიდ პროზაიკოსს მიუწერია: „ვერ მოესწრები)(1,92).

„მდევენ ჯაყოს ხიზნები“ და „თეთრი საყელო“. მწერალი ჰგავს ბერნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვერ დააწყნარა“ (როგორ ვმუშაობ) (2,195), წერდა მწერალი.

„ჯაყოს ხიზნები“ უმალ გახდა პოპულარული, რუსი მწერალი პასტერნაკი ხან ჯაყოს ადარებდა თავს, ხან თეიმურაზს.

აკაკი ბაქრაძე მართებულად ასკვნის, რომ „ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ–კარის, ღირსების, პატივის, სახელის მიტაცება–მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, უსაზღვრო ექსპლუატაცია, სრული უმეცრება და უკანონობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა, რომლის უკან იმალება გარდაუვალი გახსრწნა და დაცემა.

ეს საშინელი მოვლენა ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს, რამეთუ იგი განვითარებას, ევოლუციას, სახეცვლილებას არ ემორჩილება“ (58,374).

ჯაყო ზოგად სახელად იქცა.ჯაყოების ბატონობა ნიშნავს წარსულის გაყიდვას, ანმყოს ტანჯვად გადაქცევას და მომავლის სიბნელეს, გაურკვევლობას“ (იქვე, გვ. 383).

დრომ დაადასტურა ამ წიგნის წინასწარმეტყველური ხასიათი: „მიხეილ ჯავახიშვილმა თავის რომანებში არსებითად იწინასწარმეტყველა ის, რაც შემდეგ მოხდა, კერძოდ, უნიათო ინტელიგენტის გაჩენა თეიმურაზ ხევისთავის სახით. მან იწინასწარმეტყველა ხელისუფლებაში ისეთი ტიპების ბატონობა, როგორიც არის ჯაყო და ბევრი სხვა რამ“, წერდა აკაკი ბაქრაძე (ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით) (58,124-125). კრიტიკოსი ბოლომდე არ ხსნიდა ფრჩხილებს, ეტყობა, ერიდებოდა სიტუაციის გამწვავებას.

„ჯაყოს ხიზნები“ იყო საქართველოში მოსალოდნელი ტრაგედიების წინასწარმეტყველება, სამაჩაბლოს დაკარგვის წინაგრძნობა, მარქსიზმ–ლენინიზმის ხომალდის ცრუ გეზის მხილება, თვით მწერლის საბედისწერო აღსასრულის წინასწარჭვრეტა.

მწერლის ყოველი ჩანაფიქრი მომავლის გეგმებზე ეჭვებით ისერებოდა. ჯერ კიდევ 1934 წ. არ ასვენებდა ავი წინაგრძნობა: „მეორე ტომის გამოსვლას ველოდები, თუ მოვესწარი“ (1,25).

უბის წიგნაკში ჩაუწერია: „თუ მართლა კვდება ჩემი სამშობლო, სიკვდილო, შესდექ, ჯერ მე მოვკვდები“.

სამშობლოს სიკვდილში მისი ეროვნული იდეალების გაცამტვერება იგულისხმებოდა.

ამ გაგებით წერდა ტერენტი გრანელიც: „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია". ლექსის დაწერის თარიღია 1924წ. (8,400).

თითქოს საზოგადოებაც გრძნობდა, რომ დიდ მწერალს არ აპატიებდნენ ასეთი მამხილებელი რომანის დაწერას, მან ხომ არა მარტო სამაჩაბლოზე თვალდადგმული ოსი ჯაყოები ამხილა, გადასწვდა ხელისუფლებაში მოკალათებულ ჯაყოებსაც, რომელთაც მრავლად ჰყავდათ ადრესატები ზემდგომ ორგანოებში, განურჩევლად ეროვნებისა.

მკითხველის წინაგრძნობის გამომხატველია 1931წ. ჟურნალ „დროშაში" (№11-12) კრიტიკოსის მეგობრული შარჟი მწერალზე, რომელზედაც მიხეილი წარმოდგენილი იყო მკლავზე გადადებული თავისი განუყრელი ჯოხით, ხელში პაპიროსით და თავზე ჩალის ქუდით. მის ზემოთ იყო წარწერა: „ჯაყოს" და „კვაჭის" ავტორის ფიქრები. ქვემოთ მიხეილ ჯავახიშვილის შეკითხვა მკითხველისადმი: „ჯაყოს" ლიკვიდაცია ხდება, როგორც კლასის, მეც ხომ იგივე ბედი არ მომელის?"

ექვსი წლის შემდეგ ეს ნათქვამი გამართლდა, იგონებს მწერლის ქალიშვილი ქეთევანი (1, 2310).

მწერალმა ზუსტად იწინასწარმეტყველა თავისი ტრაგიკული მომავალი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცილისმწამებლურმა კომპანიამ პაოლო იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ნათელი იყო, მიხეილის ჯერიც მალე დადგებოდა, მას არ აპატიებდნენ ეროვნულ განწყობილებას, „პარიტეტულ კომიტეტში" მუშაობას, „ჯაყოს ხიზნებს", „თეთრ საყელოს", „ქალის ტვირთს", ბერიასთან ქედმოუხრელობას.

როცა პროტესტის ნიშნად პაოლომ მწერალმა კავშირში თოფით მოიკლა თავი, „ძალზე ანერვიულებელი მიხეილი ბოლთას სცემდა, ხელებს იფშვნეტდა და გაოგნებული ამბობდა: „ეს რა ხდება, ეს რა ხდება, შვილებო, რა მოგველის, რა მოგველისო". მისი დანყნარება რომ ვერ მოახერხეს, დახმარებისთვის მიუმართავთ კონსტანტინე გამსახურდიასთვის, რომელსაც მწერალი გაუყვანია ოთახიდან (ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პაოლო იაშვილი ცხოვრება და შემოქმედება (ქუთაისი, 1995, გვ. 74).

როცა სროლის ხმა გაისმა მწერალთა კავშირში და ცნობილი გახდა ტრაგიკული ფაქტი, სამარისებურ სიჩუმეში გაისმა თურმე მიხეილ ჯავახიშვილის დაგუდული ხმა": „ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ! მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე, რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ: – „მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარ!" (იქვე, გვ. 64).

მიხეილ ჯავახიშვილის ავბედით წინაგრძნობას აძლიერებდა სიზმრებიც. ერთხელ მწერალს ალექსანდრე გოგიაშვილთან განუცხადებია ჩემი საქმე ცუდად იქნება, რადგან სიზმარში კურკამ (კურკა გრ. ორბელიანის მეტსახელი იყო) სადღაც წამიყვანაო.

ხოლო 1937წ. 13 აგვისტოს ბოლო საღამოს ქვიშხეთში გულჩათხრობილი მწერალი ციდან მოზრდილი ვარსკვლავის მოწყვეტას უმზერდა. ამ დროს იქვე იყო მისი ქალიშვილი. ქეთევანიც, რომელსაც სასიკეთოდ არ ენიშნა ეს ამბავი, რადგან სადღაც გაგონილი ჰქონდა, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის დანახვა კარგის მომასწავებელი არ არისო. მიხეილმა გააყოლა თვალი მოწყვეტილ ვარსკვლავს, ხოლო შვილის კითხვას, თუ რას ფიქრობდა, დუმილით შეხვდა. (ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ., 1991, გვ. 345-351).

მწერალს ერთ–ერთ ბრალდებად ისიც წაუყენეს, რომ თავის კაბინეტში სტალინის სურათი არ ეკიდა.

მიხეილი წინასწარმეტყველური ინტუიციის იყო და არ ენდობოდა მენშევიკებს (იქვე, 129) გრძნობდა რუსების მიერ „საქართველოს ხელმეორედ დაპყრობას – ცენტრისტების გამარჯვებას" (იქვე, გვ. 30).

ჯაყოს ხიზნობა დაებედა არამარტო მარგოს–ჩვენს ქვეყანას (ჯაყო რუსული ბოლშევიზმის, იმპერიული აგრესიული ძალების სიმბოლოა), არამედ თავით მწერლის ოჯახიც ხიზანი გახდა საკუთარ ოჯახში, ქვეყნად გამეფებული ჯაყოების წყალობით. მიხეილის ბინის სამ ოთახში ჩაასახლეს შალვა რადიანი მეუღლით, ხოლო მწერლის ოჯახის წევრები სამადლოდ დატოვეს ერთ ოთახში. „ასე" გავხდით ჩვენ, საკუთარი ოჯახის ხიზნები", წერს რეპრესირებული მწერლის ქალიშვილი ქეთევანი (1,381).

გაუბედურებულ, უსამართლოდ შერისხულ ოჯახს ერიდებოდნენ მისი დამსმენები, მედროვეები, მაგრამ პატივისცემით ექცეოდა აკაკი გაწერელია, ხოლო ალ. აბაშელმა და ბენო გორდეზიანმა სამუშაოზე მიიწვიეს ქეთევანი. ნიკო კეცხოველმა, აკაკი გაწერელიას თხოვნით, თბილისის უნივერსიტეტში ჩარიცხა მიხეილის უმცროსი ქალიშვილი რუსუდანი. შალვა რადიანის ბინაზე სტუმრად მისულ გერონტი ქიქოძეს, გოგლა ლეონიძეს და ლეო ქიაჩელს ცრემლები სდიოდათ მიხეილის გახსენებაზე. გალაკტიონმა კი მონინებით შუბლზე აკოცა ქეთევანს და ასეთი თანამგრძნობი ადამიანების არსებობა დიდი პროზაიკოს ოჯახს სატკივარს უმსუბუქებდა.

კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის განსაკუთრებული პატივით მოიკითხავდა ხოლმე მიხეილის ქალიშვილს და სინანულით იგონებდა დიდ მწერალთან ერთად გადატანილ ბრძოლებს

რენეგატი ხელისუფლებისა და მათი დაქირავებული კრიტიკოსების წინააღმდეგ.

მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც მართალი, მარადიული სიტყვისთვის სიცოცხლე მოსთხოვა განგებამ, არც დაკითხვის დროს შემკრთალა და თავისი უკვდავების რწმენა ხმამაღლა გამოხატა: „...საქართველოს მიწა–წყალზე მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს აღმოფხვრით, მე გამანადგურებთ იმას, კი ვერ მოსპობთო“ (1,460).

„ჯაყოს ხიზნები“ დარჩა არა მხოლოდ ბოლშევიზმის, არამედ მსოფლიო ტირანიის უხეში ძალის სიმბოლოდ. და ამ სახელით მთელ ეპოქას ახასიათებდნენ ხოლმე: „ზა–ჰეს, აბ–ჰეს, რიონ–ჰეს, ხალხის ძვლებზე ანაგებს, ჯაყოს წითელ კომბალით კრემლის ძალა განაგებს“, წერდა გიორგი ყიფიანი (35,585-586).

სტალინი წარმოდგენილია „წითელი ქვეყნის ულმობელ მრისხანე ღმერთად“, „სისხლით ნაზარდ“, რკინის მახვილის მპყრობლად, ყუმბარებით ცის გამბზარავად, ერთა ყმობის შემოქმედად, „წითელ მეხად“, რომელმაც კოჯორის მთაზე გადატეხა თამარის ჯვარი, რომანოვებად გარდასახულ ტირანად (შრომის ძვლებზე ანაგებს) (35,585-586)

ხალხის ძვლებით აგებული ამ ეპოქის მეთაურებად მოვლენილან „კომბლიანი ჯაყოები“, რომელთაც „საქართველოს ლოცვანის წიგნიდან ამოუშლიათ წარსულის სახელები, მრავალჭირნახულ ქართულ მიწაზე კი „ვანკა– სტანკას“ „შემზარავი სიცილი“ ისმის (იქვე).

მიხეილ ჯავახიშვილი „ჩრდილოეთის სუსხით“ მიგვანიშნებდა თავის რომანში ჩვენი უბედურების სათავეზე, გიორგი ყიფიანის ლექსში კი „ჩრდილოეთის წითელი მოდგმის“ შხამია, გველია ჩვენი მსახვრალი: „... ყელზე მეხვევა საუკუნე გველის პერანგით და შხამს მიმზადებს ჩრდილოეთის წითელი მოდგმა“ (35, 586).

კულტურის, ერის მსახურთ სისხლით და ტყვიით აზღვევინეს, ჯავახიშვილი კი ეპოქის ჯალათის – უხეში ჯაყოს მსხვერპლად იქცა: „აღარ დაინდო მრისხანებამ ტვირთის ამწევნი, სისხლით სავსეა პოეზია ცისფერ ყანწების... პოეზიაში?! პოეტებს ტყვია გხვდათ წილად, ჯავახიშვილიც ხომ იმსხვერპლა უხეშმა ჯაყომ!“ (35, 589).

ციხეში მოხვედრილმა მწერალმა კარგად იცოდა , რომ მას პაოლო იაშვილისა და ტიციანის ბედი არ ასცდებოდა, რომ ცოცხალი ვერ გააღწევდა იმ ჯურღმულიდან, მაგრამ მაინც იმედიანად უყურებდა მომავალს, მას ეიმედებოდა „ბედი მდევარი“, ანუ ღმერთის სამართლიანობა და მისი ოპტიმიზმი ემყარებოდა თავისი შემოქმედების მარადიულობის რწმენას. ტყვექმნილი, უწყალო ჯალათების ხელში ჩავარდნილი მწერლისთვის მთავარი იყო ხვალინ-

დელი დღის მსჯავრი და პატიმრებს მიმართავდა: „მეგობრებო, იმედი ვიქონიოთ ხვალინედი დღისა, მთავარია, რას მიგვიტანს ხვალინდელი დღე“ (1,450).

მწერლის ეს წინასწარმეტყველება ზედმიწევნით ახდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა სწორად დაინახა მარქსიზმის, სოციალიზმის, კოლექტივის არასწორი გეზი, საერთოდ, ეპოქის გეზსამცდარი ხომალდი.

უცდომლად შეამჩნია, რომ პირუტყვივით ბნელი უმეცარი მხეცის და ნადირის დრო დადგა, განუკითხაობით ხელგახსნილი ჯაყო დროს მორგებული, თავით ფეხებამდე სადღეისო იარაღში ჩამჯდარი და სამშვიდობოს გამოღწეული, ფეხამდგარი და მომავალი იყო, თეიმურაზს კი ჰქონდა „მიმავალთა შორის პატივი“.

მწერალი „მიმავალ დროს“, ზნეობის, ტრადიციების, რწმენის, ეროვნულობის გაქრობას გლოვობდა... ხოლო „მომავალს –ჯაყოს“ გულისტკივილით, ზიზღით ხვდებოდა.

პროზაიკოსმა დაუვიწყარი სურათებით ასახა მიმავალიც და მომავალიც.

იქნებ შემთხვევით არ ათქმევინა ავტორმა თეიმურაზს ეჭვიანი სიტყვა ქართულ სულზე, კულტურაზე, ქართველი ხალხის „წაბაძვის ნიჭზე“, რათა გამოეფხიზლებინა ბედს მინდობილი თანამამულენი.

თეიმურაზს „მიმავალს“, ხოლო ჯაყოს „მომავალს“ შემთხვევით არ უწოდებს მწერალი.

„ჯაყოს ხიზნების“ ავტორმა იწინასწარმეტყველა სოციალიზმის სახელით მოვლენილი იდეების მცდარი გეზი.

მწერალმა განჭვრიტა რუსული შოვინიზმის გლობალურ საფრთხედ ქცევა.

ლიტერატურა

1. ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ. 1991
2. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი 7 ტომად, ტ.7, წერილები, თბ. 2008
3. „მნათობი“, 1965, №6
4. დავით კასრაძე, ლიტერატურული პორტრეტები, თბ. 1962
5. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 6; თბ. 1969
6. ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ. 1984
7. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, თბ. 1991
8. ცისფერი სიშორე, თბ. 1998
9. „ლიტერატურული საქართველო“, 2 ოქტომბერი, 1981წ.
10. იოანე–იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994

11. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
12. გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“, თბ. 1991
13. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
14. გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921წ. 20 ივლისი
15. გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921წ. 15 ივლისი
16. გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921წ. 13 ივლისი
17. გაზ: „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921, 28 ივნისი
18. გაზ: „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921, 22 მაისი
19. გაზ. „ტრიბუნა“,1921წ. 8ოქტომბერი
20. სტალინი, ტ. 5
21. „სახალხო განათლება“, 7 ივნისი, 1989წ.
22. ვახტანგ ხარჩილავა, სისხლიანი ქრონიკები, ანტონ ანტონოვ–ოვსეენკო,
ლავრენტი ბერია, თბ. 1989
23. რევაზ მიშველაძე, მინაწერები სატელეფონო წიგნზე, თბ. 1996
24. რევაზ მიშველაძე, რჩეული, თბ. 1994
25. რევაზ მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, თბ. 1993
26. გაზ. „შანსი“ 28 ივნისი, 1999
27. „მნათობი“, თბ. 1924წ. №5-6)
28. შერისხულნი, ტ.I, თბ. 1992
29. „ლიტერატურული საქართველო“, 2 ოქტომბერი, 1981
30. „ლიტერატურული საქართველო“, 1996წ. 29 მარტი–5 აპრილი
31. „ლიტერატურული საქართველო“, 1991წ. 13 დეკემბერი
32. „ლიტერატურული საქართველო“, 25 იანვარი, 1985წ.
33. „მნათობი“, 1990, №4
34. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1999
35. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002
36. „ჩვენი მწერლობა“, 1990, №2
37. გაზ. „საქართველო“, 1918წ. 10 ოქტომბერი
38. გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 24 იანვარი
39. გაზ. „საქართველო“, 1919წ. 18 თებერვალი
40. გაზ. „საქართველო“, 1919წ. 16 აპრილი
41. გაზ. „საქართველო“, 1920წ. 9 ოქტომბერი.
42. სტალინი, ტ.5
43. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
44. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991
45. ელგუჯა მაღრაძე, მოძღვარი, თბ. 1987
46. „ქართული მწერლობა“, 1926წ. №45
47. სერგი დანელია, „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“, თბ. 1921წ.

48. კონსტანტინე კაპანელი, ქართული სული ესთეტიურ სახეებში, თბ. 1926
49. შერისხულნი, ტ. II, გრიგოლ რობაქიძე, თბ. 1994
50. საპატრიარქოს უწყებანი, 2009, 3-9 აპრილი
51. სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991
52. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
53. ჩვენი მწერლობა, №15(145), 24 აპრილი, 2003
54. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბ. 1973
55. „ჩვენი მწერლობა, 17-24 მაისი, 2002
56. ველიკო თოდუა, მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა, თბ. 2004
57. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1925, №21
58. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ. 2004
69. „ცისკარი", 1988, №7.

საქართველოს მომავლის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში

მეოცე საუკუნის 20-იანი წლები უდიდესი ტრაგედია იყო საქართველოს ცხოვრებაში, რადგან სოციალისტურად გარდასახულმა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს ხელმეორედ მოახდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია.

ეს ეროვნული უბედურება ასაზრდოებდა იმ გულისგამგლეჯ ეჭვებს, უიმედობას, ნიჰილიზმს, რაც გამოვლინდა ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში.

თავისუფლებადაკარგული, კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყნის მომავალზე ფიქრს გლოვა აემგზავრებოდა, მაგრამ ღრმად მოაზროვნე ინტელიგენცია, ანა კალანდაძეს რომ დავესესხოთ, „სინათლისაკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე" მაღლდებოდა.

უფრო ადრე ამ გულგატეხილობას ვერ გაექცა მიხაკო წერეთელი (ერი და კაცობრიობა, 1910 წ.), შემდგომში სერგი დანელია (ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი 1927 წ.), კონსტანტინე კაპანელი (ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, 1926 წ.).

„მეფისტოფელის საუკუნედ" აღიქვამდა გალაკტიონი სოციალისტურ სინამდვილეს (ბრმა ცალი თვალით), ტერენტი გრანელი გლოვობდა „მკვდარ" საქართველოს, (1921), სასაფლაოზე ეგულე-

ბოდა ინტელიგენციის ადგილი მიხეილ ჯავახიშვილს (ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან).

ყველაზე დიდი და გადამდები პესიმიზმი მაინც ნიკოლო მიწიშვილის ნააზრევიდან მოჟონავდა, „ფიქრები საქართველოზე" (1927 წ.) ძილს უფრთხობდა გონებაგაღვიძებულ მამულიშვილს.

ამ ეროვნულ აპათიას დაუპირისპირდნენ გრიგოლ რობაქიძე (საქართველოს ხერხემალი), კონსტანტინე გამსახურდია (მთვარის მოტაცება, დიონისოს ღიმილი, პუბლიცისტიკა), გალაკტიონ ტაბიძე (ალვის ხის გადარჩენა, გადარჩენის ბედნიერება, მშვიდობის წიგნი...), ტერენტი გრანელი (ლაზარეს აღდგომის რწმენა), ნიკო ლორთქიფანიძე (ჟამთა სიავე, რეკა).

ერისათვის მსხვერპლად შეწირული მიხეილ ჯავახიშვილის პროზა და პუბლიცისტიკა სამშობლოს, რწმენის, მომავლის გადარჩენის ღრმააზროვანი პროგრამაა.

მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკა გამოირჩევა ეროვნული და გლობალური პრობლემების საფუძვლიანი ანალიზით. წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებით და მომავლის მოვლენების უტყუარი წინასწარმეტყველებით.

წარსულისა და აწმყოს სატკივრების უცდომელი გასიგრძეგანებით მწერალმა წამოჭრა ქართველთა მარადიული პრობლემები – მიმართება უცხო სახელმწიფოებთან და ჩვენი ქვეყნის, მისი სულიერი კულტურის ადგილი საერთაშორისო არენაზე.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სტატიები „ჩვენი ბედი" (1917 წ.), „ჩვენი დამფუძნებელი კრებისათვის" (1918 წ.), „ზავი ოსმალეთთან" (1918 წ.).

მწერალი აყენებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და გასული საუკუნის 20-იან წლებში დაწერა პოლიტიკური ალღოთი გამორჩეული წერილები: „კარები ჩავკეტოთ (გადამიჯნვის საფუძველი)", „საქართველოს კარები", „საქართველოს საზღვრები", „ისევ საქართველოს საზღვრებისათვის", „ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა".

დიდი ტრაგიზმი პირველხარისხოვანი სიტყვის ოსტატისა ნასაზრდოები იყო უნუგეშო აწმყოთი, მაგრამ „ჯაყოს ხიზნების" ავტორს ხელეწიფებოდა მომავალში ჭვრეტა, მერმისის სხივის ძიება, ერის სასიცოცხლო იმპულსების, მისი უკვე გამოვლენილი თუ პოტენციაში არსებული შესაძლებლობების ხილვა, მოვლენების ანალიზი არა მხოლოდ ცალი, არამედ ორი საღი თვალით... სულის თვალით მომადლებული მწერლის განსჯა-ანალიზი ყოველთვის უტყუარი, დამაჯერებელი იყო. ამის დასტურია მისი 1927 წელს დაწერილი წერილი „მასალები ლექციისათვის" (1).

უტყუარი ინტუიცია, მოვლენებისა და პროცესების მეცნიერული, საფუძვლიანი გასიგრძგანება ედო საფუძვლად მწერლის დასკვნებს.

ცნობილია, რა აჟიოტაჟი გამოიწვია ნიკოლო მიწიშვილის წიგნმა „ფიქრები საქართველოზე“ (1), რომელიც ეჭვის, ნიჰილიზმის, სკეპსისის ბაცილებით გამოირჩეოდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა უმალ განჭვრიტა, რა ზიანის მომტანი იქნებოდა ეს ერის დეგრადირებაზე მღაღადებელი წიგნი ქართველი კაცისთვის და გრიგოლ რობაქიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად სცადა მისი ნაფიქრ-ნაგრძნობის გაბათილება, ახალი, ერის რწმენის განმამტკიცებელი საბუთების მოშველიება წერილით „მასალები ლექციისათვის“ (1927 წ.).

მიხეილ ჯავახიშვილის წერილში გამოვლენილია მისი ავტორის დიდი ინტელექტი, ერუდიცია, ისტორიული პროცესების ღრმა წვდომა, ერის ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა.

პუბლიკაციის ავტორს აღაშფოთებდა ნ. მიწიშვილის მიერ ქართველი ხალხისა და სამშობლოს, არარაობის, ბერწობის, უბადრუკობის“ მტკიცება (2, 317), „გულის გამტეხი“ და „სულის გამშაეებელი“ დასკვნები (2, 318).

„ეჭვიანობისა“ და ნიჰილიზმის მორევში ჩავარდნილ ნ. მიწიშვილს საქართველო ეჩვენებოდა „იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში რომ იტყვიან, უშვილობის წამალი აქვს დალეული...“

ამტკიცებდა რა ქართული პოეზიისა და პროზის არარაობას, ნ. მიწიშვილი ასკვნიდა: „მე მას (საქართველოს) ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული? ჩვენი წარსულიც სრული უბადრუკობაა: „იქ (საქართველოში) მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკონწიებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოსას წარსულში... ორი ათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას („ნათლის სვეტს“, „ჯვარს“) და მეეჭვება თვით რუსთაველიც, თუ ის ჩვენი ცხოვრებისგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა, თუ არადა – ან რუსთველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე...“

თავისი დასკვნებით თვითვე შეშინებული და შეწუხებული, სიმტკიცეშერყეული ავტორი აცხადებდა: „... ეს საუკუნე (რაღა მარტო ეს საუკუნე?) ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს... შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს

იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში...

„ჩვენ ვვარდებით სკეპტიციზმში, რომელიც ალბათ მიგვიყვანს ცინიზმამდე."

„საქართველო პასიური მოვლენაა..."

„საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს. ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი უშვილოსნობა და ბერნობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

„...ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი".

ამ სტრიქონების გაცნობისას მიხეილ ჯავახიშვილს აგონდება მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა" (5) მისი „გლოვის ჰანგი", არამეცნიერულ საბუთებზე დამყარებული.

ამავე ჭრილში განიხილავს „ჯაყოს ხიზნების" ავტორი თავისი თეიმურაზ ხევისთავის „პესიმიზმს, მელანქოლიას, მის ბედის სამდურავს, რატომ ინგლისელად, ფრანგად ან გერმანელად არ დავიბადეო" (2, 320).

მიხეილ ჯავახიშვილი მრავალ ქართველში ხედავს „ეჭვის ჭიას", მომავლის შიშს, ნიჰილიზმს, რომელიც „შავი უფსკრულისაკენ, არარაობისკენ, უარყოფისკენ" ერეკება პოეტს და ათქმევინებს: „არც არაფერი ვყოფილვართ, არც ეხლა ვართ, არც შემდეგში ვიქნებით" (2, 320).

ამ წერილისთვის მიხეილ ჯავახიშვილს მიუწერია: „რამ შეგაშინა მაგრერიგად, ძმობილო? რას მაშინებ, რით მაშინებ! შენი არც მეშინიან და არცა მჯერა."

„ჯაყოს ხიზნების" ავტორმა შავი ჭირივით გადამდები ეჭვის ჭიები, „საკუთარი აჩრდილით დაშინებულთა", „საქვეყნო პანაშვიდის" მომწყობთა ამყოლნიც დალანდა და გადაწყვიტა, პასუხი დაეწერა, რადგან კარგად იცოდა ჩაგონების ძალა, რომ მშობლების, წინაპრების „ლოთებად, ავაზაკად, მეძავად, ველურებად, ათაშანგიანებად, უვიცებად, კრეტინებად და უბადრუკებად" გამოცხადება ადამიანს „არარაობად, და ღატაკად, გონჯად, დაავადებულად, უზნედ და უმეცრად" აგრძნობინებს თავს.

უტყუარ ფსიქოლოგიურ ცოდნასა და გამჭრიახ ალღოზე დამყარებული მწერალი დაბეჯითებით აცხადებდა: „მრავლად შეუშხაპუნეთ... ჯანმრთელ ადამიანს ეჭვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ

მტკიცე რწმენა თავისი თავის არარაობისა და შემდეგ თვალყური ადევნეთ. ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოიღუნება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვიან ნებისყოფის აბულია. ჰგდია ჯანსაღი ვაჟკაცი და თითსაც ვეღარ იქნევს, ჰგდია და ელოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინის უნარიც აღარ აქვს. ნირვანა, არარაობა, სრული გარინდება, სამუდამო დასვენება - აი მისი ერთადერთი საზრუნავი.

„...ფსიხოპათოლოგი კარგად იცნობს ამ სენს — ზოგჯერ მასიურს და მუდამ სახიფათოს. ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც ან მისი რომელიმე ნაწილი“ (2, 321).

აქ მწერალი ფრანგების ანდაზას იშველიებს: „ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითრწმენა გამარჯვების ნახევარია“. იგივე ითქმის სოციალურ ფსიხიკაზედაც. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მისი წინაპარნი ვარგებულან, არც თვითონ აქვს რაიმე და არც მისი ჩამომავლობა შეჰქმნის რასმეს თვალსაჩინოს, თუ გამოაცალეთ თავისივე თავის რწმენა და მოუშალეთ იმედი – ასეთი ხალხი წასულია, მისი დღენი დათვლილია. ისც იმ ერთ პიროვნებასავით მალე მოიშლება, მოიღუნება და შეებმება აღმოსავლურ უღელში: გარინდება, ნირვანა პასიურობა, ბედის მორჩილება – აი მისი მომავალი“ (2, 321-322).

ამ მოვლენით, ნებისყოფის და აქტივობის გამოფიტვას ხსნიდა მიხეილ ჯავახიშვილი სამასი მილიონი ინდოეთის დამონებას სამოცი ათასი ინგლისელი ჯარისკაცის მიერ, მაგრამ აღმოსავლეთში ქართველი მწერალი ხედავდა „ბებრულ სიბრძნეს, გულთამხილავ თვალს, ვიზიონერულ ალღოს და მისტიური აღგზნების უნარს“.

ამავე დროს, მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ინდოეთს ბრწყინვალე წარსული და დიდებული მომავალი“ აქვსო.

მწერალი შიშობდა ნ. მიწიშვილის წერილს ურწმუნოება და სულიერი მოდუნება არ გამოეწვია ხალხში.

მიხეილ ჯავახიშვილი დაბეჯითებით აცხადებდა: „...ჩვენი ბიოლოგიური მოდუნება და სულიერ-პოტენციური გაბერწება ზღაპარია, საფრთხობელა, ლანდიაო“ (2, 322).

ემყარებოდა რა ბლუმენბახის თეორიას, აღნიშნავდა, რომ ქართველები კლასიფიკაციაში პირველ რიგში დგანან, ინდო-ევროპული მოდგმა უმაღლესი ნიშანია და მას „კავკასიური რასა“ უწოდაო.

„იშვიათია ქვეყანაზე ჩვენისთანა მოსრული, ნატიფი, ჯიშიანი ხალხი. ეს არ არის კვეხნა – ამას ამბობენ უცხოელებიო“.

მწერალი ხაზს უსვამდა, რომ ქართველმა, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი განსაცდელისა, ეს ჯიშიანობა დღემდე შეინახა და „სიკვდილის კლანჭებს“ საზღაპრო უკვდავი ჭაბუკივით ასჯერვე გავუსხლტითო“ (2, 323).

მიხეილი ფიზიკურ ჯიშს კულტურის გამონათებასთან აკავშირებს: – „კულტურების მსოფლიო გამოფენაზე ანტროპოლოგიურ ჯიშიანობასაც ისეთივე ფასი აქვს, როგორც სულისა და გონების ამა თუ იმ ნაყოფს, რადგან დახვეწილი ჯიშიც დიდი კულტურის შედეგია. ვისაც ჰხიბლავს ელინის პროფილი, რომაელის შუბლი ან ასურელის კუნთი, მას ქართველის თვალი და ცხვირიც მოაჯადოებს. ოღონდ ჩვენს თვალ-ტანადობას სათანადო გატანა სჭირდება მსოფლიო გამოფენაზე. ეს საქმე კი პოეტსა და ხელოვანს აქვთ დაკისრებული. და თუ პოეტი მინიშვილი ვერა ჰხედავს ძველი ბრინჯაოსგან გამოკვეთილ ქართველის ტიპს ან იმის ნაცვლად კრეტინი ელანდება, ეს მისი დაბინდული თვალის ან ნატკენი გულის ბრალია.

ფიზიკურ აღნაგობას ბიოლოგიურ გამძლეობას, უბერებლობას უკავშირებს და პარალელებს ავლებს აწ გადაშენებულ დიდ ერებთან: „ჩვენს ფიზიკურ აღნაბასი განუყრელად ჩაღვრილია ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო ეს ერთი მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს უბერებლობას: მარტო ნინა აზიაში, ჩვენს გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიღუპა, ზოგნი კი მიილივნენ და დაიშრიტნენ, ეს ერები რიგრიგად გვფლობდნენ. შემდეგ ბატონები რიგ-რიგადვე დაგვეხოცნენ. ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგავართ და ჩვენი გზით მივაბიჯებთ-დინჯად მტკიცედ და უდრეკად. ამ გზაზედ მრავალჯერ ჩავვარდით სამარეში – ზოგჯერ ცალი ფეხით, ზოგჯერ კიდევ ყელამდის“.

ისტორიული ფაქტების ცოდნით კეთდება დასკვნა ქართველი ხალხის მარადიულობაზე: „ხალხთა ულეველ ჭიდილში ქართველ ხალხს ებრაელთა უკვდავება და ჭიანჭველას ძალა აღმოაჩნდა. ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა, ჩვენი შხამით მოიწამლა“ (2, 323).

კონსტანტინე გამსახურდია ასეთივე ოპტიმიზმით ეხმიანებოდა ჩვენი ერის ამ მარადიულ პრობლემას: „... ჩვენი ძველი მტრები მიწის პირიდან აღიგავენ, ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე. ქართველი ხალხის სისხლი არავის შერჩენია. ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიდაღა ქართველი ხალხის სისხლში გავლებული ხელები“ (დიონისოს ღიმილი) (3, 140).

ასევე, ბიბლიური ხმალის – იქცევისის გამოყენებით ქართველი ერის გაუტეხელ სულზე აკეთებდა აქცენტს ქართული სიტყვის დიდოსტატი (4, 241).

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „ვინც ამბობს არაფერი ვიყავითო, თვითონ არაფერი იცის ჩვენს წარსულზე და უკან მიხედვა ხშირად სათაკილოდაც მიაჩნია... მხოლოდ ველურები არ იხედებიან უკან, რადგან დასანახავიც არაფერი აქვთ. მაგრამ ველური არც წინ იხედება“.

ტრადიციას, წარსულის ძალასა და მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას ნიკო ლორთქიფანიძე და ის ესახებოდა გადარჩენის გზად: „წინ აღარაფერია ჩვენთვის, თუ უკანიდან არ შემოგვეცქერის წინაპრის მკაცრი, ულმობელი სახე-ტრადიცია; თუ ისა გვაქვს, კიდევ ბევრი რისთვისმე ვვარგივართ, რაც საჭიროა ქვეყნისთვის“ (დანგრეული ბუდეები) (5, 271).

მიხეილ ჯავახიშვილი ყურადღებას მიგვაქცევინებს ერის ისტორიის კავშირზე ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან და აცხადებს: „ამ ფაქტორს ყოვლად უძლეველი და გარდაუვალი ძალა აქვს. მას თანაბრად ერთვის ამავე ერის ხასიათი და პოტენციალური წონა. აი, ეს ფაქტორები ქმნიან და ხსნიან ამა თუ იმ ერის წარსულსაც და მყობადსაც“ (2, 324).

მიხეილ ჯავახიშვილი ითვალისწინებს აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურის გზებს, ქართველი კაცის მიმართებას მსოფლიოს ცივილიზაციასთან, კულტურასთან.

„მსოფლიო კულტურის მთავარი გზა... აღმოსავლეთიდან წამოვიდა – მეცნიერება, ხელოვნება, რელიგიები, სოციალურ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სისტემები. ეს დიდი მდინარე ჩინეთ-ინდოეთ - შუა აზიიდან ჯერ მცირე აზიაში ჩამოვიდა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოედო (საბერძნეთი, ეგვიპტე, რომი, კართაგენი, არაბეთი), შემდეგ ლათინთა ქვეყნები ააყვავა და დასასრულ ევროპის ჩრდილო-დასავლეთსა და ჩრდილოეთისკენ შეუხვია.

„ეს მდინარე საქართველოს ასცდა. ჩვენ გვერგო მხოლოდ სანაპირო ტალღები. ამ წინწკლებითაც კი... უხვად ვისარგებლეთ. და თუ ჩვენი კულტურის ტაძარი ზეცას ვერ მივაბჯინეთ, ეს არ არის ჩვენი ბრალი: მუდამ გვინგრევდნენ, გვმუსრავდნენ, გვახრჩობდნენ“ (2, 325).

„...მსოფლიო კულტურის მდინარე მუდამ ზღვის ნაპირებს მისდევდა (საბერძნეთი, რომი, ჩინეთი, ინგლისი, ამერიკა, იაპონია). როცა კოლუმბმა ახალი ქვეყანა აღმოაჩინა და კულტურის ცენტრი ჩაკეტილ ზღვებიდან ოკეანეში გადაიტანა, ეს იტალიის საზღვაო ქალაქების მომავალ დაქვეითებას მოასწავებდა. ინგლისმა ზღვების წყალობით დაიმკვიდრა დღევანდელი ადგილი, რუსეთის ომები გამონვეული იყო ჯერ ზღვის მოპოვების, შემდეგ საზღვაო ხაზის გაფართოებისა და ბოლოს შავი ზღვიდან გასვლის წყურვილით (2, 326).

შავი ზღვის ნაპირზე ვერ გაიშლებოდა მსოფლიოს მარშრუტების ცივილიზაცია, რადგან ეს ზღვა მოწყვეტილია მსოფლიო გზებს. მეორე: მისი გასაღები მუდამ სხვის ჯიბეში იდო, ... საქართველოს აქ მხოლოდ ერთი მტკიცე ალაგი ჰქონდა... ასე ავცდით მსოფლიო კულტურის გზებს...

„დიდი საუაჭრო გზები ასცდა საქართველოს, სამაგიეროდ და ჩვენდა საბედისწეროდ – დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული გზები არ აგვცდენია... ორი საუკუნე ვზიდეთ არაბების უღელი, ირანი, სელჯუკეთი და ბიზანტია ჩვენს თავზე შეასკდნენ ერთმანეთს. საქართველო ყველასთვის ან მარცხენა ფლანგი იყო, ან მარჯვენა ფრთა, ამიტომ მცირე აზიაში ომი არ ატყდებოდა, რომ მებრძოლნი ჩვენს ქვეყანაშიც არ შემოჭრილიყვნენ, ხოლო ათიოდე წელიწადიც იშვიათად გაივლიდა, რომ ჩვენს გვერდით და ჩვენს თავზედაც ცეცხლის გრიგალი არ ავარდნილიყო..."

მწერალს არ ავიწყდება ჩვენი ქვეყნის რწმენისათვის გაღებული მსხვერპლი, ქრისტიანობის სახელით მომავალი ბიზანტიისა, სპარს-ოსმალთა, ელინელთა, რომაელთა, ასურეველთა ძალმომრეობა ჩვენს თავზე (2, 327).

მიხეილ ჯავახიშვილი იმოწმებს განთქმული არქეოლოგის და აღმოსავლეთმცოდნის პროფესორ კოლინიონის ნათქვამს: „ქართველი ხალხი სხვაგან სადმე რომ ყოფილიყო დასახლებული და ნორმალურად განვითარებულიყო, ეხლა ას მილიონზე მეტი იქნებოდა. ამ პატარა კუნძულს მეტად დიდი ზღვები სჭამდნენო" (2, 327).

მწერალი იხსენებს არაბების ბატონობას ჩვენში ორი საუკუნის მანძილზე, ბუღა-თურქის მიერ 50 000 კაცის ამოწყვეტას, მონგოლების, თემურ-ლენგების, მურვან-ყრუების და ჯალალ-ედინების თარეშს ჩვენს მიწაზე. შემდეგ სპარსეთისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს განაწილებას, მათ ხელშეკრულებას ქართველი ხალხის სრულიად ამოწყვეტისთვის, აბასი თითქმის აღწევს მიზანს, ასიათასობით გვმუსრავს, ასიათასობით გვერეკება სპარსეთში და აქ ასახლებს თავის ერებს. ოსმალეთი გვჭრის მარჯვენა მკლავს – სამცხე-საათაბაგოს და ტაო-კლარჯეთს. ან სიკვდილი, ან სულის გამოცვლა – აი მათი მიზანი, რომელსაც ნახევრად მაინც აღწევენ. ტფილისში უკვე ქართველი როსტომ ხანები და შაჰ-ნავაზები სხედან, ქოშ-ხალათი აცვიათ, შუბლზე ნამგალა მთვარე აკრავთ, მეჩეთებს აშენებენ, ხოლო ხალხი ათი ათასობით იყიდება და სწყდება სპარსთა და ოსმალების სისხლის გადახალისებისა და დიდი პოლიტიკისათვის. აღმოსავლეთის ბაზრები სავსეა ქართველი მონებით, ზოგი მტრის ნადავლია, ზოგი ხარკია, ზოგი კიდევ ჩვენი გაყიდულია... ლეკების მოხარკენიც ვიყავით.

...ევროპამ ერთხელ იხილა ჰუნების საშინელება, ჩვენთვის კი რკინისა და ცეცხლის სეტყვა შეჩვეული ჭირი იყო. ევროპას დღესაც აჟრჟოლებს ატილლასა და ალარიხის გახსენებაზე, ზოგმა ქართველმა კი მალე დაივიწყა ათჯერ მეტი და უარესი: ჯალალ-ედინი, მურვან-ყრუ, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი, აღა-მაჰმადი, შაჰ-თამაზი, ნადირ-შაჰი და კიდევ მრავალი მათი მსგავსი უცხოელი და

შინაური... დედაქალაქი თბილისი 36-ჯერ დაანგრიეს და დავიბრუნეთ".

აქვე მშვენიერი მიგნებული მაგალითი ახსენდება ლ. ტოლსტოის „ჰაჯი მურატიდან": ტოლსტოი მშვენივრად ადარებს ხაჯი მურატის გამძლეობას თავცეცხლას ეკალს, დაგლეჯილ-დაფლეთილს, დამტვრეულს, რომელიც მაინც სდგას და არც ხმება. ჩვენც ამას ვგავართ და ჩვენი ბედიც ასეთი იყო. შარაგზა, თავცეცხლა, ათასი გამვლელი, თელვა, ცემა, მსხვრევა და... მაინც ზეზე ვართ, მაინც ვცხოვრობთ, მაინც ვიცხოვრებთ...

ჩვენ მუდამ ცეცხლში ვცხოვრობდით... ხერხემალი მრავალჯერ დაგვიმსხვრიეს, მაგრამ ისევ ვიმრთელებდით და ისევ ვაშენებდით (2, 329).

...ჩვენი წარსული სავსეა შავი ფურცლებით, საზღაპრო საზიზღრობით. ყოველნაირი ლენცოფა და შხამიანი ბალახი უხვად არის გაბნეული ჩვენს გზაზე: ურთიერთის ჭამა და მუხანათობა, ღალატი და მზაკვრობა, „ყიყვი და ეშმაკი". მაგრამ ამის გამო ჩვენი წარსულისა და საკუთარი თავის დაფასების დროს საღი მსჯელობის უნარს ნუ დავკარგავთ და უკიდურესობაში ნუ გადავვარდებით. გავიხსენოთ ბუნების კანონი. დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზედაც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი, ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვი და ეშმაკიც" მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისგან. ... ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, შიმშილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნა, განადგურება, კონდოტიერობა და დაშლა პროვინციებად, გამარჯვებული მუდამ ხელს უწყობს ამას: შლის, არღვევს, აქეზებს, ერთმანეთზე უსევს და ამრავლებს „ყიყვს და ეშმაკს", და ჩვენს ისტორიაში ნითელი ზოლივით მოჩანს გამარჯვებული მტრის მომუშავე მკლავი. ამით და მხოლოდ ამით აიხსნება, რომ საქართველო თითქმის მუდამ დაქსაქსული იყო (2, 330).

მიხეილ ჯავახიშვილს აღაშფოთებს ნიკოლო მიწიშვილის განაცხადი: „საქართველოში მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ" - სწერს მ-ი და მეორე სტრიქონშივე პოულობს მას : „ჩვენშია ჩამჯდარი ეშმაკი და ანგელოზი – იგივე ღვთის ხელი, და სწუხს პოეტი ამის გამო – ლამის დასწყევლოს ან უკვე სწყევლის ქართველობას. დავამშვიდებ".

მწერალი არ ღებულობს ცალთვალათა მიერ დამახინჯებულ სინამდვილეს, იგი ობიექტურად, ორი თვალით ხედავს ეშმაკსაც და ანგელოზსაც: „ჩვენ, ქართველები, ანგელოზები არა ვართ. ამქვეყნად ცალცალკე მარტო ანგელოზები ან ეშმაკები არცა ცხოვრობენ. ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც სხვები – ყველანი და ჩვენცა გვყავს (თუ გვაქვს) ეშმაკიც და ანგელოზიც. ცალთვალა

მხოლოდ ერთ-ერთს ხედავს: ან მარტო ანგელოზს (რომანტიზმი), ან მხოლოდ ეშმაკს (ნიჰილიზმი, პესიმიზმი). ორთვალა კი ყოველი ხალხის ხასიათსა და ისტორიაში ადვილად აღმოაჩენს ორივეს. ნ. მიწიშვილს ცალი თვალი დახუჭული ჰქონდა და ამიტომ ვერ მოჰკრა თვალი სიმართლეს, ანგელოზსო".

მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი დიდი მართლმადიდებელი წინაპრებივით, ღმერთის, ანგელოზის, რწმენის პოვნისკენ მოგვიწოდებს: „... საჭიროა, უეჭველად საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძებნა და პოვნა, თორემ არ ძალუძს უანგელოზოდ ცხოვრება და განვითარება არც ცალკე პიროვნებას, არც ეროვნებას, არც რომელიმე მის ნაწილს, ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს, ამიტომ ვინც (ერმა თუ პიროვნებამ) თავისი გულიდან ანგელოზი განდევნა ან დაჰკარგა, მან განთავისუფლებული ალაგიც ყიყვსა და ეშმაკს დაუთმო, ხოლო ვისაც მარტო ეშმაკი დარჩა, თვითონაც გაეშმაკდა – გონებითაც, სისხლითაც და სულითაც. რწმენა... მხოლოდ... რწმენა და განვითარებული გონება ასხვავებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისაგან... ურწმუნოებას ფეხდაფეხ მოსდევს სკეპსისი და ცინიზმი.., გარინდება და ნირვანა, ნებისყოფის აბულია და სიკვდილი, ანუ უფრო უარესიც-ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ-ფიზიკური დეგენერაციაა, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი" (2, 332).

ხსნას რწმენისაკენ მობრუნებაში ხედავდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი.

„უღმერთოდ ჩვენ ხომ არარა ვართ. უღმერთოდ ჩვენი სული გაბზარულ ზარსავით ჟღერს", ნათქვამია კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის ღიმილში" (3, 180).

„...ხალხი უღმერთო ცხოვრების დიდხანს ვერ აიტანს, ოდესმე ურვისაგან მხეცივით გამძვინვარებული აღდგება, რათა ჯვარს ეცვას ღმერთისთვის", აცხადებდა გრიგოლ რობაქიძე (6, 21).

მიხეილ ჯავახიშვილი საუბრობს ეროვნული კულტურის სამ დარგზე – მატერიალურსა, გონებრივსა და სულიერ-ზნეობრივზე, ჩვენი უუძველესი წინაპრების – ხეთების უუმძლავრეს სახელმწიფოზე – ასურეთზე, მის მსოფლიო მნიშვნელობაზე, შემდეგ კავკასიონის ქედთან ახლის შენებაზე... ქართველების — მესხებისა და ხალიბების ლითონის მრეწველობაზე, ჩვენი სიმდიდრის გამო შემოსულ არგონავტებზე, მოგვებისა და ორმუზდის რელიგიის ქრისტიანობით შეცვლაზე. ჩვენ ავიცილეთ ბერძნების მიერ ჩვენი გაბერძნება ქრისტეს სახელით... როცა ევროპა-ბიზანტია შავმა ფანატიკოსობამ მოიცვა, ჩვენში დიდი ჰუმანისტური ეპოქა დაიწყო. ჩვენ ევროპას დავასწარით ჰუმანისტური ეპოქის შექმნაში. საბერძნეთიდან ნეოპლატონიზმი განიდევნა, საქართველოში კი თავისუფლად ვი-

თარდებოდა. გავიხსენოთ შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსი პეტრიწონელი და მრავალი მათი მიმდევარი. ამ ხანებში ევროპა იცნობდა პროკლეს სახელმძღვანელოს – შემოკლებულსა და დამახინჯებულს, პეტრიწონელმა კი დაგვიტოვა მშვენიერი თარგმანი და თავის მიერ შესანიშნავად დაწერილი განმარტებანი ამ წიგნის“ (2, 333).

საბერძნეთსა და ევროპაში ასეთ ხალხს სწვავდნენ, იქ შოთას და იოანეს ცეცხლი არ ასცდებოდათ, ჩვენმა ნათელმა გონებამ და მომთმენმა სულმა კი... ვის და რას არ მისცა არსებობისა და განვითარების ასპარეზი“ (2, 334).

ქართველი მწერალი ხაზს უსვამს ქართველთა ტოლერანტობას, უცხო ერებისა და ენებისადმი პატივისცემას: „დავით აღმაშენებელი თავის თავს ქრისტეს მახვილს უწოდებდა, მაგრამ ამავე დროს მუსლიმანებს, სუფებს და პოეტებს თავშესაფარს უშენებდა, საცხოვრებელს აძლევდა, აჯილდოებდა. იმის შვილს დიმიტრის სინჯარის სულთანთან არაბულ და სირიულ ენებზე აქვს მიწერ-მოწერა: იმ დროის თაობამ და დიმიტრიმაც ბერძნულიც და სპარსულიც კარგად იცოდა“ (2, 334).

XI საუკუნიდან მონგოლების მოსვლამდე (ადრეც და შემდეგაც) ქართველებმა მთელ ქვეყანას დაუმტკიცეს, რომ მათ ომის გარდა წესიერი სახელმწიფოს აშენებაც და უცხოელების გამოყენებაც შეეძლოთ. ყველანი მუშაობდნენ საერთო სახლის აგებისთვის: ქართველები, სომხები, მუსლიმანები,. ოსებიც და აფხაზებიც.

იმ ხანებში უკვე არსებობდნენ სახელმწიფოებრივი ორგანოები: ჯარი, ბეგარა, ფულის სისტემა, მიმოსვლა, გადასახადები, აღწერა, სასამართლო.

...ჩვენებური დარბაზი ჩანასახია პარლამენტარიზმის. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა ალაგმა ფეოდალიზმი, ხოლო თამარის დროს უგვარიშვილო მსახურნი – ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი სახელმწიფოს უმაღლეს საფეხურზე ადიან. ამავე ხანებში ჩნდება ერთგვარი პარლამენტარული მოძრაობა, მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-ასლანის დასი თუ წრე თხოულობს თამარ მეფისგან „კარავში დასხდომას“ - პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შემოღებას.

აქვე ხაზგასმულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალისადმი პატივისცემის საკითხი: „შედარებით აღმოსავლეთთან ჩვენი დედაკაცი თავისუფალია, თითქმის მამაკაცის სწორია. თამარი და რუსუდანი ტახტზე ადიან... შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ქართველი მონაზვნები თარგმნიან, რედაქტორობენ და მასწავლებლობენ... ამორძალობა ზღაპარი არ არის“.

არც იმდროინდელი მედიცინის დონე ავიწყდება წერილის ავტორს:

„დავითისა და თამარის დროს საქართველოში საავადმყოფოები ჰქონდათ... არის ცნობა, რომ მეფე ლუარსაბის ძმა დაუთ-ხანი აქიმობით მთელს მცირე აზიაში ყოფილა განთქმული. ყვავილის აცრა ინგლისელმა მეცნიერმა ჯენერმა მოიგონა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბერძენი ემანუილ ტიმონი კი სწერს 1713 წელს, რომ ქართველები დიდი ხანია აცრით სწამლობენო.“

წერილში წარმოჩენილია ქართველთა წარმატების ყოველი მხარე:

ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ ობსერვატორია გვქონდა ტფილისში. მონგოლების შემოსევამდე საქართველო დასერილი იყო გზებით, არხებით, ქვითკირის შენობებით, ციხე-სიმაგრეებით და საუცხოო ტაძრებით. ამისათვის... შრომისა და სიმდიდრის გარდა საჭირო იყო ცოდნა მექანიკის, ჰიდროტექნიკის, მათემატიკის და მრავალი დამხმარე საგნების.

მწერალს მოაქვს მარის ცნობები კლარჯეთის ტაძრების ნანგრევებზე, მონასტრებზე, გზებზე, ხიდებზე.

მარტო მტკვარზე, ტფილისიდან მტკვრის სათავეებამდე ოციოდე ქვითკირის ხიდი იყო გადებული, რამდენიმე ათეული ჯიშის ვაზი, ფერდობ-გორებზე გაშენებული საწნახელები და მარნები, კლდეებში გამოჭრილი გზები, გრძელი, დიდრონი არხები – მხოლოდ განზრახ თვალდახუჭული ვერ დაინახავს ამას... და ვერ გამოიტანს დასკვნას. მარტო ჩიყვი, ეშმაკი და არარაობა ვერ ააყვავებდნენ ამრიგად მთაგორიან ქვეყანას. ამის შექმნა შეეძლო მხოლოდ „ანგელოზსა და ღვთის ხელს“... ასეა მუდამ: ვინც ანგელოზს გაექცა, მას თვითონ ანგელოზიც გაუწყრა და სასჯელად დაბრმავების განაჩენი დაუტოვა, ახია მათზე! იარონ ამიერიდან თვალდახუჭულებმა და ანგელოზის ნაცვლად ატარონ ჩიყვი და ეშმაკი, ვნახოთ როდემდის გაუძლებენ“ (2, 337).

ბუნებრივია, წერილში უძველეს ქართულ მუსიკალურ კულტურაზეა საუბარი: „შპენგლერი ფუგის სათავეს ევროპაში ხედავს, მაგრამ მას არ სცოდნია: ფუგა ევროპიელებზე ადრე ქართულ მუსიკაში მოიძებნებოდა. აქაც დავასწარით ევროპელებს და შპენგლერს რომ ყური მოეკრა ამ ამბავისთვის, ...ფაუსტურ ცივილიზაციას სხვა საფუძველს მოუძენიდა: „დიდი შპენგლერი, დიდი ევროპის, დიდ კულტურას ფუგით ახასიათებს, ეს ფუგა კი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია ჩააქსოვა „მუმლი მუხასა“ და მრავალ სხვა ხალხურ კილოებში. ამის შემდეგ კიდევ გამოვა ვინმე და იტყვის: მე ღვთის ხელს ვერ ვხედავ ქართველ ხალხშიო“ (2, 338).

რიტმიკის მხრივ ვერცერთი ერი ვერ შეედრება ქართულ სიმღერას. პროფ. კონდაკოვი და მრავალი სხვაც-აღტაცებული იყო ჩვენი სიმღერებით. ჩვენი ორხმოვანი და სამხმოვანი სიმღერა ხომ არავის უთმობს პირველობას კულტურულ დავაში.

უკვე რამდენიმე საუკუნის წინ გვქონდა ჩვენებური ნოტები, რომელნიც ეხლაც ნაუკითხავნი არიან."

მწერალი საუბრობს ოპერის, ქანდაკების განვითარებაზე, ქართულ ჩუქურთმაზე, საფარის ბარელიეფებზე, რომელმაც გააოცა დიუბუა დე მონპერე, კონდაკოვი და სხვები. სპარსელები, ოსმალები, მონგოლები და ლევაშოვები ჩვენი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, სამკაულებსა და თვალ-მარგალიტს პარკებით, აქლემებით, ურმებით და ფურგონებით ეზიდებოდნენ... დაიკარგა მინანქრობის, ოქრომჭედლობის, მინიატურების საუკეთესო ნაწილი" (2, 339).

ქართული ხელოვნების მხატვრული ნაწარმოებების შესანიშნავ ტექნიკაზე საუბრისას მიხეილ ჯავახიშვილი იმონმების კონდაკავის აზრს.ჩვენს ორნამენტებს, მინანქარს და ფრესკას ადარებს ბიზანტიურს და იტალიურს.

ქართული ხუროთმოძღვრების სიდიადის დასტურად მიაჩნია ციკლოპური მანგლისი, უფლისციხე, ვარძია, მცხეთის, ბანას, გელათის, ოშკის და სხვა ტაძრები.

წერილის ავტორი იმოწმებს გერმანელი მეცნიერის კოხის აზრს: აღმოსავლეთში ორი უდიდესი ნაშთია არქიტექტურის – აია სოფიო და ბანას ტაძარიო.

საოცრებათა შორის სახელდება ვარძია.

მწერალი იხსენებს „ცოდვილ დამიანეს" და ბასილ ხურციძეს, ბეშქენ და ბექა ოპიზარებს, არსენ ტფილელს, ხანძთელს, პეტრიწონელს.

ქართული ხასიათისა და გენიალური ნიჭის ნათელ გამოსხივებას ხედავს ჩვენს ლიტერატურაში.

პატარა ხალხის ფსიქიკით ხსნიდა მიხეილ ჯავახიშვილი ქართველთა მორიდებას, თავმდაბლობას, საკუთარი ძალების შეუფასებლობას და ამ „მომღუნავი სენის" განკურნების აუცილებლობაზე საუბრობდა.

წერილი დაწერილია 1927 წელს და ხელს უწყობს ქართველ კაცში საკუთარი ძალების რწმენის, თავმოყვარეობის, მომავლის იმედის გაღვივებას.

საპატიმროშიც, სიკვდილის მოლოდინში, სამშობლოს მომავალზე, „ბოლშევიკური და რუსული უღლისგან" განთავისუფლებაზე ფიქრობდა მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ასე ამხნევებდა ახალგაზრდობას: „...დადგება... დრო სანეტარო, როდესაც ქართველი ხალხი გადაიგდებს მონობის უღელს თავის ქედიდან და იცხოვრებს ისე სახელოვნად, როგორც უცხოვრია თავისი ძლიერების ხანაში. ჩვენ აღვსდგებით!.. გადაეცით ქართველ ხალხს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი ვიყავი... გადაეცით, რომ იმედით სავსე ვკვდები საქართველოსათვის" (8, 54).

საქართველოს ავბედით წარსულში ჭვრეტა ხელს ვერ უშლიდა ნიკო ლორთქიფანიძეს იმედის თვალით ექცირა მომავლისათვის: „ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, - გვჯობნიდნენ მოხერხებით, დაიღუპნენ, ჩვენ დავრჩით. ძლიერი იყვნენ ჯარში რომაელნი – გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით. სილამაზის მარად მსახურნი ბერძენნი გადაშენდნენ. ჩვენ კი ვართ, როგორც ჭადარი სხვა ხეთა შორის. ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ. ჩვენი დღეც დადგება ოდესმე, უეჭველია, მაგრამ განგებას ჯერ არ გადაუწყვეტია“ (7, 624).

„საქართველო აღდგება!“ ეხმიანებოდა აღდგომის ზარების რეკვას პოეტის ეროვნული გულისთქმა (რეკა).

ამ რწმენით სულდგმულობდნენ ჩვენი ერის სულიერი მოძღვრები, ქართული სიტყვის დიდოსტატები.

ლიტერატურა

1. ნიკოლო მიწიშვილი, ფიქრები საქართველოზე, „ქართული მწერლობა“, 1926 წ. 45.
2. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი 7 ტომად, ტ. 7, თბ. 2011.
3. კონსტანტინე გამსახურდია, ოცტომეული. ტ. II, თბ. 1994.
4. კონსტანტინე გამსახურდია, ტ. VIII, თბ. 1995, გვ. 241.
5. ნიკო ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1950.
6. გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“, შერისხულნი, ტ. II, თბ. 1994.
7. ნიკო ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ. I, თბ. 1958.
8. ჟურნალი „გზა“, 4-10/VIII, 2001.

თავი VII.

კონსტანტინე გამსახურდია — ქართული პროზის ორთავიანი იანუსი

რუსული რევოლუციის გელადის – ლენინის პოლიტიკის მხილება და რევოლუციური ეპოქის მომავლის წინასწარჭვრეტა

1921 წლის 8 მაისს გაზეთ „სოციალისტ–ფედერალისტში“ დაიბეჭდა კ. გამსახურდიას „ღია წერილი ულიანოვ ლენინისადმი“ (1,3) წერილის ავტორი მაშინ 28 წლის იყო.

წერილი დაწერილი იყო რუსეთ–საქართველოს შორის ხელშეკრულების წლისთავზე.

კ. გამსახურდია ლენინს „მთელი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმულ კაცს, ძველ რევოლუციონერს“ უწოდებდა.

„ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობს ტკივილები ქართველი ხალხისა“, ნათქვამი იყო წერილში.

კ. გამსახურდიას შესაძლებლად მიაჩნდა რუსეთთან საერთო ენის მოძებნა ადამიანთა მოდგმის თანასწორობის საერთო პრინციპიდან გამომდინარე: „ადამიანების მოდგმის თანასწორობის პრინციპამდის თქვენ თუ ჰეგელით, პრუდონით და მარქსის მიხვედით, ჩემი გზა იყო გზა ნეტარ ავგუსტინისა, წმ. ფრანჩესკო ასიზელისა. ჩემთვის წმ. ფრანჩესკოს მისტერიული ქორწილი ქალბატონ სიღარიბესთან ისეთივე ძვირფასი დოკუმენტია ზოგადადამიანური ეთიკისა, როგორც თქვენთვის კარლ მარქსის კომუნისტური მანიფესტი“.

პოლიტიკური გაგების საფუძვლად კი ქართველ მწერალს მიაჩნდა ის გავრცელებული ცნობა, რომ ლენინი აძაგებდა ზოგიერთ კომუნისტ „რუსოფილებს“, რომელნიც კომუნიზმის სახელით დიდი რუსეთის შემკრებით პოლიტიკას ანარმოებენ“.

წერილში ხაზგასმულია რუსეთ–საქართველოს გამწვავებული დამოკიდებულება, „„თუმცა თქვენი წითელი არმია განმათავისუფლებელი ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოშიო“.

მწერალი აღნიშნავს ალექსანდრე I ჯარების განმათავისუფლებელ როლს მუსულმანური აღმოსავლეთის წინააღმდეგ, რომ „ნახევრად ევროპულ–მონარქიული რუსეთი ებრძოდა ტირანულ სპარს–ოსმალეთს“.

„ირაკლი მეორისა და გარსევან ჭავჭავაძის პოლიტიკა ერთადერთი შესაძლებელი პოლიტიკა ყოფილა იმ დროს“, მაგრამ „ასი წელიწადი დიდი რუსეთის პოლიტიკამ იმდენი ბოროტება დათესა

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, რომ თვით ისეთმა დიდმა ქართველმა კოსმოპოლიტმა, რომელიც თავისი მოღვაწეობის ოცდაათი წლის განმავლობაში ეროვნულ ფაქტორს უარყოფდა, ... აღიარა, რომ საქართველოს ერთადერთი და შესაძლებელი ორიენტაცია ეს ევროპის ორიენტაციააო. ეს იყო ნოე ჟორდანია.

„...ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურებამ, ქართული ენის სისტემატურმა დევნამ აიძულა საქართველო რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოერიცხა თავი“...

„ძველი რუსეთის“ სატანური პოლიტიკის მხილებით იწყებს ქართველი მწერალი თანადროულობის უმწვავეს სატკივრებთან მისვლას: „ძველი რუსეთი არ იზიარებდა რუსეთის მცირე ერებთან თანასწორუფლებიანობისა და თანაზიარობის პრინციპს“, რადგან მისი პოლიტიკა „კაციჭამიური“ იყო და მიზნად ისახავდა მცირე ერების ეთნიური და კულტურული ფერადების წაშლას, ცდილობდა „არასლავიანური შტრიხები ნაეშალა გეოგრაფიულ კარტიდან“... ერთი შეხედვით, ეს მესამე რომის იმპერია უძლიერესი იმპერია იყო ყველა იმპერიათა შორის..., მაგრამ იგი დაილეწა, როგორც თიხის კერპი და შემდეგ ის იყო, რომ რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოითიშნენ პოლონეთი, უკრაინა, ჰოლანდია, საქართველო და ყველა არასლავიანური ერთეულები, რადგანაც თავისი ნებით არავის სურდა უმადურ რუსეთთან თანამშრომლობა“.

რევოლუციის ორი თვის შემდეგ წითელი რუსეთის ბოროტება აშკარა გახდა: „წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები,რკინის გზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის“.

კ. გამსახურდია ნიღაბს ხდიდა კომუნისტურ რუსეთს, რომელსაც სურდა თბილისის ამიერკავკასიის რეზიდენციად, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადება.

მწერალი ასე ხსნიდა ამ ფაქტს: „...საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გაჰხადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვდა“.

ასევე, წერილში მითითებული იყო, რომ „თბილისელი კომუნისტები, პატრიოტები ვერ თანამშრომლობენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული“.

კ. გამსახურდია ნაპოლეონ ბონაპარტესა და ლენინის პოლიტიკაში თანხვედრას ხედავდა და ორივეს იმპერიულ ამბიციებს ამხელდა: „თქვენ ამბობთ, კომუნიზმს საზღვრები არ უნდა ექნეს.“

„ნაპოლეონი: საფრანგეთის იმპერიას იქ უნდა ექნეს საზღვრები, სადაც მზე ამოდის და ჩადისო.

„ორივე აბსოლუტური გენიები ხართ ორი დიდი რევოლუციის.

„ნაპოლეონის მსოფლიო–ისტორიული ამოცანა ორი მთავარი მუხლით ამოიწურება:

„ინგლისის მსოფლიო ბატონობის დახშობა და ევროპის ერთი დიდი კონფედერაციის შექმნა. უკანასკნელ შემთხვევაში ნაპოლეონი უარყოფდა ეთნიურ შტრიხებს და ნიუანსებს, გენერალ ბონაპარტს ეწადა ევროპის რადიკალიზაცია, ხოლო თქვენ – როგორც აზიისა, ისე ევროპის.

„თქვენ გაცილებით რადიკალური ხართ, თქმა არ უნდა, ამ მიზნებში თქვენ უახლოვდებით თქვენს კორსიკელ ბონაპარტს, მაგრამ მიზნების პარალელიზმი სრულიადაც არ გავალებთ, ორივე ერთად და, ამავე დროს, ფატალური შეცდომის მსხვერპლი გახდეთ„

„ნუთუ დღეს ყველასთვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური ნიუანსების და შტრიხების წაშლა აწი აღარ შეიძლება?“...

ამის მსხვერპლი გახდა ნაპოლეონი. იგივე შეცდომები გაიმეორეს ვერსალში...

„ნაპოლეონი ჩემთვის ყველაზე უფრო ტრაგიკული პიროვნებაა მსოფლიო ისტორიის გმირთა გალერეაში... მან სანტ ჰელენეზე შეიგნო ალბათ თავისი შეცდომები.

...მან მთელი ევროპის კონცენტრაცია მოინდომა ფრანგული ტრიკოლორის და პარიზის გარშემო“.

„თუ გენიალური ადამიანები მეტეორებია, რომელნიც გზას უნათებენ საუკუნეს, ყველამ გაიგოს საუკუნის დემონის კარნახი.

„ყველამ წაიკითხოს ნაპოლეონის სანტ ჰელენის მარტვილობის დროს დაწერილი სტრიქონები:

„მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ!"

„საქართველოში ორიოდე თაობა შეინირა ძველი რუსეთის ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალური სახელმწიფოსათვის ბრძოლამ... დღეს ტფილისში ძველი შეცდომების გამეორებას ლამობენ. თქვენი ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის“ განმეორებას! თუ მემარცხენე რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.

...ერთადერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა ის იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს, უთხარით და მოსწერეთ

იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს.

„ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას“. 1921 წ. მაისის 7.

1925 წელს დისპუტი გაიმართა თემაზე „რევოლუცია და ლიტერატურა“, სადაც კონსტანტინე გამსახურდიამ წარმოუდგენელი გამბედაობა გამოიჩინა, როცა განაცხადა, რასკოლნიკოვი და ლენინი ერთი დედის საშოდან მოდიან, ანუ ორივენი მკვლელები არიანო (2,96).კ. გამსახურდიას ლენინისადმი გაგზავნილი წერილის პასუხი დაიბეჭდა გაზეთში „პრავდა გრუზიი“ (№59) ინიციალებით. მისი მისამართით მწერალმა დაბეჭდა „პასუხი“. იგი საყვედურობს წერილის ავტორს ინიციალებით, თანაც არაქართულ ენაზე წერას. ეს წერილი დასტამბულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში, რადგან ეს პარტია პოლიტიკური მესაჭის როლშია.

მწერალი განმარტავს, რომ შველას არ თხოვდა ლენინს, რადგან „ქართველი ხალხის ხსნა თვით ქართველი ხალხის მაჯასა და მკლავშია“.

კ. გამსახურდია ლენინს მიიჩნევს „გულწრფელ რევოლუციონერად“, „სოციალურ ექსპერიმენტატორად“, კომუნისტური იდეოლოგიის საღი ელემენტის პერსონიფიკაციად, განსხვავებით ფეხის ხმას აყოლილებისგან.

მწერალს ლენინის დამსახურებად მიაჩნია ყოველ რუს ჯარისკაცში ადამიანური ღირსების გაღვივება, მისი „ამხანაგად“ მიჩნევა ყველასგან. პიროვნების ემანსიპაციაზე ლენინამდე ლაპარაკი არ ყოფილა. მწერალი აღნიშნავს, რომ იგი წერდა: „რამდენადაც ბოლშევიზმი განსაზღვრული იდეების მატარებელია, სიგიჟეა მის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა“.

კ. გამსახურდია არ ეთანხმება ოპონენტს, თითქოს გაუმართლებელი იყოს ბონაპარტთან ლენინის შედარება.

იგი ისევ ხაზს უსვამს, რომ „ყოველი დაპყრობა ისტორიის მანძილზე მუდამ განმათავისუფლებლის როლში მოუხდენია დამპყრობელს... შირმა იყო რევოლუციონური იდეები მონაპარტის მსოფლიო პოლიტიკისთვის“.

მწერალი ისევ იმეორებს, რომ წითელმა რუსეთმა სულ ორიოდე თვის განმავლობაში მოსპო სამი უმთავრესი ატრიბუტი საქართველოს სახელმწიფოსი: დამოუკიდებელი რკინიგზა, საზღვრები, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

საზღვრები ს.პ. ბურჟუაზიულ ჩარჩოებად მიაჩნია, რაზედაც მხოლოდ კ. გამსახურდია ოცნებობს, „მე კი მგონია, რომ ქვეყანაზე ყველაფერს საზღვარი აქვს, მხოლოდ ცას და ცის გარსს არ აქვს

სამზღვარი, ხოლო უსაზღვრო სახელმწიფო მარსზე თუ მოიძებნება. თუ საზღვრები ბურჟუაზიული კომფორტია, რატომ აქვს კომუნისტურ რუსეთს საზღვრები. მემარცხენე რუსეთიც არ დასთანხმდება, რომ მისი კარი და ბჭე გააღონ, ყველა შემოუშვან და გაუშვან და ყველამ გაიტანოს ის, ვინც რის გატანას მოახერხებს.

მწერალი საუბრობს აფხაზეთზე და აჭარაზე, რომელთა ჩამოცილებას გამუდმებით ცდილობდნენ რუსები, მაგრამ იქ უმეტესობა ქართველობაა. ჩვენ მუდამ გადავალაჯებთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გადაღმა ჩვენი სისხლისა და ხორცის თანაზიარნი გვეგულებიან".

კ. გამსახურდიას წერილს გამოეხმაურა გაზეთი „პრავდა გრუზიი", სადაც დაიბეჭდა ვინმე „ს.პ."–ს წერილი.

მწერალმა თავის პასუხში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყოველი დაპყრობა განმათავისუფლებლის როლში მოუხდენია დამპყრობელს" (3,3).

წერილი ხაზს უსვამს აჭარისა და აფხაზეთის რეგიონების რუსიფიკაციის მცდელობას.

„26 მაისი – რევოლუციური აქტია. ის ქართველი ერის საუნჯეა და ვინც 26 მაისს წარყვნას მოისურვებს, მან უნდა შეძლოს ქართველი ხალხის სულიერი ნარყვნაც".

მწერალი იმეორებს ჟან პაულის სიტყვებს: „ჩვენ თავს ვაკუთვნებთ იმ მაღალ მოდგმას, ვინც სიბნელეში მზეს ინატრიდა" (,10).

კ. გამსახურდია, „პასუხი", გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი", 1921 წ. 15 მაისი.

სულ სამოცდაათი წელი დასჭირდა სოციალიზმის იდეების ბოგინს საბჭოთა კავშირში.

ამ იმპერიის შექმნა, წითელი გველეშაპის მიერ ორი მხეცის– მიწის მხეცისა და ზღვის მხეცის მოვლინება (რომელთა სახელებში იატაკქვეშელი სტალინისა და ხალხის მასებიდან მოსული ლენინის მეუფებას ხედავენ ბიბლიის კომენტატორები). ნაწინასწარმეტყველებია იოანეს აპოკალიპსში, ასევე მინიშნებულია ამ იმპერიის ეფემერულობაზე, რაც ახდა კიდეც.

„დიონისის ღიმილში" ჩერქეზი მხატვარი ხალილ–ბეი ხატავს სურათს „მონგოლების შემოსევა", რაც იყო მინიშნება იმ საფრთხეზე, რასაც ჩრდილოელი მონსტრი შეუქმნიდა მსოფლიოს და, კერძოდ, ჩვენს ქვეყანას.

ასე რომ, ზედმიწევნით ახდა დიდი მწერლის წინასწარჭვრეტა რევოლუციის გზით შექმნილ იმპერიაზე, მის ბელადებზე, მარქსიზმ–ლენინიზმის თეორიაზე, გეზსამცდარ საბჭოთა ხომალდზე...

„პასუხში“ გაცხადებულია მწერლის კრედო, რომელიც არასოდეს დაკარგავს ღირებულებას: „პირადად მე მგონია, რომ მწერალი არც ერთი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოჯამაგირე“ არ უნდა იყოს, რადგანაც მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყვის „მოჯამაგირე“ ყოფილა მუდამ. იგი ან-მყოშიც და მომავალშიც ასე უნდა დარჩეს, რადგანაც მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიისა, ან რომელიმე მთავრობისა. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შექმნილი და მარადიული სუბსტანტი“.

საქართველო პოლიტიკური რადიკალიზმის ქვეყანაა, რომელშიც თვით ხუცები და ხუცის შვილებიც საუკეთესო რევოლუციონერები გამოდიან. ჩვენ არ გვემარჯვება უდანაშაულო შეხიზნულების სისხლის დანთხევა. ჩვენ მხოლოდ საკუთარი სისხლის დანთხევა გვემარჯვებოდა და გვემარჯვება ჩვენი თავისუფლებისა და ჩვენი ერის არსებობის უფლების დასაცავად.

1921 წ. მაისის 15 „სოციალისტ–ფედერალისტი“.

მეორე წერილის სათაურია „ვინ არის შოვინისტი“, „ბატუმსკაია იზვესტიის“ გაზეთში მწერლის წინააღმდეგ ვინმე ს. სუდაკოვმა გამოილაშქრა.

წერილის სათაურია „შოვინიზმის ველური ღაღადი“.

ველურობის თვისება აღვირახსნილობა და თავშეუკავებლობაა. მის წერილში კი არ ჩანს ერთი უტაქტო და თავშეუკავებელი სიტყვა, როგორც აცხადებს მწერალი.

სუდაკოვი უაზროდ ხმარობს უცხო სიტყვებს: შოვინისტი, მეტაფიზიკოსი, მისტიკოსი. შოვინისტი საფრანგეთის პირველი იმპერიის ერთ ტრაბახა ჯარისკაცს ერქვა. აქედან შოვინიზმს ეძახდნენ საფრანგეთში იმ ფრანგის ურაპატრიოტიზმს და ნაციონალისტებს, რომელთაც ყოველ მიზეზებს გარეშე უნდა აღედგინათ საფრანგეთის იმპერიის ბრწყინვალება, რომელსაც უნდა დაეჩრდილა და დაემონებია მეზობელი პატარა ერები. ეს ანალოგია ზოგიერთ იმ რუსებს ეხება, რომელნიც ახალ კოკარდებს ატარებენ შუბლზე და ჩუმად გულში ძველი რუსეთის საზღვრებს...

რუსეთის სინამდვილეში შოვინისტები იყვნენ თქვენი თანამედროვენი: გრაფი ბობრინსკი, სტოლიპინი, მარკოვი, პურიშკევიჩი და, მილიუკოვიც, რომელთაც თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის ვერ ეპატრონებინათ და მოევლოთ და მიუხედავად ამისა, ყველა იმ პატარა და დიდი ერების დამორჩილება ეწადათ, რომელნიც მოსახლეობენ ჩრდილოეთით და ყინულოვან ოკეანემდის აღმოსავლეთით იაპონიამდის და სამხრეთით ჰიმალაიმდის... მათ ეგონათ, რომ ქრისტეს მოძღვრების სახელით ოსმალეთი უნდა „გაეთავისუფლებინათ“ ოსმალებისგან.

შოვინიზმი, როგორც იმპერიალისტური იდეოლოგიის პაროლი, მუდამ დიდ ერებს ახასიათებდათ.

პატარა ერების წიაღში შოვინიზმი შეუძლებელი ამბავი გახლდათ.

...ვერც ჩემს წერილებში აღმოაჩენს ვინმე შოვინიზმს, ვისაც მისი განზრახ მოძებნა და მოგონება არ უნდა.

მე ვამბობ: საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა ხელშეუხებელი უნდა იქნეს. სულ ერთია, იქნება ეს დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა რესპუბლიკა. მე ვდგავარ ამ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა მთავრობის პირველი დეკლარაციის ნიადაგზე , რომელმაც თავიდანვე აღიარა საქართველოში სახელმწიფო ენა, ეს ქართული ენაა.

დემოკრატიული საქართველო თავის ძველ საზღვრებში გადავიდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელში. მე, როგორც ქართველი პატრიოტი, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია ამ საზღვრების დაცვა.

...მე საქართველო, ზოგიერთი გადამთიელებივით, ტყვარჩელის ნახშირის ან ტყიბულის მაღაროების სიმდიდრისთვის არ მიყვარს.

მატერიალური სიმდიდრე თანასწორად უნდა გაინაწილონ ადამიანებმა. ამ იდეებში არსად შოვინიზმი არ არის. ის კი შოვინიზმია თქვენის მხრით, თქვენისთანები საქართველოში კომუნიზმის საქადაგებლად მოდიან და პირში ბურთის ჩაჩრას უპირებენ იმას, ვინც ამბობს, იქადაგეთ კომუნიზმი, მაგრამ პატივი ეცით ამ ერის სუვერენობას, ქართულ ენას და ქართულ კულტურას. ისიც შოვინიზმია თქვენის მხრით, რომ როცა თქვენ ქართულის ნაცვლად რუსული ენა და რუსული კოლორიტი გინდათ გაავრცელოთ ისეთ ქვეყნებში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის. მე ვწერ და ვამბობ საბჭოთა საქართველოში და როცა ვხედავ, რომ სამართალისა და შუქის შეტანაა ქართულ სინამდვილეში საჭირო, ამ სიმართლეს მაინც ვიტყვი, თუნდაც სახრჩობელა მელოდეს ამისთვის.

თქვენ ლაპარაკობთ ჩემს ვაჟკაცობაზე?

...ჩემი წინაპრები იარაღით ებრძოდნენ ბარბაროსებს, განგებამ ინება, რომ ჩემი იარაღი კალამი იყოს.. თუ ისეთი ძნელი დრო დაგვიდგება, რომ კალამს და გონებას გასავალი აღარ ექნება, შეიძლება სხვა იარაღის ხმარებაშიც არ ჩამოვრჩე თქვენისთანებს. რაც შეეხება მეტაფიზიკას და მისტიკას, ამაზე მე თქვენ არც გეკამათებით, ამისთვის გამგონეს უფრო მაღალი რანგის აზროვნება და გულისყური დასჭირდებით, ვიდრე თქვენ გამოიჩინეთ ჩემთან კამათში.

და ბოლოს: ვურჩევ რუსული გაზეთების პასუხისმგებელ რედაქციებს, ყური ათხოვონ ლენინის დარიგებას და გინების ნაცვლად საქმიანობაზე გადავიდნენ.

კ. გამსახურდია, „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921 წ. 28 მაისი (№72)(5).

ლიტერატურა

1. გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921 წ. 8 მაისი
2. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, II, 2001
3. გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921 წ. 15 მაისი
4. „ლიტერატურული საქართველო“, 26 მაისი, 1989
5. გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921 წ. 28 მაისი

„დიონისოს ღიმილი“ – მომავალში მოსალოდნელი კატასტროფების ხილვა

კონსტანტინე გამსახურდია აცხადებდა: „პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს. ამ შიფრის დახსნა არცაა საჭირო, მაგრამ ჟამიდან ჟამზე პოეტი იძულებული ხდება, ეს ჩაიდინოს და ცნებების ენით ელაპარაკოს მკითხველს“ (დიონისის ღიმილი)(1,380).

სწორედ „შიფრით ნაწერი“, სიმბოლურ–ალეგორიულია „დიონისის ღიმილი“.

მწერალი მოვლენებთან მიდის ისტორიკოსის, მითოლოგის, ფსიქოლოგის, ესთეტის პოზიციებიდან.

სინამდვილისა და გამონაგონის სინთეზირებით, ინტუიციურ და ინტელექტუალურ ინტუიციაზე დამყარებით მწერალი ქმნის თავის განუმეორებელ ხელწერას, უსასრულოდ აფართოებს ქართული მხატვრული სიტყვის შესაძლებლობებს, ახლებურია მისი ხელწერა, სტილი, ენა, ლექსიკა მდიდარია ნეოლოგიზმებით.

კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟები, როგორც დოსტოევსკისა, დიდი ინტუიციით, წინათგრძნობით, წინასწარმეტყველური ხილვებით გამოირჩევიან.

მწერალს აინტერესებს არა მხოლოდ პერსონაჟების, მთელი ქვეყნის მომავალი, მისი მზერა გამუდმებით მიმართულია მერმისისკენ.

მის ნოველებში, რომანებში, წერილებში აქცენტირებულია ბედისწერის მოტივი, ინტერესის საგანია წინასწარმეტყველური სიზმრები, ხილვები. იგავურად მინიშნებულია მომავალზე.

1924 წელს გამოქვეყნებულ რომანში „დიონისის ღიმილი“ წინა პლანზეა, არა მხოლოდ მწერლის მსჯავრი მის თანამედროვეობაზე, სინამდვილის დასახვა ჯოჯოხეთად, არამედ მინიშნებულია მომავალში მოსალოდნელ საფრთხეებზე.

ჯერ კიდევ 1921 წლის 8 მაისს კონსტანტინე გამსახურდიამ გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტში“ დაბეჭდა „ღია წერილი ულიანოვ–ლენინისადმი“, რომელშიც გასაოცარი გაბედულებით იყო მხილებული როგორც ცარისტული, ისე სოციალისტური რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და ნაწინასწარმეტყველები იყო როგორც რევოლუციური გადატრიალების გზით დამყარებული წყობილების, ისე მისი ბელადების დიდების ეფემერულობა.

„დიონისის ღიმილი“, ჩრდილოეთის ყინულოვანი მონსტრის მიერ მოტანილ უბედურებათა მხილებასთან ერთად, მომავალში გადახედვის მცდელობაც არის.

რომანში მინიშნებულია მომავალში მოსალოდნელ საფრთხეზეც, რისთვისაც გამოყენებულია ჩერქეზი მხატვრის ხალილ–ბეის სურათი „ჩინგიზ–ხანის შემოსევა“.

იმპერიული რუსეთის სახეა რუსის ოფიცერი სლანსკი, იგი შემდგომ გარდაისახა „ღაწვმაღალ, ყვითელეპოლეტებიან მონგოლად“, რომელიც ჩრდილოეთის მეფის კოშკში ტახტზე ზის და მუხლზე ორთავიანი არწივი უზის, ხოლო მის გვირგვინში ჩასმულია თამარ მეფის გვირგვინიდან მოპარული ალმასი.

„პასუხში“ გაცხადებულია მწერლის კრედო, რომელიც არასოდეს დაკარგავს ღირებულებას: „პირადად მე მგონია, რომ მწერალი არც ერთი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოჯამაგირე არ უნდა იყოს, რადგანაც მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყვის „მოჯამაგირე“ ყოფილა მუდამ. იგი აწმყოში და მომავალშიც ასე უნდა დარჩეს, რადგანაც მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიისა ან რომელიმე მთავრობისა. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შექმნილი და მატარებელი სუბსტანტი“.

რომანის პერსონაჟები ანალიტიკოსები არიან, ცნობიერთან ერთად, ქვეცნობიერიდან მიღებულ სიგნალებს აყურადებენ, ხილვებით, სიზმრებით, ინტუიციური ჭვრეტით წინასწარ ევლინებათ მოსალოდნელი ამბები.

განსაკუთრებით დიდია რომანში ინტერესი სიზმრებისადმი.

„მე სინამდვილესაც და სიზმარსაც ორძილს ვეძახი. ხშირად სიზმარში უფრო კარგად ვერკვევი. სიზმარში ვხედავ მოსალოდნელ სიმძიმილსაც და სიხარულსაც. განა ჩვენი სინამდვილე სიზმარზე უსიზმრესი არ არის?“, ნათქვამია წიგნში (1,507).

მამის მამულის და სახლ–კარის გამნიავებელ, მამის ანდერძის დამრღვევ კონსტანტინე სავარსამიძეს სულ ვენახი ესიზმრება და სურვილი უჩნდება, დაბრუნდეს საქართველოში, მოძებნოს მამის ფუძე და იქ ვენახი გააშენოს, რადგან მამამ დაწყევლა მისი დანაბარების დამვიწყებელი შვილი (1,507).

ზმანებაში, სიზმარში იხილა კონსტანტინე სავარსანიძემ წითელი მამელი, წითელი კირიპა და წითელი გველი, რომლის კვალმაც ჯოჯოხეთში მიიყვანა. ჯოჯოხეთი კი სიმბოლოა მწერლის თანადროული ყოფისა, ხოლო ამ წითელი ფრინველების და წითელი გველის სამკვიდრებელი ჩრდილოეთია. შემთხვევითი როდია, რომ წითელი გველი ჩრდილოეთისკენ მიფრინავს.

იუნგის მიხედვით, „სიზმარი შეიძლება სურვილების ან შიშების მანიფესტაციას წარმოადგენდეს, სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ გეგმებს, ანტიციპაციას, – ტელეპატიურ ხილვებს (2,305).

„დიონისის ღიმილის“ სიზმრების უმეტესობა ანტიციპაციას უკავშირდება. ჯოჯოხეთური ყოფის ასოციაციას ქმნის მარმარილოს ტახტზე მჯდარი ჩრდილოეთის მეფე სლანსკი, რომელიც იმპერიული რუსეთის სიმბოლოა. მას მუხლზე ორთავიანი არწივი უზის, თავზე გვირგვინი ადგას, რომელშიც თამარ მეფის გვირგვინიდან მოპარული ალმასია.

სლანსკიმ ააცალა მწერალს მიჯნურის ნაჩუქარი ბეჭედი. სლანსკიმ წაართვა ჩვენს ქვეყანას უზენაესის,ზეციური დედის რწმენა.

წითელთვალა გველის კვალი ჩრდილოეთის მეფის კოშკთან მივიდა.

სიმბოლური გველი გვხვდება კ. გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“.

ქართულ ლიტერატურაში ნეგატიურ ჭრილში ხშირად ჩნდება ეს სიმბოლური გველი გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ტ. გრანელის, ალ. აბაშელის პოეზიაში.

რატომ იქცა სლანსკი მონგოლად, ამას განმარტავს ს. სიგუა მწერლის ესსეებზე („მესამე საფრთხე“, „ერი თუ რასა“) დაყრდნობით. მასში ნათქვამია, რომ სლავების გადაგვარება გამოიწვია მონგოლთა ბატონობამ. მონგოლურ– თათრული წარმოშობის იყო ულიანოვ ლენინი, რუსული ბოლშევიზმის მამა. რუსული ბოლშევიზმი კი მთელ ევროპას ემუქრებოდა წარღვნით“(4,124).

აღსანიშნავია, რომ რომანში ჩრდილოეთის კოშკს (ჩრდილოეთის იმპერიის სიმბოლო) ქაჯები ეხვევიან.

ვფიქრობ, ქაჯებიც ჩვენი „უფროსი ძმის“ სახეა, როგორც გალაკტიონის პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

რომანში იხსენება „117, რომელსაც ასე განმარტავს ს. სიგუა: „ასჩვიდმეტი ტანჯვის პაროლია რომანოვების იმპერიაში 1801 წლიდან 1918 წლამდე, რაზედაც თავის სტატიაში „917" საუბრობს მწერალი. სლანსკის პასუხია: „კიდევ ამდენი" და მოდის დათვი პირსისხლიანი".

მწერალი ევროპას მოუხმობდა ამ „პირსისხლიანი დათვის" დასათრგუნავად.

თუ როგორ აცხადდა მწერლის წინასწარმეტყველება მონგოლური ანუ რუსული საფრთხის შესახებ როგორც ამიერკავკასიის, ისე მსოფლიოსთვის, უკვე დღესავით ნათელია.

რომანში პირსისხლიანი დათვი ჩრდილოეთის ყინულოვანი მონსტრის მახასიათებელია.

იქნებ შემთხვევითი არც ჩვენს მიწაზე აღმოცენებული „შხამიანი გველების" ხსენებაა, რომლის ადრესატი, გამორიცხული არ არის, იატაკქვეშელი სტალინი იყოს: „კოლხთა მეფის აიეტის ანალოგიით ერთმა ბრძენმა კარგად გაიხუმრა: „მე ურჩხულს ვთესდი და ბაღლინჯოები აღმოცენდნენო. ბაღლინჯოები კიდევ არაფერი, ჩვენს მიწაზე აღმოცენდნენ შხამიანი გველები, რომელთაც, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი სამშობლო დაგესლეს (3,121)".

ამ სტრიქონების ადრესატიც ალბათ იმდროინდელი „ჩვენებური" პოლიტიკოსია: „საქმე ის კი არ არის, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე ისაა, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს" (5,413).

ჩერქეზი მხატვრის ხალილ–ბეის სურათს ერქვა „ჩინგიზ ხანის შემოსევა", რომელზედაც ნაჩვენები იყო მონღოლების შუბოსანი კავალერია, მიმართული აღმოსავლეთისკენ. მათი წინამძღოლი იყო წითელჩაბალახიანი, ახოვანი თმანითური მონღოლი (2, 77–78).

ასე შეფარულად, მონგოლის სახის გამოყენებით ამხილა დიდმა პროზაიკოსმა რუსული ბოლშევიზმის, როგორც მთელი მსოფლიოს საფრთხე.

ის, რომ ჩრდილოეთის კოშკს გარს უვლიან გერმანელი ჰერბერტ შტუდერსი, ჩერქეზი ხალილ–ბეი და ქართველი სავარსამიძე, მოწმობს, რომ ეს იმპერია საშიშია არამხოლოდ კავკასიისა და ამიერკავკასიისათვის, არამედ ევროპისთვის. აკი ლენინისადმი მიწერილ წერილშიც ამაზე ამახვილებდა ყურადღებას კ. გამსახურდია.

თუ რა საფრთხეებს შეიცავდა ეს მონღოლური სისხლით გაჯერებული რუსეთი, მრავალ მწერალს უჩვენებია (გრ. რობაქიძე, მიხ. ჯავახიშვილი, რ. მიშველაძე, გ. ტაბიძე).

საკმარისია გავიხსენოთ, რომ ხრუშჩოვის დროს ქართველთა გადასახლების გეგმაც არსებობდა.

მეოცე საუკუნის 90–იან წლებში რუსეთმა საქართველოს წაართვა ტერიტორიის მესამედი – სამაჩაბლო და აფხაზეთი, 2008 წ.

აგვისტოში სამაჩაბლოში ისევ განაახლა შეიარაღებული აგრესია და წაიღო კოდორის ხეობა, ახალგორის რაიონი, სულ სამაჩაბლოს 155 სოფელი.

ეს ტრაგედია მეოცე საუკუნის 20–იან წლებში იხილა მწერალმა „დიონისის ღიმილსა“ და ნოველაში „ტაბუ“.

შემთხვევით როდია, რომ რომანში მრავალგზის ფიგურირებს წითელი გველი, შავი ვეშაპი.

კ. სავარსამიძე ასე მიმართავს სლანსკის – რუსული იმპერიის სიმბოლოს: „სლანკი! – შენ ყინულეთი, მე მზისგული, შენ თოვლი, მე ცეცხლი, შენ მურტალი, ღორის ტყავის ფარივით ფართო და რგვალი, მე – ქართული ხანჯალივით ბასრი და წვეტიანი“... (1,67).

სლანსკის, პირსისხლიანი დათვის სახით ნაჩვენებია ამ იმპერიის უსაზღვრო მადა.

ასევე, წითელი კირიპას, წითელი გველის, შავი ვეშაპის, პირსისხლიანი დათვის ადრესატია ჩრდილოეთის ყინულოვანი მონსტრი.

მწერლისთვის ჯოჯოხეთია თავისუფლებადაკარგულ, იმპერიული ქვეყნის მიერ დამონებულ სამშობლოში ცხოვრება.

ჯენეტი საქართველოს ალეგორიული სახეა... ხოლო მისი სპარსელი მეუღლე – რუსის ალეგორია“ (4,406).

სიზმარში ხედავს სავარსამიძე აყვავებულ სამშობლოს, სიზმარში უსწორებს ანგარიშს სლანსკის (რუსეთს).

სიზმარში იხილა ჯენეტის შემონაზვნება სამთავისის მონასტერში.

სიზმარში გამოეცხადა ფარვიზის უბედურება გველის სახით, რომელიც ჰამიდმა ესროლა ჭაბუკს და მოკვდა იგი.

„სიზმარი და ალეგორია მომავალში მწერლის ჯადოსნურ კვერთხად იქცა. ერთ–ერთი მთავარი მოტივია იაკობის უფალთან შერკინება, როგორც ქართველი ხალხის ბედის სიმბოლური გააზრება, ბრძოლა განგების ნებით“ (4,409).

„სავარსამიძე სიზმრად ჯოჯოხეთში ჩადის, რაც აპოკალიფსს გაგვახსენებს, ხოლო აპოკალიფსი მსოფლიო ომის, რევოლუციების არქეტიპული გააზრებაა“ (4,236).

მწერლის ოპტიმიზმს ადასტურებს შემდეგი სტრიქონები: „ჩვენი ძველი მტრები მიწის პირიდან აღიგავენ, – ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე. აღამაჰმად–ხანს ყელი გამოსჭრეს განგების ნებით. არც პავლე I და ნიკოლოზ II დასდგომიათ უკეთესი დღე. პირველი ქართველმა იაშვილმა დაახრჩო, მეორე – ქართველმა, ვალია ბახტაძემ შეიპყრო. ქართველი ხალხის სისხლი არავის შერჩენია... ჯოჯოხეთის ცეცხლით დაიდაღა ქართველი ხალხის სისხლში გავლებული ხელები“ (5,740).

კრიტიკოსი გურამ კანკავა წერს: „რომანის მაღალი ეთოსი სამშობლოს მომავლისკენაა მიმართული. ავტორს სწამს სამშობლოს მაღალგანვითარებული მომავალი, რომ ამ იმედს შეუძლია ხსნა და ქვეყნის გასხივოსნებულ ამ მომავალს თამამად უსწორებს თვალებს (6,30).

ლიტერატურა

1. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 20 ტომად, ტ. 2, თბ., 1992
2. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ., 1996
3. ლადო ჭანია, კონსტანტინე გამსახურდია და ყოველი საქართველო, თბ., 2006
4. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ., 1990
5. კონსტანტინე გამსახურდია, ტ. VII
6. ჟ. „კრიტიკა“, 1992, №3

ნოველა „ტაბუ“ საქართველოს დიდი ტრაგედიის განჭვრეტა

კონსტანტინე გამსახურდიამ უარყო შაბლონური რეალიზმი, „ტროას ცხენი“ უწოდა სოციალისტურ რეალიზმს, არსებულისა და გამონაგონის სინთეზირებით შექმნა ახლებური რეალიზმი, რომელიც დაფუძნებულია სულიერ ხედვაზე, ნათელსმენის, ნათელხილვის ფენომენებზე, ინტელექტუალურ თუ გრძნობისეულ ინტუიციაზე, შესაძლებლობას იძლევა წარსულიდან და აწმყოდან განჭვრეტილ იქნეს მომავალი.

მწერლის იდეალია „შიფრით ნაწერი“, „ალგებრულ ფორმულებს“ დამსგავსებული, „უამრავი ალეგორიების ჩამტევი“ მხატვრული სიტყვა.

დიდი პრიზაიკოსის ერთ–ერთი უმთავრესი კრედოს მიხედვით, „მწერალი არ უნდა იყოს არც ერთი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის მოჯამაგირე, მხოლოდ „თავისუფალი სულის და სიტყვის, ...ერისა და კულტურის მსახურებაა ჭეშმარიტი მწერლობის საზომი (1,4).

დიდოსტატისთვის მისაღებია მხოლოდ რელიგიური, მაღალმორალური ხელოვნება: „ვერც ერთი თაობა, ვერც ერთი ეპოქა, ვერც ერთი ერი მაღლისა და მშვენიერის შემოქმედი ვერ იქნება,

თუ იგი ღვთაების უხვი კალთიდან არ იღებს სულიერ საზრდოს“ (2,425).

კულტურის სიმაღლის საზომად, უპირველესად, რელიგიურობას მიიჩნევდა: „რელიგია და მისი გაგება ერთგვარი გამოცდაა, კულტურული ერის. ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო. ყოველ მაღალხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონია საძირკველი... ჩვენთვის ქრისტიანიზმი პოეზია იყო“ (ქართველობა და უცხოეთის გენია“).

მწერალი აცხადებდა: „მწამს და ვიცი არსთაგანმრიგის უსათუობა. უაზრობაა, უგუნურობაა წარმოიდგინო სამყაროს საოცარი წესრიგი უზენაესი გონიერული სათავის გარეშე“ (3,89).

არსთაგანგრიგე მხოლოდ მორწმუნეს, წმინდა ადამიანებს მიჰმადლებს სიბრძნეს და წინასწარმეტყველების უნარს. სიბრძნეა ყოველთა შემოქმედი, რომელიც „ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ.

რადგან ღმერთს არავინ უყვარს: გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (სიბრძნე სოლომონისა, 7, 27, 28) (4,24).

სიბრძნე, წინასწარმეტყველების ნიჭი უზენაესის რჯულის მსახურთ მიემადლებათ, „ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვალის გამომაცხადებელი“ (სიბრძნე ზირაქისა, 42,19) (4,65).

მწერალი გარდასულს და მომავალს უტრიალებდა მთელი ცხოვრება, მას სურდა წარსული მომავლის ფუძედ ექცია, მისი იდეალი იყო წარსულისა და მყოფადისკენ ერთდროულად მზირალი იანუსი: „საქართველოში, სწორედ საქართველოშია საჭირო, რომ ყოველმა ჩვენგანმა რომაელი ღმერთის იანუსის თავი გამოიბას, ერთი თვალი მომავლისგან ეჭიროს, მეორე–წარსულისკენ“ (ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. 8,აღ.1. საქ.1999).

„ქორმეძებრებიანი ცენზურის“ პირობებში მწერალი საკუთარი ღრმააზროვანი მითის საშუალებით გვახედებდა მეფისტოფელური საუკუნის შინაარსში.

მითი, კერძოდ, ანტიკური მითოლოგია მომდინარეობს ძველი აღმოსავლეთის ქურუმთა სიბრძნიდან (5,281).

„XX საუკუნე ცნობილია მითის რეინკარნაციით, მითისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულებით“(5,282).

მითისადმი კონსტანტინე გამსახურდიას განსაკუთრებული ინტერესი შეიძლება აიხსნას ფრიდრიხ ნიცშეს, ანრი ბერგსონის, ზოგმუნდ ფროიდის, კარლ–გუსტავ იუნგის ნააზრევისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით, აგრეთვე იმით, რომ მითი, მოქმე-

დების წარსულში გადატანა ცენზურის სიფხიზლის მოდუნების შესაძლებლობას იძლეოდა.

პრიმიტიული პროლეტარული კრიტიკა და ოფიციოზი ვერ ჩასწვდა ნოველა „ტაბუს" შინაარსს, რომელიც დაიწერა 1925-1927 წლებში.

მოგვიანებით, ზვიად გამსახურდიამ ხაზი გაუსვა მის წინასწარმეტყველურ ხასიათს: „...ნოველაში აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე, რომელიც სიმბოლიზირებულია წითელი ეშმაკისა და ქალაბიჭა აკუმის ხვარამზეს მიერ შობილი მორიელით. წითურმა ეშმაკმა ჯერ ერთმანეთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. განა ეს არ არის კონკრეტული ნინასწარმეტყველება მომავლისა?" (6,57).

ნოველის შექმნის პერიოდში, მეოცე საუკუნის 20-30–იან წლებში, ტაბუ დაედო, აიკრძალა, გაუფასურდა ეროვნული იდეალები, რწმენა, სულიერება, გმირული წარსული, ჩვენს სამშობლოდ გამოცხადდა არა მრავალსაუკუნოვანი კულტურის საქართველო, არამედ დიდი საბჭოთა იმპერია.

კონსტანტინე გამსახურდიამ მითის საშუალებით, ღრმააზროვანი სახე–სიმბოლოებით, მოქმედების წარსულში გადატანით გაგვიცნობიერა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები, ლოკალური მოვლენებით მიგვანიშნა გლობალურ სატკივრებზე, ისტორიკოსის, პოლიტიკოსის, ფსიქოლოგის, ესთეტის პოზიციებიდან განჭვრიტა ფაქტები.

მწერალმა უტყუარად გვიჩვენა როგორც ძირძველ მოსახლეთა, ისე ხიზნის ფსიქოლოგია, ადგილობრივთა სიფხიზლის მოდუნების, წინდაუხედაობის სავალალო შედეგები, გარეშე ძალის ინსპირირებული და შინაურთა შემწყობით გატეხილი ციხე.

მოქმედება ხდება სოფელ „ნაჭყვედში". სიტყვა „ნაჭყვედი" ნიშნავს ამონაწყვეტს, ნასოფლარს, ნასახლარს.

ადრე ნაჭყვედში ძირითადი მოსახლეები ხარბედიები იყვნენ, ისინი „დაუღალავი მზის" სახელს იფიცებდნენ, ერგეს–ცის მნათობების, ტაროსისა და ავდრის ღვთაების მფარველობაში იყვნენ, ცის გახსნას ესწრებოდნენ და ბედი სწყალობდათ.

წინდაუხედავმა დადიანმა ადგილობრივთ ტყვარჩელიდან ლომკაცა ბისკაია და მისი ძმები ჩამოუსახლა, რამაც ვითარების საბედისწეროდ დაძაბვა გამოიწვია (როგორ გვაგონებს ეს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში" ოსი ჯაყოსა და მისი ბიძაშვილების მოძალებას ძირძველ ქართულ მიწაზე–ნაშინდარში).

მეომარი და მონადირე ბისკაიები დადიანის მიმინოს უვლიდნენ, რის გამოც მათ ბატონმა აზნაურობა უბოძა. ბისკაიდების გა-

დიდკაცებაც აქედან დაიწყო, რადგან „გააზნაურებული გლეხი გაგლეხებულ აზნაურზე უარესია“.

ხიზნები მალე ტირან მასპინძლებად იქცნენ, ადგილობრივები დაიბრიყვეს, ხარბედიებს ზურგით მოატანინეს სასახლის ასაგები ლოდები.

ჩამოსახლებულნი ვერ ურიგდებოდნენ ნაჭყვედის მკვიდრთა წარმატებას: ყაბახის სროლაში გამარჯვებული ესვანჯია ბისკაიებმა შეიპყრეს და წისქვილის ღარში გადააგდეს.

სიტუაცია უმწვავესად დაძაბა ნათურქალის ტყეში გამოჩენილმა უცნობმა შავჩოხიანმა წითურმა კაცმა, რომელმაც „თვალისკვრით“ ლომკაცა ბისკაიას მიმინო გააქცია.

შავჩოხიანის ცხენის კვალი ზედ ხარბედიების წისქვილთან გამოჩნდა და იქ გაქრა, რის გამოც ბისკაიებმა დამხვდურებში დაიწყეს დამნაშავის ძებნა, ან მიმინო უნდა ეპოვნათ, ან შავჩოხიანი გაეცათ, თუ ნაწყვედიდან გასახლება არ სურდათ.

ხარბედიები თავს იმით იმართლებდნენ, რომ მათ გვარში წითური კაცი არ ერია.

ამის შემდეგ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ისევ გამოცხადდება წითელი ყაბალახით, თავშეხვეული შავჩოხიანი წითური, რომელიც ჩოხის კალთებს შავ დროშასავით ააფრიალებს, ანუ თავისი მზაკვრობის შედეგს–ორი გვარის გადაკიდებას ზეიმობს.

მიწიდან ამოსვლა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების წითელი გველეშაპდსგან ხელდასხმულ ორ მხეცს–ღვთისმგმობელ ზღვის მხეცს და მიწიდან ამომავალ მხეცს მოგვაგონებს, რომელიც პირველი მხეცის ხატების გააკეთებს და ყველას დახოცავს, ვინც თაყვანს არ სცემს მას (იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, 13, 1-8) (7,506-507).

პირველში, მიწის მხეცში, იატაკქვეშელ სტალინს, ხოლო ზღვის მხეცში ხალხის მასებიდან მოსული ლენინის სახეს ხედავენ ბიბლიის კომენტატორები (8,411).

კ. გამსახურდია „წითელი კირიპას“, ჩრდილოეთისკენ გაფრენილი წითელი გველის, მონღოლური ანუ რუსული საფრთხის შესახებ მიანიშნებდა „დიონისოს ღიმილში“ 1921 წელს.

მიხეილ ჯავახიშვილი „წითელი გოლიათის, წითელი თემის, წითელი გველეშაპის, შავი ურჩხულის სახეებზე მიგვაქცევინებდა ყურადღებას (ჯაყოს ხიზნები, გივი შადური, ქალის ტვირთი).

გალაკტიონ ტაბიძე წითელი ზღვის, წითელი მხედრის, წითელი ცხენის, წითელი გველის, წითელი ქარის საშუალებით გვაფრთხილებდა მოსალოდნელ კატაკლიზმებზე (ორად გაიპო წითელი კლდე, მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა).

ნოველაში „ტაბუ“ კონსტანტინე გამსახურდიამ „შავჩოხიანად“ მონათლა გველი, მერე ამ სახეში პერსონიფიცირებული მიწი-

დან ამოსული წითურის შემპარავ, ნავს, გველის წითელი თვალებით გათვალულ თრითინას შეადარა ხარბედიები, რომლებიც გველისთვალება წითურმა წააქეზა: „ქვა ქვაზე არ დარჩება ბისკაიების დიდი სასახლიდან. ქვითკირის სასახლის ქვები... გაიბნევა ბალავერზე. მე მათ საქონელს თურქულას შევუჩენ, მე მათ ორსულებს მუცელს მოვწყვეტ... მე მათ მოხუცებს ქარებით დავხუთავ და მათ ვაჟკაცებს ისე გავთვალავ–ლამკაცა ბისკაიას მიმინოსავით სცვიოდნენ თავიანთ ბედაურებიდან“ (9,18).

როცა წითური ჩაბალახს მოიხსნის, იცნობენ შავ ჩოხაში გამოწყობილ სატანას.

მაშ, ნოველაში იდენტურია შავჩოხიანი, გველი, სატანა. წითელი გველი ფრთას შეისხამს და ჩრდილოეთისკენ გაფრინდება, მის კვალს კი ჯოჯოხეთში მიჰყავს კ. სავარსამიძე (დიონისეს ღიმილი).

გველის სახე პოლიტიკური ქვეტექსტების მატარებელია. ალ. ამაშელის პოეზიაში. მის ლექსში „შორეული ნაპირი“ სერაფიმებს სევდიანი ქარი სდევნის, „მწუხრის ანგელოზს“ „შავფრთიანი გველები“ ენაცვლებიან, მიწას სატანა უვლის (10,26).

„გველის ნაკბენით“, „ჩრდილოეთით ჩახმახით“ განაწამებია იოსებ გრიშაშვილი („ჰამლეტის მოსასხამით““ (11,36).

„შხამიანი თეთრი გველით“ შემოხვეულ საქართველოს უბედურებაზე ტიროდა პოეტი ნინო თარიშვილი: „დღეს, როდესაც სასახლეზე აღარ არის ჩვენი დროშა და წითელმა ბოლშევიკმა ჩვენზე რაღაც წამოროშა, დღეს, როდესაც სისხლში ცურავს საქართველოს მთა და ველი, როცა ტლანქად ტანს ეხვევა შხამიანი თეთრი გველი, ნუთუ ვინმეს შეუძლია შეკრას ყვავილთ თაიგული და სამშობლო დაივიწყოს სისხლის ზღვაში ჩაკარგული?“ (12,266).

ახლა მივმართოთ კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკას და ნათელი გახდება, ვინ იგულისხმებოდა გველის ადრესატში: „კოლხთა მეფის აიეტის ანალოგიით ერთმა ბერძენმა კარგად გაიხუმრა: მე ურჩხულს ვთესავდი და ბაღლინჯოები აღმოცენდნენო. ბაღლინჯოები კიდევ არაფერი, ჩვენს მიწაზე აღმოცენდნენ შხამიანი გველები, რომელთაც, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი სამშობლო დაგესლეს“ (13,121).

გალაკტიონ ტაბიძემ „საუკუნე მეფისტოფელი“ უწოდა თავის თანამედროვე ეპოქას, კონსტანტინე გამსახურდიამ კი იგი „მედუზას სისხლიან თავად“ წარმოიდგინა: „ჩვენი თანამედროვეობის ვიზიონერული სახე მე წარმოდგენილი მაქვს მედუზას სისხლიან თავად, შეშლილი, დემონით შეპყრობილი ადამიანის თვალებით... თითქოს სამუდამოდ გამქრალა სხივი იმედისა და სათნოებისა, შემოგვცვლია შარავანდედი ღმერთისმოყვარეობისა“ (დანტე).

მედუზა ბერძნულ მითოლოგიაში არის გორგონა, რომელსაც თავზე გველები ეხვევა და მნახველებს აქვავებს (აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ.1983, გვ. 301).

ასე, რომ „ტირანი" პოლიტიკოსები მწერლის წარმოსახვაში შხამიან გველებთან და მედუზასთან ასოცირდებიან, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სამშობლოს გესლავენ.

შემთხვევითი როდია, რომ წითელი გველი ფრთას შეისხამს და ჩრდილოეთისკენ მიფრინავს, მის კვალს კი ჯოჯოხეთისკენ მიჰყავს ადამიანები.

ასევე გასათვალისწინებელია მწერლის განაცხადი: „საქმე ის კი არ არის, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე ისაა, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს" (7,121).

ნოველის „წითელი ფერი, წითური კაცი, წითელი ჩაბალახით თავგახვეული" მიგვანიშნებს არა მხოლოდ ნავს ადამიანზე, არამედ სისხლისღვრაზე, წითელ რუსეთზეც, წითელ არმიასა და წითელ დროშაზეც (14,31).

„წითელი კაცი პროპაგანდისტია, ბოროტების, სისხლისღვრისკენ მოუწოდებს და სატანურად მოძღვრავს სოფელს (14,32).

წითურის თანამზრახველი გახდა ქალაბიჭა, მზაკვარი, ეშმაკთან წილნაყარი, ხვარამზე. იგი მარტო ნავიდა წითურთან შესახვედრად ტაბაკონისკენ (ეშმაკების საუფლოსკენ).

მრავლისმეტყველია, რომ უსიერ ტყეში არ ჩანდა ბილიკი და კაცის კვალი. კატაბარდებში ეკალი უკაწრავდა სახეს.

დიდი მუხის ძირში მაღალი ცეცხლი ენთო. შავი მორიელი პირდაპირ ეგდო ღველფზე, ცეცხლის ალი ცასა და მიწას შორის გახიდულიყო.

ალის ქარი სახეში ეცა ხვარამზეს. ცოფიანი კატასავით შემოუტია მორიელმა და მინის ნაპრალში შეძვრა. ამ დროს მინიდან შავჩოხიანი წითურიც ამოვიდა.

ამ ეპიზოდში სახე – სიმბოლოების მთელი წყებაა. აშკარად ამოიცნობა სატანის სამეუფო.

უსიერი, უგზო ტყე ორიენტირების დაკარგვას მოასწავებს.

გზა, ბილიკი, საღვთო სახელია:„ წავიყვან ბრმებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკებზე გავატარებ" (ესაია, 42, 16). (4,104).

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოანე, 14,6). (7, 211).

გზის, ბილიკის გაუჩინარება უღმერთობის მიმანიშნებელია, რაც ყოველგვარი უბედურების სათავეა.

მუხის ძირში დანთებული ცეცხლი არის არა საღვთო, განმანათლებელი ცეცხლი (ცეცხლი საღვთო სახელია), არამედ შემწველი, გამანადგურებელი (შდრ. გალაკტიონის „შავი ცეცხლი").

მუხის ძირში ცეცხლის დანთება ერის განსაცდელის მაუწყებელია, რადგან მუხა, ბერმუხა ერის სულის სიმბოლოა: „... ბერმუხა... მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა“ (15,629).

ეკალი, ეკალბარდები ცოდვილი ადამიანის თანამდევია: „ეკლები ცდომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა, რომ შეგვახსენოს ის ცდომილებები, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავის აღმოცენება მიესაჯა ჩვენთვის მიწას“ (იოანე დამასკელი) (16,357).

„საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულში აღმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები“ (17, 25).

ჭეჭეთობა ღამეს წითურთან შეხვედრამ ხვარამზეს მორიელის მსგავსად მომწვარი დაღი დაუტოვა, რაც მხეცის ნიშანს მოგვაგონებს აპოკალიფსიდან, რომელშიც მხოლოდ ხელზე ან შუბლზე მხეცის ნიშნის მიმღებთ აქვთ ყიდვა–გაყიდვის უფლება, მაგრამ ისინი ჩაწერილი არ არიან სიცოცხლის წიგნში და სვამენ „ღვთის მრისხანების ღვინოს“ (იოანეს გამოცხადება,(14,11-17) (7, 507).

ბოლოს შებორკავენ სატანას და ჩააგდებენ უკუნეთში, ცეცხლის ტბაში ვარდებიან მხეცნი და მისგან ხელდასხმულნი, შეიპყრობენ გველეშაპს, (იოანეს გამოცხადება) (19,20; 20,2,3).

გამოცხადებაში მინიშნებულია უღმერთო იმპერიის შექმნასა და მის ურწმუნო მესვეურებზე.

ნოველაში წითური სატანისა და ქალაბიჭა ხვარამზეს კავშირის შედეგად იშვა მორიელი; „შავმა მორიელმა მიაშურა თავის დიდ დედას–ბნელ ღამეს და ხვიმრში შეძვრა.

„ხვარამზე ადგილობრივია, მდედრი, უნდა აღვიქვათ, როგორც ნიადაგი.

„წითური კაცისგან ხვარამზეს დაორსულება იკითხება, როგორც ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება საქართველოში.

„შავი მორიელის დაბადება სახე–სიმბოლოა ბოროტის, მკვლელის, სიბნელის.

„წითური ეშმა ახერხებს მარგალებსა (ქართველებსა) და აბჟუებს (აფხაზებს) შორის ომის გაღვივებას. მისი შეჯვარება ხვარამზესთან წარმოშობს მორიელს, რომელიც არა მხოლოდ გესლავს („სიავის პროპაგანდა“), არამედ ფიზიკურად ანადგურებს სოფელს“ (14,31-32).

ამოწყდებიან როგორც ბისკაიები, ისე ხარბედიები.

სოფელი მერეხმა მოიცვა, ცა ფეხად ჩამოდიოდა, აბობოქრებულმა მდინარემ წალეკა ნათურქალის ჭალები, წაიღო წისქვილები, ჯებირები, ხიდები, ბონდები, გაოხრდა ვაზები.

ხიდი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „გიხაროდენ, ხიდო წიაღმყუანებელო ქუეყანისათაო ცად მიმართ“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (18,9).

სახარების მიხედვით, ქრისტე არის „ვაზი ჭეშმარიტი“ (იოანე 15,1) (7,213).

ჭალა, ბაღი, „მორწყული ბაღი“ ებრაელი ხალხის სიმბოლოა ბიბლიაში (იერემია წინასწარმეტყველი, 31,11) (4,155).

წყალდიდობა, განადგურებული ჭალა სიმბოლური მინიშნებაა იმ რეპრესიებზე, რასაც სიავისმთესველი შავჩოხიანი წითური და მისი ნაშიერი მორიელი მოიმოქმედებენ მომავალში.

წითურის შურისძიებამ ნასახლარებად აქცია ნაჭყვედი, მართლაც, მისი დაპირებისამებრ, ფოცხვერები აკივლდა სოფელში, კაჭაჭი და მრავალძარღვა ამოვიდა ქვითკირის სახლის ბალავერზე.

უთვალავი კუბო გაჰქონდათ როგორც ბისკაიების, ისე ხარბედიების სახლებიდან. მიცვალებულთა დასამარხავი ადგილები აღარ იყო სასაფლაოზე.

ძაძებით იყო მოსილი ნაჭყვედის ფაცხებისა და ოდების სვეტები... ისმოდა მოზარდების ყიჟინა... მხოლოდ ქამრებსა და სამასრეებზე ძაძაგადაკრული მოხუცები დახეტიალობდნენ ეზოებში. უპატრონო საქონელი ბღაოდა ჭიშკრებთან.

ნოველა „ტაბუს“ წაკითხვამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს 1992-93 წლების მოვლენები, მესამე ძალისგან ინსპირირებული კონფლიქტი, იავარქმნილი აფხაზეთი, 30 ათასი განგმირული ქართველი და 300 ათასი დევნილი საკუთარი მიწიდან.

აი, რა საოცრად მიგნებული, წინასწარმეტყველური ხილვით გამორჩეულია ნოველა, რომელშიც ნახევარი საუკუნით ადრე იქნა განჭვრეტილი მოსალოდნელი უბედურება.

ნაჭყვეტის ტრაგედია ახსნილია ხატის გარისხებით, ღვთის გზიდან გადაცდენით და ბოლოს მხოლოდ ხახუ ხარბედიას ლოცვა, წმინდა გიორგის შემწეობა იხსნის სოფელს, მიგნებული იქნება უბედურების მიზეზი, გაწირავენ ეშმაკის თანაზიარ ხვარამზეს, მორევში გადააგდებენ (თუმცა წყალმაც არ მიიღო მზაკვარი), ქალაბიჭას სახლის ბალავებში იპოვნიან შავ მორიელს, სუჯუნის წმინდა გიორგის ბოძალზე ააგებენ, ეკლესიის ცაცხვზე ლურსმნით მიაჭედებენ საგზის და ხახუ ხარბედია წარმოთქვამს ლოცვას.

როგორ იხილა 30-იან წლებში დიდმა მწერალმა მოსალოდნელი რეპრესიები, ეთნოკონფლიქტები, როგორ წაიკითხა უცდომლად ის საბედისწერო სცენარი, რომელიც ზევით დაიწერა და ამდენ უბედურებას უქადდა ჩვენს ერს?

კ. გამსახურდია ერის მაჯაშის შემტყობარი მწერალი იყო, ისეთი დიდი პოლიტიკოსი, როგორიც სიტყვის ოსტატი, მოვლენების ძირისძირის განჭვრეტამ, უხილავის ხილვის, პოტენციაში არ-

სებული მოვლენების წვდომის უნარმა მას შესაძლებლობა მისცა, აწმყოდან დაეწახა მომავალი.

„ტაბუ" იყო გარეშე და შინაური საფრთხის შეცნობა, სამართლიანობის სახელით მოვლენილი სატანისტური მოძღვრების მხილება, ტენდენციური პოლიტიკის საშუალებით მიზანმიმართული განადგურება, დაცარიელება და ამოწყვეტა ქართული ეთნოსისა.

ლენინი რასკოლნიკოვის სახით გაცხადდა მწერლის წარმოდგენაში და მისი „ღია წერილი ულიანოვ–ლენინისადმი" იყო გაბედული მხილება იმ პოლიტიკისა, რომელსაც სურდა გაეწითლებინა აზია და ევროპა.

დიდმა პროზაიკოსმა დამარცხებული ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვებით გააფრთხილა სატანისეული ბელადი: „მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ" (19,10).

რაც შეეხება სტალინთან მიმართებას, მხოლოდ ჩვენს მიერ შერჩეულ ასპექტში გავამახვილებთ ამაზე ყურადღებას.

კ. გამსახურდიასთვის უთუოდ ნათელი იქნებოდა, რომ სტალინის მიერ იყო ინსპირირებული ის მოვლენები, რაც მოხდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში.

ცნობილია, სტალინი არა თუ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, არამედ კულტურულ – ნაციონალური ავტონომიის წინააღმდეგი იყო (20,30).

ნაციონალიზმი ხალხთა ბელადს ყველაზე მეტ უგუნურებად ესახებოდა, ეროვნულ–სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას „სეპარაციას უწოდებდა".

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაბამად სტალინი მე-19 ს–ის II ნახევარს მიიჩნევდა, საქართველოს კი „დაგვიანებულ ერებში" (უკრაინელები, ლატვიელები, ლიტველები, სომხები) იხსენიებდა. კავკასიელებს „პრიმიტიულ ხალხებად" მიიჩნევდ.:

მისი აზრით, სოციალ–დემოკრატების „მაღალი მისია" იყო „წინააღმდეგობა გაეწია ნაციონალიზმისთვის და მასები დაეცვა ამ „სენისგან" (21,313).

პატრიოტიზმს სტალინმა დაუპირისპირა ინტერნაციონალიზმი, როგორც სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების ერთობა.

ბერდიაევი ასე ახასიათებს რევოლუციას და ინტერნაციონალიზმს: „რევოლუციონიზმი წყვეტს დროთა კავშირს, შლის წარსულის ხსოვნას, იგი ღრმად ანტიეროვნულია. რევოლუციური ინტერნაციონალიზმი არის სიკვდილის თანმიმდევრული რელიგია, უარყოფა უხრწნელობისა" (ერის შესახებ) (22,18).

სტალინს სოციალიზმის განხორციელებისთვის აუცილებლად მიაჩნია ხალხთა ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანება. მომხრე იყო ნაციონალურ უმცირესობათა რუს ერში გათქვეფის და ასიმილაციის.

სტალინი აღაშფოთა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ 1918 წ. 26 მაისს და აქცენტი გადაიტანა ნაციონალურ უთანხმოებაზე, თითქოს საქართველო ჩაგრავდა ოსებს, აფხაზებს, სომხებს.

საქართველოს კომუნისტთა მორიგ ამოცანად სტალინმა „ნაციონალიზმის ვეშაპის“ გასრესა და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა მიიჩნია.

ლენინისადმი მიწერილი წერილის გამო შოვინისტად მოიხსენიეს მწერალი, რის პასუხადაც განაცხადა: „მცირერიცხოვანი ერის წიაღში შოვინიზმი შეუძლებელია. შოვინიზმი იმპერიის პაროლია. შოვინიზმია თქვენის მხრით რუსული კულტურის გავრცელება იმ ქვეყანაში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის“ (კ. გამსახურდია, „ვინ არის შოვინისტი“, გაზ. „სახალხო განათლება“ 7 ივნისი, 1989წ. გვ. 9).

ასევე, პეტრე მირიანაშვილმა უარყო ი. ჯუღაშვილის დებულება მცირე ერებში „ნაციონალიზმის ვეშაპის“ არსებობაზე. „მას (ნაციონალობის ვეშაპს ლ.ს.) ვერასოდეს დაბადებს დამონებული ხალხი. მისი გამჩენია გამარჯვებული სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც თავს ახვევს პროვინციებს თავის წეს–წყობილებას, კანონებს და კულტურას.

პეტრე მირიანაშვილი იძულებული იყო ეთქვა: „ყველა ქვეყნის პროლეტარები უნდა შეერთდნენ თავიანთ ქვეყანაში და არა საქართველოში“ (23,24).

კონსტანტინე გამსახურდია წინააღმდეგი იყო ავტონომიების შექმნის და როცა სრულიად მოულოდნელად, პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციასთან შეთანხმების გარეშე, უშუალოდ სტალინის მცდელობით ოსეთის ავტონომიური ოლქი გაჩნდა ძირძველ ქართულ მიწაზე–სამაჩაბლოში, მწერალმა იმ ავბედითი დროის ანტიქართული პოლიტიკის ერთ–ერთ შემოქმედს - ფილიპე მახარაძეს მოურიდებლად მიახალა პირში: „მე მაინცდამაინც პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა“ (ლანდებთან ლაციცი, ლიტერატურული საქართველო 1991წ. 26 მაისი).

1921 წელს აფხაზეთის ავტონომიის შექმნასა და აჭარის მიერ ავტონომიის მოთხოვნას მწერალმა „საქართველოს კვართის დანაწილება“ უწოდა (იქვე).

სტალინმა გადმოისროლა საქართველოში „ნაციონალურ დაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლის“ ლოზუნგი.

1923 წელს რკპ(ბ). მე–2 ყრილობისთვის სტალინის მიერ წარდგენილ თეზისებში საქართველო გამოცხადდა „წმინდა წყლის შოვინისტურ ქვეყნად, სადაც „ქართულ შოვინიზმს არნახული მასშტაბი აქვს შეძენილი“.

სტალინი საქართველოს ყოველთვის ასახელებდა „ნაციონალისტური გადახრისა და შოვინიზმის“ უპირველეს მაგალითად, რომელიც ჩაგრავდა სომხებს, ოსებს, აჭარლებს, აფხაზებს.

ქართველთა სურვილს საკუთარი საზღვრების დაცვის შესახებ, სტალინი „სასაზღვრო კორდონების შესახებ ველურ დეკრეტებს“ უწოდებდა (24,280).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა დამხობილ იქნა 1921 წლის 25 თებერვალს სტალინის, ორჯონიკიძის, კიროვის, ჩიჩერინის, ლენინის თაოსნობით. საქართველოს გასაბჭოებას მოჰყვა ტერიტორიების გადანაწილება, ავტონომიების შექმნა აფხაზეთსა და აჭარაში. სამაჩაბლოში მოულოდნელად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ოლქი ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის თაოსნობით, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმებოდა კ. გამსახურდია.

20-იანი წლების პრესის გაცნობა ადასტურებს, რომ საქართველოში ვერ ხორციელდებოდა ეროვნული პოლიტიკა, თბილისი ბაბილონად იყო გადაქცეული და ვერ ფუნქციონირებდა ქართული ენა, იჩაგრებოდნენ ეროვნული კადრები, რადგან მუდმივად ხდებოდა უცხოელთა მოძალება.

რომან „ბელადის“ შეკვეთით დამწერმა კ. გამსახურდიამ კარგად იცოდა, რა დემონური და ტირანული ძალა იყო სტალინი. მწერალი ხედავდა, რომ იმ დროს საქართველოში მიმდინარე კონფლიქტები ინსპირირებული იყო როგორც შინაური, ისე უცხო ძალების მიერ და უშუალოდ სტალინის ძალისხმევით დაიწერა მომავალი ტრაგიკული მოვლენების სცენარი, რამაც საპარატიზმისკენ წააქეზა ჩვენი ქვეყნის ავტონომიები და ორი ძირძველი კუთხე, ჩვენი ტერიტორიების მესამედი მოსწყვიტა საქართველოს.

აშკარაა, რომ რუსეთისა და საქართველოს მესვეურთა, სატანური ბოლშევიზმის ბელადთა პოლიტიკის, ჩვენი ქვეყნის პრობლემებისადმი არაობიექტური მიდგომებით იყო გაპირობებული ის ტრაგედიები, რაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ვიწვნიეთ.ყოველივე ამას ფხიზელ თვალს ადევნებდა კონსტანტინე გამსახურდია, რამაც შესაძლებლობა მისცა უცდომლად განეჭვრიტა მოსალოდნელი კატაკლიზმები.

ცნობილი პროზაიკოსი, რომელიც კარგად ხედავდა ჩვენი მეზობელი ყინულოვანი მონსტრის საბედისწერო სვლებს, ალბათ, ითვალისწინებდა მე-19 საუკუნეში მათ მიერ აფხაზთათვის მოწყობილ მახაჯირობას და წარსულის შედეგებზე დაკვირვებამ, სახელგადარქმეული, საბჭოთა მანტიით მოსილი სატანური ბოლშევიზმის პოლიტიკის ანალიზმა საფუძველი მისცა წარსულიდან და აწმყოდან მომავალშიც გადაეხედა და განეჭვრიტა ის, რაც ზედაპირზე არ ჩანდა, მაგრამ ფარდის მიღმა მწიფდებოდა.

ნოველა „ტაბუ“ ისეთივე ღრმააზროვანი გაფრთხილება იყო ერისა, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.

მიზანმიმართულად, ბოროტი განზრახვით, ქართული სახელმწიფოს სხეულში ჩადებულ იქნა დაყოვნებული მოქმედების ნაღმი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნით, რომელსაც ხელშემწყობი პირობები შეუქმნა გაიძვერა მოყვარემ ისევ ჩვენი თანამემამულის ხელშეწყობით და წაქეზებით. რევოლუციის ქართველი ბელადის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რაც დღეს ეჭვს არ იწვევს...

უბედურების აცდენა შორსმჭვრეტი პოლიტიკოსების მცდელობით შეიძლებოდა, ზევიდან რომ ყოფილიყო კეთილი ნება.

განუმეორებელი, მრავლისმთქმელი სახეებით გვაგრძნობინებს ნოველის ავტორი იმ მოვლენებს, რომელმაც ორ ერს შორის მესამე, მუხანათური ძალის ხელშეწყობით უნდა ჩატეხოს ხიდი.

დიდი მწერლის ღაღადისი ავტონომიების მიზანშეუწონლობაზე, ეროვნულ გრძნობას მოკლებულ, ინტერნაციონალიზმის მედროშე პოლიტიკოსთა შავბნელ ზრახვებზე, დარჩა ღაღადებად უდაბნოსა შინა...

ჩვენი უბედურების მიზეზების განჩხრეკაა შემდეგ სტრიქონებში: „ჩვენთან უნაპირო ინტერნაციონალიზმი ძალიან ამართლებს. მოვამრავლებთ ჩვენს მიწაზე სტუმარ ერებს და შედეგად ვიღებთ დაკარგულ აფხაზეთს, დაკარგულ სამაჩაბლოს, თითქმის დაკარგულ ჯავახეთს. ასე გვესმის ჩვენ სახელმწიფოს შენება“ (რევაზ მიშველაძე, გაზ. „შანსი“ 28 ივნისი, 1999წ).

ისევ რეალური ვითარების დაფიქსირებაა წერილში „ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი“: „ჩვენს ეროვნულ სხეულზე ხავსად მოდებული გადამთიელი ჩვენს მიწას გვედავება“ (რევაზ მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, გვ. 23).

კომუნისტური მმართველობის 70-წლიანი პერიოდი ერის ეროვნულობის დაკარგვის, ქვეყნის გადაგვარების, წინაპრების ანდერძის დავიწყების მცდელობა იყო: „ჩვენი 70 წლიანი საღათას ძალით ლამის დავკარგეთ ყველა ეროვნული პოზიცია, ჩვენმა წინაპრებმა ასე სასოებით რომ გვიანდერძეს... უპირველესი აზრი გმირი წინაპრების ანდერძისა ის იყო, რომ საქართველოს მიწა –წყალი საჯიჯგნად არ დაგვეგდო, ერსა უცხოსა არ აღვრეულიყავით“ (რევაზ მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, გვ. 41).

საბჭოთა პერიოდში იკრძალებოდა ეროვნულ პრობლემაზე წერა: „20-იან წლებში მიფუჩჩებულია და ნაცარწაყრილი ეროვნული ტკივილი... გაცემულია დირექტივა: ეროვნული საკითხი საიმედოდ მოგვარებულია და მასზე ლაპარაკი აღარ არის, ამიტომ ისიც უნდა დაივიწყო, რასაც წარსულში ამბობდნენ... პატიოსანს ჭრილობა ისევ ტკიოდა, ეწვოდა, მაგრამ ენაზე კბილი უნდა დაეჭირა

და კვნესა გულში ჩაეხშო".(აკაკი ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ.1990, გვ. 7).

სტალინი და ეროვნული საკითხი ჩვენთვის საინტერესო ჭრილში საკმაოდ შესწავლილია და ნაჩვენებია რევოლუციის ბელადის ანტიქართული პოზიცია (25,3-128).

მიუთითებენ, რომ „მოსკოვის მიერ დანიშნული პარტიის ცეკას რუსი მდივნები სტალინის აგენტებს წარმოადგენდნენ (26,5).

ასევე ირკვევა, რომ აფხაზეთის აფხაზი მესვეურები თავიანთ ანტიქართულ პოლიტიკას უშუალოდ კრემლს, კერძოდ, სტალინს უთანხმებდნენ: „აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ნესტორ ლაკობა შავი ზღვით კრემლისკენ „მიცურავდა" და აფხაზეთის ყოველგვარ საქმეს სტალინს უთანხმებდა. ბერიამ ლაკობა თბილისს ჩამოაბრძანა და უთხრა, მოსკოვში, კრემლში, ნუ „მიცურავ" სტალინთან აფხაზეთის საქმეებზე, ჯერ აქ, თბილისში „ჩამოცურდი" ჩემთან და შემდეგ, სადაც გინდა, იქ წადიო" (26,5).

სტალინს რუსებმა რუსული მიწების შემკრები უწოდეს. ეს მართლაც ასე იყო. მან რუსეთი განადიდა, მაგრამ მისი ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა დამონებასა და გადაგვარებას, მისი გარუსების საქმეს ემახურებოდა (26,6).

ბერია კარგად ხედავდა, საიდან იმართებოდნენ სეპარატისტი აფხაზები, ვინ უწყობდა ხელს არაქართული ძალების მომრავლებას: „აფხაზეთი ქართული მიწაა, – იქ აფხაზები უმცირესობას წარმოადგენენ ქართველებთან შედარებით, და აი, ეს უმცირესობა უმრავლესობას ეწინააღმდეგება. ეგ არაფერი, აფხაზებს მე მოვუვლი, მაგრამ შავი ზღვის სანაპიროს სხვა ეროვნების ხალხები იპყრობენ და იქ სახლდებიან. ამაში მათ რუსები უწყობენ ხელს" (26,13).

ალ. სიგუა მიუთითებს, რომ ბერიას ხელთ ჰქონია ივანე ჯავახიშვილის წერილი შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაციაზე (26,13).

ბერიას აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის უთქვამს: „მოუარეთ იქაურ აფხაზებს. ჩვენი დამოკიდებულება... აფხაზეთის მიმართ ასეთია: ისინი, ვინც ქართველებს ებრძვიან, აფხაზები კი არ არიან, არამედ შემდეგში ჩამოსახლებული თათრები – აფსუები არიან. თქვენ კანონის თანახმად უნდა იმოქმედოთ და ჩვენ მხარს დაგიჭერთ" (26,14).

ალ. სიგუას მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ბერიას დამსჯელი ორგანოების სადავეები ეპყრა, იგი სტალინის სიცოცხლეშივე იბრძოდა მისი რუსული შოვინისტური დოქტრინის წინააღმდეგ, რომელიც ერთა შერწყმას, ფაქტიურად გარუსებას გულისხმობდა.

ბერიას სურდა უცხოელებისთვის დაეარსებინა ქართული ენის შესწავლელი კურსები. შალვა დადიანთან და ალ. სიგუასთან ბერიას უთქვამს, თუ როგორ დაითანხმა სომხეთის ცეკას მდივანი თბილისიდან სომხების წაყვანაზე თავის რესპუბლიკაში, მაგრამ „მოგვარებული და გადაწყვეტილი საქმე" სტალინს ჩაუშლია.

„ვერა და ვერა, სტალინს ვერ შევაყვარე საქართველო! საერთოდ არ უყვარს მას საუბარი საქართველოზე", უთქვამს ბერიას (26,13).

როგორც ირკვევა, სტალინი თავის სიცოცხლეში ბერიას ხელს უშლიდა საქართველოში სწორი პოლიტიკის გატარებას, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბერიასაც მალე ბოლო მოუღეს და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დღემდე ღვივის რუსებისა და სტალინის ხელშეწყობით დანთებული სეპარატიზმის ცეცხლი, იგი არათუ არ ქრება, უფროდაუფრო ღვივდება და ამ ტერიტორიების ნართმევითაც არ კმაყოფილდება.

ლიტერატურა

1. კონსტანტინე გამსახურდია, „პასუხი", გაზ. „სოციალისტი ფედერალისტი" 1921წ. 15 მაისი.
2. კონსტანტინე გამსახურდია ტ. VIII, 1985.
3. „მნათობი", 1980,№8.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, 1990
5. ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, ლიტერატურის მცოდნეობის საფუძვლები, თბ. 2008
6. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ. 1990
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
8. იონე–იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
9. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 20 ტომად, ტ. I, თბ. 1992
10. ოპოზიციური ლიტერატურა, კრ. „ამირანი", თბ. 1990
11. იოსებ გრიშაშვილი, დაუბეჭდავი ლექსები, თბ. 1992
12. აკაკი ბაქრაძე თხზულებანი, ტ. 3, თბ. 2004
13. ლადო ჭანია, კონსტანტინე გამსახურდია და ყოველი საქართველო, თბ. 2006
14. დავით თევზაძე, კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა,თბ.1996
15. კონსტანტინე გამსახურდია, „ვაზის ყვავილობა",თბ. 1956
16. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
17. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1990
18. საპატრიარქოს უწყებანი, 2009, №12, 3-9აპრილი

19. ღია წერილი ულიანოვ ლენინისადმი, გაზ. „სოციალისტ–ფედერალისტი“, 1921, 8 მაისი.
20. სტალინი, ტ. 2 თბ. 1947
21. სტალინი, ტ.1, 1947
22. ნიკოლოზ ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1993
23. დავით თევზაძე, საუკუნის თვალით, თბ. 1994
24. სტალინი, ტ. 5, 1950
25. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში, ქუთაისი, 2000
26. ალ. სიგუა, მკვლელობა ბერიას კაბინეტში, თბ. 1992.

საბჭოთა წყობილების ეფემერულობის განჭვრეტა „მთვარის მოტაცებაში“

კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა თავისთავადი, გამორჩეული და განუმეორებელია. ეს არის ერის მიერ გასავლელი მთავარი გზა, გზა კაცობრიობის ისტორიაში ქართული სულის, იდეალების დამკვიდრებისა, სულიერი ამაღლების, სულის ზრდის გზა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული თუ მსოფლიო მასშტაბებით.

ამ მიზნამდე მწერალმა ურთულესი გზით იარა. ნატურალიზმის, შაბლონური რეალიზმის, ათასგვარი იზმის დაძლევით დაამკვიდრა არა მხოლოდ ხილული, არამედ მესამე სინამდვილე, „ახლებური რეალიზმი“ რომელსაც „ჯადოსნური, ფანტასტიკური“ შეიძლება ეწოდოს, დოსტოევსკის ტერმინი რომ გავიმეორეთ ჩვეულებრივი თვალისთვის განუჭვრეტელის, უხილავის ხილვის გარეშე არ არსებობდა დიდი პროზაიკოსისათვის მარადიული ხელოვნება, რასაც შეალია მთელი თავისი შემოქმედებითი ძალისხმევა.

ნათელხილვის, ნათელსმენის, წინასწარმეტყველური, გრძნობისეული და ინტელექტუალური ინტუიციის ფენომენებით გამორჩეულ მწერლისეულ სამყაროში უტყუარად არის განჭვრეტილი წარსული, აწმყო და ასევე შეუმცდარად წინასწარ ცხადდება მომავალი.

წინასწარმეტყველების ნიჭს, სიბრძნეს კი სულით სპეტაკ ადამიანებს არსთაგანგრიგე მიჰმადლებს: „სიბრძნე ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს, რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ სიბრძნე სოლომონისა, 7,28) (1,24).

სიბრძნე, წინასწარმეტყველური ინტუიცია გვხიბლავს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში.

ბუნებრივია, რომ „საქართველოს დიდხანს არ დააძინებს დიდოსტატის ორი ფხიზელი და გრძნეული თვალი (2,217).

დღესაც, ჩვენგან ფიზიკურად კარგა ხნის წინათ წასული მწერლის სული „ცისფერ შუქს გვაფენს და ისევ მძაფრად გვესმის მისგან ნამღერი ერის უკვდავების სულისშემძვრელი ჰიმნი"... (2,221).

კონსტანტინე გამსახურდია შემოქმედთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც ღია თვალებით ჭვრეტენ მოვლენებს.

„ზეარსებანი მარადიულ თვალით ჭვრეტენ ზენარულ ძალთა ქცევას", აცხადებს დანტე (3,28).

ასეთ თვალებში „მარადი სხივის" ანარეკლია: „მე უკვე ვამჩნევ, ვით ანათებს უკვე შენს თვალში მარადი სხივის ანარეკლი მზეებრ ბრწყინვალე" (3,263).

ღია თვალებით ჭვრეტა უფლის პრეროგატივაა (იერემია, 32,19).

„...ხელოვნური ქმნილება ალგებრულ ფორმულასა ჰგავს, იგი უამრავ ალეგორიების ჩამტევია და რამდენადაც ეს „რა უნდა ეთქვა" მკაფიოდ არა ჩანს, მით უფრო გამძლეა იგი. როცა ხელოვნურ ნაწარმოებში ტენდენცია აშკარად გამოკრთის, ის ისევე უშნოა, როგორც ლამაზი ქალის სხეულში გამოჩენილი ძვლის თავები" (კ. გამსახურდია, თხზულებანი 10 ტომად, ტ. I, თბ., გვ. 355).

კონსტანტინე გამსახურდია მწერალს „მენცარს" ადარებდა, რომელსაც ხელენიფება აწმყოდან მომავლის ჭვრეტა: „როგორც ადამიანი ღმერთებს, ისე ვქმნიდი მე მათ (ლიტერატურულ გმირთა–ლ.ს.) სახეებს, ხოლო ისინი მეხმარებოდნენ მე შემსხმოდა და გამეშალა ფრთები, რათა ზეამაღლებულს დამენახა და დამეხატა ვნებანი, ოცნებანი, მისწრაფებანი და მოძრაობანი მათი. და ეს იყო არა მხოლოდ ის, რაც იყო, არამედ ისიც, რაც არის და შეიძლება მერმისშიც იყოს. წარსულში ჩადგმული თანამედროვეობის ჭვრეტა მომავლიდან უფრო უპრიანია და ამიტომ ის ფრთებით მე მყოფადიდანაც ვაკვირდებოდი მათ და ეს, ვითარცა მენცარს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემმა გმირებმა შემაძლებინეს" (პაატა გუგუშვილი, კონსტანტინე გამსახურდია (4,71).

ქართველი პროზაიკოსის შემოქმედებაში სულიწმიდის მადლია, რადგან იგი, უპირველესად, რელიგიური მწერალია.

დიონისოს, ელინური კულტურის გზით, შტაინერის, ნეტარი ავგუსტინეს, დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიის, ქრისტიანული მსოფლშეგრძნების გზით აღწევს მწერალი კლასიკურ უნივერსალიზმს.

ქართველი დიდოსტატი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ რწმენის, ღმერთის ძალით არის შესაძლებელი მაღლისა და მშვენიერის შექმნა: „ვერც ერთი თაობა, ვერც ერთი ეპოქა, ვერც ერთი ერი მაღლისა და მშვენიერის შემოქმედი ვერ იქნება, თუ იგი ღვთაების უხვი კალთიდან აღარ იღებს სულიერ საზრდოს“(5,425).

რწმენა კი მორალური კანონის ერთგულებას ნიშნავს უპირველესად: „მადლი უფალს, რომ მე ემანუელ კანტის შეგონებას არასოდეს ვივიწყებდი: „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მორალური კანონი ჩემში“ (6,97)

არსებობს ორგვარი სახეობა რელიგიურობისა: რელიგიურობა რჩეულთა, ფილოსოფოსთა, სულიერ არისტოკრატთა და რელიგიურობა ჩვეულებრივი ადამიანებისა, ე.ი. მასებისათვის მისაწვდომი ფორმა რელიგიურობის.

ასევე არსებობს კეთილი ღვთისმბრძოლობა და ნაგატიური ღვთისმბრძოლობა, შავწიგნოსნობა, ათეიზმი(7,385).

კეთილი ღვთისმბრძოლობის მაგალითია იაკობის შერკინება ღმერთთან, რამაც იაკობს მიჰმადლა სვე.

თვით მწერალიც ისე ებრძოდა ქართულ სიტყვას, როგორც ბიბლიური იაკობი ღმერთს.

ამასთან, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი თავისებურებებიდან განსაკუთრებით თვალში საცემია სიმბოლური, იგავური აზროვნება, შიფრით ნაწერი, რაც მას ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან აახლოებს: „პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს. ამ შიფრის დახსნა არცაა საჭირო, მაგრამ ჟამიდან ჟამზე პოეტი იძულებული ხდება, ეს ჩაიდინოს და ცნებების ენით ელაპარაკოს მკითხველს“ (8,380).

კ. გამსახურდიამ სოციალისტურ რეალიზმს „ტროიანული ცხენი“უნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს მეთოდი შემოპარებული იყო სიმართლის გასამრუდებლად.

როგორც სხვა ნაწარმოებები, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ უხილავში ხილულის, დეტალებში მთელის, ლოკალურში გლობალურის, ჯერაც გაუმჟღავნებელი მოვლენების, მოსალოდნელი ამბების წინასწარ განჭვრეტით იპყრობს ყურადღებას.

მოსყიდული, ხელისუფლების მსახური მწერლებისგან განსხვავებით, კ. გამსახურდია გრძნობს ქვეყნის მესვეურად მოვლენილ, არაეროვნულ, ურწმუნო ხელისუფალთა დამღუპველ პოლიტიკას, ხალხისთვის ძალად თავს მოხვეული კოლექტივიზაციის კრახს, რევოლუციის სახელით კულტურის, ტრადიციების იავარქმნას და შეფარვით ამხელს სატანურ ძალებს.

რომანის პერსონაჟებს ხილვების, სიზმრების საშუალებით წინასწარ ეცხადებათ მომავალი, ხოლო ავტორი მრავლისმეტყვე-

ლი მინიშნებებით გვახედებს ტირანული, სულის, კულტურის მომსპობი ეპოქის არსში.

რომანში შემთხვევით როდი ფიგურირებს ნაბუქოდონორის სიზმარში ნახული თიხისფეხებიანი კერპი, აპოკალიფსური ვეშაპი.

გლეხი კაც ზვამბაია შვილის „გაკომუნისტებას“ დაღუპვად მიიჩნევს, ბაბუა ტარიელი მეგვიპტელებს, მტრებს, ეშმაკებს უწოდებს მათ, მოუთმენლად ელოდება ამ „ეშმაკების აღსასრულს“ და დარწმუნებულია, რომ ეს ასეც იქნება.

მთავარი პერსონაჟი კომკავშირელი არზაყანი მამის მკვლელია, კოლექტივიზაცია ძალად თავს მოხვეულია ხალხისთვის, ძალადობაზე, ტერორზე დაფუძნებული ქვეყანა კი წინ ვერ წავა, ასეთია მწერლის აზრი და მართლაც, მის მიერ ეფემერულად მიჩნეული სოციალიზმი და კოლექტივი წარსულს ჩაბარდა.

კაც ზვამბაია აშკარად აელენს თავის ანტიპათიას კომუნისტებისადმი, რომელთაც გადაიბირეს მისი შვილი: „ტფილისში, ლეგიონში სულ გადაარჯულეს“... „უნდა დაიწვას წიგნები... ბლუზიანი და კეპიანი ხალხი უნდა ამოწყდეს“ (9,7).

„კაც ზვამბაია შესჩიოდა ნახუცარს, თუ როგორ „დაელუპა“ ვაჟი, როგორ გაუკომუნისტდა. მეშინია, ამბობდა, უმცროსებსაც არ გადაედოსო და ამ „გადადების“ ამბავს ისეთი ტრაგიკული ტონით ხვნეშოდა, თითქოს შავი ჭირის გადადებას გულისხმობსო.

„განა მარტო მე, მთელი ქვეყანა დაღუპეს, მამაო“ (9,36).

კაც ზვამბაია რწმენის, ტრადიციების ერთგული გლეხი იყო და ინტუიციით გრძნობდა, რომ გადაგვარებას უქადდა ადამიანის სულს სისხლიანი ტირანების თარეში, ამიტომაც სასიკვდილოდაც იმეტებდა მათ.

ბაბუა ტარიელს აბოდებდა კომუნისტების სიძულვილით და ბიბლიაშიც კი მათი სახელები ელანდებოდა: „ბაბუა ტარიელ ხმამაღლა კითხულობდა სახარებას ან „დავითნს“. ალაგ–ალაგ „მეგვიპტელების“, „მტრების“, „კათაკმევლების“ ადგილას ბოლშევიკებს ჩაურთავდა, ქადაგებით ღაღადებდა და წყეველით გულს მოიჯერებდა“ (9,25).

ნაბუქოდონოსორის სიზმართან დაკავშირებით მიხეილ ჯავახიშვილს უთქვამს: „ეს სიზმარიც რუსებზეა გადატანილი. ავტორი წითელ რუსეთს გულისხმობსო (10,141).

„ეს რომანი ქართულ საქმეს გააკეთებს აფხაზეთში. ავტორი ეუბნება აფხაზებს, არ გარუსდეთო“, აღნიშნავდა მიხეილ ჯავახიშვილი (10, 141).

ნახუცარი ბიბლიაში ეძებდა სანუგეშოს და საძულველი სახელებით ნათლავდა ახალი დროის ტირანებს: „...საქრისტიანოს ღმერთი არ გასწირავს. რომის პაპს ჯვაროსნული ომი გამოუცხადებია თურმე და ამ ეშმაკების აღსასრული მოახლოებულია. პირ-

ველ ქრისტიანების მხნეობას იმოწმებდა ბაბუა ტარიელ, ისრაელთა ეგვიპტელთაგან განთავისუფლებას იგონებდა, ბოლშევიკებს თემურ–ლენგს ადარებდა, ქვაბთა ხევის მონასტრის ბერებს რომ ეუვანები შეაბა" (9, 36-37).

შემთხვევითი როდია, რომ დოსტოევსკიმ ეშმაკთა სახელით მონათლა ათეისტი რევოლუციონერები.

ბაბუა ტარიელი ფსალმუნის სტრიქონებით ევედრებოდა ღმერთს, სასიკვდილოდ გაეწირა მტარვალნი: „აღსდექ, უფალო, რისხვითა შენითა, ამაღლდი მოსრულებად მტერთა შენთა და განიღვიძე, უფალო ღმერთო ჩემო, ბრძანებითა მით... არათუ მოიქცეთ, მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდაუცვამს და განუმზადებიეს იგი და მისთანა განუმზადებიან ჭურვნი სიკვდილისანი".

ქართულ მეცნიერებაში სამართლიანად არის მითითებული, რომ „მთვარის მოტაცება" დაწერილია სასტიკი და ულმობელი ცხოვრების ღრმა შეცნობით, დიდი გემოვნებითა და მომავალი ტრაგედიის წინაგრძნობით" (11,27).

რომანში არზაყანის მიერ მამის მოკვლა დაფუძნებულია რეალურად ნანახ ფაქტზე. მწერალს უნახავს აფხაზეთში ურემზე დასვენებული მკვდარი, რომელსაც ახალგაზრდა მოჰყვებოდა. თურმე შვილს მოეკლა მამა.

„მთვარის მოტაცება" იწყება იმით, რომ კაც ზვამბაია მღერის ერგეაშვას, რაც მიქელგაბრიელის სიმღერაა. მას მღერიან მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად". იგი დაღუპვის წინ აღმოხდება გულს, როგორც მოახლოებული განსაცდელის ამონაკვნესი, მაგრამ თურმე ეს გოდება მთელი ეპოქის კატასტროფის სიგნალიც ყოფილა, არა მხოლოდ ერთი თაობისა ან წოდებისა („მთვარის მოტაცება" – ეპოქის დოკუმენტი (12, 290).

აღმოჩნდა, რომ „მთვარის მოტაცება" იყო მომავალი კატაკლიზმის საოცარი წინაგრძნობა... (12,291).

„მთვარის მოტაცება" იმას ნიშნავს, რომ ენგურმა (ერთის მხრივ–რევოლუცია", მეორე მხრივ აქერონი) ჩანთქა მთვარე–წმ. გიორგი, ე.ი. ემხვარმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, წარმართულ–ქრისტიანული წარმოდგენებით აღსავსე–სიცოცხლის მთავარი მიზანი" (12,293).

კ. გამსახურდიამ იგრძნო აპოკალიფსური კატასტროფის მოახლოება. ამით იყო გამოწვეული, რომ რომანიდან ამოიღეს კაცის ინცესტური სიზმარი, მამისმკველობის სცენა, სტალინის შედარება ნაპოლეონთან და ასე დაბეჭდეს 1947წ. (12, 294).

არენბა არლანის ბრძანებით დურიაშის ხუთწლოვანი მუხის დაწვა ტოტემის მოსპობას, მშრომელი ხალხის რეპრესიებს მოაწავებდა.

კაც ზვამბაიას სძულდა „ბლუზიანი და კეპიანი ხალხი", სოციალისტური წყობილება. მისთვის იდენტური იყო უღმერთობა და სოციალისტები და მათ „ქვეყნის დამქცევებად" მოიხსენებდა.

მწერლისათვის მიუღებელია სოციალური ექსპერიმენტები, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა.

არისტოკრატიის, ინტელიგენციის, სამღვდელოების და გლეხობის წინააღმდეგ მიმართული ტერორი ნიადაგს ამზადებს აპოკალიფსური უბედურებისათვის.

„ერგეაშვა" „მოახლოებული განსაცდელის ამონაკვნესია, ... მთელი ეპოქის კატასტროფი სიგნალი (12, 290).

„აღმოჩნდა, რომ მთვარის მოტაცება" იყო მომავალი კატაკლიზმის საოცარი წინაგრძნობა (12,291).

რომანის ავტორი არ ემხრობა კოლექტივიზაციას, მისი სიმპატიები დამარცხებული სამყაროს მხარესაა (12, 299).

მწერალს სურდა ეჩვენებინა „ტოტალური და ანტიჰუმანური სოციალური ექსპერიმენტის დამღუპველი ძალა" (12, 299).

არგონავტებზე და აიეტზე საუბარიც არ უნდა იყოს შემთხვევით, არც ის, რომ ოქროს საწმისთან ვერძს გველეშაპი ინახავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერის მაღალი იდეალები ბნელი ძალების ხელშია.

სამართლიანად არის მითითებული, რომ კ. გამსახურდიას ინტერესი მამისმკვლელობის მითოსური მოდელისადმი აღძრული იყო საბჭოთა სინამდვილით, საქართველოს ტრაგედიით (12,350).

რომანში დიდი ადგილი უჭირავს ბედისწერის, წინაგრძნობის მოტივს. წინასწარ იხილა თავისი სიკვდილი თამარ შერვაშიძემ, ტრაგიკული აღსასრულის განცდა აძრწუნებდა თარაშ ემხვარს.

უბედურების მაცნეებია შავი მტრედები, შავი მამალი, შავი ფთილა, შავი მხედარი, შავი კუბოების მსგავსი ხეების მორები.

მწერალი მოგვევლინა, როგორც საბჭოთა წყობილების, კოლექტივიზაციის ეფემერულობის წინასწარმჭვრეტი, რადგან მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, სადაც ნაწინასწარმეტყველებია უღმერთო იმპერიის შექმნაც და ნგრევაც.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
2. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1998

3. დანტე, „ღვთაებრივ კომედია“, თბ. 1941
4. „მნათობი“, 1976, №7
5. კონსტანტინე გამსახურდია, ტ. VIII, თბ. 1985
6. კონსტანტინე გამსახურდია, „ლანდებთან ლაციცი“, ლიტერატურული საქართველო, 1991, 26 მაისი
7. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესეები, თბ. 1991
8. კონსტანტინე გამსახურდია, თხზ. 20 ტომად, ტ. II, თბ. 1992
9. კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, თბ. 1990
10. ვლადიმერ ჯიბუტი, ლიტერატურული პორტრეტები, თბ. 1985
11. გურამ გვერდწითელი, მწერლებსა და მწერლობაზე, თბ. 1980
12. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, I თბ. 1997

„ვაზის ყვავილობა“ – ეპოქის არსის მაცნე და ერის გაფრთხილება

კონსტანტინე გამსახურდიამ „მთვარის მოტაცების“ შემდეგ საკოლმეურნეო ცხოვრებაზე ისევ შექმნა ახალი რომანი „ვაზის ყვავილობა“.

ცნობილია, რომ „მთვარის მოტაცება“ არ იყო საბჭოთა სინამდვილის, კოლექტივიზაციის, მთავრობის მხარდამჭერი მხატვრული სიტყვა, მაგრამ თავის დროზე ქვეყნის პრიმიტიულად მოაზროვნე მესვეურებმა და პროლეტარული მწერლობის კრიტიკოსებმა იგი მწერლის მიერ სოციალისტური წყობილებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს, რადგან მის რთულ შიფრს, სიმბოლო–ალეგორიებს ვერ ჩასწვდნენ, თუმცა რომანის ავტორისადმი, მისი ეროვნულ–პოლიტიკური კონცეფციისადმი ეჭვი მაინც არსებობდა.

ვერც „ვაზის ყვავილობაში“ იპოვეს რამე საჩოთირო, რადგან მისი დაფარული შრეები ვერ დაინახეს.

პროზაიკოსის ყველა რომანი, მათ შორის საკოლმეურნეო მოძრაობაზე შექმნილნიც, აბსოლუტურად გამორჩეულია სხვა, მის თანამედროვე მწერალთა მხატვრული სიტყვისგან.

უპირველესად, სხვაობას განაპირობებს მწერლის თავისებური კონცეფცია, რომელიც ღრმა რელიგიურ, ეროვნულ–პოლიტიკურ, ფილოსოფიურ თვალსაწიერს ეფუძნება.

კ. გამსახურდიას ერთ–ერთი უმთავრესი პრინციპი იყო პერსონაჟის სამოქმედო არეალის გაფართობება, არა პროვინციულ, ლოკალურ ჩარჩოებში ტრიალი, არამედ, როგორც კოლხური კოშკის მახვში ბრძანებდა, „ქვეყნის ოთხივე კიდეს“ ნავალ ადამიანთა, ცოდნა–გამოცდილებით, ცხოვრებაზე დაკვირვებით, წიგნიერებით

გაბრძნობილთა, გამორჩეული ხედვის ადამიანთა გაცნობა მკითხველისათვის. მის ნაწერებში თვით ყველაზე უბირი, უწიგნური ადამიანებიც არსებითს, მთავარს, წარმმართველს უტრიალებენ– ესაა რწმენის, ზნეობის, სულიერი კათარსისის, ცხოვრების საზრისის პრობლემა.

„მწერალს თავისი გმირები გამოყავს მსოფლიო ასპარეზზე, ალაზნის ნაპირებზე დაბადებულ ჭაბუკებს მეორე მსოფლიო დროს ისტორიამ დააკისრა მონაწილეობა იმ ბრძოლებში, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა ეწეოდა. მწერალი თან გაჰყვა თავის გმირებს მსოფლიო ასპარეზზე, გვიჩვენა, რა შემზარავ ხვედრს უმზადებდნენ ფაშისტები მსოფლიოს“ (გიორგი ნატროშვილი, „მემატიანე ძველისა და ახლისა“ (1,3).

დიდი პროზაიკოსის ყოველ ნოველაში, მოთხრობაში, რომანში, ესსესა თუ პუბლიცისტურ ნააზრევში მოიპოვება აფორისტული, ფრთიანი ფრაზები, ცხოვრების ახლებური ხედვა.

„ვაზის ყვავილობა“ მკითხველებმა და კრიტიკოსებმა სამართლიანად აღიქვეს, როგორც შრომის აპოლოგია, კოლექტივიზმის ჰეროიკა, ქვეყნის მსახურების უმაგალითო ნიმუში.

მაგრამ რომანის რთულ შინაგან პლასტებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ გარდა საკოლმეურნეო შრომისა, მწერალს სურდა რაღაც უფრო მეტი ეთქვა... რომანში თავს იჩენს ქართველთათვის მარადაქტუალური პრობლემა უცხოსთან, ტრადიციებთან მიმართებისა, რაღაც აკრძალულის, მნიშვნელოვანის, საუკუნეობრივი გამოცდილებით დადასტურებული სულიერი ფენომენებისადმი მოკრძალებისა.

რომანი გვესახება ერის ერთგვარ გაფრთხილებად, რათა წარსული მომავლის საწინდრად იქცეს.

„ვაზის ყვავილობის“ მთავარი პერსონაჟი ვახტანგ კორინთელი ევროპაში, საფრანგეთში განსწავლული სახელმოხვეჭილი მეცნიერია. მას უცხოეთში, კერძოდ, მონპელიეს კათედრაზე ელოდებოდა დიდი კარიერა, მაგრამ პატრიოტიზმის კარნახმა კომფორტული ცხოვრების სურვილს აჯობა და იგი საშობლოს დაუბრუნდა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თეთრხელა მეცნიერის ცხოვრებას ეროვნული საქმის კეთება ამჯობინა და დედაქალაქში კი არ მოკალათდა, არამედ კახეთში, სოფელ ბერმუხაში ვაზის გაშენების ინიციატორად მოგვევლინა. ვაზის ფენომენი ხომ ქართველი კაცისგან განუყრელია, არა მხოლოდ როგორც ყურძნის, ღვინის მომცემი, არამედ წარმართობიდანვე ჩვენი ერის კულტად ქცეული, ქრისტიანობისას კი სიცოცხლის ხის, ქრისტეს, ღვთისმშობლის, ქრისტიანული მოძღვრების სიმბოლო.

ვახტანგ კორინთელის ერთ დიდ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ მან თავისი ბავშვობის მიჯნური, სათაყვანებელი მედეა ვაჩნა-

ძე წაართვა ფრანგ მილიონერს მუსიე შარკუტიეს და სამშობლოს დაუბრუნა უძღები შვილი.

მამულის სამსახურის საფასურად ვახტანგ კორინთელი კომფორტს როდი მიელტვოდა, იგი მზად იყო ქვეყნის სასარგებლო საქმიანობაში ყოველგვარ უხერხულობას, მძიმე პირობებსაც შეერიგებოდა.

ხელისუფლების მითითებით მან არჩევანი კახეთის სოფელ ბერმუხაზე გააკეთა, სადაც უნდა გაეშენებინა ვაზი.

50–იანი წლების დასაწყისში კონსტანტინემ თბილისში, ვარაზისხევის დასაწყისში, თავის ეზოში, კოლხური კოშკის ირგვლივ ვენახის გაშენება დაიწყო. მწერალს ხან ვაზის სასხლავი მაკრატელი ეჭირა ხელში, ხან გულმოდგინედ ამოწმებდა ნიადაგს, რათა შეერჩია შესაფერი ჯიშები.

ეს გაკეთდა იმისთვის, რომ რომანი დამაჯერებელი ყოფილიყო და მის ავტორს საფუძვლიანად სცოდნოდა მევენახის შრომის სირთულე.

რომანში ვახტანგ კორინთელმა საკუთარი ძალისხმევით, ხალხის თანადგომით დაძლია მრავალი წინააღმდეგობა და მიზანს მიაღწია. ამპარტავან, გულცივ მედეა ვაჩნაძეს, რომელსაც დედაქალაქში უზრუნველყოფილი ცხოვრების სურვილი არ ასვენებდა, რომელთანაც სულიერი მეგობრობა შეუძლებელი აღმოჩნდა, ქალის ნებით გაეყარა და ახალი ოჯახი შექმნა ბავშვობის მეგობარ ექიმ სუსქია მინდელთან,... მხოლოდ ამ ქალთან იგემა მეცნიერმა ჭეშმარიტი ბედნიერება, გულწრფელი თანადგომის სტიმული.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი „ბედნიერება, რომელიც მედუზას ჰგავდა“.

მაინც რა უშლიდა ხელს ამ ორი ერთნაირი ინტერესის მქონე, ერთმანეთის გამგები ადამიანების ბედნიერებას?

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში თითქმის ყველა ნაწარმოებში გვხვდება წყევლის მოტივი, რაც ფატალური უბედურების საწინდარად იქცევა.

მწერლის რომანებში სიტყვას, წყევლას, სულის, საგნების, მოვლენების გამოწვევა შეუძლია, თუ იგი დამუხტულია პრანით.

კონსტანტინე გამსახურდიას წიგნებში წყევლა ისეთი ძალაა, რომლის დამარცხება არავის ძალუძს, იგი ტყვიასავით შეუჩერებელი და აუცდენელია.

„ვაზის ყვავილობის“ მიხედვით, გველეთის ზეგანზე ვენახი უნდა გაშენდეს. ამ ადგილის ერთ მონაკვეთს მამუკას უბანი ჰქვია. მამუკას უბანში დასახლება ადრევე წყევლით აუკრძალავს ჰერეთის რომელიღაც ქორიკოზს და ამიტომ შიშით არავინ ეკარება იმ ადგილს.

ამ მონაკვეთის დაწყევლის მიზეზი გამხდარა მამუკას შვილის გარდაცვალება. შვილის დაკარგვით გონებადაბინდულ მამას ღმერთი უგმია, ეკლესიიდან გამოუტანია ქვაკაცას წმინდა გიორგის ხატი, ფეხით გაუთელავს და მერე ღორის კოლტისთვის გადაუჯეგინებია.

ქორიკოზის ლაშქარს აუღია დედაციხე და თორმეტი გოდოლი. მამუკა სასტიკად დაუსჯიათ, მისი ექვსი ვაჟი კი ტაძრის ხვრელებიდან გაპარულა (2,283-285).

„მას შემდეგ ქვაკაცა შიშის ზარს სცემდა ამ მხარეს ჩვენს დრომდის (2,286). ქორიკოზის „უსაშინლეს წყევლას“ ახალგაზრდობა არ დაგიდევდა.

ახალ თაობას, რომელიც ურწმუნო, ღმერთისმგმობელ ეპოქაში ცხოვრობდა, არ სურდა ბრმა და მისტიკური ძალების მოშიში ყოფილიყო.

„ვაზის ყვავილობის“ პერსონაჟი, ძველი თაობის კაცი აბრია უჯირაული ყველას აფრთხილებს, რომ ქვაკაცას წმინდა გიორგის წყევლას ვერ გაექცევიან, რომ პირველ რიგში, პროფესორ ვახტანგ კორინთელს ეწევა უბედურება, რადგან მან გაბედა გველეთის ზეგნის საუკუნეობრივი ძალისგან გამოღვიძება, მისი იდეა იყო იქ ვაზნარის გაშენების „უთავჟამო საქმე“ (2, 425).

აბრია უჯირაული უბირი გლეხია, მაგრამ „რწმენის მონა“. მრავალი საუკუნის შემდეგ იგი ხელმეორედ დასწყევლის არაშენდა–გველეთის ხელმყოფელთ (2,290).

წყევლით იყო დადაღული თარაშ ემხვარის ბედი („მთვარის მოტაცება“), სავარსამიძის გზა („დიონისის ღიმილი“) და ისინი მსხვერპლად შეეწირნენ წყევლის ძალას.

არც ვახტანგ კორინთელს დაადგა კარგი დღე, მისი და მისი ოჯახის ბედიც სიკვდილთან ნილნაყარი გამოდგა ათასი წლის შემდეგ.

ნუნუს ბავშვის გადარჩენას შეეწირა ექიმი სუსქია მინდელი, წყალდიდობისას ბავშვი დაღუპვას ააცდინა ვახტანგ კორინთელმა, თვით კი გაციებამ იმსხვერპლა.

მთელ რომანს გასდევს ის აზრი, რომ განგება მუდმივ წამყოფას, მინიშნებას აძლევს ადამიანებს, მაგრამ მათი მზერა დაგმანულია, სმენა დახშული, არ ძალუძთ მისი შეცნობა.

აქაც სიზმარში ცხადდება მოსალოდნელი.

ვახტანგ კორინთელს ევლინება საშინელი ზმანება: „ცას შებჯენოდნენ ბროლის მყინვარები, წყალში ცურავდა ნამრუდისფერი კავკასიონი.

აზვავდა ზღვა, მიწა იძრა, ატყდა გრიგალი.

ერთბაშად იგრიალა მთებში, გასკდა როშკის მწვერვალი, ცეცხლოვანი კვამლი ამონერწყვა კრატერმა.

...ღამესავით შავი გიურზა ამოვიდა ამ კრატერიდან და მისწვდა ზურგს თავისი ორკაპიანი ენით...

ერთ წუთში ყველაფერი გათავდა“ (2, 630).

რომანს საფუძვლად დასდებია მწერლის შეხვედრა ზესტაფონში ენაბლუ განათლების განყოფილების გამგესთან, რომელიც ფრონტზე დამუნჯებულა, სოფელში ჩამოსულა ვაზის ყვავილობის დღეებში, დედას უჩვენებია ვაზის ყვავილობა და მისი სილამაზის ზეგავლენით აუდგამს ენა. ეს შემთხვევა გამოუყენებია მწერალს რომანის თემად.

„ვაზის ყვავილობის“ პერსონაჟი სოლომონ გულუხაიძე სთხოვს მწერალს, დამუნჯებულ გოდერძის უშველოს, რაც ავტორის გაკვირვებას იწვევს. ის კი ეუბნება: „...კარგად ვიცი, თუ რა ჯადო აქვს მწერლის სიტყვას. შენს სიტყვას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია, შენ არსთაგანმგრიგემ მოგანიჭა მრავალი საუკუნის წინათ გარდაცვლილთა კვლავ ამეტყველების უნარი“ (2,635).

კ. გამსახურდია მართლაც აღიარებს მწერლის სიტყვის მომნუსხველ ძალას: „იმ დღეს მართლაც ვირწმუნე მომნუსხველი ძალა სიტყვისა, რომლითაც ქრისტემ გამოაფხიზლა ლეტარგიულ ძილში გადასული ლაზარე, რადგან კარგად ვიცი, რა უცნაურად დააელექტრონებს ხოლმე მწერლის სიტყვა მილიონ ადამიანთა გულებს: ზოგჯერ ეპოქებს შესძრავს, ყირაზე დააყენებს იმპერიებს, ადამიანებს ატირებს და აცინებს არყოფილი გმირების სიკვდილისა და არმომხდარი ამბების გამო“ (2,635).

რომანში მეორდება გოდერძის პროტოტიპის ისტორია.

მწერალი ეუბნება გოდერძის: „გოდერძი, მიმოიხედე ირგვლივ, ნახე, რა მშვენიერია ეს ქვეყანა ნაქუხილარზე, ნამდვილი ბაღნარია პესპერიდების. მიხედე შენს საყვარელ კავკასიონს, ... თვალი მოავლე შენს კახეთს, ვაზებისა და ვარდების ქვეყანას, ნახე ვაზის ყვავილობა, ნამდვილი სასწაული დედამიწისა“.

„მართლაც, მართლაც მშვენიერია ვაზის ყვავილობა, თქვა გოდერძიმ“ (2,636).

„ჩვენში ვაზი რელიგიური კულტის ხარისხზე იყო აყვანილი. ქრისტიანიზმმა მისტიური ელფერი მისცა ღვინოს, „ქრისტეს სისხლად“ გამოაცხადა იგი. ეს მითი ქრისტეს ნამებისა დიონისოს მითიდან იწყება“ (2, 129).

რომანში ბერმუხა სიმბოლოა ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა, ხოლო ვაზი–სიცოცხლის ხე.

„ვაზის ყვავილობაში“ დიდი ადგილი უჭირავს ბუნების ფენომენს, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს: „ცხოველებს და მცენარეებს ისეთივე გულისყურით უნდა მოვეკიდოთ, როგორც ადამიანს“ (2,78).

„ყვავი რომ ყვავია, მისი ძახილიც მრავლისმეტყველია“ (2,76).

მარადჟამს გასათვალისწინებელი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში: „მეცნიერის ცხოვრება ტანტალუსის ტანჯვას მაგონებს. ფრიგიის მითიური მეფე ტანტალუსი ღმერთებმა დასაჯეს: ყელამდის წყალში იდგა და წყურვილი ახრჩობდა.

მეცნიერებაც აგრეა, მთელი ცხოვრება უნდა შეალიო მას, სულ ცოტას მიაღწევ თუ არა, სიბერე კარზე მომდგარია უკვე“ (2,429).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში დიდი ადგილი უჭირავს წყევლის ძალას. კათოლიკოსისგან ან მამისგან დაწყევლილი ადამიანები ყოველთვის ისჯებიან.

დაწყევლილი იყვნენ კონსტანტინე სავარამიძე, თამაშ ემხვარი, დაწყევლილ უბანში გააშენა ვაზი ვახტანგ კორინთელმა და ფატალურად დასრულდა მისი ოჯახის ცხოვრება.

მხატვრული სიტყვის აპოლოგიაა ჩართული რომან „ვაზის ყვავილობაში: „...ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, შენს სიტყვას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია, შენ არსთაგანმრიგემ მოგანიჭა მრავალი საუკუნის წინათ გარდაცვლილთა კვლავ ამეტყველების უნარი“ (2,635).

პროზაიკოსის ნათქვამი მხატვრული სიტყვის ყოვლისშემძლეობაზე აღებულია ალვანში მწერალთან ერთ–ერთი შეხვედრის მონაწილის გამოსვლიდან, რაც ჩაუწერია „ვაზის ყვავილობის“ ავტორს (ილია ნაკაშიძე, მწერალი და მკითხველი) (3,6).

ნაწარმოებში ზუსტად მეორდება ეს ეპიზოდი, ოღონდ დედის ადგილზე მწერალია პერსონაჟის მეგზური ვაზის ზვრებში და აქაც ენას ამოიდგამს ომში წამებისგან დამუნჯებული ადამიანი.

კ. გამსახურდიას ნაწერებში ერთდროულად აქვს ძალმოსილება მწერლის სიტყვას, წყევლას, ბუნებას სილამაზეს.

იქნებ შემთხვევათი არც ის არის, რომ სწორედ ვაზის ზვრებში ხდება ეს სასწაული.

„ჩვენში ვაზი რელიგიური კულტის ხარისხზე იყო აყვანილი. ქრისტიანიზმმა მისტიური ელფერი მისცა ღვინოს, „ქრისტეს სისხლად“ გამოცხადდა იგი (2,29).

ბუნებისადმი გარდუვალ ტრფიალს კოსმიური გრძნობა ეწოდება“ (2,360).

ბუნების, სილამაზის ძალასთან ერთად, სიტყვის ძალაც გამოარჩევს კ. გამსახურდიას.

იოგების მიხედვით, აზრი ისეთივე მოვლენაა, როგორც ელექტრობა ან სინათლის ტალღა.

რაჯნეშის მიხედვით, საგანი არის აზრი, აზრი არის საგანი. თქვენ ნივთივით შეგიძლიათ აზრის სროლა, შეიძლება აზრით მოკ-

ლათ ვინმე, როგორც ხანჯლით. შეიძლება გასცეთ თქვენი აზრი, როგორც საჩუქარი, ან საწამლავი.

ნივთები აზრის ფიზიკური ნაწილია, აზრები–საგანთა მენტალური მხარე.

აზრი სინათლეზე ჩქარია, იგი საგნებშია.

პრანით გამსჭვალული აზრი უძლიერესია, პრანი აცოცხლებს აზრს და აქცევს მას თითქმის სულიერ არსებად (4, 113).

რერიხი გვმოძღვრავს: „იფიქრეთ აზრზე, როგორც ცხოვრების რეალურ ფაქტორზე".

კონსტანტინე გამსახურდია არა მარტო მხატვრული სიტყვის და ბუნების მშვენიერების ძალას აღიარებს, არამედ წყევლის ნეგატიურ ძალასაც.

ცნობილია ფარაონ ტუტანხამონის წყევლა, მისი სამარის კარის თავზე წარწერილი: „ვინც ფარაონს ძილს დაუფრთხობს, მოკვდება".

1922წ. 3 ნოემბერს ჰოვარდ კარტერმა და ლორდმა კარნარვონმა ფარაონის ხელუხლებელი სამარხი იპოვეს. ექვსი დღის შემდეგ ლორდი კარნარვონი კაიროს სასტუმროში გარდაიცვალა სიტყვებით: „მესმის ძახილი. იგი მიხმობს... ტუტანხამონი"... ასევე, მის მამულში ყმუილის შემდეგ გარდაიცვალა ძაღლი.

სიკვდილი ეწვია არქეოლოგ პიტერ მეისტს, რომელმაც აკლდამის კარიდან ქვა გადააგორა. ასევე გარდაიცვალა რადიოლოგი არჩიბალდ რეიდი, რომელმაც სამარხის ასაკი განსაზღვრა. მას მიჰყვა გათხრების 22 მონაწილე მათი ნათესავებითურთ.

კომაში გარდაიცვალა ამ ექსპედიციის კიდევ ერთი წევრი–მატელი.

1979წ. ტუტანხამონის ნიღაბს ლონდონის გამოფენისთვის ამზადებდნენ. შეფუთული ნიღაბი აეროპორტში წაიღეს, ხოლო გასაყოლად მზადმყოფი დოქტორი ჰამელ მეჰრეზი საკუთარი კაბინეტის კარებთან წაიქცა. (ფარაონის წყევლის საიდუმლო) (5,39).

წყევლის ძალას ეხება ლეო ქიაჩელის ნოველა „ცოდვის შვილები", რომელშიც წყევლა ფატალური უბედურების აღსრულების წინაპირობაა.

დავით კლდიაშვილის „შერისხვაში" ხატზე გადამცემი და ხატის მგმობელი კაცია საგუნაშვილი მარტოობაში კვდება, მას მეზობლები, როგორც ხატის მგმობელს, სამარემდე არ მიაცილებენ (6,5-18)

საბჭოთა ეპოქა რწმენის დევნით, სულის უარყოფით, სიტყვის გაუფასურებით გამოირჩა. ათეისტებს არც ღმერთი სწამდათ, არც ლოცვა, წყევლის ძალას ცრუმორწმუნეობად თვლიდნენ, მაგრამ მათი თანამდევი იყო უბედურება.

„ვაზის ყვავილობის“ ერთ–თერთი სათქმელი და გაფრთხილებაც ეს იყო.

რომანში ბერმუხა სიმბოლოა ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა, ამ სახის საშუალებით მწერალი თავის იმედიან თვალსაზრისს გამოთქვამს მომავალზე: „კვლავაც საამოდ შრიალებდა ბერმუხა, რომელიც მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა“.

ლიტერატურა

1. გაზ. „სახალხო განათლება“, 23 ივლისი, 1975წ.
2. კონსტანტინე გამსახურდია, ვაზის ყვავილობა, თბ. 1956
3. გაზ. „ახალგაზრდა იევრიელი“, 29 იანვარი 1991
4. Рамачарака, Основы миросозерцания Индийских иогов, Петербург,1913
5. გაზ. „კვირის პალიტრა“, 28 თებერვალი –6 მარტი, 2011 წელი
6. ქართული პროზა, წიგნი XVI, თბ. 1988

ნარსულიდან მომავლისკენ მიმართული მზერა („დავით აღმაშენებელი“)

კ.გამსახურდიას უპირველესი თავისებურება ინტელექტუალურ და გრძნობისეულ ინტუიციაზე დაყრდნობა, სამივე დროის საიდუმლოებათა წვდომა, მომავალი საქართველოს ხატის განჭვრეტა, ისტორიიდან სასიცოცხლო ძალებით გამსჭვალვა, აწმყოდან მომავლის პერსპექტივის დანახვა იყო.

მწერლის მიზანი იყო სატანური ბოლშევიზმისგან განდგომა „დისტანციის თეორიის“ საშუალებით, „ეროვნული, ნაციონალური რელიგიის შექმნა, ხელოვნების რელიგიად წარმოდგენა“ (1, 630).

მისი მხატვრული სიტყვა მომავლის ღრმააზროვანი ეროვნული პროგრამაა.

წარსულში ხსნის ძიებაში, რადგან მხოლოდ იქ ისახებოდა მომავლის იმედი, გადარჩენის პერსპექტივა.

„დავით აღმაშენებელი“ რომანზე მეტია ქართველი კაცისთვის, როგორც მომავლის ხილვა“ (2,80).

მხოლოდ ამ დიდი მეფის სახე გამოდგებოდა მომავლის იდეალად, რადგან დიდგორის ომით მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი

მისი დიპლომატიური და მხედართმთავრული ნიჭი, მეფისა, რომელიც თავის თავში აერთებდა დიდი სტრატეგის ნიჭსა და სულიერებას, რომელზედაც ლეგენდები შეიქმნა ევროპაში, იოანე ეწოდა იოანე ნათლისმცემლის ანალოგიით და გრაალის თასის მცველად იქნა წარმოდგენილი, მეფისა, რომლის უძლიერესი პოეტური ნიჭის, ქრისტიანული ეთიკის დასტურია მარადიული ფილოსოფიურ–რელიგიური მხატვრული ტრაქტატი „გალობანი სინანულისანი“.

რომანის ავტორი ღრმად ჩასწვდა არა მხოლოდ ხილულ სინამდვილეს, არამედ ადამიანის ურთულეს სულს, იხილა სხვათაგან უხილავი, რადგან ნათელმხილველს და ნათელმსმენს ხელეწიფებოდა საინფორმაციო ველზე გასვლა.

ნაწარმოებში უხვად არის წინასწარმეტყველური ჭვრეტის, უხილავში გაღწევის მაგალითები, იდუმალებით სავსეა ადამიანის სული, ბუნება, მთელი სამყარო.

მწერალი გვაჯერებს, რომ მხოლოდ ბედთან მებრძოლი ადამიანები ქმნიან ნათელ მომავალს.

დავით მეფე აქილიკებს სხვისი ქურქით გათბობის მოიმედეებს, „ბიზანტიელი სიძეების“ შემყურე დიდაზნაურთა ოცნებას, რასაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მწერალი თაობებს უტოვებს ერთი უმთავრესი ციხის – საკუთარი ძალების რწმენით ცხოვრების იდეას: „მე ეგრე მეოცნებება, ჩვენს ერს ერთი და უმთავრესი ციხე უნდა ჰქონდეს მტკიცედ დაცული, ეგ არის საკუთარი ძალებისადმი რწმენა“ (3,503).

უდარდელობის, კარგი სიტუაციის იმედზე მყოფთა გამათრახება, სიფრთხილის მდგომარეობის მნიშვნელობა, თაობებისთვის გასათვალისწინებელი სიბრძნეა შემდეგ სტრიქონებში: „ჭკვიანი მეხომალდე არასოდეს კარგი ამინდის მიხედვით არ აწყობს თავის გემს. არც კეთილი ქარის იმედით დააძინებს თავის მენიჩბეთ, არამედ შორ გზას როცა დაადგება იგი, ანძას, აფრასა და ბაგირებს იმნაირს მოუწყობს ხომალდს, რომელნიც უდიდეს ქარბორბალებსა და ზღვაურებს გაუძლებენ“ (3,119).

დავით აღმაშენებელი იყო განათლებული მეფის იდეალი. იცოდა პტოლომეოსი, არისტოტელე, პლატონი. იცნობდა მაკედონელს, რომაელთა, ბერძენთა, ებრაელთა, საბერძნეთის, ეგვიპტის, ბიზანტიის კულტურას და მეცნიერებას. იცნობდა სამოციქულოს, ყურანს. იგი განჯის ყადს ეკამათებოდა ყურანის შესახებ.

აქლემებით ატარებდა ბიბლიოთეკას, ცხენიდან ჩამომხტარი წიგნს მიმართავდა. მის წიგნებს ჯორებითა და აქლემებით დაატარებდნენ. ერთხელ წიგნის კითხვისას, კარავში მყოფს, თურქები დაესხნენ თავს, მაგრამ მარტომ შეძლო მათი დამარცხება.

რწმენა და სამშობლოა ყველა ნორმალური ადამიანის ბედნიერების უპირველესი წყარო და ჭეშმარიტი მორწმუნეობა, პრინცი-

პულობა მაშინ გამჟღავნდება, როცა მისთვის მსხვერპლის გაღება გახდება საჭირო.

თაობების გასაგონად აცხადებს დიდი მამულიშვილი: „მიწა და ღმერთი გულის სისხლს მოითხოვენ (3,432), „მიწა და ღმერთი უსასტიკესი განმკითხავნი არიან, ისინი სისხლს მოითხოვენ ჩვენგან, არამარტო სისხლს, უკანასკნელ ამოსუნთქვასაც“ (3,115).

ასეთი მსხვერპლშეწირვის მაგალითს უპირველესად დავით მეფე იძლევა: „...თავად სამშობლომ არ იკმარა დავით მეფისგან ბრძოლის ველებზე გაწეული თავგამეტება, უმძიმესი მსხვერპლის გაღებაც მოსთხოვა მას, უსაყვარლესი არსების გაწირვაც“ (3,132).

„...დედისერთა ვარ, მაგრამ ერთის ნაცვლად სამი სიცოცხლე რომ მიბოძოს არსთაგანმრიგემ, სამივეს შევწირავდი მამულს, რადგან თავგანწირვის გარეშე ჯერ არავის გაუმარჯვნია“ (3,115), ასეთ მაგალითს აძლევს მეფე თავის ერს.

მომავლისათვის გასათვალისწინებელია ბაკურ ერისთავის პოზიცია: „...მთელი ჩემი გვარი ამოწყდა მტერთან ბრძოლაში და თუ საჭირო გახდა, როგორც აბრაამმა ქნა, მასაც (შვილს–ლ.ს.) მსხვერპლად შევწირავ მეფესა და მამულს“.

დავითი უდასტურებს: „მართებულად ბრძანებ, ერისთავთ–ერისთავო, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანას ისე უჭირს, დედისერთებმაც უნდა გასწირონ თავი“.

გასათვალისწინებელია მეფის სიტყვები: „ვინც სულიერ სიცარიელეს განიცდის, იგი ლხინს ნატრობს ნიადაგ. ლხინი მოგებულ ომს შვენის და არა მოსალოდნელ ომიანობას. ეს ნადიმები ჟამიანობის დროს გამართულ ნადიმს ჰგავს“.

მეფეს „ახალგაზრდობა გადავიწყნოდა მიწაზე გართხმული მამულის დარდით, ...სიჭაბუკის ლხენა წაწყმედოდა, ჭარმაგი შექმნილიყო ჭაღარის მოსვლამდის“ (3,213).

კ. გამსახურდიამ შექმნა ყველა დროის, მომავლის მეფის იდეალი დავით აღმაშენებლის სახით. „მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი...

„მე ვიცი, ჩემი სახელით უნდა აღდგეს ერთ დღეს ჩემი ხალხი და სისხლისგან დაცლილმა კვლავ დაანთხიოს სისხლი. შესაძლოა, ამ ბრძოლებში მე დავიღუპო, მაგრამ სხვა გზა არ არის“ (4,214).

„განა არ ვიცი, კუპიდონის ამბოხი უფრო ტკბილია, ვიდრე პირსისხლიანი მახვილის ხელში აღება.

მაგრამ ჩემს სულში ისეთი უშრეტი სახმილი დაუნთია არსთაგანმრიგეს, მე აღარ შემიძლია ამსოფლურ ლხენას მივეცე და ამიტომაც მეწყალვი, სულო. განა მარტო შენ, დედაჩემი და მამაჩემი, უფლისწული დემეტრე, ყველა, ვინც ჩემი ბედის ვარსკვლავთან ოდნავ მაინცაა დაკავშირებული“ (4,214).

რომანში ვეცნობით დავით მეფის ცხოვრების წესს, რომელიც აბსოლუტურად შორს არის განცხრომისგან. აი, რას ამბობს

მეფე თრიალეთის აღების შემდეგ: „...ძილი და მოსვენება არ ვიცოდი, სპას ვამზადებდი, გზებს და ციხეებს ვაკეთებდი, მეჯოგეთა კარვებში, მეცხვარეთა ფარეხებში, ნისქვილებსა და აოხრებულ ეკლესიებში ვათევდი ღამეს, უნაგირი იყო ჩემი სასთუმალი, ჩემი ტყავკაბა საგებად მქონდა. მტრის დასახვედრად ვემზადებოდი“ (3,697).

შემთხვევით როდი ფიგურირებს რომანში შავი ღვთისმშობლის ბაზილიკა, რომელშიც დავით მეფე თავის მიჯნურ დედისიმედთან ერთად შედის (3,200), ამ ეპიზოდით მინიშნებულია იმ მსხვერპლზე, რომელიც შეყვარებულებმა უნდა გაიღონ სამშობლოსათვის.

მწერალმა დავით აღმაშენებელი წარმოაჩინა ისეთ პიროვნებად, რომელსაც მტრისადმი მხოლოდ მტრობა კი არა, მისგან გამოვლენილი სისუსტის გათვალისწინებით საკუთარი პოზიციების გამაგრება შეუძლია მათთან დაპირისპირებისას, საკუთარი ზადის დანახვა სწადია: „ჩემი მტრები ჩემი მასწავლებლებიც ყოფილან ხანდახან, რადგან მე მათთან ბრძოლაში ჩემს სისუსტესა და ზადს მოვჩხრეკდი ხოლმე, ღონეს მოვიკრეფდი, კვლავ ვეკვეთებოდი და ვებრძოდი მანამდის, სანამ მათ სისუსტეს არ დამანხებდა მათთანვე ბრძოლა“ (4,420).

მეფის ქმედითი ცხოვრების იმპულსია მოძრაობა, ქვეყნის სასიკეთოდ ღწვა, უფლის შექმნილ ქვეყანაში საკუთარი შემოქმედებითი ციტადელის აგება, სამშობლოსთვის მარადიული კვალის დამჩნევა: „მე ვსტკბები, როცა ქარბორბალა ამოვარდება ხოლმე. შერყევა უნდა ამ ქვეყანას... ამ სოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დატოვე კაცმა, როგორიც შენამდის ყოფილა“ (3,388).

კონსტანტინე გამსახურდიას იდეალია არა მხოლოდ ბოროტებასთან, ეშმაკთან მებრძოლი პიროვნება, არამედ ისეთი ძალისხმევის მატარებელი, რომელსაც ხელეწიფება უფალთან შერკინებაც, რაც მხოლოდ ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვის უნარის მქონე ადამიანთა ხვედრია. ამიტომაც არის მწერლისთვის მახლობელი იაკობის ღმერთთან შერკინების მოტივი, რაც „კეთილი ღვთისმბრძოლობის“ ნიმუშია და პიროვნების შესაძლებლობის გაფართოების სტიმულია, „სვეს“ მომცემი.

ნეგატიურ ძალებთან მებრძოლი მეფის სახის ჩვენების ეძღვნება თავი „ასპიტის მწვრთნელნი“, როცა მეფე „სისასტიკის იერით“ შეუდგება გველის წვრთნას (3,287)

დავითი კითხულობდა იბნ–სინას ფოლიანტს –„სააქიმოი სულისა“.

ვალანგ ერისთავის ქარწილში ხალხი ავად გახდა, ქვევრში გველი ჩასულიყო და შიგ მომკვდარიყო. ღვინომ ხალხი მოწამლა.

დავითმა იბნ–სინასთან ამოიკითხა წამალი და უაქიმა ქვევრში გახსნილი გველის გესლისგან მოწამლულთ.

ლეგენდის მიხედვით, ამაზე განრისხდა ეშმა, ვარაზის ციხის ამგები, საკუთარი ხატებისგან გადმოიჭრა, ხმლით შეებრძოლა მეფეს, მაგრამ სირცხვილით გაიქცა ციხის სარკმლიდან (ვარაზის ციხის საიდუმლო, დავით აღმაშენებელი, წიგნი III).

დავითი სატანასთან შერკინებით სიკვდილს, ბედს, წარმავლობას ერკინება, რითაც მომავლის იდეალებს ემსახურება...

დავითს ეზმანება, რომ კედელი განათდა, სადაც კლარჯეთელი ხუროთმოძღვრის ხატება ეგულებოდა, თმახუჭუჭა რაინდი გადმოვიდა კედლიდან, ხმალი იშიშვლა და მეფისკენ გამოეშურა.

დავითი ზეწამოიჭრა და ხმალს მისწვდა. ეშმაკეულს „გველისპირული" ეპყრა, მეფეს ვადაჯვრიანი ხმალი. ბრძოლა ეშმაკის სირცხვილიანი გაქცევით დასრულდა.

დავითის მიერ ეშმაკეულის ძლევა უფლის შეწევნით, ქრისტიანული ჯვრით მოხდა, ბედისწერასთან ჭიდილი კი ერთეულთა, რჩეულთა ხვედრია.

დავით აღმაშენებელი არა მხოლოდ თანამედროვეთა, წინაპრების სიბრძნეს და გამოცდილებასაც ითვალისწინებდა: „ჩვენ ჟამიდან ჟამზე ჩვენი მიცვალებული წინაპრების ტყვენი ვართ. ისინი ხშირად ცოცხლებს გადააჭარბებენ ხოლმე, მე აგრე მგონია: პაპაჩემმა ბაგრატმა,, რომელიც მე თვალითაც არ მინახავს, ჩემზე გაცილებით მეტი ზეგავლენა მოახდინა, ვიდრე მამაჩემმა.

მამა მუდამ ცდილობდა, ნადირობის, მოლხენის ჟინი აღეძრა ჩემში. როგორც ხედავ, მიცვალებულმა პაპაჩემმა ბაგრატმა, ცოცხალს გადასძალა, მუდამ ვათვალიერებდი პაპის იარაღს: უასაკო საგანთა მეშვეობითაც გადმოდის ჩვენს არსებაში სული" (4,556).

დიდგორზე გამარჯვებას მსოფლიო–ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და საერთაშორისო ასპარაზზე გაჟღერდა ქართველი მეფის სახელი. ევროპაში შეიქმნა ლეგენდა დიდი იოანეს შესახებ, რომლის ადრესატი იყო დავით აღმაშენებელი. იგი მიჩნეული იყო მესიის მახვილის მპყრობელ ადამიანად.

დავითი იყო რენესანსის წინამორბედი, გელათის ეზოტერული გარემოს შემქმნელი, ხოლო იოანე არის იოანე მახარობელი, რომელიც ქადაგებს ქრისტეს მოვლინებას.

იოანე ღვთისმეტყველი მომავალს გვაუწყებს.

დავითი იყო გრაალის მცველი რაინდი. „გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულწმინდით გამსჭვალული ადამიანი" (5,38)

ღრმააზროვანი, მომავლის წინასწარმეტყველური ხილვის მაუწყებელია მეფის სიკვდილის წინ მასთან შავი მალემსრბოლის გამოცხადება შავი ჯაჭვით, შავი ლითამით, რომელმაც მოშაინური

ხითხითით თქვა: „ტაოს კარს მოადგნენ თურქნი“. შემკრთალმა მეფემ თვალი ვერ გაუსწორა ხახადაფჩენილ სახეს სატანისა.

ფარის ჩაცმა სცადა, ხმალი აიღო, გაუვარდა.

დავითმა უთხრა ნიანას: შავლითამიანი მხედარი ხომ არ შეგხვედრია? – არა!– მოუცილებელი მეაბჯრე იყო, ალბათ“.

შემთხვევითი როდია, რომ სიკვდილისწინა ბოდვაში მეფე დედისიმედს და გვანცას ახსენებს, სამშობლოს ინტერესებისათვის მის მიერ შეწირულთ.

„ასე დაამარცხა ომებში უძლეველი მეფე ყოველთა შემმუსვრელმა სიკვდილმა.

„ეს იყო უკანასკნელი ომი“.

„დავითის სიკვდილის წინ ტაოსკარს მომდგარ თურქთა მოლანდება – ეს არის არა მხოლოდ რომანის მთავარი გმირის, არამედ ავტორის გაფრთხილებაც – გვახსოვდეს მტერი“ (1,697).

„სულთმობრძავი დავითის ხელიდან მახვილის გავარდნა მარტო გაფრთხილება როდია მომავალი საქართველოსთვის, ეს არის გზა, რომლითაც უნდა ვიდოდეს მომავალში საქართველო იმ იდეალების ხორცშესასხმელად, რასაც მარადიულ დროს ქართველი ემსახურებოდა: „ჩვენი ხმალი, როგორც ბიბლიური ხმალი იქცევისი, თავს დასტრიალებდა ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს. აღმოსავლეთის ფანატიურმა ურდოებმა შელეწეს ტფილისის, ლორეს, ბირთვისის, ხერთვისის, ვარძიის, ტაოსკარის ციხეები, სამეფო დროშები ომებში დაფხრიწეს, მაგრამ ვერ შემუსრეს ჩვენი ერის უკვდავი სული და ქართველ ხალხს ხელიდან ვერ გამოაცალეს ხმალი იგი იქცევისი. იგი ყოველ ჩვენგანს ხელში ექნება სიკვდილის ჟამამდის“ (კ. გამსახურდია, ტ.VIII, გვ. 245)(1,625).

აკაკი ბაქრაძე ყურადღებას მიაქცევს რომანში „წარსულით მომავლის ხილვაზე, მომავლის ხატზე“ (8,128.)

ჯანსუღ ღვინჯილია საუბრობს „აწმყოს, წარსულის და მომავლის გამთლიანებაზე“ „დავით აღმაშენებელში“ (9,120).

ვფიქრობთ, ამ ეპიზოდით რომანის ავტორმა იწინასწარმეტყველა, რომ ჩვენს ქვეყანას არც მომავალში დაელეოდა მტერი.

ცნობილია, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ რა ახსოვს ადამიანს სიკვდილის წინ, ამით განისაზღვრება მისი ადგილი მიღმურ სამყაროში.

შიო არაგვისპირელის ბერას სიკვდილის წინ გადასახლებაში თან წაღებული სამშობლოს ერთი მუჭა მიწა ეიმედება და სასიკვდილოდ ცემის მიუხედავად, მას ვერ ელევა. სიკვდილის წინ იგი „ბრწყინვალებაში იბნევა“, ანუ სამოთხე განუწესა მას ავტორმა ეროვნული გრძნობისთვის ასეთი თავგამოდების გამო („მიწაა“).

ქართველმა ელი გორდელიანმა სამშობლოს ნახვის საფასურად ქვეწარმავალთან იცეკვა და მისი შხამისგან დაგესლილი ქარ-

თულ შელოცვაზე ამყარებდა იმედს. ნიკო ლორთქიფანიძემ თავის გმირის განსასვენებლად მთაწმინდა მიიჩნია („შელოცვა რადიოთი").

აზიის და ევროპის მომვლელ, შემდეგ საფრანგეთში დამკვიდრებულ ანდრო კაიშაურს შესძრავს მშობლიური ქართულის გაგონება, 87 წლის ასაკში გადაწყვეტს საქართველოში დაბრუნებას და ამ განცდას შეეწირება კიდეც (მიხეილ ჯავახიშვილი, „მიწის ყივილი").

დავით აღმაშენებელმა სიყრმე და სიჭაბუკე სამშობლოს შეალია, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმა საქართველოს ტერიტორია, გელათის აკადემია ააგო, სულიერების, ეროვნულობის, რწმენის განუმეორებელი ციტადელი შექმნა, გენიალური „გალობანი სინანულისანი" დაწერა, სიკვდილის წინ ისევ სამშობლოზე, მომავალზე ფიქრი აფორიაქებდა. ისევ მტერი ელანდებოდა და ცხადია, ამ ამაღლებული იდეალების მსახურმა მხოლოდ და მხოლოდ სამოთხე დაიმსახურა.

იქნებ ეს რომანი იყო ჩვენი მტერდაულეველი ქვეყნის შემაშფოთებელი მომავლის წინასწარი ჭვრეტა.

ასევე ღრმააზროვანია დავით მეფის ანდერძიც, რომლის თანახმად გელათში დაკრძალეს, შემოსასვლელში. მისი საფლავის ქვაზე ანუ მკერდზე უნდა დაედგა ფეხი ყოველ ქართველს, სხვაგვარად ის უწმინდეს ტაძარში ვერ მოხვდებოდა.

ამ ანდერძის მრავალნაირი ახსნა არსებობს. ამ ანდერძით იგი მარადიული კონტაქტს ამყარებდა თავის ერთან. ტაძარში შემსვლელი მუდამ ფიქრობდა მასზე და განუწყვეტელი იყო კავშირი ერთან, რითაც ერს ამით ძალა ემატებოდა (6,169).

მწერალი ოცნებობდა ერების თანასწორუფლებიანობაზე: „შესაძლოა ჩვენ ისეთი ბედნიერნი გავხდეთ, რომ ცხადლივ მივესწროთ დიდი სტალინის მიერ ნათქვამი სიტყვების განაღდებას მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი ერების უფლებრივი გათანაბრების შესახებ მთელს მსოფლიოში. შესაძლოა მოვესწროთ მცირერიცხოვანი ერების აპრიორებისა და მოსპობის აღკვეთას" (7,173).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მწერალი აცხადებდა: „საქართველო, რომელიც ამოშლილი იყო გეოგრაფიის რუქიდან, ისევ აღსდგება და ჩვენ იმ საქართველოს მომღერლები ვიქნებით" (7, 174).

როცა სტალინის იმედი გადაეწურა, მწერალმა დავით აღმაშენებლის სახელოვანი პიროვნებისკენ მიმართა მზერა, რაც რევოლუციის ბელადის გზის დაგმობას და წარსულის ღირსეული ტრადიციების აღორძინების სურვილს ნიშნავდა.

მწერლის უმთავრესი კრედო ასეთი იყო: „საქართველოში, სწორედ საქართველოშია საჭირო, რომ ყოველმა ჩვენგანმა რომაე-

ლი ღმერთის იანუსის თავი გამოიბას, ერთი თვალი მომავლისკენ ეჭიროს, მეორე წარსულისკენ, ვინაიდან სწორედ იმ ერს აქვს არსებობის უფლება, ვისაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი თავისი წარსულის სიდიადე, აწმყოთი ამაყობს და მომავალს თამამად უმღერის" (7,395).

სწორედ მომავლისკენ იყო მიმართული ჩვენი უპირველესი პროზაიკოსის მესამე თვალი.

ლიტერატურა

1. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი,ტ. I, თბ, 1991
2. აკაკი ბაქრაძე, სულის ზრდა, თბ. 1981
3. კონსტანტინე გამსახურდია, თხზ. რვა ტომად, ტ. III, „დავით აღმაშენებელი„, წიგნი I-II, თბ. 1960
4. კ. გამსახურდია, თხზ. ტ. IV, დავით აღმაშენებელი, წიგნი III-IV, თბ. 1962
5. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1988
6. ჯანსუღ ღვინჯილია, სული აღმაშენებელი, თბ. 1988
7. ლადო ჭანია, კონსტანტინე გამსახურდია და ყოველი საქართველო, თბ. 2006
8. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1990
9. ჯანსუღ ღვინჯილია, წერილები კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურაზე, თბ.1983

XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენების უტყუარი წინასწარმეტყველების კიდევ ერთი ასპექტი

კონსტანტინე გამსახურდიამ XX საუკუნის 60-იან წლებში განჭვრიტა, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული ზვიადი როგორ იბრძოლებდა რუსეთის იმპერიის მონობის წინააღმდეგ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ეფემერული კომუნისტური წყობის დამარცხებისათვის.

მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით კარგად მცოდნე მწერალმა სამშობლოს თავისუფლების აჩრდილი დალანდა უტყუარად, ისიც უცდომლად იხილა, როგორ დაირაზმებოდნენ გარეშე და შინაური ძალები საუკეუნეების მანძილზე ყოველი ნამდვილი ქართველის ნაოცნებარი იდეალის ხელყოფისათვის, ნათელმხილველობის უნარით მომადლებულმა დიდოსტატმა სა-

ქართველოს ისტორიაში მრავალგზის ცნობილი მუხანათობის ავბედითი შედეგებიც იაზრა.

1969 წლის მაისში თბილისის 61-ე სკოლას სწვევია ქართული პროზის სიამაყე კონსტანტინე გამსახურდია. საღამოს თბილ, გულახდილ ვითარებაში ჩაუვალია. შეხვედრის ბოლოს კი ბატონ კონსტანტინეს უბრძანებია:„მე ვტოვებ ისეთ შვილს, რომელიც არ მოუთმენს ამ წყობას უკანონობას, შეებრძოლება იმპერიას, იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, იბრძოლებს მშვიდობიანი გზით, ვიცი, ის გაიმარჯვებს, დაამარცხებს კომუნისტურ წყობას საქართველოში, მაგრამ ეს გამარჯვება იქნება ხანმოკლე, მეეჭვება, გადაურჩება თუ არა იგი დიდ იმპერიას შინაური მტრების შემწეობით, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა საქართველოს ისტორიაში" (გაზ. „ნიკოლაძის გზათ, 2009, 15 მაისი, თამარ გუმბერიძის დისერტაციიდან „ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, ქუთაისი, 2010, გვ. 15).

თავი VIII

აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმეტყველება XX საუკუნის II ნახევრის ქართულ პროზაში (გურამ რჩეულიშვილი, რევაზ მიშველაძე, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი)

აფხაზეთში შექმნილი პრობლემების რეჟისორად ჩვენს ეროვნულ მეცნიერებაში ობიექტურად მოიაზრება როგორც ცარისტული, ისე წითელი რუსეთი. "გათიშე და იბატონეს" პრინციპით მოქმედმა ჩვენმა მეზობელმა ძლევამოსილმა იმპერიამ ჯერ კიდევ "მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც გააუქმა აფხაზეთის სამთავრო 1864 წელს და დაამარცხა თურქეთი 1877-1878 წლების ომში, რითაც საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები აფხაზეთში, გადაწყვიტა აფხაზი ხალხის ჩამოშორება მოძმე ქართველებისაგან, მათ შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება და ამ გზით აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოსგან. ამ მიზნის მისაღწევად მან გადაწყვიტა პოლიტიკური საშუალებების გარდა რელიგიისა და ეკლესიის გამოყენება" (1,164).

პრობლემა ჯერ იდეოლოგიურ ფრონტზე დაიწყო, რაც მიზნად ისახავდა ქართველი ერის აფხაზების მტრად, მის მჩაგვრელ ძალად წარმოჩენას. ჯერ სიძულვილის სინდრომი განვითარდა,

რაც თანდათანობით იარაღით დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1992 წლის 14 აგვისტოს ომი ფაქტიურად რუსეთის ინსპირირებული იყო და იყო არა ძმათა შორის ბრძოლა, არამედ ჩვენი პატარა ქვეყნის დასჯა-განადგურების მცდელობა იმის გამო, რომ ყინულოვანი იმპერია იშლებოდა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოინდომა.

ავბედითი 1993 წლის 27 სექტემბერი იყო ერთ-ერთი ძალზე ტრაგიკული ფურცელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როცა მუხანათურად დაპყრობილ იქნა აფხაზეთი, 300 ათასი ქართველი ლტოლვილად იქცა, 30 ათასი მებრძოლი დაიღუპა და ენგურის საზღვარი მშვიდობისმყოფელის სტატუსით დაიკავა ჩვენი ხალხის სისხლით გალეშილმა ძალამ. ფაქტიური მტრის ეს "მისია" იყო ძალზე ცინიკური და დამამცირებელი.

ამ მოვლენის შესახებ დაიწერა მრავალი პუბლიცისტური წერილი, ლექსი,მოთხრობა, პიესა, მონოგრაფია.

ქართული მწერლობა ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და არამარტო მოსალოდნელი უბედურება განჭვრიტა, არამედ ამ ომის შემზარავი პერიპეტიები და სავალალო შედეგებიც ასახა უტყუარად.

ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ის წინასწარმეტყველური მუხტი, რაც ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაწერებში გამოვლინდა მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან გურამ რჩეულიშვილის, რევაზ მიშველაძის, რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ზოგიერთი ნიმუშის მაგალითზე.

მათ წინამორბედად კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა "ტაბუ" წარმოჩნდება, რომელშიაც მითის გამოყენებით უტყუარად დანახულია მესამე ძალის მიერ ინსპირირებული კონფლიქტი მეგრელებსა და აფსუებს შორის და ის ფსიქოლოგიაც, რომელიც დანაშაულში ჩათრეული, სხვისგან ნაქეზებული, წინდაუხედავი და თვითდაჯერებული ხალხისთვის არის დამახასიათებელი (2, 97-125).

ჩვენს მიერ ზემოთნახსენები მწერლები დღიურების, წერილების, ნოველების საშუალებით, ხან მინიშნების, ხან პირდაპირი გზით გვახედებენ მოსალოდნელი ტრაგედიების არსში.

საზოგადოება, მომდევნო თაობა სწორედ იმ შემოქმედთ აფასებს განსაკუთრებით, რომლებიც წარსულისა და აწმყოს უცდომელ შეცნობასთან ერთად, მომავლის კონტურების წინასწარ განჭვრეტას ახერხებდნენ და ამით ერს სწორ ორიენტირებს მიანიშნებდნენ.

აწმყოდან მომავლის ხილვის უნარით იყვნენ მომადლებულნი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა

ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ტერენტი გრანელი, "ცისფერყანწელები".

მეოცე საუკუნის 90-იანი წლები საბედისწერო მოვლენების დასაწყისი გახდა, ჯერ იყო სამაჩაბლოს ტრაგედია, მერე აფხაზეთიც დაიკარგა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისმა კიდევ უფრო დიდი კატასტროფით შეგვძრა: 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის სამაჩაბლოსთან ერთად, ახალგორის რაიონის, ზემო და ქვედა ლიახვის სოფლების, კოდორის ხეობის დაკარგვით და ოსეთ-აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა, ყოველივე ამის რეჟისორი კი იყო ჩვენი "გაიძვერა მოყვარე", ჩრდილოეთის მონსტრი.

ამჯერად გვაინტერესებს, როგორ ხედავდა ამ მოვლენებს ქართული მწერლობა, ჭვრეტდა თუ არა საშიშროებას და იდეურ ჭრილში როგორ მოიაზრებდა გამრუდებულ პრობლემას, თითქოს აფხაზები ამ მიწაზე აბორიგენი ხალხია, ხოლო ქართველები გარედან მოსულები და ამდენად, მათ იქაურობა უნდა დაეტოვებინათ.

70-იან წლებში ეს საშიშროება იგრძნო პოეტმა მურმან ლებანიძემ და გაფრთხილების შემცველი სტრიქონები დაწერა: "აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს, ეს კაცია ალბათ თურქის თემის და მე ვამბობ: ჩემს სისხლს დაღვრის უცილოდ და მე ვმღერი, აფხაზეთი ჩემი".

მურმან ლებანიძესაც მოლანდებია "არგო": "როსმე არგო, (სხვა ხომალდი გუშინაც!) მიაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით... და მე ვყვირი: — მკვდარსა მნახვენ უწინამც! და მე ვმღერი: — აფხაზეთი ჩემი!"

საშინელი განგაშის შემცველია ლექსის შემდეგი სტრიქონებიც: "ზღვაო პონტის რიფებს მალავ უჩინარს — არაერთგზის ზედ მიემსხვრა გემი... და მე ვყვირი: — ოხ, უწინამც! უწინამც! და მე ვმღერი: — აფხაზეთი ჩემი!" (3,41).

უფრო ადრე, აფხაზურ-რუსული საფრთხე, აფხაზების სულიერი ტრანსფორმაცია ქართველთა საზიანოდ თავს იჩენს გურამ რჩეულიშვილის ნოველასა, დღიურებსა და წერილებში.

საერთოდ, გურამ რჩეულიშვილისთვის ძალზე ახლობელი იყო აფხაზეთი, მწერალი ხშირად ჩადიოდა დასასვენებლად ამ რეგიონში, შთაგონებით იმუხტებოდა და ისიც სიმბოლურია ალბათ, რომ საბოლოოდ, მისი დაუდეგარი სული ზღვამ შეიწირა 1960 წლის 22 აგვისტოს.

აფხაზეთის თემას მიეძღვნა პროზაიკოსის ნოველა "უკანასკნელი აბსერანჟი", რომელშიც ნაჩვენებია აფხაზ თავადთა ჩამომავლის, იმჟამად მწყემსის როლში მოვლენილი აჩბას ცხოვრების ერთი დღე (4, 80-84).

ნოველაში "სად გაექცევი ზამთრის ღამეს" აღწერილია, აფხაზი აჩბას რომანი რუს ქალთან, რის გამოც ერთ კაცს რამდენიმე რუსი ეძგერა და რაინდული წესების დავიწყებით სიკვდილის პირას იქნა მიყვანილი აფხაზეთში მასპინძელი ახალგაზრდა თავზეხელაღებული რუსების მიერ (4, 69-71). იქნებ ესეც იყო ინტუიციური ჭვრეტა იმისა, რაც დღეს ხდება აფხაზეთში, რადგან სამართლიანობის, თავისუფლების შეპირების ნაცვლად რუსებისგან აფხაზებმა ჯერჯერობით მხოლოდ მონობა და ტრადიციული ღირსების შელახვა მიიღეს.

იმდენად მტკივნეულია აფხაზებთან დაძაბული ურთიერთობა მწერლისთვის, რომ დღიურებსა და წერილებშიც იჩენს თავს ეს პრობლემა.

1956 წლის 23 აგვისტოს გურამი თავის მეგობარს ნუგზარ წერეთელს წერდა: "ერთი კვირის წინ გოგიასთან ერთად ვიქეიფეთ (გოგიაც აქაა, ჩემი ბიძაშვილი) და აფხაზებმა მაგრა გვნაყეს ტყუილად. ახლაც არ ვიცი რატომ. დანა მომიქნიეს,მაგრამ ხელით ავიტაცე, მერე თხრილში ფეხი ჩამივარდა, ზედ შემდგნენ და ისე მბეგვეს, ერთი ოცი კაცი მაინც იყო" (5,79).

ამ პერიოდში უკვე იყო აფხაზებში ქართველებისადმი ზიზღი და მტრობის სინდრომი გაღვივებული. ვისაც იქ უცხოვრია, იცის, რომ ეს უაღრესად კორექტული, ზრდილი და სტუმართმოყვარე ხალხი მესამე ძალის ზეგავლენით აგრესიას ავლენდა და მიზეზს ეძებდა დაპირისპირებისთვის, როგორც იტყვიან, კასრი თანდათან ივსებოდა დენთით.

ამ დროს აშკარად გაუგებრობაში იყო ქართველობა, ასეთ არარინდულ, უთანასწორო ჭიდილში გამოწვევის გამო,მაგრამ მწერლის მახვილი თვალი უკვე ხედავდა დიდი საშიშროების სიმპტომებს.

გურამ რჩეულიშვილის მეორე წერილიც მოსალოდნელი საფრთხის წინ დასარისხებელი ზარის დასარეკად გაწვდილი ხელის ასოციაციას აღძრავს.

ამ დაპირისპირების გამეორებაც არაა შემთხვევითი. ახალი ათონიდან გამოგზავნილი წერილიც აფხაზებთან მოუგვარებელი ურთიერთობის გამო საწუხარს ამხელს: "...რაც აქა ვარ, სულ სამჯერ მცემეს მთვრალი, ოთხჯერ გამოვედი ფხიზელი "დასტოინად", ოღონდ გვერდიდან. რთული ხალხია, კბილებამდე არიან შეიარაღებული რეაქტიული თვითმფრინავებით, ტანკებით, ატომური იარაღით (ხომ იცი ატომის საუკუნეა), ქვებითა და ბლაგვი ჟანგიანი ჯაყვებით (ზოგიერთები განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან), აქვთ ხელკეტებიც და სხვა პირველყოფილთა იარაღი (ქამრის ბალთების მსგავსი). აქა ვხურავ დიდ და პატარა ფრჩხილებს — შენ გახსენი" (5, 80-81).

წერილში შეიარაღებაზე საუბარი ირონიულია, მაგრამ ქვებით, ბლაგვი, უანგიანი ჯაყვების და ხელკეტების ძალა მართლაც იგემა ქართველობამ მოძმე აფხაზებისგან 1989 წლის 15 ივლისს... ინდივიდუალური "ბუნტი" და აგრესია შემდეგ კოლექტიურში გადაიზარდა და სიძულვილის, ცოფის მომაკვდინებელი ბაცილები უხვად გადმოიფრქვა.

ამ დღიურს რომ ეხება, ნუგზარ წერეთელი სამართლიანად გმობს ორი ხალხის შვილებს შორის "უკონტროლო, ყოვლად დაუშვებელ დამოკიდებულებას, ძალით თავს მოხვეული ძმობის საწინააღმდეგო რეციდივებს, რომელთა მიფუჩეჩებამ და უგულებელყოფამ მიგვიყვანა 1989 წლის 15 ივლისის ტრაგედიამდე" (5, 80-81).

ნუგზარ წერეთელი ხაზს უსვამს გურამ რჩეულიშვილის ტოლერანტობას, განსაკუთრებულ პატივისცემას სხვა ერებისადმი, მაგრამ დიდი პროზაიკოსი ვერ ეგუებოდა და მანკიერ თვისებებს აკრიტიკებდა ნებისმიერ ხალხში.

გურამი სტუდენტურ არდადეგებს ხშირად ატარებდა ბაკურიანში, სადაც, სამწუხაროდ, ქართველებთან საჩხუბრად განეწყობოდნენ ხოლმე ზოგჯერ ოსები, ვერ იცავდნენ სტუმარ-მასპინძლობის წესებს, რის გამოც იწყებოდა ცემა-ტყეპა, ბოლოს კი უთანხმოება მთავრდებოდა შერიგებით (5,81).

ასეთი დაძაბული ვითარების გამოძახილს ხედავს ნუგზარ წერეთელი უსათაურო, გამოუქვეყნებელ დღიურში, რომელსაც სათაურად პირობითად შეიძლება ეწოდოს "რესტორანში".

მაგრამ გურამ რჩეულიშვილი აგრესიული ოსების გვერდით ნამდვილ, კეთილმოსურნე, სამართლიან ოსებსაც ხედავდა, ოსს, რომელიც „არ პოზიორობს, "არ იპრანჭება", ეს მოძმე ოსები ჩანს ნოველაში "აქ კი თბილა" (5, 83-84).

ასევე, განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ქართულ მწერლობაში ის ნოველები, რომლებშიც წინასწარ არის ნაგრძნობი მოსალოდნელი უბედურება.

ამ მხრივ მოვლენათა უცდომელ წინახილვად შეიძლება მივიჩნიოთ რევაზ ინანიშვილის "ბზიფის შესართავი" (6, 159).

აქ სწორედ საოცარ ხილვასთან გვაქვს საქმე, ხილვასთან, რომელიც მომავლის საინფორმაციო ველში გაღწეული მწერლის "არაცნობიერ" "ანტიციპაციად", "ტელეპატიურ ხილვად" შეიძლებ მივიჩნიოთ, კარლ გუსტავ იუნგს რომ დავესესხოთ (7, 26,255,293,305).

ბიბლიაში, წინასწარმეტყველთა წიგნებში ხილვებით, ენიგმებით, იგავებით გაცხადებულია მომავლის მოვლენები.

ანტიციპაცია ჭეშმარიტი, საღვთო სიტყვის მისიად მიიჩნევა, იგი ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარებით მომადლებულთა ხვედრია.

შემთხვევითად არ მიგვაჩნია კოლხეთში მუხანათურად შემოპარული არგონავტების მეთაურის იაზონის და მისი მხლებლების აჩრდილთა მოლანდება რევაზ ინანიშვილისათვის.

ნოველაში შაბიამნისფერი ღრუბლები, ღრუბლებით დაფარული მზე და ზღვა გვთრგუნავს. ზღვის ტალღები ბზიფის მომწვანო წყალს აწვებოდა, წინ არ უშვებდა მდინარეს და იქმნებოდა ზღვის მთელი უბე, მოთეთრო, მშვიდი...

იაზონისა და მისი მხლებლების ხილვას ენაცვლება შემზარავი, შავი, დამხრჩვალი ხეებისა და შავი ნავის სახეები: "იწვნენ ამ მშვიდ, მოთეთრო უბეში გაზაფხულის წყალდიდობისას ზემოდან ჩამოთრეული ასეულობით "დამხრჩვალი" შავი ხეები ტოტებით ზეცისკენ, ფესვებით თითქოს ისევ მთებისკენ მისწრაფებულნი, ზედ ესხდნენ უამრავი, უამრავი თოლიები, გაჩუმებულები, დაღონებული... იყო ჩაყუჩებული გუბეები ხავსებით,... ბაყაყებით, ლიფსიტებით, მაგრამ ყველაფერზე ბატონობდა მაინც დამსხვრეული ხეები. შავად გაფარჩხული ფესვებით მთებისკენ მიმსწრაფი, თითქოს გრძელი თმებით ზღვას მიცემული.

მოჩვენებაში გამკრთალი შავ ხეებში უცხოელების შავი ნავი, აპრიალებული ლითონი და საზარელი ხმებით თოლიების დაფრთხობა შიშით, რაღაც ტრაგიკულის მოლოდინით გვავსებს: "...მომეჩვენა, რომ მაღალჭვინტიან შავ ნავს შემოიყვანენ შავ ხეებში უცხოელები, თოლიები ისევ სხედან და დუმან. მაყვლებიდან გამოვლენ დალალებიანი კოლხები, დგანან, იყურებიან. ვიღაც დაიძახებს რაღაცას. აპრიალდება ლითონი და აიშლებიან ხმაურით თოლიები" (6,159).

ისტორიის, საუკუნეების მანძილზე უცხოელთა მუხანათობას შეჩვეული ქართული სული, რომელსაც გამოვლილი ტრაგედიების კვალი ამჩნევია, ბუნებრივია, მშვიდობიანობის დროსაც ფრთხება და ომების გახსენება არ ასვენებს, როგორც გალაკტიონ ტაბიძის "ასპინძაში" (8,197).

განა შემთხვევითია, რომ მურმან ლებანიძეს და რევაზ ინანიშვილს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში, ტრაგედიამდე ადრე ელანდებათ მტარვალი უცხოელის, იაზონის ლანდი და მისი გემი "არგო"?..

რევაზ ინანიშვილის მზერაში გაელვებული შავი, დამხრჩვალი ხეები 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა, 1992-93 წლებში აფხაზ-ქართველთა ომში დაცემულ ქართველთა კუბოების ასოციაციას ქმნის.

წარმოსახვაში გაიელვებს ადიდებულ ენგურთან შეჭიდებული თარაშ ემხვარის მიერ ხილული შავ კუბოებად გარდასახული ხეები კონსტანტინე გამსახურდიას "მთვარის მოტაცებიდან": "...წყალზე შავი მორები შავ კუბოებად ეჩვენებოდა თარაშს. კუბო-

ების ლაშქარს მიუყვებოდა არაბია... ურჩხულის აქოჩრილ ტალღებზე მიჰქონდა ენგურს გრძელი და შავი კუბოები და მიაქროლებდა ეს გახელებული კორიანტელი ამ კუბოებთან ერთად თვალშეუდგამ შავეთში" (9,763).

ხე, კერძოდ, მუხა ერის სულის სიმბოლოა კონსტანტინე გამსახურდიას "ვაზის ყვავილობაში": "...კვლავინდებურად საამოდ შრიალებდა ბერმუხა..., რომელიც მარად დარჩება ჩემს ნარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსვრელი სულისა" (გვ. 636).

ამ რომანში კახეთის სოფელს ბერმუხა ჰქვია, ადრე კი "ცხრა მუხა" რქმევია, მაგრამ შემუსვრილი რვა მუხა საქართველოს თავზე დატიალებული ქარიშხლის ალეგორიაა (10,145).

განადგურებული კაკლების ხატება რეპრესიის მსხვერპლთა სახეებზე მიგვანიშნებს გალაკტიონის ლექსში "სისხლი": "საშინელია, იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები, შენი სახელი მათ მიუეცრად-მხეცი! არც მეტი და არც ნაკლები... როს მუხლებამდე სისხლის მორევი გსვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხები, კმაყოფილი ხარ მათი მორევით, ყელამდე სისხლში მიდის ფეხები" (8,276).

გადაჭრილ ხეებზე შემომჯდარი შეშფოთება გვაძრწუნებს გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში "თოვაში გასვენებული დღესასწაული" (11,179).

რევაზ მიშველაძის ნოველაში "მეწყერი" ადამიანთაგან მიტოვებულ სოფელში გამხმარან კაკლები და "შავ ჩონჩხებად" ქცეულან.

დამხრჩვალი, შემუსვრილი, განადგურებული, ძირში გადაჭრილი, გამხმარი შავი ხეების სახეები ძალზე არსებითზე მიგვანიშნებს, მათში ერის ტრაგედია ამოიცნობა.

ხე, სიცოცხლის ხე ღმერთის სიმბოლოა ბიბლიური კონცეფციით (12,124).

შემთხვევითი როდია, რომ რევაზ ინანიშვილს სწორედ ბზიფის შესართავთან მოელანდა იაზონის აჩრდილი და დამხრჩვალი ხეები.

მართებულად შენიშნავს პროფესორი ნანა კუცია, რომ ეს ნოველა "წინასწარმეტყველებად აღიქმება" (13,16).

რევაზ მიშველაძემ შექმნა ნოველების მთელი ციკლი აფხაზთა წარმომავლობაზე, ქართველებთან მათ ურთიერთობაზე, ომის შემზადებაზე, აფხაზეთის დაკარგვასა და დევნილთა პრობლემებზე.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის ნოველები, რომლებშიც ნაჩვენებია მწერლის თვალსაზრისი აფხაზთა ვინაობაზე, უცხო ძალის მიერ მათში ამბიციების, ქართველთმოძულეობის მიზანმიმარ-

თულ გაღვივებაზე და გათიშულობაზე, რაც იარაღით დაპირისპირების სტადიამდე მივიდა. მწერალი თავის ინტუიციურ წინასწარჭვრეტას გვიმხელს მხატვრული სიტყვით.

რევაზ მიშველაძე იზიარებს მოსაზრებას, რომ მესამე ძალამ მოწამლა აფხაზური ცნობიერება, შეუქმნა მას ყალბი ისტორია, რათა ქართულ სახელმწიფოებრიობას დაპირისპირებოდა.

ყალბი საბჭოთა იდეოლოგიისა და ცრუმეცნიერთა შემწეობით, რუსეთის რეჟისორობითა და მონაწილეობით, ჩვენს ქვეყანაში გამრავლდა ეთნოკრიზისები და ეთნოკონფლიქტები, რაც ორი ძირძველი ქართული რეგიონის — სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვით დამთავრდა.

სტუმარი მასპინძლის როლში მოგვევლინა, ნითელი გველეშაპისგან წაქეზებულმა ქართული მიწები, კურორტები, ძეგლები არაქართულად გამოაცხადა და აქეთ შეუტია მოსახლეობას.

რ. მიშველაძე აფხაზს ნამდვილ ქართველად, ქართველ აფხაზად აცხადებს, ხოლო ისინი, ვინც აფხაზად ასაღებს თავს, ჩრდილო კავკასიიდან ნახევარი საუკუნის წინ ჩამოსული ადიღეელები არიან, რომელთაც თავს აფხაზი უწოდეს.

ნოველაში "ვინ ვარ" ბერძენ, რომაელ, სომეხ, ქართველ, აფხაზ ავტორთა შრომების გაცნობით მწერალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთი არასოდეს არსებობდა ცალკე სახელმწიფოდ, საქართველოსგან განცალკევებით, მის მეზობლად. აფხაზ ხალხს არ ჰქონია ქართველი ერისგან განსხვავებული ის ატრიბუტები, რითაც იგი სხვა ერად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

მოძებნილია მასალები ანტიკური და ბიზანტიის პერიოდის საქართველოზე, იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს აფხაზები ცხოვრობენ.

ძვ.წ. VI-V სს. ავტორი ჰეკატე მილეთელი ახსენებს კოლხებს და მათ მითებს.

იმავე წელთაღრიცხვის II-III ს. ავტორების — პლინიუსის და არიანის თხზულებებში მითითებულია, რომ კოლხეთში, სხვათა შორის, ცხოვრობენ აფშილები, აბაზგები, სანები.

ჩვ.წ. სტრაბონი ლაპარაკობს დიდ პიტიუნტზე (ახლანდელ ბიჭვინთაზე),მაგრამ ყველაფერი ეს კოლხის სახელწოდების ქვეშ, კოლხეთის სამეფოში ერთიანდება.

მერე კოლხეთის სამეფოს ეგრისი შეერქვა, შემდეგ ეგრისი ლაზიკათი შეიცვალა, რომელშიც ლამის მთელი დასავლეთი საქართველო შედიოდა. ლაზიკაში მცხოვრებ ტომთაგან ისტორიკოსები ასახელებენ ეგრისელებს (მეგრელებს), ლაზებს, სვანებს, აბშილებს, აბაზგებს, მისიმიელებს, სანიგებს და სხვა მრავალთ.

აფხაზთა სამეფო არსად არის ნახსენები. სამაგიეროდ, აფშილები და აბაზგები გამოაცხადეს აფხაზთა წინაპრებად აფხაზმა და ცრუინტერნაციონალისტმა ქართველმა ისტორიკოსებმა.

შემდეგ არსებობს ჯუანშერის ცნობა, რომ VIII ს. მურვან ყრუს, სხვებთან ერთად, აფხაზებიც ებრძოდნენო.

VIII ს. ბიზანტიელთა მონობისაგან თავისუფალი საქართველოს (დასავლეთ საქართველოს) პირველი მეფე გახდა აფხაზი ლევან ერისთავი.

კოლხიდის, ეგრისის და ლაზიკის მომდევნო სახელწოდება ამ სახელმწიფოსი არის აფხაზეთი, დედაქალაქი კი ქუთაისი.

ლევანის (ერისთავის) მემკვიდრეები იყვნენ აფხაზთა მეფეები გიორგი II და გიორგი III.

X-XI საუკუნის ზღვარზე საქართველო გაერთიანდა და მისი პირველი მეფე იყო ასევე აფხაზ მეფეთა შთამომავალი (დედის მხრივ) ბაგრატ III ბაგრატიონი.

გაერთიანებული საქართველოს შემდგომი მეფეებიც თავს აფხაზთა მეფეებსაც უწოდებდნენ. ესენი იყვნენ დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი და სხვები.

ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზები ქართველები იყვნენ, ქართულად მეტყველებდნენ, ლევან ერისთავის წინაპრებიც — აფშილები, აბაზგები ქართველები იყვნენ.

სინამდვილეში აფხაზეთი საქართველოს მკვიდრი ეთნიკური კუთხის სახელი იყო, აფხაზეთი საქართველოს ერთი სუფთა კუთხე იყო და აფხაზეთის სამეფოს ცალკე, საქართველოსგან დამოუკიდებლად არასოდეს უარსებია. ასე იყო მეოცე საუკუნემდე.

აფხაზეთის პრობლემას, მის განდგომას ნოველის ავტორი საბჭოთა სახელმწიფოს მიზანმიმართული, მზაკვრული პოლიტიკით ხსნის. საქართველოს მტრებმა, ჩვენი სამშობლოს დასაქუცმაცებლად და დასაპყრობად საქართველოს ერთიანი ეროვნული სხეული ოთხ ნაწილად დაჭრეს: აფხაზეთად, ოსეთად, აჭარად და საკუთრივ საქართველოდ.

გამოგონილ იქნა აფხაზური ერის ცნებაც და ასეთი მოტყუებით წარმოიდგინეს აფხაზებმა თავი საქართველოსგან განსხვავებულ ეროვნულ ფენომენად. სინამდვილეში აფხაზია ყველა, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები იმერელი, მეგრელი, გურული, სვანი, რაჭველი, ლაზი, ჭანი...

აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ რამდენიმე ათას ადიღეელს "აფსუა" დაარქვეს გუშინწინ და მათი ენა, ადიღეური ენის დიალექტი გამოაცხადეს აფხაზურ ენად, აფხაზეთში მცხოვრები ქართველებიც აფხაზებად ჩაწერეს და ადიღეურ ენას დაუქვემდებარეს.

აფხაზ ქართველს ადიღეური ენა მშობლიური ენა ჰგონია და თვისტომ ქართველს მუშტს უღერებს — შე უცხოელო სტუმარო, მომწყდი აქედანო.

"აფხაზური ენა ადიღეურის დიალექტია, აფსუები და ადიღეველები ერთი ხალხია" (ომობენ მთავრობები) (14, 378-384).

ადიღე XI ს. მთლიანად საქართველოს ფარგლებში იყო, ამიტომ არის ადიღეურ სოფელში თამარის ეკლესია.

ეროვნებაგამოცვლილი ქართველი ამბობს: "მე აფხაზი ვარ ისე, როგორც იმერელია იმერელი. ეროვნება ჩემი არის ქართველი და ამიტომ პასპორტში ქართველი უნდა მეწეროს. ქართველთა შემწყნარებლობა, სხვა ეროვნებებისადმი გულითადი ხელის გაწვდენის უნარი, სენტიმენტალური ჰუმანიზმია იმის მიზეზი, რომ საქართველო ლტოლვილთა უძველესი თავშესაფარია... საიმედო თავშესაფარიც, მაგრამ, როგორც ჩანს, სიცხადისთვის მაინც საჭიროა, ქართველს ქართველი ეწეროს პასპორტში, ხოლო ადიღეელს — ადიღეელი" (ვინ ვარ) (14, 122-128).

ეს პრობლემა სხვა ავტორთანაც ასე წარმოიდგინება. ანზორ შონია თვლის, რომ აფხაზები მეგრელები იყვნენ ასევე, როგორც ლაზები. მას შემდეგ, რაც სამეგრელოს ერთ-ერთ ნაწილს ეწოდა აფხაზეთი, იქ მცხოვრები მეგრელები აფხაზებად მოიხსენებოდნენ.

"აფხაზების მშობლიური ენა მეგრული იყო, ხოლო საქართველოში ზოგადქართული ენის დამკვიდრების შემდეგ აფხაზების სახელმწიფო ენა იყო ქართული, როგორც სამეგრელოში და საქართველოს კუთხეებში" (15, 14-15).

"მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ცნება "აფხაზს რუსმა მოხელეებმა დაუკანონეს ეთნონიმის ფუნქცია და დაამკვიდრეს ახალი შინაარსის ცნება "ეროვნება აფხაზი".

"აფხაზებად იყვნენ აღიარებული აფხაზეთში ბოლო ორისამი საუკუნის განმავლობაში ჩამოსული ჩრდილოკავკასიური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ადიღეელები, ჩერქეზები, ბალყარები და სხვები, რომლებიც ხიზნების სტატუსით ცხოვრობდნენ აფხაზეთში და მათ ბაზაზე რუსმა პოლიტიკოსებმა ხელოვნურად დააფუძნეს ე.წ. აფხაზი ერი" (15,15).

ეს ხდებოდა ქართველი პოლიტიკოსებისა და მტრების ხელშეწყობით.

ა. შონიას აზრით, სიტყვა "აფხაზეთი" მეგრულია, "აფხა" მეგრულად ბეჭს ნიშნავს და, მართლაც, საქართველოს რუკაზე აფხაზეთის განლაგება ბეჭის ასოციაციას იწვევს (15,16).

ტერმინ "აფხაზისა" და "აბაზას" გაიგივება წმინდა წყლის ავანტიურაა (15,17).

პტოლემეუსის (II ს.) მიერ შედგენილ კავკასიის რუქაზე აბაზას ტომის ადგილსამყოფელად მიჩნეული ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთი ტერიტორია, შეუძლებელია "აფხაზად" ქცეულიყო.

სხვადასხვაა "მეგრელი აფხაზები" და "ჩერქეზი აფხაზები".

...აფხაზეთის ქართველები — უძველესი ქართველი აფხაზების შთამომავლები — ჭეშმარიტი ქართველები არიან" (15,25).

ანალოგიური დასკვნები აქვს პროფესორ თეიმურაზ მიბჩუანს ქართული ისტორიული წყაროების, ქართული ისტორიული ძეგლების, აფხაზეთის ტოპონიმიკის, ეთნოგრაფიის, უძველესი აფხაზების ენის, გვარების, სარწმუნოების შესწავლიდან გამომდინარე და ასკვნის, რომ "აფხაზეთი ძირძველი ქართული კუთხეა, რომ უძველესი აფხაზები ისეთივე ქართული ტომია, როგორიც მეგრელები" (16, 29-30).

მოკლედ, პროფესორი რევაზ მიშველაძე აფხაზების საკითხში რადიკალურად მოაზროვნე ქართველ ისტორიკოსთა პოზიციაზეა.

ნოველაში "ავი მუსაიფი" ამ მტკივნეულ პრობლემაზე საუბრობენ მეზობლები — აფხაზი უჯუშ კაპბა და ქართველი სილოვან მორგოშია. სილოვანი თავის თავს აცხადებს აფხაზად, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ადიღეველებს თვითმარქვია აფხაზებად. იგი პირდაპირ ეუბნება უჯუშს თავისი და საერთოდ ჭეშმარიტების მხარეზე მყოფი ქართველი მეცნიერების სახელით: "დაგღალათ სხვის ბუდეში გუგულივით კვერცხის დებამ. თქვენ — სტუმრებს, მასპინძელი ქართველების წინაშე უმადურობით და უპირობით საკმაოდ დიდი დანაშაული გაქვთ ჩადენილი და ახლა გსურთ თქვენს "გააფხაზებას" აღარაფერი გახსენებდეთ. გსურთ ძველი ხიდები ჩატეხოთ და წარსულს ქვა და გუნდა მიაყაროთ".

სილოვანი აბათილებს კაპბას აზრს, თითქოს "ნართების" ეპოსი აფხაზებისაა. თქვენ ენისა და რჯულის ერთობა ადიღეურ ტომებთან გაქვთო.

ასევე, გაქარწყლებულია ბედიისა და ბიჭვინთის მონასტრების აფხაზურობაზე ყოვლად აბსურდული აზრი.

სილოვანი პირდაპირ მიმართავს აფხაზ მეზობელს: "ჩამოიხსენით აფხაზური ნიღაბი და თქვენს თავს ნამდვილი სახელი — ადიღეელები, აფსუები, აბაზგები უწოდეთ, აფხაზობა ქართველებს დაუთმეთ. მაშინ აღარ გაწითლდებიან თქვენი ისტორიკოსები სიმართლეზე და არც ლოთი ენათმეცნიერების მოსყიდვა დაგჭირდებათ "მაიკოპური წარწერების" წასაკითხად.

შეცდომა იყო თქვენთვის ავტონომიის მიცემა, უნივერსიტეტის გახსნა, რადიოტელევიზიის კომიტეტის შეკოწიწება.

გამოტყდით, ვინც ხართ, იცხოვრეთ აქ, რუსთაველის ერი არავის შემვიწროებელი არ არის".

კაპბამ უკან დაიხია, ეს ლაპარაკი ვინც წამოიწყო,ისაა გასაროზგი, აქამდე მშვიდად ვცხოვრობდითო.

სილოვანი გულისტკივილს ვერ ფარავს: "ჩვენ შეურაცხყოფილი მასპინძლები ვართ. ჩვენს ისტორიულ მიწას და ჩვენს კეთილ გულს გვედავებიან".

მეორე დღეს სილოვანმა უჯუშს ქართველთა მიტინგზე წასვლა შესთავაზა, მაგრამ მან უარი განუცხადა (17,325).

"ავი მუსაიფი" იმის განჭვრეტაა, რაც მომავალში უნდა მოხდეს. მართალია, მისმა ქართველმა პერსონაჟმა სხვათა სიცრუეს აყოლილი, მესამე ძალის მიერ ზომბირებული აფხაზი გააჩუმა, მაგრამ აშკარაა, ეს ორი ერის ნარმომადგენელი მაინც სხვადასხვა გზას ადგას და მკითხველს რაღაც საშინელის, მოსალოდნელი უბედურების მოლოდინი ზაფრავს, რადგან ყოველგვარი ტრაგედია ყოველთვის ადამიანის არასწორი აზროვნებიდან, დამახინჯებული შეხედულებებიდან იწყება. იგრძნობა, რომ დიდი ზავია შემზადებული, რომლის შეჩერება გაჭირდება, მით უფრო, თუ შეცდენილ ძალებს შინაური მედროვეებიც გვერდით დაუდგებიან.

შიშის უზარმაზარი ღანდი აბნელებდა ყველაფერს, მაგრამ პროგრესულ ძალებს ბნელეთის მოციქულნი ჭარბობდნენ.ავის-მზრახველი და საბედისწერო ქმედებების შედეგები მალე გაცხადდა.

რევაზ მიშველაძე აფხაზეთში იყო დაბადებული, მას მრავალი რამ აკავშირებდა აფხაზურ ინტელიგენციასთან, აფხაზეთის უნივერსიტეტის მრავალეროვნულ კოლექტივთან, აფხაზეთში მწერალი მარტო მტრულ ძალებს კი არა, ბევრ მეგობარსაც ხედავდა, ამის შესახებ ნოველებიც დაწერა, მაგრამ როცა რაოდენობა თვისობრიობაში გადაიზარდა (ცნობილია მცირერიცხოვან აფხაზებს ზურგს ორასმილიონიანი მონსტრი, ყინულოვანი იმპერია უმაგრებდა), ნოველისტმა ისევ კალმით სცადა სიმართლის მსახურება, ერთადერთი შვილიც შესწირა ამ ომს, მაგრამ მაინც არ გატყდა, მთელი ციკლი შექმნა რუსეთისგან ინსპირირებულ და რუსეთისგანვე მოგებულ ქართველ-აფხაზთა ომზე, ლტოლვილებზე, მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი თემის საგანი.

გოდერძი ჩოხელისთვის გაუძლისი ტკივილი იყო აფხაზეთი.

მწერლის მეუღლე ნინო მელაშვილი იგონებს: "გოდერძის პირველი დეპრესია აფხაზეთის ომის დღეებში ჰქონდა. სულ ვეუბნებოდი: გოდერძი, ასეთი დარდი არ შეიძლება, ღმერთმა დაგიფაროს და ასე მხოლოდ მაშინ დარდობენ, როცა შვილები უკვდებათ-მეთქი. არადა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვი, რომ მართლა შვილმკვდარ მამასავით განიცდიდა თითოეული ადამიანის დაღუპვას. ეგ კი არა, გეგონებოდა, თითქოს თვითონ გოდერძის კლავდნენ" (18,12).

ძალზე საინტერესოა ის, რომ მიუხედავად ასეთი სასოწარკვეთილებისა, გოდერძი ჩოხელი მაინც ოპტიმისტურად უყურებდა საქართველოს მომავალს.

მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში პროფესორ მადლენა ოჩიგავასთან ამბობდა: "...ჩემთვის ბედნიერება ის არის, რომ ვნახო იმათი (დავითის, თამარის) სანატრელი საქართველო... ვფიქრობ, რომ ის სანატრელი საქართველო ძალიან დიდი უნდა იყოს, რაღაც სასწაული, არნახული, რაღაც წმინდა, უბოროტო. სათავეში უნდა ედგეს ისეთივე გულშემატკივარი, როგორიც დავითი იყო, ერეკლე იყო, თავდადებული სამშობლოსა და ერისა".

გოდერძი ჩოხელის იმედი ეფუძნებოდა მის საოცარ ხილვას. მადლენა ოჩიგავასთან საუბარში მწერალმა გაამჟღავნა: "...ღვთისგან მეწყალობა ხილვა: ვიდექით ქართველები საქართველოს რუკასთან, რომელიც რუქაც იყო და ეკლესიაც იმავდროულად. ეკლესიას ბჭე იქ ჰქონდა, სადაც სვეტიცხოველი იგულისხმება. უცნაური ურჟოლით ველოდით ხატიონს. განიხვნა ტაძრის კარი და მღვდელმთავარი ლიტანიითა და გალობით, ზეაღმართული ხატებითა და ჯვრებით დაიძრნენ საქართველოს დასავლეთისკენ. რწმენით და სიხარულით გაძლიერებულები, ამაღლებულები მივყევით მოძღვრებს, ვიდრე ფსოუმდის. ნათლის სვეტი ჩამოდგა ფსოუზე, განვინათლენით, გზა განვაგრძეთ საქართველოს ძველთუძველეს სამანებამდის" (ინტერვიუ გოდერძი ჩოხელთან, ნათლის სვეტი ჩამოდგა ფსოუსთან) (19,3).

გაბრწყინებული სამშობლოს, საქართველოს რუქის ფორმის ეკლესიის ხილვა სხვა დროსაც დაჰბედებია მწერალს და ამაზე საუბარია რომანში "ღმერთის შვილები" (20, 55-56).

ლიტერატურა

1. გივი როგავა, აფხაზეთის ისტორიის საკითხები, თბ. 2009
2. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი ოც ტომად, ტ. I, ნოველები, თბ. 1992
3. მურმან ლებანიძე, რჩეული, თბ. 1991
4. გურამ რჩეულიშვილი, ერთტომეული, თბ. 1985
5. ნუგზარ წერეთელი, აი, მე გურამი ვდგავარ თქვენს წინ, თბ. 1990
6. რევაზ ინანიშვილი, პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ. 1989
7. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

9. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ. I, თბ. 1973
10. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ. 2001
11. გოდერძი ჩოხელი, თევზის წერილები, თბ. 1989
12. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
13. ნანა კუცია, ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის (XX საუკუნის 80-იანი წლები), თბ. 2009
14. რევაზ მიშველაძე, სამოცდარვა ახალი ნოველა, თბ. 1995
15. ანზორ შონია, დიდი საქართველოს ტრაგედია, თბ. 1990
16. თეიმურაზ მიბჩუანი, აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ. 1994
17. რევაზ მიშველაძე, განაჩენი, თბ. 1990
18. ჟურნალი "გზა", 2010, № 23 ივნისი
19. გაზ. "სოხუმის სადროშო", თბ. 1999 წ. 30 დეკემბერი
20. გოდერძი ჩოხელი, ღმერთის შვილები, თბ. 2002

თავი IX

მომავლის თვალი გადარჩენის პროგლემა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდოგანში"

გოდერძი ჩოხელი ბიბლიურ წინასწარმეტყველებს ენათესაება, სიმბოლურ–მეტაფორული სახეებით, იგავებით, ენიგმებით გვიმჟღავნებს ჩანაფიქრს, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით გვიცხადებს მომავალს.

მწერლის გუდამაყარი, ერთი შეხედვით მიკროკოსმისია, რომელიც სინამდვილეში მთელი სამყაროა, ლოკალურით გლობალურის ხილვის საშუალება, „დიდი წიგნი", რომლის წაკითხვის უნარი მხოლოდ რჩეულთ, ღვთისგან ხელდასხმულთ მიემადლოებათ: „გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია: მთები ყდებად აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია... ეს ისეთი წიგნია, მანამ ცოცხალი ვარ, არც დახურვა შეიძლება, არც წაკითხვა – არწაკითხვა არის ჩემი ნება" (1,8), ანუ მწერალს ზენაარსისგან აქვს დაკისრებული დიდი მისია. ღმერთია ამ სამყაროს ყველაზე „დიდი მწერალი", „მადლიანი წიგნის ავტორი" (1,435).

გოდერძი ჩოხელმა „ყოფნის წიგნები" (გალაკტიონი, „დღეთა გარდასულთა" (2,119). წაიკითხა, სიცოცხლის წიგნში ჩაწერილნი თუ მის გარეთ დარჩენილნი იხილა, ანუ სამოთხესა და ჯოჯოხეთში გამწესებულნი გაარჩია, რადგან სულიწმიდის მადლით ხედავდა სხვა-

თათვის უხილავს, ზეციური მადლით აფიქსირებდა წარმავალს და მარადიულს, მიწიურს და ზეციურს.

დიდი პროზაიკოსის მოთხრობები და რომანები გვარწმუნებს, რომ მწერალი წინასწარმეტყველის უტყუარი ალღოთი ჭვრეტდა სამივე დროს, იგავებით გვამცნობდა ჭეშმარიტებებს, მარადიულ სიბრძნეს.

წინასწარმეტყველების უნარი, უბერებელი სიბრძნე კი მხოლოდ წმიდა სულის, რელიგიური მრწამსის, ღვთის მცნებების კვალობაზე მცხოვრებთ მიემადლებათ: „მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (სიბრძნე) ზირაქისა (37,23) (3,62).

ასეთი ადამიანი „გამოიკვლევს ადაზების დაფარულ აზრს და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს“ (იბრძნე ზირაქისა (39,3) (3,62).

„ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვალის გამომაცხადებელი“ (სიბრძნე ზირაქისა, 42, 19) (3,65).

ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (იქვე 44,33) (3,66).

ბარუქ წინასწარმეტყველის მიხედვით, „წყარო სიბრძნისა ღმერთია“ და მისგან განდგომილნი ჭეშმარიტი ცოდნის გზას ვერ გაიგნებენ, ურწმუნოთათვის მხოლოდ მიწიერი ცოდნაა მისაწვდომი (ბარუქი, 3,12).

ვერც აგარის შვილები, ვერც მერანისა და თემანის ვაჭრები ვერ იგნებდნენ სიბრძნის გზას, რადგან მიწიერ, ეშმაკეულ ცოდნას ეძებდნენ (ბარუქი, 3,31) (3,190).

„მზაკვარ, ცოდვილ სულში ვერ დაივანებს სიბრძნე, ვერც შურიანი ეზიარება ჭეშმარიტებას“ (სიბრძნე სოლომინისა, 1,4, 6,23) (3,19,23).

სიბრძნე – „ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ.

რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,28) (3,24).

სიბრძნის შეცნობის სიხარულით სავსეა სოლომონ ბრძენის სტრიქონები: „ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა.

ღვთის ძალის სუნთქვაა იგი და–ყოვლისმპყრობელის დიდების შეუბღალავი გადმოღვრა, ამიტომ წაბილწულთაგან ვერავინ მიეკარება მას“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,21,25) (3,24).

პავლე მოციქული სულიწმინდის მადლად აცხადებდა სიბრძნის სიტყვას, ცოდნის სიტყვას, რწმენას, განკურნებათა ნიჭს, სასწაულმოქმედებას, წინასწარმეტყველებას, სულების გარჩევას,

ენების განმარტებას (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,4,7,8,9,10,11)(4,374).

ასევე, პავლე მოციქული განასხვავებდა „სულიერ გონებას" (კოლასელთა, 1,9)(4,431) და „ხორციელ გონებას" (კოლასელთა, 2,18)(4,133).

გოდერძი ჩოხელს, ისო ზირაქის სიბრძნეს რომ დავესესხოთ, მომადლებული ჰქონდა „გარდასულისა და მომავლის მაუწყებელი და დაფარულთა კვალის გამომაცხადებელი სიბრძნე".

მწერალს ანვალებდა, ძილს უფრთხობდა „საქართველოს წარსული, უმოქმედო აწმყო, გაურკვეველი მომავალი" (5, 23), იგი სამივე დროს ჭვრეტდა უტყუარი მზერით და ერის ძალისხმევას მომავლის გადარჩენისკენ მიმართავდა, გაფრთხილების ზარებს რეკავდა, ჩრდილოეთის „წითელი უღლის" გადაგდებისკენ მოუწოდებდა და ამავე დროს, გლობალიზმის, მასონობის საფრთხისკენ მიანიშნებდა, „ახალი აზროვნების, დემოკრატიული ღირებულებების" ძირფესვიან განჭვრეტას, ჩვენი ყველასთვის უცხო სამშობლოს უკვდავყოფის, მსოფლიოში ინტეგრირების, ეროვნული სახის შენარჩუნების პრობლემა არ ასვენებდა.

მრავალი რამ ახლებურად გვაუწყა გოდერძი ჩოხელმა ჩვენს სატკივარზე, სამშობლოს მარადიულობის, მისი მომავლის გზებზე.

მწერლის ხილვები, სასწაულები ანტიციპაციას უკავშირდება, დიდი სიწმინდის, მაღალი სულიერების შედეგია და მერმისში გაღწევის, საიდუმლოებების შეცნობის ნიმუშია.

გოდერძი ჩოხელის მეუღლე, ჟურნალისტი ნინო მელაშვილი გვაცნობს, რომ მწერალს „ჰქონდა წინათგრძნობის საოცარი შეგრძნება და რასაც წერდა, მისი წინათგრძნობაა" (6,18-20).

ალეგორიებით, იგავებით, სიმბოლოებით აზროვნება უმაღლესი ხელოვნებაა, რაც ბიბლიიდან მომდინარეობს:

დავით წინასწარმეტყველი აცხადებდა: „ყურს მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს ამოცანას (ფს. 48/49,5).

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა" (ფს. 77/78,2).

ეზეკილ წინასწარმეტყველი ასე იწყებს თავის ხილვათა გაცხადებას: „იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი: 1. ადამის ძევ: მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს" (ეზეკიელი, 17,12).

ოსიას წინასწარმეტყველებაში გამხელილია: „მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ და მე გავამრავლე ხილვები, წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი" (ოსია, 12,13).

ქართულ სასულიერო მწერლობაში ალეგორიის სინონიმად შემუშავდა „იგავი". სიტყვა „იგავი" ბიბლიის ლექსიკური მარაგიდან

მოყოლებული, საერთოდ ქართული სასულიერო მწერლობის ენის წიაღში სათანადო გამოვლინებას პოულობს" (7,148).

ამ ასპექტით ძალზე საინტერესოა გოდერძი ჩოხელის „თევზის წერილები",„ადამიანთა სევდა", „მგელი", „ღმერთის შვილები", „სულეთის კიდობანი".

„სულეთის კიდობანში" წინასწარ არის მომავალი ნაგრძნობი.

წიგნში ასახულია მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის მოვლენები, გლობალიზმის, მასონობის საფრთხე, რომელიც უპირველესად, მცირე ერებს უქადის გადაშენებას.

აკი ზვიად გამსახურდია იმიტომ გაწირა ჩრდილოეთმაც და დასავლეთმაც, რომ მან, როგორც ჯორჯ ბუში (მამა) აცხადებდა, „დინების წინააღმდეგ" სვლა მოინდომა.

„სულეთის კიდობანში" ორი ზესახელმწიფოს–ჩრდილოეთის და დასავლეთის ალტერნატივაა, ჩვენს თავზე ბედისწერის მიერ ისევ დაკიდებული დამოკლეს მახვილის საშიშროება ილანდება.

გადაურჩება თუ არა ეპოქის უძლიერეს ქარტეხილებს ჩვენი პატარა ქვეყანა, რას უმზადებს მას მომავალი, სად, როგორ ვიპოვოთ გადარჩენის გზა?

ჩვენი სამშობლოს ყოფნა–არყოფნის ეს მარადაქტუალური კითხვა აფორიაქებს ყოველ ნამდვილ ქართველს და სწორედ ამ სატკივარს უღრმავდება წიგნის ავტორი.

რა არის მარადიული ფასეულობები და რის გადარჩენას უნდა ვესწრაფოდეთ უპირველესად, რა სახით უნდა მოხდეს ამ გლობალიზმის საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირება მსოფლიოსთან, პლანეტის მოწინავე ნაწილთან? ეს არის ჩვენი უპირველესი საფიქრალი, რასაც მთელი სიგრძე–სიგანით აცნობიერებს მწერალი და მომავლის გადასახედსაც მოინიშნავს.

იმისათვის, რომ გავაღწიოთ მერმისში, უნდა გადავარჩინოთ წარსულის სასიცოცხლო ტრადიციები, გავისიგრძეგანოთ და აწმყოშივე ვაშენოთ მომავლის მყარი საძირკველი, შევინარჩუნოთ ჩვენი გენისთვის ორგანული თავისებურებები, არ უნდა ვიყოთ არც ჩრდილოეთის, არც დასავლეთის მონა, ახალი აზროვნების, დემოკრატიულობის სახელით არ უნდა გავაუფასუროთ წარსულის მიღწევები. უძველესი, საკაცობრიო მნიშვნელობის კულტურის მქონე ერს თავს ვერ უნდა მოახვიონ უწარსულო, უტრადიციო ქვეყნების დიქტატი, ასეთია მწერლის თვალსაზრისი.

გადარჩენისთვის აუცილებელია რწმენის, ტრადიციების, სულიერების ერთგულება, ეროვნული იდეოლოგია, მიგვანიშნებს მწერალი.

საერთოდ ქვეყნის უბედურებას ღმერთისგან განდგომით ხსნიდნენ ჩვენი კლასიკოსები: დავით გურამიშვილი , ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტან-

ტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტერენტი გრანელი.

წიგნში ქვეყნის მონობის ხუნდების დალეწვაა მთავარი, რადგან ჩრდილოელ „გაიძვერა მოყვარეს" დარიალის კარი უტიფრად გაუხსნია და ვახტანგ გორგასლის გზა „სარუსე გზად" უქცევია.

პირიმზის ფუძის ანგელოზის მოედანს და სალოცავს, მისი ხატის ტყეს საოცარი მოკრძალება–თაყვანით ეკიდებოდა გუდამყრელი, მაგრამ ათეისტ დამპყრობელს მასზე ჯერ ნიკოლოზის, მერე ლენინისა და სტალინის ძეგლები დაუდგამს, წმინდა ადგილზე სამხედრო ბასტიონი აუშენებია და ხატის ტყეს დაუნდობლად ანადგურებს.

როცა „წითელი უღელი" დაედგმება საქართველოს, საცინლად, აბუჩად ასაგდებად იქცევა უპირველესი სიწმინდე, სალოცავი, ქრება უზენაესის კრძალვა და ხატის მოედანზე ჯერ რუსული ბასტიონი, შემდეგ კოლმეურნეობის კანტორა, საქონლის ფერმა შენდება, შემდეგ კი რწმენასგანშორებული მოსახლენიც ჩნდებიან. ერთ საძირკველზე მორიგეობით იდგმება ლენინის და სტალინის ძეგლები, ხრუშჩოვის მიერ სტალინზე შურისძიების შემდეგ ლენინია შეუცვლელი ბელადი. მის აღმოსავლეთისკენ გაშვერილ ხელს ზედ ეკიდებიან სკოლის მოსწავლეები, მაგრამ ეს დაუსჯელად როდი ჩაივლის. საბოლოოდ კი ეროვნული მისწრაფებებით გამორჩეული გუდამაყრელები ლენინის ძეგლსაც გაუსწორებენ ანგარიშს.

მაგრამ ხანმოკლე გამოდგება პატრიოტი ახალგაზრდების შემართებით მიღწეული შედეგი, მალე ჩრდილოეთის ეშმაკეულებთან წილნაყარი სატანისტური ხუნტა დაამხობს სწორ გზაზე შემდგარ, ეროვნულობით, რწმენით ანთებული ძალების მიერ შექმნილ ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მოღალატე აგენტურა ისევ ჩრდილოელი მეზობლის უღელს ამჯობინებს.

იკარგება ტრადიციები, რწმენა, საქვეყნო იდეალები.

გადამაყრელ სებას არ ასვენებს ყველასთვის უცხო, ყველასგან უგულებელყოფილი, მსოფლიოს მიერ გულგრილობისთვის განწირული სამშობლოს ბედი და გადაწყვეტს გუდამაყრის მუზეუმის დაარსებას, რათა უკვდავყოს თავისი ქვეყანა, მისი წარსული, აწმყო, მონობას გადაარჩინოს ეს რჩეული მხარე.

გუდამაყრის მუზეუმი სიმბოლოა ეროვნული სახელმწიფოსი, რომელმაც მსოფლიოს უნდა ამცნოს თავისი ღირსეული არსებობის შესახებ.

სებას იდეას ირონიით უყურებდენ პრაქტიციზმის ტყვე ადამიანები. როგორც გიორგი ლეონიძის მეოცნებე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ჩორეხს (8,198-206), როგორც ქრისტეფორე თამარიძეს „ნიშარძეულის წყალში", რომელმაც უკანასკნელი დანა-

ზოგი დახარჯა სოფლის მოსარწყავი მოწყობილობისთვის, მაგრამ სოფელი მაინც ვერ აიყოლია სასიკეთო საქმეში (8, 216-228).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თანამემამულე ირონიით და გულგრილობით ხვდებოდა სებას სურვილს, მან მაინც ააშენა მუზეუმი და შიგ მოათავსა ყველაფერი ღირებული, პროგრესული, რაც ჩვენს ერს შეუქმნია საუკუნეების მანძილზე.

სებას მიერ დაარსებულ მუზეუმში მრავალფეროვან ექსპონატთა შორის განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ფარდაგი საქართველოს რუკით, რომელზეც ყველაფერს თავისი შესაბამისი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. განსაკუთრებით ფარდაგის შუაგულში პატივით იყო ამოქარგული ვახტანგ გორგასლის ანდერძი: „მტკიცედა სდექთ სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდეთ ქრისტესათვის სიკვდილსა, რათა მარადიული დიდება მოიგოთ“ (5,93).

მაგრამ ათეიზმით მოწამლულ, ამპარტავნობით შეპყრობილ ერში დაკარგული იყო ერთობა. ნივთები, რომლებიც სიმბოლურად განასახიერებენ ადამიანებს, მათ სხვადასხვანაირ თვისებებს, ერთმანეთს ექიშპებიან, ვინ დაიკავოს ფარდაგზე წინა ადგილი. მუზეუმში მუდმივად ჩნდება ბასტიონიდან რუსის აჩრდილი.

რომანში ცარისტული და წითელი რუსეთის საქმიანობა ქართველების დამონებით, სასულიეროთა ფიზიკური განადგურებით იყო ცნობილი.

თოფს, ხმალს, ხანჯალს, ფარს, რომლებიც მებრძოლ, ეროვნულ სულს განასახიერებენ, წინ ელობებიან ორთითა, ტიკი, ყანწი, სადგისი.

არეულობა თოფის ჩამოგდებით მთავრდება, ხუნტა დაამხობს წვალებით მიღწეულ დამოუკიდებლობას და უმეთაუროდ დარჩენილი მუზეუმის მეთაურად, ქვევრის რჩევით, მელას მოიწვევენ, რომელიც რუსულ ბასტიონშია გაზრდილი და გაუგონარი ცბიერებით, საკუთარი ქვეყნისადმი გულგრილობით და მტრისადმი ერთგულებით გამოირჩევა.

სება და მისი თანამოაზრეები სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ მელიას, რომელიც, მართალია, მათი შვილია, მაგრამ „მოძმე“ ჩრდილოელთაგან დაპროგრამებული და ერის მოღალატეობით ცნობილი, სამშობლოს ამომგდები მედროვე, მისთვის მთავარია მხოლოდ უცხო პატრონის ინტერესების, მისი დავალებების შესრულება.

ხალხი ბრბოს, ქვევრის თვისებებს ამჟღავნებს, იგი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა გაიძვერა მოყვრის ბანგისგან და ქვევრის რჩევით უპირატესობას ანიჭებს არა არწივს, (რომლის მხარიც შექნიშნიანია) არა ქორს, არა დათვს (რომელსაც ნაკლად უთვლიან ადამიანის შეყვარებას და ეშმაკობის ნაკლებობას), არამედ მელიას, რადგან ის თავისი ცბიერებით არის ცნობილი. ქვევრი ესე მოძღვრავს გუდამაყ-

რის სამწყსოს: „... არწივს, დათვს, ქორს სიეშმაკე აკლიათ; ხელმძღვანელს კი ეშმაკობა ისე ესაჭიროება, როგორც სიბრძნე. ჩვენი ხელმძღვანელი მოქნილი და მოხერხებული უნდა იყოს, როგორც შინაურ საქმეებში, ისევე საგარეოში. ისეთი პიროვნება უნდა ავირჩიოთ, რომელმაც იცის, თითოეული ჩვენგანის გულში რა დევს, თითოეული მტრის გულში რა დევს, უნდა იცოდეს, რომელი ბუჩქის ძირას ზის კურდღელი... ჩვენს ხელმძღვანელს ქვეყნის მართვის გამოცდილება უნდა ჰქონდეს ყველაფერთან ერთად" (5,29).

თუმცა ხალხმა იცის, რომ მელია „ამომგდებია, "მოღალატეა", ქვევრის რჩევით, მაინც მას ანიჭებენ უპირატესობას და რკინის ფინალი, ხის ორთითა, სადგისი და მათი თანამოაზრე ექსპონატები კარებში შეეგებებიან მელიას ფიტულს, წინ გაუძღვებიან და ფარდაგზე დაუთმობენ ადგილს იქ, სადაც ადრე თოფის ადგილი იყო.

როგორ გვაგონებს ეს ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ ფურცელს, ეროვნული პრეზიდენტის დამხობას და ისევ წითელი უღლის დადგომას ჩვენს ქვეყანაზე...

თოფის მომხრეები სატანას ეძახიან მელიას, მაგრამ იგი აუღელვებლად უსმენს მოწინააღმდეგეთა ლანძღვას.

მელას ახსენებენ თავის ანტიქართულ პოზიციას, სატანისტური იდეების მსახურებას, მოღალატედ, ძირგამომთხრელად ნათლავენ, მაგრამ იგი დინჯად, რეაგირების გარეშე ისმენს ობიექტურ მსჯავრს და ისეთი ერთგულების ფიცს აძლევს გუდამყრელებს, თითქოს მთელი მისი წარსული სახალხო იდეალების ერგულება– მსახურებით ყოფილიყოს გამორჩეული.

„...ჩემს ადამიანობას, ჩემს სინდისს ვფიცავ, რომ ცოდნასა და ძალ–ღონეს არ დავიშურებ, რათა თქვენი ნდობა გავამართლო: პირობას გაძლევთ, რომ ერთი ექსპონატი არ დააკლდება ამ მუზეუმს და ერთ გოჯს ვერ მოაჭამენ ამ ფარდაგს ჩრჩილები... ის, რაც ადრე იყო, ის აღარ გამეორდება,... წარსული ისტორიას ჩაბარდა... ზოგიერთები წარსულს ვერ ივიწყებენ... წარსულს თავისი ანგარიშები ჰქონდა. მე პირადად გავასწორე ჩემი ანგარიშები წარსულთან... მაშინ ასე იყო საჭირო და ასე ვმოქმედებდი. ახლა სხვა დროა. ახლა დემოკრატიის დროა. ძველი წყენა უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს, თუ გვინდა, რომ მუზეუმი გვერქვას. მე პირველი გაძლევთ მაგალითს... თუ გინდათ სახელს გამოვიცვლი, მელიას მაგივრად შელიას დავირქმევ... დემოკრატია სალანძღავი სიტყვა არ არის, იგი ჩვენი მონაპოვარია, ყველასი ერთად"...(5, 31-32). მელია „ივიწყებს" თავის სატანურ წარსულს და ლენინის ძეგლის გადაგდებას მოითხოვს, ხუნტას უწონებს თოფის გადაგდებას (გადატრიალებას), დემოკრატიად ასაღებს ღალატს: „თქვენ რომ ხმა არ აგემაღლებინათ, ახლაც თოფების ბათქა –ბუთქი იქნებოდა ამ მუზეუმში"...

ახალი ყაიდის მმართველი, ერის მოღალატედ დაპროგრამებული მელია ოსტატურად საუბრობს ძველი ტრადიციების, ძველი გზების უარყოფასა და ახალი, დამლუპველი გზების ძიებაზე: „... თუ დემოკრატიას ვაშენებთ, მხოლოდ წარსულის რეგალიები არ კმარა, მე პატივს ვცემ ნინია აფციაურის ნაქონ ხმალს, მაგრამ სადგისსაც ხომ მიუძღვის თავისი დამსახურება. ერდოებიდან სინათლეს ვხედავ... მზეს მხედავ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ იმ მზის შუქი ყველას ერთნაირად გეკუთვნით. ცოტა ხანში კიდევ უფრო გაკაშკაშდება ეს შუქი. ერდოდან ძველ გზასაც ვხედავ, რომელსაც გორგასლის გზა ჰქვია და პატივსაც ვცემ, ჩემი მელიად ყოფნის დროს ბევრჯერ გამივლ-გამომივლია ზედ, მაგრამ ჩვენ სხვა გზებიც უნდა ვეძებოთ, ის გზებიც ვეძებოთ, რომელი გზებიც სხვა საერთაშორისო დემოკრატიულ მუზეუმებთან დაგვაკავშირებს“ (5,32).

მელია „ძალაუფლებას, ყველაფრის ნებას“ ითხოვდა, „თავის თავზე იღებდა ყველაფერს“, რამაც აღაშფოთა სხვები.

მელიამ თავისი „დემოკრატობა“ იმით დაამტკიცა, რომ მოწინააღმდეგეებს განადგურებით დაემუქრა და კიდობანში ჩაადებინა ფარი, ხმალი, ხანჯლები, ფანდური და ვეფხისტყაოსანიც“ კი (5,33), რაც ერის მებრძოლი სულის დათრგუნვის, მისი ბრძოლისუნარიანობის შესუსტების საწინდარია.

ხალხი დასაბამიდან ოცნებობდა კერიაზე, იქ ცეცხლის ანთებაზე, კერია მიიჩნეოდა საძირკველად, სალოცავად, ხატში შესაწირი ქადის გამოსაცხობ, სანთლის ჩამოქნის ადგილად, მელამ კი თავის მსტოვრებს დაავალა კერიის გაცივება, რომ იქ ცეცხლი არ ანთებულიყო. ასევე, ჩრჩილებს უნდა გაენადგურებინათ საახალწლო ხე.

კერიის გაცივება ხომ სიცოცხლის შეწყვეტას ნიშნავდა და უდიდესი წყევლა იყო, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაში „კერიასთვის“, რომელშიც კერიის არმქონე მდიდარიც კი უბადრუკია.

აშკარა იყო, სხვა დემოკრატიულ მუზეუმებთან წარდგომას მოღალატე მელია ჩვენი მებრძოლი აზროვნებით, ეროვნული სახითა და კულტურით კი არ ცდილობდა, არამედ მისი დაკნინებით, მიფუჩეჩებით, უკუგდებით. შემთხვევითი როდია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ადგილს დათვი იკავებს, ეს წიგნი კი იმდენად სასწაულმოქმედი იყო, რომ დამუნჯებული მზექალი აალაპარაკა, სიცოცხლე, სიკეთე, სიტყვა შეაყვარა.

უძველესი კულტურის მქონე ხალხს, ცივილიზაციის აკვანს თავისი „პატრონების“ დავალებით მელია ართმევდა საუკუნეობრივ ღირსება–მონაპოვრებს, მონად აქცევდა და მისი განვითარებადი ქვეყნების სიაში მოხვედრას ცდილობდა, იგი ერის მებრძოლი სულის, მისი პოტენციის ჩაკვლის მისიით იყო მოვლინებული უცხო, მტრული ძალების მიერ.

მელიამ პირველივე ჟესტით დააშინა საკუთარი ხმის მქონე ინდივიდები და გაიმრავლა მლიქვნელები.

ვითომ დემოკრატიული არჩევნები გამოაცხადა, სინამდვილეში კი სადგისს საიდუმლო ინფორმაციების მოპოვება დაავალა საშიშ მოწინააღმდეგეებზე და მათი კომპრომეტირების მექანიზმები აამუშავა.

ასე მიაცემინა მელიამ აცილება არწივზე, რადგან მოსალოდნელი იყო, იგი „სხვანაირი შუქით“ გააბრწყინებდა მუზეუმს.

საპრეზიდენტო არჩევნებში გზა ჩაეხერგათ სახელიან დამბაჩას, თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოს მთქმელ ყანწს, სიყვარულის საგალობლის მღაღადებელ ირმებს, „იქნებ არ გვჭირდება სიყვარული“, მელიის გულისთქმას უსიტყვოდ მიხვდა სადგისი.

ავტოკრატი მმართველები ხომ პირველ რიგში, სიყვარულს და სიკეთეს ემტერებოდნენ, ასე იყო ათეისტურ იმპერიაში, ასე იყო დემოკრატიის სახელით მოვლენილი მელიის მმართველობის დროს, მათ მხოლოდ დროის ინტერვალი აშორებდათ.

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულშიც“„ „მარადიული სიყვარული“ იდენტიფიცირებულია „სისულელეებთან“ და მხოლოდ „მთვარეულთათვის“ გადაულოცავთ, პროლეტარიატისთვის იგი ზედმეტია (9,13).

მელია განთქმული იყო რწმენის წინააღმდეგ ბრძოლით, წმინდა მამების განადგურებით მას, უცხო ქვეყნის სამსახურში ჩამდგარს და შემდეგ თავის სამშობლოში სატანური მისიით მოვლინებულს, აღაშფოთებდა რწმენისკენ მიბრუნებაზე ფიქრიც კი.

მელიამ ცხოვრების წესად აქცია დაუნდობლობა, გაცემა, დაამკვიდრა ბოროტების სინდრომი. ამიტომ რომანში ნდობა სიყვარულზე მაღლაა დაყენებული.

მელიასათვის მიუღებელი იყო ვახტანგ გორგასლის ანდერძი, ფანდური და „კაი ყმის“ იდეალი, მიუღებელი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ჰუმანური იდეები, კოსმიური ტიტანის ვაჟა–ფშაველას შემოქმედება, სატანის მსახური მზად იყო გამოეხრა წმინდანთა ძვლები, აკვანში მწოლიარეთა, უმანკოთა ძვლები. მუზეუმში ხშირად ჩნდებოდნენ მეზობელთა აჩრდილები, მელია უსენდა როგორც ყინულოვანი მონსტრის ნარმომადგენელთა, ისე დასავლეთის ზარებს, მართავდა აგენტურის მეშვეობით და თვითონაც უცხოთა აგენტი იყო საკუთარ ქვეყანაში, ერის გაუბედურების დავალებით მოვლენილი. მელიას მოსვენება უკარგავდა ვახტანგ გორგასლის ანდერძი, „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე და სადგისს დაავალა ჩრჩილისთვის ამოეჭმევინებინა ისინი, რაც უყოყმანოდ შეასრულა მლიქვნელმა სადგისმა.

მელიას მრავლად ჰყავდა ჩრჩილები, რომელთაც ევალებოდათ ერის სამომავლო ნააზრევის გამოხრა–განიავება.

მუზეუმის ვერაგი პრეზიდენტის დავალებით კიდობანში ჩაკეტეს ვაჟა–ფშაველა იმის მომიზეზებით, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა და შემდეგ შესაფერის პირობებში გამოაჩენდნენ.

სინამდვილეში მელია ერის სულს, მის ღირსეულ ნაღვაწს, კულტურის ძეგლებს ანიავებდა, მალავდა მტრის გასახარად და თავის ჩრდილოელ მოძღვრებს ჰპირდებოდა, რომ მაშინ გამოაჩენდა, როცა მათ არავითარი ძალა არ ექნებოდათ.

პრინციპულ საკითხად იქცა მელიასთვის გუდამაყრის მუზეუმისთვის გუდამაყრის ჩამოცილება, რითაც მუზეუმი კარგავდა თავის დანიშნულებას, ეროვნულ სახეს და გაუფერულებული, მნიშვნელობაწართმეული რჩებოდა.

მელიის ამ მზაკვრულ განზრახვას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მუზეუმის დამაარსებელმა სებამ.

მელია თავის გადაწყვეტილებას „უცხო ნივთების" (ხალხების– ლ.ს.) სურვილით ამართლებდა, მას არ უნდოდა, პრიორიტეტული ყოფილიყო სახელმწიფოში ძირძველი მოსახლეობა, რაც დიდი უსამართლობა იქნებოდა, მისი აზრით.

მოკლედ, წიგნში მელიას ყველაფერი იქეთკენ მიჰყავდა, რომ ბოლომდე გაენადგურებინა, მიწასთან გაესწორებინა უძელესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, რადგან ეს მტრის ინტერესებში შედიოდა.

აგენტი ჩრდილოელი ბოსების სურვილს გადასცემს მელიას, რომ მუზეუმი საფრთხეს უქმნის მათ საქმეს და იგი უნდა მოისპოს. ქართველი პრეზიდენტი პირობას აძლევს ვაიმოყვარეს, რომ მუზეუმის აშენების სურვილს დააკარგვინებს გუდამაყრელთ. მელიას უკვირს, რატომ მისტირიან ისინი ვახტანგ გორგასლის ნაგზევს, როგორ იღებენ ძალას მისი ყურებით, როგორ იღებენ ძალას 1500 წლის წინანდელი ანდერძით. მტარვალ მელიას მიზანია, დაუკარგოს თავისიანებს წინაპრებისკენ ყურების საფუძველი, მუზეუმის შენების სურვილი, მუზეუმი, კი მათთვის იგივეა, „რაც სალოცავი.

მელიას მიზანია არჩევნების გაყალბება, მოტყუება–მოსყიდვა ამომრჩევლების.

მტარვალი მელიის ეშმაკობას, მის ბოროტ ჭკუას და „ფილოსოფოსობას" ასე ახასიათებს ამ ვაიპრეზიდენტის მრჩეველი: „მელია ყველაზე დიდი ფილოსოფოსია ამ ქვეყანაზე, პირველ რიგში იმით, რომ ბრძენია, რაც გულში აქვს იმას მალავს და რაც სხვების გულშია, იმას ყველაზე მეტად მელია ხვდება.

...ტყუილის უდიდესი ნიჭი აქვს.

ადამიანებს კი ხშირად სიმართლეზე მეტად ტყუილი უყვართ, ტყუილი ისეთი პურია, რის სიგემრიელესაც მასები ადვილად იჯერებენ და თან რატომღაც ჰგონიათ, რომ ეს პური დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად დატკბება... და მელიაც იქნევს აქეთ–იქეთ თა-

ვის გრძელ კუდს და ხალხს თავს აწონებს თავისი სიბრძნით... მელია დიდი ფილოსოფია მოთმინებით, ბოღმის გულში ჩადებით და სხვისი ხელით მტრის განადგურებით. იგი არასოდეს სტოვებს თავის უკან კვალს, ნაფეხურებს, გრძელ კუდს მიირთმევს და შლის ამ კვალს... განსხვავებით ძაღლისა და დათვისგან.

მელია ყველაზე დიდი ფილოსოფია ცხოველთა შორის და ამიტომაც არის ღირსი ეკავოს მუზეუმში პრეზიდენტის თანამდებობა" (5,98-99).

გადაგვარებულმა, უცხოეთში ზომბირებულმა მელიამ თავისი მიზანდასახულობა დაუკარგა მუზეუმს, ნაართვა მას ეროვნული შინაარსი, მერე კი სახელწოდების შეცვლაც მოუნდომა ამ გაუსახურებულ დაწესებულებას (უფრო სწორად სახელმწიფოს) და გადანყვიტა, მისთვის ჩამოეცილებინა ვინაობაზე, სადაურობაზე მღაღადებელი სახელი–გუდამაყარი, უბრალოდ დაეფიქსირებინა იგი, როგორც მუზეუმი.

მელიას ამ განზრახვას მტკიცედ აღუდგა წინ სება: „ეს მუზეუმი სხვა მისიით შევქმენი, რომ მამა–პაპათა აზროვნება და რწმენა შემენახა მომავალი თაობებისთვის, თუკი ყველაფერს კიდობანში გამოვკეტავთ და ანდერძსაც ჩრჩილს შევაჭმევინებთ, უარს ვიტყვით იმ სარწმუნოებაზე, რომლის ძალითაც დღემდე მოვედით, რაღას ჰქვია, ახალი აზროვნება?

ეს მუზეუმი სულ სხვა მისიით გავხსენი... ხალხი მეკითხება, რა მუზეუმია, ხმალი შენ არ გიკიდია შიგნით და ხანჯალი, მაპატიეთ და მარტო თქვენი ფიტულის გამოსაჩენად არ გამიხსნია ეს მუზეუმი. თავიდან არც გაგხსენებივართ, არაფერი ხეირი არ გვახსოვდა თქვენგან და რამდენიმე ექსპონატის მოთხოვნით მოგიყვანეს რუსული ბასტიონიდან აქ, ვიფიქრეთ, მტრის ბუჩქში სად რომელი კურდღელი იმალება, ის ეცოდინება და იმის მაგივრად, რომ ეს გვითხრათ, მარჩიელობთ, ყველაფერზე იმას იძახით, მომატყუესო... მეშინია, როცა ერდოებიდან შემოსულ აჩრდილებს საიდუმლოდ ელაპარაკებით. არასოდეს ასეთ ლაპარაკს ჩვენი მუზეუმისთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია, პირიქით, .. ყველაფერს სხვას აბრალებთ და ისე დადიხართ ამ მუზეუმში, ერთი ფეხის დანადგამ ნაკვალევს არ ტოვებთ თქვენსას, მიითრევთ კუდს და შლით თქვენს ნაკვალევს" (5,104).

ჩრდილოეთი მუზეუმის გაუქმებას მოითხოვდა, მელია დროის გაყვანის პოლიტიკით უხვევდა თვალს თვისტომთ. ორმაგ თამაშს თამაშობდა, „იქაც და აქაც" იღებდა საიდუმლო დავალებებს...

როცა მისმა ჩრჩილებმა ფარდაგზე ვახტანგ გორგასლის ანდერძი ამოჭამეს და სება შეწუხდა, მელიამ ასე ანუგეშა იგი: „ანდერძს ქვეყნის მბრძანებლები წერენ... შემდეგი არჩევნებისთვის უკეთეს ანდერძს ამოვქარგავთ"...

ასევე არ იწონებდა მელია ტრადიციული რწმენის ერთგულებას და დემოკრატიულობის სახელით სექტების გამრავალებას ემხრობოდა. „...ვიწრო, გუდამაყრულ ჩარჩოებში არ უნდა ჩავიკეტოთ და ყველა რელიგიას თავისი გასაქანი უნდა მივცეთ, თუ გვინდა, რომ საერთაშორისო დემოკრატიულმა მუზეუმებმა თავის ოჯახში მიგვიღონ. ჩვენ ამ მუზეუმს არ უნდა მოვახვიოთ თავს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობა, ჩვენ, უპირველესად, დემოკრატიული მუზეუმი ვართ და ვერავის ავუკრძალავთ, იწამონ ის, რაც მათ სურთ... ჩვენ უფრო სხვა მასშტაბით უნდა შევხედოთ სინამდვილეს, დღევანდელი მუზეუმები სხვა პრინციპებს ემყარებიან და ჩვენ ცალკე ვერ ვიქნებით, თოფები, ხმლები და 1500 წლის წინანდელი ანდერძი რომ გვიკიდია მუზეუმში, ეს უპირველესად ჩრდილს აყენებს ჩვენს მუზეუმს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, შევეგუოთ ახალ აზროვნებას, სხვანაირად დემოკრატიულ ფერხულში ვერ ჩავდგებით. ეროვნულობის ყვირილმა რაც მოგვიტანა, კარგად მოგეხსენებათ. დღეს მსოფლიო მუზეუმები დემოკრატიის, ახალი აზროვნების პრინციპებით ერთიანდებიან და სირცხვილია იმაზე ტირილი, საქართველოს რუკაზე 1500წ. წინათ დაწერილ ასოს თუ ამოჭამს ჩრდილი" (5,114).

მელიას ანტიქართულ ქმედებებს ზურგს უმაგრებს ჩრდილოეთის აგენტურა, უსაზღვროა მათი ცინიზმი, ისინი ირონიით, ზიზღით მოიხსენიებენ ქართველებს და ყველა მათგანს „კაცოთი" ნათლავენ, როგორც გურამ რჩეულიშვილზე დაწერილ ნუგზარ წერეთლის წიგნში „მე ახლაც 26 წლისა ვარ" (10,86).

ადრე გუდამაყარში ბერების საძმო იყო, ისინი წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ფრენდნენ ფრთების გარეშე...

ბერები მთიდან კალათით წყაროს წყალს უგზავნიდნენ ხალხს და წვეთი არ იღვრებოდა.

ვფიქრობთ, კალათი მარიამის სიმბოლოა, კარვის ანალოგიით შექმნილი (შდრ. ანა კალანდაძის „ვარდის კარავი").

წყარო, წყარო ცხოვრებისა ქრისტეს მეტაფორაა (11,98).

როცა ბერები აცდუნა მიწიერმა სურვილებმა, მცირედმორწმუნეობა აშკარა გახდა და მათ დაკარგეს ფრენის უნარი.

ქვეგამხედვარი მელიას წყალობით გუდამაყრის მუზეუმს უბედურება დაატყდა, შავი არაგვი ადიდდა, გადმოლახა ნაპირები, გაარღვია ჯებირი და წარღვნისმსგავსი სტიქია მოევლინა გუდამაყრის ფუძის ანგელოზის მინდორს, მისი მესამედი წაიღო, დაანგრია სახლები, მუზეუმების კედლები...გვახსენდება გალაკტიონ ტაბიძის პოემა „მშვიდობის წიგნი", რომელშიც მშვიდობის წიგნის (ღმერთის) უარყოფას, დაკარგვას მოჰყვა საშინელი წყალდიდობა, რომელიც ანგრევდა სახლებს, ანადგურებდა ტყეს, ნისლით, ღრუბლით შებურა სატანამ მიდამო, დიდი და ბნელი ღამე გააბატონა და არყოფნის პირას მიიყვანა შუამთა. პოემაში სწორედ იმპერიული მონსტრისა

და პატარა, „ობოლი, თავმდაბალი ქვეყნის“ მიმართებაა აღწერილი (12,127-352).

„ამ მთებშია ჯოჯოხეთის შესასვლელი კარი და ეს კუპრივით შავი მდინარეც იქიდან მოდის“, ნათქვამია „სულეთის კიდობანში“ და ეს შემთხვევითი ფრაზა როდია.

გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ განადგურების, იავარქმნის საშინელი სურათია, წყალს მიაქვს ფარდაგი საქართველოს რუკით, მასზე ამოქარგული ჯვრით და ვახტანგ გორგასლის ანდერძით, ინგრევა ლენინისა და სტალინის ძეგლების საძირკველი, ადიდებულ ტალღებზე ტივტივებს მელია და სებას სთხოვს გადარჩენას, მაგრამ სება და მისი შვილი ფარდაგს გადაარჩენენ და არა მელიას. მელია იხტიბარს მაინც არ იტეხს და ამბობს: „მაინც დავბრუნდები, ნახე, თუ არ დავბრუნდები“ (5,142), ამით მწერალმა მიგვანიშნა მედროვეთა, სულგაყიდულთა მონაცვლეობით, პერიოდულად მოვლინებაზე. მელიას ქადილი ყვარყვარე თუთაბერის ცინიკურ ქადილს გვაგონებს: „თუ ცოცხალი გადავრჩი, არა უშავს, გული არ გაიტეხო ყვარყვარე, დაიღუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები“(13,57).

ფარდაგის, მასზე გამოსახული რუქის და გორგასლის ანდერძის გადარჩენა თავისუფლების, ეროვნულობის იდეის გადარჩენას გულისხმობს, როგორც გრაალის იდეის გადარჩენა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში... „გრაალის მცველნის“ ალეგორიული შინაარსი ასე გაშიფრა აკაკი ბაქრაძემ: „ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ამით გაუმკლავდება იგი მტერს. მწერლობის ამოცანა კი ის არის, დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში...

„ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან, ერთი მხრივ, არის ბრძოლა გრაალის დაცვისთვის და მეორე მხრივ, ბრძოლა გრაალის დანგრევისთვის“ (ბრძოლა გრაალისთვის) (14,308-322).

სება მომავლის იმედს არ კარგავს და ამბობს: „მთავარია, ეს ფარდაგი არ გავატანეთ მდინარეს, სახლსაც ავაშენებთ, მუზეუმსაც“ (5,143).

„მაღალი ღმერთი და ვახტანგ მეფის ანდერძი ყოველთვის დაიფარავს ქართველობას“, ამხნევებს ხალხს სება (5, 94).

ანალოგიური მნიშვნელობა აქვს კიდობნის გადარჩენასაც, რომელიც „ხეობის ბოლოს, მდინარის შავ ტალღებზე სულეთის ქვეყნისკენ მიტივტივებდა (5,143-144).

ნაწარმოების ბოლოს ქუხილის შემდეგ მზე გამოჩნდება.

„მზის სხივებში აელვარდა პირიმზის ეკლესია, რომლის თავზე ცისარტყელა გამოისახა, რომელიც მთლიან რკალად წვდებოდა გუდამაყრის ვიწრო ხეობას, შუა რკალი ცის მოკრიალებულ გუმბათზე ჰქონდა მიბჯენილი, ხოლო შვიდფერი სვეტის ერთი ბოლო – აღმო-

სავლეთის მთაზე, მეორეთი დასავლეთის მთას ეყრდნობოდა და პირიმზის ეკლესიის ეზოში დაფენილი ნვიმით გარეცხილი ხალიჩა, რომელზეც საქართველო იყო ამოქარგული, ცისარტყელიდან ჩამომდგარი შუქით უცნაურად გაბრწყინებულიყო.

ხალიჩასთან დაჩოქილი მამა–შვილი თვალებში ჩამდგარი სევდიანი იმედით შეჰყურებდა ცისარტყელას".

წიგნში არაგვის ადიდების დროს ახალი კალაპოტი გაიჭრება და მდინარე მიმართულებას იცვლის, რაც პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას მიანიშნებს და იმედისმომცემი ხდება.

ქვეყნის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების მომასწავებელია მუზეუმის კარი,კლიტე, ურდული, მდინარის ჯებირი, რაც კარჩაკეტილობის კი არა, ერვონული ღირებულებების დაცვის სიმბოლოა.

წიგნში არის ასევე ჯოჯოხეთის კარად ქცეული დარიალის კარი, რადგან იმ გზით ჩრდილოეთიდან მოდის ერისთავის მომაკვდინებელი სიავე. გუდამაყრელი აპარეკას წინაგრძნობა და ეკლესიის კანდელის უცნაური ციმციმი მიანიშნებდა მოსალოდნელ კატაკლიზმებზე, ომზე, რაც ახდა კიდეც.

„სულეთის კიდობანში" გვხვდება სასწაულები: რუსების მიერ მოჭრილი ხის გველეშაპად ქცევა და რუსების განდევნა... წმინდა მამის ბენიამინის ცხედრის განათება უცნაური შუქით, კომუნისტების მიერ დახვრეტილი მკვდრების გაცოცხლება, ბენიამინის მოგზაურობა კიდობნით სულეთის ქყვეყანაში, ბიჭის ბეჭზე უცნაური შუქის გამობრწყინება და ბეჭზე არნივის გამოხატვა, „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონების ძალით მუნჯი გოგონას ამეტყველება.

ეს სასწაულები ემსახურება ადამიანის რწმენაში განმტკიცებას და სიკეთის სასწაულებრივ ძალას, ცოდვილთა მობრუნებას წმინდა გზისკენ. წიგნში რამდენიმე საღვთო და საღვთისშობლო სახელია: წყარო, ხე, მზე, შუქი, ელვა, ცეცხლი, ცისარტყელა საღვთო სახელებია, კალათი, კიდობანი მარიამის სიმბოლოა.

ნაწარმოებში იხსენება აგრეთვე ერთი კიდობანი, რომელშიც თადეოზი დახვრიტეს. მელიას სურს მას „ცოდვის კიდობანი„ ეწოდოს და არა „სულეთის კიდობანი", რომ ხალხი არ მიიზიდოს.

ფიგურირებს აგრეთვე ბიბლიის წარღვნისდროინდელი „ნოეს კიდობანი", რომლითაც წმინდა ნოემ უცოდველი ადამიანები გადაარჩინა.

ამ წიგნით გოდერძი ჩოხელმა დაგმო უცხოთა მონობა, არატრადიციული, არაეროვნული გზა, გაკიცხა მედროვე, ურწმუნო ხელისუფალნი.

მწერლის იდეალია მსოფლიოში, ფართო არენაზე ქართული ეროვნული კულტურის წარმოჩენა, ეროვნული სულიერი ფიზიონო-

მიის შენარჩუნება, ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფო.

მთავარი აქცენტის მატარებელი ეპიზოდია წიგნის ავტორისათვის მარიამ ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გამოცხადება.

ღვთის დედა ტირის საქართველოს გამო, მაცხოვარი კითხულობს, რატომ უარყვეს და რატომ გაიფანტნენ ქართველები სხვა ქვეყნებში.

ღვთისმშობელი პასუხობს: „სატანა მოევლინა, შვილო, მწყემსად და იმან გაანიავა შენი სამწყსო. სატანამ გამოხრა შენი სამყოსს გარდასულების ძვლები და ჯერ რომ გუდამაყრის მუზეუმში ნივთი არ ჩამოუკიდნიათ, იმ ნივთების წარსულს სწავლობს“ (5,73).

— „სატანა! სატანა!... სატანას ელირსება ის, რისი ღირსიც არის, ხოლო შენ, დედაჩემო, მეტად აღარ გიხილო თვალცრემლიანი და მე გპირდები, რომ საქართველო ერთხელ კიდევ გამოივლის წარღვნას და იმ წარღვნის მერე სწორედ საქართველო იქნება ის აყვავებული ზეთისხილის რტო, რომელსაც მტრედმა უნდა ახაროს ახალი ცა და ახალი დედამიწა ქვეყნის მეუფეს, რომლის სიბრძანისში არც მზე არის და არც მთვარე და თვითონ მეუფეა მანათობელი და არ არის შური და მტრობა, არამედ არის კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება.

აი, ამისთვის გიხაროდეს, დედაჩემო, რომ იქ ღმერთის ნათელით გაბრწყინებულს იხილავ შენს სამწყსოს“.

მარიამ ღვთისმშობელი ტიროდა „მათთვის, ვინც ღმერთის ნათელში ვერ მოხვდებოდა“, მაგრამ მაცხოვარმა ანუგეშა, რომ ამოვიდოდა სატანა კაცთა გულ-გონებიდან სინანულით, ლოცვით, ცრემლით: „გინახია, როგორ ამოდის ნამეხარი მუხის გულიდან შავი კვამლი, აი, ეგრე ამოვა სატანა კაცის გულ-გონებიდან... თუნდაც მღვდლის წინაშე გადმოგდებული ცრემლით, სინანულის ცრემლით... აი, ამ ცრემლში ვხედავ სამყაროს. სამყარო ჩემთვის ერთი დიდი ცრემლის კურცხალია და ყველას იმ ცრემლში ვხედავ.

ჩემს გამო მეტად ნუ იტირებ, იტირე საქართველოს გამო და იცოდე, მალე აღესრულება სატანის მეფობის ჟამი.

...ილოცე, ილოცე, ჩემო საყვარელო დედა, საქართველოსთვის!... ილოცე, ჩემო დედა, რომ სრულიად საქართველომ რაც შეიძლება მალე შეიმოსოს ჩემი კვართი“ (5,71).

მწერლის მიერ წიგნში ჩართული ეს სიტყვა აღაშფოთებს მელიას და სადგისს.

მიზანი ის უნდა იყოს, რომ ადამიანებმა ატარონ ღმერთის სული (5,89).

მართალია, ზოგიერთები სიგიჟეს სწამებენ სებას, ის კი ერის გადარჩენის გზებს ეძებს, ვახტანგ მეფის ანდერძით დამშვენებული ფარდაგის გადარჩენას უბარებს შვილს და სჯერა, რომ ღმერთი არ

გასწირავს საქართველოს: „... მე არც გიჟი ვარ და არც გავგიჟდები, ქვეყანას წარსული, აწმყო და მომავალი უნდა ახსოვდეს. ჩვენ სხვანაირად ვერ გადავრჩებით... აბა, გახედე იმ გზას, კლდეებში რომ არის გაჭრილი, ეგ ჩვენი დიდი მეფის, ვახტანგ გორგასლის ნაგზევია“.

„რუქაზე ვახტანგ მეფის ანდერძი ეწერა: „მტკიცედა სდექით სარქმუნოებასა ზედა და ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა, რათა მარადიული დიდება მოიგოთ“.

„მთავარი ამ ანდერძის და ამ ფარდაგის გადარჩენაა და თუ მე ვერ შევძელ, შენ უნდა შეძლო“.

„მაღალი ღმერთი და ვახტანგის ანდერძი ყოველთვის დაგვიფარავს ქართველებს“ (5,93-94).

ასეთი ოპტიმისტურია წიგნის ფინალი.

ლიტერატურა

1. გოდერძი ჩოხელი, თევზის წერილები თბ. 1989
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5ტომად, ტ.I, თბ. 1993
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
5. გოდერძი ჩოხელი, სულეთის კიდობანი, თბ. 2011
6. ჟურნალი „გუმბათი“, № 13, 28 მარტი–3 აპრილი 2011
7. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“ თბ, 1989
8. გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე, თბ. 1976
9. გრიგოლ რობაქიძე, ჩაკლული სული, თბ.1991
10. ნუგზარ წერეთელი, მე ახლაც 26 წლისა ვარ, თბ. 1984
11. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
13. პოლიკარპე კაკაბაძე, ყვარყვარე თუთაბერი, თბ. 1956
14. აკაკი ბაქრაძე, თხზ. ტ. III, თბ. 2004.

ANTICIPATION IN GEORGIAN LITERATURE OF THE 20TH CENTURY

SUMMARY

The main guideline of the work is the bible wisdom (the wisdom of Solomon, the wisdom of Ise Zirach), the thoughts of prophets (David the Prophet, Isaiah the Prophet, Barekh the Prophet), to make distinction between the earthy and heavenly wisdom, between a spiritual and fleshly mind, to consider a poetic gift to be the Mercy of Holy Spirit (Apostle Paul), and from the viewpoint of the future to study the creative works of the authors blessed with God's wisdom and love.

is also taken into consideration the well-known scientists' views (Bergson, Jung) on intellectual and emotional intuition, telepathic phenomena, the ideas of the yoga philosophy followers (Ramacharaka, Reorich).

Galaktion Tabidze had a neutral gift for foreseeing and forehearing which enabled him unmistakably to foreknow the past, the present and look through the future. From this point of view, there have been studied such phenomena in his works as "informational field (spiritual vision) "symbols", "presentiments persistent", "celestial unfading voices", "the beams of the future".

Saturated with wisdom the poet's look could penetrate into the abyss and rightly view the essence of the revolution, its fatal results, possible repressions and be symbols and metaphors he showed the tragedies of the epoch of atheism, pointed out that it was a necessity to end the demonic, Mephistophelean century's way of life and seek a new one.

Galaktioni predicted cosmic "bad weather", the WW II, total destruction, the victory of the soviet people over the fascism, turn back to Christian Faith, and he foresaw his poetic fame.

The poet indicated the serious problems of our country, treacheries of the neighbor empire. He foresaw the less of our territories (The Book of Peace); he had a vision of the outlines of the future, salvation of the country and he sang a song to "the happiness of salvation", created "a Hymn of Salvation".

Another poet gifted with anticipation ability was Terenti Graneli. He had prophetic visions, the forehearing phenomenon enabled him to cognize the offspring of apocalyptic beasts, get away from the demonic forces and retain right positions.

Terenti Graneli foresaw the turn back to Christian Faith, the freedom of his land and the great future of his creativity.

Paolo Iashvili gave his trustworthy verdict about his epoch, cognized the "red dragon" followers. He never sold himself to nursh tyrants and be giving his life as a sacrifice the poet found salvation of his knightly soul, high morals; he sensed the ephemerality of evil, almightiness of truth, had a vision of his own tragic demise, appreciation of his poetry in the future.

Titsian Tabidze fully visioned the suppression of truth now in the country of ignorance and fear. He visioned his tragic destiny and created an eternal requiem of the tragic epoch, demised in hopes that his poetic services will not be forgotten.

Prophetic was the creative work of the great prosaist Mikheil Javakhishvili. The writer gave a negative assessment to the October Revolution and its achievements.

Coming of Russia bolshevism he considered as an occupation and Russianization. He appears as an imperial judge to the Soviet System, to the apocalyptic leaders – Lenin and Stalin.

A thorough analysis of the motive power of the epoch, observation of the hypocritical policy of the country leaders, a special intuition enabled the writer to foresee the future out from the present. "Jakho's Migrants" is a disclosure of the wrong policy led by the revolution inspirators, shows its unnational character, the naivety of the Georgian people, carelessness, lack of the national ideology that helped the strangers to be self-willed, to use our properties for their own benefits and finally, with the assistance of the perfidious third force to misappropriate the age-old Georgian lands. The author of the novel foresaw the less of our age-old Georgian region Samachablo as far back as six decades. The writer thoroughly studied the national phenomenon, the problems of its past and the present, and believed that this distinguished nation will never die out. He saw the salvation in Christian faith (materials for lectures).

Two-head Janus of Georgian prose – Konsatine Gamsakhurdia from the very beginning realized and revealed the essence of the revolution. The Russian bolshevism came in the name of progress. The writer referred with a letter to Lenin – the author of all the events and perils, giving him a clear message about the north empire ambitions, its aggressive policy. Later, all he wrote about came true.

The novel "Dionysus' Smile" was an advance vision not only of the series of ordeals that Georgia had from Russia, but also the danger idea which the empire of evil conceived against Caucasus, South Caucasus, the world democracy.

The realization of antichristian, antigeorgian policy of the Georgian and north hordes enabled the writer to foresee the tragedy in Abkhazia which had been planned under the leadership of "our elder brothers" and which ended with the less of our Georgian territories.

In "steal the Moon" the prosaist recognized the future evil coming in the name of goodness and, at the same time he foresaw the ephemerity of Soviet Ruling.

The Grand Master of Georgian word (belle-lettres) fearlessly exposed the "conductors" of apocalyptic Flood", "mongol" danger, the seaend earth-beasts – Lenin and Stalin throned by the apocalyptic, red dragon.

"Vine in Bloom" was the vision of the hard lot of those denying the faith, traditions, the power of word, and a warning for the future.

The writer visioned the future even from the past. His historical novels "Grand Master's the Right" and "David Aghmashenebeli" were a nation's program, a guideline for the future, advance cognizance of the motherland's fate a warning to the country not lacking in enemies, an appeal for vigilance, bell-ringing to retain the faith, traditions, courage and hope for Georgia's eternity.

Konstantine Gamsakhurdia predicted the independence of Georgia and the first president of the country, Zviad Gamsakhurdia, overthrow of the national government, which was inspired from outside and supported by the perfidious forces from inside.

Based on their scientific studies of the historical facts and powerful intuition the Georgian writers indicated the Georgian-osetian and Georgian-abkhazian conflicts, the loss of our territories planned in Russia.

Guram Rcheulishvili in the 50-ies of the 20th century foresaw the expected cataclysms, which is shown in his diaries, stories and letters.

In the 70-ies of the past century by the impressive plastic images Revaz Inanishvili presented the tragedy of Abkhazia ("The Mouth of Bziphi").

Revaz Mishveladze boldly exposed Abkhazian separatism and Georgian-abkhazians's separation. This was taken by the writer for a prelude to the unavoidable disaster ("Wicked Talk").

Goderdzi Chokheli in 90-ies predicted a national disaster, and the overthrow of the first president of the independent Georgia he interpreted as a danger of the less of integrity of the country in the future, but at the end the writer hoped in positive decision of the difficult problems, in better future of Georgia ("Souls Land Ark").



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge